სახელმძღვანელო იურისტებისათვის

სასამართლო ექსპერტიზის, ექსპერტი მოწმის დაკითხვისა და მტკიცებულებათა წარდგენის შესახებ

Manual for Lawyers

on Forensics, Expert Witness Examination and the Introduction of Evidence

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი 2012

უაკ (UDC) 340.6+343.141+343.143
ს-30

© ავტორთა ჯგუფი
© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2012

ISBN 9978-9941-10-659-0

2010 წლის ოქტომბერში, ძალაში შევიდა საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც ქმნის ახალ, შეჯიბრებითობის პრინციპზე დაფუძნებულ სისტემას.

„ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა“ საქართველოს ოფისის მიერ (ABA ROLI), ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის სახელმწიფო ანტინარკოტიკულ და სამართალდაცვითი პროგრამების საერთაშორისო ბიუროს (INL) დახმარებით და ფინანსური მხარდაჭერით, საქართველოს სისხლის სამართლის სფეროში მოღვაწე პრაქტიკოსი იურისტებისათვის შეიქმნა სასწავლო პროგრამა სასამართლო ექსპერტიზასა და ექსპერტი მოწმის დაკითხვასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

აღნიშნული სახელმძღვანელო შეიქმნა „ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა“ საქართველოს ოფისის მიერ, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის სახელმწიფო ანტინარკოტიკულ და სამართალდაცვითი პროგრამების საერთაშორისო ბიუროს (INL) ფინანსური მხარდაჭერით, რათა გამოყენებულ იქნას ზემოთ მითითებულ სასწავლო კურსში მონაწილე ინსტრუქტორებისა და იურისტების მიერ, როგორც სწავლის პროცესში ასევე, იურიდიულ პრაქტიკაში. სახელმძღვანელოში გათვალისწინებულია მისი დაბეჭდვის პერიოდისათვის საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა და პრაქტიკა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სახელმძღვანელოს დაბეჭდვისას რედაქტორისათვის ცნობილი არ არის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი კომენტარების არსებობის შესახებ, თუმცა ითვალისწინებს მათი ახლო მომავალში გამოცემის შესაძლებლობას. სახელმძღვანელოში გამოყენებული მასალები რედაქტირებული და მომზადებულია ქართულ ენაზე „ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა“ (ABA ROLI) საქართველოს ოფისის მიერ საქართველოში მოღვაწე იურისტებისათვის.

სახელმძღვანელოს მომზადება და რედაქტირება შესაძლებელი გახდა „ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა“ (ABA ROLI) საქართველოს ოფისის თანამშრომლეთა დიდი ძალისხმევითა და თავდაუზოგავი მუშაობით. სახელმძღვანელოს მომზადებისათვის გაწეული დახმარებისათვის დიდ მადლობას ვუხდით ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა საქართველოს ოფისის შემდეგ თანამშრომლებს:

მამუკა მამაცაშვილს (სისხლის სამართლის პროგრამის ხელმძღვანელი);
მედეა მათიაშვილს (უფროსი იურისტი);
ანა ლორიას (იურისტი);
გიორგი ამაშუკელს (იურისტი);
დავით ებრალიძეს (იურისტი);
თეა ჭელიძეს (ფინანსური მენეჯერი);
მაკა ცინაძეს (პროგრამის თანაშემწე);
მაიკლ ფერგიუსონს (სპეციალისტი);
დენიელ ლინდჰარტს (სპეციალისტი);
მირიან ჩიხლაძეს.

„ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა“ (ABA ROLI) საქართველოს ოფისი სახელმძღვანელოს შექმნისას გაწეული დახმარებისათვის დიდ მადლობას

უხდის შემდეგ პირებსა და ორგანიზაციებს: ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს რიჩარდ ნორლანდს, ყოფილ ელჩს ჯონ ბასს. ასევე: რობ ბუნს, ქორინ სმიტს, ირინა პარშიკოვას, მერი გრიერს, ალექსანდრა ბელენსკაიას, კრისტი კონტაკტს, კამერონ პლატს, ჯუდით კემბელს, კრისტინ ტეფტს, რეიჩელ ჰოლცმანს, პროფესორ თომას რ. ოქონორს, მაიკლ ტერნერს, სესილ ს. კუჰნეს III, პროფესორ გია დეკანოზიშვილს, პროფესორ დავით მაღრაძეს, დავით გველესიანს, როსტომ ლაზარიას, არონ ფიშმანს, მარკ კამერონს, ლორა მალენასს, ჯარედ კიმბოლს, დევიდ დევილერსს, გვანცა საურს, ნატა წნორიაშვილს, თამარ ნასარიძეს, ტატიანა პატარაიას, სკოტ თორფს, კალიფორნიის ოლქის პროკურორთა ასოციაციას, კიმ ტერნერს, გარი ლედბეთერს, დონა რაითს, სკოტ ბურნსს, ეროვნულ საოლქო პროკურორთა ასოციაციას და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის სახელმწიფო ანტინარკოტიკულ და სამართალდაცვითი პროგრამების საერთაშორისო ბიუროს (INL).

რონალდ უოლფსონი

„ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა“ საქართველოს სამხარეო დირექტორი, რედაქტორი

„სახელმძღვანელო იურისტებისათვის ექსპერტთა მოწვევის თაობაზე“ სესილ კუჰნე III-ის (Cecil C. Kuhne III) ავტორობით, გამოცემულია ამერიკის იურისტთა ასოციაციის მიერ. საავტორო უფლებები (აშშ) 2006, ამერიკის იურისტთა ასოციაცია. ითარგმნა, დაიბეჭდა და გამოიცა „ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა“ (ABA ROLI) საქართველოს ოფისის მიერ. თარგმანის საავტორო უფლებები (აშშ) 2010, ამერიკის იურისტთა ასოციაცია. ყველა უფლება დაცულია. გამოცემის შინაარსი არ შეიძლება იქნეს გამოყენებული მთლიანად ან ნაწილობრივ ამერიკის იურისტთა ასოციაციის საავტორო უფლებებისა და გარიგებების განყოფილების წერილობითი თანხმობის გარეშე; მისამართი: 321 North Clark Street, Chicago, Illinois 60654, USA, Email: copyright@abanet.org.

„სასამართლო ტექნიკა/მტკიცებულების წარდგენის დასაბუთებული შეკითხვები“ მადლობას ვუხდით ეროვნულ საოლქო პროკურორთა ასოციაციას (ალექსანდრია, ვირჯინია), რომელთა უშუალო ნებართვით ხდება მოცემულ მასალათა გამოყენება. შესწორება და თარგმანი ქართულ ენაზე განხორციელდა „ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა“ (ABA ROLI) საქართველოს ოფისის მიერ, სისხლის სამართლის პროგრამის ფარგლებში, საქართველოს იურისტებისათვის.

„ექსპერტიზის მეცნიერების ცალკეული სფეროების, პროტესტისა და სისხლის სამართლის პროცესის ფორმატის“ შესახებ მასალების მოწოდებისა და გამოყენების ნებართვის მონიჭებისათვის მადლობას ვუხდით ბატონ თომას რ. ოკონორს; P.O. Box4455; oconnort@apsu.edu მასალა მომზადდა, შესწორდა და ითარგმნა ქართულ ენაზე „ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა“ საქართველოს ოფისის სისხლის სამართლის პროგრამის ფარგლებში, საქართველოს იურისტებისათვის.

„დანაშაულის ადგილის საკონტროლო ჩამონათვალი, მკვლელობა, სექსუალური დანაშაული, აგრეთვე ბინის გატეხვა/ქურდობა“ მასალის გამოყენების ნებართვის მონიჭებისათვის მადლობას ვუხდით ბატონ მაიკლ ტერნერს, უფროსი მრჩეველი პოლიციის საკითხებში, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის სახელმწიფო ანტინარკოტიკულ და სამართალდაცვითი პროგრამების საერთაშორისო ბიურო, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო, თბილისი, საქართველო.

„ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა“ (ABA ROLI) საქართველოს ოფისი მადლობას უხდის პროფესორ გია დეკანოზიშვილს მის მიერ მოწოდებული მასალისათვის ოდონტოლოგიაში, სეროლოგიასა და სასამართლო ექსპერტიზის როლში შემთხვევის ადგილის გამოძიებისას.

„ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა“ (ABA ROLI) საქართველოს ოფისი მადლობას უხდის პროფესორ დავით მაღრაძეს მის მიერ მოწოდებული მასალისათვის სასამართლო ფსიქიატრიაში.

„ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა“ (ABA ROLI) საქართველოს ოფისი მადლობას უხდის ბ/ნ როსტომ ლაზარიასა და ბ/ნ დავით გველესიანს მათ მიერ მოწოდებული მასალისათვის ავტო-საგზაო შემთხვევათა ექსპერტიზაში.

აღნიშნული სახელმძღვანელო შეიქმნა „ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა“ (ABA/ROL Initiative) საქართველოს ოფისის მიერ, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის სახელმწიფო ანტინარკოტიკულ და სამართალდაცვითი პროგრამების საერთაშორისო ბიუროს (INL) დახმარებითა და ფინანსური მხარდაჭერით. სახელმძღვანელო არ შეიცავს „ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა“ (ABA/ROL Initiative) საქართველოს ოფისის ან ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის სახელმწიფო ანტინარკოტიკულ და სამართალდაცვითი პროგრამების საერთაშორისო ბიუროს მოსაზრებებს.

In October 2010 Georgia's new Criminal Procedure Code (CPC) took effect. The Code creates a new adversarial system.

The American Bar Association Rule of Law Initiative (ABA ROLI) in Georgia with assistance and funding provided by the United States Department of State Bureau for Law Enforcement and Narcotics Affairs (INL) created a program to teach Forensics and how to deal with the Expert Witness for lawyers practicing criminal law in Georgia.

This Manual was created by the ABA ROLI Georgia with funding from The Bureau for International Narcotics and Law Enforcement Affairs of the United States Department of State (INL) for the use of instructors and lawyers in the ABA ROLI Georgia Forensics/Expert Witness course and in their law practice. To the extent reasonably possible at the time of its printing, Georgian law and practice has been taken into consideration. It should be noted that as of the time of printing the editor is not aware of any completed commentaries on the Georgian CPC although it is anticipated and hoped they will be written in the near future. The materials in this Manual have been edited and modified by the ABA ROLI Georgia to conform to use by Georgian Lawyers.

The work on this book was done by the dedicated staff members of ABA ROLI Georgia.

Mamuka Mamatsashvili, Supervising Senior Staff Attorney
Medea Matiashvili, Senior Staff Attorney
Ana Loria, Staff Attorney
George Amashukeli, Staff Attorney
David Ebralidze, Staff Attorney
Tea Chelidze, Office/Financial Manager
Maka Tsinadze, Program Assistant
Michael Ferguson, Legal Specialist
Daniel Linhardt, Legal Specialist
Mirian Chikhladze

ABA ROLI Georgia thanks the following persons and organizations for helping to make this Manual possible: The U.S. Ambassador to Georgia Richard Norland, Former Ambassador John R. Bass, Rob Boone, Corinne Smith, Irina Parshikova, Mary Greer, Alexandra Belenkaya, Kristi Kontak, Cameron Platt, Judith Campbell, Christine Tefft, Rachel L. Holtzman, Dr. Thomas R. O'Connor, Mike Turner, Cecil C. Kuhne III, Professor Gia Dekanozishvili, Professor Dr. Davit Magradze, Davit Gvelesiani, Rostom Lazaria, Aaron Fishman, Mark Cameron, Laura Malenas, Jared Kimball, David DeVillers, Gvantsa Sauri, Nata Tsnoriashvili, Tamar Nasaridze, Tatiana Pataraia, Scott Thorpe, The California District Attorneys Association, Kim Turner, Gary Ledbetter, Donna Wright, Scott Burns, The National District Attorneys Association, and The Bureau for International Narcotics and Law Enforcement Affairs of the United States Department of State (INL).

Ronald Wolfson, ABA ROLI Georgia Program Director, Editor

"A Litigator's Guide to Expert Witnesses" by Cecil C. Kuhne III was originally published by the American Bar Association. Copyright (US) 2006 American Bar Association. Translated, published and distributed under the American Bar Association Rule of Law Initiative-Georgia. Translation Copyright (US) 2010 American Bar Association. All Rights Reserved. The contents of this publication may not be reproduced, in whole or in part, without written permission of the American Bar Association, Manager of Copyrights and Licensing, 321 North Clark Street, Chicago, Illinois 60654, USA; e-mail: copyright@abanet.org.

"Trial Techniques Predicate/ Foundational Questions" is used by permission from and thanks to National District Attorneys Association, Alexandria, Virginia. Like other articles in this manual it has been edited and modified by the American Bar Association Rule of Law Initiative (ABA ROLI) Georgia for translation to the Georgian Language and to conform to use by Georgian Attorneys.

"Articles on Specific Forensics Sciences and the Article on Objections and the Format of a Trial" are used by permission from and with thanks to Dr. Thomas R. O'Connor Program Manager, Homeland Security Director, Institute for Global Security Associate Professor, Public Management and Criminal Justice Webmaster, Criminal Justice Austin Peay State University (Ft. Campbell Center) P.O. Box 4455 oconnort@apsu.edu Edited and Modified by the American Bar Association Rule of Law Initiative (ABA ROLI) for translation to the Georgian Language and to conform to use by Georgian Attorneys.

"The Crime Scene Checklists for Homicide, Sexual Assault, and Burglary/Theft" are used by permission from and with thanks to Mike Turner, Law Enforcement Liaison, Bureau for International Narcotics and Law Enforcement Affairs of the US Department of State, United States Embassy, Tbilisi, Georgia.

American Bar Association Rule of Law initiative (ABA ROLI) thanks Professor Gia Dekanozishvili for providing his essay on Odorology, Serology and The Forensics of Crime Scene Investigation.

American Bar Association Rule of Law initiative (ABA ROLI) thanks Professor Dr. Davit Magradze for providing his essay on Forensic Psychiatry.

American Bar Association Rule of Law initiative (ABA ROLI) thanks Mr. Rostom Lazaria and Mr. Davit Gvelesiani for providing the essay on Traffic Accident Reconstruction.

This publication is provided by the American Bar Association Rule of Law Initiative (ABA/ROL Initiative) Georgia through support and funds provided by the Bureau for International Narcotics and Law Enforcement Affairs of the United States Department of State (INL). There are no opinions of American Bar Association Rule of Law Initiative (ABA/ROL Initiative) or the Bureau for International Narcotics and Law Enforcement Affairs of the United States Department of State (INL) contained herein.

სარჩევი

სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის სახეები 11
აშშ-ში ექსპერტთა სფეროების ჩამონათვალი 12
სასამართლო ანთროპოლოგია 18
არქეოლოგია 20
ენტომოლოგია 22
ხანძრის გაჩენა და ასაფეთქებელი ნივთიერებები 26
თვითაალების პრინციპები 27
ხანძრის გამოძიება 28
ცეცხლის წამკიდებლის სასამართლო სამეცნიერო პროფილი 29
აფეთქების ექსპერტიზა 31
ცეცხლსასროლი იარაღის იდენტიფიცირება და ბალისტიკა 32
მათთვის, ვინც არაფერი იცის იარაღის შესახებ 33
ტყვიების შედარება 35
ვაზნების შედარება 36
დენთის ნარჩენის ანალიზი 36
ბალისტიკა 37
სასამართლო გეოლოგია 38
მინერალები, ქანები და წიაღისეული 39
ნიადაგი და მასთან დაკავშირებული მასალა 40
სასამართლო მიკროანალიზი 42
მიკროანალიზის მეცნიერება 42
თმა, ბოჭკო, საღებავი და მინა 46
სასამართლო ოდონტოლოგია 48
როგორ მუშაობს სასამართლო სტომატოლოგია 50
პრობლემები და საკითხები 51
სასამართლო ფსიქოლოგიის მიმოხილვა 53
ფსიქოლოგიური მტკიცებულების დასაშვებობა 55
მტკიცებულებათა ფედერალური კანონის სტანდარტი 56
პრაქტიკის ზოგიერთი სფერო 57
თვითმხილველი მოწმის ჩვენება 57
სასამართლო პროცესის აღქმის კომპეტენცია 58
შეურაცხადობა 59
სადავო დოკუმენტების ექსპერტიზა 61
საგამოძიებო საფუძვლები 62
თეორიული დასაბუთება 62
ტექნიკურ-სამართლებრივი მოსაზრებები 63
სასამართლო სეროლოგია 65
სისხლის ტიპოლოგია 66
სისხლის ლაქების თავისებურებანი 69
დანაშაულის ადგილი და სისხლი 70
სასამართლო ტოქსიკოლოგია 72
სკრინინგი 75
დადასტურების ტესტები 76
ნარკოტიკულ საშუალებებზე ტესტირება 76
დნმ-ის ანალიზი: ნიმუშის აღება და იდენტიფიკაცია 80

გამჟღავნებასთან დაკავშირებული საკითხები **82**
ნაფიც მსაჯულებთან დაკავშირებული საკითხები **86**
შემთხვევითი ნიმუშის დამთხვევის ალბათობა **88**
მეცნიერული მეთოდოლოგია **91**
კრიმინალისტიკური საკითხები **94**
სასამართლო პათანატომია **97**
ავტოფსია – გვამის გაკვეთა **97**
ასფიქსია **98**
ჭრილობა **99**
ავტოფსიის ოქმი და მისი ინტერპრეტაცია **102**
ინტერპრეტაცია **103**
თითის ანაბეჭდები და კვალის მანიშნებელი სხვა მტკიცებულებები **104**
კვალის მანიშნებელი მტკიცებულებები **107**
ოდოროლოგია **110**
იდენტიფიკაციის ბიოლოგიური მეთოდები **113**
დანართი **122**
სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის აქტუალური საკითხები **130**
სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის წინაშე დასმული საკითხები **135**
ავტოსაგზაო შემთხვევათა ექსპერტიზა **146**
ავტოსაგზაო შემთხვევის გამომწვევი მიზეზები 146
საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ადგილის დათვალიერება 146
კვლები და სხვა მტკიცებულებები 147
ავტოტექნიკური ექსპერტიზა **148**
სატრანსპორტო ტრასოლოგიური ექსპერტიზა 149
სატრანსპორტო ტრასოლოგიური ექსპერტიზის კითხვები 149
ავტოსასაქონლო ექსპერტიზა 149
დანაშაულის ადგილის საკონტროლო ჩამონათვალი: ბინის გატეხვა/ქურდობა **150**
დანაშაულის ადგილის გამოძიების ზოგადი წესები 150
დანაშაულის ადგილის საკონტროლო ჩამონათვალი: მკვლელობის გამოძიება **158**
შემთხვევის ადგილის საკონტროლო სია: სექსუალური ძალადობის გამოძიება **169**
შემთხვევის ადგილის შეფასება 171
შემთხვევის ადგილის, სპეციალისტებისა და გამომძიებლების მომზადება 171
სექსუალური ძალადობის შემთხვევის ადგილას მოსაძიებელი მტკიცებულებები 172
შემთხვევის ადგილის შეფასება 172
შემთხვევის ადგილისა და დოკუმენტაციის პირველადი დათვალიერება 174
მტკიცებულებათა მოგროვება, დაცვა, აღწერა, შენახვა, ტრანსპორტირება და ჩაბარება 174
ეჭვმიტანილთან მოპყრობა 175
დაზარალებულთან მოპყრობა 176
ანგარიშგება შემთხვევის ადგილის შესახებ 177
დოკუმენტირება საქმისთვის 177
შესაძლო შეკითხვები დაქტილოსკოპ ექსპერტების ვკვარედინი დაკითხვის დროს **178**
სასამართლო ექსპერტიზის როლი შემთხვევის ადგილის გამოძიებისას **182**
1. საგამოძიებო ვერსიები და გამოძიების დაგეგმვა 182
2. მკვლელობის ჩადენის ხერხთან დაკავშირებულ დანაშაულთა გამოძიების თავისებურება 184
მკვლელობის შემთხვევის ადგილი **191**
1. შემთხვევის ადგილის დათვალიერების თავისებურებები 191
2. გარდაცვალების გამომწვევი მიზეზის დადგენა 198

3. გარდაცვალების მიზეზების გამოძიებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები 201
4. ცვლილებები სხეულში გარდაცვალების შემდეგ ხერხები 203
5. სიკვდილის გამომწვევი ხერხები 206
თანამედროვე მეთოდები მკვლელობის გამოძიებისას 213
1. მობილური კავშირის გლობალური სისტემა ანუ GSM 213
2. მობილური კავშირის გლობალური სისტემის ქსელი /GSM/ 215
3. მობილური ტელეფონის ფუნქციონირება 216
4. სამართლებრივი საფუძველი 217
5. მტკიცებულებათა სახეობა 218
6. მკვლელობის შემთხვევაში მობილურთან დაკავშირებული გამოძიების სირთულეები 221
სისხლის სამართლის სასამართლო პროცესის ფორმატი 227
ბრალდების გამოცხადება/წაკითხვა 227
ბრალდების შესავალი სიტყვა 227
დაცვის შესავალი სიტყვა 228
მოკლე შესვენება 229
ბრალდების მხარის მთავარი ვერსია 229
ბრალდების მხარე ასრულებს 231
შუამდგომლობა გადაწყვეტილების გამოტანაზე 231
დაცვის მხარის მთავარი ვერსია 231
დაცვის მხარე ასრულებს 232
ბრალდების რეპლიკა 232
დაცვის რეპლიკა 232
დასკვნითი სიტყვა 233
ნაფიც მსაჯულთა ინსტრუქციები 234
ნაფიც მსაჯულთა თათბირი და ვერდიქტი 235
პროტესტი სასამართლოსა და სისხლის სამართლის სხვა წარმოების დროს 236
ექსპერტის აყვანა და გამოყენება 245
სახელმძღვანელო ადვოკატებისათვის ექსპერტთა მოწმედ მოწვევის თაობაზე 248
საკანონმდებლო ბაზა 249
მიმოხილვა 255
ექსპერტების წარდგენა 278
ექსპერტი მოწმის პირდაპირი დაკითხვა 291
თქვენი ექსპერტის პირდაპირი დაკითხვა 294
ექსპერტი მოწმის ჯვარედინი დაკითხვა 306
სასამართლო ტექნიკა. მტკიცებულების წარდგენის დასაბუთებული შეკითხვები 320
ჩვეულებრივი მოწმის ჩვენება-მოსაზრება 384
ექსპერტი მოწმის ჩვენება 384
ექსპერტი მოწმე, მოსაზრება, მტკიცებულება 384
ბრალდებულის უფლება მოიპოვოს ინფორმაცია 385
კითხვები ნაფიც მსაჯულებს, როდესაც საქმეში მონაწილეობს ექსპერტი მოწმე 387

სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის სახეები

ექსპერტის ჩვენება შეუზღუდავია. მისი ჩვენება შეეხება ნებისმიერ იმ საკითხს, რომელზეც „ექსპერტს“ აქვს აზრის გამოთქმის შესაძლებლობა ზოგადად მიღებულ სამეცნიერო, პროფესიულ, ბიზნეს თუ სხვა საკითხებზე, რომელიც ცდება ჩვეულებრივი ადამიანის შესაძლებლობებს. სასამართლოებს აქვთ ფართო დისკრეცია იმის გადაწყვეტისას თუ ვის მიიჩნევენ ექსპერტ მოწმედ. ნებისმიერ ადამიანს შეუძლია გახდეს „ექსპერტი“, თუ მას შეუძლია დაუმტკიცოს მოსამართლეს, რომ ის ფლობს კონკრეტულ ცოდნას, მიღებული აქვს სპეციალური განათლება ან გააჩნია შესაბამისი გამოცდილება, ან ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ერთობლიობა, რაც სასამართლოს დაეხმარება დაადგინოს სიმართლე კონკრეტულ საქმეზე; სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლი 3, პარაგრაფი 21-ე „ექსპერტს“ შემდეგნაირად განმარტავს: „ექსპერტი“ – სპეციალური ცოდნის, ჩვევებისა და გამოცდილების მქონე ფიზიკური პირი, რომელიც ამ კოდექსით დადგენილი წესით, სისხლის სამართლის საქმეზე საჭირო გამოკვლევის ჩასატარებლად და დასკვნის შესადგენად მიწვეულია მხარის ან მხარის შუამდგომლობით სასამართლოს მიერ. გარდა ამისა, ექსპერტი მხარეებსა და სასამართლოს დახმარებას უწევს მტკიცებულებათა აღმოჩენაში, გამოკვლევასა და დემონსტრირებაში“.

კონკრეტული საკითხიდან და ექსპერტიზიდან გამომდინარე, არსებობს გარკვეული წესები და პროცედურები ექსპერტის ჩვენების *საფუძვლიანობის, კომპეტენციისა* და *სრულფასოვნების* დასადგენად. უმეტეს შემთხვევაში, მაგრამ არა ყოველთვის, ნაფიც მსაჯულებს უფლება აქვთ გაითვალისწინონ ან არ გაითვალისწინონ ექსპერტის ჩვენება.

ექსპერტები მიუკერძოებელი, ობიექტური მომსახურების გაწევისას გადმოგვცემენ საფუძვლიან, სამეცნიერო ჭეშმარიტებას და არა აბსოლუტურ ჭეშმარიტებას. როდესაც ორი ექსპერტის მოსაზრება ურთიერსაწინააღმდეგოა, მაშინ სასამართლო უპირატესობას ანიჭებს მას, ვინც უფრო ობიექტური და მიუკერძოებელია. ზოგიერთ შემთხვევაში უფრო მისაღებია მივმართოთ სასამართლოს მიერ დანიშნულ ექსპერტს. სასამართლოს მიერ დანიშნული ექსპერტები, ***subpoena duces tecum*** *(ყველა დოკუმენტის წარმოდგენა)*, ასევე სხვა ტიპის ექსპერტები, რომელთაც მეტა-ექსპერტს უწოდებენ და სასამართლოს მრჩევლის საფუძველზე, ამზადებენ მოხსენებას კომპლექსური სამეცნიერო საკითხის გადასაჭრელად ან ჰიპოთეტურ შეკითხვას სცემენ პასუხს, როგორც წესი, იღებენ მომსახურების საფასურს, არსებობს კიდევ დამატებით სხვა სახის ექსპერტები, ექსპერტი მრჩეველი (მოწმის ზუსტი გაგებით არა), რომელიც ეხმარება საქმეში მონაწილე ერთ მხარეს ნაფიც მსაჯულთა შერჩევისა და ჯვარედინი დაკითხვის პროცედურებში.

ექსპერტები უნდა იყვნენ სიმართლის ადვოკატები, მიუკერძოებელი როგორც ბრალდების ასევე დაცვის მხარის მიმართ. დაცვის მხარის ექსპერტები, როგორც წესი, იღებენ მომსახურების საფასურს ან ხდება მათი მომსახურების ხარჯების დაფარვა, ისინი მუშაობენ დამოუკიდებლად, სხვადასხვა საქმეზე. ბრალდების მხარის ექსპერტები, როგორც წესი არიან სახელმწიფო უწყების წარმომადგენლები და თუ მათი საქმიანობის აღწერაში სადმე მითითებულია „სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა“ მაშინ მათი „გამოძახება“ შესაძლებელია ნებისმიერ დროს, ისინი ვალდებ-

ულნი არიან მისცენ ჩვენება ყოველგვარი დამატებითი ანაზღაურების გარეშე (არსებობს გარკვეული გამონაკლისები). მიუხედავად იმისა, რომ ბრალდების მხარეს აქვს უპირატესობა უკვე არსებული, ჩამოყალიბებული ექსპერტთა სიის ქონისა, რისკები უფრო დიდია იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო უწყების თანამშრომელი ექსპერტი დისკრედიტირებულია. მაშინ ეს სამარცხვინო ლაქა ვრცელდება მთლიანად ლაბორატორიაზე, უწყებაზე ან დეპარტამენტზე, რომელსაც ის წარმოადგენს. კიდევ ერთხელ ჩამოვთვალოთ სხვადასხვა ტიპის ექსპერტები:

- დაცვის მხარის ექსპერტები (თქვენ მათ მოიძიეთ ვებგვერდების საშუალებით ან ჟურნალებში განთავსებული რეკლამების საშუალებით (საქართველოს მაგალითი?);
- ბრალდების მხარის ადვოკატები (როგორც წესი, სახელმწიფო უწყების წარმომადგენელი ან ლაბორატორიის თანამშრომელი);
- დანიშნული ექსპერტები (მიუკერძოებელი მოსაზრების მისაღებად);
- მეტა-ექსპერტები (პირი, რომელიც ვერ მისცემს ჩვენებას სასამართლოში, მაგრამ ჰიპოთეტურ შეკითხვას სცემს პასუხს).
- ექსპერტი-მრჩეველი (არ არის ექსპერტი მოწმის ზუსტი ფორმა, მაგრამ არის კონსულტანტი).

როგორც წესი, ექსპერტებს უსვამენ შეკითხვას ჯვარედინი დაკითხვის დროს იმის თაობაზე თუ, რა არის მათი ანაზღაურება და რამდენს უხდიან მათ ამ კონკრეტული ჩვენების მიცემაში. თუ ექსპერტის ანაზღაურების თანხა დიდია, მაშინ ექსპერტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის სანდოობა შეიძლება ეჭვქვეშ დადგეს. ზოგიერთ ექსპერტ მოწმეს ხშირად უჭირს დაპირებული თანხის მიღება, განსაკუთრებით კი იმ შემთხვევაში, თუ საქმე სათანადო შედეგით არ დასრულდება ან ექსპერტი მოწმის ჩვენება რაიმე მიზეზის გამო ეჭვქვეშ დადგა.

აშშ-ში ექსპერტთა პრაქტიკის სფეროების ჩამონათვალი

ალკოჰოლური ინტოქსიკაცია – ზოგიერთი სასამართლო ნებას რთავს პოლიციის ოფიცერს, რომელსაც გავლილი აქვს ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს მიერ სერტიფიცირებული სასწავლო კურსი, მისცეს ჩვენება პიროვნების განსჯის, კოორდინაციისა და რეფლექსების შესახებ ჩასასუნთქი აპარატის, სიფხიზლის განმსაზღვრელი სხვადასხვა ტესტისა და მხედველობის უნარის ვიზუალური ფიქსაციის საფუძველზე.

საავტომობილო და საავიაციო ავარიები – ზოგიერთი სასამართლო უფლებას აძლევს პატრულის თანამშრომელს, რომელსაც აქვს დიდი გამოცდილებაა ავარიების გამოძიების და მოვლენების აღდგენის უნარი, მისცეს ჩვენება ისეთ საკითხებზე, როგორიცაა სიჩქარე, ზეგავლენის ადგილი და სხვა საკითხები. საავიაციო ექსპერტიზა, როგორც წესი, მოითხოვს საინჟინრო ცოდნას, ხარისხსა და გამოცდილებას. მიღებულია, რომ ამ სახის ექსპერტებმა გამოიყენონ დემონსტრაციის საშუალება იმ მიზნით, რომ მოახდინონ შემთხვევის, მოვლენების რეკონსტრუქცია/აღდგენა.

ბალისტიკა – სასამართლო ბალისტიკური მეცნიერება კარგად არის განვითარებული, მაგრამ პრობლემურია. სასამართლოების უმეტესობა უშვებს ჩვენებას, რომელიც ადგენს, რომ მკვლელობისას ამოღებული ტყვია გასროლილი იყო იმ იარაღიდან, რომელიც ეკუთვნის ბრალდებულს. დაშვებულია ჩვენება ტყვიის ტრაექტორიის, სასხლეტზე არსებული ანაბეჭდის, დენთის კვალის შესახებ. ჭრილობის ფორმის ანალიზმა ასევე უნდა მოიპოვოს დასაშვებობა. სასამართლო დარბაზში დემონსტრირება, როგორც წესი, აკრძალულია ასე რომ, ლაბორატორიის კვლევის შედეგები მიიღება მტკიცებულებად, თუ იგი ჩატარდა გამოძიების ფედერალური ბიუროს, ან სხვა რომელიმე, სტანდარტების შესაბამისი, კონკურენციის მქონე ლაბორატორიაში. არსებობს ბალისტიკური კვლევის სხვადასხვა ტექნიკა.

ნაკბენის ანალიზი – როგორც წესი, საჭიროებს სასამართლო სამედიცინო სტომატოლოგის ხარისხს და სპეციალურ სასწავლო კურსის გავლას ამერიკის სასამართლო სამედიცინო ოდონტოლოგიის საბჭოში, ასევე სხვა უნარების ცოდნას, როგორიცაა ნერწყვის ამოღება. დაახლოებით 10 წლის წინ ეს სფერო ძალიან აქტუალური გახდა, როდესაც ასოციაციამ ცნობილი ექსპერტის, ცისფერი ნათების ტექნიკისა და ინტერპრეტაციის მეთოდის დისკრედიტაცია მოახდინა. ეს ძალიან წინააღმდეგობრივი სფეროა სასამართლო სამედიცინო სტომატოლოგებისთვისაც კი.

სისხლის ჯგუფის ტესტი და სისხლის ნაღვენთის ანალიზი – ზოგიერთი სასამართლო ნებას რთავს კომპეტენტურ მკვლევარს გამოიკვლიოს და გამოიყენოს საველე პირობებში სისხლის ფორმებზე ჩატარებული ტესტი. ნაღვენთის ანალიზი წარმოადგენს დეტექტივის საქმიანობას. ფიზიკის კანონებიდან გამომდინარე, სისხლის წვეთის დაბოლება ყოველთვის მიუთითებს მის წარმომავლობაზე, წვეთის ზომა და ფორმა განსაზღვრავს განთხევის კუთხეს, როდესაც მას თან ერთვის განმარტება. სასამართლოებს ამ სფეროში დიდი თავისუფლება აქვთ.

დნმ-ის ტესტი – ამ სფეროში ძალიან დიდი წინსვლა მოხდა, მაგრამ ეს ჯერ კიდევ საკმაოდ პრობლემურ სფეროდ რჩება. როგორც წესი, დნმ-ის ე.წ. „თითის ანაბეჭდი“ მიჩნეულია ზოგადად სანდოდ, მაგრამ პრობლემები წარმოიშობა ლაბორატორიის დონესა (დაბინძურება) და ინტერპრეტაციის ხარისხზე (რა რჩებათ ნაფიც მსაჯულებს).

დოკუმენტის კვლევა – მზარდი სფეროა თანამდებობის პირთა მიერ ჩადენილი დანაშაულის გამოძიებისას. თანამდებობრივ დანაშაულზე მუშაობა ფაქტობრივად მოითხოვს საბუღალტრო განათლებას, რომელიც შესაძლებელია მიღებულ იქნეს სერტიფიცირებულ კურსებზე. ეჭვქვეშ დამდგარი დოკუმენტის გამოკვლევა ადგენს ხელნაწერის ან ნაბეჭდის აუტენტურობას ან წყაროს. გრაფოლოგია არის ხელნაწერის ანალიზი. გარდა ამისა, სხვა ექსპერტები ჩართული არიან ქაღალდის, მელნის, ამოშლების კვლევაში. გამომძიებლები, რომლებიც მუშაობენ სადაზღვევო დარღვევებსა და აფეთქებებზე სპეციალიზებულნი არიან დამწვარ ან განადგურებულ დოკუმენტებზე.

ნარკოტიკის გადამზიდავისა და სხვა დანაშაულებრივ ქმედებაში მონაწილე პირის სახე – ზოგიერთი სასამართლო უშვებს სპეციალურად დატრენინგებულ პოლიციის ოფიცრებს ნარკოტიკების დილერების (ან სხვა დამნაშავეების) გადაადგილების გამოსაკვლევად. სერიული მკვლელის პროფილი ძალიან წინააღმდეგობრივი სფეროა სამეცნიერო მიდგომის შესარჩევად.

თვითმხილველის ამოცნობა – როგორც წესი, სოციალური ფსიქოლოგია პირი,

ვინც მოწმის აღქმით უნარს ამტკიცებს ან უარყოფს მოწმის მიერ ფაქტების აღდგენის, ან ამოცნობის ჩატარებისას. მეხსიერების შემსწავლელ მეცნიერებს ძალიან ბევრი წიგნები მიაქვთ სასამართლო დარბაზში და აღქმის სპეციალისტები, როგორც წესი, სასამართლო დარბაზში ახორციელებენ მათ დემონსტრირებას. ორივე მათგანი საუბრობს არასწორი აღქმის შესაძლებლობაზე, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს ასიმილაციით, კონტრატული ეფექტით, სოციალურ-დემოგრაფიული კუთვნილებით, განათებითა და სხვა მიზეზებით.

ხელის კვალის იდენტიფიკაცია – კარგად ჩამოყალიბებული სფეროა, სადაც ჩვეულებრივი ოფიცერი იძლევა ჩვენებას, რომ მათ თითის ანაბეჭდი მოიპოვეს დანაშაულის ადგილიდან, მაგრამ ამ ანაბეჭდების კავშირის დამტკიცება კონკრეტულ ეჭვმიტანილთან, მოითხოვს სერტიფიცირებულ საექსპერტო გამოცდილებას. როგორც წესი, ასეთი ექსპერტები მუშაობენ სახელმწიფო და რეგიონალურ კრიმინალისტიკურ ლაბორატორიებსა და პოლიციის დეპარტამენტებში; ზოგიერთ შემთხვევებში სასამართლოები უფლებას აძლევენ ჩვეულებრივ ოფიცრებს მისცენ ჩვენება. შედარების დემონსტირება ხდება გადიდებული ფოტოებით ან სხვა მაგალითებით, რომლის საფუძველზეც მიღებულ იქნა დასკვნა. კრიმინალისტიკურ ლაბორატორიას, რომელიც იკვლევს პოლიციის მიერ ამოღებულ ფარულ თითის ანაბეჭდებს, უწოდებენ ლატენტური თითის ანაბეჭდის განყოფილებას.

ცეცხლსასროლი იარაღის იდენტიფიცირება – ეს ეხება დანაშაულის კვლევის ლაბორატორიას ან დამოუკიდებელ ექსპერტს, რომელსაც აქვს უნარი, გამოიკვლიოს ყველა სახის საბრძოლო მასალა, ტყვია, მჭიდი. ხშირად ასევე ხდება ტანსაცმლის გამოკვლევა სროლის კვალის დასადგენად. ცეცხლსასროლი იარაღის მკვლევარები ეყრდნობიან კვლევის იმავე პრინციპებს, რასაც ხელსაწყოების ექსპერტები.

სასამართლო ანთროპოლოგია – ეს არის სფერო, რომელიც გვამური ნარჩენების ან ჩონჩხის საშუალებით იკვლევს სიკვდილის დროს, ასაკს, რასობრივ კუთვნილებას, მსხვერპლის სქესს, ახდენს გარეგნობის აღდგენა-რეკონსტრუქციას. ამ სფეროში შედის ასევე გვამის ლპობის ხარისხის დადგენა და ამით სიკვდილის დროის განსაზღვრა. ჩონჩხზე დარჩენილი კანის მიხედვით ასაკის დასადგენად ხშირად გამოიყენება მაღალი ტექნოლოგიური საშუალებები. მსგავსი კვლევისა და ექსპერტიზის მეთოდოლოგია ფართოდ გამოიყენება კატასტროფების დროს მსხვერპლის იდენტიფიცირებისათვის, მაგალითად, როგორიცაა თვითმფრინავის ჩამოვარდნა.

სასამართლო ბიოლოგია – ბიოლოგები და სეროლოგები (სისხლის მკვლევარები) მუშაობენ დანაშაულის კვლევის ლაბორატორიაში და იკვლევენ ნებისმიერი სახის მშრალ სისხლის კვალს, ლაქას, სხვა ნივთიერებებს, რომლებიც გამოიყოფა ადამიანის სხეულიდან და დნმს, ზოგჯერ მუშაობენ ასევე თმისა და სხვა ქსოვილების კვლევაზე ან ახდენენ ბოტანიკური ორგანიზმების შედარებას (როგორიცაა, მაგალითად, ხე და მცენარე).

სასამართლო ინჟინერია – ძალიან ფართო სფეროა, როგორც წესი, მოიცავს შემთხვევის ადგილის დათვალიერებას, სტრუქტურული პრობლემის, ზოგიერთ შემთხვევაში აფეთქებებისა და ცეცხლის გამოკვლევას. ექსპერტიზა ხშირად ეფუძნება გარკვეულ საკითხს, მაგალითად, როგორიცაა, რომელი მხარე იყო დამნაშავე ან ვისმა დაუდევრობამ გამოიწვია შემთხვევა.

სასამართლო ენტომოლოგია – იკვლევს მწერებსა და მათ დამოკიდებულებას მკვლელობის გამოძიებასთან, მაგალითად, როგორიცაა ლპობის ხარისხი. ხშირად არსებობს ზოგიერთი მწერის ცხოვრების, ჩვევებისა და სასიცოცხლო ციკლის კვლევის საჭიროება.

სასამართლო პათოლოგია – ეს არის სასამართლო სამედიცინო ექსპერტის ტიტული, რომელიც მჭიდროდ თანამშრომლობს და მუშაობს პოლიციასთან, „იკვლევს" გვამს შემთხვევის ადგილზე. გამოიყენება სხვადასხვა სახის მეთოდი, რაც დამოკიდებულია ფინანსურ რესურსებზე, მაგრამ, ძირითადად, ეფუძნება აუტოფსიას. ექსპერტიზის ეს სახე ასევე მოიცავს სამედიცინო-სამართლებრივ გამოძიებას მოულოდნელი, არაბუნებრივი, გაუხსნელი ან ძალადობრივი სიკვდილისას.

სასამართლო ფიზიკური ექსპერტიზები – ეს სფერო ეხება მომსახურებას, რომელსაც უზრუნველყოფენ კრიმინალისტიკური ლაბორატორიები, სადაც ფართოდ გამოიყენება ქიმიური, ფიზიკური და გეოლოგიური მეთოდები შემთხვევის ადგილიდან ამოღებული მტკიცებულების გამოსაკვლევად. მათ, როგორც წესი, კრიმინალისტებს ეძახიან, ისინი ანალიტიკური ინსტრუმენტებით ნიადაგზე, საღებავსა და მინაზე სხვადასხვა სახის ტესტს ატარებენ.

სასამართლო ფსიქიატრია – ფართო ცნებაა სხვადასხვა სფეროსთვის, ამ დარგის სპეციალისტს ევალება ადამიანის კომპეტენციის შეფასება, სასამართლო პროცესზე გამოსვლის უნარი, შეურაცხადობა და კონკრეტული ურთიერთდამოკიდებულება ფსიქოლოგიურ მდგომარეობასა და ადამიანურ ქცევას შორის.

თმისა და ქსოვილის ანალიზი – ზოგადად ეყრდნობა ლაბორატორიულ საშუალებებს, მათ შორის ისეთ ტექნიკურ საშუალებას როგორიცაა, სპექტროგრაფია (ნივთიერების მიერ სინათლის შთანთქმა) და ქრომატოგრაფი (ნივთიერებების ქიმიური რეაქციები) იმისათვის, რომ გამოიკვლიონ თუ რა ჭამა ადამიანმა სიკვდილის წინ (თმის მაგალითზე). ქსოვილის ანალიზისას, როგორც წესი, იყენებენ 10X (ან უფრო დიდი) ზომის მიკროსკოპს.

ხელნაწერის შედარება – როგორც წესი, საჭიროებს გარკვეულ სპეციალურ ტრენინგსა და გამოცდილებას ხელნაწერთა კვლევაში, დამატებით ასევე ხელნაწერის ცოდნა იმ ადამიანის, რომლის ხელწერის გამოკვლევაც ხდება. სასამართლოების უმეტესობა დასაშვებად მიიჩნევს ექსპერტის „ღრმა რწმენას" და არა აბსოლუტურ დამაჯერებლობას.

ჰიპნოზი – როგორც წესი, მიუღებელი და დაუშვებელია ნებისმიერ სასამართლოში და ხშირად ეჭვქვეშ დგება, ხდება თუ არა ამ მეთოდის გამოყენება დაზარალებული მეხსიერების აღდგენის მიზნით. საინტერესო სფეროა და ეფუძნება იმავე პრინციპებს, რასაც პოლიციაში დაკითხვის პროცესი.

მიკროსკოპული კვალის ანალიზი – ეს არის მეთოდიკა, რომელიც გამოიყენება მიკროსკოპული კვლევისას. მტკიცებულება გროვდება მიკრომტვერსასრუტის საშუალებით. ექსპერტიზას უწოდებენ სასამართლო სამედიცინო მეცნიერებას, ზოგად სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზას, მტკიცებულების მოგროვებას ან კრიმინალისტიკას.

ნეიტრონის აქტივაციის ანალიზი – ზოგიერთ სასამართლოში ეს დაშვებულია და წარმოადგენს ძალიან მარტივ პროცედურას. პიროვნებას ხელზე აწვეთებენ ქიმიკატს

იმისათვის, რომ აღმოაჩინონ მის ხელზე (ანტიუმის) აზოტის ჟანგი და ბარიუმის მცირე ოდენობა, რაც ამტკიცებს, რომ ამ პიროვნებამ ხელით გაისროლა იარაღი.

ფოტოგრაფია – საგამოძიებო, საექსპერტო ფოტოგრაფია სწრაფად ხდება საექსპერტო სფერო, განსაკუთრებით კი ახლა, როდესაც ინფრაწითელი და სხვა მაღალი ტექნოლოგიური საშუალებებითაა შესაძლებელი ფოტოების გადაღება. ხშირად ინფორმაციის გადმოცემა ხდება ფოტოსურათების საშუალებით, შემთხვევის ადგილზე გადაღებულ ფოტოებს კი იღებენ სპეციალური სტანდარტით, რასაც სასამართლო მოითხოვს. ციფრულ ფოტოებზე უნდა ვრცელდებოდეს მსგავსი სტანდარტი, ვინაიდან ციფრული სურათების დამუშავება შესაძლებელია კომპიუტერის გამოყენებით. სასამართლოების მიერ კონკრეტული სპეციალიზებულ საკითხებში გასათვითცნობიერებლად ხშირად იწვევენ ჩვეულებრივ ფოტოგრაფებს. ლაბორატორიები ხშირად იყენებენ სპეციალიზებულ ტექნიკას, როგორიცაა ინფრაწითელი, ულტრაიისფერი და რენტგენი. ასეთი ლაბორატორია დახმარებას უწევს სასამართლოს ვიზუალური საშუალებების მომზადებაში.

ფიზიკური და გონებრივი მდგომარეობა – ექსპერტები, როგორც წესი, სამედიცინო სფეროს წარმომადგენლები და ფსიქიატრები არიან, თუმცა სავალდებულო არ არის იყო სერტიფიცირებული სამედიცინო პრაქტიკოსი. მკვლევარები, ტოქსიკოლოგები, ასევე სამედიცინო ტექნიკური პერსონალი დაშვებული იყო სასამართლოში ჩვენების მისაცემად, იმ გამონაკლისით, რომ ფსიქიატრიული დასკვნა მხოლოდ ფსიქიატრის კომპეტენცია და არა ფსიქოლოგის. უმეტეს სასამართლოებში ფსიქოლოგებს ეკრძალებათ ჩვენების მიცემა. სასამართლოებს დამოუკიდებლობა აქვთ იმის გადაწყვეტისას ბრალდებულის გონებრივი მდგომარეობა (განზრახვის დადგენა) იქნება თუ არა დაშვებული მტკიცებულებად.

პოლიგრაფიული გამოკვლევა (სიცრუის დეტექტორი) – როგორც წესი ზოგიერთ სასამართლოში დაუშვებელია სიცრუის დეტექტორის გამოყენება, მაგრამ შეიძლება მიღებულ იქნეს მტკიცებულებად თუ ორივე მხარის (დაცვისა და ბრალდების) თანხმობა არსებობს. პოლიგრაფიის ალტერნატივად მიიჩნევა ფსიქოლოგიური სტრესის შეფასება, რომელიც ბოლო წლებია, რაც ჩამოყალიბდა. პოლიგრაფია უფრო კარგი საშუალებაა გამომძიებლისთვის ვიდრე სასამართლო სამედიცინო ექსპერტისთვის.

მხატვრები – სასამართლო მხატვრობა ჯერ კიდევ განვითარების ადრეულ ეტაპზეა დარჩენილი და მოიცავს ხატვის ისეთ ტექნიკას, როგორიცაა ეჭვმიტანილის გარეგნობის ასახვა და დანაშაულის ადგილის დათვალიერებისას ნახაზების შედგენა. ამჟამად ფართოდ გამოიყენება კომპიუტერული პროგრამები, მაღალი ტექნოლოგიები.

ნიადაგის ანალიზი – როგორც წესი, მოითხოვს სასოფლო-სამეურნეო დარგის, გეოლოგიის ან ქიმიის ცოდნას. 50 მეტრის მანძილზე ნიადაგების შედარება თავისუფლად შეიძლება გაკეთდეს ნებისმიერ ლაბორატორიაში.

სიჩქარის განმსაზღვრელი რადარის გაშიფვრა – რადარის ამონაწერი უკვე დიდი ხანია დაშვებულია სასამართლოში, ვინაიდან ეს ეფუძნება კარგად ჩამოყალიბებულ დოპლერის ეფექტს და პოლიციის დეპარტამენტები კარგად არიან გათვითცნობიერებული ამ სფეროში, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც არ ხდება მათი დაშვება გარკვეული პირობების დარღვევის გამო. „ვასკარი“ (ვიზუალური საშუალო სიჩქარის განმსაზღვრელი კომპიუტერი და ჩამწერი) უფრო მექანიკური საშუალებაა, სადაც

შეცდომა მინიმუმამდეა დაყვანილი, ვინაიდან ხდება მანქანის სიჩქარის დაფიქსირება ორ წერტილს შორის. შედარებით უფრო თანამედროვეა ლაზერული საშუალება, რომელიც ამჟამად ფართოდ გამოიყენება და რომელსაც შეუძლია შუშის მიღმა ხმის გაშიფვრა, მაგრამ სასამართლო გადაწყვეტილება ამ დასკვნის საფუძვლებზე არასოდეს მიუღიათ.

ხელსაწყოების მიერ დატოვებული კვალის ანალიზი (ტრასოლოგიური კვალი) – დეტექტივთა ჯგუფი, რომელიც იკვლევს რბილ ან მაგარ ზედაპირზე დატოვებულ ინსტრუმენტებისა და ხელსაწყოების კვალს, საჭიროებს სპეციალურ ცოდნას ხელსაწყოებისა და ინსტრუმენტების წარმოებისა და გამოყენების თაობაზე. როგორც წესი, მსგავსი ანაბეჭდი თუ კვალი დაიშვება მტკიცებულებად. ხელსაწყოების კვალის მკვლევარები იმავე ტექნიკას იყენებენ, რასაც ცეცხლსასროლი იარაღის მკვლევარები.

ტოქსიკოლოგია – ეს სფერო მოითხოვს ხარისხს ქიმიასა და მედიცინაში, ხშირად მაგისტრის ხარისხსაც. სფეროში შედის მოწამვლის, ნარკოტიკის, სისხლის ან სხვა ნივთიერების ტესტები. ტოქსიკოლოგიის განყოფილებას აქვს საშუალებები ნარკოტიკისა და ალკოჰოლის იდენტიფიცირებისთვის, ასევე ალკოჰოლის ინტოქსიკაციის ტესტირებაზე.

სიმართლის დასადგენი საშუალებები – მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ნარკოტიკის ზემოქმედების შედეგად მიღებული ჩვენება კონსტიტუციურად დაუშვებელია. ზოგიერთმა სასამართლომ დასაშვებად მიიჩნია განცხადების ინტერპრეტაცია სასამართლო სამედიცინო ფსიქიატრიული ექსპერტის მიერ. ეს ძირითადად ეხება პლაცებოს გამოყენებას (ანუ ისეთი ნივთიერების გამოყენებას რომელიც არ შეიცავს „სიმართლის მოყოლის“ ქიმიურ შემადგენლობას მაგრამ საშუალებას აძლევს პიროვნებას უფრო თავისუფლად ისაუბროს, სკოპოლამინისგან განსხვავებით რომელსაც აქვს „სიმართლის მოყოლის“ ქიმიური ეფექტი).

ნაბეჭდის შედარება – ფართოდ გამოიყენება და წარმოადგენს ისეთ ტექნიკას, რომელიც ამტკიცებს, რომ კონკრეტული დოკუმენტი ეკუთვნის კონკრეტულ მბეჭდავს. გამოძიების ფედერალურ ბიუროს აქვს სპეციალური ლაბორატორია. ზოგიერთ შემთხვევაში ექსპერტს შესწევს უნარი დაადგინოს კონკრეტულმა პირმა დაბეჭდა თუ არა დოკუმენტი პირადი სტილის მიხედვით, რომელიც ვლინდება პუნქტუაციის, წინადადების სიგრძის თუ სხვა მახასიათებლების საშუალებით. კომპიუტერზე ტექსტის აკრეფა და ბეჭდვა ახალი სფეროა გამოკვლევებში.

ხმის კვლევა – ხმის სპექტროგრაფიკული ანალიზი არ არის ზოგადად მიღებული სასამართლოებში, ვინაიდან ამ სფეროს ექსპერტები ნაკლებად მოიძებნება. უმეტეს შემთხვევებში ნაფიცი მსაჯულები უფლებამოსილნი არიან თავად მოისმინონ ამონარიდები. როგორც წესი, გამოიყენება დანაშაულის დროს, როდესაც არის ხშირი სატელეფონო მუქარები, ან ჩაწერილი სატელეფონო შეტყობინებები. მათ, როგორც წესი, იყენებენ გამომძიებლები და არა სასამართლო ექსპერტები.

სასამართლო ანთროპოლოგია

ანთროპოლოგია სწავლების ფართო დარგია, ისევე როგორც არქეოლოგია. ორივე მათგანი სასამართლო სამედიცინო მეცნიერებაში შეიძლება იქნეს გამოყენებული. ანთროპოლოგიას ორ ნაწილად ყოფენ: (1) მეცნიერება, რომელიც სწავლობს ადამიანთა წარმოშობას, კულტურულ განვითარებას, თვისებებს, სოციალურ ჩვეულებებს (კულტურული ანთროპოლოგია); და (2) მეცნიერება, რომელიც სხვა ცხოველებთან ადამიანის მსგავსებებსა და განსხვავებებს იკვლევს (ფიზიკური ანთროპოლოგია). კულტურულ ანთროპოლოგიას არასდროს ჰქონია საერთო სამართალთან, მაშინ, როცა ფიზიკური ანთროპოლოგია, როგორც მინიმუმ, 1850 წლიდან აღიარებული გახლდა სასამართლო ექსპერტიზის კუთხით. საყოველთაოდ ცნობილია რომ სასამართლო ანთროპოლოგია ფიზიკური ანთროპოლოგიის გამოყენებითი დარგია, რომელიც სწავლობს ძვლოვან, ძლიერად დაშლილ ან სხვა ამოუცნობ ადამიანურ ნარჩენებს. სასამართლო ანთროპოლოგები ადამიანური ნაშრომის იდენტიფიკაციის მიზნით იყენებენ ფიზიკური ანთროპოლოგიის სწავლებში მიღებულ სტანდარტულ მეთოდებსა და ტექნიკას. სასამართლო ანთროპოლოგები ხშირად სასამართლო სამედიცინო ექსპერტებთან, ორთოდენტებთან (სტომატოლოგი) და გამომძიებლებთან ერთად მუშაობენ, რათა მოხდეს ცხედრის, მტკიცებულებების, ძალადობრივი ქმედების ან/და სიკვდილის შემდგომი გამოკვლევა. უფრო მეტიც, საეჭვო ნაშთების აღმოჩენისას, სასამართლო ანთროპოლოგები ჩონჩხის ნაწილების გამოკვლევის შედეგად ინფორმაციას გვაწვდიან ცხედრის ასაკთან, სქესთან, წინაპრებთან, ფიგურასა და უნიკალურ თვისებებთან დაკავშირებით.

მონათესავე სპეციალობებია სასამართლო არქეოლოგია (განსაკუთრებით გათხრების წესები), სასამართლო ენტომოლოგია (მწერების შესწავლა) და სასამართლო ბოტანიკა (დანაშაულის ადგილზე შესაბამისი მცენარის მტკიცებულებად გამოყენება). სასამართლო გეოლოგია ასევე განვითარებადი სპეციალობაა. ყველაფერს, რასაც 50 წლის მანძილზე ვერ/არ აღმოაჩენენ, როგორც წესი, „არქეოლოგიურად“ აღიქვამენ. მაგრამ ყველა არ იზიარებს ასეთ სახელდებას. მწერების შესწავლა, ანუ ენტომოლოგია, უფრო განვითარებული დარგია, რადგან იგი ეფუძნება ანატომიის, მორფოლოგიისა და ფიზიოლოგიის პრონციპებს. წინამდებარე ნაშრომში საუბარი გვექნება სხვა მონათესავე სპეციალობებზე, თუმცა ძირითადი აქცენტი მაინც უშუალოდ ანთროპოლოგიაზეა.

ექსპერტის კვალიფიკაცია ამ დარგში უნდა მოიცავდეს ანთროპოლოგიაში სადოქტორო ხარისხს, ფიზიკური ანთროპოლოგიის ვიწრო სპეციალიზაციით. ექსპერტს ასევე უნდა ჰქონდეს მინიმუმ სამწლიანი სრული ან ნაწილობრივი სტაჟი სასამართლო ანთროპოლოგიაში. მან უნდა დაამტკიცოს, რომ აქვს სასამართლო ანთროპოლოგიისთვის შესაფერისი სამუშაო გამოცდილება და შეუძლია ზეპირი ან წერილობითი გამოცდების ჩაბარება.

სასამართლო ანთროპოლოგები „ძვლის გამომძიებლები“ არიან, რომელებიც ადამიანის ამოუცნობი ნაშთების გამოკვლევით პოლიციას რთული საქმეების გახსნაში ეხმარებიან. ტექნიკა, რომელსაც ფიზიკური ანთროპოლოგები იყენებენ ადრეული პერიოდის ადამიანების ჩონჩხის კვლევისას, ასევე გამოიყენება უბედური შემთხვევევების, ხანძრის, ავიაკატასტროფის, ომის ანდა მკვლელობის მსხვერპლის იდენტიფიკაციისას. ფიზიკურ ანთროპოლოგს ძვლებზე დაყრდნობით ბევრის თქმა შეუძლია პიროვნების შესახებ:

- მათ შუძლიათ განსაზღვრონ პიროვნება ქალი იყო თუ მამაკაცი. ეს ხდება მენჯ-ბარძაყის, სკალპის, შუბლისა და ყბის გამოკვლევით. მამაკაცებს, როგორც წესი, უფრო გამოკვეთილი თვალის ბუდეები და ყბები აქვთ; მაშინ, როდესაც ქალებს უფრო ფართო მენჯ-ბარძაყი.
- ძვლებზე, ძვლის შეერთებებსა და კბილებზე დაკვირებით მათ შეუძლიათ დაახლოებითი ასაკის განსაზღვრა. ბავშვის ჩონჩხს ძვლების შეერთების ადგილიას უფრო ფართო დაშორება აქვს. გლუვია სკალპიმითუმეტეს, რომ პიროვნება ხანდაზმულია. ასაკის დადგენა ძვლების გამოკველვით განსაკუთრებით ეფექტურია, თუ მსხვერპლი 30 წელს ქვემოთაა.
- სასამართლო ექსპერტები ხელის ან ფეხის სიგრძეზე დაყრდნობით იყენებენ ფორმულას მსხვერპლის სიმაღლის დასადგენად. რაც უფრო გრძელია აღმოჩენილი ძვლის სიგრძე, მით უკეთესი. თუმცა, სიმაღლის დადგენა ძვლის პატარა ნაწილებიდანაცაა შესაძლებელი.
- მათ ასევე შუძლიათ პიროვნების წონის დადგენა, გარკვეულ ადგილებში ძვლების ცვეთის გათვალისწინებით.
- მათ ასევე შუძლიათ პიროვნების რასობრივი კუთვნილების დადგენა ცხვირის სიგრძისა და სიგანის აზომვის საფუძველზე. ჩონჩხთან ერთად სახის თმის ან თმის აღმოჩენის შემთხვევაში, ასევე შესაძლებელია რასის დადგენა. თეთრკანიანთა ცხვირის ღრმული სამკუთხედია, აფრო-ამერიკელების შავკუთხედი, მონღოლოიდების კი ბრილიანტის ფორმის (წახნაგოვანი).
- ექსპერტებს ასევე შეუძლიათ ამოიცნონ პირის საქმიანობის სფერო. მაგალითად, თუ მსხვერპლი ფლეიტაზე ან კლარნეტზე უკრავდა, ეს მის კბილებსა და ძვლებზე პოვებს ასახვას.
- მათ შეუძლიათ პიროვნების ფორმის დადგენა. პირის ფიზიკური ფორმის შესახებ ბევრის თქმა შეუძლიათ ადგილებს, სადაც ძვალს კუნთები აკრავს.
- მათ შეუძლიათ განსაზღვრონ პირი მემარჯვენე იყო თუ ცაცია. დომინანტურ მხარეს უფრო მეტი კუნთოვანი კვანძები იქნება შესამჩნევი.
- ექსპერტებს შეუძლიათ დაადგინონ იყო თუ არა პირი ოდესმე დაშავებული (მოტეხილობები, ძვლის გადანერგვა).
- მათ ასევე შეუძლიათ განსაზღვრონ ალადობრივი გზით გარდაიცვალა პირი თუ არა. ამას ისინი ტრავმების აღმოჩენის შედეგად ახერხებენ. დათვალიერების შედეგად შესაძლებელია დანის ნაჩხვლეტის, სკალპის დაზიანებების, ცხვირის მოტეხილობის, ზოგადად მოტეხილობების, ნატყვიარის და სხვა დაზიანებების აღმოჩენა. მაგალითად, თუ პირი დაახრჩვეს, დაზიანებული ექნება ყელის მიდამოში არსებული ძვლები.
- მათ ასევე შეუძლიათ განსაზღვრონ, თუ როდის გარდაიცვალა პიროვნება. ძვლებთან ერთად რბილი ქსოვილების რაოდენობა მიანიშნებს გარდაცვალების სავარაუდო ვადაზე.

ჩამოთვლილთაგან უმეტესობა (ასაკი, სქესი, რასა, სიმაღლე) ჯგუფური მახასიათებელია, მაშინ, როცა მაგალითად, ტრავმა ინდივიდუალურია. სასამართლოები, სავარაუდოდ, არასდროს დაეყრდნობიან მხოლოდ სასამართლო ანთროპოლოგების მტკიცებულებებს. ეს მტკიცებულებები უფრო ხშირად სწორედ დამხმარე მტკიცებ-

ულებად იქნება დაშვებული. იურისტები ხშირად იყენებენ სასამართლო ანთროპოლოგიურ მტკიცებულებებს, რადგან მათ გარკვეული გავლენა შეუძლია მოახდინონ ნაფიც მსაჯულებზე. მაგალითად, სასამართლო დარბაზში ძვლების მტიცებულებად გამოყენება გარკვეულწილად წინააღმდეგობრივია. თუმცა ექსპერტის დაკითხვა მისაღებია.

აშშ-ს პოლიციაში ანთროპოლოგების დახმარებას მაშინაც მიმართავენ, როდესაც საჭიროა პიროვნების „სახის რეკონსტრუქცია“, ანუ არსებული ჩონჩხიდან დაშავებულის იდენტიფიკაციის მიზნით მისი სახის ნაკვთების აღდგენა. პირველ რიგში, ხდება პირის ასაკის, სქესისა და რასის დადგენა. შემდეგ კი მხატვრები სპეციალური პლასტილინების გამოყენებით, უშუალოდ სკალპზე ან მის ზუსტ ასლზე ახდენენ სახის ნაკვთების (რბილი ქსოვილების) რეკონსტრუირებას. ყველაზე რთული თვალის, ცხვირის ქვედა ნაწილის, ტუჩებისა და ყურების აღდგენაა. არსებობს ასევე სპეციალური კომპუტერული პროგრამები, რომლითაც ხდება სახის რეკონსტრუირება. პროგრამის დემო-ვერსია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ვებ-მისამართზე: http://www.facesinterquest.com/.

არქეოლოგია

არქეოლოგიური გათხრები სტანდარტულ პროცედურებს მისდევს, რომელთა უმეტესობა აღწერილია საჯარო ოქმებში. თუმცა, ნაწილი პროცედურებისა კონფიდენციალურია. საჯარო ოქმების ნაწილი შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ვებ-მისამართზე: http://archlab.uindy.edu/Documents/Forensic/f2.html. მნიშვნელოვანია თავიდანვე იმის განსაზღვრა, საქმე გვექნება ნაწილობრივ გახრწნილ არტიფაქტთან თუ ჩონჩხთან. პირველ შემთხვევაში ბიოარქეოლოგიასთან გვაქვს საქმე, ვიწრო სპეციალობა, რომელსაც მრავალფეროვანი ლიტერატურა გააჩნია (დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ვებ-მისამართზე: http://www.utep.edu/leb/baref/biblio.htm). ამგვარი კვლევის გამოცდილება ბევრს არ აქვს. ამიტომ სპეციალიზებულ ლაბორატორიებთან ერთად აშშ-ში არსებობს ე.წ. „სხეულის ფერმები“, რომელსაც პროფესორები ხელმძღვანელობენ. ადამიანის სხეულის გახრწნის პროცესის შესასწავლად „სხეულის ფერმებში“ იყენებენ ღორებს, რომელთაც ადამიანების მსგავსი გახრწნა ახასიათებთ. ისინი ღორებს სხვადასხვა ვითარებაში კრძალავენ – დამწვარს, გახვეულს, სხვადასხვა კლიმატურ პირობებში. ამით ხდება იმ გარემოებების მოდელირება, რომელშიც შესაძლებელია წავაწყდეთ ადმიანის ნარჩენებს. ასე მაგალითად, ძალიან სველ გარემოში, ნეშტისგან 18 დღეში დარჩება მხოლოდ ძვლები; მშრალ გარემოში (უდაბნო) კი ნეშტზე შეიძლება რბილი ქსოვილები ერთი წლის მერეც იყოს შესამჩნევი.

არქეოლოგიური პროექტებისთვის ზოგიერთი სტანდარტული პროცედურა შემდეგია:

(1) ადგილის სტრატიგრაფიული შემოწმება. ნიადაგი, როგორც წესი, ბუნებრივად არსებულ ფენებად (სტრატებად) იყოფა, რომელიც ერთმანეთისგან განსხვავდება ფერით, ხარისხით, მიწის მარცვლების ზომითა და მატერიალური

კომპონენტებით (მაგ., ქვიშა, თიხა, და სხვა). ყველაზე ზედა ფენა, როგორც წესი, უფრო მუქია, რადგან მასში დიდი ოდენობითაა ვეგეტაციური ხრწნის შედეგად დაგროვებული ორგანული ნივთიერებები. მიწის ქვედა ფენები უფრო ღია ფერისაა, ნაკლებ ორგანულ ნივთიერებებსა და უფრო მეტ თიხას შეიცავს. ადგილის კვლევისას არქეოლოგები აკვირდებიან ფენებად დაყოფილ ნიადაგს და მოვლენების თანმიმდევრობას ადგენენ. განსაკუთრებული ადგილები – სამარხები, ცხოველების თხრილები, სახლის საძირკველი, ამოძირკული ხეები და სხვა – განსაკუთებულ ზონად მოიხსენიება. არქეოლოგები, როგორც წესი, თითოეულ სტრატას ან ზონას ცალ-ცალკე ამუშავებენ, რათა არ მოხდეს სხვადასხვა სტატიდან ან ზონიდან მოპოვებული მტკიცებულებების ერთმანეთში აღრევა. არქეოლოგებს ასევე შეუძლიათ ერთი რომელიმე ფენის ან ზონის 5 ან 10 სმ-იან ქვეფენებად დაყოფა. გახსოვდეთ ისიც, რომ ნიადაგზე შესაძლოა ეფექტი იქონიოს ნეშტდან გამოსულმა ნივთიერებებმა. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩონჩხის აღმოჩენისას.

(2) ყველა ნივთმტკიცების ამოღება. პატარა ძვლები ან უჩვეულო მასალები (მაგ., მწერების ნაშთები) ადვილად შეიძლება გამორჩეს გამოუცდელ თვალს სუფთა გარემოშიც კი. მით უფრო რთულდება მათი აღმოჩენა ტალახში. სწორედ ამიტომ, რთულ ნიადაგთან მუშაობისას გამოიყენება თხელი საცერი. არქეოლოგიური თხრისას, როგორც წესი, უფრო ხშირად გამოიყენება ჩვეულებრივი გეოლოგიური ხელსაწყოები. მტკიცებულება კი ეწოდება უკლებლივ ყველა აღმოჩენილ ნივთს, დაწყებული ადამიანის ნაშთებიდან, ფეხის ანაბეჭდებით, მცენარეების ფესვებით, მწერებითა და ადგილის სტრატოგრაფიული თვისებებითა და ადგილმდებარეობით დასრულებული. არტიფაქტები კი ეწოდება ყველა ნივთსს, რომელიც ადამიანის ხელითაა შექმნილი, მათ შორის, მაგალითად, სამკაულებს, მონეტებს, ტანსისამოსს, იარაღს და სხვა. ნეშტს კი უწოდებენ ადამიანის ძვლებსა და რბილ ქსოვილს, მათ შორის თმას, კბილებსა და ფრჩხილებს.

(3) თითოეული ნივთმტკიცების ზუსტი წარმოშობის აღწერა. წარმოშობა ამ შემთხვევაში ნიშნავს ნივთის კოორდინატების დადგენას სამ განზომილებაში: ჩრდილო – სამხრეთ კოორდინატები, აღმოსავლეთ-დასავლეთ კოორდინატები და ვერტიკალური სიღრმის კოორდინატები. ერთეულები მეტრებსა და სანტიმეტრებში განისაზღვრება. ამ მონაცემების გარეშე წარმოუდგენელია ზუსტად ვიცოდეთ თუ რომელი ნაწილი ზუსტად რასთანაა კავშირში.

(4) მტკიცებულების თავდაპირველი მდებარეობის დადგენა. აუცილებელია დადგინდეს, იმყოფება თუ არა მტკიცებულება საწყის პოზიციაში. თუ არ იმყოფება, მაშინ რა ძალამ (ადამიანი, ცხოველი, წყალი და სხვა) შეუცვალა მას პირველადი ადგილმდებარეობა.

(5) ნეშტისთვის სიკვდილის შემდგომი ზიანის მიყენების მინიმუმამდე დაყვანა. ნეშტის უკონტროლო ამოღება პირდაპირ იწვევს ფაქიზი ძვლების დაზიანებას და ამდენად მტკიცებულების დაზიანებას. ნეშტზე სიკვდილის წინარე ტრავმების დადგენა კონტროლირებადი ექსკავაციის დროს უფრო ადვილია, რომლის დროსაც გამოიყენება პატარა ხელსაწყოები, სპეციალური კოვზები, ხის საჩიჩქნი ჯოხები და სხვა.

ენტომოლოგია

(მწერების შესწავლა)

მწერები ყველაზე ძველი და დომინანტური ცხოვრების ფორმაა დედამიწაზე. მათი მიმართება ცხოველებთან ერთი სამთანაა. ადამიანებისგან განსხვავებით, ისინი თითქოს შიგნიდან გარეთ არიან ამობრუნებული, ვინაიდან მათ ჩონჩხი გარედან აქვთ. მათ არ გააჩნიათ ფილტვები, მაგრამ თავის უკანა ნაწილში არებული პატარა ღრმულის საშუალებით სუნთქავენ. მწერების უმეტესობას ორი წყვილი თვალი, ორი ან სამი ჩვეულებრივი თვალი და კიდევ ორი დამატებითი თვალი. სმენა განვითარებული აქვთ ან ყურის ბარაბნის (ზოგიერთ შემთხვევაში), ან კიდევ ანტენის (უფრო ხშირია) მეშვეობით. უმეტესობას ასევე გააჩნია ე.წ. კამუფლაჟის უნარი. მათ შუძლიათ შეიცვალონ ფერი, ან გარკვეული ჩვევების შეცვლის ხარჯზე მიბაძონ სხვა მწერებს. მწერების უმეტესობა იყინება ნულ გრადუსზე, თუმცა გალღობის შემდეგ ისევ ცოცხლობენ. მათ ასევე შუძლიათ ვაკუუმის ანდა ჰაერის ძლიერი ჭავლის გაძლება.

მწერები თითქმის ყველაფერს ჭამენ. მათი მცირე ნაწილი ვეგეტარიანელია. ზოგი მათგანი პარაზიტია, ზოგიც კი სისხლისმწოველი. მწერების უმეტესობა ეტანება დამპალ ან გარწინილ ნივიერებებს. მათ გამოკვეთილად ძლიერი ყბები აქვთ, ნემსისმაგვარი კბილები. ზოგი მწერი საკვებს ღეჭავს, ყბები განზე მოძრაობენ. ხოლო მწოველ მწერებს და სხეულს გრძელი მილები აქვთ და თხევადი საკვები სჭირდებათ. მათ უმეტესობას საერთოდ არ სჭირდება წყალი, რადგან ან მათი სხეული ინახავს წალს, ან კიდევ, წყალი საჭმლიდან გადამუშავდება. სისველეში, მწერებისათვის სასურველ გარემოში, 300 სახეობაზე მეტი მწერი მიაკითხავს ადამიანის ნეშტს, მისი გარდაცვალებიდან ჩონჩხად ქცევის ეტაპამდე.

სასამართლო ენტომოლოგებს ხირად სწორედ მწერების ლარვების შესასწავლად იძახებენ, როდესაც ისინი ადამიანის ქსოვილის ხწრნის პროცესით იკვებებიან და საზრდოობენ. მწერები ადამიანის ნეშტში ღია ადგილებიდან შედიან – თვალები, ყურები, ცხვირი, პირი, ანუსი და გენიტალიები – და იქ დებენ კვერცხებს. თუ ისინი სხვა ადგილებიდან აღწევენ ადამიანის ნეშტში, ეს მიგვანიშნებს, რომ არსებობს ჭრილობა. სანამ კვერცხები იზრდებიან და იკვებებიან, ისინი იზიდავენ სხვა პარაზიტებს – ბუზებს, კოღოებს, ხოჭოებს და სხვა. ამ სახის მწერები ადამიანის ხორცს ეტანებიან, ზოგიერთი „ახალ გარდაცვლილს“ ანიჭებს უპირატესობას, სხვები ხრწნად სხეულს. ბუზებს ყველაზე მეტად ხრწნის სუნი იზიდავთ, ისიც მაშინ, თუ თბილა. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით აქტიურია ე.წ. ქარი, ბუზი ***(Diptera, Callilphoridae-s ოჯახი, Lucilia Caesar geni)*** ნაჩვენები ზედა ფოტოზე.





ქვედა მარცხენა ფოტოზე მოცემულია მწერი, რომელიც მარადიორიბუზის სახელწოდებით არის ცნობილი იგივე, ხორცის ბუზი ***(Sarcophaga Haemorrhoidalis**-ს ოჯახი)*, ხოლო ქვედა მარჯვენა ფოტოზე წარმოდგენილია ე.წ. ტრიალისმოყვარული ბუზი ***(Callitroga Hominivorax**-ს ოჯახი).*

ყველა ცოცხალი არსება გარკვეული კლასიფიკაციის მიხედვით იყოფა: სახეობა – კლასი – ჯგუფი – ოჯახი – გენი. სახეობა მიგვანიშნებს ევოლუციის სკალაზე რა ვადის სიცოცხლე აქვს ამა თუ იმ ფორმას. კლასი სტრუქტურულ მახასიათებლებს განასხვავებს. მაგალითად, ჯგუფი ***Diptera*** ისეთი ჯგუფია, რომელშიც სიტყვა ბუზი მეორე ადგილას დგას ხოლმე. მაგალითად, „ლურჯი ბუზი“, განსხვავებით ე.წ. დრაკონბუზისგან, სადაც სიტყვა „ბუზი“ მთლიანი სიტყვის ნაწილია. ხშირად ***Diptera***-ს მხოლოდ ნამდვილი ბუზების კონტექსტში გამოიყენებენ. ჯგუფები იყოფა ოჯახებად, ოჯახები – გენებად, გენები კი კონკრეტულ სახეობებად. ახალი სახეობები ყოველთვის ვითარდება, თუმცა ზოოლოგიის მთავარი პრინციპი ისაა, რომ არ შეიძლება არსებობდეს ერთ გენში ორი ერთნაირი სახელის მქონე სხვადასხვა სახეობა. ამ კონკრეტულ ლექციაზე ჩვენ მხოლოდ ***Diptera***-ს ჯგუფის ბუზებს შევეხებით, რომლებსაც ადამიანები იზიდავთ.

Diptera-ს ორი წყვილი ფრთები აქვთ (წინა და უკანა), განსაკუთრებულად გამოკვეთილი პირით, მათ ლარვა მეტამორფოზას ან ექსკრემენტებში ან კიდევ ცხოველის ცოცხალ სხეულში გადის. მათ სხვაგვარად „ბუნების მწმენდავებს“ უწოდებენ,

რადგან თუ მათ დრო მიეცი, ისინი ნეშტს მთლიანად გააქრობენ ნიადაგიდან. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ მრავალი ნეშტია ერთ სივრცეში და ***Diptera***-ც უხვადაა წარმოდგენილი, ეს დიზენტერიის გავრცელებას უწყობს ხელს. ზოგი ***Diptera*** პარაზიტია, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ ამის საშუალება მიეცათ, ისინი მოძებნიან ცოცხალ ცხოველს კვერცხების დასადებად (მაგალითად, ცხენის დინგზე დადებენ კვერცხებს, რომლებიც შემდეგ პირიდან ცხენის მუცელში ხვდება, რაც მათ საშუალებას აძლევს გაიზარდონ მუცელში).

Diptera-ს ცოცხლობს იმ მოტივით რომ იპოვონ მკვდარი სხეული და იქ დადონ კვერცხები. სწორედ ასეთია ეს ოჯახი და მათ არაფერი ისე არ აინტერესებთ, როგორც ადამიანის ნეშტი. ქარის ბუზები თითქმის ყველგან გვხვდება და ისინი ჩვეულებრივი სახლის ბუზებივით გამოიყურებიან ან ოდნავ დიდები არიან. მათ განსაკუთრებით ძლიერი და ბუზებისგან განსხვავებულ იშვიათი ფეხები აქვთ. თითოეული მდედრი დაახლოებით 100 ან მეტ კვერცხს დებს. ნეშტში თუ ბევრი ლარვაა, როგორც წესი, ნიშნავს რომ იქ ქარის ბუზები ბუდობენ. ხორცის ბუზები ასევე ხშირად გვხვდებიან. ისინი ფერით ქარის ბუზებს ჰგვანან, მაგრამ ფორმით განსხვავდებიან (მაგ., პატარა ფეხები აქვთ). მათი ლარვაც უფრო პატარაა, ვიდრე ქარის ბუზების. ისინიც პარაზიტები არიან და კვერცხის დასადებად ცოცხალ სხეულს ანიჭებენ უპირატესობას. ერთი სახეობა – ***Wohlfahrtia*** – მხოლოდ ადამიანებში ბუდობს. ტრიალისმოყვარული ბუზები უფრო პატარები, მსუქნები და მრგვალები არიან. მათაც კვერცხების დადება ცოცხალი ორგანიზმის კანზე უყვართ. მომწიფების შემდეგ კი ლარვა კანქვეშ შედის, მანამ, სანამ შინაგან ორგანოებს მიაღწევენ. ზოგიერთი პარაზიტი იმდენად ჭყვიანია, რომ ისინი კვერცხებს ცხოველების საკვებზე დებენ, რათა მომწიფების პერიოდისთვის ისინი უკვე შინაგან ორგანოებში აღმოჩნდნენ.

ლარვას ქცევის ანალიზი, მეტეოროლოგიურ ინფორმაციასთან კომბინაციაში, სასამართლო ენტომოლოგებს საშუალებას აძლევს ზუსტად განსაზღვრონ სიკვდილის დადგომის ზუსტი დრო (აღმოაჩინეთ უმსხვილესი ლარვა, გაზომეთ იგი მილიმეტრებში, დაუმატეთ ციფრი ორი (2) და თქვენ მიიღებთ სიკვდილის დადგომიდან გასული დღეების ზუსტ რაოდენობას). ასევე ექსპერტებს შეუძლიათ დაადგინონ გარკვეული სახის ჭრილობის არსებობა, რადგან ბუზები სწორედ ჭრილობებიდან აღწევენ სხეულში. თუმცა ეს ექსპერტიზა ძირითადად ქარის ბუზებს ეხება. წარმოდგენა რომ შეგექმნათ, თუ რამდენი ათასი ქვესახეობის ***Diptera*** არსებობს, გთხოვთ, იხილოთ სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის ცხრილი:

ჯგუფი:	ჩრდილო კაროლინა	მეინი	ნიუ-იორკი	ტეხასი	მსოფლიო
Diptera	**2,111**	**1,626**	**3,615**	**16,700**	**85,000**

მწერები იმდენად ძლიერი არსებები არიან, რომ ენტომოლოგიური იარაღით ომის წარმოება სულაც არაა წარმოუდგენელი. ლოკვუდი (2008) ამტკიცებდა კიდეც, რომ ასეთი იარაღი ძირითადად სამი ფორმის შეიძლება იყოს: მწერები, როგორც დაავადებების გადამტანი; მწერები, როგორც სასოფლო-სამეურნეო პარაზიტები; მწერები პირდაპირი თავდასხმებისთვის. მაგალითად, კოღოები დაავადების საუკეთესო გადამ-

ტანები არიან, მაგრამ იმავე მიზნებისთვის გამოდგება ტილები, რწყილები, ბუზები და ხოჭოების სხვადასხვა სახეობა (იხ. ცხრილი). სასოფლო -სამეურნეო პარაზიტებიდან გამოარჩევენ კალიებსა და ჭრიჭინებს. აშშ-ს სამოქალაქო ომში დაღუპული 488 000 სამხედროდან, ორი მესამედი მწერის მიერ გამოწვეული პათოლოგიების შედეგად გარდაიცვალნენ. მწერების შხამი ასევე გამოიყენება გარკვეული სახის იარაღად; მაგალითად, ისრის ან ნემსის ამოვლება შხამში. სასამართლო სამედიცინო ექსპერტებს ხშირად წარმოდგენა არ აქვთ თუ რა სახის შხამთან აქვთ საქმე.

პათოგენების გადამტანი მწერები	
ბუზები	ჯილეხი; ასევე ტიფი, ქოლერა და დიზენტერია
კოღოები	ყვიტელი ცხელება, ტიფი ან სხვა დაავადებები
რწყილები	ჭირი
ხოჭოები	ჯილეხი და სხვა დაავადებები
ობობები	ჯილეხი და ქოლერა

ლიტერატურა:

Bass, W. et. al. (2003). Death's Acre: Inside the Legendary Body Farm. NY: Putnam.
Borror, D. & D. DeLong. (1964). An Introduction to the Study of Insects. NY: Holt.
Brues, A. (1958). "Identification of Skeletal Remains" J. Crim. Law, Criminology & Police Science 48:551-63.
Burns, K. (1999). The Forensic Anthropology Training Manual. NJ: Prentice Hall. [Sample Pages]
Coyle H. (Ed.) (2005). Forensic Botany: Principles and Applications to Criminal Casework. Boca Raton, FL: CRC Press.
Dupras, T., Schultz, J., Wheeler, S. & Williams, L. (2005). Forensic Recovery of Human Remains: Archaeological Approaches. Boca Raton, FL: CRC Press.
Hunter J, Roberts C, & Martin A (1996). Studies in Crime: An Introduction to Forensic Archaeology. NY: Routledge.
Golf, L. (2001). A Fly For the Prosecution: How Insect Evidence Helps Solve Crimes. Cambridge, MA: Harvard Univ. Press.
Lockwood, J. (2008). Six-legged Soldiers: Using insects as weapons of war. NY: Oxford Univ. Press.
Matshes, E. & Juurlink, B. (2005). Human Osteology and Skeletal Radiology. Boca Raton, FL: CRC Press.
Moenssens, A., J. Starrs, C. Henderson & F. Inbau. (1995). Scientific Evidence in Civil and Criminal Cases. Westbury, NY: Foundation Press.
Morse, D., Crusoe D., & Smith H. (1976). "Forensic archaeology" Journal of Forensic Sciences 21:323-32
Morse, D., Duncan J., & Stoutamire J. (1983). Handbook of Forensic Archaeology and Anthropology. NY: Rose Printing.
Ubelaker, D. (1989). Human Skeletal Remains. NY: Taraxacum Books.
Wolf, D. (1986). " Forensic anthropology scene investigations" Pp. 3-23 in K. Reichs (ed.) Forensic Osteology. Springfield: Charles Thomas.

ხანძრის გაჩენა და ასაფეთქებელი ნივთიერებები

ხანძრის გაჩენა და ასაფეთქებელი ნივთიერებების გამოყენება საგამოძიებო საქმიანობას მოითხოვს ამასთან, ნაწილობრივ სასამართლო კრიმინალისტიკური მეცნიერება. ცეცხლის წაკიდება/აფეთქების გამოძიება აერთიანებს სხვადასხვა პირს, სხვადასხვა პროფესიით, როგორიცაა – პოლიცია, ცეცხლის წაკიდებისა და ბომბის გაუვნებელყოფის ჯგუფები; მეხანძრეები, უსაფრთხოების პროფესიონალები, დაზღვევისა და კერძო გამომძიებლები, სასამართლო ქიმიკოსები, კრიმინალისტები, სამოქალაქო, ელექტრო და მექანიკური ინჟინრები. ამ სფეროს ბევრი ექსპერტი სახელმწიფო უწყების თანამშრომელია. ხანძრის გაჩენის გამომძიებლები ხშირად აიგივებენ საკუთარ თავს მკვლელობის გამომძიებლებთან (ხანძრის გაჩენა, როგორც მკვლელობა ცეცხლით), აფეთქების ექსპერტები (ისინი საკუთარ თავს ტერორიზმთან ბრძოლის თანამშრომლებთან აიგივებენ), როგორც წესი, შეიძლება განეკუთვნებოდნენ ორ ტიპს: პოლიციას ან ლაბორატორიის თანამშრომლებს.

ხანძრის ტრადიციული ტიპური კლასიფიკაცია (ტერმინების განსხვავების მიუხედავად) შემდეგში მდგომარეობს: ა) ბუნებრივი; ბ) შემთხვევითი; გ) დაუდგენელი წარმომავლობის; დ) საეჭვო: ე) სპეციალურად გაჩაღებული.

რთულია იმის დადგენა, თუ ვინ არის ამ სფეროს სასამართლო ექსპერტი, ეს არის ის პირი, რომელიც ექსპერტის სახით მისცემს ჩვენებას ასევე შეიძლება იყოს ექსპერტი მოწმე, რომელიც ჩვენებას იძლევა ჰიპოთეტურად. ბომბის გაუვნებელყოფის პოლიციის ჯგუფის უფლება-მოვალეობებში შედის ამოღება და გაუვნებელყოფა; სახიფათო ნივთიერებებთან მომუშავე ექსპერტების საქმიანობას, ცეცხლის წაკიდებისა და აფეთქების გამომძიებლის საქმიანობა ჰგავს. მეხანძრეს არ აქვს სპეციალიზებული ცოდნა ცეცხლის წაკიდების გამოძიების კუთხით, ამას ასევე ემატება იურისდიქციის პრობლემა და ფუნქციების გადაფარვა პოლიციასა და სახანძრო დეპარტამენტს შორის და სწორედ აქ იწყება გაუგებრობა. ბევრია დამოკიდებული თანამდებობაზე და სამუშაოსთან დაკავშირებულ პასუხისმგებლობასთან. სასამართლო ექსპერტიზის ამ სფეროში სამუშაო გამოცდილება და ფუნქციები განსაზღვრავს ექსპერტულ ცოდნას.

ხანძარი და აფეთქება, მათი ბუნებიდან გამომდინარე, მოითხოვს ადგილზე სერიოზული გამოძიების ჩატარებას, ამიტომ უპრიანი იქნება თუ ვიტყვით, რომ პიროვნება, ვინც იძლევა ჩვენებას, როგორც სასამართლო ექსპერტი, იქნება ის პირი, რომელსაც ყველაზე მეტად შესწევს უნარი ჩაატაროს ქიმიური ტესტები, ასევე ფლობს შემთხვევის ადგილის პრაქტიკულ საგამოძიებო ცოდნას. უმეტეს შემთხვევებში მათ შეიძლება ვუწოდოთ ხანძრისა და ხანძარსაწინააღმდეგო წესების დარღვევის გამომძიებელი. აფეთქების ექსპერტები შეიძლება დამოუკიდებლად მოიძიონ საქმეზე. ძალიან იშვიათ შემთხვევებში, სასამართლო ქიმიკოსები, პათოლოგები და სხვა ექპერტები ასევე იძლევიან ჩვენებას.

ნებისმიერი ექსპერტი კარგად უნდა ერკვეოდეს, თუ რა არის ცეცხლი და აალება. ისინი არა მხოლოდ თანამედროვე ლიტერატურას უნდა ეცნობოდნენ, არამედ მათ უნდა ჰქონდეთ ხანძართან ბრძოლის კონკრეტული გამოცდილება. არსებობს რამდენიმე ხანძრის უსაფრთხოების პროგრამა. სასამართლო ექსპერტიზას ამ სფეროში არ სჭირდებათ საუნივერსიტეტო განათლება (რასაკვირველია, ეს უპირატესობად ჩაითვლება). სხვადასხვა ინსტიტუტში არსებობს როგორც დაწყებითი ასევე გაძლიერებუ-

ლი სასწავლო კურსი. ექსპერტებმა ასევე უნდა იცოდნენ ტესტები და სტანდარტები, ვინაიდან პროფესიულობა მოითხოვს გარკვეულ ექსპერტულ კვალიფიკაციას და უნარების გამომუშავებას. აშშ-ში წამყვანი პროფესიული ორგანიზაცია ამ სფეროში არის ხანძრისგან დაცვის ეროვნული ასოციაცია, მან შეიმუშავა რამდენიმე სახელმძღვანელო, რამაც კიდევე ერთხელ ნათელი მოჰფინა ამ სფეროში არსებულ პროცედურებს.

თვითაალების პრინციპები

ხანძრისა და აფეთქების ნებისმიერი ფორმა ერთიანდება უფრო დიდ ტერმინში, რასაც თვით, აალება ჰქვია. ხანძარი არის ქიმიური რეაქცია, რომელიც გამოწვეულია ჟანგვით. აფეთქება არის ორეტაპიანი ქიმიური რეაქცია, რომელიც ეფუძნება მინიმუმ ორი ნივთიერების შერევით გამოწვეულ ცვალებადობას. შეიძლება საინტერესო იყოს ქვემოთ მოცემული განმარტებების ჩამონათვალი:

ხანძრის ხელშემწყობები (აქსელერატორი) – ნებისმიერი რამ, რაც ხელს უწყობს ცეცხლის გავრცელებას (გაზი, დიზელი, და სხვა);

ორი ნივთიერების შერევა;

აირის ნაკადის, გაჟონილი აირის ცირკულაცია;

ბომბი – ხელსაწყო, რომელიც შედგება ასაფეთქებელი ნივთიერებისა და დეტონატორისგან;

ბუსტერი (აფეთქების გამაძლიერებელი) – ფეთქებადი ნივთიერება, რომელიც იწვევს დეტონირება/ აფეთქებას;

დარტყმის ტალღა, გამოწვეული სწრაფი თერმული დაშლისგან;

თვითაალება – სიმხურვალე „სიცხე“ და ნათელი შუქი, მაგრამ არა დარტყმის ტალღა (ცეცხლი არის აალების ქვეტიპი);

დეტონაცია – სიმხურვალე „სიცხე“ და დარტყმის ტალღა;

აფეთქება – სიმხურვალე, „სიცხე“, დარტყმის ტალღა და ხმაური;

სიმხურვალე – „სიცხე“ ჩვეულებრივი ტერმინია, იგი წარმოიქმნება ქიმიური კავშირის შედეგად. ქიმიური რეაქციის დროს ატომები არ იკარგება, მაგრამ ხდება მათი ზომიერი გადაადგილება. მოლეკულები შთანთქავენ ენერგიას, როდესაც მათი ქიმიური კავშირი წყდება და გამოყოფენ ენერგიას, როდესაც კავშირები აღდგება. ჟანგვის ყველა რეაქცია გამოყოფს მეტ ენერგიას, ვიდრე შთანთქავს და გამოიყოფა მაღალი ტემპერატურის, სინათლის, დარტყმის ტალღის, ხმაურის ან მათი კომბინაციის ფორმით, რაც დამოკიდებულია იმაზე, მოლეკულებს შორის კავშირი ერთმაგია თუ ორმაგი. რეაქციათა უმეტესობა არის ეგზოთერმული, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ სჭირდებათ მცირე ენერგია იმისათვის, რომ პროცესი დაიწყოს (მცირე აალება ან აალებისათვის საჭირო ტემპერატურა), ზოგიერთი რეაქცია არის ენდოთერმული, რომელიც ნიშნავს, რომ მათ სჭირდებათ მეტი ენერგია იმისათვის, რომ მოხდეს პროცესის, დაწყება (ბუსტერი).

რეაქცია ასევე ხდება სხვადასხვა დონეზე და განსხვავებული სისწრაფით. ცე-

ცხლი, მაგალითად, საკმაოდ ნელი პროცესია ვინაიდან მოლეკულური ცვლილება, როგორც წესი, ხდება ნივთიერების ზედაპირზე (ამას მხურვალება ეწოდება, რაც განსხვავდება პიროლიზისგან (თერმოქიმიური დაშლა), რომელიც არის აალება (შეუქცევადი მოლეკულური ცვლილებაა). პიროლიზი ხდება მაშინ როდესაც ცეცხლს აქვს ჟანგბადის უწყვეტი წყარო. საწვავისა და ჰაერის ნაერთი განსაზღვრავს ეგრეთ წოდებულ წვის ზღვარს, აალების ზღვარსა და ნაპერწკალს. თვითაალების პროცესი იწყება ნაპერწკლიდან, გადაიზრდება წვაში და შემდეგ ხდება აალება. ის, თუ რამდენად სწრაფად ხდება ერთი ეტაპიდან მეორეზე გადასვლა, ანუ რამდენად სწრაფად ვითარდება რეაქცია ამ სამ ეტაპს შორის, განისაზღვრება რეაქციის სიჩქარით. სიჩქარე შეიძლება გაიზარდოს ტემპერატურით. ცეცხლი ვითარდება სწრაფად მას შემდეგ, რაც გარემოში იზრდება ტემპერატურა.

დედამიწის ატმოსფერო შედგება 21% ჟანგბადისაგან, ცეცხლის წარმოქმნისათვის საკმარისია 16%-იანი ჟანგბადის შემცველობა. ქიმიურ რეაქციებს აქვთ მათთვის საჭირო ჟანგბადის მიღების შესაძლებლობა. ცეცხლი, რომელიც გამოწვეულია ჰიდროკარბონატებით (ხე), რეაქციის შედეგად გამოიყოფა ნახშირბადის ორჟანგი, ნახშირბადის მონოქსიდი, გოგირდის მჟავა და აზოტის მჟავა. პლასტმასის წვის, რეაქცია დამოკიდებულია მომწამვლელ აირებზე: წყალბადის ციანიდი, წყალბადის ქლორიდი. აფეთქებას სჭირდება ჟანგბადის გამოყოფა ნიტრატების ან კალიუმის შემცველი ნივთიერებებიდან, როგორიცაა კალიუმის ნიტრატი, კალიუმის ფოსფატი ან თავად აზოტი. ქიმიური რეაქციისთვის საჭირო ჟანგბადი საკმარისი რაოდენობით არის ჰაერში (ნახშირბადის ორჟანგი) ან ბუნებაში (აზოტი და კალიუმი). ამ უკვე მზა ფორმით არსებულ ნივთიერებებს უწოდებენ მჟანგავებს.

ცეცხლის სამკუთხედი

საწვავი + ჟანგბადი + სითბოს წყარო = აალებას

აფეთქების სამკუთხედი

საწვავი + მჟანგავი + აალება = აფეთქებას

ხანძრის გამოძიება

ყველაზე მეტად მეცნიერული და პრაგმატული დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ შეიძლება მოძიებულ იქნეს „კირკის ხანძრის გამოძიებაში“. ეს არის წიგნი, რომელიც დაწერა ჯონ დეჰაანმა (2002) და ასევე ცეცხლისგან დაცვის ეროვნული ასოციაციის სახელმძღვანელო ნომერი 921 (ცეცხლის წაკიდებისა და აფეთქების გამოძიების სახელმძღვანელო), სადაც უფრო ტექნიკური საკითხები დარეგულირებულია. ორივე ამ წიგნში ნაბიჯ-ნაბიჯ არის აღწერილი და გაანალიზებული გამოძიების პროცედურა და ტექნიკური ინსტრუმენტები. არსებობს ჰიპოთეზის ფორმულირებისა და ტესტირების პროცესი, რომელიც სამეცნიერო მეთოდის მსგავსია და რომელსაც

მივყავართ ალტერნატიული ჰიპოთეზის დასაშვებლობამდე ან უარყოფამდე. მნიშვნელოვანია ყურადღება მიექცეს შემთხვევის ადგილას მტკიცებულების მოპოვებას ისე, რომ ისინი არ განადგურდეს. ხანძრების მაგალითები შედარებულია ერთმანეთთან იმისათვის, რომ მოხდეს სიღრმისეული შესწავლა და ჰიპოთეზის ჩამოყალიბება.

პრეცედენტული სამართლის ქვეყნებში, ხანძრის შესახებ კანონმდებლობა მოითხოვს, რომ ცეცხლმა უნდა მიაღწიოს გარკვეულ სტრუქტურას და წვის შედეგს. აფეთქება განიმარტება, როგორც გამიზნული დაწვა, არა აქვს მნიშვნელობა, რა ოდენობის წვა მიმდინარეობდა. პრეცედენტული სამართლის წესია, რაც არ უნდა მცირე იყოს წვა, ცეცხლის წაკიდება დასრულებულია. ზოგიერთ შტატში ერთმანეთისგან განასხვავებენ გაჭვარტლა-გამურვა (ბოლით მიყენებული ზიანი), დამწვრობა, ზედაპირის დაზიანება და ასე შემდეგ, მაგრამ ძირითადი არსი მდგომარეობს იმაში, რომ სტრუქტურა ბოლომდე არ უნდა დაიწვას. სტრუქტურის ფორმა და ზიანის ოდენობა გასათვალისწინებელი გარემოებებია. ხანძარს შეიძლება ადგილი ჰქონდეს სახლის შიგნით თუ დაზიანებული ნივთი კვალიფიცირებულია როგორც მუდმივად ფიქსირებული საგანი. მაგალითად, აბაზანა, განათება და სხვა მოწყობილობები შეიძლება იყოს კვალიფიცირებული, პირადი ქონება, მაგალითად, როგორიცაა ავეჯი, ტანსაცმელი ან დოკუმენტები, როგორც წესი არა. კანონში არსებობს განსხვავება „ცეცხლის გაჩაღებასა“ და „დაწვას“ შორის, რაშიც იგულისხმება ის რომ შესაძლებელია ცეცხლის გაჩაღება, მისი ჩაქრობა დაწვამდე. ამიტომ საჭიროა რომ ადამიანმა ზუსტად წაიკითხოს და გაეცნოს კანონს. თუ საკანონმდებლო ენა იყენებს სიტყვას „ან“ „ცეცხლის წაკიდებასა“ და „დაწვას“ შორის მაშინ ეს კონკრეტული შტატი მიიჩნევს ცეცხლის გაჩაღების აქტს ცეცხლის წაკიდებად იმ შემთხვევაშიც კი თუ ადგილი არ ჰქონია წვას. ცეცხლის წაკიდებას, როგორც წესი, აქვს ზოგადი და არა სპეციფიკური განზრახვა. პრეცედენტული სამართლის ქვეყნებში ცეცხლის წაკიდების ბრალეულობის დასადგენად საჭიროა „განზრახვა და ბოროტი სურვილი“, მაგრამ როგორც ზოგადი განზრახვის მქონე დანაშაულის შემთხვევაში, დანაშაულებრივი განზრახვა უნდა იქნეს ამოღებული მოქმედებიდან. ეს ყველაფერი კი საჭიროა იმისთვის რომ პირის მიერ ცეცხლის გაჩაღების ფაქტი დადგინდეს. ცეცხლის წაკიდების შემთხვევაში დანაშაულებრივი განზრახვა დამოუკიდებელი საკითხია. სახანძრო დეპარტამენტი და არა პოლიცია განსაზღვრავს ამ საკითხს, რომელსაც ხშირად უწოდებენ გაჩაღებული წარმომავლობის ცეცხლი (და რა გაუგებარი წარმომავლობის). სახანძრო ინსპექტორი ჩვენებას იძლევა სასამართლოში იმის თაობაზე, რომ მანაც შეიტანა ეჭვი ცეცხლის წაკიდებაში, რის შემდეგაც გამოძახებულ უნდა იქნეს ექსპერტი იმისათვის, რომ დაადასტუროს სახანძრო ინსპექტორის მოსაზრება.

ცეცხლის წამკიდებლის სასამართლო სამეცნიერო პროფილი

ხანძრის გაჩენა შეიძლება სხვადასხვა მიზეზმა გამოიწვიოს: ფინანსური, პოლიტიკური, სხვა დანაშაულის დაფარვა, ყურადღების მიქცევა, შურისძიება, ბრაზი. თუ ცნობილია რა და რატომ მოხდა, მაშინ ვინ ჩაიდინა, ადვილი გამოსავლენია. ამ საკითხებზე მომუშავე პირები ხშირად იძლევიან ჩვენებას სასამართლოში ცეცხლის

წაკიდების საქმეებზე და აღწერენ ტიპურ ცეცხლის წამკიდებლებს, მათთვის მახასიათებელ თვისებებს, რაც შეიძლება მდგომარეობდეს პიროვნების მენტალურ პრობლემებში ან პიროვნების ინტოქსიკაციით, დანაშაულის ჩადენის მომენტში, რაც შეიძლება გახდეს შემამსუბუქებელი პასუხისმგებლობის საფუძველი. ქვემოთ მოცემულია კარგად ცნობილი პიროვნული თვისებები, რომელიც შეიძლება ახასიათებდეს ცეცხლის წამკიდებელს აშშ-ში ჩატარებული კვლევების მიხედვით.

- ასაკი: 10-14 (26%); 18 წლის ქვემოთ (51%) ან 20 წლამდე ახალგაზრდა, არასდროს 35 წელზე მაღალი, მოტივი: შურისძიება ან ქონება;
- სქესი: 10 შემთხვევიდან 9-ში მამაკაცი, თუ ქალია, მაშინ, როგორც წესი, მოტივი არის შურისძიება;
- რასობრივი კუთვნილება: 4-დან 3 შემთხვევაში თეთრკანიანი (75%); აფროამერიკელი (20%); ნამდვილი ამერიკელი მესამე ყველაზე დიდი ჯგუფია.
- სოციალური კუთვნილება: უმეტესობა დაბალი სოციალური კუთვნილების, მუშათა კლასი; საშუალო კლასი თუ ადგილის აქვს ვანდალიზმს ან აღელვებას;
- IQ: უმეტესობა ნორმალური (70-90); იშვიათად გენიოსი;
- ოჯახური მდგომარეობა: განქორწინებული ან მოძალადე მამა, ოჯახთან ან დედასთან ემოციური პრობლემების წარსული;
- განათლება: პრობლემები სწავლაში, შესაძლებელია, რომ იყოს ჩარჩენილი კლასში, როგორც წესი, მეათე კლასელი, თუ უფრო პატარაა, მაშინ ადგილი გვაქვს ვანდალიზმთან;
- თანატოლები: სოციალურად მიუღებელი, ურთიერთობის პრობლემები საპირისპირო სქესის წარმომადგენლებთან, ფიზიკურად და ემოციურად სუსტია თანატოლებთან შედარებით;
- სამუშაო: როგორც წესი, დამხმარე თანამშრომელი ან უმუშევარი;
- დანაშაულებრივი წარსული: არასრულწლოვნების ასაკში ჩადენილი დანაშაული, ქონებრივი დანაშაული, უმეტესობა წარსულში დაკავებულია;
- ნარკოტიკი/ალკოჰოლი: არ არის პრობლემა;
- გონებრივი მდგომარეობა: განცდის ნაკლებობა ფსიქოფატიური მდგომარეობის გამო, მაგრამ, როგორც წესი, ტრანსის ქვეშ ყოფნა, დისოციაცია ცეცხლის გაჩენის მომენტში;
- დაკავება: უმეტესობა დანაშაულის ადგილას რჩება გარდა შურისძიების შემთხვევებისა; ზოგიერთი თვითმკვლელობისკენ არის მიდრეკილი, როგორ წესი, აღიარებენ თანამშრომლობის პროცესში;
- დამატებითი სახის დამნაშავეები გარდა შენიღბვისა და ქონების გამო ცეცხლის წაკიდების ჩამდენთა შორის (შეადგენს 22%)
- ცეცხლის წაკიდება შურისძიების გამო (41%) – გამომწვევი ფაქტორი არის რეალური ან წარმოსახვითი შეურაცხყოფა, რომელსაც ადგილი ჰქონდა თვეების ან წლების წინ; თავდასხმა მიმართულია მოწინააღმდეგის, ბიზნეს-პარტნიორის, სკოლის ან სხვა შენობის მიმართ, რომელიც კავშირშია დამნაშავესთან;
- ცეცხლის წაკიდება აგზნებისთვის (30%) – გამომწვევი ფაქტორია მოწყენი-

ლობა, სექსუალური აღგზნების ციკლი ან ყურადღების მიპყრობის სურვილი; თავდასხმა გამიზნულია გარე სამიზნეებზე, მაგალითად, როგორიცაა პარკები, მშენებლობები, მოედნები, ასევე საცხოვრებელი შენობები;

- ცეცხლის წაკიდება ვანდალიზმის მიზნით (7%) – გამომწვევი ფაქტორი არის არეულობა ოჯახში, ზეწოლა მეგობრებისგან; თავდასხმა გამიზნულია სასწავლო დაწესებულებაზე, ასევე საცხოვრებელ და გარე შენობა-ნაგებობებზე.
- ცეცხლის წაკიდება ქონების მოპოვების მიზნით (5%) და ცეცხლის წაკიდება დანაშაულის დაფარვის მიზნით (17%).

აფეთქების ეძსპერტიზა

ბომბის გაკეთება შეიძლება იყოს მარტივი ან რთული, დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად კარგად არის გათვითცნობიერებული ეჭვმიტანილი ქიმიაში. თუ თქვენი ეჭვმიტანილის სურვილია სწრაფად დაამზადოს ბომბი, მაშინ იგი გააკეთებს „მილის ბომბს“, ანუ მილში ჩადებენ მასრებს, შავ დენთს, დალუქავენ ბოლოებს და დაამატებენ აალებად ნივთიერებას (დეტონატორს). მილის ფორმის ბომბი ფეთქებისას გაიბერება იქამდე, სანამ შიგთავსი გარეთ არ გამოაღწევს. ასეთი სახის ბომბების ეფექტი გამოხატულია დარტყმის ტალღაში, უფრო სერიოზული ზიანი დგება ნაღმის მუხტით, ვიდრე ფრაგმენტაციით. ეს ჰგავს ქარიშხალს ყუთში.

ბომბები შეიძლება დაიყოს როგორც „ნაკლებად ფეთქებადი“ ან „ძლიერად ფეთქებადი“, რაც დამოკიდებულია დეტონაციის სიჩქარეზე (ქიმიური რეაქციის დრო). დაბალი ფეთქებადობის შემთხვევაში დარტყმის ტალღა მხოლოდ 2300 მეტრია წამში და ბომბი მგრძნობიარეა ტემპერატურაზე (ასე რომ, არ დააგდოთ). მაღალი ფეთქებადობის ბომბის შემთხვევაში დარტყმის ტალღამ შეიძლება შეადგინოს 6900 მეტრი წამში, ბომბი არ არის მგრძნობიარე სიცხეზე, ტემპერატურაზე (მიუხედავად ამისა, ნუ ითამაშებთ ფეხბურთს ბომბით). დაბალი ფეთქებადობის მასალები მომაკვდინებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც ისინი თავმოყრილია კონტეინერში. თუ თქვენ დალუქეთ ბუნებრივი აირი, აირი/ჰაერის შენაერთმა, ნახშირმა, გოგირდმა, ფოსფორმა, მაგნეზიუმმა ან ნებისმიერ სხვა საოჯახო ნივთიერებამ მოთავსებულმა კონტეინერში შეიძლება შექმნას დაბალი ფეთქებადობის ბომბი. მსგავსი შენაერთი უფრო ფეთქდება და ნაკლებად აჩენს ცეცხლს, შემდეგ შთანთქავს გარშემო ჰაერს და უფრო რთულ ცეცხლს აჩენს, ვიდრე აფეთქება იყო.

მაღალი ფეთქებადობის ბომბები **(TNT; RDX;** და **PETN)** ხელმისაწვდომია მხოლოდ სამხედრო, საბრძოლო მასალებში. დინამიტი არსებობს მას შემდეგ, რაც 1890 წელს ალფრედ ნობელმა ის აღმოაჩინა, მაგრამ მისი ნიტროგლიცერინზე დაფუძნებული მეთოდი შეიცვალა ბოლო პერიოდში ამონიუმზე ან ემულსიაზე დაფუძნებული სისტემით. ნობელის დინამიტი უფრო მყარი შენაერთია, სადაც 78% სოდიუმის ნიტრატია და 12% ნიტროგლიცერინი. თანამედროვე დინამიტი არის ჟელე, რომელშიც შერეულია ჟანგბადით გამდიდრებული ამონიუმის ნიტრატი. ამონიუმის ნიტრატი ჩვეულებრივი სასუქია, როდესაც მას ურევენ საწვავში, ზეთში, მაშინ მას უწოდებენ **ANFO**-ს. სწორედ ამ სახის ასაფეთქებელი ნივთიერება იყო გამოყენებული ნიუ-

იორკში მსოფლიო სავაჭრო ცენტრზე შეტევისას 1993 წელს.

მაღალი ფეთქებადობის ბომბზე **TNT** – ტრინიტროტოლუოლი – გავლენას არ ახდენს ნესტი (ვინაიდან ის დაცულია საპოხით), ნიტროგლიცერინი გამოიყოფა ტოლუოლიდან; ნიტროგლიცერინი ძალიან მგრძნობიარეა ბიძგებზე.

RDX – ჰექსოგენი ბრიტანეთში გამოგონებულია მეორე მსოფლიო ომის დროს (იშიფრება კვლევის დეპარტამენტის ასაფეთქებელი. მას დღესაც იყენებენ სამხედროები. ხშირად ხდება **RDX**-ისა და **TNT**-ის არევა, რომელსაც ციკლოტოლს ან **C**-6-ს უწოდებენ, მაგრამ **RDX** დამოუკიდებლად უფრო ხშირად გამოიყენება, მას **C**-4-ს უწოდებენ. მას აქვს პლასტმასის, ცომის მსგავსი კონსტიტენცია და შეიძლება მოხდეს ფორმის შეცვლა სპეციალური დეტონაციის ეფექტისთვის. შესუნთქვისას ბომბმა შეიძლება გამოიწვიოს ეპილეფსია ან ამნეზია.

PETN – პენტრიტი არის ნიტრატის ***ester.*** **Ester** – სპეციალური სახის ნივთიერება, რომელიც იქმნება ქიმიურ ლაბორატორიებში დისტილაციის, ანუ გამოხდის პროცესში. ისინი განეკუთვნება ქიმიური ნივთიერებების იმ ჯგუფს, რომელიც ექცევა ანჰიდრიდებისა და ნიტროგენის ატომს შორის.

ბომბები პაკეტებში, ჩემოდნებში, ყუთებში, აქტიურდებიან ბატარიაზე მომუშავე გადამრთავი მექანიზმით (საათი), რომლის გააქტიურება ხდება შეფუთვის გახსნისას. მანქანაში ჩადებული ბომბი, როგორც წესი, აქტიურდება მანქანის დაქოქვისას.

სპექტრალური ტესტები გამოიყენება აქროლად ნივთიერებებთან მიმართებით. რენტგენი და ინფრაწითელი სპექტროფოტომეტრია ავლენს ორგანულ ნივთიერებებს. ქრომატოგრაფია საჭიროა სამხედრო ან პლასტიკური ასაფეთქებლის კვალის დასადგენად.

ცეცხლსასროლი იარაღის იდენტიფიცირება და ბალისტიკა

ცეცხლსასროლი იარაღის იდენტიფიცირებაზე მომუშავე ექსპერტებს ცეცხლსასროლი იარაღის მკვლევარებს უწოდებენ (საქართველოში ბალისტიკოსებს) და მათ მოვალეობაში შედის ტყვიის, ვაზნის, ცეცხლსასროლი იარაღის გასროლიდან წარმოქმნილი კვალის, ბალისტიკური კვალის, სერიული ნომრის, მარკის, ქარხნული ნიშნის აღდგენის, ანაბეჭდისა და სხვათა იდენტიფიცირება, შედარება და ტესტირება, ასევე ცეცხლსასროლი იარაღის მტკიცებულების შენახვა. ცეცხლსასროლი იარაღების ბევრი სახეობა არსებობს და ლიტერატურაც საკმაოდ ბევრია ამ თემასთან დაკავშირებით, ამიტომ რთულია ამ სფეროში ყოვლისმომცველ პრაქტიკოსად ჩამოყალიბება. ნებისმიერი პირი, ვისაც სურვილი აქვს იყოს „ბალისტიკის“ ექსპერტი, უნდა ფლობდეს მაღალ ცოდნასა და კვალიფიკაციას მათემატიკასა და ფიზიკაში. არსებობს გამონაკლისი დამოუკიდებლად განათლებამიღებული ხალხისთვის, მაგრამ, ამასთან, ცეცხლსასროლი იარაღის გასროლიდან წარმოქმნილი კვალის კვლევა საჭიროებს ქიმიის ცოდნას. შეიძლება ამ სფეროში ასევე მოღვაწეობდნენ ექსპერტები, ვისაც აქვთ ზოგადი ბიოლოგიური ან მეცნიერული ცოდნა (მათ შორის მიკროსკოპის ან სპეციალური ხელსაწყოების გამოყენების ცოდნა). იარაღის მიერ ტყვიასა და მასრაზე და-

ტოვებული კვალის მკვლევარები საჭიროებენ იმავე კვალიფიკაციას, რასაც ზოგადად ცეცხლსასროლი იარაღის მკვლევარები. ცეცხლსასროლი იარაღის იდენტიფიცირება და ანაბეჭდის გამოკვლევა არის ორი უნარი, რომელიც ერთდროულად ვითარდება და გრძელი ისტორია აქვს.

არ არის სავალდებულო უმაღლესი განათლების მიღება იმისათვის, რომ გახდე ცეცხლსასროლი იარაღის მკვლევარი, ასევე არ არის საჭირო ფორმალური ტრენინგის, სერტიფიცირების ან ლიცენზირების გავლა. ექსპერტების უმეტესობა ჩვენებას იძლევა ბრალდების მხარისთვის (ამის დაბალანსება ხდება იშვიათად დაცვის მხარის სასარგებლოდ ჩვენების, მიცემისას); როგორც წესი, სასამართლოები უფრო მეტად ითვალისწინებენ საექსპერტო კრიმინალისტიკური ლაბორატორიის თანამშრომლის, ექსპერტის ჩვენებას ვიდრე მესაჭურჭლის (იარაღის ოსტატის). თუ პიროვნება მისი გამოცდილების გამო ითვლება პროფესიონალად (მაგალითად გარკვეული დროის განმავლობაში მუშაობდა საექსპერტო ლაბორატორიაში), მაშინ სასამართლო მას კომპეტენტურად მიიჩნევს. სამართალდამცავ ორგანოებში (სამხედრო სამსახურში) პრაქტიკული გამოცდილება ასევე უტოლდება ექსპერტის კვალიფიკაციას, ასევე თვითნასწავლი ექსპერტები, რომლებიც მუშაობენ ზედამხედველობის ქვეშ და რომელთაც აქვთ სამ წელზე მეტი მუშაობის გამოცდილება.

მათთვის, ვინც არაფერი იცის იარაღის შესახებ

არსებობს 4 სახის იარაღი, 4 სახის ტყვია და 4 სახის მჭიდი.

იარაღი	ტყვია	მჭიდი
ნახევრად ავტომატური პისტოლეტი რევოლვერი შაშხანა სანადირო თოფი	გარსიანი რბილი შიგთავსის ტყვია (FMJ) გლუვლულიანი იარაღის ტყვია ხრახნილლულიანი იარაღის ტყვია ტყვია შენადნობის	ნემსი საკეტი ეჟექტორი (ამრეკლი) ექსტრაქტორი (ამომგდები)

ტერმინი „ავტომატური“ მიღებული სახელი გახდა ნახევრად ავტომატური პისტოლეტებისათვის. მხოლოდ რამდენიმე სრულად ავტომატური პისტოლეტი არსებობს, ანუ იარაღი, რომელიც აგრძელებს სროლას, სანამ სასხლეტზე თითი გვიჭერია (ზოგიერთი ძველი იარაღის გარდა, როგორიცაა გერმანული მაუზერი, გლოკი 18; ბერეტა 93). დამნაშავეთა შორის ძალიან პოპულარული გახდა გლოკი 17-ის გადაკეთება სრულად ავტომატურ გლოკ 18-ად. არსებობს სრულად ავტომატური სამხედრო იარაღები და „მექანიკური თოფები“, მაგრამ ესენი შაშხანის ტიპის იარაღებია. ნახევრად ავტომატური პისტოლეტი ყოველი გასროლისას საჭიროებს სასხლეტის გამოკვრას, რის შემდეგაც ახალ ვაზნას იღებს მჭიდიდან, რომელიც სახელურში არის განთავსებული. ზამბარის მეშვეობით (დამრტყმელი) ნემსი თავისუფალ მდგომარეობაშია. გასროლის შემდეგ იარაღის უკუცემა იწვევს საკეტის უკან მოძრაობას, ამ დროს

დაცლილი ვაზნა აწვება საკეტს, ახდენს (დამრტყმელის) ნემსის, სასხლეტის აქტივაციას და იწვევს ჩახმახის შეყენებას და სამომავლო გასროლისათვის მომზადებას.

რევოლვერს აქვს მრგვლად მბრუნავი ცილინდრი ე.წ. ბარაბანი, რომელიც 5-დან 12-მდე ვაზნას იტევს (ყველაზე გავრცელებულია 6-ვაზნიანი), იგი ტრიალებს ყოველთვის, როდესაც ჩახმახი ქვედა პოზიციაშია. ორმაგი მოქმედების რევოლვერი სასხლეტის მოწევისას ჩახმახს უკან სწევს საბრძოლო მდგომარეობაში და გარკვეულ მომენტში უშვებს გასროლისთვის. ერთმაგი მოქმედების რევოლვერის ჩახმახის შეყენება უნდა მოხდეს ხელით. რევოლვერის ცილინდრის დაცლა და დატენვა ხდება სამიდან ერთი გზით: ცილინდრის, ანუ ბარაბანის გვერდზე გადაწევით, ლულიან ბარაბნის წინ გადაწევით, ან ბარაბნის ღერძის ამოღებით ისე, რომ ცილინდრი მთლიანად ამოვარდეს.

ტერმინი „შაშხანა“ გამოიყენება ნებისმიერი იმ იარაღთან მიმართებაში, რომელიც საჭიროებს ორივე ხელის გამოყენებას გასასროლად მომზადებისათვის. არის შედარებით გრძელლულიანი და იყენებს მძლავრ ვაზნებს. შაშხანის მოქმედებაში მოყვანა, გადატენვა 4 მეთოდით ხდება: ბერკეტით გადატენვა, დამჭერით გადატენვა, პომპით გადატენვა და თვით დატენვა. თვით ან ავტომატურად ტენვადი შაშხანები იწოდებიან ნახევდარ ავტომატურ ან ავტომატურ შაშხანებად. პომპიანი, ბერკეტიანი და დამჭერიანი შაშხანები მსროლელისგან მოითხოვენ გარკვეულ მოქმედებას. ტერმინი „კარაბინი“ გამოიყენება მოკლელულიანი შაშხანისთვის.

სანადირო ცეცხლსასროლი იარაღი არის მხარზე გადასადები იარაღი, რომელიც თავად იტენება, ან სატუმბით, აქვს ერთი ან ორი ლულა. ისინი ისვრიან წვრილი მეტალის ბურთულებს. ტყვიის ბურთულის წონა, რომელიც ზუსტად ეტევა თოფის ლულის ღარში, განსაზღვრავს ცეცხლსასროლი იარაღის კალიბრს, ასე მაგალითად: ფუტის 1/10 უდრის 10 კალიბრს; 1/12 ფუტი – 12 კალიბრს; 1/16 ფუტი – 16 კალიბრს; 1/20 ფუტი – 20 კალიბრს. არსებობს ცეცხლსასროლი იარაღები, როგორიცაა 410, რაც ნიშნავს მილიმეტრს. მაგრამ, ეს როგორც წესი, თოფის ლულის ღარი 20 კალიბრზე უფრო ნაკლებია.

„ვაზნა“ არის ამუნიციის ერთი ნაწილი, რომელიც შედგება მასრის, ტყვიის გულა, ფისტონის (ფალია, კაფსული), დენთისა და დამცავი ფენისაგან. ტყვიის გულა დამზადებულია ძლიერი ტყვიის შენადნობისგან, მასრა დამზადებულია თითბერისაგან. ისინი გადაჯაჭვულია ერთმანეთზე. მასრის ბუდის პირი არის შეკუმშული ტყვიის გულას ჩასამაგრებლად, რაც ასევე ქმნის წყალგაუმტარ ლუქს. ვაზნის ქვედა ბოლო, ფისტონის (ფალიის) ადგილი და თვით ფისტონი (ფალია), შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის ცენტრალურ აალებადი და გვერიდან აალებადი. იმისათვის, რომ მოხდეს გასროლა, გვერიდან აალებადი ვაზნის შემთხვევაში ნემსი შეიძლება მოხვდეს მასრის დაბოლოებაზე გვერდის ზოლზე ნებისმიერ ადგილას. „ცენტრალურ აალებადი“ ვაზნის შემთხვევაში ნემსი უნდა მოხვდეს ფისტონს (ფალიას) ზუსტად ცენტრში. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს თანამედროვე უკვამლო დენთი, კვამლიანი დენთი ყველაზე ფართოდ გამოყენებადი დენთია, რომელიც შედგება 75% კალიუმისგან, 15% ნახშირისაგან და 10 % გოგირდისგან (შავი ფხვნილი).

ტყვიის გულა – „ტყვია“ არის ვაზნის სასროლი ნაწილი, არსებობს უგარსო, გარსიანი და ნახევრად გარსიანი ტყვიები, უგარსო დამზადებულია მასალა ტყვიისაგან **Pb**, გარსიანი და ნახევრად გარსიანი შედგება ტყვიის გულის და გარსისაგან, გარსი

წარმოადგენს თუნუქს, სპილენძ-თუთიას ან სხვა შენადნობებს, ან მაგარ ლითონს. ტყვიები ტერმინალზე მოხვედრის შემდეგ, როგორც წესი, იშლება ან იცვლის ფორმას, რაც დამოკიდებულია მათ სიმკვრივეზე. **FMJ** ტიპის ტყვიები ყველაზე ფართოდ გამოყენებული ტყვიაა, რომელიც არ იშლება და იცვლის ფორმას, ანუ გარეგანი გარსი ისეთივე მაგარია, როგორიც შიდა. ისინი შექმნილია სამხედრო მოქმედებისათვის სამიზნეში სრულად შეღწევისათვის. გლუვლულიანი იარაღს ტყვია უფრო რბილი აქვს ვიდრე მისი შიგთავსი, რაც იწვევს სამიზნეში უფრო დიდი ნახვრეტის გაკეთებას. ხრახნილლულიანი (ნაჭდევიანი) იარაღის ზოგიერთი ტყვია იშლება წვრილ ნაწილებად. ზოგიერთს აქვს განსხვავებული ფორმა („პოლიციელის მკვლელი“) და იყენებენ სპეციალურად დამზადებულ შენადნობებს, რომელიც ტყვიაზე უფრო მაგარია. ცეცხლსასროლ იარაღებს შორის ასევე უნდა ვახსენოთ „ყუმბარა“ და „ტყვია“. ყუმბარა შედგება ტყვიისა და ანტიმონისგან (ქიმიური ფორმულა Sb). არსებობს ცეცხლსასროლი იარაღის ტყვიები, რომელიც წააგავს წაგრძელებულ მეტალის ნაწილს, რომელიც შორს ისვრის და აქვს ძლიერი რყევის ეფექტი.

ტყვიების შედარება

ყველა ცეცხლსასროლ იარაღს, გარდა გლუვლულიან ცეცხლსასროლი იარაღსა, აქვს ისეთი ლულა, რომელიც დამამზადებელ მწარმოებლის მიხედვით განსხვავდება. იმისათვის, რომ ლულის შიგნით გაკეთდეს მცირე სპირალური ღარები, სხვადასხვა მწარმოებელი განსხვავებულ მეთოდს იყენებს ღარის, ნაჭდევის დასამზადებლად. ვღებულობთ ორ დიამეტრს ნაჭდევის და მინდორის ლულის მინდორის, დიამეტრი **A**, განსაზღვრავს იარაღის კალიბრს (ყალიბრი). ყალიბრი იზომება როგორც მილიმეტრებში, ისე დიუიმებში, 1 დიუიმი = 24,5 მმ. მაგალითად, 38-კალიბრიანი იარაღის შემთხვევაში ტყვია არის 0,38 დიუიმი (ინჩი), ანუ 0,38X24,5მმ=9,652მმ ლულა, გამიზნულად მზადდება უფრო ვიწრო, ვიდრე მისთვის გათვლილი ტყვიაა, იმისათვის, რომ უფრო ძლიერი იყოს გასროლის ძალა და მეორე ჩაჯდეს ღარში, სპირალური ღარი ტყვიას აძლევს ბრუნვით მოძრაობას, რაც საჭიროა ჰიროსკოპიული სტაბილურობისათვის. ზოგიერთი მწარმოებელი იყენებს სპირალურ ჭრილს, რომელიც უზრუნველყოფს ტყვიის საათის ისრის მიმართულით ტრიალს, ზოგი, პირიქით. ვიზუალური ანალიზის დროს დანაშაულის ადგილას ნაპოვნი ტყვიის გულას შედარება ხდება ეჭვმიტანილის იარაღიდან სატესტოდ გასროლ (მაგალითად, წყლით სავსე კასრში) ტყვიის გულასთან, რის შედეგადაც შეიძლება ძალიან მარტივად დამტკიცდეს, მწარმოებელი, მოდელი, კალიბრი და შესაძლებელია დამზადების წელიც.



საკითხი დეტალურად რომ იქნეს შესწავლილი, მკვლევარი იყენებს შედარებით მიკროსკოპს, დაბალი გამადიდებელი ეფექტით, იმისათვის, რომ დააკვირდნენ ხაზებს. ეს არის ტყვიის გარსზე მცირე ანაბეჭდები (ზოლები), რომელსაც ტოვებს ლულის მინდორი და ღარი. თავისთავად ეს ხაზები ლულაში წარმოიქმნება წარმოების პროცესში. ნაკვალევი ყოველთვის განსხვავებულია და ცეცხლსასროლი იარაღის ინდივიდუალურ მაჩვენებელს წარმოადგენს. არ არსებობს ორი ისეთი ლულა, რომელიც ზუსტად ერთნაირ ანაბეჭდს ტოვებს.

ხანდახან მკვლევრისთვის რთულია ტყვიაზე „ნაკაწრების“ და ლულის მიერ დაზიანებების ნახვა. მიწა, ჟანგი, დაბალი კალიბრი და დაზიანება პრობლემას უქმნის მკვლევარის მუშაობას. შედარების საკმარისი მსგავსებები უნდა იყოს აღმოჩენილი. იმისათვის, რომ მკვლევარმა მიიღოს სათანადო დახმარება, გამოძიების ფედერალურმა ბიურომ 2000 წელს ჩამოაყალიბა ბალისტიკური იდენტიფიცირების გაერთიანებული სისტემა, კომპიუტერულ მონაცემთა ბაზა, სადაც ელექტრონული სურათების სახით წარმოდგენილია სხვადასხვა იარაღის მახასიათებლები. ეროვნული ინტეგრირებული ბალისტიკური საინფორმაციო ქსელი დაკავშირებულია ბალისტიკის იდენტიფიცირების გაერთიანებული სისტემის მონაცემთა ბაზასთან და შეიცავს 120 000-ზე მეტ სურათს ქვეყნის მასშტაბით ჩადენილი შემთხვევის ადგილიდან. ამჟამად ხდება ყველა განსაკუთრებული ბალისტიკური „ანაბეჭდის“ დასკანერება და მის მონაცემთა ბაზაში შეტანა.

ვაზნების შედარება

იარაღის გასროლით გამოწვეული აფეთქება იმდენად ძლიერია, რომ საკეტი (ჩამკეტი, „ზატვორ“) დიდ გავლენას ახდენს მასრაზე. ნახევრად ავტომატურ იარაღიდან გასროლილ მასრაზე რჩება საკეტის უკანა კედლის (რასაც ებჯინება მასრა), ამომგდებისა (ექსტრაქტორი) და ამრეკლის (ეჟექტორი) მექანიზმის კვალი. სასროლი ნემსას კვალიც არის ხოლმე წარმოდგენილი, მაგრამ მათი განსაკუთრებულობა ძალიან მიკროსკოპულია. ტყვიის მსგავსად, მასრებიც იღებენ ინიდვიდუალურ კვალს.

საბრძოლო მასრის ფისტონზე იარაღის მოძრავი ნემსის დარტყმით, ფეთქებადი ნივთიერების (დენთის) აფეთქების შედეგად წარმოქმნილი ძალით, მასრიდან ტყვიის გულას მოწყვეტისა და ხრახნილ ლულაში გავლის დროს ტყვიის გულას გარსზე ლულის დამახასიათებელი ნიშნების კვალის აღბეჭდვა და ამის მიხედვით ცეცხლსასროლი იარაღის იდენტიფიკაციის საკითხის გამოკვლევა, მიჩნეულია შიდა ბალისტიკად.

დენთის ნარჩენის ანალიზი

როდესაც ხდება ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლა, დენთი სრულად არ იწვება. დაუმწვარი დენთი და წვის ნარჩენები სხვადასხვა მანძილზე ვრცელდება, რითაც ადგენენ გასროლის მანძილს, რაც გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს შემთხვევის გარშემო, (მაგ., დგინდება თვთმკვლელობაა თუ მკვლელობა). ასევე მანძილი

შეიძლება გაირკვეს სამიზნის ტანსაცმელზე მოხვედრილი ტყვიის კუთხის კვალით. ინფრაწითელი სხივები ავლენს ყველაზე პატარა დენთის კვალსაც. ჭვარტლის რკალი ნახვრეტის გარშემო, როგორც წესი, 30,48-45,72სმ (12-18 დიუიმის, ინჩი) სიდიდისაა; ჭვარტლის ლაქა 45,72-63,5სმ (18-25 დიუიმის, ინჩი) და ლაქა თავად მთლიანად 63,5-91,44სმ (25-36 დიუიმის, ინჩი). როგორც წესი, 2,45სმ (ერთი ინჩის) დიამეტრზე გავრცელება უდრის 91,44სმ (ერთი იარდის) დაშორებას, მაგალითად, 24,5სმ (10 ინჩის) რადიუსი ლაქა უდრის 914,4სმ (10 იარდით) დაშორებას.

ტყვიით მიყენებული ჭრილობა შეიძლება სამ კატეგორიად დაიყოს: ახლო დისტანციიდან; შორი დისტანციიდან ან კონტაქტით („შტანც მარკა“). შორი დისტანციიდან ნასროლი ტყვია, როგორც წესი, ყველაზე დიდი პრობლემაა. ტესტირების ყველაზე ძველ ფორმას (1933) პარაფინის ტესტი ეწოდება. იგი შეიქმნა ხელზე კვალის აღმოსაჩენად. ეჭვმიტანილს ხელზე უსვამდნენ პარაფინს ან საპოხს, შემდეგ ხდებოდა პარაფინის მოთავსება უფერო ხსნარში, ქიმიური ფორმულით **(C6H5)2NH.** თუ პარაფინი მიიღებდა ლურჯ ფერს, ეს ნიშნავდა, რომ ადგილი ჰქონდა ხელზე ნიტრატის არსებობას. ნიტრატი არის ყველაზე ფართოდ გავრცელებული დენთის არაწვადი ნაწილი. სამწუხაროდ, ამ სახის ტესტმა დაკარგა პოპულარობა, ვინაიდან შარდი, თამბაქო, კოსმეტიკა და სხვა სახის ნივთიერებები უფერო ხსნარს ხელზე ასევე ცისფერ შეფერილობას აძლევდნენ. თანამედროვე ტესტების მიხედვით ხდება ხელზე ბარიუმის (სტიბიუმისაც) ძიება, განსაკუთრებით კი ცერა თითზე და ხელის თითებზე.

არსებობს ტესტის სხვა ფორმა, რომელიც ეხმარება მკვლევარს დაადგინოს დისტანცია და სროლის კუთხე. მკვლევარი ფოტოსურათის ქაღალდს ათავსებს დაზიანებულ ზედაპირზე და შემდეგ ქაღალდს ასხურებს ნატრიუმს, თუ ვარდისფერი ან იისფერი ფერი ჩნდება, ე.ი არსებობს ნიტრატების შემცველობა.

ტესტი სახელად ჰარისონ-გილროი არ ამოწმებს ნიტრატების შემცველობას, მაგრამ ადგენს ბარიუმის, ტყვიის შემცველი შენაერთის არსებობას, სევ ფერის ცვალებადობის შედეგად. ტესტები, რომელიც ფერის შეცვლაზეა ორიენტირებული, გარკვეული არასტაბილურობით გამოირჩევა, მაგრამ ეს არის სისხლით დაფარული ადგილის კვლევის საუკეთესო საშუალება, ვინაიდან ტესტი მხოლოდ დენთის კვალის აქტივაციას ახდენს. არსებობს ბევრი სხვა ტესტი, ყველაზე ძვირად ღირებული კეთდება ნეიტრონების აქტივაციის ანალიზით ან ელექტრონული მიკროსკოპით.

ბალისტიკა

კრიმინალისტიკური ბალისტიკა არის მეცნიერება, რომელიც სწავლობს ჭურვის მოძრაობას ცეცხლსასროლი იარაღის ლულაში და მის გარეთ. განასხვავებენ სამი სახის ბალისტიკას:

1. **შიდა ბალისტიკა** – შეისწავლის იმას, თუ რა ხდება გასროლისას ცეცხლსასროლი იარაღის შიგნით;

2. **გარე ბალისტიკა** – შეისწავლის იმას, თუ რა ხდება ტყვიის მოძრაობის დროს;

3. ტერმინალური ბალისტიკა – რა ხდება მაშინ, როდესაც ჭურვი ხვდება სამიზნეს.

ვინაიდან შიდა და ტერმინალური ბალისტიკის საკითხები ნაწილობრივ განხილული იყო ვაზნების შედარებისა და დენთის კვალის ანალიზში, მაშინ ამჯერად ჩვენი ყურადღება შევაჩეროთ გარე ბალისტიკაზე.

ტყვია სწორხაზოვნად არ მიფრინავს, იგი მოძრაობს პარაბოლაზე. მართალია, ისიც, რომ ტყვია, როდესაც გარკვეულ სიმაღლეზე ხელში გვიჭირავს და მას ხელს გავუშვებთ, ეცემა ძირს იმავე დროის მონაკვეთში, როგორც იმავე სიმაღლიდან სწორხაზობრივად იარაღიდან გასროლილი ტყვია. მაგრამ ის გადაადგილდება პარაბოლურული ტრაექტორიით. რაც უფრო იზრდება მანძილი, მცირდება სიჩქარე. ტყვიის გასროლის ტრაექტორიაზე, მანძილზე, კუთხეზე გავლენას ახდენს მისი სიჩქარე, გარემო პირობები, ისიც, თუ რამდენად სუფთაა იარაღი.

კონკრეტული ტყვიის ტრაექტორიის განსაზღვრისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს ბალისტიკური კოეფიციენტი, რაც ეხება ტყვიის გადაადგილების პროცესში ჰაერის წინაღობის ეფექტს. ტყვიის მწარმოებლები კონკრეტული სახის ტყვიისთვის აქვეყნებენ „წინაღობის ცხრილებს“. ბალისტიკის ექსპერტები ახდენენ სატესტო გასროლას. ანგარიშისათვის იყენებენ ამ სტანდარტულ ცხრილებს.

წინაღობის კოეფიციენტი არის აეროდინამიკური ფაქტორი, რომელიც დაკავშირებულია ჭურვის სიჩქარის ვარდნასთან, ჰაერის ხვედრით წონასთან, გარემოსთან, სიჩქარესთან და მასასთან მიმართებაში.

სასამართლო გეოლოგია

ხშირ შემთხვევაში, გეოლოგები ნამდვილ დეტექტივებს ჰგვანან, რომლებიც თავიანთ ხელსაწყოებსა და უნარებს მტკიცებულებების გამოსაკვლევად იყენებენ. ცნობილი წიგნის პერსონაჟი – შერლოკ ჰოლმსი, ჩანს, კარგად ერკვეოდა სასამართლო გეოლოგიაში, რადგან მას შეეძლო ზუსტად გამოეცნო სად იყო პიროვნება მის შარვალზე შემორჩენილი შხეფების მეშვეობით. დედამიწის კვლევებიდან გეოლოგია ერთ-ერთი ყველაზე ფართო ქვედარგია. სასამართლო გეოლოგია კი საფუძველს გერმანიაში იღებს. მისი განვითარება ექიმი ჯორჯ პოპის სახელს უკავშირდება, რომელმაც 1904 წელს დედამიწის მინერალების კლასიფიკაცია მოახდინა და ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ეს ინფორმაცია სასამართლოში მტკიცებულებად გამოეყენებინათ. აშშ-ში გამოძიების ფედერალური სამსახური ამ სფეროთი 1935 წლიდან დაინტერესდა, თუმცა 1973 წელიდან პროფესორი რეიმონდ მურეის (1975; 2004) სახელს უკავშირდება სასამართლო გეოლოგიის პოპულარიზაცია. დღესდღეობით მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხეში არსებულ საექსპერტო ბიუროებს ან შეუძლიათ სასამართლო გეოლოგიის ჩატარება, ან ამისათვის სპეციალურ ექსპერტს იწვევენ მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო გეოლოგიის ძირითადი პრინციბები და მეთოდები შეთანხმებულია, რა თქმა უნდა, განასხვავებენ ექსპერტების კვალიფიკაციას, მათ გამოცდილებასა და ანალიზის ხარისხს.

მურეისა და ტედროუს ნაშრომებზე დაყრდნობით (1975), სასამართლო გეოლოგია მოიცავს მტკიცებულებების კვლევას მრავალფეროვანი მასალიდან, მაგალითად,

ნიადაგიდან, ტანისამოსიდან, თმებიდან, სისხლიდან, ფეხსაცმლის ანაბეჭდიდან, თითის ანაბეჭდებიდან; ხელსაწყოებიდან; მეტალიდან; მინიდან; საღებავიდან; ლაქებიდან; ორგანული მასალებიდან (ბოტანიკური ან ზოოლოგიური); მინერალებიდან; ხიდან; მტვრიდან; სიგარეტიდან და მისი ფერფლიდან; ქაღალდიდან; დოკუმენტებიდან; კონტეინერებიდან და/ან შესაფუთი პაკეტებიდან. მიუხედავად დიდი ჩამონათვალისა, სასამართლო გეოლოგია მაინც, უპირველეს ყოვლისა, ნიადაგს შეეხება. ნიადაგი სამ კატეგორიად იყოფა: ზონალური ნიადაგი, რომელის კლიმატისა და ვეგეტაციის ზეგავლენას ასახავს; არაზონალური ნიადაგი, რომელიც არ ასახავს იგივეს; და ინტრაზონალური ნიადაგი, რომელის სხვა ფაქტორების გავლენას ასახავს, როგორიცაა ასაკი ან რელიეფი (კლარკი 1998). ნიადაგის ბუნებრივად ფორმირების ორი ფორმა არსებობს – ნარჩენი ან ტრანსპორტირებული. ნარჩენი ნიადაგი წარმოიქმნება მყარი ქანების დაშლის შედეგად. ამ დროს სხვადასხვა კლიმატური პირობები ქანის დაშლასა და მისი ნიადაგად გადაქცევას იწვევს. ტრანსპორტირებული ნიადაგი ბუნებრივად ნარმოიქმნება, როგორც წესი, მდინარეებისა და დინების მიერ, როგორც ტალახი, ქვიშა ან მტვერი. გრავიტაციაც შეიძლება გახდეს ტრანსპორტირების მიზეზი. ნიადაგის „შემადგენლობა“ (მნიშვნელოვანი ტერმინი სასამართლო გეოლოგიაში) გვამცნობს, თუ როგორია „ნაერთი“ (მეორე მნიშვნელოვანი ტერმინი), მოცემულ ადგილას მიწისა და ხრეშის ფენები. ოთხი ძირითადი კომპონენტი წარმოადგენს სასამართლო ნივთმტკიცებას: (1) უშუალოდ ნიადაგი; (2) ქანები; (3) მინერალები; და (4) წიაღისეული. ყველაზე მარტივი პროცედურაა „შედარებითი მსგავსების“ დადგენა ნიმუშებზე, განათების, მიკროსკოპისა და სპეციალური ინსტრუმენტების გამოყენებით, რომელიც მკვლევარს საშუალებას აძლევს დაადგინოს, რომ ნიმუში ჰგავს გარკვეულ ადგილს დედამიწაზე ან არ ჰგავს ამ რომელიმე ადგილს (მურეი 2004). ნიმუშში ქანების, მინერალებისა და წიაღისეულის შემდგომი კვლევა კი უფრო კონკრეტულად გამოავლენს ალბათობას, რომ ეს ნიადაგი რომელიღაც კონკრეტული ადგილიდანაა. ზოგ შემთხვევაში ეს ალბათობა იმდენად მაღალია, რომ იგი თითის ანაბეჭდის მტკიცებულების ხარისხს უტოლდება.

მთელი სასამართლო გეოლოგია ეფუძნება იმის დადგენის ალბათობას, თუ რომელი კონკრეტული ადგილიდანაა მოცემული ნიმუში. თუმცა არ არსებობს ამ ალბათობის დადგენის მექანიკური საშუალებები. ექსპერტის მოსაზრების ნდობას ამყარებს მაღალპროფესიულ დასკვნები. პროფესიული დასკვნები კი, სასურველია, ეფუძნებოდეს ფიზიკური სიმჭიდროვის, ნობის წერტილისა და სიმკვრივის გამოკვლევებს. გეოლოგები, ბუნებით მოწოდებულები არიან იკვლიონ უცნაური ან იშვიათი მოვლენები, სწორედ ამიტომ ისინი მიკროსკოპსაც კარგად ფლობენ.

მინერალები, ქანები და წიაღისეული

მინერალების 4000-ზე მეტი ფორმა არსებობს, თუმცა მინერალოგიის სახელმძღვანელოები მხოლოდ 200-მდე ფორმას აღწერენ. მეტიც, დაახლობით 20-მდე მინერალი მიიჩნევა „მარტივ“ მინერალად, რომელებიც თითქმის ყველა სახის ნიადაგში გვხვდება. კიდევ უფრო მეტიც, ნიადაგების უმეტესობა მხოლოდ 4 ან 5 მინერალს შეიცავს. მინერალები კლასიფიცირდება მსუბუქ (მარილები, კალციდები, მინდვრის

შპატი ან კვარცი) ან მძიმე (მადანი, მაგნეტიტი ან გრანიტი) მინერალებად. თითოეულ მინერალს უნიკალური ატომური სტრუქტურა აქვს, ფიქსირებული ფიზიკური და ქიმიური შემადგენლობით. არამინერალურ ნივთიერებებს, მაგალითად, ნახშირს ან ვულკანურ შუშას, აკლია შინაგანი სტრუქტურა. მინერალების მახასიათებლებს, როგორც წესი, მიკროსკოპის საშუალებით იკვლევენ, რათა მოახდინონ მათი კლასიფიკაცია ფერის, დანაწევრების, განფენის მიხედვით ან სხვა მახასიათებლებით. ბევრ მინერალს მაგნიტური თვისებები აქვთ, ზოგიერთი კი თავის ნამდვილს ფერს მხოლოდ პოლარიზებული განათების ქვეშ ავლენს. კრისტალები ექვსი ფორმით გვხვდება: ინსომეტრიულები (კვადრატული); ტეტრაგონული (მართკუთხა); ექვსკუთხა; უხეშად წახნაგოვანი; რომბული და ალმასური.

ქანი მინერალების მარტივ ნაერთს წარმოადგენს, რომელიც სამიდან ერთ-ერთი პროცესის შედეგად ყალიბდება: ძველი ქანების დნობის, წნევის ან ნალექის შედეგად. ქანები ზომის, ფორმისა და მასში მინერალების განლაგების წესის მიხედვით კლასიფიცირდება. ქანების შესწავლის მეცნიერებას პეტროლოგია ეწოდება.

წიაღისეულ სასამართლო გეოლოგები ქანის წლოვანების დასადგენად იყენებენ. წიაღისეულის კვლევისას ძირითადად ცხოვლების უკვე გამაგრებულ ნაწილებს ეძებენ. თუ ასეთი გამაგრებული ნაწილები სახეზეა, მაშინ წიაღისეული შედარებით ახალი პერიოდისაა (არა უმეტეს 600 მილიონი წლისა); ხოლო თუ ასეთი გამაგრებული ნაწილები არაა და მხოლოდ მცენარეული ცხოვრება შეინიშნება, მაშინ იგი გაცილებით გვიანი პერიოდისაა (3 მილიარდი წლის). წიაღისეულის ამგვარ შესწავლას პალეონტოლოგია ეწოდება და მას ხშირად იყენებენ სასამართლო გეოლოგიაში.

ნიადაგი და მასთან დაკავშირებული მასალა

ფერის გამოკვლევა მინერალებისა და ნიადაგის იდენტიფიკაციის ყველაზე მარტივი საშუალებაა. სპექტრის თითქმის ყველა ფერია წარმოდგენილი ამ სახის მინერალებში. ნიმუშში დომინანტი ფერი, მიგვითითებს ნიადაგის ფერზე. თუმცა, გარკვეული დროის მერე, ნიმუშმა შეიძლება ფერი იცვალოს. მაგრამ ამ შემთხვევაშიც შეცვლილი შეფერილობა ნიადაგის „ფერის ისტორიას“ გვამცნობს. მუქი შეფერილობა ორგანული ნივთიერებების არსებობაზე მიგვანიშნებს. ნიმუშის გაცრაც ხშირად ფერს უცვლის ნიმუშს, რადგან მსხვილი ნაწილაკები უფრო მოყვითალო ან სერი ფერისაა, ხოლო უფრო წვრილი ნაწილაკები – მოწითალო ან მოყავისფრო შეფერილობის. ნიმუშებს, როგორც წესი, 100 გრადუსზე აშრობენ და მის შემდეგ აკვირდებიან ფერს. შემდეგ ხდება მისი კლასიფიცირება მუნსელის ფერთა სისტემის მიხედვით (სისტემას სკოლაშიც ასწავლიან). ფერის დადგენის შემდეგ ხდება ნიმუშის მიკროსკოპში დამუშავება და სხვაგვარი ტესტირება.

ნიადაგის ნიმუშებს ხშირად ბიოქიმიურ რეაქციებზე ცდიან, რაც იმას ნიშნავს, რომ სპეციალისტები მას ისევე იკვლევენ, როგორც ცოცხალ ორგანიზმებს. ნიადაგის კვლევას პედოლოგია ეწოდება და იგი სასამართლო გეოლოგიის მნიშვნელოვანი ნაწილია. პედოლოგისთვის ნიადაგი ცოცხალი და არაცოცხალი მასალების ურთიერთდამოკიდებულების ნაერთს წარმოადგენს (ანატომიის მსგავსად); გასაოცარია, თუ რამდენი ცოცხალი არსება ბინადრობს ისეთ ადგილებში, რომლებიც წარმოუდგენელია

სიცოცხლის ფორმას წყალობდეს. მაგალითად, არსებობს მეცნიერების დარგი, რომელიც მიკროორგანიზმებს იკვლევს და მას გეომიკრობიოლოგია ეწოდება. ეს დარგი ასტეროიდებსა და სხვა პლანეტებზე ცოცხალ არსებებს ეძებს. ნიადაგში ყოველთვის მიმდინარეობს ბიოლოგიური და გეოქიმიური პროცესები. უფრო მეტი ბიოლოგიური (ორგანული) პროცესი დედამიწის ზედაპირთან ახლოს მდებარე ნიადაგში მიმდინარეობს. თუმცა სულ მცირედი გათხრის შედეგადაც შესაძლოა ორგანული პროცესები 1%-ზე ნაკლები შეგვხვდეს. ნიადაგის ამგვარ „განფენვას“ (სხვადასხვა სიღმეზე ორგანული და არაორგანული პროცესების ნაზავი) ნიადაგის პროფილი ეწოდება. ნიადაგის უფრო ღრმა ჭრილმა შეიძლება ნიადაგის ჰორიზონტი გამოავლინოს, რაც გვიჩვენებს, თუ როგორი განფენვის შედეგადა მიღებული. ნიადაგის თითოეულ პროფილს ინდივიდუალური მახასიათებლები გააჩნია, მაგალითად, ფერი, ტექსტურა ან ინტენსივობა (თუ რა გავლენა აქვს წყლის ინტენსივობას მის სიმკვრივესა და წონაზე). მიუხედავად ამისა, პროფილი არ არის ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელი ექსპერტიზისთვის. ნიადაგის სტრუქტურა უფრო მნიშვნელოვანია, და ეს გულისხმობს ნიადაგის შემცველი ნაწილაკების (ქვიშის, ლამის, თიხის) კლასტერული განლაგების, ისევე როგორც მათი ფორმისა და ზომის კვლევას. ნაწილაკების კლასტერიზაცია შეიძლება იყოს მარცვლოვანი, ბრტყელი, კუთხოვანი, ან სვეტის ფორმის (მიკროსკოპის ქვეშ) და ნიადაგის სტრუქტურა უცვლელი რჩება, მიუხედავად იმისა, მიწის ნიმუშს ვიკვლევთ თუ შარვალზე შეშხეფებულ ტალახს.

ნიადაგის გეოქიმიური ანალიზი მოიცავს ქიმიურ ტესტირებას ნიადაგის ნიმუშის ელემენტების დასადგენად. ძირითადი ელემენტები, რომელიც ნიმუშში შეიძლება აღმოჩნდეს, არის კვარცი, რკინა ან ალუმინი. კვარცით მდიდარი ნიადაგი უფრო გრილ კლიმატურ პირობებში გვხვდება, ალუმინის შემცველი ნიადაგი კი თბილ გარემოში. აშშ-ს თითოეულ შტატში ნიადაგის მინერალური შემადგენლობა იდენტიფიცირებულია და დატანილია სპეციალურ რუკებზე. გამოძიების ფედერალურ და საექსპერტო ბიუროებს ხელი მიუწვდებათ აღნიშნულ ინფორმაციაზე, რაც აადვილებს ნიადაგის ნიმუშის წარმომავლობის დადგენას. მეტიც, არსებობს მსოფლიო მითითების სისტემაც მსოფლიოს ყველა ნიადაგისთვის (ბრიჯისი, 1997). ნიადაგის მკვლევარები თანხმდებიან, რომ დედამიწის ორ ადგილას არ შეიძლება არსებობდეს ერთი და იმავე სახის ნიადაგი (მურეი და ტედროუ, 1975).

ლიტერატურა:

Bridges, E. (1997). World soils, 3e. NY: Cambridge University Press.

Clark, A. (1998). Penguin dictionary of geography, 2e. NY: Penguin Books.

Moore, P. et al. (1991). Pollen analysis, 2e. NY: Blackwell.

Murray, R. & Tedrow, J. (1975). Forensic geology: Earth sciences and criminal investigation. New Brunswick, NJ: Rutgers Univ. Press.

Murray, R. (2004). Evidence from the Earth: Forensic geology and criminal investigation. Missoula, MT: Mountain Press.

Last updated: Jan 26, 2007

სასამართლო მიკროანალიზი

კვალის მანიშნებელი მტკიცებულებები ზოგადი ფორმულირებაა, რომელიც გულისხმობს ნებისმიერი მცირედი ფიზიკური ნივთმტკიცების აღმოჩენას, რომელიც ეჭვმიტანილს დანაშაულს დაუკავშირებს. როგორც წესი, საქმე გვაქვს გარემოებრივ მტკიცებულებებთან, მაგრამ მტკიცებულებების დაშვების წესებიდან გამომდინარე, შესაძლებელია მტკიცებულებები ინდივიდუალურ მახასიათებლებსაც შეიცავდეს. ე.წ. კვალის მანიშნებელი მტკიცებულებები – თითის ანაბეჭდები, იარაღის ან ნაკბენის ნაკვალევი, მეთოდოლოგიურად შედარების საშუალებას იძლევა. ბალისტიკური კვლევა (კვალის მანიშნებელი მტკიცებულებების რიგს მიეკუთვნება) ექსპერტის „საკმარისად უდავო" მოსაზრებას ეფუძნება. კვალის მანიშნებელი სხვა მიმართულებები (მაგალითად, ტოქსიკოლოგია, სეროლოგია ან დნმ-ის კვლევა) იყენებენ ალბათობას ან შანსების კოეფიციენტს.

კვალის მანიშნებელი მტკიცებულებების ერთ-ერთ კატეგორიას კვალის მანიშნებელი მიკრომტკიცებულებები წარმოადგენენ, რომლებიც მიკროსკოპიული სიმცირის ნაწილაკებია. მეცნიერებას, რომელიც კვალის მანიშნებელ მიკრომტკიცებულებებს სწავლობს და აანალიზებს, მიკროანალიზი ეწოდება. მიკროსკოპიასთან მას საერთო არაფერი აქვს. სიტყვა „მიკრო" ტერმინში მიკროანალიზი მტკიცებულების ზომაზე მიუთითებს და არა მიკროსკოპის გამოყენებაზე. სასამართლო მიკროანალიტიკოსები მიკროსკოპის გარდა ბევრ სხვა ინსტრუმენტს იყენებენ. ნივთები, რომელიც ამ სახით გამოიკვლევა, მოიცავს (და არ შემოიფარგლება) შემდეგ ჩამონათვალს: თმა, ბოჭკო, საღებავი, მინა, მტვერი, ხე, ნიადაგი, მინერალები, ნარკოტიკები, ლითონები, პარფიუმერია, ყვავილის მტვერი, საღებავი, პიგმენტები, პოლიმერები, სხვა მასალები და ატომები. თუმცა ამ დარგს ხშირად უფრო თმის, ბოჭკოს, საღებავსა და მინის კვლევად აღიქვამენ.

ამ სფეროში გამოცდილების მიღება საკმაოდ რთულია. აქ ხშირად ერთმანეთში ურევენ კრიმინალისტებს – ტერნიკურ პერსონალს, რომლებიც ლაბორატორიებში მუშაობენ და კრიმინოლოგებს – მეცნიერებს. სიტუაციის კიდევ უფრო გართულების მიზნით, ხშირად დანაშაულის ადგილის ტექნიკოსებს, რომლებიც კვალის მანიშნებელი მიკრომტკიცებულებების აღწერასა და მათ დაფასოებაზე მუშაობენ, კრიმინალისტებად მოიხსენიებენ. რა თქმა უნდა, პოლიცია უნდა იყოს უკეთ მომზადებული ამ სფეროში, და სავარაუდოდ „დანაშაულის ადგილის მკვლევარი" უკეთესი სახელწოდებაა ამ შემთხვევაში.

შენიშვნა: სასამართლო ექსპერტიზის მეცნიერებაში არასწორად გამოყენებული ტერმინების შესახებ
მოსაზრებები განსხვავებულია, თუმცა დანაშაულის ადგილის მკვლევარი განსხვავდება დანაშაულის ადგილზე რეაგირებისგან, ისევე როგორც კრიმინოლოგი – კრიმინალისტისგან. მკვლევარი, ისევე როგორც კრიმინოლოგი, ჰიპოთეზის ტესტირებას ახორციელებს, და მისი მეთოდები უფრო მეცნიერულია, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად არამეთოდოლოგიურად გამოიყურება. პროცედურის დაცვა კარგია, მაგრამ მეთოდის ან გარკვეული თამაშის წესის ქონა უკეთესია. სტანდარტული წესები დანაშაულის ადგილის დათვალიერებისას მოიცავს დაკითხვის წარმოებას, შემოწმებას, ფოტოების გადაღებას, ნახაზების აგებას და ა.შ.

მტკიცებულებების დაფასოება და დანიშვნა დანაშაულის ადგილის ანალიზი არაა. დანაშაულის ადგილის ანალიზის ლოგიკური დასასრული დანაშაულის რეკონსტრუირებაა, რომელიც მოიცავს სანდო თეორიის ქონას – ვინ, რა, როდის, სად და რატომ ჩაიდინა აღნიშნული დანაშაული (ლი et. al. 2001). მნიშვნელოვანია ასევე ცოდნა თუ რა ლაბორატორიული გამოკვლევებია დასაკვეთი.

სასამართლო მიკროანალიზი მთლიანად ეფუძნება სპეციალურ ინსტუმენტებს, რომლებიც დეტალურადაა აღწერილი პროცედურებში, ტესტირების სტანდარტებსა და გამოკვლევის წესებში. ისინი შექმნილია კომერციული მიზნებისა და არა სამართალდამცავი სტრუქტურებისთვის. ამ სფეროში დაკავებულ სპეციალისტებს მუშაობა უწევთ სხვადასხვა სახის რთულ დანადგარებთან – მიკროსკოპებთან, სპექტროგრაფომეტრებთან, ქრომოგრაფომეტრებთან და შეიძლება ბირთვულ რეაქტორებთანაც კი. მანქანების სირთულიდან გამომდინარე, პერსონალს, სასურველია, მაგისტრის ან სადოქტორო ხარისხი ჰქონდეს ამ დარგში. თუმცა, სამწუხაროდ, ეს იშვიათობაა. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ეს მათი ბრალი არ არის, მიზეზი კი შემდეგში მდგომარეობს: (1) აშშ-ში არ არსებობს პოსტდიპლომური პროგრამები სასამართლო ექსპერტიზის კუთხით; (2) დანაშაულის კვლევის ლაბორატორიებსა და სასამართლო ექსპერტიზის ასოციაციებს პერსონალის მხოლოდ გამოცდილება აინტერესებთ; (3) არ არსებობს კარგად ორგანიზებული ცოდნის გავრცელების საშუალებები, როგორიცაა მაგალითად, სამეცნიერო ჟურნალები ამ დარგში; (4) რესურსების უმეტესობას ამ დარგში მართავს ენერგეტიკის დეპარტამენტი (საუბარია, განსაკუთრებით დიდ ლაბორატორიებზე) და ამდენად, იქ ნაკლებად ემსახურებიან სამართალდამცავ უწყებებს.

საექსპერტო კვალიფიკაციის მოსაპოვებლად, სასამართლო ექსპერტიზის კანონმდებლობა მოითხოვს როგორც მინიმუმ ბაკალავრის დიპლომს ქიმიაში ან ბიოლოგიაში და ერთწლიან სტაჟს, ზედამხედველობის ქვეშ. ეს არის ის მინიმალური სტანდარტი, რომელიც მოწმე ექსპერტმა უნდა დააკმაყოფილოს.

მიკროანალიზის მეცნიერება

მიკროანალიტიკოსთა უმეტესობა დანაშაულის შესწავლის ლაბორატორიებში მუშაობენ. როდესაც მათთან კვალის მანიშნებელ მიკრომტკიცებულებებს აგზავნიან, მათი საქმე ან იდენტიფიკაციაა ან შედარება, ან ორივე. იდენტიფიკაცია გულისხმობს ანალიტიკური ქიმიური მეთოდების გამოყენებით (ამ სახის 30 ტექნოლოგიაა, დაწყებული მარტივიდან, დასრულებული ატომურ-მაგნიტური რეზონანსით) ნივთის სრულფასოვან ან თითქმის სრულფასოვან დადგენას. ანალიტიკოსზეა დამოკიდებული რამდენ ან რა სახის კვლევას ჩაატარებს, საბოლოოდ კი ტესტირება იმდენად სრულფასოვანი უნდა იყოს, რომ გამოირიცხოს ყველა სხვა ნივთი. აბსოლუტურად სრულფასოვან შედეგს, როგორც წესი, 5 ან 6 გამოკვლევის შემდეგ აღწევენ. შედარებისთვის კი აუცილებელია, ის, ვინც ნივთმტკიცებას გამოაგზავნის, ასევე გამოგზავნოს საკონტროლო ნიმუში, რომელთანაც მოხდება ნივთის შედარება, რათა დადგინდეს აქვთ თუ არა მათ ერთი წარმომავლობა. შედარების ტექნიკა ფიზიკურ გამოკვლევებს მოიცავს (დაახლოებით 10 სახეობის კვლევა, რომელიც ადგენს ნივთის მასას, ხვე-

დრით წონას და სხვა), რომლის შედეგად ნივთის მახასიათებლები ირკვევა. ფიზიკური მახასიათებლები (მაგალითად, წონა) ნივთს ყოველგვარი სხვა ნივთიერების გამოყენების გარეშე ახასიათებს. განსხვავებით, მაგალითად, ქიმიური მახასიათებლებისგან (ფერი), ასახავს ნივთის ქცევას სხვა ნივთიერებასთან მიმართებაში, როდესაც იგი რეაგირებს ამ სხვა ნივთიერებაზე (გამხსნელი ან რეადენტი). შედარების ტესტები დაახლოებით კატეგორიაში გამოიხატება (1:1000-თან შფარდება ან **p < .001** ნიშნავს, რომ ათასიდან ერთი შანსია, რომ ამოღებული ნივთმტკიცება და კონტროლის ნიმუში ერთი და იმავე ადგილიდანაა). რაც უფრო ნაკლებია ალბათობის ხარისხი, მით უფრო ახლოსაა სრულყოფილებასთან თანხვედრა. ანალიტიკოსმა უნდა იცოდეს (ან უნდა მოიძიოს წიგნებში), რამდენად ხშირია ბუნებაში, დანაშაულის ადგილას ან სხვა უხვად დასახლებულ ადგილებში დამთხვევები. **p< .**0000000000000000000000000000 0000 0000000000000000000000000000000 (60 ნული, მსოფლიოს მოსახლეობაზე დაყრდნობით) ნიშნავს იმას, რომ არავითარი შანსი არ არის იმისა, რომ ნიმუში და საკონტროლო ნიმუში სხვადასხვა ადგილიდან იყოს.

მოდით, ლაბორატორიულ შედარებებს დავაკვირდეთ:

- დნობის წერტილი – ყველა ცნობილ ნივთიერებას აქვს ფიქსირებული დნობის წერტილი;
- მასა – ნივთის წონა გრავიტაციის გათვალისწინებით;
- სიხშირე – ნივთიერების მასა მოცულობის ან ზომის აღრიცხვის შემდეგ;
- რხევის ინდექსი – ნივთიერების გადახრის ხვედრითი წილი;
- ფერი – რამდენიმე ნივთიერების ყველა ცნობილი ფერი აღნუსხულია;

ამ ტესტების ჩატარება საკმაოდ სწრაფად შეიძლება და ადვილად დგინდება დამთხვევებიც. თუმცა ყველაფერი მაინც ნივთიერებაზეა დამოკიდებული. რა თქმა უნდა, არ არის საჭირო დნობის წერტილის ტესტის ჩატარება, თუ ამისთვის არასაკმარისი რაოდენობით გაქვთ ნივთიერება, თუმცა იგი გამოსადეგია მტვრის, ხის, მიწის, წიაღისეულის, ლითონებისა და სხვა მასალების კვლევისას. გაყინვის წერტილის დადგენა ყოვეთვის გამოსავალია. მასის დადგენა უცნობი ნივთიერებების შემთხვევაშია გამოსადეგი. სიხშირისა და რხევის ინდექსის დადგენა მიწისა და შუშის ნაწილაკებზეა ხელსაყრელი. ნიადაგის, საღებავისა და ბევრი სხვა მასალის ფერი ზედმიწევნითაა აღნუსხული. გეოლოგიიდან, მაგალითად, ვიცით, რომ დაახლოებით 2200 მინერალი არსებობს, 1100 ნიადაგის ფერი და მხოლოდ 40 სახეობის ქვაა. მათემატიკურად დადასტურებულია, რომ ყოველ 1000 მეტრში ორი განსხვავებული ნიადაგის აღმოჩენის 1:50-თან ალბათობა არსებობს.

ახლა გავეცნოთ იდენტიფიკაციის ლაბორატორიულ მეთოდებს:

- ელექტროფორეზი – ბევრი ნივთიერებას გააჩნია ელექტრომუხტი.
- სპექტროფოტომეტრია – ნივთიერების მიერ შუქის შთანთქმა.
- ქრომატოგრაფია – ნივთიერების კომპონენტების გამოცალკევება.
- მასის სპექტომეტრია – კომბინირებული ქრომატოგრაფია და სპექტროფოტომეტრია.

- ატომური ემისია – ფერთა სპექტრი, როდესაც ატომი აქტიურია.
- ნეირონების აქტივაცია – გამა სხივის რადიოაქტივობის გაზომვა.
- რენტგენის დიფრაქცია – ნივთიერების ატომური ველიდან რენტგენის სხივების გადახრა.

ელექტროფორეზის დროს ნიმუშს ათავსებენ სპეციალურ ჟელეში ან ნივთიერებაში, და თითოეულ მათგანს დადებითი და უაროფითი მუხტით მუხტავენ, რის შედეგადაც ნიმუშის ნაწილაკები ჟელეში იწყებენ გამოყოფას. ეს მეთოდი საუკეთესოა ორგანული და არაორგანული ნივთიერებების ერთმანეთისგან გასამიჯნად. მეთოდი გამოიყენება სისხლის და დნმ-ის ტესტირებისას.

სპექტროფოტომეტრია ეფუძნება შუქის თეორიასა და პრინციპს, რომლის თანახმად, ნივთიერებები სელექციურად შთანთქავენ გარკვეულ ტალღებს, სხვებს კი ატარებენ ან აირეკლავენ. შუქს, რომელიც გაივლის ნივთიერებას, ექნება ნივთიერებისთვის საჭირო ენერგიის ეკვივალენტი ტალღა. ნივთიერების მიერ შუქის სელექციურ შთანთქმას სპექტოფოტომეტრით ზომავენ. ეს ხელსაწყო შუქს პროზმაში, ნიმუშსა და დეკოდერში ატარებს, ხოლო დეკოდერი შედეგს წრფის გრაფიკით გამოხატავს. შუქის ტალღა შეიძლება იყოს: (1) ულტრაიისფერი; (2) ხილულად ღია ფერის; ან (3) ინფრაწითელი. ინფრაწითელს ყველაზე ხშირად იყენებენ, რადგან თითქმის ყველა ნივთიერება მას სელექციურად შთანთქავს. ულტრაიისფერს და ხილულად ღია ფერს შედარებით მარტივი ნივთმტკიცებების კვლევისას იყენებენ, მაგ., ნარკოტიკების. განხორციელდა ათასობით ნივთიერების ულტრაწითელი სპექტრის შეგროვება და კლასიფიცირება. ულტრაწითელი სპექტრი მიკროანალიზის „თითის ანაბეჭდია“.

ქრომატოგრაფია ეფუძნება წონასწორობის კანონს, რომლის თანახმად აქროლადი ნივთიერებიდან მოლეკულების ფიქსირებული წილი გამოიყოფა ან რჩება. თითოეული ნივთიერება ამ წონასწორობას სხვადასხვა სიჩქარეზე აღწევს, რასაც სხვაგვარად გამოცალკევების დროსაც უწოდებენ. არსებობს სპეციალური ხელსაწყო, რომელიც ამ გამოცალკევების დროს აღნუსხავს. მას ქრომოტოგრაფი ეწოდება. განასხვავებენ სამ ტექნიკას: (1) გაზის ქრინიტოგაფია; (2) There are three different types of techniques: (1) gas chromatography (GC); (2) მაღალი ხარისხის თხევადი ქრომოტოგრაფია; (3) თხელი ფენების ქრომოტოგრაფია. გაზის ქრომოტოგრაფია ყველაზე გავრცელებული ფორმაა და მას ხშირად მიმართავენ თმის ან ბოჭკოების კვლევისას. თუმცა ამ შემთხვევაში ნიმუში ნადგურდება. თხევადი ქრომოტოგრაფია არც ისე მხურვალეა, ამდენად, მისი გამოყენება კარგია მგრძნობიარე მასალებზე, მაგალითად, ასაფეთქებელ ნივთიერებებზე. თხელი ფენების ქრომოტოგრაფია კი თითქმის ელექტროფორეზის მაგვარია, აქაც გამოიყენება ჟელე.

მასის სპექტომეტრია გაზის ქრომატოგრაფისა და სპექტროფოტომეტრიის კომბინაციაა. ამ შემთხვევაში, პირველ ყოვლისა, განაცალკევებენ კომპონენტებს ერთმანეთისგან ქრომოგრაფიით, ხოლო შემდეგ დარჩენილ მასაში ვაკუუმში გაჰყავთ მაღალი სიჩქარის ელექტრონები, რაც იონიზაციის ეფექტს ქმნის. იონები კიდევ უფრო წვრილ ნაწილაკებად იშლება, რაც შემდეგ მაგნიტურ ველში გადის, რათა გაიზომოს მათი მასა. ორი ნივთიერების დეფრაგენტაცია არ შეიძლება ჰგავდეს ერთმანეთს, ამდენად, მასაც მიკროანალიზის „თითის ანაბეჭდად“ იყენებენ.

ატომური ემისია ერთგვარი სპექტომეტრია, რომელიც ფერთა სპექტრის გამყოფ ხაზებს ზომავს. მას ასევე ხაზოვან სპექტრს უწოდებენ, და ამ ტექნიკით იკვლევენ ფერთა შორის არსებულ მუქ ტიხრებს. ემისიის სპექტრის ანალიზი ყველაზე გავრცელებული ფორმაა. ამ დროს ნიმუშს ორ ნახშირბადის ელექტრონს შორის ათავსებენ და უშვებენ ელექტრონაკადს. გამოშვებული შუქი პრიზმაში გადაიტეხება და გადმოსცემს ფერთა გამას, ხოლო მათ შორის არსებული მუქი ტიხრები აღიწერება. სიტყვას „ატომურს“ კი ამ შემთხვევაში იმიტომ იყენებენ, რომ იგი ასახავს ელექტროდის უფრო მაღალ ორბიტაზე გადახტომას, რომელიც აღარ უბრუნდება თავის ორბიტას.

ნეირონების აქტივაცია იზოტოპების პრინციპს ეფუძნება. ატომის იზოტოპი იგივე ელემენტია, პროტონის იმავე მოცულობით, თუმცა განსხვავებულია ნეირონი. ელემენტების უმრავლესობას 2-დან 10-მდე ცნობილი იზოტოპი გააჩნია. ზოგიერთი მყარია, ზოგი – არამყარი. არამყარი იზოტოპი რადიოაქტიურია. ნეირონების აქტივაციის მეთოდის გამოყენებისას იზოტოპზე ხდება ნეირონების აქტივაცია. რადგან ყველა ცნობილი იზოტოპის გამა სხივის რადიოაქტივობა გაზომილია, ამდენად, ამ მეთოდის გამოყენება საკმაოდ მარტივია.

რენტგენის დიფრაქცია მხოლოდ კრისტალურ ნიმუშებში მუშაობს. ბევრი ქვა, მინერალი და ნიადაგი კრისტალურია. სხვა მტკიცებულებები, მაგალითად, სისხლი შესაძლებელია გარდავქმნათ კრისტალად იოდინების და სხვა ნივთიერებების გამოყენებით. თითოეული კრისტალური ნაერთის რენტგენის დიფრაქცია განსხვავებულია, სწორედ ამიტომ ეს მეთოდის მიკროანალიზის ერთგვარი თითის ანაბეჭდია.

თმა, ბოჭკო, საღებავი და მინა

თმა, როგორც მტკიცებულება წარმოდგენილ ნუსხაში ყველაზე მნიშვნელოვანია. დაცვის ტიპური სტრატეგიაა დანაშაულის ადგილზე აღმოჩენილი თმა ცხოველს მიაწერონ. თუმცა ექსპერტიზას ადვილად შუძლია ცხოველური და ადამიანური თმის გარჩევა. თმა ყველას აქვს, მათ შორის თავზე, გულმკერდზე, იღლიებში, წვერი, სახეზე და სხვა ადგილებში. თმის წარმოშობის დადგენაც ასეთივე მარტივი პროცედურაა. თმის ფერიდან გამომდინარე კი, გარკვეული კანონზომიერებები დგინდება. ასე მაგალითად, აშშ-ში:

10-იდან 7 ადამიანს ყავისფერი თმა აქვს
შვიდიდან ერთს – ღია ფერის თმა
ათიდან ერთს – შავი თმა
თექვსმეტიდან ერთს კი – ჟოლალი

გავრცელებულია ასევე თმის ანალიზი რასობრივი ნიშნის მიხედვით. ამ შემთხვევაში შემდეგი დაყოფა გამოიყენება (1) კვეთა – ფორმა, რომელიც თმის კვეთისას გამოაშკარავდება; (2) პიგმენტაცია – შეფერილობა; (3) თმის ფაქტურა; და (4) თმის ბუნებრივი ხვევა.

რასა	კვეთა	პიგმენტაცია	ფაქტურა	ხვეული
შავკანიანი	ბრტყელი	ხშირი	თხელი	ძალიან ხვეული
თეთრკანიანი	ოვალური	ზომიერი	საშუალო	იშვიათად ხვეული
მონღოლოიდი	მრგვალი	მოყვალო	სქელი	არასდროს ხვეული

ლიტერატურა:

Bisbing, R.E. (1982). "The Forensic Identification and Association of Human Hair," Forensic Science Handbook, Saferstein, R. ed. Englewood Cliffs, N.J.:Prentice-Hall Inc., pp. 209-272.

Cousins, D.R. (1989). "The Use of Microspectrophotometry in the Examination of Paints," Forensic Science Review , 1(2),141-162.

Gaudette, B.D. (1988). "The Forensic Aspects of Textile Fiber Examinations" in Forensic Science Handbook, Vol. II, R. Saferstein, ed. Englewood Cliffs, NJ:Prentice Hall, pp. 209-272

Gaudette, B.D. (1976). "Probabilities in Human Pubic Hair Comparisons," J. For. Sci. Vol. 21(3):514-517.

Gaudette, B.D., Keeping, E.S. (1974). " An Attempt at Determining Probabilities in Human Scalp hair Comparison," J For. Sci. 19:599- 606.

James, S. & Nordby, J. (Eds.) (2005). Forensic Science, 2e. Boca Raton, FL: CRC Press.

Kirk, P.L. (1950). "Microscopic Evidence _ Its Use in the Investigation of Crime," J. Criminal Law, Criminology and Police Science, 40: 362-369.

Lee, H.C.; DeForest, P.R. (1987). "Forensic Hair Comparison" Forensic Sciences, 3, Wecht, C.H., ed., (New York, NY:Matthew Bender) pp. 37A-8 & 9.

Lee, H., T. Palmbach & M. Miller. (2001). Henry Lee's Crime Scene Handbook. San Diego: Academic [sample pages]

Locard, E. (1930). "The Analysis of Dust Traces," Am. J. Police Science Part I pp. 276-298, Part II pp. 401-418, Part III pp. 496- 514.

Mills, T., Roberson, J., Matchett, C., Simon, M., Burns, M. & Ollis, R. (2005). Instrumental Data for Drug Analysis, 3e, 6-Vol set. Boca Raton, FL: CRC Press.

Moenssens, Inbau, & Starrs. (1986). Scientific Evidence in Criminal Cases, 3rd ed. Mineola, NY: Foundation Press.

Moncreieff, (1970). Man Made Fibers, New York: Wiley-Interscience.

Parham, R.A., Gray, R.L. (1982). The Practical identification of Wood Pulp Fibers. Atlanta, GA: Tappi Press.

Saferstein, R. (1990). Criminalistics-An Introduction to Forensic Science, 4th ed. Englewood Cliffs, NJ: Prentice-Hall.

Stoiber & Morse. (1981). The Microscopic Identification of Crystals.

სასამართლო ოდონტოლოგია

სასამართლო ოდონტოლოგია (როგორც მას ხშირად უწოდებენ – სასამართლო სტომატოლოგია) გულისხმობს დამნაშავის იდენტიფიკაციას მის მიერ მსხვერპლზე დატოვებული კბილის ანაბეჭდების მეშვეობით. სტომატოლოგებს ასევე იყენებენ ადამიანის ნეშტის ამოცნობის, პირის ღრუს ქსოვილების ტრავმების სამედიცინო-სამართლებრივი შეფასებისა და სტომატოლოგიური ქმედებების შესახებ ჩვენების მიცემისას. უნდა გვახსოვდეს, რომ 1975 წელს, სწორედ ნაკბენის ანაბეჭდის ნივთმტკიცებამ შემოიტანა მარქსის დასაშვებობის სტანდარტი (ხალხი მარქსის წინააღმდეგ 1975წ.):

> საგულდაგულო შედარებებისა და დასკვნების მიღწევის ეტაპზე, ექსპერტები არ უნდა ეყრდნობოდნენ არააპრობირებულ და დაუმტკიცებელ მეთოდებს, ჰიპოთეზებს, ინტუიციას ან რაიმე აღმოჩენას. სასურველია, გამოიყენებოდეს მეცნიერული და პროფესიული მეთოდები – რენტგენი, მოდელირება, მიკროსკოპით დაკვირვება, ფოტოგრაფია – მანამ, სანამ არ გადაწყდება კონკრეტული პრობლემა, რომელიც, მიუხედავად კვლევის მეთოდის სიახლისა, კარგად არის მეცნიერულად გამყარებული. მოკლედ რომ ვთქვათ, მტკიცებულების დასაშვებობის ეტაპზე სასამართლოს არ მოუწია მისი შეფასებისას დამოუკიდებლობის ან საღი აზრი სამსხვერპლოზე მიტანა.

კბილების იდენტიფიკაცია ახალი როდია. იგი ჩვენი წელთაღრიცხვით 66 წლიდან, ნეროს ეპოქიდან, არსებობს. როგორც ისტორია იუწყება, ნეროს დედამ აგრიპინამ სამხედროებს ლოლია პაულინას მოკვლა უბრძანა, და მისი თავის უკან მოტანა ნიშნად იმისა, რომ იგი მართლაც მკვდარია. აგრიპინამ იმის გამო, რომ ნეშტის თავი ვერ ამოიცნო, კბილების დეტალური ექსპერტიზა ჩაატარა. წინა გაუფერულებული კბილის აღმოჩენის წყალობით კი იგი დარწმუნდა მსხვერპლის ვინაობაში. ამერიკის ომის პერიოდში, ახალგაზრდა სტომატოლოგი პოლ რივერი ომის მსხვერპლის ამოცნობას კბილის არხების საშუალების ახდენდა. კბილი ძალზედ რეზისტენტულია დაშლისა და გახრწნის მიმართ. სწორედ ამიტომ სტომატოლოგიური იდენტიფიკაცია რთულ პირობებშიც შესაძლებელია. მეორე მსოფლიო ომის დასასრულს ეს მეთოდი გამოიყენეს ადოლფ ჰიტლერისა და ევა ბრაუნის ამოსაცნობად, ასევე გამოიყენეს ნიუ იორკში მსოფლიო სავაჭრო ცენტრზე ტერორისტული თავდასხმისას, არაერთი ავიაკატასტროფისას და ბუნებრივი კატაკლიზმებით გამოწვეული უბედური შემთხვევების დროს. აშშ-ში საკმაოდ კარგადაა განვითარებული სტომატოლოგიური ჩანაწერების სისტემა (ანკეტირების უნივერსალური სისტემა), ამდენად, არაა უცნაური რომ იგი გამოიყენება „ჯეინ დოს“ მსხვერპლთა იდენტიფიკაციისას. კბილების ექსპერტიზის საფუძველზე შესაძლებელია ასევე ნეშტის ასაკის ზუსტი განსაზღვრა: გუსტაბოფის მეთოდი – ცვეთის ექვსი ნიშნის ძიების შედეგად; ან ლამენდინის მეთოდი – ფესვის გამჭვირვალობის კვლევა. უნივერსალური სისტემის მიხედვით, თითოეული კბილი დანომრილია ერთიდან 32-ის ჩათვლით, ასევე კლასიფიცირებულია თითოეული კბილის ხუთი ზედაპირი.

ყველა სტომატოლოგიური ჩანაწერი უნივერსალურ დანომვრას ეფუძნება და მნიშვნელოვან ინფორმაციას იცავს. მაგალითად, მათში აღწერილია:

1. პლომბები
2. ამოღებები
3. ზედაპირული სტრუქტურა / ფესვის კონფიგურაცია
4. მიმდებარე კბილები
5. დატრიალებული/ დაზრილი კბილები

გარდაცვალებამდე და გარდაცვალების შემდეგ ჩატარებული კვლევის შედეგად კი შესაძლებელია პიროვნების დადგენა.



ნაკბენი (ნაკბეჩი) ნიშნების შედარება კი უფრო ახალი ფენომენია, თუმცა ისიც 1970 წლებში იღებს სათავეს. პოლიციელებმა შენიშნეს, რომ დანაშაულის ადგილას კრიმინალები ხშირად ნაკბეჩის კვალს ტოვებდნენ სხვდასხვა სახის საკვებზე, საღეჭ რეზინაზე, ან კიდევ უშუალოდ მსხვერპლის სხეულზე, განსაკუთრებით გაუპატიურების, ბავშვთა მიმართ ძალადობის ან მკვლელობის შემთხვევებში. არსებობს შვიდი ტიპის ნაკბენის ნიშანი, რომელთა დაჯგუფება შესაძლებელია 4 კატეგორიად:

1. სისხლმდენი – პატარა სისხლდენის ადგილი
2. ცვეთა – დაუზიანებელი კანის კვალი
3. კონტუზია – დაზიანებული სისხლძარღვები, ჩაქცევები
4. ჭრილობა – გაგლეჯილი კანი
5. დასერვა – კანის აკურატული დაზიანება
6. მოწყვეტა – კანის სრული ჩამოშორება
7. არტეფაქტი – სხეულის ნაწილის მოჭმა

1. მკაფიოდ განსაზღვრული – მნიშვნელოვანი ზეწოლა
2. აშკარად განსაზღვრული – პირველი ხარისხის ზეწოლა
3. საკმაოდ შესამჩნევი – ძალისმიერი ზეწოლა
4. დასახიჩრება – კანის სასტიკად დაზიანება და სხეულიდან ჩამოშორება

კონტუზიები ნაკბენის ყველაზე ხშირი ფორმაა, ხოლო დასერვა კი კბილის სამგანზომილებიან მონაცემებს იძლევა. სამგანზომილებიანი იმიჯის მიღება ასევე შეიძლება არტეფაქტებისა და მოწყვეტილი კანის ნაწილის შეერთებისას. მარქსის საქმეში ძალიან სუფთა სამგანზომილებიანი ნაკბენი ფიგურირებდა. სასამართლო ექსპერტიზა, რომელიც ნაკბენის ნიშნის ტიპებს იხილავს (განსაკუთრებით მე-3 და მე-4 ჯგუფების შემთხვევაში), შესაძლოა გამოდგეს ჩვენებისთვის. ნაკბენის ნიშნებს ცოცხალ სხეულზე სხვაგვარი მახასიათებლები აქვს, ვიდრე მკვდარ სხეულზე. ასე რომ, ექსპერტს შეუძლია გამოძიებას დაეხმაროს თავდასხმის დროს ან სიკვდილის დადგომის დროის

განსაზღვრაში. როგორც წესი, რაც უფრო უკეთესი ნაკბენია, მით უკეთესად შეუძლია ექსპერტს გამოკვლევა. ილინოისის სააპელაციო სასამართლომ ხალხი მილონეს წინააღმდეგ საქმეში (1976), დაადგინა პრინციპი, რომლის თანახმად სტომატოლოგიური ნივთმტკიცება დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მეცნიერები მას „კარგ ხარისხს„ მიანიჭებენ. ეს ნიშნავს, რომ ნაკბენის ნიშანს, როგორც ნივთმტკიცება სულ მინიმუმ ფრაის სტანდარტს უნდა აკმაყოფილებდეს.

როგორ მუშაობს სასამართლო სტომატოლოგია

სასამართლო სტომატოლოგებს ან სასამართლო სამედიცინო ექსპერტებს გამომძიებლები იძახებენ. ბევრ იურისდიქციაში სასწრაფო შემთხვევებში სასამართლო სტომატოლოგები გამოძახების პროცედურებზე მუშაობენ. შეიძლება უეცრად გვამის გაკვეთის ან დანაშაულის ადგილზე მიცვალებულის ნეშტის დათვალიერებისას აღმოჩნდეს ნაკბენის კვალი. მიუხედავად იმისა, რომ ნაკბენისათვის ფოტოს გადაღებაცაა შესაძლებელი და ცხედრიდან მისი ამოკვეთაც, უმჯობესია, სასამართლო სტომატოლოგები მალევე მივიდნენ ადგილზე. პირველი, რასაც ისინი გააკეთებენ, ნერწყვის ნიმუშის აღებაა. ამის გაკეთება სხვებსაც შეუძლიათ, თუმცა სასამართლო სტომატოლოგს შეუძლია მისი ამოღება ისე, რომ არ დააზიანოს ნაკბენის ნიშანი. შემდეგ, ექსპერტები გადაიღებენ ფოტოებს. ამ მეთოდს ყველა ექსპერტი თანაბრად ფლობს, და საკმაოდ მნიშვნელოვანია, განათების, ფერისა და კამერის კუთხის სწორი დაყენება. ფოტოზე საზომ ერთეულად გამოყენებული უნდა იყოს სახაზავი. კამერის დახრილობა 90 გრადუსით აუცილებელია სწორი ზედაპირის გადასაღებად. შემდეგ ეტაპზე, სასამართლო ექსპერტები ნაკბენის არაერთ გამოსახულებას, მოდელსა და ფორმას აგებენ. ამ პროცესში მათ ხელი მიუწვდებათ ბევრ მასალაზე, რათა სწორად შეარჩიონ, რეზინა, პლასტმასი ან ფხვნილი ფორმის შესაქმნელად. ზოგიერთი სასამართლო სტომატოლოგი იყენებდა ე.წ. დორიონის მეთოდს, რომელიც ნაკბენის ამოჭრას გულისხმობდა მისი მიკროსკოპული დამუშავების მიზნით. სხვები იყენებენ ელექტრო მიკროსკოპირების, კომპიუტერული დამუშავებისა და ქსერო-რადიოლოგიურ მოწინავე მეთოდებს. არსებობს ნაკბენის კომპიუტერიზებული დამუშავების სპეციალური პროგრამები. როდესაც ეჭვმიტანილს დააკავებენ, სასამართლო სტომატოლოგები აგებენ ეჭვმიტანილის კბილების ფორმას, და შემდეგ ახდენენ საკბენთან მათ შედარებას. სასამართლოზე გამოძახების შემთხვევაში კი, გამოთქვამენ საკუთარ საექსპერტო მოსაზრებას დამთხვევის შესახებ. სასამართლოებმა კონსტიტუციურად ცნეს ეჭვმიტანილისგან იძულებით სტომატოლოგიური ფორმების აღება, ისევე როგორც სხვა ბიოლოგიური ნიმუშების აღება (შმერბერი კალიფორნიის წინააღმდეგ).

სასამართლო სტომატოლოგიის მთავარი თეორია გვამცნობს, რომ ორი ერთნაირი პირის ღრუს არსებობა წარმოუდგენელია (იდენტური ტყუპების შემთხვევაშიც კი) და რომ კბილები, ისევე როგორც სხვადასხვა ნივთი, თვალსაჩინო ანაბეჭდებს ტოვებენ. თუმცა, ნაკბენის ანაბეჭდი არ ასახავს კბილის ზუსტ ფორმებს. ბევრია დამოკიდებული ყბისა და ენის მოძრაობის ტრაექტორიაზე. ქვედა ყბა, როგორც წესი, უკეთ მოძრაობს და კბენისთვის უფრო ძლიერ ძალას გამოიმუშავებს. ზედა ყბა კი უძრავია

და იჭერს ან ჭიმავს კანს. თუმცა თუ კანი კბენისას სკდება, ამას, როგორც წესი, ზედა კბილების ღრმა ჩარჭობა იწვევს. ყველა ნაკბენისას მაინც ჩანს ზედა კბილის შეხების წერტილი.

კანი ელასტიკურია და, როგორც წესი, უსხლტება ზედა კბილებს მანამ, სანამ არ მოხდება კარგი ჩავლება. მსხვერპლზეა დამოკიდებული თუ რამდენ ხანს გასტანს ნაკბენის ნიშანი: ზოგი 4 საათს ძლებს, ზოგიც ოთხ დღეს. თუმცა ნაკბენის ყველა ტიპი დროთა განმავლობაში იცვლის ფორმას. ნაკბენის ფოტოგადაღებისას, სტანდარტული პროცედურაა მისი ხელახალი გადაღება დროთა განმავლობაში. ნაკბენის ნიშნები შეიძლება შეიცვალოს ან დაიკარგოს, თუ ცხედრის მდებარეობა შეიცვლება, ასე რომ, სასამართლო სტომატოლოგს შეუძლია დაეხმაროს ექსპერტიზას იმის დადგენაში, თუ როგორ შეუცვალა მიცვალებულს ეჭვმიტანილმა ადგილმდებარეობა.

პრობლემები და საკითხები

საეჭვოა, რომ სასამართლო სტომატოლოგებს ხშირად წააწყდეთ ექსპერტების რანგში, რადგან სასამართლო სამედიცინო ექსპერტებს უფრო ხშირად იწვევენ სასამართლოში. სასამართლო სტომატოლოგები ასევე იშვიათად თანამშრომლობენ სამართალდამცავ უწყებებთან, ან თუ თანამშრომლობენ მხოლოდ ნახევარ განაკვეთზე. მჭიდრო თანამშრომლობისთვის საჭიროა სასამართლო სტომატოლოგები მრავალჯერადად სერტიფიცირებულები იყვნენ, ესწრებოდნენ გაკვეთებს, მუშაობდნენ ერთდროულად 25 საქმეზე და მრავალი კვალიფიკაცია გაჩნდეთ. საბოლოო სერტიფიკატს ისინი მხოლოდ 5-წლიანი სტაჟის შემდეგ იღებენ.

ერთი საკითხი პრობლემურ სტანდარტულ პროცედურებში. ეს ეხება იმ შემთხვევებს, როდესაც ექსპერტები სხვადასხვა მეთოდებს იგონებენ გამოკვლევისას. ასევე ზოგს ხელი მიუწვდება ციფრულ, მაღალგანვითარებულ ლაბორატორიებზე, მაშინ, როდესაც სხვები ამის საშუალებას მოკლებულები არიან. ასევე იშვიათია „ბრმა“ შემოწმებები. ბრმა შემოწმებისას, ექსპერტს, რომელიც არაფრის საქმის კურსში არაა, მისდის ხოლმე იგივე მასალა ხელმეორე შემოწმებისა და შედარებისთვის. ექსპერტები ნაკლებად იყენებენ ასეთი შედარების მეთოდებს. ამის შესახებ გარკვეული ინფორმაცია სპეციალიზებულ ჟურნალებში მოიპოვება, მაგრამ ამ დარგს კიდევ სჭირდება სათანადო განვითარება.

ლიტერატურა:

Benson B., Cottone J. & Sperber N. (1988). "Bite Mark Impressions: A Review of Techniques and Materials" Journal of Forensic Science 33:1238-1243.

Bowers, M. & Bell, G. (1995). Manual of Forensic Odontology: 3rd edition NY:ASFO.

De La Cruz, R. (1987). "Forensic Dentistry and the Law: Is Bite Mark Evidence Here to Stay?" Criminal Law Review 24:983-1005.

Dinkel, D. (1974). "The Use of Bite Mark Evidence as an Investigative Aid" J. Forensic Sci. 19:535-42.

Dorion, R. (Ed.) (2005). Bitemark Evidence. Boca Raton, FL: CRC Press.

Gold M., Roenigk H., Smith E., Pierce L. (1989). "Evaluation and Treatment of Patients with Human Bite Marks: a Review" Am. J. of Foren. Med & Path 10:140-143.

Keiser-Nielsen, S. (1977). "Dental Identification: Certainty v. Probability" Forensic Sci. 9:87-97.

MacDonald, D. (1974). "Bite Mark Recognition and Interpretation" J. Forensic Sci. Soc.14:229-233.

Moenssens, A., J. Starrs, C. Henderson & F. Inbau. (1995). Scientific Evidence in Civil and Criminal Cases. Westbury, NY: Foundation Press.

Rothwell, B. (1995). "Bite Marks in Forensic Dentistry: a Review of Legal, Scientific Issues" J. Am Dent Assoc. 126:223-232.

Sperber, N. (1986). "Identification of Children and Adults through Federal and State Dental Identification Systems." Foren. Sci. Int. 30:187-193.

Vale, G., Rawson, R., Sperber, N., Herschaft, E. (1988). "Discussion of Reliability of the Scoring System of the American Board of Forensic Odontology for Human Bite Marks" J. Forens Sci. 33:20-25.

Last updated: Sept. 30, 2006

სასამართლო ფსიქოლოგიის მიმოხილვა

სასამართლო სამედიცინო ფსიქოლოგია კარგად ჩამოყალიბებული სფეროა და წარმოადგენს ფსიქოლოგიის პრაქტიკას სამართალში. შეურაცხადის დაცვის საკითხი პირველად დადგა ინგლისში, ანიელ ნატენის საქმეზე 1843 წელს, რომელმაც ესროლა და მოკლა პრემიერ-მინისტრის მდივანი და მოგვიანებით ბევრ ქვეყანაში, მათ შორის აშშ-შიც, ხდებოდა მაკნათენის ტესტის გამოყენება შეურაცხადობის დასადგენად 1962 წლამდე.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსიდან:

მუხლი 34. შეურაცხადობა ფსიქიკური დაავადების გამო

1. ამ კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება არ შეერაცხება ბრალად იმას, ვისაც ამ ქმედების ჩადენის დროს ქრონიკული ფსიქიკური ავადმყოფობის, ფსიქიკის დროებითი აშლილობის, ჭკუასუსტობის ან სხვა ფსიქიკური დაავადების გამო არ შეეძლო გაეცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი ან მართლწინააღმდეგობა, ანდა ეხელმძღვანელა მისთვის.
2. თუ დანაშაული შერაცხადმა პირმა ჩაიდინა, მაგრამ იგი ფსიქიკურად დაავადდა განაჩენის გამოტანამდე, რის გამოც არ შეუძლია ანგარიში გაუწიოს თავს ან უხელმძღვანელოს მას, პირი სასამართლოს მიერ შეფარდებულ სასჯელს გამოჯანმრთელებამდე მოიხდის შესაბამის სამედიცინო (სამკურნალო) დაწესებულებაში.

ბართოლი და ბართოლი (2004) განმარტავს სასამართლო სამედიცინო ფსიქოლოგიას: „კვლევა, რომელიც იკვლევს ადამიანის ქცევის ასპექტებს, რომელსაც პირდაპირი კავშირი აქვს სამართლებრივ პროცესთან და ფსიქოლოგიის პროფესიული პრაქტიკა სამართლებრივი სისტემის შიგნით, ან მათთან კონსულტაციით როგორც სამოქალაქო ისე სისხლის სამართლის სფეროში“. ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ სასამართლო ფსიქოლოგის პრაქტიკა ასევე მოიცავს: „გამოძიებას, კვლევებს, შეფასებას, რჩევას ადვოკატისთვის, რეკომენდაციებს, ჩვენებას, რომელიც სასამართლოს წინაშე არსებული დავების გადაწყვეტას უწყობს ხელს და რომელიც დაკავშირებულია ქონებასთან ან სიცოცხლესთან, ასევე სიტუაციებში, სანამ დავა სასამართლომდე მიაღწევს ან სასამართლო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ. ძირითადი საკითხი „ვიწრო და ფართო“ განმარტებებს შორის მდგომარეობს იმაში, რომ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების წარმომადგენლები, რომლებიც მხარს უჭერენ ფართო დეფინიციას, სურთ, რომ ეს სფერო ასახავდეს მეტ „კვლევას“ და ნაკლებ „პრაქტიკას“, ვინაიდან ეს უკანასკნელი პრაქტიკოსებს ნაკლებად აინტერესებთ დაკავებული გრაფიკის გამო.

ერთ-ერთი ძირითადი განსხვავება ფსიქოლოგსა და ფსიქიატრს შორის მდგომარეობს იმაში, რომ ამ უკანასკნელს უფრო აქვს უფლება გამოწეროს წამლის რეცეპტი, მაგრამ უკვე 30-მდე შტატში დაიწყო ლობირება იმისთვის, რომ ფსიქოლოგებსაც მიენიჭოთ ეს უფლება. სხვა შეზღუდვებიც არსებობს, გამომდინარე საგანმანათლებლო თუ სხვა საკითხებიდან, მაგრამ შეზღუდვები არ არის უნიფიცირებული, ვინაიდან სასამართლო პრაქტიკა ყოვლისმომცველია. ფსიქიატრი ან კლინიკური ფსიქოლოგი საჭიროა იმისათვის, რომ ჩვენება მისცეს შეურაცხადობაზე ან გონებრივი აშლილო-

ბის ფორმებზე. ნევროლოგები და ნევრო-ფსიქოლოგები საჭირონი არიან, როდესაც აუცილებელია რენტგენის გადაღება ან ღI-ის ჩატარება. ხშირად ისინი შეზღუდულნი არიან მისცენ ჩვენება საშიშროებაზე, ვინაიდან ეს წარმოადგენს კრიმინალისტების საქმეს. ლიცენზირებული ფსიქოლოგი შეიძლება გამოყენებული იყოს ფსიქომეტრული ტესტისთვის, გარკვეული მონაწილეობა მიიღოს კომპეტენციის დადგენის საკითხში და უნარში, აღიქვას სასამართლო პროცესი, მაგრამ შტატების უმეტესობა მაინც ამ საკითხის გადასაწყვეტად იწვევენ ფსიქიატრებს, განსაკუთრებით კი, მკვლელობის საქმეებში. პრაქტიკოსი ფსიქიატრი უფრო მეტად ჩართულია გონებრივი მდგომარეობის, სამოქალაქო პასუხისმგებლობის, მკურნალობის პროგრამის დადგენაში და რეაბილიტაციის პოტენციალის განსაზღვრაში. სასამართლო სამედიცინო ფსიქოლოგია ყველა ზემოთ აღწერილს მოიცავს, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების(სი სხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა), სასჯელის დამძიმება თუ შემსუბუქება, ფსიქოლოგიური საკითხი სამუშაო ადგილას (რისკი, დისკრიმინაცია და აშ) და სასამართლო დარბაზში (ნაფიც მსაჯულთა შერჩევა, ნაფიც მსაჯულთა მოსაზრებები, წინასასამართლო საჯაროობა, თვითმხილველის ჩვენება და აშ). ქვემოთ მოცემულია ჩამონათვალი ფუნქციებისა, რომელსაც სასამართლო ფსიქოლოგი უნდა ფლობდეს:

- ფსიქოლოგიური შეფასება და ექსპერტის ჩვენება სასამართლო სამედიცინო საკითხებზე, როგორიცაა კომპეტენცია, შეურაცხადობა, „მირანდა“ უფლებების ჩამორთმევა, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, სიკვდილით დასჯის შემსუბუქება, ძალადობის მსხვერპლი ქალის სინდრომი, სხვა სინდრომები, ნარკოტიკზე დამოკიდებულება და სექსუალური აშლილობა;
- შეფასება, მკურნალობა და კონსულტაცია იმ პირებთან დაკავშირებით, ვინც ხასიათდებიან საზოგადოებაში, სამსახურში, სამკურნალო დაწესებულებასა და ციხეებში აგრესიის მაღალი ხარისხით, ასევე სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა სკრინინგი და შერჩევა;
- ჩვენება და შეფასება სამოქალაქო საკითხებზე, მაგალითად, როგორიცაა პირადი ზიანი, ბავშვზე მზრუნველობა, სამუშაო ადგილას დისკრიმინაცია, გონებრივი უუნარობა, პროფესიული დანაშაული, სამოქალაქო პასუხისმგებლობა და მეურვეობა.
- კვლევა, ჩვენება და კონსულტაცია ფსიქოლოგიურ საკითხებზე, რომლებიც გავლენას ახდენს სამართლებრივ პროცესზე, მაგალითად, როგორიცაა თვითმხილველის ჩვენება, ნაფიც მსაჯულთა შერჩევა, ბავშვის ჩვენება, დავიწყებული მოგონებები, წინასასამართლო საჯაროობა, სხვა ექსპერტი მოწმეების კვალიფიკაციის შეფასება.
- კვლევა და თეორიის ჩამოყალიბება კრიმინალისტიკაში, მათ შორის ჩარევის ფორმირება და შესრულება, პრევენცია, მკურნალობის პროგრამა არასრულწლოვანი დამნაშავეებისთვის, ასევე დანაშაულის მსხვერპლთა კონსულტაცია.

ფსიქოლოგიური მტკიცებულების დასაშვებობა

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი:

მუხლი 105. გამოძიების შეწყვეტის ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების ან შეწყვეტის საფუძვლები.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს, ხოლო დაწყებული დევნა უნდა შეწყდეს, თუ:

ბ) პირი დანაშაულის ჩადენისას შეურაცხადი იყო, რაც დადასტურებულია სახელმწიფო სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნით.

მუხლი 191. სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა საქმის არსებითი განხილვის დროს. შეურაცხაობის საკითხის განხილვა.

1. როდესაც არსებობს ამ კოდექსით დადგენილი საფუძველი, საქმის არსებითად განმხილველი სასამართლო მხარის შუამდგომლობით წყვეტს სისხლისსამართლებრივ დევნას. ამასთანავე, სასამართლო აუქმებს გამოყენებულ აღკვეთის ღონისძიებას, აგრეთვე წყვეტს ამ კოდექსით გათვალისწინებულ სხვა საკითხს.
2. თუ დადგინდა, რომ ბრალდებული დანაშაულის ჩადენისას შეურაცხადი იყო, სასამართლო მხარის შუამდგომლობით წყვეტს სისხლისსამართლებრივ დევნას მის მიმართ. მოსამართლე უფლებამოსილია ამ პირის მიმართ გამოიყენოს „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები.
3. თუ დადგინდა, რომ ბრალდებული დანაშაულის ჩადენისას შერაცხადი იყო, მაგრამ მისი ჩადენის შემდეგ შეურაცხადი გახდა, სასამართლოს გამოაქვს გამამტყუნებელი განაჩენი, რომლითაც განსაზღვრავს მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდას შესაბამის სამედიცინო (სამკურნალო) დაწესებულებაში მის გამოჯანმრთელებამდე, რის შემდეგაც მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდა გრძელდება საერთო წესით.
4. თუ დადგინდა, რომ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულს, რომელის მიმართაც დასრულებულია სამართალწარმოება, აღენიშნება ფსიქიკური აშლილობის ნიშნები, მისთვის ფსიქიატრიული დახმარების გაწევის საკითხი რეგულირდება „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონისა და პატიმრობის კოდექსის შესაბამისად. მსჯავრდებულის გამოჯანმრთელების შემთხვევაში მის მიერ სასჯელის მოხდა გრძელდება საერთო წესით.

მუხლი 144. ექსპერტიზის დანიშვნის საფუძველი

1. თუ მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების სათანადო დარგის ან ამა თუ იმ ხელობის ექსპერტთა მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივ გარემოებათა დადგენა, ასევე თუ სხეულს ან ინფორმაციის შემცველ ობიექტს ამჩნევია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე კვალი, ნიშანი ან თავისებურება, რომლის სწორად გაგება და აღქმა სპეციალ-

ური ცოდნის გარეშე შეუძლებელია, ტარდება ექსპერტიზა.
2. ექსპერტიზა ტარდება მხარის ინიციატივით.

ქვემოთ მოცემულია აშშ-ს სტანდარტი

მტკიცებულებათა ფედერალური კანონის სტანდარტი

- ფსიქოლოგიური ჩვენება უნდა იყოს შესაბამისი კონკრეტულ ფაქტთან მიმართებით და უფრო სავარაუდო გახადოს, ვიდრე ეს იქნებოდა ჩვენების გარეშე. მოკლედ რომ ვთქვათ, ფსიქოლოგია უნდა დაეხმაროს ფაქტებს და არ უნდა ჩაერიოს კანონში. მაგალითად, შეურაცხადობა სამართლებრივი კონცეფციაა.
- ფსიქოლოგიური ჩვენება უნდა უკავშირდებოდეს გონებრივ მდგომარეობას, ბრალდებულის პიროვნულ მახასიათებელს ან თვისებებს, ერთ-ერთი მათგანი საქმეში უნდა იყოს მნიშვნელოვანი გარემოება ჩვენების მიღებამდე.
- ფსიქოლოგიური ჩვენების ღირებულებამ უნდა გადაწონოს მისი საზიანო გავლენა. ხშირად ნაფიც მსაჯულებზე გავლენას ახდენს ექსპერტის კვალიფიკაცია ან ფსიქომეტრული ტესტირება, ასე რომ, სასამართლოს უნდა სჯეროდეს, რომ ჩვენების ღირებულება უფრო მაღალია, ვიდრე ექსპერტის გავლენა ნაფიც მსაჯულებზე.
- ექსპერტს უნდა ჰქონდეს ექსპერტული გამოცდილება ეჭვქვეშ დამდგარ საკითხზე კონკრეტულ საქმეში. ეს ნიშნავს, რომ განათლებისა და გამოცდილების ერთობლიობა აუცილებელია ექსპერტისთვის, თუ ერთ ექსპერტს აქვს მაგისტრის ხარისხი, მაგრამ ნაკლები გამოცდილება (ერთწლიანი სტაჟირება), ისინი ნაკლებად კვალიფიციურებად ითვლებიან მეორე ექსპერტთან მიმართებით, ვისაც მხოლოდ ბაკალავრის ხარისხი აქვს, მაგრამ, რომელსაც ექსპერტის ჩვენება მიცემული აქვს 40-მდე მსგავს საქმეზე.

ეთიკა: სპეციალიზებული სახელმძღვანელო პრინციპები სასამართლო სამედიცინო ექსპერტებისთვის.

ფსიქოლოგების ეთიკური პრინციპები წარმოადგენს ეთიკის კოდექსს მათთვის ვინც საკუთარ თავს ფსიქოლოგს უწოდებს და ვინც პროფესიულ ფსიქოლოგიურ საექსპერტო დასკვნებს გასცემს სასამართლო სისტემისთვის. ქვემოთ ჩამოთვლილი მთავარი საკითხებია მოცემული, რომელსაც ეს კოდექსი ეხება:

- **პასუხისმგებლობა** – მომსახურება და პროდუქტები უნდა იყოს უზრუნველყოფილი გულწრფელად და მაღალი პასუხისმგებლობით, პროფესიის მაღალი ხარისხის გათვალისწინებით;
- **კომპეტენცია** – მომსახურება უნდა ეხებოდეს ფსიქოლოგიის მხოლოდ იმ სფეროს, რომელშიც პიროვნებას აქვს სპეციალური განათლება, უნარები, გამოცდილება;

- **ურთიერთობები** – მომსახურების საფასური წინასწარ უნდა იყოს შეთანხმებული თავიდან, რომ იყოს აცილებული „გაუთვალისწინებელი ხარჯები“; საქმიანობის გარკვეული ნაწილი უნდა ჩატარდეს უფასოდ (პრო ბონო), კლიენტმა უნდა იცოდეს და უნდა იყოს ინფორმირებული მისი სამართლებრივი უფლებების შესახებ და კლიენტმა უნდა მისცეს ინფორმირებული თანხმობა;
- **კონფიდენციალურობა** – ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ დაცული იყოს კონფიდენციალურობა ნებისმიერი ინფორმაციის, რომელიც არ ეხება საკითხის სამართლებრივ მხარეს;
- **მეთოდები** – მიღებული კლინიკური და სამეცნიერო სტანდარტები სამეცნიერო და ემპირიული კვლევებისთვის უნდა იყოს გამოყენებული. აქტიურად უნდა ხდებოდეს ურთიერთსაწინააღმდეგო ჰიპოთეზების ტესტირება, ყურმოკრულ ინფორმაციაზე დაყრდნობის მინიმალიზაცია, ძალიან ფრთხილად უნდა მომზადდეს ანგარიშები და სხვა დოკუმენტები, რომელიც აჩვენებს, რომ გამოყენებული სტანდარტი უფრო მაღალია, ვიდრე ზოგადი კლინიკური პრაქტიკა.
- **კომუნიკაცია** – ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ გამოირიცხოს ნებისმიერი გაუგებრობა, მტკიცებულებისა და ჩვენების ბოროტად ან დაუდევრად გამოყენება, მაგრამ თავიდან უნდა იქნეს აცილებული ნებისმიერი სასამართლოს გარეთ გაკეთებული განცხადება.

პრაქტიკის ზოგიერთი სფერო

მოცემულია თითქმის ყველა სფერო, სადაც სასამართლო სამედიცინო ფსიქოლოგის მონაწილეობა მნიშვნელოვანი იყო. აქ შედის: ძალადობის ან საზოგადოებისათვის საშიში ქმედების რისკის შეფასება, სისხლის-სამართლებრივი ქცევის აღქმა, აგრესიის ფსიქოლოგია და არასრულწლოვნის დანაშაულებრივი მოქმედება, ნაფიც მსაჯულთა ქცევა და მათი შერჩევა, თვითმხილველის ჩვენების სისწორე, აღიარებისა და ცრუ ჩვენების ფსიქოლოგია, კომპეტენციის შეფასება, შეურაცხადობა-შერაცხადობის საკითხი, ოჯახში ძალადობა და საოჯახო სამართლის საკითხები, მათ შორის მეურვეობის შეფასება, არასოციალური ქცევის პრევენცია და მკურნალობა. ქვემოთ უფრო დეტალურად არის აღწერილი რამდენიმე მნიშვნელოვანი სფერო.

თვითმხილველი მოწმის ჩვენება

ზოგიერთი ფსიქოლოგი ცდილობს პრაქტიკა განახორციელოს მხოლოდ ერთ სფეროში, ანუ ისინი ცდილობენ ჩვენება მისცენ მხოლოდ ვიწრო საკითხებზე. როგორც წესი, ეს აუნაზღაურებელი სამუშაოა, განსხვავებით მრავალმხრივი პროფილის მქონე ფსიქოლოგებისა, ვინც ამ მოსახურებისთვის გასამრჯელოს იღებენ. თვითმხილველი მოწმის ჩვენება ერთ-ერთი ისეთი სფეროა. დაახლოებით წელიწადში 4250 არასწორი ბრალდების შემთხვევაა, რომელიც დადგა გულწრფელი, მაგრამ

არასწორი თვითმხილველი მოწმის ჩვენების საფუძველზე. სწორედ ეს აიძულებს სასამართლოებს მოიწვიონ სასამართლო სამედიცინო ფსიქოლოგები მეხსიერებისა და აღქმის საკითხებზე ჩვენების მისაცემად. სასამართლო სამედიცინო ფსიქოლოგი არ არის უფლებამოსილი ჩვენება მისცეს კონკრეტული მოწმის სისწორეზე, მხოლოდ ზოგადად მიღებული თვითმხილველი მოწმის ჩვენების არსანდოობაზე. მათ უფლება აქვთ განმარტება მისცენ აღქმის, ინფორმაციის გადამუშავების, მეხსიერების, მოვლენების აღდგენის მექანიზმზე და ასევე აღწერონ ემპირიული კვლევა, რომელიც მსგავს საკითხებზე იყო ჩატარებული. რაც შეეხება მსხვერპლებს, წესის მიხედვით ფსიქოლოგს უფლება აქვს მისცეს ჩვენება იმის თაობაზე, თუ რამდენად კარგად ახსოვთ ძალადობის მსხვერპლ ბავშვებს, ან ოჯახში ძალადობის, ან გაუპატიურების მსხვერპლს წარსულში მომხდარი ინციდენტი, მაგრამ მათ არ შეუძლიათ დაადგინონ კონკრეტული მსხვერპლი იყო ძალადობის მსხვერპლი, ნაცემი თუ გაუპატიურებული.

ზოგიერთ შტატში დაუშვებელია ფსიქოლოგის მიერ თვითმხილველის პიროვნებაზე ჩვენების მიცემა და ამის მიზეზი არის ის, რომ ეს ითვლება ნაფიც მსაჯულთა კომპეტენციაში შეჭრად.

ექსპერტის ჩვენება მოიცავს მოვლენათა ფაქტორების მიმოხილვას (ხანგრძლივობა, სირთულე და ძალადობა). თვითმხილველი, როგორც წესი, გადაჭარბებით აღიქვამს ხანგრძლივობას. ასევე გასათვალისწინებელია პირადი ფაქტორები (სტრესი, იარაღზე აქცენტი და მოლოდინები). ფსიქოლოგები გარკვეული ტერმინით მოიხსენიებენ სტრესსა და მეხსირებას შორის ურთიერთდამოკიდებულებას და მას იერკეს-დოდსონის კანონს უწოდებენ. მოლოდინი პირად შეგონებას, ლუტურულ შეგონებას და სტერეოტიპებს მოიცავს. დაახლოებით მსხვერპლთა ნახევარი, რომელსაც არც კი დაუნახავს და არც ხმა გაუგონია თავდამსხმელის, მიიჩნევს, რომ ეს იყო აფროამერიკელი. მეხსირებაზე ასევე გავლენას ახდენს შენახვის ფაქტორი. ერთი ფსიქოლოგი, ელიზაბეტ ლოფტუსი, იყო პირველი მკვლევარი, რომელმაც შეისწავლა გონებაში სიცარიელეების შევსების პროცესი (გარკვეული სიტყვებითა და არასწორი ინფორმაციით). როგორც წესი, ურთიერთდამოკიდებულება მოწმის რწმენასა და სიზუსტეს შორის უარყოფითია. დაბოლოს, ფსიქოლოგები განსაკუთრებით წინააღმდეგნი არიან პოლიციის მიერ ჩატარებული ამოცნობის პროცესისა, როდესაც მწკრივში დგას რამდენიმე პიროვნება.

სასამართლო პროცესის აღქმის კომპეტენცია

თუ განსასჯელის არარაციონალური ქცევა ცნობილია პროცესის მონაწილე რომელიმე მხარისთვის ან აშკარაა სასამართლოში, მაშინ დგება ეჭვი კომპეტენციის საკითხზე (სამართლებრივი საკითხი) და უნარზე, დაეხმაროს საკუთარ ადვოკატს. ასეთ საქმეში საჭიროა ჩატარდეს კომპეტენციის საკითხზე დამოუკიდებელი სხდომა. როგორც წესი, სასამართლო სამედიცინო ფსიქოლოგი მონაწილეობას იღებს ამ პროცესში. კომპეტენციის ნაკლებობა განსხვავდება შეურაცხადობისგან. თუ განსასჯელი ჩაითვლება არაკომპეტენტურად, მაშინ სასამართლო პროცესი არ გაიმართება. თუ განსასჯელი კომპეტენტურად ჩაითვლება, მაშინ სასამართლო პროცესი დაიწყება,

სადაც შერაცხადობის საკითხი იქნება განხილული.

კომპეტენციის დადგენა, როგორც წესი, ხდება სტაციონარული გამოკვლევის შედეგად საჯარო კლინიკაში ან სასჯელაღსრულების დაწესებულების ფსიქიატრიულ განყოფილებაში. იშვიათად ხდება კერძო კლინიკების ჩართვა. პირის გამოკვლევა ხდება დღეების ან კვირების განმავლობაში, მას ასევე უტარდება ფსიქიატრიული და ნევროლოგიური ტესტები. სასამართლო ამნეზიასა და აშლილობის სუსტ ფორმებს არ მიიჩნევს არაკომპეტენტურობის მტკიცებისათვის საკმარის გარემოებად. როგორც წესი, სასამართლოები მაინც წარადგენენ სასამართლოს წინაშე და წარმართავენ პროცესს იმ პირებზე, ვისაც ფსიქიატრი მიიჩნევს არაკომპეტენტურად. თუ პიროვნება გამოცხადებულია არაკომპეტენტურად, მაშინ სასამართლო მათ სავალდებულო რეაბილიტაციის გავლას მოსთხოვს როგორც მედიკამენტური მკურნალობით, ისე თერაპიით იმ ვადამდე, სანამ ისინი ვერ შეძლებენ სასამართლო პროცესზე გამოსვლას. ფსიქოლოგებს ხშირად უხდიან ფულს პიროვნებისთვის კომპეტენციის აღდგენის მიზნით იმისათვის, რომ მათ შეძლონ სასამართლო პროცესზე გამოსვლა, რაც ხშირად პირდაპირი დარღვევაა ინტერესთა კონფლიქტის, ვინაიდან ისინი ჩვენებას იძლევიან პირის არაკომპეტენტურობის თაობაზე და შემდეგ საკუთარ ან კოლეგის კლინიკაში მკურნალობენ.

სასამართლო სამედიცინო მკურნალობა სამ კატეგორიად იყოფა: ტრადიციული (მედიკამენტოზური, საოჯახო თერაპია); თანამედროვე (შემეცნებითი თერაპია, ფსიქოლოგიური განათლება) და გამიზნული (ქცევითი დამოკიდებულება კომპეტენციის აღდგენაზე, მათ შორის როლური თამაშები და იმიტირებული სასამართლო პროცესი). დაახლოებით 50-70%-ში მკურნალობა შედეგს იძლევა და პირს აქვს უფრო მაღალი უნარი ეფექტურად ფუნქციონირების და შეუძლიათ სასამართლო პროცესზე გამოსვლა.

შეურაცხადობა

მუხლი 34. შეურაცხადობა ფსიქიკური დაავადების გამო

3. ამ კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება არ შეერაცხება ბრალად იმას, ვისაც ამ ქმედების ჩადენის დროს ქრონიკული ფსიქიკური ავადმყოფობის, ფსიქიკის დროებითი აშლილობის, ჭკუასუსტობის ან სხვა ფსიქიკური დაავადების გამო არ შეეძლო გაეცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი ან მართლწინააღმდეგობა, ანდა ეხელმძღვანელა მისთვის.
4. თუ დანაშაული შერაცხადმა პირმა ჩაიდინა, მაგრამ იგი ფსიქიკურად დაავადდა განაჩენის გამოტანამდე, რის გამოც არ შეუძლია ანგარიში გაუწიოს თავს ან უხელმძღვანელოს მას, პირი სასამართლოს მიერ შეფარდებულ სასჯელს გამოჯანმრთელებამდე მოიხდის შესაბამის სამედიცინო (სამკურნალო) დაწესებულებაში.

როგორც „შერაცხადობა“, ისე „შეურაცხადობა“ არის სამართლებრივი ტერმინები და სასამართლო სამედიცინო ფსიქოლოგებმა და ფსიქიატრებმა მათი სამეცნიერო ენა უნდა დაუკავშირონ ამ ტერმინებს. სხვადასხვა სამართლებრივ იურისდიქციაში

„შეურაცხადობა“ სხვადასხვანაირად არის განმარტებული და განსხვავებულ ტესტებს საჭიროებს. არსებობს 5 სახის სხვადასხვა ტესტი აშშ-ში სხვადასხვა იურისდიქციაში; ესენია:

1. მაკნატენის ტესტი (1843) – ეს არის დაცვის მხარისთვის ყველაზე რთული დასაკმაყოფილებლად და შედგება ორი ტესტისგან: ერთი – იმის განსაზღვრა რომ განსასჯელს აწუხებდა გონებრივი დეფექტი და მეორე, რომ დანაშაულის ჩადენის მომენტში განსაჯელი ვერ ასხვავებდა ერთმანეთისგან სწორ და არასწორ ქმედებას:
2. ძლიერი იმპულსური ტესტი (1844) – განსასჯელის უუნარობა მოიქცეს სხვანაირად და ეხება ისეთ საკითხებს, როდესაც ადამიანი მაინც არასწორად მოქმედებს როდესაც ეს იცის;
3. დურჰამის ტესტი (1954) – ეს ტესტი არ გამოიყენება და აფასებდა, დანაშაული იყო თუ არა გონებრივი დაავადების შედეგი.
4. ALI ტესტი (1970) – ჩამოყალიბებულია ამერიკის სამართლის ინსტიტუტის მიერ, ადგენს დანაშაულის ჩადენის დროს, ფსიქიკური დაავადების გამო პირს არ შესწევდა უნარი გაეთვითცნობიერებინა დანაშაულებრივი ქმედება ან დამორჩილებოდა კანონს.
5. ფედერალური წესი (1982) – ეს წესი კოდიფიცირებულია 1974 წლის შეურაცხადობის დაცვის რეფორმის აქტში და ადგენს, თუ ძლიერმა ფსიქიკურმა აშლილობამ ან დაავადებამ ხომ არ გამოიწვია პიროვნების მიერ დანაშაულებრივი ქმედების გაუაზრებლობა.

შეურაცხადობის საკითხის განხილვა ძალიან შორს წაგვიყვანს, მაგრამ პრობლემას წარმოადგენს სხვადასხვა ტესტის ისტორიული ფესვების გარკვევა.ყველაზე დიდი გაუგებრობა დაკავშირებული იყო მაკნათენის ტესტთან, რომლის თანამედროვე ეკვივალენტია დურჰამის ტესტი. მაკნათენის ტესტის „ცნობილი“ მოთხოვნა პირველად შეიცვალა ფრიმანის სტანდარტით და „ფსიქიკური დაავადება ან დეფექტი“ (ორი განსხვავებული საკითხი) შეიცვალა ALI ტესტის კომპონენტებით. დურჰამის ტესტი მოქმედებდა მხოლოდ კოლუმბიის ოლქში 1954-1972 წლებში. ფსიქიკური დეფექტი ხშირად მიიჩნევა მუდმივად, ფსიქიკური დაავადება კი არ არის აუცილებელი, რომ იყოს მუდმივი. ფსიქიკურ დეფექტს ეხება მაკნათენის ტესტი და მოითხოვდა განუკურნებელი მდგომარეობის დამტკიცებას. თანამედროვე ფსიქოლოგია ეხება ფსიქიკურ დაავადებას და ფსიქიატრებს იშვიათად სჯერათ განუკურნებლობის. დურჰამის ტესტი უფრო ახლოს არის ფრიმანის, ვოლფის ტესტებთან და სხვა ტესტებთან, რომლებმაც შემოიღეს შეზღუდული შესაძლებლობის სტანდარტი. ასევე არსებობს მაკნათენის საპირისპირო ტესტი.

სადავო დოკუმენტების ექსპერტიზა

„სადავო“ დოკუმენტია ნებისმიერი სახის ხელმოწერა, ხელნაწერი, ნაბეჭდი ან სხვაგვარად შექმნილი საბუთი, რომლის წყარო ან ავთენტურობა სადავოა ან ეჭვქვეშაა. სადავო დოკუმენტებიდან ყველაზე გავრცელებულია წერილები, ჩეკები, მართვის მოწმობები, კონტრაქტები, ანდერძები, ამომრჩევლის რეგისტრაციის მოწმობები, პასპორტები, პეტიციები, მუქარის წერილები, თვითმკვლელობის ბარათები და ლატარიის ბილეთებიც კი. ისტორიულად სადავო დოკუმენტების გამოკვლევა ფართო მეცნიერება იყო და მრავალფეროვან ექსპერტებს მოიცავდა, მათ შორის ფსევდოექსპერტებსაც (მაგ., ხელისგულზე მკითხავებს). ამჟამადაც ეს მიმართულება იდენტობის კრიზისს განიცდის, რადგან სულ მინიმუმ 8 დაკავშირებულ მიმართულებას გამოარჩევენ:

- სადავო დოკუმენტების მკვლევარი – იძიებს მოცემულ დოკუმენტს. მას არ შეუძლია ერთ ავტორზე მეტის დადგენა, რადგან მას არ აქვს ლაბორატორიულ მოწყობილობებზე წვდომა.
- ისტორიული დათარიღება – ეს სამუშაო მოიცავს დოკუმენტის ან ნივთის ასაკისა და ღირებულების დადგენას. ამ გამოკვლევასაც ხანდახან სადავო დოკუმენტების მკვლევარი აწარმოებს.
- თაღლითობის გამომძიებლები – ეს არის სამუშაო, რომელიც ხშირად ემთხვევა სადავო დოკუმენტების მკვლევარის საქმიანობას და ძირითადად მოიცავს ფულის გაყალბებასა და დანაშაულებრივ განზრახვას.
- ქაღალდისა და მელნის ექსპერტები – ესენი არიან საჯარო ან კერძო ექსპერტები, რომელბიც ქიმიური მეთოდების გამოყენებით ათარიღებენ, მიაკუთვნებენ, ახარისხებენ, წარმოშობას ადგენენ და/ან კატალოგიზაციას ახდენენ სხვადასხვა ტიპის ქაღალდის, ქაღალდზე წყლის ნიშანის, მელნის, პრინტერის/ქსეროქსის/ფაქსის დანადგარების და ა.შ.
- გაყალბების სპეციალისტები – ესენი არიან საჯარო ან კერძო ექსპერტები, რომლებიც ინფრაწითელი განათების, სპექტროგრაფიული ხელსაწყოებისა და ციფრული გამადიდებლების მეშვეობით, სწავლობენ გადაკეთებულ, განადგურებულ, შეცვლილ ან ფალსიფიცირებულ დოკუმენტებს.
- ხელნაწერის ანალიზი – როგორც წესი, ესენი პროფესიონალი ფსიქოლოგები არიან, რომლებიც ხელნაწერის ნიმუშიდან პიროვნების პერსონალურ შტრიხებს აფასებენ, მათ ასევე უწოდებენ გრაფოლოგებს ან გრაფოანალიტიკოსებს; სასამართლო სტილისტიკა იმავე მიზნით გამოყენებულ სემანტიკას, მართლწერას, სიტყვების არჩევანს, სინტაქსს და ფრაზეოლოგიას აკვირდება.
- ნაბეჭდი დოკუმენტების ანალიტიკოსი – ეს ექსპერტები ერკვევიან საბეჭდი მანქანების წარმოშობაში, მარკასა და მოდელში.
- კომპიუტერული დანაშაულის გამომძიებლები – ეს ახლად გავითარებული პროფესიაა, რომელიც სადავო დოკუმენტების მკვლევართან გარკვეულწილად კავშირშია, რადგან მათ გარკვეულწილად საგამოძიებო პროცედურები აერთიანებთ.

ალბათ უშედეგო მცდელობაა სადავო დოკუმენტების ექსპერტიზის სხვადასხვა სფეროებად მკვეთრი დაყოფა, რადგან ყოველთვის იარსებებს გარკვეული თანხვედრა, შემდგომი ევოლუცია, და, ალბათ, დაპირისპირებაც კი.

საგამოძიებო საფუძვლები

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია იმის სწორი გაგება, თუ რას ეძებენ სადავო დოკუმენტების ექპერტები. ამას მივყავართ ინდივიდუალურ და ჯგუფურ მახასიათებლებს შორის განსხვავებამდე.

საერთო ჯამში, ჯგუფური მახასიათებლები, რომლებიც ხშირად ამოიღება დანაშაულის ადგილიდან, ნივთმტკიცებას მხოლოდ ჯგუფური ნიშნით ახასიათებს და არ უკავშირებს მას ინდივიდუალურ წყაროს. ამგვარი მტკიცებულება მხოლოდ დამხმარე მტკიცებულებად გამოიყენება. პრობლემა ისაა, რომ ლიმიტირებულია ან საერთოდ არ არსებობს მათემატიკური ფორმულები, რომელიც ჯგუფური ნიშნის მქონე ნივთმტკიცებიდან ალბათობებს დაადგენდა. ინდივიდუალური მახასიათებლები კი ნივთმტკიცების წყაროსთან თანხვედრის ალბათობას დასაბუთებულად ადასტურებს მათემატიკური ფორმულების გამოყენებით.

თეორიული დასაბუთება

სადავო დოკუმენტების ექპერტები მრავალი დისციპლინიდან განსხვავებულ მეცნიერულ პრინციპებს იყენებენ; ამ პრინციპების აღწერის პირველი მცდელობა გვხვდება 1910 წელს ალბერტ ოსბორნის მიერ გამოცემულ ნაშრომში – „სადავო დოკუმენტები“. ქვემოთ ჩამოთვლილია მასში გადმოცემული ინდივიდუალური თვისებების მქონე მტკიცებულებების შედარების საფუძვლები:

1. ყველაზე ადვილი დასადგენი ის თვისებებია, რომელიც ცდება ჩვეულებრივ სისტემას ან საშუალო არითმეტიკულს ეროვნულ დონეზე.
2. პირველად გამოკვლეული უნდა იყოს ფარული განმეორებითი მახასიათებლები და სწორედ მათ უნდა მიენიჭოს უპირატესი მნიშვნელობა
3. ჩვეულებრივი ან ეროვნული სისტემური მსგავსებები არ არის საკმარისი დასკვნების გამოსატანად.
4. იდენტიფიკაციისთვის საჭიროა არსებობდეს განსაკუთრებული, საერთო და იშვიათი თვისებების თანხვედრა.
5. წარმოუდგენელია იმის დადგენა თუ როგორ განვითარდა თითოეული უცნაური ან განსაკუთრებული თვისება.
6. ადამიანები სრულიად დაუკვირვებელ მოძრაობებს აკეთებენ საუბრისას და წერისას.
7. ინდივიდუალური თვისება შეიძლება გამოეწვია მასწავლებლის შცდომას.
8. ბევრი ნიშან-თვისება ერთ დროს პოპულარული მანერის ასლია ან მისი განშტოება.

ხელწერის შედარების ფსიქოლოგიური თეორია ჯერ კიდევ ვითარდება. ბავშვები ხელწერას იმ დროს არსებული პოპულარული სტილიდან იღებენ. ამ სტილს ჩვეულებრივი ან ეროვნული სისტემა ეწოდება. უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში მხოლოდ ორი სისტემა – პალერის ან ზენერ-ბლოსერის – იყო ცნობილი. ამჟამად კი მრავალი ახალი სისტემა არსებობს, და კიდევ ადამიანები უკვე სრულიად უსისტემოდაც წერენ. ბავშვის ზრდასთან ერთად წერა ქვეცნობიერების დონეზე გადადის, რომლის დროსაც იგი ითვისებს ისეთ ფორმასა და სტილს, რომელიც მისთვისაა დამახასითებელი და გამოირჩევა ყველა სხვა მანერისგან. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა დიდი ასოებისა და ციფრების წერისას. ხელნაწერი ინდივიდუალური თვისებებით ხასიათდება, სწორედ იმიტომ, რომ იგი გაუცნობიერებელი ქცევაა. ორი ადამიანის გაუცნობიერებელი ნაწერი კი არასდროს არაა იდენტური. მექანიკური, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ფაქტორები გამორიცხავენ იმის ალბათობას, რომ ორ ადამიანს იდენტური ხელწერა ჰქონდეთ. ამდენად, მნიშვნელოვანია სადავო დოკუმენტის ექსპერტიზისას, ორიგინალის გარდა, წარმოდგენილი იყოს საკონტროლო ნიმუში, რომელიც იმავე პერიოდის იქნება, როდესაც აღნიშნული სადავო დოკუმენტი შეიქმნა. ქვემოთ მოყვანილი პირობების შესრულება აუცილებელია, და მათ შედარების სტანდარტებს უწოდებენ:

- თავიდან უნდა ავირიდოთ განზრახ უხეში, არაბუნებრივი ან ბუნებრივი სტილის განზრახ დამახინჯებული ნიმუშების ექსპერტიზა;
- სასურველია, ექსპერტიზა გაიაროს რამდენიმე ნიმუშმა, თუ საჭირო გახდება, მრავალმა გვერდმა, იმისათვის, რომ მრავალგზის შედარდეს ინდივიდუალური მახასიათებლები და დადგინდეს მსგავსება საერთო და იშვიათ კომბინაციებს შორის.
- ნიმუშები აღებული უნდა იყოს სადავო დოკუმენტის შედგენიდან არა უმეტეს 3 წლის შუალედში, რათა გამოირიცხოს სტილის ცვლილება, რომელიც დროთა განმავლობაში შეიძლება განვითარდეს.
- ნიმუში უნდა შეიცავდეს ნაკარნახებ ტექსტს – ისეთ სიტყვებსა და ფრაზებს, რომელიც ორიგინალ დოკუმენტში გვხვდება.
- საწერკალამი და ფურცელი, სასურველია, ისევე იყოს განლაგებული, როგორც სადავო დოკუმენტის შექმნისას (თუ ეს ფაქტები ცნობილია).

ტექნიკურ-სამართლებრივი მოსაზრებები

სამართლებრივად აუცილებელია თვით ნიმუშის ავტენტურობის დადგენაც კი. ავთენტურობის დადგენა, ანუ დოკუმენტის წარმოშობის წყაროს დადგენა, აუცილებელია ყველა ნივთმტკიცებისთვის. ეს შეიძლება განხორციელდეს მოწმის ჩვენების საფუძველზე, რომელმაც იხილა, თუ როგორ შეიქმნა ნიმუშის ორიგინალი. ტექნიკურად პოლიციასაც კი შეუძლია ავთენტურობის შესამოწმებელი ნიმუშის შესრულება მოსთხოვოს ადამიანს, რადგან კონსტიტუციის მე-4 და მე-5 შესწორება ხელნაწერს საერთოდ არ ეხება. ხელნაწერის ავთენტურობის დადგენის პროცესში დარღვევების აღმოჩენა არ წარმოშობს მისი შეცვლის საფუძველს. ბრალდებულმა შეიძლება ახალი სასამართლო პროცესი მიიღოს, მაგრამ ისინი არ თავისუფლდებიან ბრალისგან. ბრალ-

დებულის მიერ ხელნაწერის მიცემაზე უარის თქმა ბრალის აღიარების ტოლფასია. ხელნაწერის შემთხვევაში არ მოქმედებს „დუმილის“ უფლება.

არსებობს პოტენციური პრობლემა ხელმოწერასთან დაკავშირებით. ადამიანებს, როგორც წესი, 3 განსხვავებული ხელმოწერა აქვთ: (1) ფორმალური, რომელსაც მნიშვნელოვან დოკუმენტებში იყენებენ, (2)რუტინული, რომელსაც ყოველდღიურ კორესპონდენციას აწერენ; და (3) არაფორმალური – მოკლე შეტყობინებებზე. გარდა ამისა, ისეთი ფაქტორებიც ახდენენ გავლენას, როგორიცაა ასაკი, ემოციური მდგომარეობა, მედიკამენტების ზემოქმედება, ინტოქსიკაცია და ა.შ. სადავო დოკუმენტების ექსპერტმა ყველა ეს ფაქტორი უნდა გაითვალისწინოს გამომძიებელთან ან დაცვის მხარესთან შეთანხმებით და უნდა მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილება. ლარი მილერის 1987 წლის ნაშრომი, რომელიც გაყალბების შესახებ ლიტერატურას ეყრდნობა, საჭირო რჩევებს იძლევა, როდესაც საქმე ეხება შეგნებულად დაზიანებულ ნიმუშებს:

ხაზის ხარისხი	არარეგულარული, ეტყობა რიტმის ნაკლებობა.
ზომა/პროპორცია	უფრო დიდი, ფართო, მაღალი, არათანმიმდევრული, სხვადასხვა ინტერვალი დიდი ასოების შემდ
კალმის აღება	ხშირი კალმის აღება
კუთხე	5%-ზე მეტი დახრა
კალამზე ზეწოლა	ჩვეულზე უფრო ძლიერი
წრის შექმნა	უფრო კვერცხის ფორმის ან წრიული მოძარაობის საპირისპიროდ შედგენილი
ხელახლა შეხება	ხელახლა შეხება, ფორმალური ნიშნების იგივე გამოიყენება, ხშირად ხდება ერთი და იმავე ადგილას მიბრუნება. უცხო ნიშნები შეიმჩნევა.

ლიტერატურა:

Brunelle, R. (1982). “Questioned Document Examination” in R. Saferstein (ed.) Forensic Science Handbook. Englewood Cliffs, NJ: Prentice-Hall.
Dines, J. (1998). Document Examiner Handbook. NY: Pantex.
Ellen, D. (2005). Scientific Examination of Documents, 3e. Boca Raton: CRC Press.
Huber, R. & A. Headrick. (1999). Handwriting Identification. Boca Raton: CRC Press.
Kelly, J. & Lindblom, B. (Eds.) (2006). Scientific Examination of Questioned Documents, 2e. Boca Raton, FL: CRC Press.
Koppenhaver, K. (1991). The Business of Document Examination. MO: Forensic Publishers of Joppa.
Miller, L. (1984). “Bias Among Forensic Document Examiners: A Need for Procedural Change” Journal of Police Science & Administration 12:407-11.
Miller, L. (1987). “Forensic Examination of Arthritic Impaired Writings” Ibid 15:51-55.
Moenssens, A., J. Starrs, C. Henderson & F. Inbau. (1995). Scientific Evidence in Civil and Criminal Cases. Westbury, NY: Foundation Press.
Osborn, S. & A. (1991). Questioned Document Problems:
The Discovery & Proof of the Facts. NJ: Patterson Smith Saudek, R. (1978). Psychology of Handwriting. NY: Books for Professionals.

სასამართლო სეროლოგია

სისხლის მახასიათებლების დადგენა, სისხლის ანალიზის ჩატარება, სისხლის ლაქების გამოკვლევა და ჩვენებისთვის მომზადება ან შედეგების სასამართლოში პრეზენტაცია, სასამართლო სეროლოგიის ძირითადი ფუნქციაა. იგი ასევე იკვლევს ნერწყვს და სხვა ადამიანურ სითხეებს და შეიძლება ჩართული იყოს დნმ-ის დადგენაში. უნდა აღინიშნოს, რომ დანაშაულის კვლევის არაერთ ლაბორატორიაში, სეროლოგი, როგორც ასეთი, შეიძლება საერთოდ არ ჰყავდეთ და მის ფუნქციებს კრიმინალისტი, ბიოქიმიკოსი, ბიოლოგი ან სხვა ტექნიკური პერსონალი ასრულებდეს. ასეთ პერსონალს, როგორც მინიმუმ, ბაკალავრის ან მაგისტრატურის დიპლომი უნდა ჰქონდეს, სეროლოგს კი სამედიცინო ან სადოქტორო ხარისხი. რთულია იპოვო ისეთი სეროლოგი, რომელსაც დასრულებული აქვს მხოლოდ ბაკალავრიატი. ზოგიერთ შტატში მიღებულია კანონი, რომელიც იღებს სეროლოგის დასკვნას, თუმცა მისი გამოძახება სასამართლოში და ჩვენების მიცემა, სავალდებულო არაა. ამით იცავენ დანაშაულის ლაბორატორიებში მომუშავე ტექნიკოსებს. სხვა შტატებში სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ბიუროებს მიმართავს როგორც დაცვის მხარე, ასევე პროკურატურა, სასამართლო პათანატომის, სერტიფიცირებული ტოქსიკოლოგის, ბიოქიმიის პროფესორის, ჰემატოლოგის, ან იმუნოლოგის სასამართლოში გამოსაძახებლად.

სისხლის ლაქების გამოკვლევის შემთხვევებში აშშ-ს სასამართლოები, როგორც წესი, ექსპერტად მიიღებენ პირებს, რომლებსაც შეიძლება არ ჰქონდეს სპეციფიკური განათლება ამ დარგში, თუმცა ჩატარებული აქვს საკმარისზე მეტი გამოკვლევა და შეუძლია საკუთარი მოსაზრების გამოთქმა. მეტიც, სისხლი და სისხლის ლაქები იმდენად ხშირად გვხვდება დანაშაულის ადგილზე, რომ სასამართლოში მის შესახებ ჩვენება შეიძლება თვით პოლიციის გამომძიებელმაც კი მისცეს. ნივთმტკიცებების ფედერალური კანონმდებლობის 704-მუხლი გარკვეულწილად უშვებს ამ პრეცედენტს.

სისხლი, ყველაზე ხშირი, კარგად გამოკვლეული და მნიშვნელოვანი მტკიცებულებაა სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში. მისი ჩანაცვლება ძნელია როგორც სამედიცინო, ისე სასამართლო კუთხით. მისი აღმოჩენა ძალადობის ადგილზე ერთმანეთთან აკავშირებს ეჭვმიტანილსა და მსხვერპლს. სისხლის ლაქები მეტყველებენ ასევე დანაშაულის დროს განვითარებულ მოძრაობებსა და პოზიციებზე: ვინ ვინ დაჭრა, რა საშუალებით, რამდენჯერ. ეს, როგორც წესი, თავდაცვის მოტივზე აგებულ ალიბს სრულიად ანადგურებს და სულ მინიმუმ, საშუალებას აძლევს ეჭვმიტანილს ახსნას რა მოხდა. კრიმინალები უკვე წლებია ცდილობენ გააქრონ სისხლის კვალი დანაშაულის ადგილიდან, მაგრამ ეს ის დარგია, რომელიც ყოველთვის ერთი ნაბიჯით უსწრებდა წინ კრიმინალებს.

სისხლი ოდნავ ალკალინური სითხეა, რომელიც წყლისგან, უჯრედებისგან, ენზიმებისგან, ორიტეინებისა და არაორგანული ნივთიერებებისგან შედგება. იგი მოძრაობს სისხლძარღვთა სისტემის მეშვეობით და გადააქვს საკვები, ისევე როგორც ჟანგბადი და მომწამლავი ნივთიერებაც კი. სისხლი პლაზმისგან შედგება, რაც უმთავრესად წყალია, და ასევე შრატისგან, რომელიც მოყვითალოა და შეიცავს დიდი რაოდენობით თეთრ უჯრედებს. სისხლის ყველაზე არათხევადი ნაწილი წითელი უჯრედებისგან შედგება, რომელიც ხუთასი ერთთან მიმართებით აჭარბებს სისხლში არსებულ თეთრ უჯრედებს. რამდენადაც მედიკოსები უფრო არიან დაინტერესებული თეთრი უჯრედების კვლევით, იმდენად სასამართლო ექსპერტებს წითელი უჯრედები და შრატი აინტერესებთ. შრატის ანალიზით დგინდება, თუ რამდენად ახალია სისხლის ნიმუში, რადგანაც იგი ჰაერთან შეხებისთანავე რამდენიმე წუთში დედდება. შრატში ასევე გვხვდე ანტისხეულები, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს საექსპერტო კუთხით. წითელ უჯრედებში კი, როგორც წესი, ანტიგენებს იკვლევენ. შესაძლებელია ითქვას კიდეც, რომ სასამართლო სეროლოგია სხვა არაფერია, თუ არა ანტიგენებისა და ანტისხეულების კვლევა. ეს კი იმუნოლოგიის სფეროა.



ქსპერტიზის კანონებში, სისხლი ყოველთვის ჯგუფურ ნივთმტკიცებად იყო მიჩნეული. თუმცა მისი პოტენციალი, სისხლი განვითარდეს ინდივიდუალური ტიპოლოგიის კუთხით, საკმაოდ დიდია. შესაძლებელია იდენტურ ტყუპებს ერთნაირი დნმ-ი ჰქონდეთ, თუმცა ანტისხეულების პროფილი სხვადასხვა. ამდენად, ხედავთ, რამდენად იმედის მომცემია სასამართლო სეროლოგიის დარგი.

სისხლის ტიპოლოგია

სისხლის ტიპოლოგია, რომელსაც ამჟამად A-B-O სისტემასაც უწოდებენ, 1901 წელს იქნა აღმოჩენილი. რამდენიმე წლის შემდეგ, 1937 წლიდან სისხლში აღმოაჩინეს ანტიგენები და ანტისხეულები, მათ შორის ყველაზე გავრცელებული ABH, MN, Rh, და Gm. ადამიანების უმეტესობა მხოლოდ Rh ფაქტორს იცნობს, რომელიც ტექნიკურად D ანტიგენია. არსებობს 256-ზე მეტი ანტიგენი და ამ ანტიგენებზე დაყრდნობით 23 სისხლის ჯგუფის სისტემა.

სეროლოგიის ძირითადი პრინციპი ისაა, რომ თითოეულ ანტიგენზე კონკრეტული ანტისხეული მოდის. მეტიც, ყველა სისხლის ჯგუფი განისაზღვრება წითელ უჯრედებში არსებული ანტიგენებისა და შრატში არსებული ანტისხეულებით.

სისხლის ჯგუფი	წითელი უჯრედების ანტიგენები	შრატის ანტისხეულები
A	A	ანტი-B
B	B	ანტი-A
AB	AB	არც-A ან არც-B
O	არც A არც B	ორივე ანტი-A და ანტი-B

სისხლის ჯგუფის რუტინული დადგენისათვის, საჭიროა ორი ანტიშრატი: ანტი-A და ანტი-B, რაც ადვილად ხელმისაწვდომია კომერციულადაც. ანტიშრატის სისხლის ნიმუშში ჩაწვეთებით, თქვენ დაინახავთ, რომელი ნიმუში შეინარჩუნებს ნორმალურ გარეგნობას (200-ჯერ გადიდების შემდეგ) და რომელი გახდება ერთგვარად შეწებებული. ფაქტობრივად სისხლის ჯგუფის დადგენისას, სისხლში შეგვყავს ყველაზე მომწამვლელი ნივთიერება, იმისთვის, რომ დავინახოთ რა მოხდება. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ, მიუხედავად გარკვეული რასობრივი და/ან გეოგრაფიული თავისებურებებისა, სისხლის ჯგუფები მოსახლეობაში შემდეგნაირადაა გადანაწილებული:

O	A	B	AB
43-45%	40-42%	10-12%	3-5%
O+ 39% O- 6%	A+ 35% A- 5%	B+ 8% B- 2%	AB+ 4% AB- 1%

„O“ ჯგუფის სისხლი ყველაზე მეტად აბორიგენ მოსახლეობაშია გავრცელებული და ლათინო ამერიკელებში. „A“ ჯგუფი ძირითადად თეთრკანიანებში გვხვდება. „B“ ჯგუფი უფრო ხშირია აფროამერიკელებსა და აზიელებში (მაგ., ტაილანდელებში). „AB“ ჯგუფი კი იაპონელებში ჩინელებში გვხვდება. საინტერესოა ის გარემოება, რომ ახლო აღმოსავლეთის მოსახელობის სისხლში ვაწყდებით ბირთვულ წითელ უჯრედებს, როგორც წესი კი, წითელი უჯრედები უბირთვოა. მამაკაცებს მეტი წითელი უჯრედები აქვთ, ვიდრე ქალებს. წითელი უჯრედები ღეროვანი უჯრედებიდან წარმოიქმნა, ღეროვანი უჯრედები კი ძვლის ტვინში, ნეკნებში, მენჯსა და ხერხემალში გვხვდება. თუმცა, წითელი უჯრედების წარმოქმნას თირკმლის მიერ გამომუშავებული სპეციალური ჰორმონი აკონტროლებს, რომელიც, თავის მხრივ, ძვლებს მიუთითებს აწარმოონ უფრო მეტი წითელი უჯრედები. ABO სისტემის გარდა კიდევ არსებობს იშვიათი სისხლის ჯგუფებიც.

სისხლის ჯგუფების უფრო სრულფასოვანი დაშლა შესაძლებელია Rh (რეზუსი) ფაქტორის გამოყენებით. ადამიანების უმეტესობას (85 %-ს) დადებით, რეზუსი აქვს. ექიმები კი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ქალბატონებს, რომელთაც რეზუსი

უარყოფითი აქვთ და ფეხმძიმედ არიან. რეზუსის სისტემა უფრო რთულია, ვიდრე ABO-ს სისტემა, რადგანაც ამ შემთხვევაში დაახლოებით 30-მდე კომბინაცია არსებობს. თუმცა გამარტივების მიზნით აღსანიშნავია რეზუსი ან დადებითია, ან უარყოფითი. რეზუს ფაქტორები, მაგალითად, ანტიგენები, წითელი უჯრედების საფარველზე მოიპოვება. სასამართლო ექსპერტებმა გამოიყვანეს ჯგუფებთან მიმართებაში რეზუს ფაქტორის შემდეგი დისტრიბუცია:

O+	3-დან ერთ ადამიანში
O-	15-დან ერთ ადამიანში
A+	3-დან ერთ ადამიანში
A-	16-დან ერთ ადამიანში
B+	12-დან ერთ ადამიანში
B-	67-დან ერთ ადამიანში
AB+	29-დან ერთ ადამიანში
AB-	167-დან ერთ ადამიანში

ასევე შესაძლებელია ABO-ს სისტემაში ქვეჯგუფების განსაზღვრა. სისხლის თითოეულ ჯგუფს, როგორც წესი, მინიმუმ ორი ქვეჯგუფი აქვთ – O1, O2, A1, A2, და ა.შ.

სისხლის ტიპოლოგია ინდივიდუალურად შესაძლებელია პროტეინებისა და ენზიმების კატეგორიების მიხედვით. სასამართლო სეროლოგები ამ მეთოდს თითქმის ყოველთვის მიმართავენ. სისხლის პროტეინებსა და ენზიმებს ე.წ. პოლიმორფოზის თვისება აქვთ, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი რამდენიმე ვარიანტად არსებობენ, ხოლო თითოეულ ტიპს აქვს კიდევ ქვეტიპი. ადამიანების უმეტესობა, როგორც მინიმუმ, ერთ გავრცელებულ პოლი-მორფოზას იცნობენ: ბ-ს, რომელიც ნამგლის ფორმის უჯრედის ანემიას იწვევს. ქვემოთ მოცემულია სხვა გავრცელებული პოლიმორფოზები:

PGM 2-1
EAP
EsD
AK
ADA
GPT
6-PGD
G-6-PD
Tf

პროტეინისა და ენზიმების თითოეული ვარიაცია, ისევე როგორც სისხლის ქვეჯგუფების გავრცელება მოსახლეობაში, უკვე დაახლოებით დაანგარიშებულია. ამდენად, ადვილდება ვარაუდის გამოხატვა. მოდით, მივმართოთ არითმეტიკას: ვთქვათ,

თქვენ დანაშაულის ადგილას მოიპოვეთ ეჭვმიტანილის სისხლის ნიმუში, რომელიც A ჯგუფის აღმოჩნდა (42%), ქვეტიპი – A2 (25%), პროტეინი – AK (15%) და ენზიმი – PGM 2 (6%). ისეთი ორი ადამიანის მოძიება, რომელსაც ამ ტიპის სისხლი ექნება, 0.000945 -ზე ნაკლებია (.42 x .25 x .15 x .06). რაც უფრო ახლოს იქნები 60 დეციმალიანი ციფრის წარმოქმნასთან, მით უფრო ამაყად განაცხადებ, რომ ამ მკვლელობას ერთის გარდა ვერვინ ჩაიდენდა. ნაფიცი მსაჯულებზე 4 ან 5 დეციმალიანი ციფრებიც კი საკმაო შთაბეჭდილებას ტოვებს. გარდა ამისა, დაცვა სასტიკ დღეში ვარდება, რადგან უწევს სასამართლოში მათემატიკოსის გამოძახება.

სისხლის ლაქების თავისებურებანი

სისხლის ლაქების კვლევა გარკვეულ ტრადიციულ ნაბიჯებს მიჰყვება. ეს ნაბიჯებია:

1. არის ეს სისხლის ნიმუში?
2. არის ეს ცხოველის სისხლის ნიმუში?
3. თუ ცხოველის სისხლის ნიმუშია, მაშინ რომელი სახეობის?
4. თუ ადამიანის სისხლის ნიმუშია, მაშინ რომელი ჯგუფის?
5. შესაძლებელია თუ არა სისხლის ნიმუშიდან სქესის, ასაკისა და რასის დადგენა?

პირველ კითხვაზე საპასუხოდ სასამართლო ექსპერტები შეფერილ ან გამჭვირვალე ტესტებს იყენებენ. იყო დრო, როდესაც სასამართლოები პირდაპირ ენდობოდნენ გამომძიებლებს, როდესაც ისინი ამბობდნენ, რომ სისხლის დანახვის შემთხვევაშივე შეეძლოთ მისი გარჩევა. თუმცა ეს, მილერი პეიტის წინააღმდეგ საქმემდე (1967) ხდებოდა, როდესაც პირი გამოიჭირეს მარტივ ტყუილში – მას წითელი ფერის საღებავი ჰქონდა შესხმული. გარკვეული დროის განმავლობაში იყენებდნენ ბენზიდინის ტესტს, ვიდრე იგი ძლიერ კანცეროგენული არ აღმოჩნდა; შემდეგ იგი კასტლისა და მეიერის ტესტით შეცვალეს, რომელიც ქიმიურ ფენოლფტალეინს შეიცავდა. როდესაც იგი კონტაქტში შედის ჰემოგლობინთან, ფენოლფტალეინი გამოყოფს პეროქსიდის ენზიმებს, რომელიც ღია ვარდისფერ შეფერილობას იღებს. უხილავი სისხლის ლაქების აღმოსაჩენად კი ლუმინოლის ტესტი გამოიყენება, რომელსაც ასხურებენ ნოხსა და ავეჯზე. სისხლის ლაქებზე მოხვედრის შემთხვევაში სიბნელეში იგი ღია ფოსფორისფერ შეფერილობას იღებს. გამშრალი სისხლი კრისტალიზდება, ან კიდევ შესაძლებელია მისი კრისტალად ქცევა მარილმჟავას მეშვეობით. კრისტალების ანალიზისთვის გამოსადეგ ტესტებს კი შემდეგი სახელები აქვთ: ტეჩმანის ტესტი, ტაკაიამას ტესტი, ვაგენჰაარის ტესტი.

მეორე და მესამე კითხვაზე საპასუხოდ, სასამართლო ექსპერტები იყენებენ ანტიშრატის ან გელის ტესტებს. თქვენ შეიძლება იკითხოთ, რატომაა მნიშვნელოვანი ცხოველის სისხლის ტესტირება. აუცილებელია გამოირიცხოს შინაური ცხოველის დაზიანების ალბათობა. შინაური ცხოველები, როგორც წესი, სისხლის ლაქებს და-

ნაშაულის ადგილას ავრცელებენ. მაგრამ შინაური ცხოველი შეიძლება იყოს მსხვერპლი, დანაშაულის ჩამდენი ან მოწმე. შესაძლებელია საჭირო გახდეს ვეტერინარის ჩართვაც გამოკვლევის პროცესში. სტანდარტულ ტესტს, რომელიც ადგენს, არის თუ არა რაღაც ნივთიერება ცხოველური, პრესიპიტინის ტესტი ეწოდება. ამ ტესტის დროს ცხოველში (ხშირად კურდღელში) ადამიანური სისხლი შეჰყავთ. კურდღლის სხეული გამოიმუშავებს ანტისხეულებს, რომელიც შემდეგ კურდღლის შრატიდან ამოიღება. ანტიშრატს შემდეგ დანაშაულის ადგილას აღმოჩენილ ნიმუშზე დებენ და თუ იგი შედედდება, ნიმუში ადამიანს ეკუთვნის.

მეოთხე კითხვაზე საპასუხოდ, მეცნიერები უნდა დარწმუნდნენ, რომ მათი ნიმუში ადეკვატური და ხარისხიანია. თუ ნიმუში სახეზეა, გამოიყენება ტიპური ტესტირება – სისხლის ჯგუფის დადგენა (- - სისტემა). არაპირდაპირი ანალიზი კი ჩაუტარდებათ ძლიერ გამომშრალ ნიმუშებს. ამ შემთხვევაში ყველაზე გავრცელებულია შთანთქმის ტესტი.

მე-5 კითხვაზე პასუხის დროს სასამართლო ექსპერტები შფერისა და ნიტრატების ტესტს იყენებენ, ასევე მემკვიდრეობით პრინციპს ასაკის, სქესის და რასის გამოსაკვლევად. ზუსტი განსაზღვრა წარმოუდგენელია, თუმცა სისხლის შედედება და კრისტალიზაცია ასაკის დადგენას უწყობს ხელს, ტესტოსტერონისა და ქრომოსომების ტესტირება – სქესის დადგენას; ხოლო გარკვეული (თუმცა წინააღმდეგობრივი) ტესტები, რომლის დროსაც რასობრივ-გენეტიკური მარკერები გამოიყენება, რასის განსაზღვრას უწყობს ხელს.

დანაშაულის ადგილი და სისხლი

სველი სისხლის ფასი უფრო მაღალია ვიდრე გამშრალის. მაგალითად, ალკოჰოლისა და ნარკოტიკების იდენტიფიკაცია მხოლოდ სველ სისხლშია შესაძლებელი. სისხლი გაშრობას იწყებს ჰაერზე მისი გამოსვლიდან 3-5 წუთში. გაშრობასთან ერთად იგი ფერსაც იცვლის და უფრო მოშავო შეფერილობას იღებს. დანაშაულის ადგილას სისხლი შეიძლება სხვადასხვა ფორმით შეგხვდეს: გუბედ, წვეთებად, შხეფებად და სხვა. გუბეში, რა თქმა უნდა, სველი ნიმუშის აღმოჩენის მეტი ალბათობაა. სისხლის წვეთები ინფორმაციას გვაწვდის იმის შესახებ, თუ რა სიმაღლიდან და კუთხიდან დაეცა ეს წვეთი. თუ სისხლი იატაკზე გადღაბნილია, მაშინ ის ადგილი, სადაც შედარებით დიდი გუბეა წარმოშობის, წყაროა. გადღაბნილი სისხლის ნიმუში კრისტალიზების ტესტით უნდა დადასტურდეს.

მაცივარში შენახული სისხლი დაახლოებით 42 დღის განმავლობაში ძლებს, თეთრი უჯრედების შემცველი შრატი კი – უფრო დიდხანს – ერთ წლამდეც კი. დნმ-ის მოპოვება შესაძლებელია როგორც უშუალოდ სისხლიდან, ასევე მისი შრატიდან, კბილის ფესვიდან, ძვლის ტვინიდან და თმის ძირიდან. დნმ-ის დამუშავების პროცესი კი შემდეგია:

1. სისხლის ნიმუში აიღება დაზარალებულისგან, ბრალდებულისგან ან დანაშაულის ადგილიდან.

2. სისხლის თეთრ უჯრედებს სისხლის წითელი უჯრედებიდან გამოყოფის შედეგად მიიღებენ.
3. დნმ-ი თეთრი უჯრედების ბირთვიდან მოიპოვება.
4. ენზიმები დნმ-ის ფრაგმენტაციისთვის გამოიყენება.
5. დნმ-ის ფრაგმენტები ელექტროდების ჟელეში თავსდება.
6. ელექტროძალა დნმ-ის ფრაგმენტებს სიგრძის მიხედვით ალაგებს.
7. შემწოვი საშუალება იწოვს ანაბეჭდს და მიიღება რენტგენი (მას ავტორადიოგრაფს უწოდებენ).

ლიტერატურა:

Borrman, Dodd and Lincoln. (1977). Blood Group Serology, Churchill Livingstone.

Culliford, B. (1971). The Examination and Typing of Bloodstains in the Crime Laboratory, National Institute of Law Enforcement and Criminal Justice.

Eckert & James. (1989). Interpretation of Bloodstain Evidence at Crime Scenes, NY: Elsevier Press.

Gaensslen, R. (1983). Sourcebook in Forensic Serology, Immunology, and Biochemistry, NIJ: NCJRS.

Issitt, P. & C. (1977). Applied Blood Group Serology, Becton, Dickenson & Co.

James, S., Kish, P. & Sutton, P. (Eds.) (2005). Principles of Bloodstain Pattern Analysis. Boca Raton, FL: CRC Press.

Laber & Epstein. (1983). Bloodstain Pattern Analysis, Minneapolis: Callin Publishing.

Moenssens, Inbau, & Starrs. (1986). Scientific Evidence in Criminal Cases, 3rd ed. Mineola, NY: Foundation Press.

Saferstein, R. (1998). Criminalistics-An Introduction to Forensic Science, 6th ed., NJ:Prentice-Hall.

სასამართლო ტოქსიკოლოგია

სასამართლო ტოქსიკოლოგია ანალიტიკური ქიმიის სპეციალიზაციაა. ტოქსიკოლოგია სწავლობს ცოცხალ ორგანიზმზე ქიმიური ნივთიერებების უკუეფექტს. ტოქსიკოლოგი ეძებს და ავლენს სხეულში უცხო ქიმიური ნივთიერებების არსებობას, განსაკუთრებით კი, ტოქსიკური ან სახიფათო ხასიათის ნივთიერებებს. აშშ-ში „აღწერითი ტოქსიკოლოგი“ ატარებს ტოქსიკურობის ტესტს, რათა შეაფასოს რა უქმნის საფრთხეს ადამიანის ორგანიზმს. „მექანისტი ტოქსიკოლოგი“ ცდილობს განსაზღვროს, თუ როგორ ვნებს ესა თუ ის ნივთიერება ცოცხალ ორგანიზმს. „მარეგულირებელი ტოქსიკოლოგი“ განსაზღვრავს, აქვს თუ არა გარკვეული რისკი ამა თუ იმ ნივთიერების საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობას.

ტოქსინი არის ნებისმიერი ნივთიერება, რომელიც ემუქრება ცოცხალი ორგანიზმის სიცოცხლისუნარიანობას. საწამლავი ტოქსინის ერთ-ერთი ქვეჯგუფია. ტოქსიკურ ნივთიერებებს მრავალი ფორმა აქვთ (აირისებრი, თხევადი, მყარი, ცხოველური, მინერალური ან ვეგეტარიული) და შესაძლებელია მათი გადაყლაპვა, შესუნთქვა ან კანიდან შეწოვა. საწამლავი, როგორც წესი, სხეულში ერთი დიდი დოზით ხვდება ან დროთა განმავლობაში აკუმულირდება. ტოქსინები მცირე ოდენობითაც კი წამიერად მოქმედებენ, ამდენად, მათი იდენტიფიკაციისთვის მგრძნობიარე ანალიტიკური ინსტრუმენტებია საჭირო. ზოგიერთ ტოქსინს ანტიდოტი გააჩნია, ზოგს კი – არა. საწამლავთან ბრძოლა დროული მკურნალობით შეიძლება და ორგანოების უმეტესი დაზიანების აღმოფხვრაცაა შესაძლებელი (ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანების გარდა). თუ საწამლავის ამოცნობა მეტ-ნაკლებად ადვილად შეიძლება, ტოქსინების უმეტესობა ეფექტურად „იმალება“. მაგალითად, ტყვია ტოქსინია, რომლის ტოქსიკურობაც გამომდინარეობს მისი უნარიდან, მიბაძოს სხვა ბიოლოგიურად მნიშვნელოვან მეტალებს – კალციუმს, რკინას ან თუთიას. საწამლავების კატეგორიაში ყველაზე ხშირად შემდეგი ელემენტები ხვდებიან – დარიშხანი, ვერცხლისწყალი და ა.შ (ემსლი 2005). იხილეთ გავრცელებული საწამლავების ჩამონათვალი და მათი სიმპტომები:

მჟავები (აზოტმჟავა, ქლორისჟავა, გოგირდმჟავა)	დამწვრობის შეგრძნება პირის, ტუჩებისა და ცხვირის მიდამოებში
ანილინი	სახის კანისა და ყელის გამუქება
დარიშხანი (მეტალები, ვერცხლისწყალი, სპილენძი და ა.შ.)	მწვავე მოულოდნელი დიარეა
ატროფინი (ბელადონა)	გუგების გაფართოება
ბაზისები (თუთქი, კალქვა, ჰიდროქსიდი)	დამწვრობის შეგრძნება პირის, ტუჩებისა და ცხვირის მიდამოებში
ნახშირბადის მჟავები	სადეზინფექციო სუნის შეგრძნება
მხუთავი აირი	კანი ხდება ალუბლის ფერი – წითელი

ციანიდები	სწრაფი სიკვდილი, წითელი კანი, ატმის სუნი
საკვებით მოწამვლა	ღებინება, მუცლის ტკივილი
მეტალის ნაერთები	დიარეა, ღებინება, მუცლის ტკივილი
ნიკოტინი	კრუნჩხვები
ოპიატები	გუგების შვიწროება
ფოსფორი	ნივრის სუნი
ნატრიუმის ფლორიდი	კრუნჩხვები
სტრიქნინი	კრუნჩხვები, სახისა და ყელის გამუქება

აშშ-ში მოწამვლის შემთხვევათა სრული რაოდენობა უცნობია. მოწამვლის დაახლობით 2 მილიონი შემთხვევა ფიქსირდება ყოველწლიურად საავადმყოფოებსა და სპეციალურ ცენტრებში; სიკვდილიანობა კი წელიწადში 700-მდე ადის. მოწამვლის შემთხვევათა უმრავლესობა 6 წლამდე ბავშვებში მოდის; სიკვილიანობა კი ზრდასრულებშია გავრცელებული, აქედან უმეტესი შემთხვევა განზრახია და არა შემთხვევითი. მომდევნო ცხრილში ადგილების მიხედვით მოცემულია ყველაზე ხშირად შეტყობინებული მოწამვლის შემთხვევები (მარცხნივ) შედარებული სიკვდილის გამომწვევ მოწამვლებთან (მარჯვნივ):

1. სახლის საწმენდი საშუალებები	1. ანტიდეპრესანტები
2. ანალგეტიკები (ასპირინი, აცეტამინოფენი)	2. ანალგეტიკები (ასპირინი, აცეტამინოფენი)
3. კოსმეტიკა	3. ქუჩის „წამლები“
4. ხველებისა და გაცივების მედიკამენტები	4. გულსისხლძარღვთა მედიკამენტები
5. მცენარის ნაწილები და მწერების ნაკბენები	5. ალკოჰოლი
6. პესტიციდები	6. გაზები და ორთქლები
7. ტროპიკული კრემები და ლოსიონები	7. ასთმის წამლები
8. ნახშირწყალბადები (გაზოლინი, ნავთი)	8. ინდუსტიული ქიმიკატები
9. ანტიმიკრობაქტერიული საპონი	9. პესტიციდები
10. დამამშვიდებლები	10. სახლის საწმენდი საშუალებები
11. საჭმლით მოწამვლა	11. კრუნჩხვის საწინააღმდეგო მედიკამენტები
12. ალკოჰოლი	12. საკვები, მცენარეები, მწერები

პარასელსუსმა (1493-1541) ერთხელ თქვა: „ყველა ნივთიერება მომწამვლავია. მხოლოდ დოზა განასხვავებს საწამლავს წამლისგან.“ მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოება მოითხოვს ტოქსიკოლოგებისგან ყველა ნივთიერების ტოქსიკურ ან არასახიფათო ნივთიერებებად დაყოფას, ეს შეუძლებელია. რთულია განასხვაო ტოქსიკური არატოქსიკური ნივთიერებებისგან. ტოქსიკოლოგიის მთავარი პრინციპი დოზირებაა. ტოქსიკოლოგები ადგენენ ნივთიერების ლეტალურ დოზას, ხოლო შემდეგ არკვევენ დოზის მომატება ან დაკლება რა სახის ცვლილებებს გამოიწვევს.

ქიმიური ნივთიერებების ტესტირება და ლეტალური დოზის დადგენა, როგორც წესი, ორ ცხოველში ერთდროულად ორი (ან მეტი) საშუალებით (მეთოდით) ხდება. ერთ-ერთი მეთოდი, რომელიც გამოიყენება, ყოველთვის წააგავს იმ საშუალებას, რომლითაც ადამიანები მიიღებენ ტოქსიკურ ნივთიერებას. ცხოველების უმეტესობა 14 დღის განმავლობაში კვდება. თუმცა მათ სიმპტომებზე სკურპულოზური დაკვირვება წარმოებს, რაც ზედმიწევნით აღიწერება. სხვადასხვა დოზის გამოყენებით დაკვირვება შეიძლება საშუალოვადიანი (90 დღე) ან გრძელვადიანი (6 თვიდან 2 წლამდე) იყოს. სიმსივნის კვლევები ცხოველის მთელი სიცოცხლის მანძილზეც კი მიმდინარეობს, რათა დადგინდეს მიმდინარებს თუ არა რევერსული მუტაცია კარცენოგენური ეფექტის დასადგენად. ცხოველების ტესტირების შედეგების ადამიანებზე გასავრცელებლად გამოიყენება მათემატიკური ფორმულები. ადამიანებში 0.01%-იანი რისკი, 250 მილიონი ადამიანიდან 25 ათასს შეადგენს, ამ პროცენტის რისკის საკვლევად კი, 30 ათასი ცხოველის გამოყენებაა საჭირო.

რაიმე ნივთიერების ტოქსიკურობა არ წარმოადგენს გვერდით ეფექტს. გვერდითი მოვლენები მავნებელი არაა – მაგ., პირის სიმშრალე. ტოქსიკური ეფექტი არასასურველი ეფექტია. ტოქსიკური რეაქცია ხშირად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი გადაამუშავებს კონკრეტული პირის სხეული მეტაბოლიტებს. ზოგიერთი მეტაბოლიტი შლის ღვიძლს, ზოგიც – ტვინის ქსოვილს, სხვები კი – დნმ-ის დონეზე მოქმედებენ. ტოქსიკური რეაქციების კლასიფიკაცია 3 სახით შეიძლება:

1. ფარმაკოლოგიური – ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანება.
2. პათოლოგიური – ღვიძლის დაზიანება.
3. გენოტოქსიკური – კეთილთვისებიანი ან ავთვისებიანი ნეოპლაზმების ან სიმსივნეების განვითარება.

თუ ტოქსინების კონცენტრაცია კრიტიკულ ზღვარს არ მიუახლოვდა, როგორც წესი, უკუეფექტს აქვს ადგილი. მაგალითად, ფარმაკოლოგიური რეაქცია სწორედ ამგვარი უკუეფექტია. კრიტიკულ ზღვარს მიღმა დოზა კი ტვინის პერმანენტულ დაზიანებას იწვევს. თუ დროზე აღმოჩნდა, პათოლოგიური რეაქციის შედეგების მკურნალობა შესაძლებელია, ღვიძლის დაზიანება კი, რამდენიმე თვიდან ათწლეულების მანძილზე მიმდინარეობს. 20-40 წელია საჭირო გენოტოქსიკურმა ან კარცეროგენურმა ეფექტმა სიმსივნე რომ განავითაროს. ტოქსიკური მეტაბოლიტების უმრავლესობა აქტივირდება ენზიმიური ტრანსფორმაციის შედეგად, თუმცა ზოგიერთი მათგანის აქტივაცია სინათლეზეც ხდება. ეს ნიშნავს, რომ მზის მოხვედრა კანზე 24 საათის განმავლობაში წარმოშობს ფოტოალერგიულ რეაქციას. მნიშვნელოვანია იმის გააზრებაც, რომ ტოქსიკური ნივთიერებების სამიზნე არაა ის ორგანო, სადაც ის აკუ-

მულირდება. ასე მაგალითად, ტყვიის საწამლავი ძვლის ტვინის გარშემო გროვდება, თუმცა მისი ტოქსიკური ეფექტი კანისა და რბილი ქსოვილის დაზიანებებია. სხვადასხვა ადამიანს ასევე შეიძლება ჰქონდეს ქიმიური ალერგიების (ან ალერგიები საკვებზე), მათ სისხლში ალერგენები ანტისხეულების ისტორიიდან გამომდინარე. სხვებს შეიძლება ჰქონდეთ იდიოსინქროზული რეაქციებიც, რაც უნიკალურ გენეტიკურ მაპროვოცირებლებზე მიანიშნებს. მეტიც, თუ ადამიანი რამდენიმე ტოქსინს ერთად მიიღებს, შესაძლებელია სინერგიული რეაქცია – ორი ან მეტი ტოქსინი მეტაბოლურ დონეზე უკავშირდებიან ერთმანეთთან, რათა გააძლიერონ ან დათრგუნონ ერთ-ერთი ტოქსინის მოქმედება.

აშშ-ში სასამართლო ტოქსიკოლოგებს ხელი მიუწვდებათ ადამიანის სითხეების, კუჭის შიგთავსის და ორგანოების შენახულ ნიმუშებზე. მათ ასევე წარედგინებათ კორონერის მიერ მომზადებული დასკვნაც, რომელიც უნდა შეიცავდეს ინფორმაციას სხვადასხვა სიმპტომის შესახებ. ტოქსიკოლოგმა კარგად უნდა იცოდეს, როგორი რეაქცია აქვს ადამიანის სხეულს წამლებზე ან როგორ ხდება მათი გადამუშავება, რადგან იშვიათია ნივთიერებამ ისევე დატოვს სხეული, როგორც ის შევიდა. ამის გასაანალიზებლად ტოქსიკოლოგები დერივატივებს იყენებენ, ანუ ნაწარმოებ ქიმიურ შენაერთებს. ისინი ასევე ყოფენ ნიმუშებს მჟავურ და საბაზო ნაწილებად ადამიანის ქსოვილიდან ან სითხიდან წამლის ამოღების მიზნით. თითქმის ყველა წამალი ან მჟავურია, ან საბაზისო (pH სკალაზე 0-იდან 14-მდე მერყეობს. 0-ისკენ გადახრა უფრო მჟავურია, 14-კენ კი ბაზისური). მაგალითად, ბარბიტურანების უმეტესობა მჟავაში იხსნება, ხოლო ამფეტამინების შემცველი წამლები – საბაზისო გამხსნელებში.

შემდეგი გამოკვლევები 2 სახით მიმდინარეობს: (1) სკრინინგი, და (2) დამადასტურებელი ტესტირება. სკრინინგი საშუალებას იძლევა შემოწმდეს ნიმუშების დიდი რაოდენობა სხვადასხვა ტოქსინთან მიმართებაში მოკლე პერიოდის განმავლობაში. სკრინინგის შედეგად მიღებული ნებისმიერი დადებითი პასუხი უნდა დადგინდეს დამადასტურებელი ტესტის მეშვეობით. ქვემოთ მოცემულია ტოქსინების აღმოჩენის სტანდარტული ლაბორატორიული გამოკვლევების ნუსხა:

სკრინინგი

- ფიზიკური ტესტები – დუღილის წერტილი, დნობის წერტილი, სიმკვრივე და გარდატეხის ინდექსი.
- კრისტალიზაციის ტესტები – ქიმიური რეაქტივების მეშვეობით კრისტალების წარმოება.
- ქიმიურ ადგილზე ტესტირება – ქიმიური რეაქტივებით ჩარევა ფერის ცვლილების გამოსაწვევად
- ქრომატოგრაფია (თხელი-ფენა ან აირი) – გამოიყენება ნაზავიდან ცალკეული კომპონენტის გამოსაყოფად.

დადასტურების ტესტები

- მასიური სპექტომეტრია – არის გაზის ქრომატოგრაფიისა და მასიური სპექტრომეტრიის ნაზავი და საზოგადოდ მიღებულია, როგორც არჩევანზე დაფუძნებული დადასტურების ტესტი. თითოეულ ტოქსინს აქვს მასობრივი სპექტრი, ან „ანაბეჭდი“, რომელიც უტყუარი დასტურია ქიმიურ დონეზე მისი არსებობის.

აშშ-ში ტოქსიკოლოგებს, როგორც წესი, არ სთხოვენ მოსაზრების გამოხატვას იმის თაობაზე, იყო თუ არა სხეულში არსებული ტოქსინის დოზა სასიკვდილო. ძალიან ცოტა ტოქსიკოლოგს შეუძლია ამის გაკეთება, ვინაიდან, ამისათვის საჭიროა მას გავლილი ჰქონდეს სპეციალური ტრეინინგი ფიზიოლოგიაში. ასეთ დასკვნებს, როგორც წესი, სასამართლო პათანატომი აკეთებს.

წამლის გადაჭარბების ან ალკოჰოლური მოწამვლის შემთხვევებში ტოქსიკოლოგებთან ერთად სასამართლო ექსპერტიზაში შეიძლება ჩაერთონ: (1) წამლის ამოცნობის ექსპერტები ან (2) ალკოჰოლური ინტოქსიკაციის სპეციალისტები. ორივე მიმართულებით პოლიციას სრულფასოვანი წვრთნა აქვს გავლილი. მზუთავი გაზით მოწამვლის შემთხვევებში კი, ასევე შესაძლებელია ავტოინჟინრების ან სახანძრო უსაფრთოების სპეციალისტების მოწვევა.

წამლის ამოცნობის ექსპერტების ჩამოყალიბება კალიფორნიაში ერთ-ერთ ექსპერიმენტს უკავშირდება. ლოს-ანჯელესის პოლიციის დეპარტამენტმა 1970 წლებში პოლიციის ოფიცრები გადაამზადა ფიზიოლოგიურ სიმპტომებზე დაყრდნობით წამლების ამოცნობაში. სპეციალურად გაწვრთნილი პოლიციელების მიერ ჩატარებული გამოკვლევა ჩვეულებრივ სინტაგმის ტესტირებაზე შორს მიდის და მოიცავს ექიმის ან ექთანის მიერ ჩასატარებელი პროცედურების ანალოგიურად ჩატარებას, პლუს ამას, ჩვეულებრივ დაკვირვებასა და გასაუბრებას. წამლის ამოცნობის ექსპერტების დასკვნები სამართლებრივად შეზღუდულია და მოიცავს მხოლოდ გარკვული წამლის კლასის ან ოჯახის ამოცნობას. დღეს უკვე არსებობს სტანდარტული ნუსხა და კომპუტერიზებული პროგრამები, რომელიც ამგვარი გამოკვლევის შესაძლებლობას ამარტივებს.

ნარკოტიკულ საშუალებებზე ტესტირება

ტესტირების ტრადიციული მეთოდები იწყება ფერის ტესტით და სრულდება კრისტალიზაციის ტესტით; ასეთ ტესტებს მრავალფეროვანი სახელები აქვთ, მათ შორის ყველაზე ცნობილი და ამავდროულად სადავო ე.წ. ნალინის ტესტია, რომელიც ნარკოტიკების გამოყენების ფაქტს ადასტურებს. ჩამონათვალში იხილეთ გავრცელებული ნარკოტიკული საშუალებები და მათი გამოვლენის ტესტები:

ოპიუმი	მარკიზის ტესტი (ფორმალდეჰიდი/გოგირდმჟავა)
მარიხუანა	დუკენოზ-ლევინის ტესტი (ვანილი/ჰიდროქლორის მჟავა)
LSD	ვან უკრის ტესტი (პ-დიმეთილამინობენოლდესონი/ჰიდროქლორის მჟავა)
კოკაინი	სკოტის ტესტი (კობალტის თიოციანიდი/ჰიდროქლორის მჟავა/ქლოროფორმი)
ბარბიტურები	დილი-კოპანის ტესტი (კობალტიცეტატე/ისოპოფილამაინი

ოპიუმი ნამდვილი ნარკოტიკია, რომლის ეფექტი რეალობიდან ეიფორიული გაქცევაა. იგი იწარმოება ყაყაჩოს ბუტკოსგან მანამ, სანამ იგი აყვავდება. დაუმუშავებელ ვითარებაში იგი მუქი ყავისფერი ხდება და ინარჩუნებს სისველეს. ოპიადების ყველაზე გავრცელებული ფორმებია:

- მორფი – ნატურალური ალკალოიდი, რომელიც 10% ყაყაჩოს ბუტკოს წვენისგან შედგება.
- პარეგორი – მორფი გაზავებული ალკოჰოლურ საშუალებაში.
- კოდეინი – ალკოჰოლიზებული ყაყაჩოს წვენის კრისტალი.
- ჰეროინი – ყაყაჩოს წვენი, დამუშავებული ჰიდროქლორის მჟავაში; 3-ჯერ უფრო ძლიერია, ვიდრე მორფი.
- მეტადონი – ლაბორატორიებში შექმნილი ოპიუმის მსგავსი სინთეტიკური საშუალება.

მარიხუანა ტექნიკურად ჰალუცინოგენია, თუმცა იგი ნარკოტიკების ნუსხაში მოხვდა1968 წელს, რეინა სახელმწიფოს წინააღმდეგ სამის შემდეგ. მას აქვს უფრო ძილის ეფექტი, ვიდრე ეიფორიული (ალკოჰოლისმაგვარი ეფექტი, უბრალოდ ნაკლებაგრესიული), მისი აქტიური ნივთიერებაა THC-ი (ტეტრაჰიდროკანაბიოლი), რომელიც უფრო ხშირად მცენარის თავთავში გვხვდება, ვიდრე ღეროში ან ძირში. ერთი განსაკუთრებული ფორმა – კანაბი სატივა, სხვა სახეობებისგან განსხვავებით, შეიცავს უფრო მეტ THC-ს (delta-9-THC)(სმოლი და კრონქესტი 1976). THC-ის შემადგენლობა დიდადაა დამოკიდებული მცენარის სქესზე. მდედრი მცენარეები უფრო მეტ ფისს გამოიმუშავებენ, ვიდრე მამრები. დამტვერვის ეტაპამდე არმისული კი, მამრი მცენარე სხვაგან გადააქვთ. მარიხუანას ერთი სიგარეტი საშუალოდ 1% THC-ს შეიცავს, მაშინ როდესაც ჰაშიში – 10%. სხვა ჰალუცინოგენებს შორისაა:

- პიოდი – კაკტუსზე გაზრდილი მწვანე, სოკოსმაგვარი კოკორი.
- ფსილოსიბინი – ბუნებრივი სოკო.
- მესკალინი – პიოდის აქტიური ნივთიერების შემცველი, სინთეტიკურად წარმოებული.

- LSD – 400-ჯერ უფრო ძლიერი ვიდრე მესკალინი.
- PCP – ცხოველების ტრანკვილიზატორი.
- ნუტმეგისა და ჯიმსონის ბალახი – ბუნებრივი მცენარე.

კოკაინი ტექნიკურად სტიმულანტია, მაგრამ ისიც ნარკოტიკული საშუალებების ნუსხაშია. იგი ბუნებრივი ალკალოიდია, რომელიც კოკას ფოთლებში მოიპოვება (C17 H22 CLNO4). კრეკის გასაკეთებლად კი საჭიროა მისი დულილის წერტილის დაწევა, რაც კოკაინის ჰიდროქლორიდისა (HCL) და ნატრიუმის გაზავებით მიიღწევა. ნაზავს უმატებენ წყალს, ადუღებენ, ხოლო გაცივებისას ნივთიერება კრისტალიზდება. ამას ეწოდება კრეკი, რომელიც ფართოდ გავრცელებული ნარკოტიკია. სხვა სიმულანტებს შორისაა: შედარებით სუსტი – ბენზედრინი და დექსედრინი; და ასევე, უფრო ძლიერი – მეტამფეტამინი.

ბარბიტურები აბების ფერით გამოირჩევა: ნემბუტალი (მოყვითალო ფერისაა); სეკონდალი (წითელი), ტუინალი (მომწვანო); ამიტალი (ლურჯი). სტეროიდები კიდევ ერთი ოჯახია ნარკოტიკებისა, რომლებიც კუნთების ზრდას უწყობენ ხელს. ამჟამად მისი დაახლოებით 80 ვარიანტი არსებობს.

კიდევ გვხვდება ე.წ. „ბოდვის“ ნარკოსაშუალებები, რომელთა უმეტესობა ქიმიურად ნაწარმოები ჰალუცინოგენია. ისინი იმ მიზნით შეიქმნა, რომ ნარკოტიკული საშაულებების ნუსხაში არ მომხვდარიყო. თუმცა, აშშ-ს წამლის ადმინისტრაციას (DEA) ნებისმიერ დროს შეუძლია ნებისმიერი წამალი დადასტურების შემთხვევაში ნარკოტიკულ საშუალებათა ნუსხაში შეიტანოს. ასეთი წამლების რიცხვს მიეკუთვნება: MDMA, XTC, ყინული და ნექსუსი. ქვემოთ მოყვანილია აშშ-ში კონტროლირებადი ნივთიერებების ნუსხა და მათი ტრეფიკინგის შემთხვევაში გათვალისწინებული სასჯელები:

პირველი ხარისხი (სამედიცინოდ გამოუყენებადი)	ჰეროინი, ოპიუმი, მასკალინი, ფსილოსიბინი LSD, მარიხუანა, ჰაშიში	15 წელი/$125,000 5 წელი/$50,000
მეორე ხარისხი (გარკვეულწილად გამოიყენება მედიცინაში)	მეტადონი, მორფი, კოკაინი, ამფეტამინი, PCP	15 წელი/$125,000
მესამე ხარისხის (ზომიერი დამოკიდებულება)	კოდეინი, სტეროდიები	5 წელი/$50,000
მეოთხე ხარისხი	ბარბიტურები, ლითიუმი, ვალიუმი	3 წელი/$25,000
მეხუთე ხარისხი	ხველის სიროფები	1 წელი/$10,000

აშშ-ში საინტერესო დაცვის არგუმენტები არსებობს ნარკოტიკული საშუალების მოხმარების საქმეებში: მაგალითად, მარიხუანას შემთხვევაში, პირმა შეიძლება იდავოს „მცენარის სახეობაზე“. სახელმწიფოს კი მოუწევს დაამტკიცოს, რომ მცენარე ნამ-

დვილად კანაბი საჭივაა. ხშირ შემთხვევაში არგუმენტად ასევე გამოიყენებენ ცუდად ყოფნას, და იმას, რომ ნარკოტიკული საშუალების მოხმარება „სამედიცინო აუცილებლობას“ წარმოადგენდა.

- დაცვის არგუმენტაცია ასევე შეიძლება იყოს:
- ნიმუშის აღების მეთოდი – სწორად მოხდა თუ არა ნიმუშის ტესტირება?
- გაზომვადი მოცულობის წესი – გარკვეულ შემთხვევებში მხოლოდ კვალი ჩნდება ნარკოტიკების, სინამდვილეში კი, საჭიროა არსებობდეს გაზომვადი რაოდება.

ლიტერატურა:

Pure vs. Aggregate Weight Rule -- pure is the uncut amount, but most states follow an aggregate weight rule so, for example, 10 pounds might refer to the blotter paper PRINTED RESOURCES

Benjamin, D. (1993). «Forensic pharmacology» in R. Saferstein (ed.) Forensic science handbook. NJ: Prentice-Hall.

Emsley, J. (2005). The elements of murder: A history of poison. NY: Oxford Univ. Press.

Klaasen, C. (1996). “Principles of toxicology and treatment of poisoning” in J. Hardman et al., Goodman and Gilman’s the pharmacological basis of therapeutics. NY: McGraw-Hill.

Levine, A. (1993). “Forensic toxicology” Journal of analytical chemistry 65: 272-76.

Lowry, W. & J. Garriott. (1979). Forensic toxicology: Controlled substances and dangerous drugs. NY: Plenum.

Moenssens, A.A.; Inbau, F.E.; Starrs, J.E. (1986). Scientific evidence in civil and criminal cases. NY: The Foundation Press.

Saferstein, R. (1998). Criminalistics: An introduction to forensic science. NJ: Prentice-Hall.

Small, E. & Cronquist, A. (1976). “A practical and natural taxonomy for cannabis.” Taxon 25: 405–435.

დნმ-ის ანალიზი: ნიმუშის აღება და იდენტიფიკაცია



1953 წლიდან მოყოლებული დღემდე, როდესაც ამერიკელმა მეცნიერმა ჯეიმს უოთსონმა და ბრიტანელმა მეცნიერმა ფრენსის ქრიკმა, კემბრიჯის უნივერსიტეტში ერთად მუშაობისას დნმ-ის ორმაგი სპირალური სტრუქტურა აღმოაჩინეს, მოლეკულური გენეტიკის სამყარო სრულიად შეიცვალა. აღმოჩნდა, რომ დნმ წარმოადგენდა *პოლიმერს* (განმეორებული მოლეკულების დიდი ჯაჭვი), და, ამასთან, პოლიმერის განსაკუთრებულ სახეობას, სახელად *ნუკლეოტიდი* (შაქარი და ფოსფატი აზოტისებურ შემადგენლობაში), და მეტიც, აზოტის შემცველი შემადგენლობა (ორი მხარის შემაერთებელი) მოწყობილი იყო *პალინდრომის* (ასოების თუ რიცხვების წყობა, რომელიც უკან ბრუნდება; ABCDEEDCBA ან 1234554321) ფორმით. აქედან გამომდინარე, არ დამდგარა ორმაგი სპირალის მთლიანი სიგრძის განშლის აუცილებლობა, რომელიც გაწელვის შემთხვევაში ექვსიდან ცხრა ფუტის სიგრძის იქნებოდა. აუცილებელი იყო მხოლოდ ერთი ნაწილის ჩამოჭრა და სპირალის ერთ მხარეს ფრაგმენტებსა თუ ნაპირებზე დაკვირვება, სადაც პალინდრომები იწყებოდა და სრულდებოდა. თეორიაში, ნებისმიერი ამ ფრაგმენტიდან იქნებოდა საკმარისად *პოლიმორფული* (ფორმის საკმარისი ვარიაციის შემცველი), რათა გენეტიკური კოდი (*გენომი*) მთლიანად გაეხსნა. რამდენიმე ერთეულ ნაპირს უნდა განესაზღვრა, თუ როგორ გამოიყურებოდა სხვა ნაპირები, რადგან სპირალის თითო მხარე წარმოადგენდა მეორე მხარის ზუსტ დამატებას, რომლებსაც ერთად იჭერდა ე.წ. *ფუძეების შეწყვილება*, წინასწარ განსაზღვრული, პალინდრომული მანერით, რომელშიც საბაზისო მოლეკულები ყველაფერს ერთად კრავდა.

მეცნიერებს დიდი ხანი არ დასჭირვებიათ (1970 წელს რეალურად) ფერმენტების განსავითარებლად (ე.წ. *რესტრიqტაზები*), რომლებიც შერჩეულ წერტილებში წყვილი ფუძიდან ფრაგმენტებს ჩამოჭრიდა. მათ შემდეგ აღმოაჩინეს, რომ ელექტროფორეზის ქვეშ უფრო მომცრო ფრაგმენტები დადებითი ელექტროდის მიმართულებით მიგრირებდნენ, ქმნიდნენ რა *ავტორადს* (ავტორადიოგრაფის შემოკლებული ვერსია) პატარიდან დიდამდე განლაგებული ფრაგმენტებით. დნმ-ის ცნობილი სიგრძის *ნიშნულები* შეიძლება განთავსდეს ელექტროფორეზის გელის *ჭრილებში* განლაგების დასახმარებლად, და *სინჯები* (ცნობილი სიხშირეების რადიოიზოტოპური ნიმუშები) შეიძლება მართული იყოს ნიმუშის *ჰიბრიდიზირებისათვის* სანიმუშო ფრაგმენტებთან დაკავშირებით უკეთესი ვიზუალური გამოკვლევისათვის. 1985 წლისათვის, ალეკ ჯეფრისი და მისი კოლეგები ლესტერის უნივერსიტეტიდან ამ ტექნიკას *დნმ-ის დაქტილოსკოპირებას* უწოდებდნენ.



დნმ-ის დაქტილოსკოპირება

სინჯი 1 სინჯი 2 სინჯი 3 სინჯი 4

დასკვნა: გამორიცხავს ეჭვმიტანილს №1... მოიცავს ეჭვმიტანილს №2

დნმ-ის ჯგუფის დადგენა ან დნმ-ის იდენტიფიკაცია შესაძლოა უკეთესი ფრაზაა, ვიდრე დნმ-ის დაქტილოსკოპია ან დნმ-ის პროფილირება, მაგრამ ეს ცვალებადია პიროვნული უპირატესობების მიხედვით. ნებისმიერ შემთხვევაში, Cellmark Diagnostics-მ დარეგისტრდია ფრაზა „დნმ-ის დაქტილოსკოპია“, როგორც სავაჭრო ნიშანი. თავდაპირველად, სასამართლოები სწრაფად იღებდნენ დნმ-ის მტკიცებულებებს, თითქმის კითხვების დასმის გარეშე (Frye-ს თუ შესაბამისობის ტესტის ქვეშ). თითქმის ყველა კრიმინალისტიკურ ლაბორატორიას ამერიკის შეერთებულ შტატებში სურდა ეს მათი სამუშაოს რუტინულ ნაწილად გაეხადა, და კერძო ლაბორატორიების მთელი რიგი გაიხსნა, ძირითადად, მამობის ტესტირებისათვის. აშშ-ში 1994 წლის კრიმინალისტიკური კანონმდებლობის ნაწილი, რომელსაც ეწოდებოდა 1994 წლის კანონი დნმ-ის იდენტიფიკაციის შესახებ, გამოყოფდა 40 მილიონ აშშ დოლარს და ითვალისწინებდა დნმ-ის შესაძლებლობების განვითარებაში დახმარებას სახელმწიფო და ადგილობრივ ლაბორატორიებში, ისევე როგორც დნმ-ის კომბინირებული საძიებელი სისტემის ჩამოყალიბებას (CODIS Link №1 და Link №2), რომელიც წარმოადგენს სექსუალურ და ძალადობრივ დანაშაულებში მსჯავრდებული დამნაშავეების ეროვნულ მონაცემთა ბაზას. აშშ-ში დნმ-ის კრიმინალისტიკური ლაბორატორიების სიმცირეა. მხოლოდ დაახლოებით 120 ლაბორატორია არსებობს, და ყველა მათგანს, სულ მცირე, ერთი წლის შეუსრულებელი საქმეები აქვს დაგროვილი.

უმეტესწილად (ადამიანის უხეში შეცდომის გარდა) დნმ-ის ჯგუფის დადგენის რეალური ტექნოლოგია სამეცნიერო საზოგადოებისა და სასამართლოების მიერ (აშშ იაკობეცის წინააღმდეგ, 1992წ.) მიჩნეულია, როგორც უპირობოდ საიმედო და სანდო. სისუსტეები არსებობს ძირითადად საწყის ეტაპზეც (ნიმუშის აღება დანაშაულის ადგილიდან) და საბოლოო ეტაპზე (პრეზენტაცია ნაფიცი მსაჯულებისათვის). კითხვები წარმოიშვა ასევე ლაბორატორიებში, ტექნიკური პირობების შესაბამისობის შემოწმებასა და ბრმა საკვალიფიკაციო შემოწმებებთან დაკავშირებით. ყველაზე მნიშ-

ვნელოვანი სამართლებრივი საკითხები ეხება დაპატიმრების დროს დნმ-ზე იძულებითი შემოწმების კონსტიტუციურობასა და დნმ-ის პროფილირებისა და მოსახლეობის შესახებ მონაცემთა ბაზების გამოყენებას პოლიციის მიერ გამოძიების პროცესში. ყველა ეს საკითხი მეოთხე შესწორებისა და პირადი ცხოვრების ასპექტებს ეხება. მაგალითად 1999 წლიდან აშშ-ს მთავრობამ დაიწყო ყველა დაბადებული ჩვილის 99.8%-დან სისხლის ნიმუშების აღება დნმ-ის მონაცემებისათვის. შეშფოთებულმა კრიტიკოსებმა უმალვე დაიწყეს ისეთი ფრაზების მოშველიება, როგორიცაა „ბიოხელყოფა“, „ეჭვმიტანილთა ნაცია“ და „გენეტიკური სისხლის სამართალი“.

დნმ-ის ტესტირების ტექნიკისა თუ მოსახლეობის გენეტიკის პრინციპების გაგების გარეშე რთულია მტკიცებულებებთან დაკავშირებული პრობლემების მნიშვნელობის აღქმა. საკმარისია იმის აღნიშვნა, რომ აუბერტ-ის წესებით მომუშავე შტატები, ან შტატები, რომლებმაც უარყვეს ან შეცვალეს რყე-ის წესები, უპირველეს ყოვლის, წარმოადგენენ იურისდიქციებს, სადაც სამართლებრივი ბატალიების უმეტესობა იმართება, და ამ ბატალიების სათანადო განხილვა საგრძნობლად გრძელი პროცესი იქნებოდა (და მუდმივად ცვალებადი). მე ჩემი განხილვისას შემოვიფარგლები გამჟღავნების სტადიით, ნაფიც მსაჯულთა ინსტრუქციებითა და შემთხვევითი ნიმუშის დამთხვევის ალბათობით. შემდეგ გაგაცნობთ ზოგიერთ სამეცნიერო ტექნიკასა და პრინციპს (თუ გსურთ, დნმ-ის ტერმინოლოგიასთან გაცნობა).

გამჟღავნებასთან დაკავშირებული საკითხები

გამჟღავნება არის წინასასამართლო პროცესი, როდესაც ორივე მხარე (ბრალდება და დაცვა) აცნობს ერთმანეთს მათ მოწმეებს, ნივთიერ მტკიცებულებებსა და სასამართლო სტრატეგიებს, რომლის გამოყენებასაც ისინი გეგმავენ. ეს პროცესი განსხვავდება საპროცესო შეთანხმებისგან, რადგან ბრალდებები და სასჯელები არ განიხილება. გამჟღავნების სტადია არაფორმალურია და ის დამოკიდებულია პროკურორსა და დამცველს შორის არსებულ სამუშაო ურთიერთობებზე (როგორც წესი, ეს სადილის დროს ხდება). კანონის თანახმად, ერთადერთი, რაც პროკურორმა დაცვას უნდა გაუზიაროს, არის ნებისმიერი რამ, რაც ბრალდებულის უდანაშაულობას ნათელს მოჰფენდა (უდანაშაულობის მტკიცებულება). ამას აშშ-ში ბრეიდის (Brady) დოქტრინა ეწოდება.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი:

მუხლი 38. ბრალდებულის უფლება-მოვალეობანი

13. ბრალდებულს და მის ადვოკატს უფლება აქვთ, ამ კოდექსით დადგენილ ფარგლებში და დადგენილი წესით გაეცნონ ბრალდების მხარის მტკიცებულებებს, მიიღონ მტკიცებულებისა და სისხლის სამართლის საქმის მასალების ასლები.
14. ბრალდებულს უფლება აქვს: მონაწილეობა მიიღოს მისი ბრალდების საქმის გამოძიებასა და სასამართლო განხილვაში; დააყენოს შუამდგომლობა და განაცხადოს აცილება; დაცვის მხარის მტკიცებულება გამოიკვლიოს იმავე პი-

რობებში, როგორშიც ბრალდების მხარის მტკიცებულების გამოკვლევა ხდება; გაეცნოს მხარის მიერ შეტანილ საჩივარს და მასზე გამოთქვას მოსაზრება; გაეცნოს სასამართლო სხდომის ოქმს და მასზე გამოთქვას შენიშვნა.

მუხლი 83. შესაძლო მტკიცებულებათა თაობაზე ინფორმაციის გაცვლა მხარეების მიერ

1. სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე დაცვის მხარის მოთხოვნა ბრალდების მხარის იმ ინფორმაციის გაცნობის თაობაზე, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც ბრალდების მხარე აპირებს, დაუყოვნებლივ უნდა დაკმაყოფილდეს. ბრალდების მხარე ასევე ვალდებულია ამ ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში დაცვის მხარეს გადასცეს მის ხელთ არსებული გამამართლებელი მტკიცებულებები.
2. დაცვის მხარის მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ ბრალდების მხარე უფლებამოსილია დაცვის მხარისაგან მიიღოს ის ინფორმაცია, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც დაცვის მხარე აპირებს.
3. ინფორმაციის გაცვლის მოთხოვნის შემდეგ იმ მომენტისათვის არსებული მასალის მხარისათვის სრული მოცულობით გადაუცემლობა იწვევს ამ მასალის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობას.
4. ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული მხარეების მიერ ინფორმაციის გაცვლის თაობაზე დგება ოქმი, რომლის ასლიც ეგზავნება სასამართლოს სისხლის სამართლის საქმესთან ერთად.

დაცვის მხარე არ უნდა იყოს „მთელი ბრეიდის მასალის“ მოპოვების იმედად, და თუ პროცესი კონფლიქტურში გადაიზრდება, მოსამართლე გასცემს გამჟღავნების ბრძანებას, რომელიც სასამართლოს მიერ სანქცირებული გამჟღავნების სახეობას წარმოადგენს. კიდევ უამრავი ანალოგიური წინასასამართლო პროცესი არსებობს, როგორიცაა პროცესები გასაიდუმლოებული დოკუმენტაციის შესახებ. დნმ-თან დაკავშირებული მტკიცებულებები გამჟღავნების არაფორმალურ პროცესებში ადვილად ვერ ჯდება, რადგან, მიუხედავად მისი პოტენციალისა, იყოს გამამართლებელი, დნმ-ის ლაბორატორიული დასკვნების განხილვა, ეჭვქვეშ დაყენება თუ მოდელირება, არცთუ ისე ადვილია. დასკვნები ცხადყოფს ან „მოიცავს“, ან „გამორიცხავს“, ან „არადამაჯერებელია“. ისინი სასამართლოებს დარწმუნებულობის შეუჩვეველ ხარისხს ანიჭებენ. ეს შეიძლება ისეთი ტექნოლოგიაც კი აღმოჩნდეს, რომელიც სისხლის სამართალწარმოების სისტემას განდევნის.

დნმ-ის მტკიცებულებები სასამართლო პროცესს კოშმარად აქცევს. თითქმის ყველას ახსოვს ო.ჯ.სიმფსონის სასამართლო პროცესი, სადაც დნმ-თან დაკავშირებული ჩვენებები პროცესის ყველაზე ხანგრძლივ ნაწილს მოიცავდა. ხშირად ამბობენ, რომ ნაფიცი მსაჯულები პროტესტს უცხადებენ გართულებულ მეცნიერულ მტკიცებულებებს. დნმ-თან დაკავშირებულ მტკიცებულებებს აქვს იმის პოტენციალი, რომ იყოს გამამართლებელი, მაგრამ დნმ-თან დაკავშირებული დასკვნები, მთელი თავისი დარწმუნებულობით, ალბათობის თვალსაზრისით, ნაკლებად გამოიყენება გამართლებისათვის და მეტად კი დაბნევისათვის. დასკვნები ზოგჯერ ალბათობებს ისეთ ათწილად რიცხვებში გამოხატავს, რომ ის სამი თუ ოთხი მზის სისტემის პოტენციურ მოსახლეობას მოიცავდა.

რა შეგიძლიათ გააკეთოთ, როდესაც ადვოკატი ბრძანდებით და დასკვნა კი ამბობს „მოიცავს“? სანამ ბოლო წუთის სტრატეგიებს მიმართავთ და დაიწყებთ იმის მტკიცებას, რომ თქვენმა კლიენტმა თავისი დნმ დანაშაულის ადგილზე შემთხვევით ან ადრეული ვიზიტის დროს დატოვა (ისევე როგორც თითის ანაბეჭდების შემთხვევაში შეიძლებოდა ამის მტკიცება), სავარაუდოდ, თქვენ თვითონვე ჩაატარებდით გამოკვლევას, მაგრამ ამას ისეთივე საკუთარი თავის დამადანაშაულებელი ეფექტი აქვს, როგორც თქვენი კლიენტი რომ დამნაშავის ჩვენების მიცემის ადგილზე დააყენოთ, და ნებისმიერ შემთხვევაში, დნმ-ის დამატებითი ტესტირება მხოლოდ საქმის გაჭიანურებასა და დამატებით ხარჯებს გამოიწვევს. ერთადერთი, რისი გაკეთებაც შეგიძლიათ, ეს არის ლაბორატორიაზე შეტევის მიტანა მისი ტექნიკური პირობების შესაბამისობისა და საკვალიფიკაციო შემოწმებების ნაკლებობის კუთხით, ან „ჩიუბაკას დაცვის“ (სატელევიზიო შოუს ფრაზა) გამოყენება, რათა შეეცადოთ საგონებელში ჩააგდოთ ნაფიცი მსაჯულები იმის თაობაზე, თუ რამდენად კომპლექსური და რთულია მეორე მხარის მტკიცებულებები თუ ალბათობის შეფასებები.

სასამართლო ექსპერტიზის სამართალი ამ კუთხით ვითარდება, მაგრამ უმეტესწილად მხარს არ უჭერს დნმ-ის დამატებითი ტესტების მოპოვების იდეას იმ იმედით, რომ რომელიმე ანგარიში ბრალდებულის „გამორიცხვას“ დაასკვნის. ხარჯი მხოლოდ ერთი ასპექტია, ყოველ შემთხვევაში წინასასამართლო სტადიაზე მაინც. მსჯავრდების შემდგომ სტადიაზე, ხარჯი, რაღა თქმა უნდა, მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს. ყოველი მსჯავრდებული ყოველ გამოსასწორებელ დაწესებულებაში ამერიკის მასშტაბით ამჟამად ითხოვს დნმ-ის გამამართლებელ შემოწმებას სახელმწიფოს ხარჯზე, რათა თავისი უდანაშაულობა დაამტკიცონ. მათ ასევე სურთ იხილონ შემოწმების შედეგები და თვითონვე გააანალიზონ ყოველივე. თუმცა, მსჯავრდების შემდგომ სტადიაზე გამჟღავნების პროცესები არ მიმდინარეობს. არსებობს ძლიერი პრეზუმფცია იმისა, რომ ვერდიქტები, და განსაკუთრებით კი ისინი, რომლებიც დნმ-ის მტკიცებულებებს ემყარება, სწორია (ქართული ვერსია?). აშშ-ში ეს „გონივრული ალბათობის“ მოსმენები მთლად დამაიმედებელი არ არის ათასობით პოტენციურად უსამართლოდ მსჯავრდებულთათვის. პირველ რიგში, მნიშვნელოვანია გავიგოთ, თუ რას ნიშნავს „უსამართლოდ მსჯავრდებული“. ეს მოიცავს რეციდივისტებს, რომელთაც შესაძლოა ჩაიდინეს მრავალი (ან დაკავშირებული) დანაშაული, მაგრამ უდანაშაულონი არიან იმ კონკრეტულ ბრალდებასთან დაკავშირებით, რომლისთვისაც ამჟამად სასჯელს იხდიან. ეს მოიცავს უდანაშაულო ადამიანებს, რომელთაც, მათ წინააღმდეგ ჭარბი მტკიცებულებების გამო, როგორიცაა მცდარი იდენტიფიცირება, ცრუმოწმეობა, ან ყალბი დოკუმენტაცია, ადვილად ცდუნდებიან და თანხმდებიან საპროცესო შეთანხმებაზე, რომელსაც მათი ადვოკატი ასე თავგამოდებით უწევს რეკომენდაციას. ეს გამორიცხავს ადამიანებს, რომლებიც „სისტემაში დაიკარგნენ“, ან რომლებიც დიდი ხნის მანძილზე არ იყვნენ გასამართლებულნი პატიმრობაში ყოფნის დროს, იყვნენ თავდებობაში, ან უბრალოდ ბრალდებების მოლოდინში (ასეთი საქმეები უფრო სათანადოდ მოიხსენიება, როგორც უსამართლო პატიმრობა). ეს გამორიცხავს მათ, რომლებიც რეალურად დამნაშავენი არიან, მაგრამ არ არიან ცნობილი დამნაშავედ უკანონოდ მოპოვებული მტკიცებულებების დაუშვებლობის გამო, ან რომლებიც გაექცნენ სამართალს რაიმე ხელჩასაჭიდის, პოლიციის მხრიდან მტკიცებულებებისადმი არაამართებულად მოპყრობის, კონსტიტუციური უფლებების დარღვევის, ან გასაჩივრების

შედეგად გადაწყვეტილების გაუქმების (არსებობს განსხვავება „სამართლებრივად უდანაშაულოსა“ და აბსოლუტურ გამართლებას შორის, რადგან ამ შემთხვევაში პიროვნება რეალურად უდანაშაულოა) გამო.

პოლიციისა და პროკურორების მხრიდან სავარაუდოდ ადგილი ექნება წინააღმდეგობას საქმეების ხელახლა გადახედვასთან დაკავშირებით. თუ ამას მსჯავრდებულთა მიმართებაში გამოვიყენებთ, როგორ უნდა გადავწყვიტოთ, თუ რომელ მსჯავრდებულს უნდა შეეხოს ეს? თუ ამას რიგითი მოქალაქეების მიმართებაში გამოვიყენებთ, ვარღვევთ თუ არა ჩვენ მათი პირადი ცხოვრების უფლებას? იმისათვის, რათა დავამტკიცოთ მსჯავრდებულის უდანაშაულობა, თქვენ უნდა ჩაუტაროთ დნმ-ზე გამოკვლევა თითოეულ და ყველა პიროვნებას, რომელთაც მსჯავრდებული დანაშაულის ჩადენაში ამხელს, ყველა სავარაუდო ეჭვმიტანილს, ისევე როგორც კიდევ რამდენიმე ალიბის მოწმეს. და შემდეგ, რა თქმა უნდა, ყველა დეტექტივს დანაშაულის ადგილზე უნდა ჰქონდეს მათი დნმ საქმის მასალებში.

ზემოთ მოხსენიებული გამჟღავნების წესების თანახმად, თქვენ უნდა შეძლოთ მოიპოვოთ ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი მასალა და თქვენ მიერ მოთხოვნილ მასალაში შეიტანოთ ჩამონათვალი, რომლის ნიმუშიც წინამდებარე სახელმძღვანელოშია მოცემული.

- ავტორადების ასლები (ზოგადად მიღებულია, რომ მეცნიერებს შეუძლიათ დამთხვევების აღმოჩენა სხვა მეცნიერების მიერ მომზადებული ავტორადების შემოწმების შედეგად);
- ლაბორატორიული ჩანაწერების ასლები;
- გამოყენებული ლაბორატორიული მასალების საფუძველზე ჩატარებული ხარისხის კონტროლის ტესტების ასლები;
- ლაბორატორიის მიერ საქმესთან დაკავშირებით გამოცემული ყველა დასკვნის ასლი;
- ლაბორატორიის ანგარიში გამოყენებული მეთოდის შესახებ, რომლის საფუძველზეც მოხდა დამთხვევის ან არდამთხვევის დადგენა (რეალური ზომის სინჯების გამოყენებით);
- ლაბორატორიის განცხადება გამოყენებული მეთოდის შესახებ, რომლითაც მოხდა შესაბამის პოპულაციაში ალელების (გენების) სიხშირის გამოთვლა (ეს არის შემთხვევითი ნიმუშის დამთხვევის ალბათობასთან დაკავშირებული პირველი საკითხი, რომელიც მოგვიანებითაა განხილული);
- თითოეული გამოკვლეული გენის მდებარეობის შესახებ მონაცემთა ბაზის ასლი;
- დამოწმება იმის თაობაზე, რომ დამთხვევის დადგენისათვის გამოყენებული იგივე წესი იყო გამოყენებული პოპულაციაში ალელების სიხშირის დასადგენად;
- განცხადება აღმოჩენილი დამაბინძურებელი ნივთიერებების, მათი გამომწვევი მიზეზებისა და ამასთან დაკავშირებით ნებისმიერი ჩატარებული გამოკვლევების შესახებ;
- თუ ნიმუში გადარეცხილია, განცხადება იმის თაობაზე, თუ რა ტესტები და შედეგები იქნა მიღებული;

- განცხადება ნებისმიერი სხვა დეფექტის, გარემოსდაცვითი დარღვევის, ან ლაბორატორიული შეცდომებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ;
- დაკავებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია.

როგორც ხედავთ, ეს მოიცავს საკმაოდ ლიბერალურ გამჟღავნების პროცესს, და სათანადო სამართლებრივი პროცედურები ასევე მოითხოვს, რომ დაცვის მხარეს ხელი მიუწვდებოდეს დნმ-ის ექსპერტის დახმარებაზე (მაგრამ ეს არ არის სათანადოდ ჩამოყალიბებული ინსტიტუციის დონეზე, და კიდევ ერთი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ზეპირი ანგარიშების გამჟღავნება არ ხდება). თუმცა, სასამართლოებისათვის ეს პრობლემის უკეთესი გადაწყვეტაა, ვიდრე მეორადი ტესტირება ან ბიოლოგიური ნიმუშების სამუდამოდ პრეზერვაცია. კასტროს გამჟღავნების სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად, დნმ-ის მტკიცებულებების წინააღმდეგ ნებისმიერი შეტევა პროცესის გვიან სტადიაზე ეხება მხოლოდ მტკიცებულებათა სიმძიმეს და არა მათ დასაშვებობას.

ნაფიც მსაჯულებთან დაკავშირებული საკითხები

ნაფიცი მსაჯულები დნმ-ის მტკიცებულებებისგან ინტელექტუალურად იტვირთებიან, და ეს გასაგებია. სასამართლო ექსპერტიზის მეცნიერებაში, მას-სპექტროგრაფიის გარდა, შესაძლოა არაფერია ასე კომპლექსური და რთული. მართლაც, აქამდე სხვას არაფერს შეეძლო ისეთი ალბათობების წარმოქმნა, როგორიცაა ერთი სამოცდაათ ათას ტრილიონში (რომელიც ყველა პლანეტაზე მჭიდროდ დასახლების შემთხვევაში შეიძლება ჩვენი მზის სისტემის მოსახლეობის ტოლი იყოს). იდენტური ტყუპების გარდა, დნმ-ში მსგავსების შანსები ასტრონომული თუ უსასრულოა. როგორც ო.ჯ.სიმფსონის სასამართლო პროცესმა წარმოაჩინა, რიგითი ამერიკელი მოქალაქე მოლეკულური გენეტიკის ჩაღრმავებულ თემებზე სათანადოდ ვერ რეაგირებს. ღღეს საკითხი ისე დგას, თუ რა უნდა იცოდნენ ნაფიცმა მსაჯულებმა (და ზოგადად საზოგადოებამ), და მართებულია, რომ დისკუსია ნაკლებად ეხება ნაფიც მსაჯულთა ინსტრუქტაჟის (ხარისხზე დაფუძნებული სანდოობის შესახებ) პრაქტიკულ საკითხებსა და იმას, თუ რამდენი ვიზუალური მასალა არის მსაჯულთათვის (სადემონსტრაციო მტკიცებულებები) ბევრი, და ამის ნაცვლად მოიცავს სასამართლო ექსპერტიზის მეცნიერების ეთიკის საკითხებს:

- სასამართლო ექსპერტიზის მეცნიერი არასოდეს უნდა იყოს გადარწმუნებული ფაქტების სრული და სამართლიანი გამოძიებისგან;
- სასამართლო ექსპერტიზის მეცნიერი უნდა ინარჩუნებდეს დამოუკიდებელ, მიუკერძოებელ და ობიექტურ დამოკიდებულებას;
- სასამართლო ექსპერტიზის მეცნიერი არ უნდა აძლევდეს ჩვენებას ნაფიც მსაჯულთა და არაიურისტთა კომპეტენციის მიღმა;
- ნიმუშები უზადოდ უნდა იყოს მოვლილი, რათა თავიდან იყოს აცილებული მანიპულირება, გაყალბება ან დაკარგვა;
- ანგარიშები სრულად უნდა ასახავდეს ნებისმიერ ფაქტს, მოსაზრებას ან დეფექტს, რომლებიც უდანაშაულობაზე მიანიშნებს;

- ტესტებისა და შედეგების შესახებ ჩვენება უნდა ასახავდეს მეცნიერული დანამდვილების თვალსაზრისით გამოთქმულ მოსაზრებებს;
- სასამართლო ბრძანების არარსებობისა და ბრალდების მხარის წინააღმდეგობის მიუხედავადაც კი, სასამართლო ექსპერტიზის მეცნიერები მზად უნდა იყვნენ სასამართლო პროცესამდე დაცვის მხარესთან ინტერვიურებისათვის.

მოდით, ერთი წუთით დავივიწყოთ ნაფიც მსაჯულთა თუ არაიურისტთა კომპეტენციის ფარგლებში საკითხთა განხილვის იდეალისტური ამოცანა, და გავამახვილოთ ყურადღება „საგანგაშო“ დებულებებზე (მათ ყველა ეთიკის კოდექსი შეიცავს). რატომ უნდა იყოს სასამართლო ექსპერტიზის მეცნიერი მოტივირებული, რომ „უდანაშაულობაზე მიმათითებელი რაიმე ნაკლოვანება ... გამოამჟღავნოს“? ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ნებისმიერი ექსპერტი მოწმის ადგილას იძულებული უნდა იყოს მისცეს ჩვენება იმის შესახებ, თუ რამდენად მოწყვლადია მათი ლაბორატორია დაბინძურების, არასათანადო მენეჯმენტისა და არაკომპეტენტურობის მიმართ? ამ კითხვის პასუხი დადებითია, და ეს ზუსტად ის არის, რასაც სისხლის სამართლის ადვოკატები აკეთებენ, როგორც კი ამის შესაძლებლობა ეძლევათ. პოსტსიმფსონისეულ ეპოქაში, რომელშიც ახლა ვცხოვრობთ, ნაფიც მსაჯულებს უფრო ხშირად ამის მოსმენა უწევთ, ვიდრე მოლეკულურ გენეტიკაში მოკლე კურსის გაცნობა. ამერიკის კრიმინალისტიკური ლაბორატორიების აუგად მოხსენიება დნმ-ის მტკიცებულებებზე იერიშის მიტანის ერთგვარ ხერხად იქცა.

დაცვის მხარის სტრატეგიას წარმოადგენს სახელმწიფოს განსასჯელის სკამზე დასმა, ბრალდების მხარის როლის შებრუნება და საქმის მედიის მეშვეობით გაშუქება. ნივთიერ მტკიცებულებებზე იერიშის მიტანის ტრადიციული ხერხები (მანიპულირება, დაბინძურება და შეცვლა) კრიმინალისტიკურ ლაბორატორიებზე იერიშის მიტანის სამმა ხერხმა შეცვალა: (1) დაბინძურება (შენახვის ადგილებში ან თვითონ ლაბორატორიაში ჯვარედინი დაბინძურების შესახებ მითითება); (2) შერევა (ტექნიკოსის არასათანადო უნარი ან კვალიფიკაცია ნიმუშებთან მოპყრობისას); და (3) კონსპირაცია (ექსპერტის მიკერძოების შესახებ ეჭვების გამოთქმა ან მტკიცებულებების ჩადება). სინამდვილეში, ქვემოთ მოცემულია იერიშის მიტანის ზოგიერთი საერთო საფუძველი:

- ბრმა გამოკვლევა / განმეორებითი გამოკვლევა – დროგამოშვებით, ტექნიკოსები იძულებულნი უნდა იყვნენ ატარონ გამოკვლევები იმ ნიმუშებზე, რომლებზეც მათ არაფერი იციან, მაგრამ ზედამხედველებმა იციან, თუ რა შედეგები უნდა იყოს მიღებული. ასევე, სხვა თანამშრომლის მიერ ჩატარებული განმეორებითი ტესტირება ან სულ მცირე გადანიშვნა სტანდარტულ პროცედურად უნდა იქცეს.
- აალებადი ნივთიერებები – ნებისმიერი ნივთიერება 200 გრადუსზე ნაკლები აალების წერტილით გამოკვეთილად უნდა იყოს მონიშნული და ცალკე შენახული. კრიმინალისტიკური ლაბორატორიებისათვის ხანძრები განსაკუთრებულ საკითხს წარმოადგენს.
- შუშის ჭურჭლის გაწმენდა – გამოყენების შემდეგ, შუშის ჭურჭელი საფუძვლიანად უნდა გაიწმინდოს, მაგრამ გასაწმენდი უამრავი შუშაა.
- ტყვიით დაბინძურება – ლაბორატორიის ნებისმიერი ნაწილი, რომელიც ბალ-

ისტიკურ ან შიდა ცეცხლსასროლ ტესტირებას ექვემდებარება, სავარაუდოდ, დაბინძურებული იქნება ან/და ატმოსფეროში სხვა ნივთიერებათა კვალი დარჩება.

- აპარატურის გაგრილება – გამოყენების შემდეგ ლაბორატორიული ინსტრუმენტები უნდა გამოირთოს და გადაიტვირთოს.
- დამცავი ტანსაცმელი – თანამშრომლები უნდა ატარებდნენ ლაბორატორიულ მოსასხამებს, უსაფრთხო სათვალეებსა და ხელთათმანებს.
- საცავი ფართი – მტკიცებულებების ერთად დაგროვებას მოჰყვება ნივთების საჯარო დერეფნებში დატოვება.
- სავენტილაციო სისტემები – ჰაერის რეგულარულად და ხელახლა გამოყენება ცუდია. საუკეთესო შემთხვევაში უნდა გამოიყენებოდეს ერთჯერადი, გაფილტრული ჰაერი, რომელშიც შენარჩუნებული იქნება ჰაერის მუდმივი წნევა, და ლაბორატორიული ინსტრუმენტების თავზე უნდა იყოს განთავსებული სავენტილაციო ხუფები.

შემთხვევითი ნიმუშის დამთხვევის ალბათობა

დნმ-ის ჯგუფის დადგენა წარმოშობს ე.წ. შემთხვევითი ნიმუშის დამთხვევის ალბათობას – ზოგჯერ ისე მაღალს, როგორიც არის ერთი რამდენიმე მილიონში, ზოგჯერ კი ისე დაბალს, როგორც ერთი ასში. ის განმარტებულია, როგორც დამთხვევის ალბათობა ეჭვმიტანილსა და იმ ნიმუშს შორის, რომელიც დანაშაულის ადგილზე იყო დატოვებული. გამოთვლის განსხვავებული მეთოდი განსხვავებულ შედეგებს გვაძლევს, მაგრამ ყველაფერი ავტორადებზე არსებული ზონრებისა თუ წერტილების წყებათა შედარებაზეა დამოკიდებული. ანუ არსებობს ორი განსხვავებული, მაგრამ დაკავშირებული საკითხი: (1) სტატისტიკური მეთოდოლოგია; და (2) დამთხვევის კრიტერიუმები. ეს უკანასკნელი შეცდომის მიჯნასთან ყველაზე ახლოს იმყოფება, და, როგორც წესი, მოთხოვნილია, რომ დამთხვევის შესახებ განცხადების გაკეთებამდე ექსპერტმა არ დაუშვას „ავტორადზე ზონრებში სხვაობის 5%-ზე მეტი“. ზოგიერთი ექსპერტის განცხადებით, 2.5%-იანი კრიტერიუმი უკეთესი ათვლის წერტილი იქნებოდა.

სტატისტიკური მეთოდოლოგიის გამოყენების კიდევ ერთი მიზეზია მისი კომფორტაბელურობა, და ეს არის სფერო, სადაც დნმ-ის ჯგუფის დადგენა პოპულაციურ გენეტიკაში გადაიზრდება.

ადამიანებს მათ დნმ-ში 46 ქრომოსომა აქვთ, რომელთაგან თითოეული 550 გენს, ხოლო თითოეული გენი კი 35 ალელს შეიცავს. ქრომოსომა შეიცავს მთლიანი გენეტიკური მასალის ორ სრულ კომპლექტს. ჩვენ ვსაუბრობთ არა დნმ-ის მოლეკულის ორ მხარეზე, არამედ დნმ-ის ფრაგმენტზე არსებულ ქრომოსომებზე. გარკვეულ ადგილებში არის გენები, რომლებიც იმავე გენეტიკურ კოდს მოიცავს, როგორც მეორე მხარეს. ის, რასაც ჩვენ „გენებს“ ვეძახით, სინამდვილეში ქრომოსომებზე არსებული ადგილებია. ალელი წარმოადგენს გენის განსაკუთრებულ ფორმას, გენეტიკური ადგილის ალტერნატიულ ფორმას. ადგილების წერტილებში ალელები მემკვიდრეობით

გადმოდის მშობლებისგან, და რაც უფრო მრავალფეროვანია თქვენი ოჯახის წარსული, მით უფრო მეტია ალელების რაოდენობა. ქრომოსომებს აქვთ იგივე ადგილმდებარეობა მთელი თავისი სიგრძის გასწვრივ, მაგრამ შეიძლება ჰქონდეთ განსხვავებული ალელები ზოგიერთ ადგილში. ეს ზუსტად რომ ალელებია და არა ქრომოსომები ან გენები, რომლებიც დომინირებენ ან უკან იხევენ, და რომლებიც ჩვენ ისეთ რამეებს გვანიჭებენ, როგორიცაა თვალის ფერი და სისხლის ჯგუფი. გენები კი სამედიცინო დაავადებებსა და სხვა ფუნქციებს გვძენენ. ალელებს ოდნავ განსხვავებული ნუკლეოტიდური სიხშირეები ახასიათებთ და მათი განსხვავებული ფენოტიპური ეფექტებით გამოირჩევიან. პიროვნების სრული გენოტიპის (მისი მთლიანი გენომის) დასადგენად ლაბორატორიული ტექნიკა ცნობილი არ არის. მისი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ მათი ოჯახური ისტორიის ან იმ გარე მახასიათებლების შესწავლით, რომლებსაც ისინი იმ ქვეპოპულაციასთან იყოფენ, რომელსაც ეკუთვნიან (მათი ფენოტიპი).

სხვა სიტყვებით რომ ითქვას, გენოტიპი ფენოტიპიდან გამომდინარეობს, და პოპულაციის ქვესტრუქტურის იგნორირება დაუშვებელია. სულ მცირე სიხშირის ზედა ზღვარის მითითების გარეშე იმის თქმა, რომ დნმ-ის ორი ნიმუში ემთხვევა, ყოველგვარ აზრს არის მოკლებული. ჩვენება იმის შესახებ, რომ ბრალდებულის დნმ-ის პროფილი ნაპოვნი იქნება 135 მილიონი აფროამერიკელიდან მხოლოდ ერთში, არაფერს ნიშნავს, რადგან მარტო ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს 15 მილიონი აფროამერიკელი მამაკაცი. პრობლემის გადაწყვეტა მდგომარეობს ალელებში, და განსაკუთრებით სიხშირეში, რომლითაც თანმხვედრი ალელები გენეტიკურ ფონდში არიან განაწილებული. ქვემოთ მოცემულია გენოტიპის სიხშირის შეფასებასთან დაკავშირებული მათემატიკური გამოთვლების მაგალითი:

მოცემულ ცხრილში ჩამოთვლილია ინდივიდუალების რაოდენობა თითოეული M-N სისხლის ჯგუფისათვის ადამიანის ერთ პოპულაციაში. გამოთვალეთ გენოტიპისა და ალელების სიხშირეები თითოეული პოპულაციისთვის.

პოპულაცია MM MN NN სულ
ესკიმოსი 475 89 5 569

აქ მოცემულია გენოტიპის სიხშირეები, რომლებსაც ჩვენ მონაცემებიდან გამოვითვლით. ქვემოთ მოცემულია გენოტიპის სიხშირეების ჩვენეული შეფასება მთლიანი პოპულაციისთვის, რომელიც შედარებით მცირე რაოდენობის ნიმუშებიდან მივიღეთ.

MM-ის სიხშირე = 475/569 = 0.8348
NN-ის სიხშირე = 5/569 = 0.0088
MN-ის სიხშირე = 89/569 = 0.1564

ალელის სიხშირის გამოთვლა

მეთოდი №1 (დაითვალეთ ინდივიდუალები პოპულაციაში)

p (M-ის სიხშირე) = (475 + 89/2) / 569 = 0.91
q (N-ის სიხშირე) = (5 + 89/2) / 569 = 0.09 (ასევე 1 _ p = q)

მეთოდი №2 (დაითვალეთ ალელები პოპულაციაში)

p (M-ის სიხშირე) = (950 + 89) / 1138 = 0.91
q (N-ის სიხშირე) = (10 + 89) / 1138 = 0.09 (ასევე 1 _ p = q)

მეთოდი №3 (გამოიყენეთ გენოტიპის სიხშირეები, რომლებიც უკვე გამოითვალეთ)

p (M-ის სიხშირე) = (0.8348 + 0.1564/2) = 0.91
q (N-ის სიხშირე) = (0.0088 + 0.1564/2) = 0.09 (ასევე 1 _ p = q)

ამ მეთოდებიდან რომელია სწორი? ან ყველა სწორია, ან ყველა მცდარი, რადგან თითოეული იმავე პასუხს იძლევა. თქვენ რომელი მეთოდი უნდა გამოიყენოთ? ეს თქვენზეა დამოკიდებული, რომელიც თქვენთვის უფრო მოხერხებული იქნება.

პოპულაციის გენეტიკა უშვებს, რომ პოპულაციის ქვეჯგუფები ერთგვაროვანია და წყვილდებიან შემთხვევით (ჰარდი-ვაინბერგის წონასწორობის პრინციპი), რაც შეიძლება ან არ შეიძლება იყოს საფუძვლიანი ვარაუდი. ჩვენ ვიცით, რომ აფრო-ამერიკელები, ევროპეიდები და ლათინოამერიკელები თავის თავში მოიცავენ სხვადასხვა ქვეპოპულაციებს. მაგალითად, ევროპეიდელების კვალს ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში შეიძლება მივაგნოთ. რაც თქვენ გჭირდებათ, ეს არის პოპულაციის მონაცემთა ბაზები, რომლებიც გამოდგება „ეთნიკურ ზედა ზღვარად“ იმ ასტრონომიული თუ უსასრულო ალბათობებისთვის, რომელსაც იღებთ დნმ-ის ტესტის შედეგების პროდუქციის წესზე გამრავლებით. მაგალითად ო.ჯ.სიმფსონის საქმე ავიღოთ:

1:240,000	ალელის დამთხვევა ტროტუარზე არსებულ სისხლთან
1: 170 მილიონი	ალელის დამთხვევა გზაზე არსებულ სისხლთან
1:57 მილიარდი	ალელის დამთხვევა ჭიშკარზე არსებულ სისხლთან
1:77 მილიარდი	ალელის დამთხვევა „ბრონკოში“ არსებულ სისხლთან
1:535 მილიარდი	ალელის დამთხვევა ხელთათმანზე არსებულ სისხლთან
1:9.5 ტრილიონი	მთლიანი ალბათობა პროდუქციის წესის საფუძველზე

ამდენი ალელი თავის გენეტიკურ ისტორიაში არავის აქვს. რამდენიმე ათეული უცხოპლანეტელი რასის რამდენიმე გენეტიკური ფონდის მოშველიების შემთხვევაშიც კი ეს ალბათობები არ ამოიწურებოდა. ალელების სიხშირეების ასე მარტივად გაზრდის შედეგია ის ასტრონომიული ალბათობები, რომლებიც დნმ-ის ტესტირებას მოჰყვება. ეთნიკური ზედა ზღვრები განისაზღვრება ცნობილი ქვეპოპულაციის სისხლის ბანკის ნიმუშებზე ტესტირებების ჩატარებით (მაგალითად, კუბელი ლათინოამერიკელები მაიამიში, აფროამერიკელი დონორები დეტროიტში). თქვენ მხოლოდ ის უნდა გააკეთოთ, რომ აიღოთ პოპულაციის ქვეჯგუფის შემთხვევითი ნიმუში და დაითვალოთ, თუ რამდენჯერ იჩენს თავს მოცემული ალელი ამ ჯგუფში. მსოფლიოს ქვეპოპულაციების ეს „გაშიფვრა“ ანალოგიურია ადამიანის გენომის პროექტისა, სადაც 2000 წლის ზაფხულისთვის 46 ქრომოსომიდან მხოლოდ 5 იყო მთლიანად გაშიფრული. ეთნიკური ზედა ზღვრები ამცირებს შემთხვევითი ნიმუშის დამთხვევის ალბათობას უფრო გონივრულ დონეებამდე, როგორიცაა 1:16,000 ევროპეიდელებისთვის, 1:41,000 აფროამერიკელებისა და 1:19,000 ლათინოამერიკელებისთვის.

ზედა ზღვრის პრინციპის დანიშნულებაა იყოს კონსერვატიული ალბათობების შეფასებისას, და აჩვენოს სიხშირე, რომელიც არ გააზვიადებდა მტკიცებულების სიძლიერეს. თუ დანაშაული ჩადენილი იყო კონკრეტულ ადგილას და ეჭვმიტანი-

ლი ეკუთვნოდა კონკრეტულ პოპულაციის ჯგუფს, გარკვეული ალელისთვის სიხშირე შეიძლება უფრო მაღალი იყოს, ვიდრე მთლიანად პოპულაციისთვის. ასე რომ, კონკრეტული სიხშირეების ნაცვლად პოპულაციის მასშტაბის სიხშირეების ციტირება ბრალდებულისთვის საზიანო იქნებოდა. ზოგიერთის აზრით, იდეალური იქნებოდა, თუ მონაცემთა ბაზები კონკრეტულ დანაშაულს მოერგებოდა, მაგრამ ეს, სავარაუდოდ, დნმ-ის რასობრივ პროფილირებაში არევას გამოიწვევდა. ამ საკითხთან დაკავშირებით და იმ ფაქტის გამო, რომ ეთნიკური ჯგუფები სოციოლოგიურად თუ სხვაგვარად კარგად არ არის განსაზღვრული, დღესაც დავა მიმდინარეობს. გამომძიების ფედერალური ბიურო რუტინულად აგროვებს ნიმუშებს სხვადასხვა შტატიდან და ასევე მუშაობს მსოფლიო მასშტაბის მონაცემებზე სხვადასხვა ბაზებიდან. ის ასევე იყენებს კონსერვატიული ფიქსირებული კალათის პროცედურას, რომელიც ახდენს გაზომვის შეცდომის სტატისტიკურ მეთოდოლოგიასთან კომბინირებას. ,,კალათა'' წარმოადგენს ფუძის წყვილების ნებისმიერ რაოდენობას, რომლის გარკვეული სიგრძე უფრო ფართოა, ვიდრე გამოყენებული ანალიტიკური სისტემის გაზომვის შეცდომა (2.5%). ამდენი ფუძის წყვილების (როგორც წესი, 872-დან 963-მდე) მქონე ალელებს ათავსებენ კალათაში, ახარისხებენ და სინჯავენ ქვეპოპულაციის ნიშნულების გამოყენებით.

დნმ-ის თანამედროვე ლაბორატორიათა უმეტესობას ამჟამად აქვს ნაწილობრივ ავტომატიზებული გენოტიპური პროგრამული უზრუნველყოფა. შემუშავდა კომპიუტერული საექსპერტო სისტემები (როგორიცაა STRgazer), რომლებიც გენის სეკვენატორებიდან ადგენს გენოტიპს. ეს მოწყობილობები გადაანგარიშებისა თუ გადამოწმების ტესტირებებსაც კი ატარებენ, და მექანიკურ რეჟიმში გადართვა საშუალებას აძლევს დნმ-ის ექსპერტს საკუთარი გამოკვლევა ჩაატაროს. იმის გათვალისწინებით, რომ ორმაგი შედეგის აუცილებლობა სტანდარტად ყალიბდება, კარგი იქნებოდა, თუკი ლაბორატორიები მანქანის გაანგარიშებული შედეგებისა და ადამიანის გაანგარიშებული შედეგების გარკვეული ხარისხით დამთხვევას მოითხოვდნენ.

მეცნიერული მეთოდოლოგია

დნმ-ის ჯგუფის დადგენისთვის, სულ მცირე, ხუთი სხვადასხვა სასამართლო ექსპერტიზის მეთოდი არსებობს:

1. RFLP (შეზღუდული ფრაგმენტის სიგრძის პოლიმორფიზმი), უძველესი ტექნიკა, რომელიც მოკლედ ზემოთ იყო აღწერილი, ძირითადად რადიოაქტიური ფრაგმენტაციისა და ექსპერტის მიერ შედარებას მოიცავს.
2. PCR (პოლიმერაზის ჯაჭვური რეაქცია) – დნმ-ის პატარა ან დანაწევრებული ნაწილების კოპირების ტექნიკა, სადაც ხდება მათი კოპირება ან გაფართოება, მაგრამ არა კლონირება, და სადაც კომპიუტერი ან ოპერატორი ახდენს დამთხვევის ალბათობათა შეფასებას.
3. STR (მცირე ტანდემური გამეორებები, ზოგჯერ ეწოდება VNTR, ტანდემური გამეორებების ცვლადი რიცხვი) მეთოდი, რომელიც იყენებს ნიშნულებს მიკროვარიანტული ალელების მოდელების მოკლე, განმეორებადი სეგმენტები-

სთვის, სულ რაღაც სამიდან შვიდი ფუძის წყვილამდე, რომელიც, როგორც წესი, კომპიუტერულ საექსპერტო სისტემებს მოიცავს, თუმცა მისი ვიზუალურად აღმოჩენაც შესაძლებელია.

4. მიტოქონდრიალური დნმ – PCR-ის სახეობა, რომელსაც თავდაცვის სამინისტრო იყენებს ომის ნარჩენების იდენტიფიცირებისთვის, ან არქეოლოგები იყენებენ იმ ნიმუშებისათვის, რომლებიც გარემოს განსაკუთრებულ პირობებში არის აღმოჩენილი, და იქიდან გამომდინარე, რომ მიტოქონდრიალური დნმ მემკვიდრეობით მხოლოდ დედისგან გადადის, ეს მეთოდი ასევე დედობის დადგენის სადავო საქმეებზე გამოიყენება.
5. დნმ-ის სწრაფი მიკროჩიპული გენეტიკური დეტექტორები – ეს არის ლეპტოპის ბაზაზე არსებული საველე ანალიზის ერთეულები, რომლებიც დანაშაულის ადგილებზე გამოიყენება და პროფილებს ფანჯარაში უჩვენებს ან CODIS-ის მონაცემთა ბაზაში ელექტრონულად ტვირთავს. ტექნოლოგია იმავე მიკროჩიპებს იყენებს, რომლითაც გენეტიკური დაავადებები ვლინდება, მაგრამ მოდიფიცირებულია ტრანსპორტირებისათვის და ახდენს დნმ-ის ჰიბრიდიზირებას ელექტრონული დინებების მეშვეობით.

ლაბორატორიების უმეტესობა იყენებს RFLP-ისა და PCR-ის ორმაგ ტექნიკას, როგორც მათი ორმაგი შედეგის მოთხოვნილების ნაწილს. RFLP-ის გამოყენებით, დნმ ქიმიურად ფრაგმენტებად ნაწევრდება, აღწევს გელში, რომელიც ელექტრონულ დინებას ატარებს, გადაეცემა ნეილონის მემბრანას, და შემდეგ აიღება დნმ-ის რადიოაქტიური ნიმუშები დნმ-ის თანმხვედრ სიხშირეებთან შეკვრის შედეგად ჰიბრიდიზებული სიხშირეების შესაქმნელად. შემდეგ მემბრანის გვერდზე თავსდება რენტგენის ფირი, და როდესაც ფირი მჟღავნდება, ვლინდება ზონარების მოდელი, რომელსაც ავტორადიოგრამა, ან ავტორადა ეწოდება. PCR-ის შემთხვევაში, ნიმუშს ემატება ქიმიური ხსნარი და იხარშება დნმ-ის მოსაცილებლად, რომელიც შემდეგ კომბინირდება დნმ-ის მცირე ფრაგმენტებთან, რომლებსაც პრაიმერები ეწოდება, და ასევე ქიმიურ ნივთიერებებთან, რომლებიც ახდენენ კოპირების სტიმულირებას პოლიმერაზის ჯაჭვური რეაქციის საშუალებით (ბაძავენ რა იმას, თუ როგორ ახდენს ბუნება დნმ-ის კოპირებას). კოპირებული დნმ შემდეგ იდება რეაგენტული ზოლების რვიდან ათამდე ადგილას, სადაც თითოეული ადგილი მოიცავს სხვა ცნობილი დნმ-ის განსხვავებულ სეგმენტს, და დამთხვევას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც ნებისმიერ ადგილას ლურჯი ფერი იჩენს თავს.

STR-ის შემთხვევაში, გარკვეული ცნობილი ალელები, რომელთაც შედარებით მოკლე ფუძის დაწყვილება ახასიათებთ, იზოლირებული არიან თავიანთი ადგილებისგან ქიმიური ნიშნულებით. შემდეგ, პროცესის საშუალებით, რომელსაც PCR-ის მულტიპლექსირება ეწოდება, ხდება ასეთი ფუძის წყვილების ამოღება და გადიდება, და ამავდროულად იმის უზრუნველყოფა, რომ არ მოხდეს ანალიზს დაქვემდებარებული დნმ-ის ფრაგმენტების ზომების გადაფარვა, რაც ამგვარად გამორიცხავს გამოძიების ფედერალური ბიუროს კალათის მეთოდის საჭიროებას. ტექნოლოგია ეფუძნება იმის ცოდნას, თუ რომელი ადგილი რომელ გენეტიკურ ნიშნულს შეიცავს მოცემული პოპულაციის ქვეჯგუფისათვის. ქვემოთ მოცემულია ზოგიერთი ჩვეული გენეტიკური ნიშნული სამი ძირითადი ტექნოლოგიის მიმართებაში:

RFLP	PCR	STR
D1S7	HLA-DQA1	
D2S44	LDLR	HUMTH01
D4S139	GYPA	D3S1358
D5S110	HBGG	vWA
D10S28	D7S8	FGA
D17S79	Gc	

RFLP მეთოდის ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ ის ცოცხალი დნმ-ის შედარებით დიდ რაოდენობას მოითხოვს. რენტგენის ფირის გამჟღავნებასაც დაახლოებით ერთი კვირა სჭირდება. ამის გაკეთება თითოეული ანალიტიკური ტესტისათვის არის აუცილებელი, ასე რომ, მთლიან პროცესს შეიძლება მრავალი კვირა დასჭირდეს. PCR-ის ტექნიკის უპირატესობა ისაა, რომ მას დნმ-ის მხოლოდ კვალის რაოდენობა ესაჭიროება და ის ძალზე სწრაფად ტარდება. რეალურად, გახურების, გაგრილებისა და ნაპირის ხელახლა აშენების თითოეული ციკლი PCR-ის შემთხვევაში აორმაგებს დნმ-ის რაოდენობას, და მას დაახლოებით ორი წუთი სჭირდება. როდესაც ლაბორატორიები RFLP-ის მეთოდს იყენებენ, ისინი მხოლოდ ხუთ ან ექვს პოლიმორფიზმს უყურებენ (ჩრდილოეთ კაროლინა უყურებს რვას), და იმ დროისათვის, როდესაც თქვენ გაქვთ რვა სისტემა იდენტიფიცირებული ისე ცოტა ალელით, როგორიც არის 20, თქვენ კიდევ უფრო მეტის გამოკვლევით დამატებით ვერაფერს შეიძენთ. სინჯების გამოყენებით (რომელიც იცნობს სხვადასხვა განმეორებად დნმ-ის სეგმენტს) შესაძლებელია მაღალი ხარისხის მიახლოებული ინდივიდუალიზმის მიღწევა. სინჯები იცნობენ ალელების სიხშირის შეფასებებს პოპულაციაში, ასე რომ, თუ თქვენ გამოიყენებთ ოთხ სინჯს 1:100-თან სიხშირის განაწილებით, მაშინ შეგიძლიათ გაამრავლოთ თქვენი ორიგინალი დამთხვევის ალბათობა 1/100 ხ 1/100 ხ 1/100 ხ 1/100 ხ რიგზე, ან ერთი ას მილიონში. თუმცა, ნაკლებად სავარაუდოა, რომ რომელიმე ორ ადამიანს აღმოაჩნდეს ერთი და იგივე პროფილი სულ მცირე ხუთი ადგილმდებარეობის სინჯების საფუძველზე. სინჯების ტექნოლოგია ეფუძნება „მომხსენებელი“ მოლეკულების გამოყენებას, რათა მაქსიმალურად გაიზარდოს დნმ-ის ანალიზის მგრძნობელობა. გამოძიების ფედერალური ბიურო იყენებს ერთჯერად სინჯებს, მაშინ როდესაც კერძო ლაბორატორიები ხშირად იყენებენ „კოქტეილის“ მიდგომას მრავალადგილიანი სინჯებით.

პოტენციური პრობლემები უმეტესწილად დაკავშირებულია RFLP-ის მეთოდთან და მოიცავს:

- ჯვარედინ დაბინძურებას – ეს შეიძლება მოხდეს ნიმუშის აქსესუარებით მომარაგებისას ან ჯგუფის დადგენის პროცედურის ჩატარებისას. RFLP-ის შემთხვევაში ის წარმოჩნდება, როგორც გელში გვერდითი მიგრაცია.
- გარემოსდაცვით დარღვევას – ბიოლოგიური ან ქიმიური დაბინძურება, როგორც ბაქტერიულ, საფუარისეულ და სოკოვან წარმონაქმნებში. თუმცა, ამ მხრივ დნმ-ის მტკიცებულებები საკმარისად ძლიერია.
- შერეულ ნიმუშებს – ეს არის მსხვერპლისა და ეჭვმიტანილის შერეული

სისხლის პრობლემა, რაც დამახასიათებელია დანაშაულის ადგილებისათვის. ავტორადი წარმოაჩენს ზონარების ერთიმეორეზე შეთავსებას, მაგრამ PCR-ის მეთოდები არსებობს შერეული ნიმუშების გასაფილტრად და სხვადასხვა ნაწილის გასადიდებლად, თუ კონტრიბუტორებისგან აღებული გაქვთ შესაბამისი ნიმუშები.

- ნაწილობრივ ათვისებას – ზოგჯერ რესტრივტაზები კარგად არ იჭრება და ჩნდება დამატებითი ზონარები.
- ნათელ საქმიანობას – ზოგჯერ რესტრივტაზები საკმარისზე კარგად იჭრება და ჩნდება დამატებითი ზონარები.
- ზონარების გადატანას – როდესაც დნმ-ის ფრაგმენტები ერთ ხაზში უფრო სწრაფად მიგრირებენ, ვიდრე იდენტური ფრაგმენტები მეორე ხაზში, სახეზეა აშკარა დაუმთხვევლობა. ამის მიზეზები უცნობია, თუმცა შეიძლება გამოწვეული იყოს გელში ძალზე ბევრი დნმ-ით ან ბუშტუკებით.

კრიმინალისტიკური საკითხები

კრიმინალისტები დაინტერესებული არიან კარიოტიპირებით, ქრომოსომების რაოდენობისა და სახეობების შესწავლით. კარიოტიპირების ძირითადი ვარაუდის თანახმად, არსებობს გარკვეული სახის ანომალია, რომელიც კრიმინალურ ქცევას იწვევს. ყველაზე ხშირად მოაზრებული ანომალია წარმოადგენს XYY მოდელს, რომელიც დამატებით მამრობით ქრომოსომას მოიცავს. XYY მოდელი თავს იჩენს ყოველი 1000 მამაკაციდან დაახლოებით 700-ში. XYY მოდელის მამაკაცი, როგორც წესი, ექვს ფუტზე მაღალი სიმაღლისაა, ახასიათებს დაბალი გონებრივი ფუნქციონირება, აწუხებს მკვეთრი თინეიჯერული ასაკის მუწუკები და ხშირად ტლანქია. ასევე გვხვდება XXY მამაკაცებიც, ერთი დაახლოებით ყოველ 500-ში, მაგრამ მათ XYY მამაკაცებთან შედარებით უფრო პატარა სასქესო ორგანოები აქვთ და მკერდის განვითარება ახასიათებთ. XYY მოდელის დანაშაულთან კავშირი უფრო საგრძნობია (სექსუალურ დანაშაულებში ძირითადად), მაგრამ ასეთ ადამიანებს ძირითადად ფსიქიატრიულ საავადმყოფოებსა და ციხეებში პოულობენ, რაც მათ გონებრივ ფუნქციონირებასა და სიტლანქეზე უფრო მეტყველებს, ვიდრე კრიმინალურობაზე. მიუხედავად ამისა, ზოგიერთ იურისდიქციაში, არასრულწლოვნებს უტარებენ გამოკვლევებს იმის დასადგენად, აქვთ თუ არა მათ XYY გენეტიკური ნიშნული, და თუ ეს ასეა, ეს გამოიყენება სრულწლოვანების ასაკში დანაშაულის ჩადენის რისკის მაპროგნოზირებელ საშუალებად (თუმცა ეს საკითხი სადავოა).

სპეკულაციების კიდევ ერთ სფეროს წარმოადგენს იმაზე მსჯელობა, არსებობს თუ არა კრიმინალური ქრომოსომის მსგავსი რამ. ამ სფეროს ზოგჯერ უწოდებენ კრიმინალური ქრომოსომის გაშიფვრას, და დროგამოშვებით გავიგებთ ხოლმე კვლევის შესახებ, რომელიც მას ეძებს. თუმცა, ის არ არის ადამიანის გენომის პროექტის ნაწილი, რადგან ეს პროექტი ძირითადად ემსახურება დაავადებებისა და დეფექტების მემკვიდრეობითი საფუძვლების აღმოჩენას. ქრომოსომის გაშიფვრას უზარმაზარი სამუშაოს ჩატარება სჭირდება, რადგან, პირველ რიგში, უნდა მოიძიოთ სუბიექტები,

რომელთაც არ ჰქონიათ დიდი შეხება გარე ძალებთან, როგორიცაა დაბადება ან დიეტური პრობლემები. ქცევითი მახასიათებლების გაშიფვრა, ამასთან, არ წარმოადგენს ეროვნულ პრიორიტეტს, რისი გამონაკლისიც არის გონებრივი დაავადებები, როგორიცაა დეპრესია და რომელიც ძლიერი ლობირებით სარგებლობს, და გონებრივი ჩამორჩენილობის სულ მცირე ორი ფორმა (ანგელმანის სინდრომი და მყიფე X), რომელიც უკვე გაიშიფრა. ქვემოთ მოცემულია დაავადებები თუ დეფექტები, რომლებიც 2000 წლის ზაფხულისთვის უკვე გაშიფრული იყო:

ქრომო 1 – პროსტატის კიბო, გლაუკომა, ალცეიმერის დაავადება	ქრომო 12 – ზელვეგერის სინდრომი
ქრომო 2 – მსხვილი ნაწლავის კიბო	ქრომო 13 – მკერდის კიბო
ქრომო 3 – ფილტვის, მსხვილი ნაწლავის კიბო	ქრომო 14 – ალცეიმერის დაავადება
ქრომო 4 – ჰანტინგტონის დაავადება, პარკინსონი	ქრომო 15 – ანგელმანის სინდრომი
ქრომო 5 – ვერნერის სინდრომი, ბარკიტის ლიმფომა	ქრომო 16 – თირკმლის დაავადება, კრონის დაავადება
ქრომო 6 – დიაბეტი, ეპილეფსია	ქრომო 17 – მკერდის კიბო
ქრომო 7 – დიაბეტი, ფიბროზულ-კისტური დეგენერაცია, სიმსუქნე	ქრომო 18 – პანკრეასული კიბო
ქრომო 8 – ვერნერი, ბარკიტი	ქრომო 19 – ათეროსკლეროზი, დისტროფია
ქრომო 9 – მელანომა, ლეიკემია	ქრომო 20 – იმუნოდეფიციტი
ქრომო 10 – რეფსუმის სინდრომი, სპირალისებური ატროფია	ქრომო 21 – ფარული სკლეროზი
ქრომო 11 – დიაბეტი, ნეოპლაზია	ქრომო 22 – მიელოიდური (ძვლის ტვინის) ლეიკემია

პუბლიკაციები:

Buckleton, J., Triggs, C. & Walsh, S. (2005). Forensic DNA Evidence Interpretation. Boca Raton, FL: CRC Press.

Bureau of Justice Statistics. (1991). Forensic DNA Analysis: Issues. Washington D.C.: US DOJ.

Burke, T. et al. (eds.) (1991). DNA Fingerprinting : Approaches And Applications. Boston : Birkhauser Verlag.

Conners, E. et al. (1996). Convicted by Juries, Exonerated by Science. Washington D.C.: NIJ.

Gill, P., A. Jeffreys & D. Werrett. (1985). "Forensic Application of DNA Fingerprints" Nature 316:76.

Inman, K. & N. (1997). An Introduction to Forensic DNA Analysis. Boca Raton: CRC Press.

Kelly, J. & P. Wearne. (1998). Tainting Evidence: Inside the Scandals at the FBI Crime Lab. NY: Free Press.

Lee, H. & R. Gaensslen (eds.) (1990). DNA And Other Polymorphisms In Forensic Science. Chicago:Year Book Medical Publishers.

Robertson, J., A. Ross & L. Burgoyne (eds.) (1990). DNA In Forensic Science: Theory, Techniques, And Applications. NY:Ellis Horwood.

Rudin, N. & Inman, K. (2002). An Introduction to Forensic DNA Analysis. Boca Raton, FL: CRC Press.

Sheck, B. (1994). "DNA and Daubert" Cardozo Law Review 15:1959.

Sylvester, J. & J. Stafford. (1991). "Judicial Acceptance of DNA Profiling" FBI Law Enforcement Bulletin, July:29.

Thompson, W. (1995). "Subjective interpretation, laboratory error and the value of forensic DNA evidence" Genetica 96: 153-168.

Tomsey, C., C. Basten, B. Budowle, B. Giles, S. Ermlick & S. Gotwald. (1999). "Use of Combined Frequencies for RFLP and PCR Based Loci in Determining Match Probabilities" Journal of Forensic Science 44(2): 385-88.

სასამართლო პათანატომია

სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა დიდი ხანია არსებობს და იგი ყველაზე იოლი ფორმაა მტკიცებულებათა შეგროვების მეცნიერებაში (განსაკუთრებით, მტკიცებულების დაშვების კუთხით), რადგან უკვე წლებია მედიცინასა და სამართალს შორის ურთიერთკავშირი სახეზეა. პათანატომია მედიცინის ის დარგია, რომელიც სწავლობს დაავადების ან დაზიანების შედეგად გამოწვეულ სტრუქტურულ ცვლილებებს. სასამართლო პათანატომია კი სწავლობს „არაბუნებრივ“ ან „საეჭვო“ დაავადების ან დაზიანების შედეგად გამოწვეულ სტრუქტურულ ცვლილებებს. არსებობს პატოლოგიის ორი ქვედარგი: ანატომიური ადამიანის სხეულის სტრუქტურულ ცვლილებებს იკვლევს; და კლინიკური, რომელიც სხეულიდან ამოღებული ნიმუშების ლაბორატორიულ გამოკვლევას გულისხმობს.

- სიკვდილის მიზეზის დადგენა;
- სიკვდილის დადგომის სავარაუდო დროის დადგომა;
- გამოყენებული იარაღის ტიპის დადგენა;
- მკვლელობისა და თვითმკვლელობის გარჩევა;
- გარდაცვლილის ვინაობის დადგენა;
- ტრავმის ან ადრე არსებული დაავადების დამატებითი ეფექტის განსაზღვრა;

აშშ-ს სხვადასხვა შტატი კორონერის (სასამართლო გამომძიებლის) ან კიდევ სამედიცინო ექსპერტიზის სისტემას იყენებს. კორონერის სისტემაში, კორონერი არჩევითი თანამდებობის პირია და არ არის სავალდებულო იყოს ექიმი, მიუხედავად იმისა, რომ სასურველია მას ჰქონდეს გარკვეული გამოცდილება სამედიცინო სფეროში. მაგალითად, ტეხასში ე.წ. მშვიდობის მოსამართლე ასევე არის კორონერი (რომელიც ნიშნავს გამოკვლევებსა და ლაბორატორიულ ტესტებს). კორონერები არ თავისუფლდებიან დაუდევრობის შემთხვევაში სამოქალაქო პასუხისმგებლობისგან; ექიმები კი შეიძლება გათავისუფლებულ იქნენ.

სასამართლო სამედიცინო ექსპერტები შტატების დედაქალაქებიდან ცენტრალიზებულად მოქმედებენ ან კიდევ სპეციალური შიდა-საშტატო მოწყობა აქვთ. ისინი ხშირად ან სამართალდამცავთა უფლებამოსილებას ითავსებენ (აჰყავთ მკვლელობის საკუთარი გამომძიებლები) ან კვაზისამოსამართლო ფუნქციებს (იწვევენ გამოძიებას ან იღებენ ფიცის ქვეშ ჩვენებებს).

ავტოფსია — გვამის გაკვეთა

გვამის გაკვეთის მიზანია აწარმოოს სრულყოფილი დაკვირვება და სამუდამოდ აღბეჭდოს ოქმში ახლად აღმოჩენილი გვამის ანატომიური თავისებურებების შესახებ. გაკვეთას, როგორც წესი, ატარებენ ან ადგილობრივ საავადმყოფოებში ან კიდევ მორგში. ზოგ შემთხვევაში გაკვეთა შესაძლებელია კერძო ოფისებსა და/ან დაკრძალვის ბიუროებშიც.

ანატომიური გამოკვლევა შესაძლოა საკმარისი იყოს სიკვდილის მიზეზის დასადგენად, ეს იმ შემთხვევაში, თუ პათანატომს ხელი მიუწვდება სხვა ინფორმაციაზე (მაგ., გვამის ისტორიაზე, ფსიქიატრიულ მონაცემებსა და პაციენტის შესახებ სხვა დამატებით ინფორმაციაზე). სასამართლო პათანატომი, ხშირად ასევე ერთვება „ფსიქოლოგიურ ავტოფსიაში“, თუმცა ამ მოვლენას ადვილად არ იღებს სამართლებრივი სისტემა. ხშირად აუცილებელი ხდება გარკვეული ორგანოების ან მისი ნაწილების დამატებითი კლინიკური ან მიკროსკოპული გამოკვლევა, რათა დეტალები პათანატომის დასკვნაში აისახოს. თუმცა ასეთი შემოწმება შეუძლებელია ექსჰუმაციის შემთხვევაში (ან როდესაც ოჯახი ამის წინააღმდეგია).

სასამართლო პათანატომები თითქმის ყოველთვის უკვეთავენ რენტგენოლოგიურ გამოკვლევას საქმეში იარაღის არსებობის შემთხვევაში. რენტგენოლოგიური გამოკვლევა ასევე სასარგებლოა დანით მიყენებული ჭრილობისა და ბავშვთა ძალადობის შემთხვევებში. ორგანოების გამოკვლევა სასარგებლოა ტოქსიკოლოგიურ შემთხვევებში, ისევე როგორც, ნებისმიერ დროს, როდესაც ეჭვია ალკოჰოლის ან ნარკოტიკების გამოყენებაზე. კუჭის შიგთავსის შემოწმება თითქმის ყველა ავტოფსიის ნაწილია, რადგან ამ გზით შესაძლებელია ინფორმაციის მოპოვება სიკვდილის გამომწვევ მიზეზებსა და სიკვდილის დადგომის დროზე. კლინიკური გამოკვლევა კი, ამოუცნობი ნეშტის ასაკს, რასას, სქესს, სიმაღლეს, წონასა და ზოგადად, ჯანმრთელობის მდგომარეობაზე გვაწვდის ინფორმაციას.

ავტოფსიის ოქმის შედგენაზე სანამ ვისაუბრებდეთ, უმჯობესია, განვიხილოთ დაზიანებები, რომლებიც იწვევენ სიკვდილს.

ასფიქსია

ასფიქსიის ყველა შემთხვევაში ჟანგბადი არასაკმარისი რაოდენობით აღწევს თავის ტვინში ან სხვა სასიცოცხლო ორგანოებამდე. ეს შეიძლება სხვადასხვა გზით მოხდეს. პირველ რიგში, არსებობს გარკვეული ბუნებრივი დაავადებები, რომელიც ხურავს სასუნთქ სისტემას; მაგალითად, პნევმონია, გრიპი, ასთმა, ლარინგო დაავადებები და ა.შ. გარდა ამისა, არსებობს სამი სახის დანაშაულებრივი გზაც: დახრჩობა, წყალში დახრჩობა და მოხუთვა.

დახრჩობა შესაძლებელია იყოს განზრახი მკვლელობა, თვითმკვლელობა ან შემთხვევითი სიკვდილი. მკვლელობის შემთხვევაში ქმედებას სჩადიან ან მანუალურად (ყელზე მოჭერით) ან კიდევ თოკის ან მავთულის გამოყენებით. ჩამოხრჩობისას მსხვერპლი კვდება ან სხეულის სიმძიმის გამო, ან კიდევ კისრის გადატეხის შედეგად. დახრჩობის ყველა შემთხვევას მომდევნო ნიშნები ახასიათებს:

- გულის ინტენსიური შეშუპება (გაფართოებულ გული; მარჯვენა პარკუჭი).
- ვენების გაფართოება (დაზიანებამდე გაფართოებული ვენები).
- ტუჩებისა და თითის წვერების ლურჯი შეფერილობა.

წყალში დახრჩობა წყლის ინჰალაციის შედეგად დგება, რაც იწვევს ხრჩობას.

შედეგად ყელისა და საჰაერო მილის არეში წარმოიქმნება სქელი ქაფივით სითხე, რომელიც კეტავს სასუნთ გზებს. ამ შემთხვევაში, მსხვერპლის პირისა და ცხვირის მიდამოებში შეიმჩნევა ერთგვარი ქაფი. ზოგ შემთხვევაში ხდება ე.წ. „მშრალი დახრჩობა“, რომელიც შოკის შედეგად დგება. ამ შემთხვევაში შოკი ყელის შეშუპებას იწვევს და მსხვერპლის მუცელსა და ფილტვებში წყლი არ დგება. კლასიკური წყალში დახრჩობა ხუთ ეტაპს გადის:

1. სიურპრიზი (პირი შოკშია და წყალს შეისუნთქავს);
2. სუნთქვის შეკავება (ადამიანი წყალთან ბრძოლის პარალელურად ცდილობს შეაჩეროს სუნთქვა);
3. ვარდისფერი ქაფი (პირი ღრმად შეისუნთქავს და განდევნის ვარდისფერ ქაფს);
4. სუნთქვის შეჩერება (გულმკერდის მოძრაობა და გუგების გაფართოება);
5. საბოლოო ბრძოლა (სუნთქვისა და ჰაერის პოვნის 3-4 წუთიანი მცდელობა).

მოხუთვა დგება იმ შემთხვევებში, როდესაც ჰაერის მიწოდებას რაიმე ნივთი, მაგალითად, ბალიში ან საბანი აფერხებს. თუ მოხუთვისას რბილ ნივთს გამოიყენებს თავდამსხმელი, სხეულზე არ რჩება ტრავმის ნიშნები. თუმცა შეიძლება არსებობდეს პატარა ჭრილობები შიდა ტუჩზე. ტუჩებისა და თითის წვერების ლურჯი შეფერილობა შეიძლება იყოს ან არ იყოს წარმოდგენილი. თუმცა თვალების მიდამოებში წითელი წერტილები შეიმჩნევა.

ჭრილობა

ზოგადად ჭრილობები რამდენიმე კატეგორიად იყოფა: ნატყვიარი, დანით დაჭრის შედეგად მიყენებული ჭრილობები, ბლაგვი საშუალების შედეგად მიყენებული ჭრილობები, გაუპატიურების შედეგად მიყენებული ჭრილობები, მოწამვლის – ტოქსიკოლოგიური ტიპის ჭრილობები, დამწვრობის ჭრილობები და საგზაო შემთხვევით გამოწვეული ჭრილობები. პათანატომები ჭრილობაზე დაკვირვების შედეგად ცდილობენ აღადგინონ მოვლენები და განსაზღვრონ რა მოხდა, ასევე განსაზღვრონ იყო თუ არა სახეზე თავდაცვა, და როდის მოხდა ჭრილობის მიყენება – სიკვდილამდე თუ მისი დადგომის შემდეგ. ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობა მნიშვნელოვან ბალისტიკურ ინფორმაციას იძლევა. თუ ჭრილობის გამომწვევი ობიექტი სასიცოცხლო ორგანოს არ ხვდება, სიკვდილის ყველაზე გავრცელებული მიზეზი შოკია – ორგანიზმი უბრალოდ წყვეტს ფუნქციონირებას, აცნობიერებს რა, რომ ზიანი იმდენად დიდია, რომ იგი უბრალოდ ვერ შეძლებს თვითაღდგენას. ეს უფრო ხშირად ხდება სიკვდილის მიზეზი, ვიდრე სისხლისგან დაცლა. თუმცა ყველაფერი მაინც ჭრილობის გამომწვევ იარაღზეა დამოკიდებული. ტყვია ადამიანში შოკურ მდგომარეობას იწვევს და ადამიანიც კვდება; დანა სისხლისდან ცლის ადამიანს. ჭრილობებს ყოველთვის თან სდევს შიდა და არა გარე სისხლდენა.

ტყვით გამოწვეული ჭრილობა ფიზიკის პრინციპებს მისდევს. რაც უფრო დიდია ტყვიის ენერგია, მით უფრო დიდია დაზიანება. სასროლის ენერგია მისი მასისა

და წონის ნამრავლია მისივე სიჩქარის კუბზე. იმიტომ, რომ იგი კუბშია აყვანილი, სიჩქარე ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია, და არა ტყვიის ზომა ან თუნდაც კალიბრი. ჩაღრმავებული წვერის მქონე ტყვიები შექმნილია იმისთვის, რომ სწრაფად გაიფანტოს და ამით დააზიანოს ადამიანის სასიცოცხლო ორგანოები. აღსანიშნავია ისიც, რომ მაღალი სიმძლავრის თოფი უფრო სწრაფად კლავს, ვიდრე, მაგალითად, პისტოლეტი. პათანატომების უმრავლესობა კარგად ერკვევა ცეცხლსასროლი იარაღის იდენტიფიკაციაშიც და ბალისტიკურ ექსპერტიზაშიც.

ჭრილობის შემავალი და გამომავალი წერტილების დათვალიერება ძალიან მნიშვნელოვანია. ვინაიდან ტყვია გასროლის შემდეგ ბზრიალებს, იგი ადვილად ხვრეტს კანის ზედაპირს. სწორედ ამიტომ, შემავალი ჭრილობა უფრო მცირე ზომისაა და ხშირად შესაძლებელია მისი მეშვეობით ტყვიის კალიბრის დადგენა. გამომავალი ჭრილობები, როგორც წესი, უფრო დიდი ზომისაა. ხშირად ტყვია ხვდება შინაგან ორგანოებს და კარგავს ძალას, ან არაპირდაპირი ტრაექტორიით მოძრაობს.

ტყვია-წამლის დამწვრობის გამოკვლევის შედეგად განისაზღვრება სროლის მანძილი და მიმართულება. დამწვრობის ხარისხი მიუთითებს სროლის მანძილზე, ხოლო ჭრილობის გარშემო არსებული ცვეთის გარშემოწერილობა – გასროლის კუთხეზე. პათანატომის საქმე არ არის ტყვია-წამლის ზუსტი კონცენტაციის კვლევა. მის შემადგენლობას ქიმიკოსები იკვლევენ.

დანით მიყენებული ჭრილობები მოიცავს დარტყმით და დასერილ ჭრილობებს. დარტყმითი ჭრილობები ისევე გამოიყურება, როგორც ნატყვიარი, მხოლოდ ოდნავ აზიანებს კანის ხედაპირს. სხვა სახის დარტყმით ჭრილობას ეწოდება „ეჭვის ნიშნები“, რომელიც ხშირად თვითმკვლელობის შემთხვევებში გვხვდება. ჩვეულებრივ ასეთი ტიპის ჭრილობები მართკუთხედის ფორმისაა, ანუ, ჭრა ფართოა და გრძელი. დასერილი ჭრილობების შემთხვევაში კი, ყოველთვის სიგრძე მეტია, ვიდრე მისი სიღრმე. ადვილი შესამჩნევია ისიც, რომ დიდი რაოდენობით ქსოვილი ზიანდება ამგვარი ჭრილობის მიყენებისას. დაზიანებას კი უფრო ოვალური ფორმა აქვს. სხვა ტიპის ჭრილობებიდან აღსანიშნავია ნახვრეტი ჭრილობა, რომელსაც არა აქვს გეომეტრიული ფორმა (გარდა ალბათ წრიულისა) და გამოირჩევა თავისი სუფთა – კვეთის კუთხით.

იმის დასადგენად, ჭრილობა სიკვდილამდე თუ მას შემდეგ მიიტანეს, აკვირდებიან იმას, თუ როგორია სისხლდენა. ზოგადი წესი შემდეგია: თუ ჭრილობას პირი ღია აქვს და სისხლმდენია, მაშინ იგი სიკვდილამდე მიიტანეს, თუ არადა სიკვდილის შემდგომი. დანით მიყენებული ჭრილობების შემთხვევაში სიკვდილს ყველაზე ხშირად არა შოკი, არამედ სისხლდენა იწვევს. ჭრილობის სიღრმე კი ამ შემთხვევაში იმდენად მნიშვნელოვანი არ არის.

ბლაგვი იარაღით გამოწვეული ტრავმა მიიღება ხელკეტით ცემის, ფეხით რტყმის ან მუშტი-კრივის შემთხვევაში. მუშტის დარტყმამ შეიძლება გამოიწვიოს სისხლჩაქცევები, დაბეჟილობები, მოტეხილობები ან სასიცოხლო ორგანოების დაზიანება. ყოველთვის შენიშნება მოლურჯო-მოწითალო სისხლჩაქცევებიც, თუმცა პიროვნების წონის მიხედვით მათი სიხშირე განსხვავებულია (მსუქანი ადამიანები უფრო ადვილად ლურჯდებიან, ვიდრე გამხდრები).

ტვინის დაზიანებები განსაკუთრებით რთული გასაანალიზებელია. ძირითადი წესი ისაა, რომ ტრავმა ყველაზე რთულ ფორმას დარტყმის საპირისპირო მხარეს მიიღებს.

სიკვდილი უმალვე დგებ, თუ სახეზეა სკალპის მოტეხილობები.

ტანზე მიყენებულ დაზიანებებს, როგორც წესი, უფრო მეტი დრო სჭირდებათ სიკვდილის გამოსაწვევად. თუმცა, ხშირად დაზიანების მიყენებიდან სულ რამდენიმე საათშიც კი, შეიძლება დადგეს სიკვდილი. ეს ფილტვების ემბოლიზმის ბრალია. ბლაგვი ზედაპირით მიყენებული დაზიანებებისას პირველადი დახმარების გარკვეულ ზომებს შეიძლება მეტი ცუდი ეფექტი ჰოქნდეს, ვიდრე კარგი.

გაუპატიურების შედეგად მიყენებული ჭრილობების გამოკვლევა, პირველ რიგში, გენიტალიების არედან იწყება, რათა გამოვლინდეს არის თუ არა სახეზე ნახევები ან სისხლჩაქცევები. ქალის მსხვერპლის შემთხვევაში, პირველ რიგში, იკვლევენ იყო თუარა იგი ქალიშვილი. მსხვერპლი ასევე მოწმდება ვენერიულ დაავადებებსა და ორსულობაზე. ასევე გროვდება აღმოჩენილი უცხო თმები, სისხლის და/ან სპერმის ლაქები. სპერმის აღმოჩენის შემთხვევაში, ხდება მისი დნმ-ის დადგენა და სპერმათა ბანკში გადამოწმება.

მოწამვლა, როგორც წესი, სხეულის ფერის შეცვლით დგინდება. მაგალითად, ალუბლისფერი შეფერილობა გაზით მოწამვლაზე მიგვითითებს. სხვა ტოქსინები უჩვეულო სურნელს გამოსცემენ. საბოლოო დიაგნოსტიკისთვის აუცილებელია ტოქსიკოლოგიურად მოხდეს მოწამვლის დადასტურება. საჭირო ნიმუშები კუჭიდან, თირკმელებიდან, ფილტვებიდან და ღვიძლიდან უნდა აიღონ.

დამწვრობა შეიძლება გამოიწვიოს სიცხემ, ქიმიურმა ნივთიერებებმა ან ელექტროენერგიამ. ცეცხლის მსხვერპლებს, როგორც წესი, მოკრივის პოზიციაში, შეკრული მუშტებით პოულობენ. სიცხე, როგორც წესი, სისხლში პროტეინებს კუმშავს. ამ შემთხვევაში გამოკვლევებისთვის იყენებენ სისხლისა და ფილტვების ნიმუშებს.

ავტოსაგზაო შემთხვევით გამოწვეულ ჭრილობებს იკვლევენ იმის დასადგენად, თუ ვინ იყო მსხვერპლი – მძღოლი, მგზავრი, ფეხით მოსიარულე. ყველაზე მძიმეა მოტოციკლეტის ავარიით გამოწვეული დაზიანებები, რადგან მათი უმეტესობა თავის არეშია. მანქანის მძღოლებს, როგორც წესი, უფრო მეტად აქვთ მრგვალი დაზიანებები გულმკერდის არეში. მგზავრებს უზიანდებათ მუხლები და ზურგი. ფეხით მოსიარულეებს კი, კოჭები და ქვედა ტანის ერთი-მესამედი (ე.წ. ბამპერის ეფექტი). ფეხით მოსიარულეებში ქვედა კიდურების დაზიანებები მიგვანიშნებს იმაზე, რომ მძღოლი შეეცადა დაემუხრუჭებინა მანქანა. მანქანით გადავლის შედეგად გამოწვეული დაზიანებები სრულიად სხვა კატეგორიაა და გამოირჩევა ქსოვილის ძლიერი დაბეჟილობებით. სასამართლო პათანატომები ხშირად ამოწმებენ ავტოავარიის მსხვერპლის სისხლში ალკოჰოლისა და ნარკოტიკული საშუალებების არსებობას.

ავტოფსიის ოქმი და მისი ინტერპრეტაცია

ავტოფსიის ტიპური ოქმი ქვემოთ მოყვანილი მაგალითის მსგავსად, ორი ფურცელისგან შედგება:

პათანატომიური დიაგნოზი:
გულსისხლძარღვთა სისტემა: გული ნორმალური, არ შეინიშნება ჰიპერტროფია, სარქველოვანი ან თანდაყოლილი ანომალიები. კორონალური არტერიები ნორმალური. შეიმჩნევა მარჯვენა კორონალური სიჭარბე. მიოკარდი, არ დადასტურდა ტრავმა, ფიბროზი, ან ანთება. აორტა – მცირე არტერიოსკლეროზი.
სასუნთქი სისტემა: ტრავმის ნიშნები არ შეიმჩნევა ლარინგოში, ტრაქეასა და ბრონქებში. ფილტვის შეშუპება; ზედა ფილტვის ნაწილში ატიპური გაუვალობა.
ღვიძლი: არ დადასტურდა ტრავმა ან ანთება.
ელენთა: არ დადასტურდა ტრავმა
პანკრეასის და თირკმლისზედა ჯირკვლები – არავითარი მნიშვნელოვანი ცვლილებები.
G.I. ტრაქტი: არ დადასტურდა ტრავმა, სისხლდენა, ან წყლული
შარდსასქესო ტრაქტი: არ შეინიშნება თირკმელების ტრავმა; საშარდე ბუშტი და სხვა ორგანოები კარგ მდგომარეობაში.
თავი: ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული გამჭოლი ჭრილობა



სიკვდილის მიზეზი: ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული გამჭოლი ჭრილობა თავის არეში
გული: 415 გრამი. ტრავმა არ შეინიშნება. ოდნავი მარჯვენა კორონარული სიჭარბე.
ფილტვები: მარჯვენა 640 გრამი; მარცხენა 490 გრამი; ყველა სივრცე გამტარია, ზედა ფილტვისა, რომელშიც შეიმჩნევა ნაწიბურები.
ღვიძლი: 1840 გრამი; არავითარი მნიშვნელოვანი ცვლილება
ტვინი: 1575 გრამი: გამჭოლი ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობა, შემავალი მარჯვენა ყურის ზემოდან, ოვალური ჭრილობა 5/8 ინჩი1/2 ინჩზე. მრავალჯერადი მოტეხილობები გამომავალ მხარეს.



ინტერპრეტაცია

ავტოფსიის ოქმის ინტერპრეტაცია ოთხ ეტაპად იყოფა.



„სიკვდილის გამომწვევი დამხმარე მიზეზი“, როგორც წესი, წინასწარ არსებული ავადმყოფობებია, მაგალითად, პნევმონია ან ასთმა. ეს შეიძლება იყოს კიდეც სიკვდილის ნამდვილი მიზეზი.

სიკვდილის „მექანიზმი“, როგორც წესი სამედიცინო ჟარგონზე გამოითქმის, მაგალითად – „ფილტვებმა შეწყვიტეს ფუნქციონირება და ჟანგბადის ტრანსპორტირებაც შეჩერდა».

სიკვდილის „უშუალოდ მიზეზი“, მართლაც ასახავს სიკვდილის გამომწვევ მიზეზს. ეს შეიძლება იყოს გამოხატული სამედიცინო ჟარგონით, მაგალითად, ასფიქსია, კონტუზია და სხვა; ან ეს შეიძლება იყოს გამოხატული ჩვეულებრივად – ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული გამჭოლი ჭრილობა.

„სიკვდილის მანერასთან“ დაკავშირებულ ნაწილში პათანატომი ოქმში აყალიბებს საკუთარ აზრს, იყო ეს თვითმკვლელობა, მკვლელობა, შემთხვევითი, ბუნებრივი თუ სიკვდილის მანერა უცნობია. წესი ისაა, რომ სიკვდილის მანერა უდრის მექანიზმს დამატებული სიკვდილის უშუალო მიზეზი; თუმცა, არსებობს სხვა ზოგადი წესებიც. თუ გარდაცვალების მექანიზმი დაუდგენელია, მაშინ სიკვდილის მანერაც უცნობად უნდა გამოცხადდეს. ეს ძირითადად ხდება ზოგიერთ მოწამვლის შემთხვევებში და სხვა უცნაური მოვლენებისას. თუ სიკვდილის უშუალო მიზეზმა უბრალოდ დაამძიმა ისედაც არსებული წინასწარი მდგომარეობა (დამხმარე მიზეზი), სიკვდილს უნდა აღიარებდნენ „ბუნებრივად“. ყველა სატრანსპორტო შემთხვევას, როგორც წესი „შემთხვევითად“ აღიარებენ. თვითმკვლელობა გამორიცხულია, თუ გარდაცვლილის გარდა კიდევ სხვა პირია ჩართული სიკვდილის უშუალო მიზეზის დადგომაში.

ლიტერატურა:

Dana, S. & DiMaio, V. (1999). Handbook of forensic pathology. Boca Raton, FL: CRC Press.

DiMaio, V. & DiMaio, D. (2002). Forensic pathology, 2e. Boca Raton, FL: CRC Press.

Emsley, J. (2005). The elements of murder: A history of poison. NY: Oxford Univ. Press.

Moenssens, Inbau, & Starrs. (1986) Scientific evidence in criminal cases, 3rd ed. Mineola, NY: Foundation Press.

Spitz, W. (1993) (ed.) Medicolegal investigation of death: Guidelines for the application of pathology to crime investigtion. Springfield: Charles Thomas.

Timmermans, S. (2006). Postmortem: How medical examiners explain suspicious deaths. Chicago: Univ. of Chicago Press.

თითის ანაბეჭდები და კვალის მანიშნებელი სხვა მტკიცებულებები

თითის ანაბეჭდი გამოიყენება უცნობი მსხვერპლის, მოწმის ან ეჭვმიტანილის იდენტიფიკაციისთვის, მონაცემების გადამოწმებისა და დანაშაულსა და ეჭვმიტანილს შორის კავშირის დადგენისთვის. მაშინაც კი, თუ არ არსებობს ეჭვმიტანილი, ანაბეჭდებს შეუძლია კვალის განვითარება და ასევე, სავარაუდო დამნაშავის აღნაგობის, სქესისა და საქმიანობის შესახებ გარკვეული მინიშნებების გაკეთება. პატარა ანაბეჭდებს, როგორც წესი, პატარა ადამიანები ტოვებენ; ასევე, კედელზე დატოვებული ანაბეჭდი ეჭვმიტანილის სიმაღლეზე მეტყველებს. მშენებლებს უხეში ხელები აქვთ, მუსიკოსებს კი კოჟრი უჩნდებათ თითის წვერებზე. ამგვარ მინიშნებებსაც ძალიან არ უნდა ვენდოთ, რადგან ისინი ფაქტებს არ წარმოადგენენ. დანაშაულის ადგილზე ანაბეჭდების ადგილმდებარეობას შუძლია დანაშაულის მსხვერპლის ან მოწმის ვერსია დაადასტუროს ან უარყოს. ანაბეჭდების არარსებობაც შეიძლება მნიშვნელოვანი გახდეს. მაგალითად, თვითმკვლელობის ადგილას არ უნდა არსებობდეს არავითარი უცხო ანაბეჭდი.

ხანდახან დანაშაულის ადგილას აღმოჩენილი ანაბეჭდი დატოვებულია ხელისგულით ან კიდევ შიშველი ფეხისგულით. ეს ანაბეჭდებიც ისევე მუშავდება, როგორც თითის ანაბეჭდები. ბავშვის გაჩენამდე თვეებით ადრე, ემბრიონის თითებზე უნიკალური ნაოჭები ჩნდება. ეს ნაოჭები გარკვეულ სისტემურ მოდელს იმეორებს. კლასიფიკაციის მიზნით ექსპერტები ამ მოდელებს სამ კატეგორიად ყოფენ: თაღის, მარყუჟისა და სპირალისმაგვარ ფორმებად. თოთოეული კატეგორია კიდევ იყოფა ქვეჯგუფებად. რაც შეეხება ძირითად კატეგორიებს, გასათვალისწინებელია გარკვეული რასობრივი მახასიათებლებიც: *აფრიკიდან წორმოშობილებში ჭარბობს თაღის ფორმის ანაბეჭდები; ევროპელებში – მარყუჟის ფორმის; აზიელებში კი სპირალისებრი ანაბეჭდები.*

ნაოჭების ფორმები თავისთავად გარკვეული ასიმეტრიულობით ხასიათდება. ამას ეწოდება ნაოჭის მახასიათებელი. ნაოჭის მახასიათებლების მაგალითებია: ნაოჭის წერტილები, გაორებები, მოკლე ნოჭები, ნაოჭის ბოლოები და გადაკვეთები. თითოეული ანაბეჭდი ფორმისა და მახასიათებლების უნიკალური კომბინაციას წარმოადგენს. ჯერ არ მოიძებნა ორი ისეთი ანაბეჭდი, რომელიც ერთმანეთს ემთხვევა. იდენტური ტყუპების ანაბეჭდებიც კი ერთმანეთისგან განსხვავდება. ანაბეჭდი მთელი ცხოვრების მანძილზე არ იცვლება.

ანაბეჭდების აღმოჩენის შემთხვევაში, ექსპერტი მათ ეჭვმიტანილის მიერ დატოვებულ ნიმუშებს ადარებს. იგი ერთმანეთს ადარებს ნაოჭების ფორმებს, შემდეგ კი ნაოჭების მახასიათებლებს აკვირდება. დამთხვევების აღმოჩენის შემთხვევაში, მათ „შედარების წერტილებს“ უწოდებენ. ამერიკაში გავრცელებული ზოგადი წესი ისაა, რომ პირის იდენტიფიკაციისათვის სულ მცირე 12 შედარების წერტილი უნდა დაემთხვას ერთმანეთს. დანაშაულის ადგილზე აღმოჩენილი ანაბეჭდები ყოველთვის სრულყოფილი როდია. თუმცა, ეს არ აფერხებს მათ გამოყენებას. მთავარი შედარების წერტილების აღმოჩენაა. ამისათვის კი შეიძლება ერთი თითის არასრული ანაბეჭდიც კი გამოდგეს.

გამოძიების ფედერალური ბიუროს კლასიფიკაციის სისტემა გარკვეულ ციფრებს ანიჭებს ათივე თითის ანაბეჭდს. ეს კი მილიონობით ანაბეჭდის კოდირებას ხდის

შესაძლებელს. ათეულიმილიონობით ანაბეჭდია შეყვანილი სპეციალურ ბაზაში. გარდა ამისა, პოლიციის განყოფილებებში ასევე ინახება ამოუცნობი ანაბეჭდების ნიმუშებიც. თუ მოგვიანებით აღმოჩნდება გარკვეული დამთხვევები, ეს დაამტკიცებს, რომ ორივე საქმეში ერთი და იგივე პირი ფიგურირებდა. ეჭვმიტანილების დაკავების დროს მათ ანაბეჭდებს მაინც ადარებენ ამოუცნობი ანაბეჭდების ნიმუშებს.

ანაბეჭდების დატოვების რამდენიმე მეთოდს განასხვავებენ: პლასტიკურს, რომელიც რჩება რბილ მასალაზე, მაგალითად, ცვილზე, საღებავზე და ა.შ; თვალში საცემს, რომელიც სისხლიანი, ჭუჭყიანი, მელნიანი, ან ზეთიანი ზედაპირითაა დატოვებული; და ლატენტურს, რომელიც ჩვეულებრივ უხილავია და საჭიროებს გამჟღავნებას (გამოვლენას) მის დანახვამდე და გადაღებამდე. ანაბეჭდები, როგორც ნივთმტკიცება, საკმაოდ ფაქიზია. ერთმა შეხებამაც კი შეიძლება გაანადგუროს იგი. შესაძლებელია ანაბეჭდების აღება თოვლიდან ან ტალახიდან. კვალის მანიშნებელ მცირე ზომის მტკიცებულებებიც კი შეიძლება არსებობდეს ანაბეჭდი. ავტომანქანები ანაბეჭდების ხშირი წყაროა. ყველაზე ხშირად ანაბეჭდებს ავტომობილის კარზე, საბარგულზე, სახელურებზე, გარე სარკეებზე, სანომრე ნიშნებზე, საჭეზე, ხელის მუხრუჭზე, უსაფრთხოების ქამრებსა და სხვა ადგილებში პოულობენ. ანაბეჭდების მოცილება ხალიჩებიდან და ავეჯიდან საკმაოდ რთულია.

თითის ანაბეჭდების გადაღების დროს დეტალურად აღიწერება და ინახება ინფორმაცია კამერის, ლინზის, ფირის, ჩამკეტის სიჩქარის, ლინზის გახსნის, განათების, კამერის პოზიციის, ობიექტიდან მანძილისა და კუთხის შესახებ. ეს პოლიციას იცავს დაუსაბუთებელი ბრალდებებისგან, თითქოს ფოტო სპეციალურად იქნა ისე გადაღებული, რომ მომხდარიყო დამთხვევა. ასევე, კარგი საზოგადოებრივი იმიჯისთვის, პოლიცია ანაბეჭდების აღების პროცესში სპეციალური საფარით იცავს საყოფაცხოვრებო ავეჯს.

ანაბეჭდების აღების ყველაზე პოპულარული მეთოდი არის დამტვერვა. პრინციპი, რომლითაც დამტვერვის მეთოდი მოქმედებს, საკმაოდ მარტივია. ადამიანების თითები დაფარულია ოფლითა და ზეთით. როდესაც თითები შედარებით სწორ ზედაპირს ეხება, გამოიყოფა ნაოჭებს შორის არსებული ზეთები. როდესაც ასეთ ზედაპირს სპეციალური საშუალებებით დამტვერავენ, იგი ეკრობა ზეთს და თვალსაჩინოს ხდის ნაოჭების ფორმას. დამტვერვის პრინციპი იდეალურად მოქმედებს ხეზე, მეტალზე, შუშაზე, პლასტმასზე და კრამიტზე. ასევე ნორმალური გამოდის შუშაზე, ტყავსა და მუყაოზე. მტვერი, რომელსაც აღნიშნულ პროცესში იყენებენ, განსხვავდება ფერის, სისქის, მაგნიტური და ფოტოგადაღებისთვის საჭირო მახასიათებლებით. ყველაზე გავრცელებული ფერებია შავი, თეთრი, რუხი, ალუმინის ფერი, წითელი, და ოქროსფერი. დამტვერვისას უმჯობესია გამოყენებულ იქნეს ის ფერი, რომელიც მკვეთრად კონტრასტულია დასამუშავებელ ზედაპირთან. მაგალითად, თეთრი და რუხი ფერის მტვერი ყველაზე ხშირად მუქ ზედაპირზე გამოიყენება, შავი კი, პირიქით — თეთრ ზედაპირზე.

მრავალფერიან ზედაპირებზე (სიგარეტის კოლოფი ან ჟურნალის ყდა) ნათოვანი მტვერი გამოიტენება. როდესაც დამტვერილ ობიექტს ულტრაიისფერ შუქს მიანათებენ, მტვერი განათდება და გამოაჩენს ანაბეჭდს. ფორებიან მასალაზე (ტყავი, ნედლი ხის ზედაპირი, ფურცელი) საუკეთესო ტექნიკაა მაგნიტური მტვრის გამოყენება, რომლის დროსაც წვრილად დაფქვილი რკინის მარცვლები ზედაპირზე მაგნი-

ტური ჯოხის საშუალებით დაიტანება.

დიდი ფართობის დამტვერვის შემთხვევაში სირაქლემას ბუმბულისგან დამზადებული დიდი ზომის ფუნჯი გამოიყენება. ანაბეჭდის გამოვლენის შემთხვევაში კი, მასზე მუშაობას უფრო მცირე ზომის ფუნჯით აგრძელებენ. დამტვერვამდე, ყველა ფუნჯს კარგად ბერტყავენ, რათა იგი უფრო ჰაეროვანი გახდეს. არც მტვერი იყრება პირდაპირ კონტეინერიდან. იგი იყრება სპეციალურ ქაღალდზე, ხოლო შემდეგ პალიტრის მსგავსად გამოიყენება. ფუნჯის წვერს ჯერ მტვერში ჩააწობენ, ოდნავ დაბერტყავენ და მხოლოდ ამის შემდეგ დაიტანენ მოცემულ ზედაპირზე. დამტვერვა ჰაეროვნად ხორციელდება. ექსპერტი შეეცდება მიჰყვეს ნაოჭების მიმართულებას.

მომდევნო ნაბიჯს ანაბეჭდის აღება ეწოდება. ანაბეჭდის აღებისთვის გამოიყენება წებოვანი მასალა, რომელიც ზედაპირიდან მტვერს იწებებს. სამი ყველაზე გავრცელებული ანაბეჭდის ასაღები საშუალებაა: კალკა, რეზინის ასაღები და ცელოფნის წებოვანი ლენტი (ე.წ. სკოჩი). თუ წებოვან ლენტს (სკოჩს) იყენებენ, უმჯობესია, იგი იყოს გამჭვირვალე და არა პრიალა ან გაუმჭვირვალე. წებოვან ლენტს ნელ-ნელა ხსნიან და შემდეგ ისევ ახვევენ. მნიშვნელოვანია, რომ მასზე არ მოხვდეს იმ პირის ანაბეჭდებიც, რომელიც ამ პროცესშია ჩართული. იგი ასევე გაფრთხილდება, რომ წებოვანი ლენტის ქვეშ არ მოხვდეს ჰაერის ბურთები. ასეთი ჰაერის ბურთულები აზიანებს ანაბეჭდის ხარისხს. წებოვან ლენტს ნაზად აკრობენ ანაბეჭდს და ოდნავ აწვებიან. მას შემდეგ რაც, ლენტი კარგადაა მიმაგრებული, მას ნელი მოძრაობით სწევენ ზედაპირიდან. საბოლოო ეტაპზე კი, მას სპეციალურ ქაღალდზე აწებებენ, ზედმეტ ლენტს კი ჭრიან.

დამტვერვის გარდა, სულ მცირე კიდევ სამ მეთოდს იყენებენ ფარული (ლატენტური) ანაბეჭდების ასაღებად. იოდის დაპკურება კარგია ფორიანი ზედაპირებისთვის (ქაღალდი და ნედლი ხე), განსაკუთრებით მაშინ, თუ ანაბეჭდი ახალია. ეს ტექნიკა არ ტოვებს კვალს და ამდენად, ვერავინ შეამჩნევს იმას, რომ თქვენ ანაბეჭდებს ეძებდით. ამ მეთოდის გამოყენებისას, იოდის კრისტალებს საპკურებელ მილში (პიპეტში) ათავსებენ; მას ოდნავ შეათბობენ (ასანთით ან სანთებელით), ხოლო შემდეგ იოდის კვამლს პიპეტიდან ზედაპირზე აპკურებენ. იოდის კვამლს იასამნისფერი შეფერილობა აქვს, ხოლო გამოაშკარავებულ ანაბეჭდებს მოყვითალო შფერილობა ექნება. ამ მეთოდით აღებული ანაბეჭდები მალე ქრება, ამიტომ საჭიროა მისი სწრაფად გადაღება.

კიდევ ერთი მეთოდია ნიჰიდრინის სპრეი. ეს ყველა ტიპის ზედაპირზე გამოიყენება, განსაკუთრებით ფიფქებსა და შპალერზე, ასევე გამოიყენება ძალიან ძველი ანაბეჭდების გამოსამჟღავნებლად. ნიჰიდრინს შეუძლია 30 წლის წინანდელი ანაბეჭდის აღებაც კი. გამჟღავნებულ ანაბეჭდზე ნიჰიდრინი მოლურჯო-მოიასამნისფერო ფერს იღებს. საჭირო მონაკვეთზე მანამ ასხურებენ აღნიშნულ სპრეის, სანამ იგი არ დალბება. მნიშვნელოვანია რომ ადგილი, სადაც ეს პროცესი მიმდინარეობს, კარგად ნიავდებოდეს. გაშრობას სჭირდება 10-20 წუთი, მაგრამ ამ პროცესის დაჩქარება შესაძლებელია გასათბობი ნათურის გამოყენებით.

კიდევ ერთი მეთოდია – ვერცხლის ნიტრატის გამოყენება. ეს გულისხმობს ვერცხლის ნიტრატის ზედაპირზე (ხე ან მუყაო) დატანას ასპირატორის ან ფუნჯის საშუალებით. ნივთიერების ზედაპირზე მოხვედრის შემდეგ, მის გასაშრობად 5-10 წუთია საჭირო. ამ მეთოდით ფხვიერი ანაბეჭდი რჩება. ამ გზით მიღებული ანაბეჭდი მალევე ქრება, ამიტომ საჭიროა მისი დროული გადაღება.

შედარებით ახალი მეთოდია სუპერ-წებოს აორთქლება. პოლციის დეპარტამენტი ამისათვის იყენებს დიდ კონტეინერს ან აკვარიუმს და გამაცხელებელს. სუპერ-წებოს აწვეთებენ გამაცხელებელზე და კონტეინერში დებენ იმ ობიექტს, რომელიც ანაბეჭდებს შეიცავს. გამაცხელებელს ჩართავენ, კონტეინერს ხუფავენ და 15-20 წუთში ყველა ანაბეჭდი, რომელიც მოცემულ ობიექტზეა, რუხ შფერილობას იღებს და თვალსაჩინო ხდება.

თითის ანაბეჭდები ყოველთვის ოქროს სტანდარტი იყო და რჩება მტკიცებულებათა მეცნიერებაში. ექსპერტები და პოლიციის ოფიცრები ადასტურებენ, რომ „დამთხვევა“ არსებობს მაშინ, თუ მინიმუმ 12 შედარების წერტილია აღმოჩენილი. 2002 წლის იანვარში აშშ-ს ფედერალურმა მოსამართლემ ანაბეჭდების აღების 100-წლიანი მეთოდი გააკრიტიკა და ეჭვქვეშ დააყენა. მოსამართლე პოლარკის მტკიცებით, ექსპერტებს მხოლოდ მსგავსების დადგენა შეუძლიათ და არა დამთხვევების. თუმცა მან მალევე, 2002 წლის მარტში, თავი შეიკავა აღნიშნული არგუმენტიდან. 2007 წელს კი, მოსამართლე სუზან საუდერმა სიკვდილით დასჯის საქმეში არ დაუშვა თითის ანაბეჭდების ექსპერტის ჩვენება სასამართლო განხილვაზე. მან განაცხადა რომ თითის ანაბეჭდების ანალიზი „სუბიექტური და გამოუკვლეველია და არ ექვემდებარება გადამოწმებას“. თითოეული პირის ანაბეჭდის უნიკალურობა ეჭვქვეშ არ დგას. საქმე ეხება იმას, თუ რამდენად ადეკვატურია დანაშაულის ადგილას აღებული ანაბეჭდის შედარება პოლიციაში აღებულ ანაბეჭდთან და იმის მტკიცება, რომ ეს ორი ნიმუში იდენტურია. ამის შესახებ არაერთი კარგი სტატია დაიწერა:

(1) Epstein, R. (2002). «Fingerprints meet Daubert.» 75 Southern California Law Review 605.

(2) Cole, S. (2002). Suspect Identities. Boston: Harvard Univ. Press.

კვალის მანიშნებელი მტკიცებულებები

კვალის მანიშნებელი ყველა მტკიცებულება, საბოლოო ჯამში, თავს ლაბორატორიაში იყრის. თითოეულ მათგანს ადარებენ რათოთეკას ან საკონტროლო ნიმუშს. ზოგი მტკიცებულება კი, ხანგრძლივ დამოუკიდებელ გამოკვლევას საჭიროებს. კვალის მანიშნებელი იმიტომ ჰქვია მტკიცებულებას, რომ იგი იმდენად მცირე ზომისაა, რომ მისი დაკარგვა ადვილია. მათი შეგროვებისას მთავარია გვახსოვდეს ისეთი ნივთების მოძებნა, რომელიც უცხოდ ჩანს დანაშაულის ადგილზე. რისი გაკეთებაც ამ დროს არაა საჭირო, ეს არის ბულდოზერის გამოძახება და მისი საშუალებით მტკიცებულებების ძიება. ამ ხერხსაც მიმართავენ, ოღონდ კატასტროფებისა და ტერორისტული აქტების გამოძიებისას.

თმა – დანაშაულის ადგილას დიდი ოდენობის თმა მიგვანიშნებს იმაზე, რომ ადგილი ჰქონდა ჩხუბს. თმას, როგორც წესი, აღმოაჩენენ ხოლმე იატაკზე, მსხვერპლთან ახლოს. ძირიანად ამოგლეჯილი თმა პიროვნების დნმ-ის დადგენისთვისაც გამოიყენება. სხვა შემთხვევაში კი მას აქვს ჯგუფური მახასიათებლები. თმიდან 14 სხვადასხვა

სახის ელემენტის იდენტიფიკაციაა შესაძლებელი.

ბოჭკო – ნოხის ან ტანისამოსის ბოჭკოებს, როგორც წესი, სწორედ ტანისამოსიდან, ნოხებიდან, ავეჯიდან, საწოლებიდან და ადიალებიდან იღებენ. ბოჭკოების ურთიერთგადადების შემთხვევები ხშირია თუ არსებობდა პირებს შორის კონტაქტი. ცნობილია ათასამდე ბოჭკო და ასევე ათასობის შესაღები ფორმულა. საბედნიეროდ, თითოეული საღებავის ფორმულა აღირიცხება სპეციალურ ბაზაში.

შუშა – შუშის პატარა ნამსხვრევები (ფანჯრის, კარის ან დეკორაციების) ხშირად გვხვდება ტანისამოსსა და ფეხსაცმელებზე. იგი ასევე გვხვდება იარაღზე, ნივთებსა და კანზე.

საღებავი – საღებავის მცირე ანატეხი (კარებებიდან, კედლებიდან ან ავეჯიდან) ხშირად გვხვდება იარაღზე, ბლაგვ ნივთებზე, ტანისამოსსა და ფეხსაცმელებზე. 40 ათასზე მეტი საღებავი არსებობს და მათი ბაზა ხელმისაწვდომია პოლიციისათვის.

მტვერი/ჭუჭყი – ასეთი ტიპის მტკიცებულება მიგვითითებს თუ სად იმყოფებოდა ადამიანი, სად მუშაობს, ცხოვრობს, და ჰყავს თუ არა მას შინაური ცხოველი.

ცეცხლსასროლი იარაღი -- ამ ტიპის იარაღი მოიცავს ამუნიციას, მის კომპონენტებსა და ნარჩენებს. ნატყვიარს არასდროს იღებენ ხვრელიდან. მას მთლიანად, ხვრელიანად იღებენ ექსპერტიზისთვის. ასევე, როგორც წესი, ტყვებს არ ნიშნავენ.

აქამდე საუბარი გვქონდა კვალის მანიშნებელ მტკიცებულებებზე, რომელთაც ჯგუფური მახასიათებლები გააჩნია, ამდენად, ახლა ინდივიდუალური ნიშნების მქონე მტკიცებულებებზე გვექნება საუბარი:

სითხეები – ორგანული სითხეები, ნერწყვი, ოფლი სველ ან მშრალ ფორმაში ხშირად გვხვდება წინწკლების, წვეთების ან შეხეფების სახით. თითოეული მათგანის შეგროვება განსაკუთრებული მეთოდით ხდება. უმეტესობა გულისხმობს პოლიმარკირებას, რაც ფაქტობრივად დნმ-ის ტესტირებაა. სხეულის ორგანული სითხეები, რომელიც ასევე მოიცავს პირღებინების შედეგად გამოყოფილ სითხეს, ხშირად გვხვდება იმ დანაშაულის ადგილებზე, სადაც ალკოჰოლის ან წამლების გამოყენებას ანდაც მოწამვლას ჰქონდა ადგილი. სიგარეტის ნამწვიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს, მაგალითად, გამხმარი ნერწყვის იდენტიფიკაციისათვის და ა.შ. ბილოგიური ნივთმტკიცებები აუცილებლად უნდა იყოს გადატანი ლაბორატორიაში.

სისხლი – სისხლის თითოეული სახეობა დაახლოებით 150-მდე პროტეინს, 250 ენზიმს და უამრავ ანტიგენს შეიცავს. დანაშაულის ადგილას გამომძიებლები სისხლის მიხედვით დანაშაულის დროსაც კი ადგენენ. დანაშაულის ადგილას ნაპოვნი სისხლის ფორმაც (წვეთი, გუბე, შხეფები) მიგვანიშნებს იმაზე, თუ რა მოხდა. სისხლის ანალიზი, როგორც წესი, გამოიყენება ეჭვმიტანილთა წრის შესავიწროებლად.

ნაკბენები – ადამიანის 32 კბილიდან თითოეული უნიკალურია მისი წლოვანებისა და ცვეთის გამო, ნაკბენები, როგორც წესი, მიგვანიშნებს რამდენად სწრაფად დანებდა მსხვერპლი ეჭვმიტანილს. ნაკბენის შედარება წარმოებს სტომატოლოგიურ მონაცემებთან.

ფეხსაცმლის ანაბეჭდები – ფეხსაცმლის ანაბეჭდების უმეტესობა ინდივიდუალურ მახასიათებლებს ტოვებს. თითოეული ადამიანის მოძრაობები ხომ უნიკალურია. ფეხსაცმლის ანაბეჭდზე უკეთესი ფეხშიშველი ფეხის ანაბეჭდია.

ჭრილობები – მათი თანხვედრა შეიძლება დანაშაულის იარაღთან, მის ნიშნებთან, იარაღის ზომასთან, ფორმასა და სიგრძესთან. ხშირად ჭრილობების ანალიზის პიროვნების ქცევაზე გვიქმნის შთაბეჭდილებას.

დოკუმენტები – თითოეული პიროვნების ხელწერა ინდივიდუალურია. დოკუმენტების ექსპერტებს შეუძლიათ ხელნაწერებში მსგავსების დადგენა. კომპიუტერულ ექსპერტებს კი შეუძლიათ კომპუტერებიდან თითოეული მომხმარებლისა და საჭირო მონაცემების ამოღება.

ლიტერატურა:

Abbott, J. & A. Germann. (1964). Footwear Evidence. Springfield: Charles Thomas.

Ashbourn, J. (2000). Biometrics. London: Springer-Verlag.

Beavan, C. (2001). Fingerprints: The Origins of Crime Detection. NY: Hyperion. [Sample Pages]

Champod, C. et.al. (2004). Fingerprints and Other Ridge Skin Impressions. Boca Raton, FL: CRC Press.

Cole, S. (2001). Suspect Identities: A History of Fingerprinting and Criminal Identification. Cambridge, MA: Harvard Univ. Press.

Coppock, C. (2001). Contrast: A Guide to Fingerprint Identification Concepts. Springfield: Charles C. Thomas.

Cowger, J. (1983). Friction Ridge Skin Characteristics. Boca Raton: CRC Press.

Lee, H. & Gaensslen, R. (2001). Advances in Fingerprint Technology. Boca Raton: CRC Press.

MacDonell, H. (1993). Bloodstain Patterns. Corning, NY: Laboratory of Forensic Science.

Menzel, R. (1999). Fingerprint Detection with Lasers. NY: Marcel Dekker.

Norris, D. & Bock, J. (2000). "Use of Fecal Material to Associate a Suspect with a Crime Scene." Journal of Forensic Science 45:178-181.

Ogle, R. & M. Fox. (1998). Atlas of Human Hair Microscopic Characteristics. Boca Raton: CRC Press.

Ragle, L. (1995). Crime Scene: From Fingerprints to Autopsies. NY: Avon Books.

Saferstein, R. (2001). Criminalistics. 7e. Upper Saddle River: Prentice Hall.

Saferstein, R. (1998-2001). Forensic Science Handbook, Vols. I-III. Upper Saddle River: Prentice Hall.

ოდოროლოგია

ცხოველები, მცენარეები, თითქმის ყველა ქიმიური ელემენტი და ადამიანიც ხასიათდება ჰაერში გამოფრქვეული მდგრადი და არამდგრადი ხანგრძლივობის აქროლადი ნივთიერების გარკვეული თავისებურებით, რომელსაც შეიგრძნობენ ადამიანები და ცხოველები – ეს არის სუნი, ანუ ოდორანტი. ბუნებაში არსებობს სუნთა მრავალნაირი სპექტრი, რომელიც გამოირჩევა ინდივიდუალურობით.

პიროვნების იდენტიფიცირებისათვის კრიმინალისტებმა XIX საუკუნის ბოლოს დაიწყეს ადამიანის სუნის კონსერვაციის საკითხზე მუშაობა, რამაც ვერ მოიპოვა მაშინ აღიარება, მაგრამ XX საუკუნის 50-იან წლებში გამოჩნდნენ მეცნიერები, რომლებმაც შეისწავლეს ადამიანის სუნის ბუნება, რის შედეგადაც მივიდნენ დასკვნამდე, რომ თითოეულ ადამიანს გენეტიკურად ახასიათდება ინდივიდუალური სუნი, რომელიც განსხვავებულია ყველა სხვა ადამიანის სუნისაგან. მხოლოდ ტყუპებს გააჩნიათ ერთმანეთის მსგავსი გენეტიკური აგებულება, ამიტომ მათი სუნიც ძალიან ჰგავს ერთმანეთს. ინგლისელი მეცნიერის ჰ. კალმუსის მიერ ჩატარებული გამოკვლევებით დადგინდა, რომ ადამიანის სუნის ინდივიდუალურობა არ არის დამოკიდებული არც მის კვებაზე და არც ჩაცმულობაზე[1]

მეცნიერებმა დაადგინეს ასევე, რომ ადამიანის სუნი გარკვეული ზემოქმედების შედეგად გადადის ყველა საგანზე – რასაც ცოტა ხნით შეეხება, ან რჩება იმ ადგილზე, სადაც იგი იმყოფებოდა. სუნი წარმოადგენს ადამიანის ე.წ. ქიმიურ „ხელწერას“, რომლის გამოკვლევის შედეგადაც შეიძლება დადგინდეს მისი დაავადება, მიახლოებითი ასაკი, საცხოვრებელი ადგილი და სხვ.

შემდგომში ადამიანის სუნის გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ სხვადასხვა ადამიანის სუნის ერთმანეთში შერევა და რაიმე ახალი სუნის წარმოქმნა არ ხდება, ასევე შესაძლებელი გახდა აღმოეჩინათ ადამიანის სუნი, რომელიც რჩება შემთხვევის ადგილზე, რადგან მას გააჩნდა აბსორბირების უნარი და დახურულ სივრცეში დიდი ხნის განმავლობაში რჩება. შესაძლებელი გახდა მოეხდინათ სუნის ამოღება და გარკვეულ პირობებში შენახვა. ყოველივე აქედან გამომდინარე, კრიმინალისტიკაში შემოდის პიროვნების იდენტიფიკაციის ახალი მეთოდი, რომელსაც ოდოროლოგია ეწოდა.

კრიმინალისტიკური ოდოროლოგია წარმოადგენს პიროვნების იდენტიფიკაციის მიზნით სუნის აღმოჩენის, ამოღების, შენახვისა და შედარების მეცნიერულად შემუშავებული მეთოდებისა და ტექნიკური საშუალებების სისტემას.

სუნის ამოღების, ანალიზისა და რეგისტრაციის მეთოდებიდან გამომდინარე, კრიმინალისტიკაში ასხვავებენ კინოლოგიურ და ინსტრუმენტალურ (ოლფატრონიკა)[2] ოდოროლოგიას. კინოლოგიურ ოდოროლოგიაში სუნებადი ნივთიერებების ანალიზატორის რანგში გამოიყენება სპეციალურად გაწვრთვნილი ცხოველის, კერძოდ, ძაღლის ყნოსვის ორგანოები.

ინსტრუმენტალურ ოდოროლოგიაში ანალიზატორად გამოიყენება ფიზიკო-ქიმიური ხელსაწყოები, რომლებსაც შეუძლიათ სუნებადი ნივთიერებების სპექტრის გამო-

1 Kalmus H., The Discrimination by the Nose of the Dog of Individual Human Odorous and in Particular of the Odorous of Twins., Brit. J. Animal Behaviour, 3, 1955. Neuhaus W.

2 სუნი _ olfactus (ლათ)

ყოფა, ოლფაქტოგრამის სახით მისი რეგისტრაცია და მაღალი მგრძნობიარობით, ადამიანის სუნის ცალკეული კომპონენტების დეტექტირება.

ცნობილია, რომ ცხოველების, თევზების, მწერების ყნოსვის შეგრძნების შესაძლებლობა ბევრად აღემატება დღეისათვის არსებულ ხელსაწყოებს. ამიტომ სუნის ამოსაცნობად და გასარჩევად უმეტესდ იყენებენ ცხოველებს. ტექნიკურ-ციფრული ხელსაწყოები კი გამოყენებულია სუნის ბიომეტრიული კვლევის მეთოდიკაში.

კრიმინალისტიკურ-კინოლოგიურ ოდოროლოგიაში იყენებენ ძაღლის ყნოსვის უნარს, რადგან მათ შეუძლიათ ერთი დაყნოსვით ერთმანეთისაგან განასხვაონ 2500-დან 5000 სუნამდე, ზოგჯერ მეტიც. განასხვავებენ ასევე ძაღლის ჯიშებს – მეძებარ ძაღლებს შეუძლიათ უფრო მეტი სუნი განასხვაონ, ვიდრე სამოსამსახურეო ნაგაზებმა, როგორიცაა: გერმანული, აღმოსავლეთ-ევროპული ნაგაზი, ლაბრადორი, ბელგიური ნაგაზი „მალინუა“ და სხვა, მაგრამ სუნის გადარჩევაზე გაწრთვნის თვალსაზრისით მოსახერხებელია სამოსამსახურეო ნაგაზები.

სუნის ბუნებიდან გამომდინარე, შესაძლებელი გახდა შემუშავებულიყო ისეთი მეთოდები, რაც გააადვილებდა მის ამოღებას, შენახვასა და შემდგომში სამოსამსახურეო ძაღლების მეშვეობით მათი იდენტურობის გადამოწმებას. კერძოდ, სუნის ნიმუშების ამოღებისათვის იყენებენ სხვადასხვა აბსორბენტებს, როგორიცაა: აქტივირებული ნახშირის ფხვნილი, ბამბაზიის ნაჭერი და ბამბაზიის ნაჭერში ჩაქსოვილი აქტივირებული ნახშირი. შემდგომში მათ სტერილურ ქილაში კონსერვაციით.

პიროვნებიდან სუნის ნიმუშს იღებენ აბსორბენტის სახეობის მიხედვით:

- ბამბაზიის ნაჭრით – იღლიის ქვეშ ამოდებით 15 წუთის განმავლობაში;
- აქტივირებული ნახშირის მეშვეობით – პიროვნების კუთვნილ ფეხსაცმელში 5-10 წუთით ჩაყრის მეშვეობით.
- ბამბაზიის ნაჭერში ჩაქსოვილი ნახშირი – იღლიის ქვეშ ამოდებით 10 წუთის განმავლობაში;

სამივე მეთოდის გამოყენების შემდეგ ნიმუშები ინახება სტერილურ ქილაში.

რაც შეეხაბა შემთხვევის ადგილზე სუნის ნიმუშების ამოღებას, ამ შემთხვევაშიც შესაძლებელია სამივე აბსორბენტის გამოყენება, მაგრამ იმ პირობის გათვალისწინებით, რომელი მასალაა გამოყენებული პიროვნებიდან სუნის ამოსაღებად. აუცილებელი ყურადღება ექცევა იმ ფაქტორსაც, თუ, ნიმუშის ამოსაღებ, რომელ მასალაზეა გაწვრთნილი სამოსამსახურეო ძაღლი. გათვალისწინებულ უნდა იქნეს ის ფაქტორი, რომ ნორმალურ ბუნებრივ პირობებში ადამიანის სუნი საგნებზე ღია ადგილებში რჩება დაახლოებით 2-3 დღის განმავლობაში, დახურულ შენობებსა და სათავსებში კი – 4-5 დღის განმავლობაში.

შემთხვევის ადგილზე ზედაპირიდან სუნის ამოღების (აბსორბირების) დრო, ამოსაღები მასალის და ადამიანის ზედაპირზე კონტაქტის მიხედვით შეადგენს:

- ბამბაზიის ნაჭრით – ზედაპირზე მისი 30-40 წუთის განმავლობაში მოთავსებით;
- აქტივირებული ნახშირის მეშვეობით – ზედაპირზე მისი 15 წუთის განმავლობაში მოთავსებით;

- ბამბაზიის ნაჭერში ჩაქსოვილი ნახშირი – ზედაპირზე მისი 20 წუთის განმავლობაში მოთავსებით;

შემთხვევის ადგილზე საკონტაქტო ზედაპირებიდან აღნიშნული საშუალებებით სუნის ამოღებისას აუცილებელია აბსორბენტი დაფარულ იქნეს ალუმინის ფოლგით. გამონაკლისს შესაძლებელია წარმოადგენდეს აქტივირებული ნახშირის ფხვნილი. სუნის აბსორბირების შემდეგ ამოსაღები მასალა უნდა მოთავსდეს სტერილურ ქილებში, ნაჭრების შემთხვევაში პინცეტით, რომლის სიგრძე არ უნდა იყოს 30 სმ-ზე ნაკლები, ხოლო ფხვნილის შემთხვევაში ერთჯერადი გამოყენების ფართო ფუნჯითა და აქანდაზით.

ოდოროლოგიური იდენტიფიკაცია ტარდება დახურულ შენობაში სპეციალურად გამოყოფილ ოთახებში, რომელსაც გააჩნია გარედან დაკვირვების სარკმელები, რათა არ მოხდეს ძაღლის ყურადღების გაფანტვა. იატაკზე ერთმანეთის მიყოლებით 80-90 სმ. მანძილზე, სპეციალურ სადგამებზე, ათავსებენ სუნის ნიმუშების თავმოხდილ ქილებს. საწყის პოზიციაში სამოსამსახურეო ძაღლს დასაყნოსად ეძლევა საიდენტიფიკაციო პიროვნების სუნის ნიმუში, რის შემდეგაც ძაღლს უშვებენ ქილების შესარჩევად. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე სუნის ნიმუში დაემთხვევა დასაწყისში ძაღლისთვის მიცემულ სუნის ნიმუშს, იგი მიუთითებს ქილას მასთან დაჯდომით ან ყეფით.[3]

იდენტიფიკაციის პროცესში სამოსამსახურეო ძაღლები დიდ ნერვიულ დატვირთვას განიცდიან, ამიტომ შეცდომების თავიდან აცილების მიზნით, იდენტიფიკაცია ტარდება 3-4-ჯერ სხვადასხვა ძაღლის მეშვეობით.

როგორც იდენტიფიკაციის ჩატარების პროცესი. ისე ნიმუშების შენახვა უნდა აკმაყოფილებდეს პირობებს: ტემპერატურა – C^0+170 და ტენიანობა – 80%. იდენტიფიცირებამდე ამოღებული ნიმუში აღნიშნულ გარემოში უნდა იმყოფებოდეს 24 საათის განმავლობაში.

სამოსამსახურეო ძაღლები საკმაოდ ზუსტად ახდენენ ოთახიდან ამოღებული სუნის ნიმუშებიდან იმ ადამიანების სუნის შერჩევას, რომლებიც ამ ოთახში იმყოფებოდნენ თუნდაც 10-15 წუთის განმავლობაში. ოთახში სხვადასხვა ადამიანის სუნის არსებობა ვერ ახდენს გავლენას კონკრეტული პიროვნების სუნის ამორჩევაზე. ადამიანის სუნი დახურულ ოთახში მდგრადია 3-4 დღის განმავლობაში, ოთახის მცირე განიავება ვერ ახდენს გავლენას სუნის მდგრადობაზე, ოდოროლოგიური ექსპერტიზის ჩასატარებლად საკმარისია სუნის მოლეკულების შემცველობის ჰაერის რამდენიმე ათეული კუბური მილიმეტრი.

სისხლისსამართალწარმოებაში და კერძოდ, საგამოძიებო საქმიანობაში ოდოროლოგიას მხოლოდ ცალსახა გამოყენება აქვს, რაც ნიშნავს, რომ თუ, მაგ., ადამიანი მალავს ვინაობას, მაგრამ მისი თითის ანაბეჭდების გამოკვლევის შედეგად შესაძლებელია პიროვნების ვინაობის დადგენა კარტოთეკაში არსებულ ანაბეჭდებთან შედარების მეშვეობით, რომლის კლასიფიცირება, როგორც უკვე დავრწმუნდით, შესაძლებელია და არ წარმოადგენს სირთულეს – ადამიანის სუნის კლასიფიკაცია შეუძლებელია, რაც არ გვაძლევს იმის საშუალებას, რომ შევქმნათ სუნის ნიმუშების იმგვარ მონაცემთა ბაზა, რათა მოხერხდეს მისი მარტივად მოძებნა იდენტიფიკაციის პროცესის ჩასატარებლად. ამიტომ კრიმინალისტიკური ოდოროლოგიის მეშვეობით პიროვნების იდენტიფიკაციას

3 იხ. დანართი – სურ.№ 1.

მხოლოდ შემთხვევის ადგილიდან ამოღებული სუნის ნიმუშის პიროვნებასთან იდენტურობის დადგენის მიზნით იყენებენ, ე.ი. როგორც მტკიცებულობას.

იდენტიფიკაციის ბიომეტრიული მეთოდები

პიროვნების იდენტიფიკაციის საიმედო მეთოდების ძიებას მივყავართ მისი განვითარების იმ სტადიაზე, სადაც ტრადიციულ დაქტილოსკოპიურ და გარეგნობის ნიშნების მიხედვით იდენტიფიკაციასთან ერთად განიხილება ისეთი მეთოდები, რომლებიც კომპიუტერული ტექნიკის განვითარების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. ასეთებია, მაგალითად, პიროვნების იდენტიფიკაცია თვალის ფერადი გარსისა და ბადურის, სახის ფორმის, სიარულის მანერის, ხმის, ყურის ფორმის და სხვა.

დღევანდელ დღეს სამეცნიერო ტერმინოლოგიაში შემოვიდა ტერმინი ბიომეტრია[4], იგი ინგლისური სიტყვიდან წარმოდგება, რომელშიც იგულისხმება პიროვნების ამოცნობის მიზნით მისი უნიკალური ფიზიკური, ფიზიოლოგიური და ფუნციონალური, დინამიკური თვისებების ავტომატიზებული გაზომვის ტექნოლოგია. აღნიშნული ტექნოლოგიის გამოყენების სფერო მოიცავს როგორც პიროვნების იდენტიფიკაციას, ისე მის აუთენტიფიკაციას.

კონფიდენციალური ინფორმაციის საიდუმლოდ შენახვის აუცილებლობის, მატერიალური ფასეულობის, იარაღისა და სხვა სახიფათო წყაროების ამორჩევითი ხელმისაწვდომობის, დანაშაულის დონისა და სტრუქტურის ტენდენციების სახიფათო ზრდის პირობებში, აუთენტიფიკაცია წარმოადგენს კრიმინალისტიკის ერთ-ერთ პრობლემურ საკითხს, მაგრამ ის არ შეიძლება ავურიოთ იდენტიფიკაციაში. თუ პიროვნების იდენტიფიკაციისას უმეტეს შემთხვევაში ხდება პიროვნების იდენტურობის, ანუ მისი ვინაობის, მისი სახელი და გვარის, დაბადების თარიღის, დაბადების ადგილის და მასზე სხვადასხვა მონაცემის დადგენა, აუთენტიფიკაციისას[5] ხდება პიროვნების შესაბამისობის დადგენა-გაიგივება ბაზაში არსებულ ინფორმაციასთან, მისი რაიმეზე დაშვების მიზნით.

ნებისმიერ ბიომეტრიულ სისტემას შეუძლია ამოიცნოს პიროვნებიდან აღებული ეგრეთ წოდებული შაბლონი და იდენტიფიკაციის მიზნით შეადაროს იგი მის ბაზაში არსებულ პიროვნების კონკრეტულ ფიზიოლოგიურ, ფიზიკურ და ფუნქციონალურ ციფრულ სახეს.

ლოგიკურად ბიომეტრიული სისტემები შეიძლება დაიყოს ორ მოდულად: რეგისტრაციის მოდული და იდენტიფიკაციის მოდული.

რეგისტრაციის მოდული პასუხისმგებელია აიღოს – დააფიქსიროს კონკრეტული პიროვნების მონაცემები იდენტიფიცირებისათვის – რეგისტრაციის ეტაპზე ბიომეტრიული მონაცემების ამღები მოწყობილობა (გადამწოდი[6], სკანერი) ახდენს პიროვნების ფიზიკური, ფიზიოლოგიური ან დინამიკური, ფუნქციონალური ხასიათის მონაცემების სკანირებას და გარდაქმნის მას ციფრულ წარმოსახვად (ციფრულ სახედ). სპეციალური მოდული ამუშავებს მიღებულ ციფრულ წარმოსახვას (ციფრულ სახეს) იმ

4 ბიომეტრია –Biometrics (ინგლ.)
5 აუთენტიფიკაცია –Authentication (ინგლ.)
6 გადამწოდი – датчик (რუს.)

მიზნით, რომ გამოყოს განსაკუთრებული მახასიათებლები და მოახდინოს მისი გენერირება უფრო კომპაქტურ გამოხატულ ციფრულ წარმოსახვად (ციფრულ სახედ), რომელსაც შაბლონი ჰქვია.

იდენტიფიკაციის მოდული პასუხისმგებელია პიროვნების ამოცნობაში – ამ ეტაპზე ხდება ბიომეტრიული მონაცემების ამღები მოწყობილობის (გადამწოდი, სკანერი) მიერ მონაცემების აღება და მისი იმ ციფრულ ფორმატში გარდაქმნა, რომელშიც ინახება შაბლონი. მიღებული შაბლონი შეედარება შენახულ ციფრულ შაბლონს, რათა დადგინდეს მათი იდენტურობა.

შაბლონების იდენტურობის დადგენა ხდება ორი მიმართულებით: „გაიგივება ერთის – ერთთან“, რომელიც გამოირჩევა შაბლონების შედარების მაღალი სიჩქარით – მას ვერიფიკაცია ეწოდება და „გაიგივება ერთის – მრავალთან“, რომელსაც იდენტიფიკაცია ეწოდება. აღნიშნული შედარების ალგორითმების რეალიზება არა მარტო სირთულეს წარმოადგენს, არამედ მატერიალურ და კომპიუტერულ რესურსებს მოითხოვს.

როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, კრიმინალისტიკის სამსახურებში პიროვნების იდენტიფიკაციისათვის ინერგება ბიომეტრიული მოწყობილებები, რომლებიც შემდგომი გაიგივებისათვის შაბლონს ქმნიან ადამიანის ისეთ ინდივიდუალური მახასიათებლებისაგან, როგორიცაა სახის მოყვანილობა, ხელის ანაბეჭდები, ხელისგულის ფორმა, თვალის ფერადი გარსი და ბადურა, ხმისა და საუბრის თავისებურება, დინამიკური ნიშნები, ხელმოწერა, ასევე სახის სითბური ველები – თერმოგრამა, ხელისგულის სისხლძარღვების სურათი, კანის ტემპერატურა, ყურის ფორმა, სხეულის სუნი, დნმ – დეზოქსირიბო ნუკლეინის მჟავა.

ბიომეტრიული ტექნოლოგიური მეთოდები შესაძლებელია ორ ჯგუფად დავყოთ: სტატიკური და დინამიკური.

ბიომეტრიული იდენტიფიკაციის სტატიკური მეთოდი ეყრდნობა პიროვნების ფიზიოლოგიური, ფიზიკური (სტატიკური) მახასიათებლების უცვლელობას, რომელიც დაბადებიდანვე ახასიათებს ან ჩამოუყალიბდა ადამიანს, როგორც მისგან განუყოფელი ნაწილი.

სტატიკური მახასიათებლები შეიძლება დავაჯგუფოდ შემდეგნაირად:

- ხელის ანაბეჭდები, ხელისგულის ფორმა;
- სახის ფორმა (სახის გეომეტრია), სახის თერმოგრამა;
- თვალის ფერადი გარსი და ბადურა;
- ხელისგულზე და ხელზე სისხლძარღვების სურათი;
- დნმ – დეზოქსირიბო ნუკლეინის მჟავა.
- უნიკლური მახასიათებლები – ყურის ფორმა, სუნი, სვირინგი (ტატუ), ნაიარევი, ელექტროფიზიოლოგიური მახასიათებლები და სხვა.

ბიომეტრიული იდენტიფიკაციის დინამიკური მეთოდი ეყრდნობა პიროვნების ქცევით, ფუნქციონალურ (დინამიკურ) მახასიათებლებს, ცალკეული ფუნქციების ქვეცნობიერი მოძრაობის შესრულების დროს და ასევე დამატებით განიხილება შეძენილი, რაიმე ნიშნები.

დინამიკური მახასიათებლები შეიძლება დავაჯგუფოდ შემდეგნაირად:

- ხელწერა;
- ხმა;
- ტუჩების მოძრაობის თავისებურება;
- სიარულის თავისებურება.

თუ გავითვალისწინებთ ბიომეტრიული იდენტიფიკაციისას ცდომილებებს, შესაძლებელია დავაჯგუფოდ თანმიმდევრობა:

1. დნმ – დეზოქსირიბო ნუკლეინის მჟავა;
2. თვალის ფერადი გარსი და ბადურა;
3. ხელის ანაბეჭდები, სახის თერმოგრამა, ხელისგულის ფორმა;
4. სახის ფორმა, ხელისგულსა და ხელზე სისხლძარღვების სურათი;
5. ხელწერა;
6. ხმა;
7. ტუჩების მოძრაობის და სიარულის თავისებურება;

აქედან ვრწმუნდებით, რომ ბიომეტრიული იდენტიფიკაციის სტატიკური მეთოდები ბევრად ჯობია დინამიკურს, მაგრამ გამოირჩევა ტექნოლოგიური სირთულითა და სიძვირით.

განვიხილოთ იდენტიფიკაციის ის მეთოდები, რომლებიც უფრო მეტად გამოიყენება სამართალდამცავი ორგანოების მიერ პიროვნების ბიომეტრიული იდენტიფიკაციისათვის, მათი დადებითი და უარყოფითი მხარეებით.

თითისა და ხელისგულის ანაბეჭდები – როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ მეთოდს საფუძვლად უდევს ხელისგულსა და თითებზე არსებული ქარგების უნიკალურობა და განუმეორებლობა, რაც ბიომეტრული ტექნოლოგიებისათვის ყველაზე უფრო მიღებული და გამოყენებადი იქნება მომავალში. პიროვნების იდენტიფიკაციისათვის აღნიშნული დაქტილოსკოპიური ბიომეტრიული მეთოდიკა დღესდღეობით დომინირებს სამართალდამცავ ორგანოებში, კონკურენცია მას შეუძლია გაუწიოს მხოლოდ სახის გეომეტრიისა და თვალის გუგის ბიომეტრიული იდენტიფიკაციის ტექნოლოგიამ.

პირველი დაქტილოსკოპიური ბიომეტრიული ავტომატიზირებული საიდენტიფიკაციო სისტემები (ადსს) გამოჩნდა 1980-იანი წლებში, როგორიც იყო „Morpho“ – საფრანგეთი, „NEC“ – იაპონია, „Printrak“ – აშშ, „Адис Папилон“ – რუსეთი. შემდეგში კომპიუტერული ტექნიკის განვითარებასთან ერთად ვითარდებოდა ავტომატიზებული დაქტილოსკოპიური საიდენტიფიკაციო სისტემებიც და 1999 წლის ივლისიდან აშშ გამოძიების ფედერალური ბიურო FBI და CJIS მართლმსაჯულების კრიმინალური ინფორმაციის სერვის განყოფილებები[7] გამოიყენებენ თითის ანაბეჭდების იდენტიფიკაციის ავტომატიზირებულ ინტეგრირებულ სისტემას, შემოკლებული სახელწოდებით „IAFIS“[8]. „IAFIS“-ი ფლობს მსოფლიოში თითის ანაბეჭდების ერთერთ უდიდეს დაქტილოსკოპიურ ბიომეტრიულ ბაზას.

7 FBI _ Federal Bureau of Investigation & CJIS _ Criminal Justice Information Services
8 IAFIS _ Integrated Automated Fingerprint Identification System

თითქმის ყველა ბიომეტრიული ავტომატიზებული დაქტილოსკოპიური საიდენტიფიკაციო სისტემა წარმოადგენს ციფრულ კომპლექსს, რომელიც შედგება თანამედროვე ციფრული მოწყობილობებისაგან: სისტემური ბლოკი, მონიტორი, პლანშეტ სკანერი, ლაზერული პრინტერი, მოდემი, ვიდეოსკანირების სისტემა, სპეციალიზებული სკანერი, პროგრამული უზრუნველყოფა.[9]

ავტომატიზებული დაქტილოსკოპიური საიდენტიფიკაციო სისტემების შესაძლებლობებიდან აღსანიშნავია:

1. მონაცემთა ბაზაში ელექტრონული დაქტილობარათების შეტანა და შენახვა, რომელიც შეიცავს ტექსტურ ინფორმაციას, თითისა და ხელისგულების ანაბეჭდებს, საკონტროლო ანაბეჭდებს, პიროვნების ფოტოსა და განსაკუთრებულ ნიშნებს, სიტყვიერ აღწერილობას.
2. შემთხვევის ადგილიდან ამოღებული თითისა და ხელისგულების ანაბეჭდების მონაცემთა ბაზაში შეტანა – შენახვა;
3. დაქტილობარათების სხვადასხვა ავტომატიზებული დაქტილოსკოპიური საიდენტიფიკაციო სისტემის ფორმატებში გარდაქმნა;
4. ავტომატური შედარება:
   ა) დაქტილობარათი – დაქტილობარათი;
   ბ) დაქტილობარათი – შემთხვევის ადგილიდან ამოღებული კვალი (თითის, ხელისგულის);
   გ) კვალი (თითის, ხელისგულის) – დაქტილობარათი;
   დ) კვალი (თითის, ხელისგულის) – კვალი (თითის, ხელისგულის) მონაცემთა ბაზაში ყველა შეყვანილი დაქტილობარათის და კვალის შემთხვევაში;
5. დაქტილოსკოპიური ფორმულის ავტომატური შედგენა.

კომპიუტერული ტექნიკის ავტომატიზებული დაქტილოსკოპიური საიდენტიფიკაციო სისტემის ინფორმაციული ბაზის შევსება ხდება როგორც არსებული დაქტილოსკოპიური ბარათებიდან ანაბეჭდების პლანშეტ-სკანერის საშუალებით შეყვანით, ისე თანამედროვე ხელის სპეციალური სკანერების მეშვეობით.[10] ანაბეჭდის სკანირების რამდენიმე მეთოდი არსებობს, მათ შორის გამოირჩევა ოპტიკური და ულტრაბგერითი.

შესაძლებლობიდან უნდა აღინიშნოს ის, რომ მოკლე დროის განმავლობაში შეუძლია შემთხვევის ადგილიდან ამოღებული თითის ანაბეჭდების იდენტურობის დადგენა ბაზაში არსებულ რამდენიმე ათეული ანაბეჭდიდან. საბოლოო იდენტურობის დადგენა სპეციალისტს, კერძოდ, დაქტილოსკოპისტს ეკუთვნის.

საქართველოში ბიომეტრიული საიდენტიფიკაციო სისტემის დანერგვა დაიწყო 2004 წლიდან და ამჟამად მოქმედებს ბელორუსიაში შექმნილი ავტომატიზებული დაქტილოსკოპიური საიდენტიფიკაციო სისტემა „დაქტო 2000“, რომელიც თავსებადია თითქმის ყველა ქვეყნის ბიომეტრიულ დაქტილოსკოპიურ საიდენტიფიკაციო სისტემებთან.

სახის გეომეტრია (ფორმა) – სახის ფორმის მიხედვით პიროვნების იდენტიფიკაციას საფუძვლად უდევს ის ფაქტორი, რომ ადამიანების თავის ქალის ფორმა ინდივიდუ-

9 იხ. დანართი – სურ.№ 2.
10 იხ. დანართი – სურ.№ 3.

ალურია. თავის ქალის ზუსტი მოდელირება რთულ საკითხს წარმოადგენს, ამიტომ ამ მეთოდის ტექნიკური რეალიზაციისათვის მხოლოდ სახის ზედაპირის ფორმას იყენებენ. აღსანიშნავია ის ფაქტორიც, რომ ადამიანებიც ერთმანეთს სახის მოყვანილობით ამოიცნობენ, რაც გვაძლევს იმის საბაბს, რომ შესაძლებელია კომპიუტერულმა სისტემებმაც მსგავსადვე აღიქვან ადამიანის სახის კონფიგურაცია.

სახეზე არსებობს განსაზღვრული წერტილები, რომელთა სივრცული კოორდინატების განსაზღვრა იდენტიფიკაციის საშუალებას გვაძლევს. ამასთან ერთად ამ წერტილების რაოდენობა რამოდენიმე ათეულს წარმოადგენს.[11] სირთულე მდგომარეობს მხოლოდ გაზომვების სიზუსტეში, რომლისათვისაც გარდა ძვირად ღირებული ციფრული ფოტო და ვიდეო აპარატურისა, მძლავრი პროცესორის და ოპერატიული მეხსიერების მქონე კომპიუტერული ტექნიკაა აუცილებელი.

სახის გეომეტრიის ამოცნობის ბიომეტრიული ტექნოლოგია რეალურ დროში პიროვნების სახის სკანირების საშუალებას იძლევა. პირველადი სურათის მისაღებად „სკანერი – ციფრული კამერა“ რამოდენიმე სანტიმეტრით უნდა იყოს მოცილებული ადამიანის სახიდან, გადაღების შემდეგ სურათი გადაეცემა სისტემას, რომელიც გაზომავს სახის რამოდენიმე პარამეტრს, გარდაქმნის სურათს სამგანზომილებიან ნიღბად, შემდგომში ტერმინალის პროგრამის მეშვეობით გადაიქცევა ციფრულ შაბლონად და ინახება მეხსიერებაში.[12]

იდენტიფიკაციის ამ მეთოდის პრიორიტეტი იმაშია, რომ ამოსაცნობ პიროვნებას არ ესაჭიროება სისტემასთან კონტაქტი, იდენტიფიკაცია წარმოებს დისტანციურად, (შესაძლებელია ხალხის თავშეყრის ადგილებში იდენტიფიცირება – მეტროში, სადგურზე, აეროპორტში და ა.შ.) მაგრამ აქვს ერთი უარყოფითი მხარეც – მონაცემთა ბაზის შესავსებად აუცილებელია ყველა იმ პიროვნების „სკანერ – ციფრული კამერაზე“ სკანირება, რომელთა ამოცნობა შემდგომში გვესაჭიროება.

თუ არსებობს საკმაო ბიომეტრიული ბაზა, იდენტიფიკაციის პროცესი მარტივად მიმდინარეობს – ეს ერთადერთი ბიომეტრიული მეთოდია, რომელიც ამ შემთხვევაში არ მოითხოვს სპეციალურ აპარატურას. ადამიანები სახის მოყვანილობით ცნობენ ახლობებს, ისინი არ ატარებენ გამოთვლებს, რათა ამოიცნონ ერთმანეთი, გარდა ამისა, საბუთის ფოტოსურათით პიროვნების ამოცნობა არ წარმოადგენს რთულ საკითხს. ნებისმიერ სათვალთვალო ვიდეოკამერაში მოხვედრილი პიროვნების სახე, მისი ყურადღების მიქცევის გარეშე, მუშავდება ციფრულად, იქმნება მისი სურათის ციფრული სამგანზომილებიანი ნიღაბი, შაბლონი, რომელიც შემდგომში მარტივად შეედარება მონაცემთა ბაზაში ადრე აღებული ციფრული ნიღაბის შაბლონს.

დღეისათვის მუშავდება და ხმარებაშიც არის ბიომეტრიული სისტემები, რომელსაც შეეძლება პიროვნების სურათის იდენტიფიცირება მონაცემთა ბაზაში არსებულ ციფრული ნიღაბის შაბლონთან. ამის მიღწევა ხერხდება კომპიუტერული მოდელირების მეშვეობით. სურათზე არსებული ადამიანის სახის გამოსახულებისაგან მოდელირდება თავის ქალის მოყვანილობა, რის შემდეგაც ხდება ვიდეო, გამოსახულებაზე ან ისევე სხვა ფოტოგამოსახულებაზე მოდელის ზედდება.[13] ამ შემთხვევაში, ნიშან-თვისებათა შედარებისას, პასუხისმგებლურ ამოცანას წარმოადგენს თანხვედრის პროცესში სხ-

11 იხ. დანართი – სურ.№ 4.
12 იხ. დანართი – სურ.№ 5.
13 იხ. დანართი – სურ.№ 6

ვაობათა შეფასება. სხვაობები შესაძლებელია გამოწვეული იყოს მაკიაჟით, პლასტიკური ოპერაციებით, ასაკობრივი ცვალებადობით, ასევე ფოტოსუტათზე თავის მდგომარეობით, გადაღების განათებულობით, რაკურსით, სიმკვეთრით. საუკეთესო ვარიანტს წარმოადგენს პასპორტის ან სხვა რაიმე საბუთზე არსებული ფოტოები.

თვალის ფერადი გარსი (გუგა) და ბადურა – ბიომეტრიულ ტექნოლოგიებში ერთერთი ყველაზე უფრო საიმედო მეთოდს წარმოადგენს თვალის ფერადი გარსით პიროვნების იდენტიფიკაცია. ამის მიზეზია – გენეტიკურად განპირობებული თვალის ფერადი გარსის თავისებურება, რაც ტყუპებსაც კი განსხვავებული აქვთ. თავდაპირველად თვალის გუგას განიხილავდნენ, როგორც სხვადასხვა დაავადების დიაგნოსტირების ინსტრუმენტს. კერძოდ, აღმოაჩინეს, რომ გარკვეული დაავადებებისას ადამიანის თვალის ფერად გარსში წარმოიქმნება პიგმენტური ლაქები. სწორედ ამიტომ, აღნიშნული ფაქტორის ზეგავლენის შემცირებისათვის, ბიომეტრიული იდენტიფიკაციის სისტემების აგებისას, გამოიყენება თვალის ფერადი გარსის ნახევარტონალური შავ-თეთრი გამოსახულებების მოდელირების მეთოდი.

აღნიშნული მეთოდით იდენტიფიცირებისათვის ინფორმაციის ძირითად წყაროს წარმოადგენს თვალის ფერადი გარსის სპეციფიკური აგებულება, რომლის ფორმირება ხდება ჯერ კიდევ რვა თვის ჩანასახში და უცვლელი რჩება დაბადებიდან გარდაცვალებამდე. განსაკუთრებით შეიძლება გამოიყოს თვალის ფერადი გარსის რადიალური სექტორების თავისებურებები, ასევე გარსში არსებული რკალების, ხაზებისა და გუგის არის თავისებურებები.

სხვა ბიომეტრიული მეთოდებისაგან განსხვავებით, რომელთაც შეუძლიათ არსებული 10-დან 60-მდე საიდენტიფიკაციო წერტილის დამუშავება, ინფორმაციის ანალიზის თანამედროვე ბიომეტრიულ სისტემებს შეუძლიათ თვალის ფერადი გარსის 11-მილიმეტრიან დიამეტრში ამოიღონ და დაამუშაონ 266 უნიკალური წერტილის თავისებურება. რაც მაღალი საიმედობის საიდენტიფიკაციო მეთოდიკის შექმნის საშუალებას იძლევა, მაშინაც კი, როცა დაზიანებულია (გაუფერულებულია) თვალის ფერადი გარსის 2/3. დარჩენილ 1/3-ში ცდომილება არ აღემატება 1 : 100 000.

განვიხილოთ იდენტიფიცირების ალგორითმი: თვალის გამოსახულების სკანირება ხდება სპეციალური აპარატურით ერთი მეტრის მანძილიდან, შემდგომში ხდება თვალის ფერადი გარსის გამოყოფა, გუგისა და თეთრი ნაწილისაგან. ამის შემდეგ ციფრულად მუშავდება თვალის გუგაში არსებული თავისებურებები, გარდაიქმნება შაბლონად და მიეწოდება სარეგისტრაციო ბაზას.

პრობლემას, რომელსაც ამ დროს ვაწყდებით, არის ის, რომ ფერადი გარსის გარშემო არსებული თავისებურებების აღრიცხვას ხელს უშლის თვალის ქუთუთოები, რომლებიც ზოგჯერ მთლიანად არ არის გაღებული, მაგრამ სისტემას შეუძლი ამ ფაქტორის შევსება ფერადი გარსისა და თვალის თეთრი ნაწილის კონტრასტულობის სრული აღრიცხით.

თვალის ფერადი გარსით იდენტიფიკაციის ტექნოლოგიასთან ერთად მაღალი სიზუსტით გამოირჩევა თვალის ბადურის მეშვეობით იდენტიფიკაციაც. თვალის ბადურის დათვალიერების ტექნოლოგიის სირთულის მიუხედავად, იდენტიფიკაციის ეს მეთოდი საკმაო ხანია ცნობილია. ჯერ კიდევ 1935 წელს მეცნიერებმა საიმონმა და გოლდშტეინმა დაამტკიცეს თვალის ფსკერის სისხლძარღვების აგებულების უნიკალურობის ფაქტი თითოეული ინდივიდისათვის, ტყუპების ჩათვლით. თვალის ფუძეზე არსებული სისხლძარღვების სურათი უცვლელია ადამიანის მთელი ცხოვრების გან-

მავლობაში, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ადგილი არა აქვს თვალის გარკვეულ დაავადებას, ტრავმას, ასევე თავის ძლიერ ტრავმას.

თვალის ფსკერის მიხედვით იდენტიფიკაციის მეთოდი საკმაოდ რთულია, რაც ზღუდავს მის გამოყენებას და ერთ-ერთ უარყოფით მხარეს წარმოადგენს. პირველივე ცდაზე რეგისტრაციის პროცედურის გავლა მხოლოდ 80-90% ადამიანს შეუძლია, რაც აიხსნება თვალის გუგის ხვრელში ფუძის სკანირების სირთულით. ამისათვის თვალი, სარეგისტრაციო მოწყობილობიდან 1-1,5 სმ მანძილზე უნდა იყოს დაცილებული. აღრიცხილ იქნა ბადურის სურათის დაახლოებით 400 წერტილი, შეიქმნა ციფრული შაბლონი და შენახულ იქნა მონაცემთა ბაზაში. შედარებისათვის შეიძლება მოვიყვანოთ მაგალითი: თითის ანაბეჭდის შაბლონის შესაქმნელად გამოიყენება არა უმეტეს 30-40 წერტილი, რაც სრულიად საკმარისია რეგისტრაციისათვის, შაბლონის შექმნისა და იდენტიფიცირების პროცესისათვის. ამით იხსნება თვალის ფსკერის მიხედვით იდენტიფიკაციის მეთოდის სიზუსტე სხვა ბიომეტრიულ მეთოდებთან შედარებით.

ისევე როგორც თვალის ფერადი გარსით იდენტიფიკაციის მეთოდი, თვალის ფსკერით იდენტიფიკაციის მეთოდი წარმოადგენს უძვირეს მეთოდიკას, გარდა ამისა, მათი არაპოპულარობა აიხსნება რეგისტრაციის პროცედურის სირთულით.[14]

ხმა და საუბარი – ბიომეტრიულ ტექნოლოგიებში ყველაზე მარტივ მეთოდს წარმოადგენს ხმით, და საუბრის ინტონაციით პიროვნების იდენტიფიკაციის მეთოდი. აქ ფასდება ისეთი პარამეტრები, როგორიცაა ხმის ტონის სიმაღლე, მოდულაცია, ინტონაცია და სხვა. ტექნოლოგია არ მოითხოვს ისეთი რთული ციფრული სისტემური მოწყობილობების გამოყენებასა და მატერიალურ დანახარჯებს, როგორც სხვა მეთოდები – საკმარისია მხოლოდ მიკროფონი და რამდენიმე ელექტრონული სქემა.

ხმით იდენტიფიკაცია მოსახერხებელი, მაგრამ არასაიმედო მეთოდია, რადგან ხმა ფორმირდება ფიზიოლოგიური და დინამიკური ფაქტორების კომბინაციით, ამიტომ გაციებულ ადამიანს შესაძლებელია შეექმნას გარკვეული პრობლემა იდენტიფიცირების პროცესში.

უნიკალური მახასიათებლები – ისე როგორც თითის ანაბეჭდების, ასევე თვალის ფერადი გარსითა და ბადურით ბიომეტრიული იდენტიფიკაციის მეთოდი, პიროვნებების იდენტიფიკაციისათვის ერთ-ერთ მოსახერხებელ, მაგრამ უნიკალურ მეთოდს წარმოადგენს ადამიანის კანზე არსებული ხალების ან შემდგომში შეძენილი ნაიარევისა და სვირინგების გამოსახულებების მიხედვით იდენტიფიკაცია.[15]

სისტემას პირობითად ეწოდება Tatoo ID, იგი, როგორც სხვა ბიომეტრიული სისტემები, შედგება ვიდეოსკანირების მოწყობილობისაგან, რომელიც სვირინგის გამოსახულებას გადასცემს პროცესორს, მაგრამ ეს გამოსახულება სხვა ბიომეტრიული მეთოდებისაგან განსხვავებით, არ საჭიროებს მის შაბლონად გარდაქმნას შემდგომი იდენტიფიცირებისათვის, არამედ საკმარისია მხოლოდ სვირინგის გამოსახულებების შედარება მონაცემთა ბაზაში არსებულ სვირინგის გამოსახულებასთან. მხედველობაში მიიღება ასევე კანზე არსებული რაიმე დაზიანებები, ნაიარევი, ხალები.

ამ სახის ბიომეტრიული სისტემა ჯერჯერობით არ არის საიმედო საშუალება პიროვნებების იდენტიფიკაციისათვის, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს,

---

14 იხ. დანართი – სურ.№ 7.
15 იხ. დანართი – სურ.№ 8.

რომ სვირინგები დამახასიათებელია არა მარტო დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენლებისათვის, ეს მეთოდი მოგვცემს საშუალებას საგრძნობლად შევამციროთ ამოსაცნობ პირთა რაოდენობა, რაც თავის მხრივ აიაფებს და ამარტივებს იდენტიფიკაციის პროცესს.

ახალ და ორიგინალურ მცდელობად შეიძლება ჩაითვალოს ვენების რუკის მიხედვით პიროვნების იდენტიფიცირების საკითხი. 2004 წელს გ. ზემანის მიერ, ადამიანის ინექცირების მიზნით ვენების აღმოჩენის გაიოლებისათვის, შემუშავებულ იქნა ინფრაწითელ სხივებში ვენების განლაგების აღმოჩენის ტექნოლოგია, რომელიც დაპატენტებულია ამერიკული სამედიცინო კომპანიის „Luminetx"-ის მიერ. ხელსაწყოს[16] შეეძლო აღმოეჩინა ვენების განლაგება 8 მმ სიღრმეზე, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ვენების ქსელის განლაგების სურათი განუმეორებელი და უცვლელია. მათი შეცვლა გაყალბების მიზნით შეუძლებელია, ამიტომ შესაძლებელი ხდება პიროვნების იდენტიფიცირებისათვის ამ მეთოდის გამოყენება.[17]

სუნი – ოდოროლოგიურ ბიომეტრიას საფუძვლად უდევს ინსტრუმენტალური ოდოროლოგიის განვითარება, რომლის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენდა ისეთი აპარატურისა და მეთოდების შექმნა-შემუშავება, რაც უზრუნველყოფს აქროლადი ნივთიერებების სუნის განმსაზღვრელი სპექტრის რეგისტრირებას და შემდგომი შედარებისათვის მისი მათემატიკური მოდელის შექმნას. სუნის ამოღების ასეთ მეთოდს ოლფაქტრონიკა შეისწავლის. დღეისათვის შემუშავებულია სპეციალური მოწყობილობები პიროვნების სუნის ოლფაქტოაქტიური ნიმუშების ქრომატოგრაფიული ანალიზისათვის, რომელიც იყენებს აქროლადი მეტაბოლიტების აეროზოლურ-კრიოგენული კონცენტრირების კვლევით მეთოდს. აეროზოლურ-კრიოგენული კონცეტრირების მეთოდი ეყრდნობა ნიმუშის დაბალტემპერატურული კონდენსაციისა და აეროზოლური ფილტრაციის შერწყმას.

ცოცხალი ანალიზატორების საიდუმლოებების ამოხსნა, სხვადასხვა ანალიზზე დაყრდნობით (მასს-სპექტრომეტრია; აეროქრომატოგრაფია; ქრომატომასს-სპექტრომეტრია; ინფრაწითელი სპექტრომეტრია და სხვ.), მათივე მსგავსი ხელოვნური დეტექტორების შექმნის საშუალებას იძლევას, მით უმეტეს ტექნოლოგიური მიღწევებისა. კრიმინალისტიკური იდენტიფიკაციის დღევანდელი მოთხოვნებიდან გამომდინარე, სუნის ბიომეტრიულმა ანალიზმა ვერ მოიპოვა პოპულარობა სამართალდამცავ ორგანოებში, სუნის კლასიფიკაციის სირთულებიდან გამომდინარე.

დნმ – თანამედროვე გამოთვლითი ტექნიკა გვაძლევს იმის საშუალებას, რათა მოვახდინოთ დნმ-ის ანალიზის სრული ავტომატიზება, განსაკუთრებული გავრცელება პოვა დნმ-ს მოკლე ტანდემური განმეორებითი ანალიზის (STR) მეთოდმა, რომელიც ეყრდნობა პოლიმერულ ჯაჭვურ რეაქციებს.

მოკლე ტანდემური განმეორებითი ანალიზის (STR) მეთოდის გამოყენებისას, ხდება დნმ-ს მოკლე განმეორებად უბნებზე ჯაჭვის პროფილის ციფრული ანალიზი. პროფილის განმეორების რაოდენობის დამთხვევა თითო უბანზე სხვადასხვაა – ადამიანთა 5-20%, მაგრამ თუ განვიხილავთ უბნების დიდ რაოდენობას, პროფილის განმეორება შეუძლებელი ხდება (შთ პროფილის 13 უბნის განხილვისას ცრუ დამთხვევის შესაძლებლობა შეადგენს 10-18; სადაც – X ღერძი – ფრაგმენტის სიგრძეა;

16 იხ. დანართი-სურ.№ 9.

17 Biever C. Vein camera keeps injections on target (6.10.2004)/ New Scientist . URL http://www.newscientist.com/article.ns?id=dn6497

Y – ღერძი სიგნალის ინტენსივობა).[18]

დნმ-ის იდენტიფიკაცია ყველაზე სანდოა და ძვირად ღირებული ბიომეტრიულ-სტატიკურ მეთოდებს შორის, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ იგი გამოყენებულ იქნეს პიროვნების იდენტიფიცირებისათვის იმ შემთხვევაში, როცა სხვა მეთოდებით პიროვნების გაიგივება ვერ ხერხდება.

ბიომეტრიული პარამეტრების მეშვეობით პიროვნების ამოცნობის ზოგიერთი არსებული მეთოდი ეყრდნობა ამ პარამეტრების „უნიკალობის" და სიცოცხლის განმავლობაში უცვლელობის ჰიპოთეზას, რომელიც პრაქტიკულად დამტკიცებული ბოლომდე არ არის. ამავე დროს ცნობილია, რომ არსებული მოდელები არ იძლევა იმის საშუალებას, რათა ადეკვატურად აღწერილ იქნეს ადამიანთა 4-6% რაოდენობა. ამავე დროს, ბიომეტრიული მეთოდების ინსტრუმენტალური ცდომილებები შეადგენს ათეულობით პროცენტს, რადგან ტექნიკურ სკანერებს არ შეეძლებათ ზოგიერთი ფიზიკური ნაკლის მქონე პიროვნებების იდენტიფიცირება. ასე მაგ., თვალის ფერადი გარსისა და თვალის ბადურის სკანერებს გაურთულდებათ იმ ადამიანების თვალის სკანირება, რომლებიც ატარებენ სათვალეს ან კონტაქტურ ლინზებს, ხოლო ართრიტით დაავადებული ადამიანისთვის რთული იქნება თითის ანაბეჭდის სკანერით აღება, რადგან იგი ვერ შეძლებს მასზე სწორედ თითის დადებას; იმ ადამიანების პროცენტული რაოდენობა, რომლებსაც არ შეუძლიათ გაიარონ ბიოლოგიური იდენტიფიცირება, უფრო ბევრი აღმოჩნდა, ვიდრე ამას ვარაუდობდნენ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა ბიომეტრიული იდენტიფიკაციის დადებით და უარყოფით მხარეებზე.

დადებით მხარეებად ითვლება:

მაღალი სიზუსტე, სისწრაფე და მოხერხებულობა;

შეუძლებელია ბიომეტრიული მახასიათებლების მოპარვა ან დაკარგვა;

გამოყენების ფართო სპექტრი;

იდენტიფიკაციის ტექნოლოგიების სწრაფი პროცესი.

უარყოფითი მხარეები:

მომხმარებლის შეუგუებლობა;

ინსტრუმენტალური ცდომილებები;

არსებული მოდელები არ იძლევა საშუალებას ადეკვატურად აღწერილ იქნეს ადამიანთა 4-6% რაოდენობა;

სოციალური საშიშროება (რელიგიური და სოციალური ორგანიზაციების პროტესტი კოდირებაზე);

არსებობს იმის საშიშროება, რომ ციფრული იდენტიფიკაცია შეიძლება გამოყენებულ იქნეს ადამიანის უფლებებისა და შესაძლებლობების შესალახად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა იმის შესახებ, თუ, რომელი ბიომეტრიული მეთოდია დღეისათვის ყველაზე სანდო და მოსახერხებელი და რომელი რთულად განსახორციელებელი მისი ტექნოლოგიური პარამეტრების შეფასებისა და შესაძლებლობების მიხედვით. ასევე შესაძლებელია ბიომეტრიული მეთოდების გამოყენების პროცენტული შეფარდების სქემების შედგენა.[19]

---

18 იხ. დანართი – სურ.№ 10.

19 იხ. დანართი – სურ.№ 11.

დანართი



სურ. 1

სურ. 2



სურ. 3



სურ. 4

სურ. 5



სურ. 6



სურ. 7


ФОН

სურ. 8


ვენების დეტექტორი
ვენების აღმომჩენი რენტგენო-ინფრაწითელი კამერა
კომპიუტერი აანალიზებს ვენების განლაგებას და გადასცემს პროექტორს
სარკე - გამჭოლია ჩვეულებრივი შუქისთვის ირეკლავს ინფრაწითელს
პროექტორი ახდენს ვენების პროექციორებას ხელზე

სურ. 9


D19S433
vWA
TPOX
D18S51
70
140
210
280
350
420
1700
0
13
14
14
17
11
11
13
16
D5S818
FGA
70
140
210
280
350
420
2000
0
X
Y
10
11
23.2
25


60 80 100 120 140 160 180 200 220 240 260 280 300 320 340 360 380 400 420
1200
600
0
5B : 21 (FLUOR.- STAINED WOOD-NEAT)
1200
600
0
5G : 21 (FLUOR.- STAINED WOOD-NEAT)
300
150
0
5Y : 21 (FLUOR.- STAINED WOOD-NEAT)
1200
600

სურ. 10

პარამეტრები ბიომ.მეთოდები	სიზუსტე	გამოყენების სიმარტივე	დანადგარის კომპაქტურობა	მდგრადობა გაყალბებაზე	იდენტიფიკაციის სიჩქარე	დაბალი ღირებულება
თითის ანაბეჭდები იდენტიფიცირება	+	+	+	**0**	+ + +	+ + +
თვალის ფერადი გარსი	+ +	**0**	**0**	+ + +	+	**0**
ხელისგულის გეომეტრია	+	+	**0**	**0**	+	+
ხელზე ვენების განლაგება	+	+	+	+ + +	+	+
სახის სკანირება	+	+	+	+	+	+
ხმით იდენტიფიცირება	**0**	+ + +	+ + +	+	+	+ + +
ოდოროლოგიური ანალიზი	**0**	+	+	+	**0**	**0**
დნმ-ით იდენტიფიკაცია	+ + +	+	+ +	+ + +	**0**	**0**

პარამეტრული მონაცემები: ძალიან კარგი + + +; კარგი + +; მისაღები +; ცუდი 0;

სურ. 11


ხმით
იდენტიფიც. 2%
ხელის
გეომეტრია
2%
სხვა მეთოდები
3%
ოდოროლოგია
1%
ხელზე ვენების
განლაგება
3%
თვალის
ფერადი გარსი
და ბადურა
8%
სახის ფორმა
20%
თითის და
ხელისგულის
ანაბეჭდები
60%
ბიომეტრიული იდენტიფიკაციის მეთოდების
გამოყენების პროცენტული შეფარდება

სურ. 12

სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის აქტუალური საკითხები

/დავით მაღრაძე/

სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ძირითად ამოცანებს წარმოადგენს:

1) ბრალდებულის, განსასჯელის შერაცხადობა-შეურაცხადობის დადგენა;

2) ბრალდებულის, განსასჯელის, მოწმის, დაზარალებულის საპროცესო ქმედუნარიანობა-ქმედუუნარობის დადგენა;

3) ფსიქიკურად დაავადებული ბრალდებულის, განსასჯელის, საზოგადოებრივი საშიშროების განსაზღვრა; შესაბამისი ფსიქიატრიული მკურნალობის რეკომენდაციის გაწევა;

4) მსჯავრდებულის პენიტენციალური ქმედუნარიანობის, ქმედუუნარობის დადგენა და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა;

5) პირის სამოქალაქო ქმედუნარიანობა-ქმედუუნარობის დადგენა;

6) პირის ქმედუნარიანობა-ქმედუუნარობის დადგენა კონკრეტული ხელშეკრულების ან სხვა იურიდიული დოკუმენტის შედგენა-გაფორმების დროს;

7) სხვა საკითხების გადაწყვეტა, რომლებიც საჭიროებენ საექსპერტო-ფსიქიატრიულ ცოდნას.

თანამერდოვე სასამართლო-ფსიქიატრიული საკითხების ჩამოყალიბება და შემდგომი განვითარება, შეიძლება ითქვას, დაიწყო 1794 წელს, როდესაც გამოჩენილმა ფრანგმა ფსიქიატრმა ფ. პინელმა პრაქტიკულად აიძულა საფრანგეთის ნაციონალური კონვენტი ნება დაერთოთ ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში ბორკილები მოეხსნათ სულით ავადმყოფებისათვის. აღნიშნული იყო პირველი ნაბიჯი ფსიქიკურ ავადმყოფთა მდგომარეობის მიმართ განსხვავებული დამოკიდებულების, მათდამი ახლებურად მიდგომის. 1800 წელს ვინმე ჰედფილდმა მკვლელობის მიზნით ესროლა ინგლისის მეფეს გეორგ III-ს, ვინაიდან აღნიშნული პირი აშკარად ავლენდა ფსიქიკური დაავადების ნიშნებს. იგი გაამართლეს სულიერი ავადმყოფობის გამო. რამდენიმე დღის შემდეგ გენერალ-პროკურორის მიერ ინგლისში მიღებულ იქნა 1800 წლის კანონი – არანორმალური დამნაშავეების შესახებ. რაც პირველი კანონი იყო ფსიქიკურად დაავადებულ დამნაშავე პირთა შესახებ. შემდგომში, საფრანგეთში, 1810 წლის სისხლის სამართლის კოდექსში, რომელიც, არსებული ისტორიული მონაცემებით, პირადად ნაპოლეონ ბონაპარტის დაწერილი იყო, გაჩნდა შეურაცხადობის ფორმულირება, რომელიც ითვლება შეურაცხადობის პირველ საკანონმდებლო ფორმულირებად მსოფლიოში. ამ კოდექსის 64-ე მუხლის მიხედვით: „არ არის არც დანაშაული, არც გადაცდომა, თუ ქმედების ჩადენის დროს ბრალდებული იმყოფებოდა დემენციის მდგომარეობაში“. როგორც ვხედავთ, ეს საკანონმდებლო ფორმულირება შეიცავდა მხოლოდ ფსიქიატრიულ კრიტერიუმს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ დროისათვის ასეთი საკანონმდებლო ფორმულირების არსებობა უდიდეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს. 1843 წელს, ქ. გლაზგოს მოქალაქე ვინმე მაკ-მატენმა, რომელიც ბოდვითი იდეებით იყო შეპყრობილი, გადაწყვიტა პრემიერ-მინისტრის, რობერტ პილის მოკვლა. მისი ბოდვის სტრუქტურაში წამყვანი იყო იდეა, რომ იეზუიტები შეეკრნენ ტორებს იმ მიზნით, რომ იგი მოეკლათ, მაგრამ შეცდომით მან პრემიერ-მონისტრის ნაცვლად მისი მდივანი, დრუმონდი მოკლა. სასამართლო განხილვის დროს მაკ-მატენი შემოწმებული იყო

რვა, ყველაზე სახელოვანი ექსპერტის მიერ და ნაფიც მსაჯულთა გადაწყვეტილებით, სასამართლომ იგი გაამართლა, როგორც სულით ავადმყოფი. აღნიშნულმა ვერდიქტმა მთავრობის დიდი წყრომა გამოიწვია. სამეფო მოსამართლეებს დასჭირდათ შესაბამისი ახსნა-განმარტებების გაცემა, რაც ისტორიაში შევიდა, როგორც მაკ-მატენის საქმის წესები. პრაქტიკულად ჩამოყალიბდა თანამედროვე შეხედულებასთან ახლოს მყოფი შერაცხადობა-შეურაცხადობის კრიტერიუმები. აქვე აღსანიშნავია, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დარჩა.

რუსულ კანონმდებლობაში, კერძოდ, 1845 წლით დათარიღებულ „улажения о наказаниях уголовных и исправительных“ ჩამოყალიბებული იყო ფსიქიატრიული და ფსიქოლოგიური კრიტერიუმები. ამ საკანონმდებლო ფორმულირების კრიტერიუმებს ახასიათებდა არასრულყოფილება. ხოლო თვით ფორმულა ფაქტობრივად განაწილებული იყო სამ სხვადასხვა მუხლში. 95-ე მუხლი ითვალისწინებდა ქრონიკული ფსიქიკური დაავადებებისა და თანდაყოლილი ჭკუასუსტობის შემთხვევებს. ამ მუხლის მიხედვით, შეურაცხადებად ითვლებოდნენ „დაბადებით უგუნურები და შეშლილები“ (ფსიქიატრიული კრიტერიუმი), თუ მათ, დანაშაულის ჩადენის მომენტში, თავიანთი მდგომარეობიდან გამომდინარე, არ ჰქონდათ წარმოდგენა მათი ქმედების კანონწინააღმდეგობასა და თვისებაზე (ფსიქოლოგიური კრიტერიუმი). 96-ე მუხლში საუბარი იყო ფსიქიკური მდგომარეობის დროებით მოშლილობაზე. 97-ე მუხლი მიუთითებდა „ღრმად მოხუცებსა და მთვარეულებზე, რომლებიც ნერვიული აშლილობის დროს მოქმედებდნენ არასათანადო გონიერებით“.

დიდი მნიშვნელობა სასამართლო-ფსიქიატრიის თეორიასა და პრაქტიკაში ჰქონდა შეზღუდული შერაცხადობის პრინციპების ჩამოყალიბებასა და განხორციელებას. ამ კითხვების ირგვლივ გაჩნდა უამრავი სხვადასხვა მოსაზრება, ეს კითხვები იქცა გაუთავებელი დისკუსიის საგნად. თუ შეურაცხადობა ყოველთვის გულისხმობს ფსიქიკურ პათოლოგიას, შერაცხადობა ყოველთვის არ გულისხმობს ფსიქიკურ ნორმას. საბოლოოდ ყოველივე ამან მიგვიყვანა იქამდე, რომ კანონმდებლობის მიერ შემოღებულ იქნა ნორმა შეზღუდული (შემცირებული) შერაცხადობის შესახებ. პირველად შეზღუდული შერაცხადობა მოხსენიებულია გერმანული სახელმწიფოების სისხლის სამართლის კოდექსში: ბადენის 1845 წლის პარაგრაფი 153; ბავარიის 1848 წლის პარაგრაფი 106; ბრაუნშვაიგის 1840 წლის პარ. 66; ჰამბურგის 1869წ. პარ.59; ჰანოვერის 1840წ. პარ.94 საქსონიის 1841წ. პარ.884; საქსენალტენბურგის 1841წ. პარ.41; ვიურტენბერგის 1839წ. პარ.98. ტიურინგენის 1850-1852წწ. პარ.59. ყველა ამ კოდექსში შეზღუდული შერაცხადობის გამომწვევ ფაქტორთა შორის დასახელებულია ჭკუასუსტობა, არასრულყოფილი განვითარება, ღრმა მოხუცებულობა, სიმთვრალე, აღზრდის სრული არარსებობა, ბავშვობაში უაღრესად არახელსაყრელი და გახრწნილი გარემო. ყველა ამ შემთხვევაში გათვალისწინებულია სასჯელის შემცირება. შეზღუდულ შერაცხადობას ვხვდებით აგრეთვე სხვა ევროპული ქვეყნების სისხლის სამართლის კოდექსებში; დანიის 1866წ. პარ.39; ფინეთის 1889 წ. პარ.4; საბერძნეთის 1833წ. პარ.87; შვედეთის 1864წ. პარ.6. ეს კოდექსები აგრეთვე ითვალისწინებდა შეზღუდული შერაცხადობის დროს სასჯელის შემცირებას.

რაც შეეხება საბჭოთა პერიოდს, აქ შეზღუდული შერაცხადობისადმი არაერთგვარი დამოკიდებულება იყო. კანონმდებლის პოზიცია ამ საკითხისადმი იყო უარყოფითი, ფსიქიატრებსა და იურისტებს შორის არ არსებობდა ერთიანი აზრი არა მარტო შეზღუდული შერაცხადობისადმი, არამედ შერაცხადობისა და შეურაცხადობისადმი.

როგორც მიუთითებენ ლიტერატურაში, აღნიშნულის მიზეზს წარმოადგენს ის, რომ იმ დროისთვის (იგულისხმება საბჭოთა პერიოდის დასაწყისი) ფსიქიატრები და იურისტები განიცდიდნენ სხვადასხვა სკოლის ძლიერ ზეგავლენას, რომლებიც გავრცელებული იყო სისხლის სამართალსა და ფსიქიატრიაში. მიუხედავად ამისა, 20-იან წლებში შეზღუდული შერაცხადობის საკითხი აქტიურად განიხილებოდა იურისტებისა და ფსიქიატრების მიერ. ასე მაგალითად, ვ. სერბსკის სახელობის სასამართლო ფსიქიატრიის ინსტიტუტის მიერ ჩატარებული საექსპერტო გამოკვლევების დროს 1921 წელს გამოკვლეულთა 22,3 %, 1922 წელს 21,3%, 1923 წელს 30%, 1924 წელს 22,2%,1925 წელს 8,5%, 1926 წელს 2%, 1927 წელს 0,2 % მიჩნეული იყვნენ შეზღუდულ შერაცხადებად. მაგრამ ასეთი პრაქტიკა მცდარად იქნა გამოცხადებული და შეზღუდულ შერაცხადად აღიარება 1928 წლიდან საერთოდ შეწყდა. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში შეზღუდული შერაცხადობისადმი ნეგატიური დამოკიდებულება კიდევ უფრო გაამწვავა ერთმა კერძო შემთხვევამ. ეს შემთხვევა ეხებოდა ექსპერტ-ფსიქიატრის პროფ. გ. სერეისკის დასკვნას, მსჯავრდებულ კ-ს მიმართ, რომელსაც ბრალი ედებოდა გაფლანგვაში. დასკვნის მიხედვით ფსიქოპათ კ-ს მიერ ჩადენილი დანაშაულის მიზეზი იყო დაავადება და ის ჩადენილ იქნა შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობაში. სპეციალური კომისია, რომელმაც განიხილა პროფ. სერეისკის დასკვნის სისწორე, მიიჩნია ის მცდარად და ჩათვალა, რომ ასეთი დასკვნა უკავშირდებოდა ლომბროზიანისტულ და ნეოლომბროზიანისტულ მიმართულებებს ფსიქიატრიაში. ამის შედეგად შეზღუდული შერაცხადობის ხსენებაც კი დაუშვებლად იქნა მიჩნეული.

საინტერესოა, როგორ მოქმედებდა შეზღუდული შერაცხადობის კონცეფცია ევროპის სხვა ტოტალიტარულ ქვეყნებში. ფაშისტური იტალიის 1930 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 89-ე მუხლის თანახმად, დანაშაული, რომელიც პირის მიერ ჩადენილი იყო შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობაში, ისჯებოდა შედარებით ლმობიერად. ამავე კოდექსის 90-ე მუხლი ითვალისწინებდა დანაშაულს, ჩადენილს „აგზნების ან ვნების მდგომარეობაში“. ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის განაჩენის გამოტანისას შეღავათები გათვალისწინებული არ იყო. თუ პირმა დანაშაული ჩაიდინა შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობაში, სიკვდილით დასჯა იცვლებოდა „გამასწორებელ სახლით“ ვადით 20-24 წლამდე. სხვა დანარჩენი სახის სასჯელის ვადა მცირდებოდა ერთი მესამედით (მუხლი 64-ე). აუცილებლობის შემთხვევაში ტარდებოდა შესაბამისი მკურნალობა. ნაცისტურ გერმანიაში 1933 წლის 24 ნოემბერს მიღებული კანონის თანახმად (რომელმაც ფაქტობრივად შეცვალა 1877 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი), სასამართლო ფსიქიატრი წყვეტდა როგორც შერაცხადობის, ასევე შეზღუდული შერაცხადობის საკითხს. აღნიშნული განისაზღვრებოდა ამ კანონის 51-ე მუხლით. იგივე კანონი ითვალისწინებდა როგორც სასჯელის ზომის შემცირებას, ასევე სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიებების ჩატარებას (41-ე მუხლის „ა“; „ბ“). საგულისხმოა, რომ იმავე მუხლის მე-5 პუნქტი ითვალისწინებდა განსაკუთრებით საშიში სექსუალური მოძალადეების კასტრირებას.

ამჟამად შეზღუდული შერაცხადობა გათვალისწინებულია უმრავლესი ქვეყნის კანონმდებლობით. მაგალითად, გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 24-ე პარაგრაფი შეზღუდულ შერაცხადობას განსაზღვრავს თითქმის ისევე, როგორც საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობა. ასეთივე დისპოზიცია აქვს შვეიცარიის კოდექსის მე-11 მუხლს. ხოლო იმავე კოდექსის მე-12 მუხლის მიხედვით, შეზღუდულ შერაცხა-

დად არ შეიძლება იქნეს ცნობილი პირი, რომელმაც თვითონ გამოიწვია ცნობიერების მოშლა, რათა შემდეგ ჩაედინა დანაშაული. მსგავსი ფორმულა გამოყენებულია ბრაზილიის სისხლის სამართლის კოდექსის 22-მუხლის 1-ლ პარაგრაფში. აქაც გათვალისწინებულია სასჯელის შემცირება. სომალის კოდექსის 51-ე მუხლში აღნიშნულია, რომ შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობა არ გამორიცხავდა, მაგრამ მნიშვნელოვნად ამცირებდა მის უნარს, გაეგო ან ესურვა ჩადენილი დანაშაული. აქაც გათვალისწინებულია სასჯელის შემცირება. ინგლისის სასამართლო პრაქტიკა შეზღუდული შერაცხადობის კონცეფციის გამოყენებისათვის, აუცილებლად მიიჩნევს სამი ელემენტის არსებობას: 1) ბრალდებული უნდა იყოს დაავადებული ცნობიერების ისეთი ანომალიით დანაშაულის ჩადენის დროს, რომელსაც ჩვეულებრივი გონიერი ადამიანი მიიჩნევს არანორმალულად; 2) ცნობიერების ანომალია უნდა გამომდინარეობდეს გონებრივი განვითარების ჩამორჩენილობიდან ან ნებისმიერი თანდაყოლილი მიზეზიდან, რომელიც გამოწვეულია დაავადებით ან დაზიანებით; 3) ცნობიერების ანომალია, არსებითად უნდა ამცირებდეს ბრალდებულის ფსიქიკურ პასუხისმგებლობას, მისი მოქმედების ან უმოქმედობისათვის. სასამართლო პრაქტიკა მიიჩნევს, რომ არსებითი შემცირება გულისხმობს, ბრალდებულის მიერ თავისი მოქმედებისა და იმპულსების კონტროლირების შეუძლებლობას.

იტალიის სისხლის სამართლის კოდექსის 89-ე მუხლის შესაბამისად, პირი, რომელიც დანაშაულის ჩადენის მომენტში იმყოფებოდა ისეთ ფსიქიკურ მდგომარეობაში, რომელიც არ გამორიცხავდა, მაგრამ არსებითად ამცირებდა მის უნარს, გაეცნობიერებინა და ესურვა, აგებს პასუხს ჩადენილზე, მაგრამ სასჯელი მას უნდა შეუმცირდეს. იტალიის სისხლის სამართლის კოდექსი შეზღუდული შერაცხადობის შემთხვევაში ითვალისწინებს სასჯელის სავალდებულო შემცირებას.

იტალიის სისხლის სამართლის კანონმდებლობით, შეზღუდულ შერაცხადად პირი შეიძლება მიჩნეულ იქნეს არა მხოლოდ ფსიქიკური დაავადების გამო, არამედ ყრუმუნჯობის, სიმთვრალის (ალკოჰოლურ, ნარკოტიკული) შემთხვევაში, თუ მისი უნარი „გააცნობიეროს და ისურვოს“ იყო მნიშვნელოვნად შემცირებული.

რუსეთში შეზღუდული შერაცხადობა განისაზღვრება რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე მუხლით. რუსეთის კანონმდებლობა სასჯელის შემსუბუქებასთან ერთად ითვალისწინებს სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიებების დანიშვნას.

ამჟამად საქართველოში შეზღუდული შერაცხადობის ყველა ასპექტი გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 35-ე მუხლით. ამ მუხლის თანახმად:

1). სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან არ თავისუფლდება სრულწლოვანი, რომელიც დანაშაულის ჩადენის დროს იმყოფებოდა შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობაში, ესე იგი ფსიქიკური დაავადების გამო არ შეეძლო სრულად გაეცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი და მართლწინააღმდეგობა და ეხელმძღვანელა მისთვის.

2). შეზღუდულ შერაცხადობას სასამართლო ითვალისწინებს სასჯელის დანიშვნის დროს.

3). სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობიდან შეიძლება გათავისუფლდეს არასრულწლოვანი, რომელიც დანაშაულის ჩადენის დროს იმყოფებოდა შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობაში.

შეზღუდული შერაცხადობის შესახებ დასკვნა გამოიტანება ისეთ შემთხვევებში,

როდესაც დანაშაულის ჩამდენ პირებს აღენიშნებათ გარკვეული ფსიქიკური აშლილობები: 1) თავის ტვინის ორგანული დაზიანება, არამკვეთრად გამოხატული კოგნიტური და ემოციურ-ნებითი დარღვევებით, მათ შორის ფსიქოორგანული სინდრომი. შესაძლოა შეზღუდული შერაცხადობის არსებობის შესახებ გადაწყვეტილება დადგეს დეკომპენსაციისა და ალკოჰოლური თრობის შერწყმული არსებობის შემთხვევაში კრიმინალური ქმედების ჩადენის პერიოდში, თუმცა ეს უკანასკნელი გარემოება სადავოა და საჭიროებს დეტალურ დასაბუთებას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. 2) გონებრივი ჩამორჩენილობა; მსუბუქი, ზომიერად გამოხატული და გამოხატული დებილობის ჩათვლით. 3) პერსონოლოგიური აშლილობები, განსაკუთრებით არაფსიქოზური დონის დეკომპენსაციების დროს. 4) შიზოფრენიული დაავადება; სრული ან არასრული რემისიის მდგომარეობა. 5) აფექტური აშლილობანი, არასრული ინტერმისიის მდგომარეობა; 6) ლტოლვის კომპულსური ტიპი ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის დროს. ასევე სხვა ფსიქიკური აშლილობანი, რომელთა დროს დაქვეითებულია პირის კრიტიკული შეფასების უნარი. შეზღუდული შერაცხადობის ფუნდამენტურ კრიტერიუმს წარმოადგენს პირის კრიტიკული ფუნქციების შენარჩუნება. ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც პირის კრიტიკული შესაძლებლობები მკვეთრად დაქვეითებულია ან კრიტიკა არ არსებობს, შესაძლებელია ლაპარაკი მხოლოდ პირის შეურაცხადობაზე. იმ შემთხვევაში, თუ დადგინდა, რომ პირმა დანაშაული ჩაიდინა ფიზიოლოგიური აფექტის მდგომარეობაში ან დანაშაულის ჩადენის დროს კონსტატირებულ იქნა მძიმე თრობის მდგომარეობა, ექსპერტ-ფსიქიატრებს მართებთ სერიოზული დაფიქრება და მსჯელობა პირის შეზღუდული შერაცხადობის შესახებ. ნ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის ს/კ ინსტიტუტის 2000-2003 წწ. საექსპერტო პრაქტიკის შესწავლით: შეზღუდულ შერაცხადებად ცნობილ პირთა რაოდენობამ შეადგინა 75 პირი, აქედან 37 – ოლიგოფრენიის, 27 – ფსიქოპათიის, 5 – ეპილეფსიის, 4 – შიზოფრენიის (რემისიის მდგომარეობა), 4 – თავის ტვინის დაზიანებით გამოწვეული ფსიქიკური აშლილობებით, 1 – ქრონიკული ალკოჰოლიზმის დიაგნოზით. მათ შორის იყვნენ ისეთი პირები, რომელთაც ერთდროულად ჰქონდათ რამდენიმე ფსიქიკური ანომალია. მაგ., პიროვნული აშლილობა, გართულებული ქრონიკული ალკოჰოლიზმით; ორგანული პიროვნული აშლილობა, გართულებული ნარკომანიით, ფსიქოპათია, ალკოჰოლიზმი, თავის ტვინის დაზიანებით გამოწვეული ნარჩენი მოვლენები და ა.შ. ამ პირთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა უმრავლესობა მიმართულია ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ, აგრეთვე დიდია საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა რიცხვი, განსაკუთრებით ოლიგოფრენთა შორის. ხშირია საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა შემთხვევები, ნარკოტიკული დანაშაული. აგრეთვე გვხვდება დანაშაულთა ერთობლიობა განსაკუთრებით ფსიქოპატთა შორის. თუ აღნიშნულ მონაცემებს პროცენტებში გადავიყვანთ, შემდეგ სურათს მივიღებთ: პიროვნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული – 35%, საკუთრების წინააღმდეგ – 30%, საზოგადოებრივი უშიშროების წინააღმდეგ – 20%, ნარკოტიკული დანაშაული – 10%, სხვა დანაშაული – 5%. მათ შორის შეიძლება გამოვყოთ სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, მმართველობის წესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული და სხვ. ამჟამად საქართველოს კანონმდებლობა შეზღუდულად შერაცხადი პირებისთვის სასჯელთან ერთად სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების დანიშვნას არ ითვალისწინებს.

სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ფინაშე დასმული საკითხები

1. ფსიქიატრიული ექსპერტიზა

1.1. სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულის ან განსასჯელის მიმართ დანიშნული ექსპერტიზა:

1.1.1. არის თუ არა პირი დაავადებული ფსიქიკურად, დადებით შემთხვევაში კონკრეტულად რა დაავადებით;

1.1.2. იყო თუ არა პირი ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის დროს ფსიქიკურად დაავადებული და შეეძლო თუ არა გაეცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი ან მართლწინააღმდეგობა და ეხელმძღვანელა მისთვის;

1.1.3. შეეძლო თუ არა პირს ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის დროს სრულად გაეცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი ან მართლწინააღმდეგობა და ეხელმძღვანელა მისთვის;

1.1.4. თავისი ფსიქიკური მდგომარეობით შეუძლია თუ არა პირს ამჟამად ანგარიში გაუწიოს თავს და უხელმძღვანელოს მას;

1.1.5. შეუძლია თუ არა პირს თავისი ფსიქიკური მდგომარეობის გამო სწორი ჩვენების მიცემა და საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებებში მონაწილეობა;

1.1.6. არის თუ არა პირი ამჟამად დაავადებული იმგვარი ფსიქიკური დაავადებით, რაც ხელს უშლის სასჯელის მოხდას;

1.1.7. აქვს თუ არა პირს ფსიქიკური ნაკლი;

1.1.8. საჭიროებს თუ არა პირი არანებაყოფლობით სტაციონარულ ფსიქიატრიულ დახმარებას.

1.2. სისხლის სამართლის საქმეზე მოწმის/დაზარალებულის მიმართ დანიშნული ექსპერტიზა:

1.2.1. არის თუ არა პირი დაავადებული ფსიქიკურად, დადებით შემთხვევაში კონკრეტულად რა დაავადებით;

1.2.2. შეუძლია თუ არა პირს თავისი ფსიქიკური მდგომარეობით სწორად აღიქვას, დაიხსომოს და აღიდგინოს ფაქტები.

1.3. სამოქალაქო საქმეზე ქმედუნარიანობის საკითხის დასადგენად დანიშნული ექსპერტიზა:

1.3.1. არის თუ არა პირი დაავადებული ფსიქიკურად, დადებით შემთხვევაში კონკრეტულად რა დაავადებით;

1.3.2. თავისი ფსიქიკური მდგომარეობით შეუძლია თუ არა პირს შეიგნოს თავისი მოქმედების მნიშვნელობა და განაგოს იგი;

1.3.3. თავისი ფსიქიკური მდგომარეობით შეუძლია თუ არა პირს მონაწილეობა მიიღოს სასამართლო მოქმედებაში.

2. ფსიქოლოგიური ექსპერტიზა.

2.1. იმყოფებოდა თუ არა პირი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის დროს ფიზიოლოგიური აფექტის მდგომარეობაში;

2.2. როგორია პირის ფსიქოლოგიური თავისებურებანი.

ზოგადი მიმოხილვა

საავტომობილო ტრანსპორტი ყველა სხვა სახის ტრანსპორტთან შედარებით წარმოადგენს ყველაზე არაუსაფრთხო ტრანსპორტს ადამიანისათვის. ყველა მონაცემით საავტომობილო ტრანსპორტში დაშავებული და დაღუპული ადამიანების რაოდენობა ბევრად აჭარბებს სარკინიგზო, საავიაციო და საზღვაო ტრანსპორტში დაშავებულ და დაღუპულ ადამიანთა რიცხვს.

- *საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევები ხდება როგორც ტექნოლოგიური მიზეზებით, ასევე ადამიანური ფაქტორებიდან გამომდინარე.*
- *მსოფლიოს მასშტაბით საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების გამომწვევი მიზეზებისა და ფაქტორების აღმოჩენა წარმოადგენს ერთ-ერთ პრიორიტეტულ ამოცანას საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებაში.*

ავტოსაგზაო შემთხვევის გამომწვევი მიზეზებია:

- ***ქვეითად მოსიარულეების მხრიდან:***

- საავტომობილო გზის გადაკვეთა იქ, სადაც აკრძალულია;
- შუქნიშნის, მარეგულირებლის არდამორჩილება;
- საავტომობილო გზის გადაკვეთა იქ, სადაც არ არის ქვეითთა გადასასვლელი.

ავტოსაგზაო შემთხვევის გამომწვევი მიზეზები მძღოლების მხრიდან:

- *კონკრეტული საგზაო პირობების სიჩქარის შეუსაბამობა;*
- *გასწრებისა და სამოძრაო ზოლის შეცვლის წესების დარღვევა.*
- *ქვეითთა გადასასვლელებსა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებებზე მოძრაობის წესების დარღვევა;*
- *გავლის უპირატესობის დარღვევა;*
- *სარკინიგზო გადასასვლელებზე მოძრაობის წესების დარღვევა;*
- *ხალხის გადაყვანა.*

საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ადგილის დათვალიერება:

ავტოსაგზაო შემთხვევის ადგილი:

- ✓ ავტომაგისტრალისა და ქუჩის დასახელება;
- ✓ მერამდენე კილომეტრზე მოხდა ავტოსაგზაო შემთხვევა;
- ✓ სახლის ნომერი და მანძილი სახლის კუთხიდან ან სხვა უძრავი ობიექტიდან.

საავტომობილო გზის დახასიათება:



- ✓ გზის სიგანე, სამოძრაო ზოლების რაოდენობა;
- ✓ გზის საფარის მდგომარეობა და ტიპი;
- ✓ პროფილი (პირდაპირი გზა, მოსახვევი, აღმართი, დაღმართი);
- ✓ გზის საფარის დეფექტები;
- ✓ საგზაო ნიშნები და მაჩვენებლები.

ბუნებრივი პირობები:

- ✓ დღე, ღამე (ნათელი, ბნელი);
- ✓ წვიმიანი, თოვლიანი;
- ✓ ხილვადობა

განათების მდგომარეობა:

- ✓ გარე განათება

ავტომობილისა და დაზარალებულის დახასიათება

- ✓ მარკა, მოდელი, სანომრე ნიშანი, ავტომობილის ადგილმდებარეობა და მათი კოორდინატები;
- ✓ დაზარალებულების ადგილმდებარეობა და პოზა – კოორდინატები.



კვლები და სხვა მტკიცებულებები:

- მიწის ჩამონაყარის კოორდინატები;
- ლაქსაღებავების წვრილი ნაწილაკების ჩამონაყარის კოორდინატები;
- მაშუქი ფარებისა და სხვა დეტალების ჩამონაყარის კოორდინატები;
- სატრანსპორტო საშუალების მიერ გზის სავალ ნაწილზე დატოვებული კვლების დახასიათება (მოცურება, მოთრევა, მუხრუჭი), მათ შორის კვალის რა მონაკვეთია დატოვებული ასფალტზე, გვერდულზე და ასე შემდეგ;
- საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად ავტომობილის დაზიანებული დეტალებით გზის სავალ ნაწილზე დატოვებული კვლები (ამონაკაწრი, ამონატეხები).

კვლები და სხვა მტკიცებულებები:

- დაზარალებულის ფეხსაცმლის, ტანსაცმლისა და სისხლის კვლები, მათი ნივთების კოორდინატები;
- შაგზაო, სატრანსპორტო შემთხვევაში მონაწილე ავტომობილების საბოლოო განლაგების კოორდინატები;
- ავტომობილის დატვირთვა (მგზავრთა რაოდენობა და ტვირთის მოცულობა – წონა);
- გადაცემათა კოლოფის ბერკეტისა და მაშუქი ფარების ბერკეტის მდგომარეობა პოზიციების მიხედვით;
- ავტოსაგზაო შემთხვევის ადგილი, საგზაო და მეტეოროლოგიური პირობები, ხილვადობა მოძრაობის მიმართულების მიხედვით

ავტოტექნიკური ექსპერტიზა

- ავტოტექნიკური ექსპერტიზის წარმოების დროს ექსპერტი ვალდებულია გაეცნოს საქმის მასალებს, აუცილებლობის შემთხვევაში საჭიროა შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმითა და სქემის მიხედვით დადგენილ იქნეს შემთხვევის ადგილი,
- ამასთანავე, თუ სქემაზე დაფიქსირებულია დამუხრუჭების, მოცურების ან გათრევის კვლები, საჭიროა კვლების მიხედვით გამოანგარიშებულ იქნეს სატრანსპორტო საშუალებების სიჩქარე.

ავტოტექნიკური ექსპერტიზა

- ექსპერტიზის დასკვნის წარმოებისას ზოგიერთ შემთხვევაში საჭიროა შემთხვევის ადგილის დათვალიერება.

- აღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მექანიზმი, რომელიც საშუალებას იძლევა დადგინდეს, რომელი მძღოლის მოქმედებამ განაპირობა კონკრეტული ავტოსაგზაო შემთხვევა.

- ავტოტექნიკური ექსპერტიზის წარმოების დროს ხშირად განიხილება ქვეითად მოსიარულეზე ავტომობილის დაჯახება.
- ავტოტექნიკური ექსპერტიზის ჩატარების დროს ხშირად საჭირო ხდება ავტომობილის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა.
- ***კერძოდ:*** გამართულია თუ არა ავტომობილის საჭის მართვის მექანიზმი და სამუხრუჭე სისტემა, ვარგისიანობის შემოწმება, მაშუქი ფარებისა და მძღოლის დამხმარე ხელსაწყოების ვარგისიანობის განსაზღვრა.

ავტოტექნიკური ექსპერტიზა

- ავტომობილის ტექნიკური მდგომარეობა.
- ავტომობილზე ტექნიკური გაუმართაობის წარმოშობის მიზეზი.
- ავტომობილზე ჩატარებული სარემონტო სამუშაოების ხარისხი.

- მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში როგორ განვითარდა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მექანიზმი.
- მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში რას შეადგენს (-კმ/სთ) სიჩქარით მოძრავი ავტომობილის სრული გაჩერების მანძილი.
- მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, საფრთხის შექმნის მომენტისათვის, რა მანძილით იყო დაცილებული ავტომობილი შეჯახების ადგილიდან?

- მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში რა მანძილი გაიარა (ქვეითად მოსიარულემ, სატრანსპორტო საშუალებამ) და რა ტემპით, საფრთხის შექმნის მომენტიდან შეჯახების ადგილამდე.
- მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში რა დროა საჭირო (-კმ/სთ) სიჩქარით მოძრავი ავტომობილის სრული გაჩერებისათვის.
- მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში ტექნიკური თვალსაზრისით შეეძლო თუ არა მძღოლს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის თავიდან აცილება და დარღვეულია თუ არა მის მიერ საქართველოს კანონის „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ მოთხოვნები.

სატრანსპორტო ტრასოლოგიური ექსპერტიზა

- *ავტომობილზე არსებული დაზიანებები რითია გამოწვეული.*
- *რა კუთხით მოხდა ავტომობილების ურთიერთკონტაქტი.*
- *ავტომობილზე არსებული დაზიანებების დამზიანებელი ძალების მიმართულება*

ავტოსასაქონლო ექსპერტიზა

- ავტომობილის საბაზრო ღირებულება.
- ავტომობილის აღდგენითი რემონტის ღირებულება (მისი ტექნიკური მდგომარეობიდან, გამოშვების წლიდან, ცვეთის, კომპლექტაციისა და დამატებითი მოწყობილობების გათვალისწინებით).
- ავტომობილის სასაქონლო სახის კარგვის (პროცენტის) ღირებულება.
- ავტომობილის (წლიური ნარჩენი) ღირებულება, ექსპლუატაციის ხანგრძლივობის გათვალისწინებით.

- ავტომობილზე (ქარხანა-დამამზადებლის მიერ დაშვებული) დეფექტის ღირებულება.
- ავტომობილზე ექსპლუატაციის დროს მიღებული დეფექტების აღდგენითი რემონტის ღირებულება.
- ავტომობილის ნარჩენი ღირებულება მისი გარეგანი სახისა და ტექნიკური მდგომარეობიდან გამომდინარე.
- ავტომობილის სათადარიგო დეტალების საბაზრო ღირებულება.

გმადლობთ ყურადღებისთვის!

Thanks for attention!

2010 © National Forensics Bureau

ავტოსაგზაო შემთხვევათა ექსპერტიზა

/როსტომ ლაზარია/

1. ავტოსაგზაო შემთხვევის გამომწვევი მიზეზები;
2. მოძრაობის სიჩქარე, მანძილი, მხედველობის არეალი;
3. ავტოსაგზაო შემთხვევის ადგილის დათვალიერების და შემთხვევის ადგილის ნახაზის, სქემის შედგენის მნიშვნელობა და თავისებურებები.

საავტომობილო ტრანსპორტი ყველა სხვა სახის ტრანსპორტთან შედარებით ყველაზე არაუსაფრთხო ტრანსპორტ ადამიანისათვის. ყველა მონაცემებით საავტომობილო ტრანსპორტში დაშავებული და დაღუპული ადამიანების რაოდენობა ბევრად აჭარბებს სარკინიგზო, საავიაციო და საზღვაო ტრანსპორტში დაშავებულ და დაღუპულ ადამიანთა რიცხვს. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ტრანსპორტიდან საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევები წარმოადგენს ადამიანთა გარდაცვალების ძირითად მიზეზს. საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევები ხდება, როგორც ტექნოლოგიური მიზეზებით, ასევე ადამიანური ფაქტორებიდან გამომდინარე. მსოფლიოს მასშტაბით საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების გამომწვევი მიზეზებისა და ფაქტორების აღმოჩენა ერთერთ პრიორიტეტულ ამოცანას საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებაში.

ავტოსაგზაო შემთხვევის გამომწვევი მიზეზებია:

ქვეითად მოსიარულეების მხრიდან:

1. საავტომობილო გზის გადაკვეთა იქ, სადაც აკრძალულია;
2. შუქნიშნის, მარეგულირებლის არდამორჩილება;
3. საავტომობილო გზის გადაკვეთა იქ, სადაც არ არის ქვეითთა გადასასვლელი.

მძღოლების მხრიდან

1. კონკრეტული საგზაო პირობების სიჩქარის შეუსაბამობა;
2. გასწრებისა და სამოძრაო ზოლის შეცვლის წესების დარღვევა.
3. ქვეითთა გადასასვლელებ და საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებებზე მოძრაობის წესების დარღვევა;
4. გავლის უპირატესობის დარღვევა;
5. სარკინიგზო გადასასვლელებზე მოძრაობის წესების დარღვევა;
6. ხალხის გადაყვანა.

საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ადგილის დათვალიერება:

1. ავტოსაგზაო შემთხვევის ადგილი:

ავტომაგისტრალისა და ქუჩის დასახელება, მერამდენე კილომეტრზე მოხდა ავ-

ტოსაგზაო შემთხვევა, სახლის ნომერი და მანძილი სახლის კუთხიდან ან სხვა უძრავი ობიექტიდან.

2. საავტომობილო გზის დახასიათება:

გზის სიგანე, სამოძრაო ზოლების რაოდენობა, გზის საფარის მდგომარეობა და ტიპი, პროფილე (პირდაპირი გზა, მოსახვევი, აღმართი, დაღმართი), გზის საფარის დეფექტები, საგზაო ნიშნები და მაჩვენებლები.

3. ბუნებრივი პირობები:

დღე, ღამე, ნათელი, ბნელი. წვიმიანი, თოვლიანი, ხილვადობა, მოძრაობის მიმართულება მეტრებში;

4. განათების მდგომარეობა (გარე განათება);

5. მარკა, მოდელი, სანომრე ნიშანი, ავტომობილის ადგილმდებარეობა და მათი კოორდინატები;

6. დაზარალებულების ადგილმდებარეობა და პოზა – კოორდინატები.

კვლები და სხვა მტკიცებულებები:

1. მიწის ჩამონაყარის კოორდინატები;
2. ლაქ-საღებავების წვრილი ნაწილაკების ჩამონაყარის კოორდინატები;
3. მაშუქი ფარებისა და სხვა დეტალების ჩამონაყარის კოორდინატები;
4. სატრანსპორტო საშუალების მიერ გზის სავალ ნაწილზე დატოვებული კვლების დახასიათება (მოცურება, მოთრევა, მუხრუჭი), მათ შორის კვალის რა მონაკვეთია დატოვებული ასფალტზე, გვერდზე და ასე შემდეგ;
5. საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად ავტომობილის დამაზიანებელი დეტალებით გზის სავალ ნაწილზე დატოვებული კვლები (ამონაკაწრი, ამონატეხები);
6. დაზარალებულის ფეხსაცმლის, ტანსაცმლის და სისხლის კვლები, მათი ნივთების კოორდინატები;
7. საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევაში მონაწილე ავტომობილების საბოლოო განლაგების კოორდინატები;
8. ავტომობილის დატვირთვა (მგზავრთა რაოდენობა და ტვირთის მოცულობა – წონა);
9. გადაცემათა კოლოფის ბერკეტისა და მაშუქი ფარების ბერკეტის მდგომარეობა პოზიციების მიხედვით;
10. ავტოსაგზაო შემთხვევის ადგილი, საგზაო და მეტეოროლოგიური პირობები, ხილვადობა მოძრაობის მიმართულების მიხედვით.

ავტოტექნიკური ექსპერტიზა

/დავით გველესიანი/

ავტოტექნიკური ექსპერტიზის წარმოების დროს ექსპერტი ვალდებულია გაეცნოს საქმის მასალებს, აუცილებლობის შემთხვევაში საჭიროა შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმითა და სქემის მიხედვით დადგენილ იქნეს შემთხვევის ადგილი, ამასთანავე, თუ სქემაზე დაფიქსირებულია დამუხრუჭების, მოცურების ან გათრევის კვლები, საჭიროა კვლების მიხედვით გამოანგარიშებულ იქნეს სატრანსპორტო საშუალებების სიჩქარე. ექსპერტიზის დასკვნის წარმოებისას ზოგიერთ შემთხვევაში საჭირო არის შემთხვევის ადგილის დათვალიერება. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება საგზაო, სატრანსპორტო შემთხვევის მექანიზმი, რომელიც საშუალებას იძლევა დადგინდეს, რომელი მძღოლის მოქმედებამ განაპირობა კონკრეტული ავტოსაგზაო შემთხვევა. ავტტექნიკური ექსპერტიზის წარმოების დროს ხშირად განიხილება ქვეითად მოსიარულეზე ავტომობილის დაჯახება, რა დროსაც საჭირო არის ქვეითად მოსიარულის ტემპისა და განვლილი მანძილის მიხედვით ექსპერტმა დაადგინოს საფრთხის შექმნის მომენტში თუ რა მანძილით იქნებოდა ავტომობილი დაცილებული შეჯახების ადგილიდან და აღნიშნულ მანძილში შეეძლო თუ არა მძღოლს ავტომობილის გაჩერება და შესაბამისად შეჯახების თავიდან აცილება.

ავტოტექნიკური ექსპერტიზის ჩატარების დროს ხშირად საჭირო ხდება ავტომობილის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა. კერძოდ: გამართულია თუ არა ავტომობილის საჭის მართვის მექანიზმი და სამუხრუჭე სისტემა, საბურავების ვარგისიანობის შემოწმება, მაშუქი ფარებისა და მძღოლის დამხმარე ხელსაწყოების ვარგისიანობის განსაზღვრა.

ავტოტექნიკური ექსპერტიზა

1)ავტომობილის ტექნიკური მდგომარეობა.

2) ავტომობილზე ტექნიკური უწესივრობის წარმოშობის მიზეზი.

3) ავტომობილზე ჩატარებული სარემონტო სამუშაოების ხარისხი.

4) მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, როგორ განვითარდა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მექანიზმი.

5) მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, რა სიჩქარით მოძრაობდა ავტომობილი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის წინ, მის მიერ საბურავებით შემთხვევის ადგილზე დატოვებული სამუხრუჭე კვალის (კვლების) სიგრძის გათვალისწინებით.

6) მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში რას შეადგენს (?კმ/სთ) სიჩქარით მოძრავი ავტომობილის სრული გაჩერების მანძილი.

7) მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, საფრთხის შექმნის მომენტისათვის, რა მანძილით იყო დაცილებული ავტომობილი შეჯახების ადგილიდან?

8) მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, რა მანძილი გაიარა (ქვეითად მოსიარულემ, სატრანსპორტო საშუალებამ) და რა ტემპით, საფრთხის შექმნის მომენტიდან შეჯახების ადგილამდე.

9) მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, რა დროა საჭირო (?კმ/სთ) სიჩქარით მოძრავი ავტომობილის სრული გაჩერებისათვის.

10) მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, ტექნიკური თვალსაზრისით, შეეძლო თუ არა მძღოლს-საგზაო სატრანსპორტო შემთხვევის თავიდან აცილება და დარღვეულია თუ არა მის მიერ საქართველოს კანონის „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ მოთხოვნები.

სატრანსპორტო ტრასოლოგიური ექსპერტიზა

სატრანსპორტო ტრასოლოგიური ექსპერტიზის წარმოების დროს საჭიროა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევაში მონაწილე სატრანსპორტო საშუალებების ვიზუალური დათვალიერება და მათზე არსებული დაზიანებების შესწავლა, რაც საშუალებას გვაძლევს განისაზღვროს სატრანსპორტო საშუალებების გრძივ ღერძებს შორის არსებული შეჯახების კუთხე და დამაზიანებელი ძალების მიმართულებები. საჭიროების შემთხვევაში შეჯახების კუთხის განსაზღვრა მოითხოვს ავტომობილების ურთიერთშეთავსებას. ამასთანავე, საჭიროა გამოსაკვლევად წარმოდგენილი ავტომობილების დაზიანებული დეტალების გამოკვლევა და დაზიანებების დაფიქსირება, რათა დადგინდეს, რამ გამოიწვია აღნიშნული დეტალის დაზიანება, ხშირ შემთხვევაში, საჭიროა მათი ლაბოლატორიური გამოკვლევა გამადიდებელი შუშის ან მიკროსკოპის ქვეშ.

სატრანსპორტო ტრასოლოგიური ექსპერტიზის კითხვები

1) ავტომობილზე არსებული დაზიანებები რითია გამოწვეული.
2) რა კუთხით მოხდა ავტომობილების ურთიერთკონტაქტი.
3) ავტომობილზე არსებული დაზიანებების დამაზიანებელი ძალების მიმართულება.

ავტოსასაქონლო ექსპერტიზა

1) ავტომობილის საბაზრო ღირებულება.
2) ავტომობილის აღდგენითი რემონტის ღირებულება (ტექნიკური მდგომარეობიდან, გამოშვების წლიდან, ცვეთის, კომპლექტაციისა და დამატებითი მოწყობილობების).
3) ავტომობილის სასაქონლო სახის კარგვის (პროცენტის) ღირებულება.
4) ავტომობილის (წლიური ნარჩენი) ღირებულება, ექსპლუატაციის ხანგრძლივობის გათვალისწინებით.
5) ავტომობილზე (ქარხანა-დამამზადებლის მიერ დაშვებული) დეფექტის ღირებულება.
6) ავტომობილზე ექსპლუტაციის დროს მიღებული დეფექტების აღდგენითი რემონტის ღირებულება.
7) ავტომობილის ნარჩენი ღირებულება მისი გარეგანი სახისა და ტექნიკური მდგომარეობიდან გამომდინარე.
8) ავტომობილის სათადარიგო დეტალების საბაზრო ღირებულება.

დანაშაულის ადგილის საკონტროლო ჩამონათვალი: ბინის გატეხვა/ქურდობა

დანაშაულის ადგილის გამოძიების ზოგადი წესები

1. თქვენ მხოლოდ ერთხელ გეძლევათ დანაშაულის ადგილის დამუშავების შესაძლებლობა, პირველივე ჯერზე სწორად ჩაატარეთ ეს სამუშაო;
2. ყველაფერი კანონირად გააკეთეთ; თუ არ ხართ დარწმუნებული, როგორ შეუდგეთ საქმეს, მიიღეთ კონსულტაცია პროკურორისაგან;
3. არ იჩქაროთ, დაიცავით საყოველთაოდ მიღებული პროცედურები და წესები;
4. ნუ გაახმაურებთ დანაშაულის ადგილსა და დამნაშავის მოქმედების მეთოდთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან ინფორმაციას;
5. ყველაფერი ისეთ მდგომარეობაში დააფიქსირეთ, როგორც აღმოჩენისას იყო, ნუ შეეცდებით, შეცდომით ან უყურადღებობით გადაადგილებული ნივთმტკიცების ადგილის შეცვლას.
6. დანაშაულის ადგილზე შესული ნებისმიერი ადამინის სახელი და გვარი ფიქსირდება შესვლის/გასვლის ჟურნალში;
7. გამოიყენეთ გამოცდილი შტატი; დანაშაულის ადგილი არ არის „სასწავლო“ გამოცდილების მიღების ადგილი;
8. თანამშრომლობა და ინფორმაციის გაცვლა წარმატებული გამოძიების საწინდარია;
9. დანაშაულის ადგილზე წარმოებული გამოძიების მიზანია მოვლენების „სიმართლის“ დადგენა, და არა პიროვნების სამართალში მიცემა.
10. პერიოდულად მოაწყვეთ შესვენებები გამომძიებელთან მოთათბირების, მიღწეული პროგრესის შეფასების ან ახალი მოსაზრებების შემუშავების მიზნით იმის თაობაზე, თუ რა ნივთმტკიცება შეიძლება არსებობდეს და არ იყოს აღმოჩენილი.

რეაგირება და ადგილზე მისვლა

- ☐ აღნიშნეთ შემოსული სატელეფონო ზარისა და ადგილზე მისვლის რიცხვი/დრო.
- ☐ აღნიშნეთ პირები/მანქანები, რომლებიც დანაშაულის ადგილს ტოვებენ.
- ☐ სიფრთხილით მიუახლოვდით დანაშაულის ადგილს; მუდამ გახსოვდეთ ოფიცერთა უსაფრთხოება და ნივთმტკიცებების დაცვა.
- ☐ გაანეიტრალეთ მუქარა და უვნებელყავით სამართალდამრღვევი(ები).
- ☐ უზრუნველყავით დანაშაულის ადგილის დაცულობა.
- ☐ დანაშაულის ადგილას გააკონტროლეთ თითოეული პიროვნება.
- ☐ არ მისცეთ იქ მყოფ პიროვნებებს ნივთმტკიცებების შეცვლის, განადგურების ან დამალვის საშუალება.
- ☐ დაადგინეთ დანაშაულის ადგილას მყოფი ყველა ადამიანის ვინაობა: ეჭვმიტანილის(ების), მსხვერპლის, მოწმის(ების), ოფიცრის(ების).
- ☐ ეჭვმიტანილს(ებს) და მოწმეს(ებს) ცალ-ცალკე ადგილი მიუჩინეთ და თვალყური ადევნეთ მათ.

- ☐ არ დაუშვათ არარსებითი და არაუფლებამოსილი პერსონალი.
- ☐ უზრუნველყავით საჭირო სამედიცინო დახმარება საჭიროების შემთხვევაში.
- ☐ მიიყვანეთ სამედიცინო პერსონალი მსხვერპლთან (ებთან).
- ☐ მიუთითეთ სამედიცინო პერსონალს პოტენციურ ნივთმტკიცებაზე.
- ☐ დარწმუნდით, რომ სამედიცინო პერსონალი არ გაანადგურებს ან გაიტანს ნივთმტკიცებას, თუ ეს სიცოცხლის გადარჩენისთვის არ არის აუცილებელი.
- ☐ დარწმუნდით, რომ სამედიცინო პერსონალმა შეინახა ყველა სახის ტანსაცმელი და მასზე/მასში არსებული ნივთმტკიცება.
- ☐ თუ მსხვერპლი გადაადგილებულია დანაშაულის ადგილიდან, მიუჩინეთ ოფიცერი მსხვერპლს დაცვის ჯაჭვის უწყვეტობის უზრუნველყოფის მიზნით.
- ☐ დოკუმენტურად დააფიქსირეთ სამედიცინო პერსონალის სახელი და გვარი.
- ☐ აღნიშნეთ ყველა ნივთმტკიცებულება, რომელიც გადაადგილდა ან დაზიანდა სამედიცინო პერსონალის მიერ სიცოცხლის გადარჩენის დროს.
- ☐ ჩაატარეთ დანაშაულის ადგილის პირველადი დათვალიერება.
- ☐ აღნიშნეთ განათების პირობები.
- ☐ აღნიშნეთ ამინდი.
- ☐ აღნიშნეთ გარემო ტემპერატურა.
- ☐ აღნიშნეთ ზოგადად გარემო; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ იმ საგნებს, რომლებიც უჩვეულად მოგეჩვენათ.
- ☐ გაესაუბრეთ მოწმეებსა და ეჭვმიტანილებს.
- ☐ გააკეთეთ შემთხვევის დროს ყველა აღებული ნივთის აღწერა, შემდეგის ჩათვლით:
  - ნივთების ბრენდების სახელები, წარმოება, ფერი და მოდელი;
  - ნივთის(ების) სერიული ნომრები – (თუ შესაძლებელია);
  - განსაკუთრებული ნიშნები, ნაფხაჭნები ან რაიმე სხვა დამახასიათებელი ნიშნები, რომლებიც ამ ნივთს გახდის იდენტური ნივთისგან განსხვავებულს;
  - ნივთის(ების) შეფასებითი ღირებულება;
- ☐ შეამოწმეთ ქურდობის/ბინის გატეხვის შემთხვევის გარშემო ტერიტორია, იმისათვის, რომ დარწმუნდეთ, ეჭვმიტანილმა(ებმა) ნივთი(ები) ადგილზევე არ დამალა, მომავალში მობრუნებისა და მათი წაღების მიზნით.

დანაშაულის ადგილის შეფასება

- ☐ დაადგინეთ დანაშაულის ადგილის პერიმეტრი.
- ☐ სად ჰქონდა დანაშაულს ადგილი? (ფულადი პირადი/სექსუალური შემთხვევის წინააღმდეგ)
- ☐ შესვლის/გასვლის პოტენციური ადგილი.
- ☐ დამაჯერებელი ნივთმტკიცებულების დადგენა.
- ☐ ეჭვმიტანილის/მსხვერპლის გადაადგილების ადგილები.
- ☐ მოაწყვეთ ფიზიკური ბარიერი დანაშაულის ადგილზე შესვლის/გასვლის შეზღუდვის მიზნით.

- ☐ ჩაიწერეთ ყველა პიროვნების ვინაობა, რომელიც შედის/გამოდის დანაშაულის ადგილიდან (პოლიცია, სამედიცინო პერსონალი, იურიდიული პირები და ა.შ.).
- ☐ გააკონტროლეთ დანაშაულის ადგილზე ყველანაირი მოძრაობა შინაური ცხოველებისა და K-9 გუნდის ჩათვლით.
- ☐ დაიცავით/შეინახეთ ნივთმტკიცებულება, რომელიც შეიძლება დაიკარგოს ან საფრთხის ქვეშ იმყოფებოდეს.
- ☐ მსხვერპლის/ეჭვმიტანილის გადაადგილების შემთხვევაში ჩაიწერეთ მათი თავდაპირველი ადგილმდებარეობა.
- ☐ ნივთმტკიცებების შეგროვებისას გაითვალისწინეთ იურიდიული ასპექტები.

საქმის ვითარების მოკლე მიმოხილვა დანაშაულის ადგილის სპეციალისტისა და გამომძიებლებისთვის

- ☐ მოკლე მიმოხილვა ჩაუტარეთ გამომძიებლებსა და დანაშაულის ადგილის პერსონალს რეაგირების, ადგილზე მისვლისა და ნივთმტკიცების გადაადგილება/შენახვის შესახებ.
- ☐ მოკლე მიმოხილვა ჩაუტარეთ გამომძიებლებს და დანაშაულის ადგილის პერსონალს მსხვერპლის, თვითმხილველის(ების) ან ეჭვმიტანილის(ების) ჩვენებების შესახებ.
- ☐ დოკუმენტურად დააფიქსირეთ ქმედებები და დაკვირვების შედეგები.
- ☐ დაასრულეთ თხრობითი ანგარიში, რომელიც შეიცავს დანაშაულის ადგილზე მომხდარ ქმედებებს, რაც მოიცავს:
  - დანაშაულის ადგილზე მიახლოებასა და მის კონტროლს;
  - დანაშაულის ადგილზე მისვლისას იქ არსებულ მდგომარეობას;
  - დანაშაულის ადგილის ძირითად მონახაზს;
  - მსხვერპლის, თვითმხილველისა(ების) ან ეჭვმიტანილის(ების) ჩვენებებს;
  - ნივთმტკიცებების გადაადგილებას ან პოტენციურ დაბინძურებას.
- ☐ გამომძიებლების/დანაშაულის ადგილის პერსონალის მოსვლამდე დაცული ნებისმიერი ნივთმტკიცების დაცვის უწყვეტი ჯაჭვი.
- ☐ აკონტროლეთ დანაშაულის ადგილი და არ დატოვოთ ტერიტორია, ვიდრე არ დაგითხოვენ.

ნივთმტკიცებულებათა ტიპები, რომლებიც უნდა გაითვალისწინოთ მკვლელობის/ სიკვდილის ადგილას.

- ☐ დანაშაულის ადგილზე შესვლის/გასვლის ადგილი.
- ☐ ინსტრუმენტების კვალის ნიშნები.
- ☐ ფეხის ნაკვალევი, საბურავის კვალი.
- ☐ სიგარეტის ნამწვავები.
- ☐ ნიადაგის/მცენარეთა ნარჩენები.
- ☐ თითის ანაბეჭდები.
- ☐ თმა, ბოჭკოები.

- ☐ კანის ნიმუშები (განსაკუთრებით მსხვერპლის/ეჭვმიტანილის ფრჩხილის ქვეშ).
- ☐ სისხლი, ადამიანის ბიოლოგიური სითხეები.
- ☐ სისხლის კვალი.
- ☐ შუშა (ნატეხი ან ნაწილაკი შემოსვლის შედეგად).
- ☐ მსხვერპლის/ეჭვმიტანილის ტანსაცმელი.
- ☐ იარაღთან დაკავშირებული ნივთმტკიცებულება (ბალისტიკა, ტყვიის ფრაგმენტები, იარაღის ბუდეები, ტყვია, ბასრი იარაღით მიყენებული ჭრილობები, ბლაგვი ძალისმიერი დაზიანებები და სხვა.
- ☐ იარაღიდან ან საგნიდან გადასული საღებავი.
- ☐ შემთხვევის ადგილიდან ან ახლო ადგილებიდან ვიდეომეთვალყურეობის ფირი.
- ☐ მსხვერპლის/ეჭვმიტანილის ჭრილობები.
- ☐ თუ სერიული სამართალდამრღვევია, დანაშაულებრივი ხელწერის დამადასტურებელი ნივთმტკიცება.

დანაშაულის ადგილის შეფასება (გამომძიებლები და დანაშაულის ადგილის პერსონალი)

- ☐ მიიღეთ მოკლე ინფორმაცია შეგროვებული ნივთმტკიცების, დაკვირვების მონაცემების და ქმედებების შესახებ იმ პირთაგან, ვინც პირველებმა მოახდინეს რეაგირება.
- ☐ შეაფასეთ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი (სისხლით გადაცემული პათოგენი ან სხვა გარემოებრივი საფრთხე).
- ☐ შეაფასეთ იურიდიული საკითხები, რომლებიც ეხება შესვლას, ნივთმტკიცებათა შეგროვებას და ა.შ.
- ☐ შექმენით შესვლა-გასვლის ხაზი მთელი პერსონალისთვის.
- ☐ შეაფასეთ დანაშაულის ადგილი და არსებული საზღვრები, რათა განსაზღვროთ, საჭიროა თუ არა პერიმეტრის გაფართოება ან შემცირება.
- ☐ განსაზღვრეთ დანაშაულის ადგილზე მცირე გამოსაკვლევი ტერიტორიების რაოდენობა და მიანიჭეთ პრიორიტეტი თითოეული მათგანის დამუშავებას.
- ☐ შექმენით დავალებების გაცემისა და კონტროლის უსაფრთხო ზონა პერიმეტრის შიგნით, კონსულტაციებისა და აღჭურვილობის განლაგების მიზნით.
- ☐ დაადგინეთ და პრიორიტეტიზაცია გაუკეთეთ მყიფე და მტვრევადი ნივთმტკიცებულების დოკუმენტირებას, შენახვასა და შეგროვებას.
- ☐ დაამყარეთ და მუდმივად იყოს კავშირი გამომძიებლებსა და დანაშაულის სცენის პერსონალს შორის, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ დასამუშავებელია დანაშაულის რამდენიმე ადგილი.
- ☐ შექმენით დაცული ზონა ნივთმტკიცებულების დროებითი შენახვისთვის, ნივთმტკიცებულების დაცვის უწყვეტი ჯაჭვის წესების შესაბამისად.
- ☐ განსაზღვრეთ, არის თუ არა საჭირო დამატებითი პერსონალის აუცილებლობა და მოითხოვეთ რესურსები და სპეციალიზებული პერსონალი/აღჭურვილობა საჭიროების მიხედვით.
    - სპეციალიზებულ აღჭურვილობაში/პერსონალში შეიძლება შედიოდეს:

1. გადასატანი განათება სიბნელის პირობებში დანაშაულის სცენის დასამუშავებლად.
2. 1:1 მაკროლინზა, საგნებზე ნიშნების გადასაღებად და ა.შ.
3. ინსტრუმენტის კვალის ტვიფრის ასაღები მასალები.
4. სისხლის ნიმუშის ანალიტიკოსი.

- ☐ გაანაწილეთ კვალიფიციური პერსონალი სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ჯგუფებში დავალებებით.
- ☐ ფოტომასალა.
- ☐ დანაშაულის ადგილის ვიდეო.
- ☐ მონახაზი.
- ☐ დოკუმენტალურად გაფორმება.
- ☐ ნივთმტკიცებულების დამუშავება და გამჟღავნება (ლატენტური ანაბეჭდები, ცვალებადი განათება).
- ☐ ნივთმტკიცებულების შეგროვება (დაცვის უწყვეტი ჯაჭვის შენარჩუნების ჩათვლით).
- ☐ სურათი გადაუღეთ ინსტრუმენტების კვალს და შექმენით ყველა ინსტრუმენტის კვალის ტვიფრი.
- ☐ დარწმუნდით დანაშაულის ადგილის ხელუხლებლობაში და მინიმუმამდე დაიყვანეთ დაბინძურების რისკი.
- ☐ ისარგებლეთ შესვლა/გასვლის ხაზებით.
- ☐ მოწევა, ჭამა ან დალევა დანაშაულის ადგილზე, ან მის გარშემო დაცულ ტერიტორიაზე აკრძალულია.
- ☐ განსაზღვრეთ უსაფრთხო ტერიტორიები ნაგვის შესაგროვებლად.
- ☐ გამოიყენეთ პერსონალური დამცავი აღჭურვილობა (ხელთათმანი, თმის ბადე, დანაშაულის სცენისთვის განკუთვნილი სამოსი, სპეციალური ფეხსაცმელი).
- ☐ გამოიყენეთ ერთჯერადი გამოყენების ხელსაწყოები ბიოლოგიური ნიმუშების შესაგროვებლად.
- ☐ დარწმუნდით, რომ დანაშაულის ადგილას მიმდინარეობს გამოკითხვები დამატებითი თვითმხილველის(ების) ან ნივთმტკიცების აღმოჩენის მიზნით.

დანაშაულის ადგილის საწყისი ჩხრეკა და დოკუმენტირება

- ☐ გააკეთეთ წინასწარი შემოვლა და აწარმოეთ დანაშაულის ადგილის ჩხრეკა ნივთმტკიცებებისა და აღმოჩენისა და მუშაობის გეგმის ჩამოყალიბების მიზნით.
- ☐ პრიორიტეტიზაცია გაუკეთეთ ნივთმტკიცებულებათა დოკუმენტირებასა და შეგროვებას.
- ☐ ფოტო გადაუღეთ დანაშაულის ადგილს.
- ☐ აწარმოეთ ყოველი სურათის ფოტოჟურნალი.
- ☐ ყველაფერს ორ-ორი სურათი გადაუღეთ, ერთი გაზომვით, მეორე გაზომვის გარეშე.
- ☐ გრძელი ხედვის (რომელიც გვაჩვენებს მთლიან დანაშაულის ადგილს – ოთხივე მხარეს).

- ☐ საშუალო ხედვის (რომელიც გვანახებს დანაშაულის ადგილის თითოეულ ნაწილს).
- ☐ მოკლე ხედვის (რომელიც გვანახებს მსხვერპლს დანაშაულის ადგილთან და ნივთმტკიცებულებებთან მიმართებაში).
- ☐ მაკრო (რომელიც გვაჩვენებს ნივთმტკიცებებს ბოჭკოს/კვალის სახით, სერიულ ნომრებს და ა.შ.).
- ☐ ცვალებადი განათებით მიღებული გამოსახულებები (აჩვენებს გამომჟღავნებულ ნივთმტკიცებებს ცვალებადი განათების გამოყენებით).
- ☐ გადაიღეთ სურათები მსხვერპლის/გვამის ჩვენებით და მის გარეშე.
- ☐ საჭიროების შემთხვევაში გადაიღეთ დამატებითი სურათები: აეროფოტოები, მსხვერპლის(ების) პერსპექტივიდან, თვითმხილველის(ების) პერსპექტივიდან და ა.შ.
- ☐ დანაშაულის ადგილის ვიდეო (თხრობითი ნაწილის გარეშე), რომელზეც აღბეჭდილია ყველაფერი ზემოთ ხსენებული.
- ☐ დანაშაულის ადგილის მონახაზი.
- ☐ დარწმუნდით, რომ საქმის ნომერი, რიცხვი, დრო, ავტორი და ჩრდილოეთი მითითებულია ყველა მონახაზზე.
- ☐ ჩაინიშნეთ ნივთმტკიცებულების თითოეული ნაწილი და დაუკავშირეთ დანაშაულის ადგილის დოკუმენტაციას.
- ☐ დაიტანეთ ნივთმტკიცებულება მონახაზზე, ვიდრე მოხდება მათი გადაადგილება.
- ☐ დაიტანეთ ავეჯი ან ოთახში მყოფი ნებისმიერი სხვა ობიექტი.
- ☐ გაუკეთეთ ტრიანგულაცია ნივთმტკიცებების ადგილმდებარეობებს დანაშაულის ადგილზე.
- ☐ დანაშაულის ადგილის გაზომვა და დოკუმენტირება.
- ☐ ინსტრუმენტის კვალის ტვიფრები, მოგვიანებითი განხილვის შთაბეჭდილებები.

ნივთმტკიცებების მოგროვება, შენახვა, ინვენტარიზაცია, შეფუთვა, ტრანსპორტირება და წარდგენა:

- ☐ სანამ მოხდება ნივთმტკიცებების გადაადგილება, ჩაიწერეთ, შეინახეთ/შეაგროვეთ კვალის მაჩვენებელი ყველანაირი ნივთმტკიცება (თმის ღერები, ბოჭკოები, სისხლი, ბიოლოგიური სითხეები).
- ☐ დოკუმენტალურად დააფიქსირეთ ნივთმტკიცებების შეგროვება მისი ადგილმდებარეობის, დროს/რიცხვის, მისი აღწერილობისა და ნივთმტკიცების შემგროვებელი პირის ვინაობის მითითებით.
- ☐ შეაგროვეთ და შეფუთეთ ნივთმტკიცება მიღებული ზოგადი სტანდარტების მიხედვით, რომლებიც ეხება ამა თუ იმ მოპოვებულ ნივთმტკიცებას.
- ☐ შეაგროვეთ, დოკუმენტალურად დააფიქსირეთ და შეფუთეთ ნივთმტკიცებები ცალ-ცალკე.
- ☐ შექმენით დაცვის უწყვეტი ჯაჭვი.
- ☐ უზრუნველყავით ნივთმტკიცებების უსაფრთხოება.

- ☐ აიღეთ სტანდარტული/მიმართული ნიმუშები დანაშაულის ადგილიდან.
- ☐ აიღეთ გამოსარიცხი ნიმუშები (თითის ანაბეჭდები, ფეხსაცმლით დატოვებული კვალი და ა.შ.).
- ☐ სასწრაფოდ უზრუნველყავით ელექტრონულად დაფიქსირებული ნივთმტკიცებების დაცულობა ნივთმტკიცებების მიღებულ ზოგად სტანდარტებთან შესაბამისობაში.
- ☐ შეფუთეთ ნივთმტკიცებები, რათა თავიდან აირიდოთ მათი დაბინძურება ან ჯვარედინი დაბინძურება.
- ☐ დოკუმენტალურად დააფიქსირეთ იარაღის/ცეცხლსასროლი იარაღის მდგომარეობა, სანამ მას უსაფრთხო მდგომარეობაში მოიყვანთ შესანახად.
- ☐ თუ რევოლვერია, აღნიშნეთ, თუ როგორ იყო ცილინდრში განთავსებული გამოუყენებელი/ნახმარი ტყვიები.
- ☐ თუ ავტომატია, მოხსენით მჭიდი და შეამოწმეთ ტყვიების ნომერი/ტიპი და ნახეთ, – თუ არის ტყვია სავაზნე კოლოფში.
- ☐ გახსოვდეთ, მჭიდსა და ლულაზე შეიძლება იყოს დარჩენილი ნივთმტკიცებები, როგორიცაა სისხლი/კვალი/თითის ანაბეჭდები.
- ☐ მოერიდეთ ნივთმტკიცებათა გადაჭარბებულ ხელის მოკიდებას მისი შეგროვების შემდეგ.
- ☐ მოათავსეთ ნივთმტკიცება კონტეინერებში ისე, რომ შეამციროთ მისი განადგურების ან დაკარგვის შანსი.
- ☐ ნივთმტკიცებულებათა ტრანსპორტირებისა და ჩაბარებისას დარწმუნდით, რომ უზრუნველყოფილია დაცვის უწყვეტი ჯაჭვი.

ეჭვმიტანილების დამუშავება

- ☐ გადაუღეთ ეჭვმიტანილს(ებს) ფოტო;
- ☐ ფოტო გადაუღეთ ნებისმიერ დაზიანებებს ან მათ არარსებობას.
- ☐ გადაუღეთ ფოტო ტანსაცმელს და ზოგად გარეგნობას.
- ☐ გადაუღეთ ფოტო ხელს (ყველა მხარეს).
- ☐ გადაუღეთ ფოტო სვირინგებს ან ნაიარევს .
- ☐ შეამოწმეთ ტანსაცმელი ბოჭკოების, კვალის ან სისხლის ნიმუშების ნივთმტკიცებულებებზე (გამოიყენეთ ცვალებადი განათება მუქ ან წითელ ტანსაცმელზე, შეამოწმეთ შარვლის ტოტის ბოლოები და პერანგის სახელოები სისხლის კვალის არსებობაზე).
- ☐ შეამოწმეთ ფეხსაცმელი ბოჭკოს, კვალის ან სისხლის ნიმუშების ნივთმტკიცებულებებზე (ფეხსაცმლის ძირი, კანტი, ქუსლი და ზონრები).
- ☐ აიღეთ, დოკუმენტალურად დააფიქსირეთ და შეინახეთ ტანსაცმელი როგორც ნივთმტკიცება, შესაბამისი კანონის მიხედვით.
- ☐ აიღეთ სისხლის, ბიოლოგიური სითხის, ტანის თმის და თითის ანაბეჭდების ნიმუშები შესაბამისი კანონის მიხედვით.

დაამუშავეთ მსხვერპლი(ები)

- ☐ გადაუღეთ მსხვერპლს(ებს) ფოტო;
- ☐ ფოტო გადაუღეთ ნებისმიერ დაზიანებებს ან მათ არარსებობას.
- ☐ გადაუღეთ ფოტო ტანსაცმელს და ზოგად გარეგნობას.
- ☐ გადაუღეთ ფოტო ხელს (ყველა მხარეს).
- ☐ გადაუღეთ ფოტო სვირინგებსა და ნაიარევებს.
- ☐ გადაუღეთ გვამს სურათი ცვალებადი განათებისას იმისათვის, რომ გამოაშკარავდეს წარსულში მიღებული ჭრილობები ან უხილავი დაზიანების ნიმუში.
- ☐ შეამოწმეთ ტანსაცმელი ნივთმტკიცებულებებზე, როგორიც არის ბოჭკოს, კვალის ან სისხლის ნიმუშები (გამოიყენეთ ცვალებადი განათება მუქ ან წითელ ტანსაცმელზე, შეამოწმეთ შარვლის ტოტის ბოლოები და პერანგის სახელოები სისხლის კვალის არსებობაზე).
- ☐ შეამოწმეთ ფეხსაცმელი ბოჭკოს, კვალის ან სისხლის ნიმუშების ნივთმტკიცებულებებზე (ფეხსაცმლის ძირი, კანტი, ქუსლი და ზონრები).
- ☐ აიღეთ, დოკუმენტით დაადასტურეთ და შეინახეთ ტანსაცმელი როგორც ნივთმტკიცება, შესაბამისი კანონის მიხედვით.
- ☐ აიღეთ სისხლის, ბიოლოგიური სითხის, ტანის თმისა და თითის ანაბეჭდების ნიმუშები შესაბამისი კანონის მიხედვით.
- ☐ დაესწარით გაკვეთას და შეაგროვეთ ნივთმტკიცებები არსებული პოლიტიკისა და ზოგადად, აღიარებული პრაქტიკის შესაბამისად.

მოკლე ანგარიში დანაშაულის ადგილის თაობაზე

- ☐ ჩართეთ გამომძიებლები, დანაშაულის ადგილის პერსონალი და ნივთმტკიცებულებათა შემგროვებელი პერსონალი დანაშაულის ადგილის შესახებ გაკეთებულ მოკლე ანგარიშში.
- ☐ დაადგინეთ თუ რა ნივთმტკიცებები არის შეგროვებული.
- ☐ განიხილეთ წინასწარი ფაქტები.
- ☐ განიხილეთ დანაშაულის ადგილის დამატებითი ჩხრეკის ან ნივთმტკიცებულებათა აღდგენის საჭიროება.
- ☐ განიხილეთ აღდგენილ ნივთმტკიცებულებათა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზაზე შემოწმება და ჩასატარებელი შემოწმების თანმიმდევრობა.
- ☐ დააყენეთ ტესტის ჩატარების მოთხოვნა და განსაზღვრეთ ნებისმიერი სხვა მოქმედება დანაშაულის ადგილის დასასრულებლად.
- ☐ ვიზუალურად გადახედეთ დანაშაულის ადგილს რომ დარწმუნდით, ყველა ნივთმტკიცებულება შეგროვებულია და აღრიცხული.
- ☐ დარწმუნდით, რომ აღჭურვილობა და მასალა, რომელიც დანაშაულის ადგილის ჯგუფის მიერ იყო გამოყენებული, მოშორებულია.
- ☐ დატოვეთ დანაშაულის ადგილი დეპარტამენტის პოლიტიკასთან და კანონთან შესაბამისად.

დოკუმენტაცია ფაილისთვის

- ☐ ოფიცრის ანგარიში, რომელმაც მოახდინა თავდაპირველი რეაგირება.
- ☐ სამედიცინო პერსონალის ანგარიში, რომლებმაც პირველებმა მოახდინეს რეაგირება.
- ☐ შესვლის/გასვლის ჟურნალი.
- ☐ ფოტოჟურნალი.
- ☐ ფოტოები/ვიდეო.
- ☐ დანაშაულის ადგილის მონახაზი/დიაგრამები.
- ☐ ნივთმტკიცებულების შეგროვების საბუთები.
- ☐ დაცვის უწყვეტი ჯაჭვის აღმწერი დოკუმენტაცია.
- ☐ სხვა სპეციალისტთა დოკუმენტაცია/ანგარიშები.
- ☐ თანხმობის ფორმის/ჩხრეკის ორდერის და ა.შ. ჩანაწერი .
  - ☐ გააკეთეთ შემთხვევის დროს ყველა აღებული ნივთის აღწერა, შემდეგის ჩათვლით:
  - ნივთების ბრენდების სახელები, წარმოება, ფერი და მოდელი.
  - ნივთის(ების) სერიული ნომრები – (თუ შესაძლებელია).
  - განსაკუთრებული ნიშნები, ნაფხაჭნები ან რაიმე სხვა დამახასიათებელი ნიშნები, რომლებიც ამ ნივთს გახდის იდენტური ნივთისგან განსხვავებულს.
  - ნივთის(ების) შეფასებითი ღირებულება.

დანაშაულის გამოძიების საკონტროლო ჩამონათვალი: მკვლელობის გამოძიება

დანაშაულის ადგილის გამოძიების ზოგადი წესები

1. თქვენ მხოლოდ ერთხელ გეძლევათ დანაშაულის ადგილის დამუშავების შესაძლებლობა, პირველივე ჯერზე სწორად ჩაატარეთ ეს სამუშაო;
2. ყველაფერი კანონირად გააკეთეთ; თუ არ ხართ დარწმუნებული, როგორ შეუდგეთ საქმეს, მიიღეთ კონსულტაცია პროკურორისაგან;
3. არ იჩქაროთ, დაიცავით საყოველთაოდ მიღებული პროცედურები და წესები;
4. ნუ გაახმაურებთ დანაშაულის ადგილსა და დამნაშავის მოქმედების მეთოდთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან ინფორმაციას;
5. ყველაფერი ისეთ მდგომარეობაში დააფიქსირეთ, როგორც აღმოჩენისას იყო, ნუ შეეცდებით, შეცდომით ან უყურადღებობით გადაადგილებული ნივთმტკიცების ადგილის შეცვლას.
6. დანაშაულის ადგილზე შესული ნებისმიერი ადამიანის სახელი და გვარი ფიქსირდება შესვლის/გასვლის ჟურნალში;
7. გამოიყენეთ გამოცდილი შტატი; დანაშაულის ადგილი არ არის „სასწავლო“ გამოცდილების მიღების ადგილი;

8. თანამშრომლობა და ინფორმაციის გაცვლა წარმატებული გამოძიების საწინდარია;
9. დანაშაულის ადგილზე წარმოეული გამოძიების მიზანია მოვლენების „სიმართლის“ დადგენა, და არა პიროვნების სამართალში მიცემა.
10. პერიოდულად მოაწყვეთ შესვენებები გამომძიებელთან მოთათბირების, მიღწეული პროგრესის შეფასების ან ახალი მოსაზრებების შემუშავების მიზნით იმის თაობაზე, თუ რა ნივთმტკიცება შეიძლება არსებობდეს და არ იყოს აღმოჩენილი.

რეაგირება და ადგილზე მისვლა

- ☐ აღნიშნეთ შემოსული სატელეფონო ზარისა და ადგილზე მისვლის რიცხვი/დრო.
- ☐ აღნიშნეთ პირები/მანქანები, რომლებიც დანაშაულის ადგილს ტოვებენ.
- ☐ სიფრთხილით მიუახლოვდით დანაშაულის ადგილს; მუდამ გახსოვდეთ ოფიცერთა უსაფრთხოება და ნივთმტკიცებების დაცვა.
- ☐ გაანეიტრალეთ მუქარა და უვნებელყავით სამართალდამრღვევი(ები).
- ☐ უზრუნველყავით დანაშაულის ადგილის დაცულობა;
  - ა) დანაშაულის ადგილას გააკონტროლეთ თითოეული პიროვნება;
  - ბ) არ მისცეთ იქ მყოფ პიროვნებებს ნივთმტკიცებების შეცვლის, განადგურების ან დამალვის საშუალება;
  - გ) დაადგინეთ დანაშაულის ადგილას მყოფი ყველა ადამიანის ვინაობა: ეჭვმიტანილის(ების), მსხვერპლის, მოწმის(ების), ოფიცრის(ების);
  - დ) ეჭვმიტანილს(ებს) და მოწმეს(ებს) ცალ-ცალკე ადგილი მიუჩინეთ და თვალყური ადევნეთ მათ;
  - ე) არ დაუშვათ არარსებითი და არაუფლებამოსილი პერსონალი.
- ☐ უზრუნველყავით საჭირო სამედიცინო დახმარება საჭიროების შემთხვევაში.
  - ა) მიიყვანეთ სამედიცინო პერსონალი მსხვერპლთან (ებთან).
  - ბ) მიუთითეთ სამედიცინო პერსონალს პოტენციურ ნივთმტკიცებაზე.
  - გ) დარწმუნდით, რომ სამედიცინო პერსონალი არ გაანადგურებს ან გაიტანს ნივთმტკიცებას, თუ ეს სიცოცხლის გადარჩენისთვის არ არის აუცილებელი.
  - დ) დარწმუნდით, რომ სამედიცინო პერსონალმა შეინახა ყველა სახის ტანსაცმელი და მასზე/მასში არსებული ნივთმტკიცება.
  - ე) თუ მსხვერპლი გადაადგილებულია დანაშაულის ადგილიდან, მიუჩინეთ ოფიცერი მსხვერპლს დაცვის ჯაჭვის უწყვეტობის უზრუნველყოფის მიზნით.
  - ვ) დოკუმენტურად დააფიქსირეთ სამედიცინო პერსონალის სახელი და გვარი.
  - ზ) აღნიშნეთ ყველა ნივთმტკიცებულება, რომელიც გადაადგილდა ან დაზიანდა სამედიცინო პერსონალის მიერ სიცოცხლის გადარჩენის დროს.
- ☐ ჩაატარეთ დანაშაულის ადგილის პირველადი დათვალიერება;
  - ა) აღნიშნეთ განათების პირობები.
  - ბ) აღნიშნეთ ამინდი.
  - გ) აღნიშნეთ გარემო ტემპერატურა.

დ) აღნიშნეთ ზოგადად გარემო; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ იმ საგნებს, რომლებიც უჩვეულად მოგეჩვენათ.

☐ გაესაუბრეთ მოწმეებსა და ეჭვმიტანილებს

დანაშაულის ადგილის შეფასება

☐ დაადგინეთ დანაშაულის ადგილის პერიმეტრი:
ა) სად ჰქონდა დანაშაულს ადგილი?
ბ) შესვლის/გასვლის პოტენციური ადგილი;
გ) დამაჯერებელი ნივთმტკიცებულების დადგენა;
დ) ეჭვმიტანილის/მსხვერპლის გადაადგილების ადგილები;

☐ მოაწყვეთ ფიზიკური ბარიერი დანაშაულის ადგილზე შესვლის/გასვლის შეზღუდვის მიზნით;

☐ ჩაიწერეთ ყველა პიროვნების ვინაობა, რომელიც შედის/გამოდის დანაშაულის ადგილიდან (პოლიცია, სამედიცინო პერსონალი, იურიდიული პირები და ა.შ.);

☐ გააკონტროლეთ დანაშაულის ადგილზე ყველანაირი მოძრაობა შინაური ცხოველებისა და K-9 გუნდის ჩათვლით.

☐ დაიცავით/შეინახეთ ნივთმტკიცებულება, რომელიც შეიძლება დაიკარგოს ან საფრთხის ქვეშ იმყოფებოდეს;

☐ მსხვერპლის/ეჭვმიტანილის გადაადგილების შემთხვევაში ჩაიწერეთ მათი თავდაპირველი ადგილმდებარეობა;

☐ ნივთმტკიცებების შეგროვებისას გაითვალისწინეთ იურიდიული ასპექტები.

საქმის ვითარების მოკლე მიმოხილვა დანაშაულის ადგილის სპეციალისტისა და გამომძიებლებისთვის

☐ მოკლე მიმოხილვა ჩაუტარეთ გამომძიებლებსა და დანაშაულის ადგილის პერსონალს რეაგირების, ადგილზე მისვლისა და ნივთმტკიცების გადაადგილება/შენახვის შესახებ.

☐ მოკლე მიმოხილვა ჩაუტარეთ გამომძიებლებს და დანაშაულის ადგილის პერსონალს მსხვერპლის, თვითმხილველის(ების) ან ეჭვმიტანილის(ების) ჩვენებების შესახებ.

☐ დოკუმენტურად დააფიქსირეთ ქმედებები და დაკვირვების შედეგები.

☐ დაასრულეთ თხრობითი ანგარიში, რომელიც შეიცავს დანაშაულის ადგილზე მომხდარ ქმედებებს, რაც მოიცავს:
ა) დანაშაულის ადგილზე მიახლოებას და მისი კონტროლს;
ბ) დანაშაულის ადგილზე მისვლისას იქ არსებულ მდგომარეობას;
გ) დანაშაულის ადგილის ძირითად მონახაზს;
დ) მსხვერპლის, თვითმხილველისა(ების) ან ეჭვმიტანილის(ების) ჩვენებებს;
ე) ნივთმტკიცებების გადაადგილებას ან პოტენციურ დაბინძურებას;

☐ გამომძიებლების/დანაშაულის ადგილის პერსონალის მოსვლამდე დაცული ნებისმიერი ნივთმტკიცების დაცვის უწყვეტი ჯაჭვი.

- ☐ აკონტროლეთ დანაშაულის ადგილი და არ დატოვოთ ტერიტორია, ვიდრე არ დაგითხოვენ.

ნივთმტკიცებულებათა ტიპები, რომლებიც უნდა გაითვალისწინოთ მკვლელობის/ სიკვდილის ადგილას.

- ☐ დანაშაულის ადგილზე შესვლის/გასვლის ადგილი.
- ☐ ინსტრუმენტების კვალის ნიშნები.
- ☐ ფეხის ნაკვალევი, საბურავის კვალი.
- ☐ სიგარეტის ნამწვავები.
- ☐ ნიადაგის/მცენარეთა ნარჩენები.
- ☐ თითის ანაბეჭდები.
- ☐ თმა, ბოჭკოები.
- ☐ კანის ნიმუშები (განსაკუთრებით მსხვერპლის/ეჭვმიტანილის ფრჩხილის ქვეშ).
- ☐ სისხლი, ადამიანის ბიოლოგიური სითხეები.
- ☐ სისხლის კვალი.
- ☐ მსხვერპლის/ეჭვმიტანილის ტანსაცმელი.
- ☐ იარაღთან დაკავშირებული ნივთმტკიცებულება (ბალისტიკა, ტყვიის ფრაგმენტები, იარაღის ბუდეები, ტყვია, ბასრი იარაღით მიყენებული ჭრილობები, ბლაგვი ძალისმიერი დაზიანებები და სხვა.
- ☐ ტყვიის ტრაექტორიის დამდგენი ნივთმტკიცება.
- ☐ მსხვერპლის/ეჭვმიტანილის ჭრილობები.
- ☐ თუ სერიული სამართალდამრღვევია, ან დანაშაულებრივი ხელწერის დამადასტურებელი ნივთმტკიცება.

დანაშაულის ადგილის შეფასება (გამომძიებლები და დანაშაულის ადგილის პერსონალი)

- ☐ მიიღეთ მოკლე ინფორმაცია შეგროვებული ნივთმტკიცების, დაკვირვების მონაცემების და ქმედებების შესახებ იმ პირთაგან, ვინც პირველებმა მოახდინეს რეაგირება.
- ☐ შეაფასეთ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი (სისხლით გადაცემული პათოგენი ან სხვა გარემოებრივი საფრთხე).
- ☐ შეაფასეთ იურიდიული საკითხები, რომლებიც ეხება შესვლას, ნივთმტკიცებათა შეგროვებას და ა.შ.
- ☐ შექმენით შესვლა-გასვლის ხაზი მთელი პერსონალისთვის .
- ☐ შეაფასეთ დანაშაულის ადგილი და არსებული საზღვრები, რათა განსაზღვროთ, საჭიროა თუ არა პერიმეტრის გაფართოება ან შემცირება.
- ☐ განსაზღვრეთ დანაშაულის ადგილზე მცირე გამოსაკვლევი ტერიტორიების რაოდენობა და მიანიჭეთ პრიორიტეტი თითოეული მათგანის დამუშავებას.
- ☐ შექმენით დავალებების გაცემისა და კონტროლის უსაფრთხო ზონა პერიმეტრის შიგნით, კონსულტაციებისა და აღჭურვილობის განლაგების მიზნით.

- ☐ დაადგინეთ და პრიორიტეტიზაცია გაუკეთეთ მყიფე და მტვრევადი ნივთმტკიცებულების დოკუმენტირებას, შენახვასა და შეგროვებას.
- ☐ დაამყარეთ და მუდმივად იყოს კავშირი გამომძიებლებსა და დანაშაულის სცენის პერსონალს შორის, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ დასამუშავებელია დანაშაულის რამდენიმე ადგილი.
- ☐ შექმენით დაცული ზონა ნივთმტკიცებულების დროებითი შენახვისთვის, ნივთმტკიცებულებისა და დაცვის უწყვეტი ჯაჭვის წესების შესაბამისად.
- ☐ განსაზღვრეთ, არის თუ არა საჭირო დამატებითი პერსონალის აუცილებლობა და მოითხოვეთ რესურსები და სპეციალიზებული პერსონალი/აღჭურვილობა საჭიროების მიხედვით.

სპეციალიზებულ აღჭურვილობაში/პერსონალში შეიძლება შედიოდეს:

- ☐ გადასატანი განათება სიბნელის პირობებში დანაშაულის სცენის დასამუშავებლად.
- ☐ გვამის მაძიებელი ან მაშველი მყვინთავები.
- ☐ გვამის მაძიებელი ძაღლები.
- ☐ სისხლის ნიმუშის ანალიტიკოსი.
- ☐ სასამართლო ანთროპოლოგი.
- ☐ სასამართლო არქეოლოგი.
- ☐ სასამართლო ენტომოლოგი.

გაანაწილეთ კვალიფიციური პერსონალი სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ჯგუფებში დავალებებით.

- ☐ ფოტომასალა.
- ☐ დანაშაულის ადგილის ვიდეოგადაღება.
- ☐ მონახაზი.
- ☐ დოკუმენტალურად გაფორმება.
- ☐ ნივთმტკიცებულების დამუშავება და გამჟავნება (ლატენტური ანაბეჭდები, ცვალებადი განათება).
- ☐ ნივთმტკიცებულების შეგროვება (დაცვის უწყვეტი ჯაჭვის შენარჩუნების ჩათვლით).

დარწმუნდით დანაშაულის ადგილის ხელუხლებლობაში და მინიმუმამდე დაიყვანეთ დაბინძურების რისკი;

- ☐ ისარგებლეთ შესვლა/გასვლის ხაზებით.
- ☐ მოწევა, ჭამა ან დალევა დანაშაულის ადგილზე ან მის გარშემო დაცულ ტერიტორიაზე აკრძალულია.
- ☐ განსაზღვრეთ უსაფრთხო ტერიტორიები ნაგვის შესაგროვებლად.
- ☐ გამოიყენეთ პერსონალური დამცავი აღჭურვილობა (ხელთათმანი, თმის ბადე, დანაშაულის სცენისთვის განკუთვნილი სამოსი, სპეციალური ფეხსაცმელი).

- ☐ გამოიყენეთ ერთჯერადი გამოყენების ხელსაწყოები ბიოლოგიური ნიმუშების შესაგროვებლად.
- ☐ დარწმუნდით, რომ დანაშაულის ადგილას მიმდინარეობს გამოკითხვები დამატებითი თვითმხილველის(ების) ან ნივთმტკიცების აღმოჩენის მიზნით.

დანაშაულის ადგილის საწყისი ჩხრეკა და დოკუმენტირება

- ☐ გააკეთეთ წინასწარი შემოვლა და აწარმოეთ დანაშაულის ადგილის ჩხრეკა ნივთმტკიცებების აღმოჩენისა და მუშაობის გეგმის ჩამოყალიბების მიზნით.
- ☐ პრიორიტეტიზაცია გაუკეთეთ ნივთმტკიცებულებათა დოკუმენტირებასა და შეგროვებას.
- ☐ ფოტო გადაუღეთ დანაშაულის ადგილს.
- ☐ აწარმოეთ ყოველი სურათის ფოტოჟურნალი.
- ☐ ყველაფერს ორ-ორი სურათი გადაუღეთ, ერთი გაზომვით, მეორე გაზომვის გარეშე.
- ☐ გრძელი ხედვის (რომელიც გვაჩვენებს მთლიან დანაშაულის ადგილს – ოთხივე მხარეს).
- ☐ საშუალო ხედვის (რომელიც გვანახებს დანაშაულის ადგილის თითოეულ ნაწილს).
- ☐ მოკლე ხედვის (რომელიც გვანახებს მხვერპლს დანაშაულის ადგილთან და ნივთმტკიცებულებებთან მიმართებაში).
- ☐ მაკრო (რომელიც გვაჩვენებს ნივთმტკიცებებს ბოჭკოს/კვალის სახით, სერიულ ნომრებს და ა.შ.).
- ☐ ცვალებადი განათებით მიღებული გამოსახულებები (აჩვენებს გამომჟღავნებულ ნივთმტკიცებებს ცვალებადი განათების გამოყენებით).
- ☐ გადაიღეთ სურათები მსხვერპლის/გვამის ჩვენებით და მის გარეშე.
- ☐ საჭიროების შემთხვევაში გადაიღეთ დამატებითი სურათები: აეროფოტოები, მსხვერპლის(ების) პერსპექტივიდან, თვითმხილველის(ების) პერსპექტივიდან და ა.შ.
- ☐ დანაშაულის ადგილის ვიდეო (თხრობითი ნაწილის გარეშე), რომელზეც აღბეჭდილია ყველაფერი ზემოთ ხსენებული.
- ☐ დანაშაულის ადგილის მონახაზი;
- ☐ დარწმუნდით, რომ საქმის ნომერი, რიცხვი, დრო, ავტორი და ჩრდილოეთი მითითებულია ყველა მონახაზზე.
- ☐ ჩაინიშნეთ ნივთმტკიცებულების თითოეული ნაწილი და დაუკავშირეთ დანაშაულის ადგილის დოკუმენტაციას.
- ☐ დაიტანეთ ნივთმტკიცებულება მონახაზზე, ვიდრე მოხდება მათი გადაადგილება.
- ☐ დაიტანეთ ავეჯი ან ოთახში არსებული ნებისმიერი სხვა ობიექტი.
- ☐ გაუკეთეთ ტრიანგულაცია ნივთმტკიცებების ადგილმდებარეობას დანაშაულის ადგილზე.
- ☐ დანაშაულის ადგილის გაზომვა და დოკუმენტირება.

ნივთმტკიცებების მოგროვება, შენახვა, ინვენტარიზაცია, შეფუთვა, ტრანსპორტირება და წარდგენა

- ☐ სანამ მოხდება გვამების გადაადგილება, ჩაიწერეთ შეინახეთ/შეაგროვეთ კვალის მაჩვენებელი ყველანაირი ნივთმტკიცება (თმის ღერები, ბოჭკოები, სისხლი, ბიოლოგიური სითხეები).
- ☐ დოკუმენტალურად დააფიქსირეთ ნივთმტკიცებების შეგროვება მისი ადგილმდებარეობის, დროს/რიცხვის, მისი აღწერილობისა და ნივთმტკიცების შემგროვებელი პირის ვინაობის მითითებით.
- ☐ შეაგროვეთ და შეფუთეთ ნივთმტკიცება მიღებული ზოგადი სტანდარტების მიხედვით, რომლებიც ეხება ამა თუ იმ მოპოვებულ ნივთმტკიცებას.
- ☐ შეაგროვეთ, დოკუმენტალურად დააფიქსირეთ და შეფუთეთ ნივთმტკიცებები ცალ-ცალკე.
- ☐ შექმენით დაცვის უწყვეტი ჯაჭვი.
- ☐ უზრუნველყავით ნივთმტკიცებების უსაფრთხოება.
- ☐ აიღეთ სტანდარტული/მიმართული ნიმუშები დანაშაულის ადგილიდან.
- ☐ აიღეთ გამოსარიცხი ნიმუშები (თითის ანაბეჭდები, ფეხსაცმლით დატოვებული კვალი და ა.შ.).
- ☐ სასწრაფოდ უზრუნველყავით ელექტრონულად დაფიქსირებული ნივთმტკიცებების დაცულობა ნივთმტკიცებების მიღებულ ზოგად სტანდარტებთან შესაბამისობაში.
- ☐ შეფუთეთ ნივთმტკიცებები, რათა თავიდან აირიდოთ მათი დაბინძურება ან ჯვარედინი დაბინძურება.
- ☐ დოკუმენტალურად დააფიქსირეთ იარაღის/ცეცხლსასროლი იარაღის მდგომარეობა, სანამ მას უსაფრთხო მდგომარეობაში მოიყვანთ შესანახად.
  - ა) თუ რევოლვერია, აღნიშნეთ, თუ როგორ იყო ცილინდრში განთავსებული გამოუყენებელი/ნახმარი ტყვიები.
  - ბ) თუ ავტომატია, მოხსენით მჭიდი და შეამოწმეთ ტყვიების ნომერი/ტიპი და ნახეთ, – თუ არის ტყვია სავაზნე კოლოფში.
  - გ) გახსოვდეთ, მჭიდსა და ლულაზე შეიძლება იყოს დარჩენილი ნივთმტკიცებები, როგორიცაა სისხლი/კვალი/თითის ანაბეჭდები.
- ☐ მოერიდეთ ნივთმტკიცებათა გადაჭარბებულ ხელის მოკიდებას მისი შეგროვების შემდეგ.
- ☐ მოათავსეთ ნივთმტკიცება კონტეინერებში ისე, რომ შეამციროთ მისი განადგურების ან დაკარგვის შანსები.
- ☐ ნივთმტკიცებულებათა ტრანსპორტირებისა და ჩაბარებისას დარწმუნდით, რომ უზრუნველყოფილია დაცვის უწყვეტი ჯაჭვი.

ეჭვმიტანილების დამუშავება

- ☐ გადაუღეთ ეჭვმიტანილს(ებს) ფოტო;
- ☐ ფოტო გადაუღეთ ნებისმიერ დაზიანებებს ან მათ არარსებობას.
- ☐ გადაუღეთ ფოტო ტანსაცმელს და ზოგად გარეგნობას.

- ☐ გადაუღეთ ფოტო ხელს (ყველა მხარეს).
- ☐ გადაუღეთ ფოტო სვირინგებს ან ნაიარევს.
- ☐ შეამოწმეთ ტანსაცმელი ბოჭკოების, კვალის ან სისხლის ნიმუშების ნივთმტკიცებულებებზე (გამოიყენეთ ცვალებადი განათება მუქ ან წითელ ტანსაცმელზე, შეამოწმეთ შარვლის ტოტის ბოლოები და პერანგის სახელოები სისხლის კველის არსებობაზე).
- ☐ შეამოწმეთ ფეხსაცმელი ბოჭკოს, კვალის ან სისხლის ნიმუშების ნივთმტკიცებულებებზე (ფეხსაცმლის ძირი, კანტი, ქუსლი და ზონრები).
- ☐ აიღეთ, დოკუმენტალურად დააფიქსირეთ და შეინახეთ ტანსაცმელი როგორც ნივთმტკიცება, შესაბამისი კანონის მიხედვით.
- ☐ აიღეთ სისხლის, ბიოლოგიური სითხის, ტანის თმისა და თითის ანაბეჭდების ნიმუშები შესაბამისი კანონის მიხედვით.

დაამუშავეთ მსხვერპლი(ები)

- ☐ გადაუღეთ მსხვერპლს(ებს) ფოტო;
- ☐ ფოტო გადაუღეთ ნებისმიერ დაზიანებებს ან მათ არარსებობას.
- ☐ გადაუღეთ ფოტო ტანსაცმელს და ზოგად გარეგნობას.
- ☐ გადაუღეთ ფოტო ხელს (ყველა მხარეს).
- ☐ გადაუღეთ ფოტო სვირინგებსა და ნაიარევებს.
- ☐ გადაუღეთ გვამს სურათი ცვალებადი განათებისას იმისათვის, რომ გამოაშკარავდეს წარსულში მიღებული ჭრილობები ან უხილავი დაზიანების ნიმუში.
- ☐ შეამოწმეთ ტანსაცმელი ნივთმტკიცებულებებზე, როგორიც არის ბოჭკოს, კვალის ან სისხლის ნიმუშები (გამოიყენეთ ცვალებადი განათება მუქ ან წითელ ტანსაცმელზე, შეამოწმეთ შარვლის ტოტის ბოლოები და პერანგის სახელოები სისხლის კვალის არსებობაზე).
- ☐ შეამოწმეთ ფეხსაცმელი ბოჭკოს, კვალის ან სისხლის ნიმუშების ნივთმტკიცებულებებზე (ფეხსაცმლის ძირი, კანტი, ქუსლი და ზონრები).
- ☐ აიღეთ, დოკუმენტით დაადასტურეთ და შეინახეთ ტანსაცმელი როგორც ნივთმტკიცება, შესაბამისი კანონის მიხედვით.
- ☐ აიღეთ სისხლის, ბიოლოგიური სითხის, ტანის თმის და თითის ანაბეჭდების ნიმუშები შესაბამისი კანონის მიხედვით.
- ☐ დაესწარით გაკვეთას და შეაგროვეთ ნივთმტკიცებები არსებული პოლიტიკისა და ზოგადად აღიარებული პრაქტიკის შესაბამისად.

მოკლე ანგარიში დანაშაულის ადგილის თაობაზე

- ☐ ჩართეთ გამომძიებლები, დანაშაულის ადგილის პერსონალი და ნივთმტკიცებულებათა შემგროვებელი პერსონალი დანაშაულის ადგილის შესახებ გაკეთებულ მოკლე ანგარიშში.
- ☐ დაადგინეთ, თუ რა ნივთმტკიცებებია შეგროვებული.
- ☐ განიხილეთ წინასწარი ფაქტები.
- ☐ განიხილეთ დანაშაულის ადგილის დამატებითი ჩხრეკის ან ნივთმტკიცებულე-

ბათა აღდგენის საჭიროება.

- ☐ განიხილეთ აღდგენილ ნივთმტკიცებულებათა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზაზე შემოწმება და ჩასატარებელი შემოწმების თანმიმდევრობა.
- ☐ დააყენეთ ტესტის ჩატარების მოთხოვნა და განსაზღვრეთ ნებისმიერი სხვა მოქმედება დანაშაულის ადგილის დასასრულებლად.
- ☐ ვიზუალურად გადახედეთ დანაშაულის ადგილს, რომ დარწმუნდით, ყველა ნივთნმტკიცებულება შეგროვებულია და აღრიცხული.
- ☐ დარწმუნდით, რომ აღჭურვილობა და მასალა, რომელიც დანაშაულის ადგილის ჯგუფის მიერ იყო გამოყენებული, მოშორებულია.
- ☐ დატოვეთ დანაშაულის ადგილი დეპარტამენტის პოლიტიკასა და კანონთან შესაბამისად.

დოკუმენტაცია ფაილისთვის

- ☐ ოფიცრის ანგარიში, რომელმაც მოახდინა თავდაპირველი რეაგირება.
- ☐ სამედიცინო პერსონალის ანგარიში, რომელმაც პირველებმა მოახდინა რეაგირება.
- ☐ შესვლის/გასვლის ჟურნალი.
- ☐ ფოტოჟურნალი.
- ☐ ფოტოები/ვიდეო.
- ☐ დანაშაულის ადგილის მონახაზი/დიაგრამები.
- ☐ ნივთმტკიცებულების შეგროვების საბუთები.
- ☐ დაცვის უწყვეტი ჯაჭვის აღმწერი დოკუმენტაცია.
- ☐ სხვა სპეციალისტთა დოკუმენტაცია/ანგარიშები.
- ☐ თანხმობის ოფიციალურად დაფიქსირების ფორმები/ჩხრეკის ორდერები/სხვ.

მხედველობაში მისაღები სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის რესურსები

- ☐ თითის ანაბეჭდები.
- ☐ დნმ.
- ☐ სისხლის შხეფები.
- ☐ ბიოლოგიური.
- ☐ ტოქსიკოლოგია (ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის ტესტების ჩათვლით).
- ☐ სისხლის სეროლოგია (ანომალიების ჩათვლით).
- ☐ ცვალებადი განათების წყარო.
- ☐ ფოტოგრაფია ცვალებადი განათებით.
- ☐ გვამის მაძებარა ძაღლები.
- ☐ ბალისტიკა.
- ☐ ბალისტიკური გზა/ტრაექტორია.
- ☐ სასამართლო მხატვრები.
- ☐ სასამართლო ოდონტოლოგია.
- ☐ სასამართლო ანთროპოლოგია.
- ☐ სასამართლო ენტომოლოგია.

- ☐ დანაშაულის სცენის რეკონსტრუქცია.
- ☐ სასამართლო ფსიქოლოგიური ექსპერტიზა.

გამოძიება

- ☐ ორგანიზება გაუკეთეთ გამოძიებას.
  ა) მიეცით ინდივიდუალურ ოფიცრებს/დეტექტივებს კონკრეტული დავალებები.
  ბ) ზედამხედველობა გაუწიეთ მიცემული დავალებების შესრულებას.
  გ) მიიღეთ, ჩაიწერეთ და დაახარისხეთ გამომძიებლებისგან მიღებული ინფორმაცია (ინდექსაცია გაუკეთეთ).

საქმის ჟურნალი ან საქმის ფაილი

- ☐ შექმენით საქმის ჟურნალი ან ფაილი, რომ შიგ შეიტანოთ შემდეგი:
- ☐ სარჩევი.
- ☐ საწყისი ანგარიშები.
- ☐ დამატებითი ანგარიშები.
- ☐ ნივთმტკიცების კონტროლის ფურცელი (ასლები).
- ☐ ნივთმტკიცების ანგარიშები.
- ☐ სამედიცინო ანგარიშები.
- ☐ თვითმხილველთა ჩვენებები.
- ☐ მიცვალებულთა/მსხვერპლის ბიოგრაფიული მონაცემები:
  ა) ნათესავები.
  ბ) მეგობრები.
  გ) სამსახური.
  დ) კრიმინალური დოსიე.
  ე) ცნობილი დაჯგუფებები (ბანდები, ორგანიზებული დანაშაული).
  ვ) ფინანსური მდგომარეობა.
  ზ) რომანტიკული ურთიერთობა.
  თ) ნარკოტიკულ ნივთიერებათა მოხმარება.
  ი) სხვა ქცევები, რაც საფრთხეში ჩააგდებდა მსხვერპლის სიცოცხლეს.
- ☐ ბრალდებულის ბიოგრაფიული მონაცემები (იგივე, რაც მაღლა).
- ☐ ფოტოასლები.
- ☐ ყველა სხვა ანგარიში და ინფორმაცია.
- ☐ სხვა გამომძიებლებისთვის მიცემული საქმის ჟურნალის ასლები.
- ☐ ბრალმდებელი.

მოტივი

- ☐ სექსი.
- ☐ ფული.
- ☐ შურისძიება.

- ☐ ქურდობა.
- ☐ ფსიქიკური აშლილობა.
- ☐ უცნობია.

შეადგინეთ დროის გრაფიკი დანაშაულთან დაკავშირებული ყველა პირისათვის (მსხვერპლის ჩათვლით)

- ☐ უკანასკნელად ცოცხლად ნახვის დრო.
- ☐ უკანასკნლად ნახვის დრო (ბრალდებული და თვითმხილველები).
- ☐ ვისთან ერთად ნახეს?
- ☐ სად?
- ☐ რას აკეთებდა?
- ☐ ემოციური მდგომარეობა?
- ☐ ფიზიკური მდგომარეობა?

ეჭვმიტანილის(ების) ჩვენებები

- ☐ განაცალკევეთ ეჭვმიტანილები და დაჰკითხეთ ცალ-ცალკე.
- ☐ განუმარტეთ მათ უფლებები.
- ☐ ბრალდებული ხელს აწერს ან სიტყვიერად ადასტურებს, რომ მან იცის თავისი უფლებები.
- ☐ ჩაიწერეთ ჩვენება ვიდეო ან აუდიოკასეტაზე, თუ ეს შესაძლებელია და კანონიერი.
- ☐ დაუსვით შეკითხვები, რომლის პასუხები საქმის ვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებს შეეხება.
- ☐ დაუსვით ღია შეკითხვები, რომლებზეც პასუხად „კი“ ან „არა“ ვერ გაიცემა.
- ☐ განსაზღვრეთ ბრალდებულის ქმედებები/საქმიანობები მკვლელობამდე და მის შემდეგ.
- ☐ ყურადღება მიაქციეთ ბრალდებულის უჩვეულო ქცევებს, მგზავრობებს, გამოუცხადებლობებს და ა.შ.
- ☐ წერილობით დააფიქსირეთ მოწოდებული ცრუ ინფორმაცია ინტერვიუს ჩატარებისას.
- ☐ მოუსმინეთ ნაწილობრივ აღიარებებს.
- ☐ ნუ გამოიტანთ ნაჩქარევ დასკვნებს, გადაწყვეტილებების მიღებისას და ინტერვიუების ჩატარებისას, თქვენთვის მთავარი ამოსავალი წერტილი ნივთმტკიცებები უნდა იყოს.

სხვების ჩვენებები

- ☐ განაცალკევეთ მოწმეები და ცალ-ცალკე დაჰკითხეთ ისინი.
- ☐ ჩაიწერეთ ჩვენება ვიდეო ან აუდიო კასეტაზე, თუ ეს შესაძლებელია და კანონიერი.
- ☐ დაუსვით შეკითხვები, რომლის პასუხები საქმის ვითარესთან დაკავშირებულ

საკითხებს. შეეხება.

- ☐ დაუსვით ღია შეკითხვები, რომლებზეც პასუხად "კი" ან "არა" ვერ გაიცემა.
- ☐ განსაზღვრეთ პირის ქმედებები/საქმიანობები მკვლელობამდე და მის შემდეგ.
- ☐ ყურადღება მიაქციეთ პირის უჩვეულო ქცევებს, მგზავრობებს, გამოუცხადებლობებს და ა.შ.
- ☐ წერილობით დააფიქსირეთ მოწოდებული ცრუ ინფორმაცია ინტერვიუს ჩატარებისას.
- ☐ ნუ გამოიტანთ ნაჩქარევ დასკვნებს, გადაწყვეტილებების მიღებისას და ინტერვიუების ჩატარებისას, თქვენთვის მთავარი ამოსავალი წერტილი ნივთმტკიცებები უნდა იყოს.
- ☐ ნუ გაუმჟღავნებთ მნიშვნელოვან ინფორმაციას მოწმეებს, რათა ეს ინფორმაცია არ მივიდეს ეჭვმიტანილამდე.

ნუ გაავრცელებთ ზედმეტ ინფორმაციას საქმის შესახებ

- ☐ იზრუნეთ საქმის ფაილის უსაფრთხოებაზე.
- ☐ ყოველთვის შემოინახეთ რაიმე ინფორმაცია, რომლის შესახებ მხოლოდ ეჭვმიტანილმა და დეტექტივმა იციან, რათა შეძლოთ აღიარების ოფიციალურად დადასტურება.
- ☐ მზად იყავით ცრუ აღიარებებისთვის.
- ☐ მზად იყავით ნაწილობრივი აღიარებებისთვის/ჩვენებებისთვის.

შემთხვევის ადგილის საკონტროლო სია: სექსუალური ძალადობის გამოძიება

1. შემთხვევის ადგილის გამოძიების ზოგადი წესები:
2. თქვენ მხოლოდ ერთხელ გეძლევათ საშუალება შემთხვევის ადგილის გამოკვლევის, ამიტომ პასუხისმგებლობით მოეკიდეთ ამ საკითხს;
3. იმოქმედეთ კანონის ფარგლებში, თუ არ იცით როგორ უნდა მოიქცეთ, მაშინ რჩევა ჰკითხეთ პროკურორს;
4. მიჰყევით დროს და დაემორჩილეთ ზოგადად მიღებულ წესებსა და პროცედურებს;
5. არ გაამჟღავნოთ კრიტიკული ინფორმაცია შემთხვევის ადგილის ან დამნაშავის მოქმედების მეთოდის თაობაზე;
6. ყველაფერი ისე ჩაწერეთ, როგორც ეს აღმოჩენილი იყო, არ შეეცადოთ მტკიცებულების გადაადგილებას, რომელიც შეცდომით ან გაუაზრებლად იყო გადაადგილებული.
7. ყველა იმ პირის სახელი, რომელიც შემთხვევის ადგილას იქნება, უნდა იყოს დარეგისტრირებული;
8. გამოიყენეთ გამოცდილი ხალხი; შემთხვევის ადგილი არ არის „სასწავლო ლაბორატორია";

9. წარმატებული გამოძიების საწინდარი არის თანამშრომლობა და კომუნიკაცია;
10. შემთხვევის ადგილის დათვალიერების მიზანი არის მოვლენების „სიმართლის“ დადგენა და არა პიროვნების სისხლისსამართლებრივი დევნა;
11. პერიოდულად შეისვენეთ ხოლმე გამომძიებელთან საუბრის მიზნით, შეაფასეთ პროგრესი ან შეიმუშავეთ ახალი იდეები იმის თაობაზე, რა მტკიცებულება შეიძლება იყოს მოპოვებული.

პასუხი და გამოცხადება,

- ☐ ჩაინიშნეთ შემოსული ზარისა და გამოცხადების თარიღი და დრო.
- ☐ ჩაინიშნეთ ადამიანები/მანქანები, რომლებიც ტოვებენ შემთხვევის ადგილს.
- ☐ შემთხვევის ადგილზე იმოქმედეთ განსაკუთრებული სიფრთხილით და გახსოვდეთ, რომ უნდა დაიცვათ შემთხვევის ადგილზე მტკიცებულება.
- ☐ მოახდინეთ საფრთხის ნეიტრალიზაცია.

დაიცავით შემთხვევის ადგილი:

- ☐ გააკონტროლეთ ყველა პიროვნება შემთხვევის ადგილას.
- ☐ აუკრძალეთ პირებს მტკიცებულების განადგურება.
- ☐ შემთხვევის ადგილას მოახდინეთ ყველას იდენტიფიცირება: ეჭვმიტანილის, დაზარალებულის, მოწმისა და პოლიციელების.
- ☐ დაიცავით და დააშორეთ ეჭვმიტანილი და მოწმე ერთმანეთს.
- ☐ შემთხვევის ადგილზე არ დაუშვათ თანამშრომლები, რომელთაც არ ეხება დაკავშირებული საქმე.
- ☐ თუ საჭიროა სამედიცინო დახმარება, გაუწიეთ იგი.

დაზარალებულს მიუყვანეთ სამედიცინო პერსონალი:

- ☐ სამედიცინო პერსონალს მიუთითეთ შესაძლო მტკიცებულებაზე;
- ☐ დარწმუნდით, რომ სამედიცინო პერსონალი არ ახლებს ხელს და არ გაანადგურებს მტკიცებულებას გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს საჭიროა სიცოცხლის გადასარჩენად;
- ☐ დარწმუნდით, რომ სამედიცინო პერსონალი შეინახავს ყველა ტანსაცმელს და მტკიცებულებას;
- ☐ თუ დაზარალებული შემთხვევის ადგილიდან გამოყვანილია, გააყოლეთ მას პოლიციელი იმისათვის, რომ მტკიცებულებათა ჯაჭვი შენარჩუნებული იყოს;
- ☐ კოორდინაცია მოახდინეთ სამედიცინო დაწესებულების პერსონალთან სამედიცინო მკურნალობისა და მტკიცებულების მოგროვების თაობაზე;
- ☐ ჩაიწერეთ სამედიცინო პერსონალის მონაცემები (სახელები);
- ☐ ჩაიწერეთ ასევე ყველა ის მტკიცებულება, რომელიც დაზიანდა ან განადგურდა სამედიცინო პერსონალის მიერ სიცოცხლის გადარჩენის პროცესში.

მოახდინეთ შემთხვევის ადგილის პირველადი შესწავლა:

- ☐ განათება.
- ☐ ამინდი.
- ☐ ტემპერატურა.
- ☐ ყურადღება მიაქციეთ იმ ნივთებს, რომელიც უცნაურად ჩანს შემთხვევის ადგილას.
- ☐ გამოჰკითხეთ ეჭვმიტანილი და დაზარალებული.

შემთხვევის ადგილის შეფასება

- ☐ დაადგინეთ შემთხვევის ადგილის პერიმეტრი;
  - ა) სად მოხდა დანაშაული?
  - ბ) პოტენციური შესასვლელი/გასასვლელი.
  - გ) შესაძლო მტკიცებულების იდენტიფიცირება.
  - დ) ეჭვმიტანილის/დაზარალებულის მოძრაობის/გადაადგილების ადგილები.
  - ე) დააყენეთ შემთხვევის ადგილას ფიზიკური ბარიერი შემთხვევის ადგილზე
  - ვ) შესვლის პრევენციის მიზნით შემოსაზღვრეთ იგი.
  - ზ) რეგისტრაცია მოახდინეთ ყველა იმ ადამიანისა, ვინც შედის და გადის შემთხვევის ადგილიდან (პოლიცია, სამედიცინო პერსონალი და სხვა).
  - თ) ასევე აკონტროლეთ შემთხვევის ადგილზე ცხოველების გადაადგილება და მოძრაობა.
  - ი) დაიცავით/შეინარჩუნეთ მტკიცებულება, რომელიც შეიძლება დაიკარგოს ან კომპრომეტირებული იყოს სხვადასხვა ელემენტით.
  - კ) დაარეგისტრირეთ დაზარალებულის/ეჭვმიტანილის პირველადი მდგომარეობა და ადგილსამყოფელი თუ მათი გადაადგილება მოხდა.
  - ლ) გაითვალისწინეთ მტკიცებულებების მოგროვების სამართლებრივი საკითხები.

შემთხვევის ადგილის სპეციალისტებისა და გამომძიებლების მომზადება

- ☐ შემთხვევის ადგილის სპეციალისტებსა და გამომძიებლებს გაესაუბრეთ რეაგირების, შემთხვევის ადგილზე მოსვლის, მტკიცებულების გადაადგილების/მოძრაობის თაობაზე.
- ☐ შემთხვევის ადგილის სპეციალისტებსა და გამომძიებლებს გაესაუბრეთ დაზარალებულის, ეჭვმიტანილისა და მოწმის მიერ გაკეთებულ განცხადებებზე.
- ☐ მოახდინეთ მოქმედებებისა და დაკვირვების დოკუმენტაცია.
  - ა) მოამზადეთ მოკლე ანგარიში შემთხვევის ადგილას მოქმედებების შესახებ.
  - ბ) შემთხვევისა დგილას მისვლა და კონტროლი.
  - გ) შემთხვევის ადგილის მდგომარეობა მისვლის მომენტში.
  - დ) შემთხვევის ადგილის მარტივი მონახაზი.
  - ე) დაზარალებულის, ეჭვმიტანილისა და მოწმის ჩვენებები.
  - ვ) მოძრაობა ან მტკიცებულების პოტენციური დაზიანება.

ზ) მტკიცებულებათა ჯაჭვის დაცვა გამომძიებლებისა და შემთხვევის ადგილის სპეციალისტების მისვლამდე.
თ) შემთხვევის ადგილის კონტროლი.

სექსუალური ძალადობის შემთხვევის ადგილას მოსაძიებელი მტკიცებულებების სახეები

ა) შემთხვევის ადგილას შესასვლელი და გასასვლელი.
ბ) ხელსაწყოები (ძალადობით შესვლა სახლში ან მანქანაში).
გ) ფეხის ანაბეჭდი, საბურავის ანაბეჭდი.
დ) სიგარეტის ნამწვავები.
ე) ნიადაგი/მცენარე.
ვ) თითის ანაბეჭდები.
ზ) თმა და ქსოვილები.
თ) კანის ნაწილაკები (განსაკუთრებით კი დაზარალებულის ან ეჭვმიტანილის ფრჩხილების ქვეშ).
ი) სისხლი.
კ) პრეზერვატივი.
ლ) სისხლის ლაქა.
მ) დაზარალებულის/ეჭვმიტანილის ტანსაცმელი.
ნ) იარაღი (ბალისტიკა, ტყვიის ფრაგმენტი, ვაზნა, ცივი იარაღი და სხვა).
ო) თუ დაზარალებულმა მიიღო შხაპი პოლიციის მოსვლამდე, მაშინ ის მტკიცებულებაც, რაც აბაზანში შესაძლოა იყოს.
პ) დაზარალებულის/ეჭვმიტანილის ზიანი სხეულზე.
ჟ) სერიული მოძალადის კვალი.

შემთხვევის ადგილის შეფასება (გამომძიებლები და შემთხვევის ადგილის თანამშრომლები)

- ☐ მიიღეთ მოკლე ანგარიში მათგან, ვინც პირველადი რეაგირება მოახდინა შემთხვევის ადგილზე მისვლისას და უკვე მოიპოვა მტკიცებულებები, ასევე რა მოქმედებები განახორციელეს და რა დაკვირვებები მოახდინეს.
- ☐ შეაფასეთ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ყველა გარემოება.
- ☐ შეაფასეთ სამართლებრივი საკითხები, რაც შეეხება მტკიცებულებათა მოგროვებას.
- ☐ ყველა თანამშრომლისთვის დაადგინეთ შემთხვევის ადგილზე შესვლისა და გასვლის მიმართულებები.
- ☐ შეაფასეთ შემთხვევის ადგილი და არსებული საზღვრები იმისათვის, რომ გადაწყვიტოთ საჭიროა თუ არა პერიმეტრის გაზრდა ან შემცირება.
- ☐ განსაზღვრეთ დამატებითი შემთხვევის ადგილები და ასევე თითოეული შემთხვევის ადგილზე მუშაობის წესი.
- ☐ დაადგინეთ ადგილი შემოსაზღვრული ტერიტორიის შიგნით კონსულტაციები-

სა და აღჭურვილობის მოსათავსებლად.

- ☐ მოახდინეთ იდენტიფიცირება, დოკუმენტაცია, დაცვა და შეგროვება მტვრევადი მტკიცებულების.
- ☐ დაამყარეთ და დაიცავით კომუნიკაცია გამომძიებლებსა და შემთხვევის ადგილის სპეციალისტებს შორის, განსაკუთრებით კი მაშინ, თუ რამდენიმე შემთხვევის ადგილის დამუშავებაა საჭირო.
- ☐ მტკიცებულების დროებითი განთავსებისა და შენახვისთვის გამოყავით ადგილი მტკიცებულებათა წესისა და მტკიცებულებათა ჯაჭვის დაცვით.
- ☐ განსაზღვრეთ, თუ რა დამატებითი პერსონალი არის საჭირო და მოითხოვეთ რესურსები და სპეციალიზებული ხელსაწყოები, თუ ამის საჭიროება არსებობს.
- ☐ სპეციალიზებული ხელსაწყოები შეიძლება იყოს:

ა) პორტატული ნათურები შემთხვევის ადგილას სამუშაოდ სიბნელის ან ცუდი განათების პირობებში.
ბ) განათების ალტერნატიული წყაროები შემთხვევის ადგილას სისხლის ან სხვა ნივთიერებების საპოვნელად.
გ) სტერილური პაკეტები დაზარალებულის ტანსაცმლის შესანახად.
დ) სასამართლო სამედიცინო ვაკუუმი ქსოვილის, ნაკვალევისა და თმის მოსაძიებლად.
ე) სასამართლო სამედიცინო სპეციალისტებს მიამაგრეთ კვალიფიციური თანამშრომელი კონკრეტული მოვალეობებით:
ვ) ფოტოგრაფირება.
ზ) ჩანახატის გაკეთება.
თ) დოკუმენტირება.
ი) მტკიცებულების განვითარება (ლატენტური ანაბეჭდები, ალტერნატიული განათებები).
კ) მტკიცებულებათა მოგროვება (მათ შორის მტკიცებულებათა ჯაჭვის შენარჩუნება).

- ☐ დაიცავით შემთხვევის ადგილი და არ დაუშვათ მისი დაბინძურება.

ა) დაიცავით შემთხვევის ადგილზე შესვლისა და გასვლის მონიშვნები.
ბ) არ მოწიოთ, არ ჭამოთ და არ დალიოთ შემთხვევის შიგნით და დაცულ ადგილებში.
გ) გამოყავით ადგილი ნაგვის მოსაგროვებლად.
დ) დაიცავით საკუთარი თავი სპეციალური საშუალებებით (ხელთათმანი, თმის ბადე, შემთხვევის ადგილის კოსტიუმი, ფეხსაცმელი).
ე) ბიოლოგიური მაგალითების მოსაგროვებლად გამოიყენეთ ერთჯერადი ხელსაწყო.

- ☐ ჩაატარეთ უბნის მოკვლევა იმისათვის, რომ დამატებითი მოწმეები და მტკიცებულებები მოიპოვოთ.

შემთხვევის ადგილისა და დოკუმენტაციის პირველადი დათვალიერება

ა) გაიარეთ და დაათვალიერეთ შემთხვევის ადგილი იმისათვის, რომ გამოავლინოთ მტკიცებულება, ჩამოაყალიბოთ გეგმა სამომავლო მოქმედებისა.
ბ) მოახდინეთ დოკუმენტაციისა და მტკიცებულების მოგროვების პრიორიტეტული სია.
გ) გადაიღეთ შემთხვევის ადგილის ფოტოები.
დ) შეინახეთ სურათები.
ე) თითო ადგილს სურათი ორჯერ გადაუღეთ, ერთი საზომით ერთი მის გარეშე.
ვ) გადაიღეთ პანორამული სურათი ისე, რომ მთლიანად გამოჩნდეს შემთხვევის ადგილი (მთელი შემთხვევის ადგილი ოთხივე მხრიდან).
ზ) გადაიღეთ საშუალო დისტანციიდან სურათი (შემთხვევის თითოეული მონაკვეთი).
თ) გადაიღეთ სურათი ახლოდან (აჩვენეთ დაზარალებულის ურთიერთდამოკიდებულება შემთხვევის ადგილთან და მტკიცებულებასთან).
ი) გადაიღეთ მაკრო, სურათები (ქსოვილის, კვალის სურათები, სერიული ნომერი და აშ). ალტერნატიული განათებით (ალტერნატიული შუქის გამოყენებით).
კ) გადაიღეთ სურათი დაზარალებულით/სხეულით და მის გარეშე.
ლ) გადაიღეთ დამატებითი სურათები საჭიროებისამებრ.
მ) გადაიღეთ შემთხვევის ადგილის ვიდეო და აღწერეთ ყველაფერი ზემოთ ჩამოთვლილი.
ნ) შეასრულეთ შემთხვევის ადგილის ჩანახატი:
ო) მიუთითეთ საქმის ნომერი, თარიღი, დრო, ავტორი და ჩრდილოეთი მხარე ყველა ჩანახატზე.
პ) აღნიშნეთ თითოეული მტკიცებულება და მოახდინეთ მისი კოორდინაცია შემთხვევის ადგილთან.
ჟ) დახატეთ მტკიცებულება, სანამ მას ამოიღებენ შემთხვევის ადგილიდან.
რ) ოთახში არსებული ავეჯი და სხვა ნივთებიც ასახეთ სურათზე.
ს) მოახდინეთ მტკიცებულების მდებარეობის განსაზღვრა შემთხვევის ადგილას.
ტ) შემთხვევის ადგილის გაზომვა და დოკუმენტირება.

მტკიცებულებათა მოგროვება, დაცვა, აღწერა, შენახვა, ტრანსპორტირება და ჩაბარება

- ☐ სხეულის შემთხვევის ადგილიდან ამოღებამდე ჩაწერეთ, დაიცავით/შეაგროვეთ მტკიცებულებები (თმა, ქსოვილები, სისხლი და სხვა).
- ☐ მოახდინეთ მტკიცებულების მოგროვების დოკუმენტირება მათი ადგილმდებარეობის, თარიღის/დროის, მტკიცებულების აღწერილობის და ამომღები პირის ვინაობის მითითებით.
- ☐ მოაგროვეთ და შეინახეთ მტკიცებულება ზოგადად მიღებული წესისა და სტანდარტის მიხედვით, რომელიც კონკრეტული ტიპის მტკიცებულებას შეესაბამება.
- ☐ მოახდინეთ მტკიცებულების დამოუკიდებლად შეგროვება, დოკუმენტირება და შენახვა.

- ☐ დაადგინეთ მტკიცებულებათა ჯაჭვი.
- ☐ დაიცავით მტკიცებულებათა უსაფრთხოება.
- ☐ მოიპოვეთ განადგურებადი მტკიცებულებები (თითის ანაბეჭდები, ფეხსაცმლის ნაფეხურის ანაბეჭდი).
- ☐ ელექტრონულად ჩაწერილი მტკიცებულება დაუყოვნებლივ შეინახეთ მსგავსი სახის მტკიცებულების მოპოვებისთვის ზოგადად მიღებული სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად.
- ☐ მოახდინეთ მტკიცებულების დამოუკიდებლად შენახვა პაკეტებში ისე, რომ არ მოხდეს დაბინძურება ან ურთიერთდაბინძურება.
- ☐ მოახდინეთ დოკუმენტურად აღწერა ცეცხლსასროლი იარაღისა, სანამ მოხდება მისი პაკეტში მოთავსება:
  ა) თუ ეს არის რევოლვერი, მაშინ აღწერეთ გასროლილი ტყვიების რაოდენობა დოლურაში.
  ბ) თუ ავტომატური იარაღია, მაშინ ამოიღეთ მჭიდი და შეამოწმეთ ტყვიების რაოდენობა.
  გ) გახსოვდეთ, რომ მჭიდსა და საერთოდ იარაღს შეიძლება ჰქონდეს სისხლის კვალი ან თითის ანაბეჭდი, ან რაიმე სხვა სახი კვალი.
- ☐ თავი აარიდეთ მტკიცებულებასთან ზედმეტ შეხებას მას შემდეგ, რაც მოხდება მისი ამოღება.
- ☐ შეინახეთ მტკიცებულება კონტეინერში, ისე რომ არ მოხდეს მისი განლევა.
- ☐ მოახდინეთ მტკიცებულების ტრანსპორტირება, ისე რომ არ დაირღვეს მტკიცებულებათა ჯაჭვი.

ეჭვმიტანილთან მოპყრობა – ასევე იხილეთ სპეციალური პროცედურა ქვემოთ

- ☐ გადაუღეთ ფოტო ეჭვმიტანილს:
  ა) გადაიღეთ ჭრილობები და ასევე დააფიქსირეთ, თუ ჭრილობები არ გამოვლინდა.
  ბ) გადაუღეთ სურათი ტანსაცმელსა და მის გარეგნობას.
  გ) გადაიღეთ სურათი ხელებზე (ყველა მხრიდან)
  დ) გადაუღეთ სურათი სვირინგს ან ნაიარევს.
  ე) მოახდინეთ ტანსაცმლის დეტალური შესწავლა ქსოვილის, კვალის ან სისხლის აღმოსაჩენად (სისხლის ნაკვალევისთვის მუქ ან წითელი ფერის ტანსაცმელზე გამოიყენეთ ალტერნატიული განათება, შეამოწმეთ შარვლის დაბოლოება, პერანგის სახელოები და საყელო).
  ვ) შეამოწმეთ ფეხსაცმელი ქსოვილის, ნაკვალევის ან სისხლის კვალის აღმოსაჩენად (განსაკუთრებით კი ფეხსაცმლის ძირზე, ქუსლზე და აშ).
- ☐ შემთხვევის ადგილიდან ამოიღეთ ტანსაცმელი, მოახდიენთ დოკუმენტირება, შეფუთეთ ტანსაცმელი როგორც მტკიცებულება შესაბამისი კანონის მიხედვით.
- ☐ მოიპოვეთ სისხლის, თმის ან თითის ანაბეჭდის მასალა შესაბამისი კანონის დაცვით.

დაზარალებულთან მოპყრობა – ასევე იხილეთ სპეციალური პროცედურა ქვემოთ

- ☐ სურათი გადაუღეთ დაზარალებულს:
  ა) დააფიქსირეთ ყველა ჭრილობა, ასევე ის ფაქტი, რომ ჭრილობები არ არის.
  ბ) გადაუღეთ სურათი ტანსაცმელსა და მის გარეგნობას.
  გ) გადაიღეთ ხელები (ყველა მხრიდან).
  დ) გადაიღეთ ტატუ ან ნაიარევი.
  ე) გადაიღეთ სხეული ალტერნატიული შუქის ქვეშ იმისათვის, რომ აჩვენოთ წარსული ჭრილობები ან შეუმჩნეველი ჭრილობები.
- ☐ თუ სექსუალურ ძალადობას ლოგინში ჰქონდა ადგილი, მაშინ მთლიანი ლოგინის თეთრეული უნდა იყოს ამოღებული მტკიცებულებად. თითოეული მათგანი უნდა დაილუქოს სტერილურ დამოუკიდებელ მტკიცებულების პაკეტში. თითოეული მათგანი უნდა დაიკეცოს ოთხად ცენტრისკენ მიმართულებით ისე, რომ არ დაიკარგოს და დაზიანდეს მასზე არსებული რაიმე სახის მტკიცებულება, როგორიცაა თმები და ქსოვილები და ისე უნდა მოთავსდეს სტერილურ პაკეტში.
- ☐ თუ შესაძლებელია, გამოიყენეთ სასამართლო სამედიცინო ვაკუუმი ისეთ ადგილებში, სადაც შეიძლება განხორციელებულიყო სექსუალური ძალადობა და მოაგროვეთ ყველა შესაძლო მტკიცებულება.
- ☐ შემთხვევის ადგილიდან ამოიღეთ, მოახდინეთ დოკუმენტირება, შეფუთეთ ტანსაცმელი, როგორც მტკიცებულება შესაბამისი კანონის მიხედვით.
- ☐ მოიპოვეთ სისხლის, თმის ან თითის ანაბეჭდის მასალა შესაბამისი კანონის დაცვით.
- ☐ დაესწარით ავტოფსიას და მოაგროვეთ მტკიცებულება ზოგადად მიღებული პრაქტიკის და წესების მიხედვით.

დაზარალებულისა და ეჭვმიტანილის ტანსაცმლის შეგროვების სპეციალური პროცედურა

დაზარალებულისა და ეჭვმიტანილის ტანსაცმელი შეიცავს თმასა და ქსოვილს, რომელიც უმნიშვნელოვანესია ეჭვმიტანილის იდენტიფიცირებისა და სისხლის-სამართლებრივი დევნისთვის და ეს ნივთები უნდა მოგროვდეს კონკრეტული წესების დაცვით. როდესაც ეს შესაძლებელია, ქალი დაზარალებულის მიმართ პროცედურა უნდა განხორციელდეს ქალი ოფიცრის და სამედიცინო პერსონალის თანდასწრებით.

მთლიანად ჩაცმული დაზარალებული/ეჭვმიტანილი დგება სტერილური ზეწრის წინ და სათითაოდ იხდის თითოეულ ტანსაცმელს, როგორც წესი, ეს იწყება ფეხსაცმლის გახდით. სტერილურ ზეწარზე მოთავსებული ნივთი იფუთება ისე, რომ მას არ ეხებიან და იდება და ილუქება სტერილურ პაკეტში ისე, რომ არ დაიკარგოს ნივთზე არსებული კვალი/მტკიცებულება ქსოვილის, თმის, სისხლის ან სხვა ნივთიერების სახით.

ეს პროცესი მეორდება თითოეული ნივთის შემთხვევაში, სანამ დაზარალებული/ეჭვმიტანილი მთლიანად არ გაიხდის ტანსაცმელს. თითოეული ტანსაცმლის ნაჭერი

თავსდება დამოუკიდებელ ზეწარზე.

სამედიცინო ექსპერტი შემდეგ იყენებს სექსუალური ძალადობის შემთხვევის გამოსაკვლევ ხელსაწყოებს, ატარებს სასამართლო სამედიცინო გამოკვლევას და აგროვებს ნიმუშებს იმ ინსტრუქციების მიხედვით, რომელიც წინასწარ არის გაწერილი. მას შემდეგ, რაც დასრულდება პროცესი, გამომძიებელი ინიშნავს ექსპერტის სახელს და აღწერს მტკიცებულებათა ჯაჭვს.

შემდეგ კვალიფიციური სპეციალისტი იღებს თმისა და სისხლის ნიმუშებს ეჭვმიტანილისგან საზოგადოდ მიღებული პრაქტიკის და წესების მიხედვით.

ძალადობისთვის დამახასიათებელი ჭრილობები უნდა იყოს ფოტოზე დაფიქსირებული. მას შემდეგ, რაც ფოტოებს გადაუღებთ შეინახეთ ისინი და დაიცავით მისი უსაფრთხოება.

გადაიღეთ სხეული ალტერნატიული განათების ფონზე ისე, რომ გამოჩნდეს ადრე მიღებული ჭრილობები ან შეუმჩნეველი ჭრილობები.

ანგარიშგება შემთხვევის ადგილის შესახებ

- ☐ ჩართეთ გამომძიებელი, შემთხვევის ადგილის თანამშრომლები და მტკიცებულების მოგროვებაზე მომუშავე პერსონალი შემთხვევის ადგილის შესახებ ანგარიშგების პროცესში.
- ☐ განმარტეთ, რა მტკიცებულება იქნა შეგროვილი.
- ☐ ისაუბრეთ წინასწარ გამოვლენილ გარემოებებზე.
- ☐ ისაუბრეთ დამატებითი შემთხვევის ადგილის გამოკვლევის შესახებ ან საჭირო მტკიცებულების ამოღების თაობაზე.
- ☐ ისაუბრეთ ამოღებული მტკიცებულების პოტენციური სასამართლო სამედიცინო გამოკვლევის თაობაზე და იმ ტესტების თანმიმდევრობაზე, რაც უნდა ჩატარდეს.
- ☐ მოითხოვეთ ტესტის ჩატარება და ასევე განმარტეთ სხვა დამატებითი მოქმედებები იმისათვის, რომ დასრულდეს შემთხვევის ადგილზე მუშაობა.
- ☐ მოახდინეთ შემთხვევის ადგილის ვიზუალური დათვალიერება იმისათვის, რომ ყველა მტკიცებულება იყოს მოგროვილი და არ გამოგრჩეთ რამე.
- ☐ დარწმუნდით, რომ ყველა ხელსაწყო და მასალა, რაც გამოყენებულია შემთხვევის ადგილას, ამოღებულია.
- ☐ დატოვეთ შემთხვევის ადგილი კანონის შესაბამისად.

დოკუმენტირება საქმისთვის

ა) იმ ოფიცრის ანგარიში, ვინც მიიღო პირველი შეტყობინება,

ბ) იმ სამედიცინო პერსონალის ანგარიში, ვინც პირველადი დახმარება გაუწია, შესასვლელი/გასასვლელი აღწერილობა,

გ) ფოტოები,

დ) შემთხვევის ადგილის დიაგრამა/ჩანახატი,

ე) მტკიცებულების მოგროვების დოკუმენტაცია,
ვ) მტკიცებულებათა ჯაჭვის დოკუმენტაცია,
ზ) სხვა სპეციალიზებული დოკუმენტები/ანგარიშები,
თ) თანხმობის ფორმის/ჩხრეკის ოქმის ჩანაწერი.

შესაძლო შეკითხვები დაქტილოსკოპ ექსპერტებს ჯვარედინი დაკითხვის დროს

1. არის თუ არა ანაბეჭდის ფარული დეტალის დანახვის შესაძლებლობა შეძენილი უნარ-ჩვევა?
2. მიიღწევა თუ არა ეს მხოლოდ ხახუნის კვალის ანაბეჭდებთან არაერთგზისი შეხებით?
3. ექსპერტად კვალიფიცირება საჭიროებს თუ არა ფარული ანაბეჭდების გამოცდილ ექსპერტთან ხანგრძლივ შეგირდობას (როგორც წესი, ორი წელიწადი გამოძიების ფედერალური ბიუროს ლაბორატორიაში)?
4. საჭიროა თუ არა დამახასიათებელ თვისებათა იშვიათობის აღმოჩენის უნარის განვითარება?
5. საჭიროა თუ არა დამახასიათებელ თვისებათა ჯგუფისათვის აღმოჩენის უნარის განვითარება?
6. საჭიროა თუ არა კვალთა ნაკადის განსაკუთრებულ სახეობათათვის აღმოჩენის უნარის განვითარება?
7. საჭიროა თუ არა ხელებისა და ფეხების სხვადასხვა ადგილში დამახასიათებელ თვისებათა სიხშირის აღმოჩენის უნარის განვითარება?
8. საჭიროა თუ არა კანის მექანიკური დამახინჯების შედეგად წარმოშობილი განსხვავებების ხარისხის აღმოჩენის უნარის განვითარება?
9. საჭიროა თუ არა ფონური ხმაურიდან დეტალის ამოღების უნარის განვითარება?
10. საჭიროა თუ არა ისეთი უნარის განვითარება, რომ მიხვდე, თუ ხახუნის კვალის რამდენი ანაბეჭდი შეიძლება იყოს საერთო ორი ანაბეჭდისთვის სხვადასხვა წყაროდან?

ახლა ვისაუბროთ ფარულ ანაბეჭდსა და ხვეულ თუ გათხაპნილ ანაბეჭდს შორის განსხვავებაზე.

1. როგორც წესი, ამჟღავნებენ თუ არა ფარული ანაბეჭდები თითის ზედაპირის მხოლოდ პატარა ნაწილს?
2. შესაძლოა თუ არა ფარული ანაბეჭდების გასვრა (გათხუპნა)?
3. შესაძლოა თუ არა ფარული ანაბეჭდების დამახინჯება?
4. შესაძლოა თუ არა ფარული ანაბეჭდების გასვრაც და დამახინჯებაც?
5. შესაძლოა თუ არა, რომ დამახინჯების შედეგად კვალის დამახასიათებელი ნიშანი გამოჩნდეს სხვაგვარად, ვიდრე ის სინამდვილეში არის?
6. შესაძლოა თუ არა, რომ ფარული ანაბეჭდის გასამჟღავნებელი ფხვნილის შედეგად კვალის დაბოლოება გაორებული სახით გამოჩნდეს?

7. ჩატარებულა თუ არა კვლევა, რომელიც ასეთი დამახინჯებების სიხშირეს დაადგენდა?
8. ზოგადად, ფარული ანაბეჭდები ნაკლებ მკაფიოობას შეიცავენ?
9. ზოგადად, ფარულ ანაბეჭდებს ნაკლები შინაარსობრივ დატვირთვა აქვთ?
10. ზოგადად, ფარული ანაბეჭდები უფრო ნაკლებად დაუმახინჯებელ ინფორმაციას შეიცავენ, ვიდრე კონტროლირებულ პირობებში აღებული ანაბეჭდები?
11. ზოგადად, ფარული ანაბეჭდები უფრო ნაკლებ დეტალებს შეიცავენ, ვიდრე კონტროლირებულ პირობებში აღებული ანაბეჭდები?
12. ამ ფარული ანაბეჭდების შეზღუდული ზომისა და დამახინჯების იმ რაოდენობის გათვალისწინებით, რომელსაც მრავალი ფარული ანაბეჭდი განიცდის, დაქტილოსკოპ ექსპერტებს ხშირად შესწევთ უნარი მოახდინონ იდენტიფიცირება თხუთმეტი ან ნაკლები ხილვადი კვალის დამახასიათებელი ნიშნების საფუძველზე?
13. წარსულში ექსპერტები იყენებდნენ თუ არა იდენტიფიცირების სტანდარტებს, რომლებიც რვიდან თექვსმეტამდე თანმხვედრ დამახასიათებელ ნიშანს თუ „მსგავსების წერტილს“ მოიცავდა?
14. აქვს თუ არა ადგილი საგრძნობ უთანხმოებას დაქტილოსკოპ ექსპერტებს შორის იმის თაობაზე, თუ კვალის რამდენი საერთო დამახასიათებელი ნიშანი უნდა იყოს აღმოჩენილი, სანამ იდენტიფიცირება მოხდება?
15. ეს იმით ხომ არ არის გამოწვეული, რომ იდენტიფიკაცია უფრო შეხედულებაა, ვიდრე სამეცნიერო კვლევაზე დაფუძნებული დასკვნა?
16. გსმენიათ თუ არა ისეთი შემთხვევების შესახებ, სადაც ორი სხვადასხვა ადამიანის ანაბეჭდებს ჰქონდა ექვსი თანმხვედრი დამახასიათებელი ნიშანი? ან შვიდი? რვა? ცხრა? ათი?
17. ფარული ანაბეჭდების უმეტესობის არარეგულარული ბუნებიდან გამომდინარე, შესაძლებელია თუ არა, რომ ნებისმიერი განსხვავება ამ ნიმუშებში შეუმჩნეველი დარჩეს?
18. იმყოფებით თუ არა „საშიშ ტერიტორიაზე“, როდესაც იდენტიფიცირებას მსგავსების მხოლოდ წერტილის საფუძველზე ახდენთ?
19. გსმენიათ თუ არა რაიმე მეცნიერული კვლევის შესახებ, რომელიც საფუძვლიანად მიანიშნებს სხვადასხვა ადამიანის თითის ანაბეჭდების ალბათობებზე, რომელთაც კვალის თანმხვედრი დამახასიათებელი ნიშნების ცვალებადი რაოდენობა ახასიათებს?
20. თითის ანაბეჭდების იდენტიფიცირებისას მთავარი საკითხი მდგომარეობს თუ არა იმაში, რომ კონკრეტულ შემთხვევაში გამოყენებული ფარული ანაბეჭდი საკმარისი უნდა იყოს იდენტიფიცირების მოსახდენად?
21. მოცემულ საქმეზე კიდევ რომელი ფაქტები იყო თქვენთვის ცნობილი, როდესაც თქვენი იდენტიფიკაცია მოახდინეთ?
22. დაუშვით თუ არა, რომ ეს ფაქტები სიმართლე იყო?
23. შეეძლოთ თუ არა ამ ფაქტებს გავლენა მოეხდინათ თქვენს მსჯელობაზე, როდესაც გათხაპნილ და ფარულ ანაბეჭდებს ადარებდით?
24. გადაამოწმა თუ არა თქვენი დასკვნები სხვა ექსპერტმა?
25. გაცნობილი იყო თუ არა ასეთი ექსპერტი თქვენს შედეგებს?

26. იცოდა თუ არა ამ ექსპერტმა რაიმე სხვა „ფაქტების“ შესახებ ამ საქმიდან?
27. იმისათვის, რათა გადამოწმება ჭეშმარიტად დამოუკიდებელი იყოს, უნდა იცოდეს თუ არა მეორე ექსპერტმა თქვენი შედეგების შესახებ?
28. იმისათვის, რათა გადამოწმება ჭეშმარიტად დამოუკიდებელი იყოს, უნდა იცოდეს თუ არა მეორე ექსპერტმა რაიმე სხვა „ფაქტების“ შესახებ ამ საქმიდან?
29. გსმენიათ თუ არა არაერთი დოკუმენტირებული საქმის შესახებ, სადაც ფარული ანაბეჭდების ექსპერტები მცდარ იდენტიფიცირებას ახდენდნენ?
30. თუმცა, უცნობია მცდარი იდენტიფიცირების სიხშირე, არა?
31. რა არის საკვალიფიკაციო ტესტები?
32. შეიძლება თუ არა ეს ტესტები შეიცავდეს ინფორმაციას შეცდომების სიხშირის შესახებ?
33. უტარებს თუ არა სააგენტო ასეთ ტესტებს თქვენ დაქტილოსკოპ ექსპერტებს?
34. რა არის განსხვავების დოქტრინა?

მოწმე იტყვის დაახლოებით შემდეგს, რომ თუ სახეზეა შედარების ერთი რეალური წერტილიც კი, რომელიც განსხვავებულია ორ შედარებულ ანაბეჭდს შორის, მაშინ უნდა ვთქვათ, რომ იდენტიფიცირება ვერ მოხერხდა.

ახლა მოდით, ვისაუბროთ იმაზე, თუ როგორ რჩება ფარული ანაბეჭდები დანაშაულის ადგილას.

1. ხახუნს დაქვემდებარებული კანი შეიცავს თუ არა ოფლის ფორებს, რომელთაც ოფლის ნალექი თითიდან შესაფერის ზედაპირზე გადააქვს?
2. შედგება თუ არა ეს ნალექი დაახლოებით 98% წყლისა და დანარჩენი ზეთების, ცხიმების, მარილებისა და მჟავებისგან?
3. თუ ზედაპირი, რომელსაც თითი ან ცერა თითი ეხება, სუფთა და მშრალია, არსებობს თუ არა იმის შესაძლებლობა, რომ ოფლის ნალექი ამ ზედაპირზე გადავა?
4. არის თუ არა ფარული ანაბეჭდის აღდგენის ყველაზე ჩვეული მეთოდი ნივთზე თითის ანაბეჭდის ფხვნილის მოყრა?
5. გამოყენებული იყო თუ არა ეს მეთოდი ამ საქმეზე?
6. შესაძლებელია თუ არა, რომ ხახუნის კვალზე (კანზე) არსებულმა უცხო მასალამ არ დაუშვას ოფლიანობის შემხებლობა ფარული ანაბეჭდის მიმღებ ზედაპირთან?
7. როდესაც ზედაპირზე ხდება ფხვნილის მოყრა, ამ მომენტში მიეკრობა თუ არა ხახუნის კვალი?
8. ასე რომ, იქნება თუ არა განსხვავება ფარულ ანაბეჭდსა და იმ თითს შორის, რომელმაც ეს ანაბეჭდი დატოვა?
9. არის თუ არა ეს იმის კიდევ ერთი მაგალითი, რომ სახეზეა განსხვავება? იმ ზედაპირზე არსებულ წებოვან ნივთიერებას, რომელზეც ფარული ანაბეჭდია დატოვებული, შეუძლია ფხვნილი მიაწებოს ისეთ ადგილს, სადაც სინამდვილეში ხახუნის კვალი არ არსებობს.

10. შემდეგზე რას იტყვით? ოფლიანობა ისე მძიმედ მოედინება, რომ ის გარკვეულ ადგილას იყრის თავს, და როდესაც ფარული ანაბეჭდი მჟღავნდება, შესაძლოა თუ არა გამოჩნდეს, რომ კვლები ერთდება, მაშინ როდესაც რეალურად ეს ასე არ არის?

მოწმე სავარაუდოდ დაიწყებს პასუხის ძიებას, რომ ეს არის „ახსნას დაქვემდებარებული სხვაობები“ და არა ჭეშმარიტი განსხვავებები.

- საიდან იცით, რომ „ახსნას დაქვემდებარებული სხვაობა“ ჭეშმარიტ განსხვავებას არ წარმოადგენს?
- არის თუ არა ეს ექსპერტის კიდევ ერთი სუბიექტური შეხედულება?

სასამართლო ექსპერტიზის როლი შემთხვევის ადგილის გამოძიებისას

/გია დეკანოზიშვილი/
/ირაკლი ჯიშკარიანი/

1. საგამოძიებო ვერსიები და გამოძიების დაგეგმვა

მკვლელობის საქმეებზე გამოძიების დასაწყისშივე შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას გამომძიებელს წარმოეშვება მომხდარი ფაქტის შესახებ ვარაუდი, ანუ ვერსიები და სწორედ ამ დროს ხდება მკვლელობის თითქმის ყველა შესაძლო ვარიანტების დასახვა და შემოწმება, რაც დამოკიდებულია გამომძიებლის პროფესიონალიზმზე.

საგამოძიებო ვერსია არის ფაქტებზე დამყარებული გამომძიებლის ვარაუდი დანაშაულის მიზეზებზე, დანაშაულის გარემოებაზე და იმ ჩამდენ პირებზე, რაც აუცილებელ შემოწმებას ექვემდებარება.

როგორც წესი ყველა ვერსია უნდა დაისახოს შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს, რათა გამომძიებელს საშუალება ჰქონდეს შეამოწმოს ისინი. წინააღმდეგ შემთხვევაში იკარგება შემთხვევის ადგილის დათვალიერების შემდეგ წარმოშობილი ვერსიის სრულყოფილი შემოწმების შესაძლებლობა.

მკვლელობის საქმეებზე ვერსიები წამოყენების დროს დაცული უნდა იქნას პირობა, რომ ვერსიები ამომწურავი იყოს ყველა შესაძლო შემთხვევისათვის და ყველა ისინი შემოწმდეს კრიტიკული თვალსაზრისით. მკვლელობის საქმეებზე პრაქტიკაში გამორიცხული არაა, რომ გამომძიებელმა ვერ გაითვალისწინოს და ააგოს ყველა შესაძლო ვერსია, რამაც შესაძლოა უარყოფითი როლი ითამაშოს მომხდარი ფაქტის დადგენაში. თუ ამას დაუმატებთ ყველა დასახული ვერსიის შეუმოწმებლობას, ეს უკვე საეჭვოდ ხდის მკვლელობის საქმეებზე გამოძიების ჩატარების ყოველმხრივობისა და სისრულის საკითხს. მკვლელობის საქმეებზე შეიძლება აიგოს: საერთო, კერძო და სამუშაო ვერსიები.

საერთო ვერსიის საგანის მკვლელობის გარემოებათა ახსნა, მისი იურიდიული კვალიფიკაცია და სხვა. კერძო ვერსია ითვალისწინებს საქმის ცალკეული გარემოებებს, მაგალითად: მკვლელობის ჩადენის ხერხს, დანაშაულის იარაღის დადგენას და ა.შ. სამუშაო ვერსია, როგორც წესი, ორგანიზაციული ხასიათისაა და ითვალისწინებს საკითხის გადაწყვეტა-დადგენად, თუ სად შეიძლება იყოს დამალული მკვლელობის ჩადენის იარაღი, როგორ მოიძებნოს იგი და სხვა. კერძო ვერსიები პირობითად შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: პირველ ჯგუფში შედის გამომძიებლის ვარაუდი მკვლელობის და მის წინა პერიოდის თანმდევ გარემოებაზე, რაც ემყარება იმ კვლების შესწავლას, რაც არაა დამახასიათებელი ცალკეული დანაშაულისათვის და ყველასათვის საერთოა, მაგალითად: ვერსია დამნაშავეთა რაოდენობაზე, შემთხვევის ადგილზე მისვლის გზებისა და საშუალებებზე, დანაშაულის იარაღზე და სხვა. მეორე ჯგუფში შედის გამომძიებლის ვარაუდი დანაშაულის ჩადენისა და მისი დაფარვის ხერხებზე, მოტივზე და სხვა. აღნიშნულის შემუშავება ხდება ფაქტიური მონაცემებით, შემთხვევის ადგილის გარემოების შესწავლით, გვამის მდებარეობით - პოზით, ტანისამოსის

მდგომარეობის, დაზიანებების, სისხლის კვალის და სხვათა შესწავლით. მკვლელობის დრო დგინდება სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, ჩაცმულობით, გვამის გარშემო, მაგიდაზე მდებარე ნივთებით, ელექტროგანათების მდგომარეობით და სხვა. მოტივის დასადგენად შეისწავლება გვამის მდგომარეობა. შემთხვევის ადგილის ვითარება და სხვა. მკვლელობის გარემოების დასადგენად შეისწავლება შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს დადგენილი გარემოებები, რაშიც შედის გვამის მდებარეობა, ჭრილობის ადგილი და მისი მიმართულება, ტყვიები, მასრები და სხვა კვლები. აღნიშნულის გასარკვევად გარდა მათი შესწავლისა ტარდება კომპლექსური ექსპერტიზა და მათი მონაცემები წარმოადგენენ კერძო ვერსიის დანაშაულის ადგილისა და ვითარების დადგენის წყაროს. ვერსიები თავის გამოსახულებას პოულობენ საგამოძიებო და საგამოძიებო-ოპერატიულ გეგმებში, სადაც ისინი შეიტანებიან და მოწმდებიან ყველანი ერთდროულად-პარალელურად. შეიძლება ვიფიქროთ, რომ უმჯობესია პირველ რიგში შემოწმდეს უფრო მეტად შესაძლო ვერსია, მაგრამ როგორც პრაქტიკა მოწმობს, გამომძიებლის ვარაუდი ყოველთვის არ მართლდება და ზოგჯერ ნაკლებად შესაძლებელი ვერსია გამოდის სწორი, მაგრამ მისი მეორე რიგში შემოწმების გამო იკარგება დრო და მტკიცებულებები. ამიტომ ყველა ვერსია უნდა შემოწმდეს ერთდროულად და პარალელურად და არა თანმიმდევრობით, რაც უნდა აისახოს საგამოძიებო გეგმაში.

საგამოძიებო გეგმა გამოძიების მეცნიერული ორგანიზაციის გამოსახულებაა. იგი ისახება და დგება თავიდანვე. მკვლელობის საქმეებზე საგამოძიებო გეგმა შეიძლება შედგეს სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე, შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს და მაშინ, როდესაც მკვლელობის ფაქტზე საქმე აღიძვრება და მას წარმოებაში მიიღებს გამომძიებელი. პირველ შემთხვევაში საგამოძიებო გეგმის მონაცემებს იძლევა შემთხვევის ადგილის დათვალიერება და სხვა ადგილზე მონაკვლევი მასალები. ხოლო მეორე შემთხვევაში საქმის წარმოებაში მიღებამდე ან მის შემდეგ არსებული მონაცემები და მათი შესწავლის შედეგები.

საგამოძიებო გეგმის შედგენა გამოძიების მეცნიერული ორგანიზაციის აუცილებელი რეკვიზიტია. პრაქტიკაში, ზოგჯერ მკვლელობის საქმეებზე გამომძიებელი თავს არიდებს საგამოძიებო გეგმის შედგენას იმ თვალსაზრისით, რომ საგამოძიებო გეგმის შედგენისათვის აუცილებელია საქმის მასალების დაწვრილებით შესწავლა და მისი გააზრება, რაც გარკვეულ დროს მოითხოვს. დროის ასეთი ეკონომიის გამო უხარისხოდ ტარდება მკვლელობის გამოძიება, დაკითხვის წინ გამომძიებელს უხდება გარკვევა თუ რომელ საქმეზეა გამოძახებული მოწმე, რა საკითხები უნდა დადგინდეს და მოუმზადებელი დაკითხვის მსვლელობაში არკვევს მას და სხვას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საგამოძიებო გეგმის შედგენა არ წარმოადგენს საგამოძიებო მოქმედებას, იგი შრომის მეცნიერული ორგანიზაციის საკითხია. ზოგჯერ არსებული პრაქტიკა, რომ საგამოძიებო გეგმას ამტკიცებს რაიონის პროკურორი და პოლიციის უფროსი, მცდარი პრაქტიკაა. საგამოძიებო გეგმა სისხლის სამართლის საქმეს არ ერთვის, იგი საზედამხედველო წარმოებაში ინახება.

საგამოძიებო გეგმაში აღინიშნება მკვლელობის ფაქტზე ყველა შესაძლო ვერსიები, ვერსიებთან დაკავშირებული შესამოწმებელი საკითხები, მისი შემოწმების საშუალება, შემოწმებული და შემოწმების დრო.

მკვლელობის საქმეებზე გარდა საგამოძიებო გეგმისა, მასთან ერთად დგება საგ-

ამოძიებო-ოპერატიული გეგმა. საგამოძიებო-ოპერატიულ გეგმაში გამომძიებლის მიერ აღინიშნება ყველა ის საკითხები, რის დადგენა და შემოწმებაც საჭიროა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა განხორციელების გზით. საგამოძიებო-ოპერატიული გეგმა განსხვავდება საგამოძიებო გეგმისაგან. ოპერატიულ გეგმაში შეიტანება მხოლოდ ოპერატიული გზით დასადგენი საკითხები.

ოპერატიული ქმედებების გამოყენება, მასზე განწესებულ მუშაკებზე დავალების მიცემა, ერთერთი თავდაპირველი მოქმედებათაგანია, რასაც გამომძიებელი აკეთებს მკვლელობის საქმეებზე შემთხვევის ადგილის დათვალიერების დაწყებამდე, დათვალიერების დროს და მის შემდეგ.

ოპერატიული დავალების გაცემა ხდება შემთხვევის ადგილის დათვალიერებამდე იმ საკითხების გასარკვევად, თუ რა იციან მომხდარი მკვლელობის შესახებ, ვისთან იყო მოკლული ცუდ დამოკიდებულებაში, ვის შეეძლო მისი მოკვლა. როგორი დამოკიდებულება ჰქონდა მოკლულს ოჯახისადმი, მეზობლებისადმი, სამსახურში, ჰქონდა თუ არა ვინმესთან დავა და როგორ ხასიათდებოდა იგი. როგორც წესი, ოპერატიული დავალება უნდა ატარებდეს წერილობით ხასიათს.

ოპერატიული დავალების კითხვები პრინციპულად არ განსხვავდებიან მკვლელობისა საქმეებზე დასადგენი გარემოებებისგან, გარდა მათი შესრულების სუბიექტისა, გზებისა და მეთოდისა, რაც ოპერატიული საქმიანობის თავისებურებითაა გამოწვეული.

მკვლელობის საქმეების სრულყოფილი გამოძიება შესაძლებელია მხოლოდ გამომძიებლის, მისი ან მისდამი დაქვემდებარებული მუშაკის ოპერატიულობის და საექსპერტო დაწესებულებათა ერთობლივი შეთანხმებული მუშაობით, რასაც უნდა დავუმატოთ საზოგადოების დახმარება დანაშაულის გახსნაში და მის თავიდან აცილებაში.

გარდა საზოგადოების დახმარების გამოყენებისა, გამომძიებელი ვალდებულია გამოძიების დროსაც და მის შემდეგაც, როცა კი ამის საშუალება და საჭიროება არსებობს, წარდგინებით მიმართოს ორგანიზაციებსა და თანამდებობის პირებს მკვლელობის ხელშემწყობი მიზეზების აღმოფხვრისთვის და გამოვიდეს ინფორმაციით სათანადო ადგილებზე.

წარდგინებები და ინფორმაციები არ უნდა იყოს ზოგადი ხასიათის. წარდგინებებსა და ინფორმაციებში აღნიშნული უნდა იყოს თუ მომხდარ მკვლელობას რამ შეუწყო ხელი და დასახული უნდა იყოს რეალური კონკრეტული ღონისძიებები მის აღმოსაფხვრელად. გამომძიებელი ვალდებულია მოითხოვოს შეტყობინების, წარდგინების განხილვის შედეგები და მიღებული ზომები, რაც დაკავშირებულია მკვლელობის კონკრეტული ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების აღმოფხვრასთან.

2. მკვლელობის ჩადენის ხერხთან დაკავშირებულ დანაშაულთა გამოძიების თავისებურება

მკვლელობის საქმეზე გამოძიების მეთოდიკის თავისებურება დამოკიდებულია მკვლელობის სახეობაზე, კერძოდ: გვამი ჩამხრჩობილი იყო, დამხრჩვალი იყო, გვამი აღმოჩნდა ხმელეთზე, დამწვარი იყო იგი, მაღალი ძაბვის წყაროსთან აღმოჩნდა, თუ სხვა ვითარებაში იყო.

ვინაიდან მკვლელობის სახეები, მათი ჩადენის ხერხები სრულად არ ემთხვევიან ერთმანეთს, მკვლელობის საქმეთა გამოძიებისათვის შესაძლებელია ზოგადი ხასიათის

რეკომენდაციების ჩამოყალიბება, რაც გამომძიებლის მიერ უნდა შეივსოს მკვლელობის სიტუაციისა და კონკრეტულ გარემოებათა გათვალისწინებით.

1. **წყალში აღმოჩენილი გვამის მიმართ** საჭიროა გადაღებული იქნას შემთხვევის ადგილთან დაკავშირებული ყველა სახის ფოტოსურათები, წყალში აღმოჩენილი გვამის დათვალიერების დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მასზე არსებულ დაზიანებებს, თანდაყოლილ და შეძენილ ნიშნებს, შრამებს და დაზიანებებს. ამ შემთხვევაში, როგორც წესი, აუცილებელია რენტგენის გადაღება ძველი და ახალი მოტეხილობის დასადგენად.

გვამის დათვალიერების აუცილებელ საგანს წამოადგენს გვამის კბილების დათვალიერება და მისი შესწავლა, რაც შემდგომში გამოიყენება გვამის პიროვნების დასადგენად.

გვამიდან აღებული ტანისამოსი შრება ჩრდილში და შემდეგ შეიფუთება არა ცელოფანში, როგორ ეს ხშირადაა პრაქტიკაში, არამედ ქაღალდში, ვინაიდან ცელოფანში ნივთმტკიცება ნესტიანდება, სველდება და უვარგისი ხდება გამოკვლევისათვის.

ტანისამოსზე, საჭიროებისამებრ, შეიძლება ჩატარდეს ბიოლოგიური ექსპერტიზა ადამიანის სხეულის გამონაყოფზე; ტრასოლოგიური ექსპერტიზა ტანისამოსზე არსებულ მექანიკურ კვლებზე, ქიმიური ექსპერტიზა ლაქების შემადგენლობის დასადგენად, ექსპერტიზა მიკრონაწილაკებზე საგნებს შორის კონტაქტის დასადგენად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტიზების ჩატარებისას მკაცრად უნდა იქნას დაცული მათი ჩატარების რიგითობის საკითხი. პირველ რიგში ტარდება ექსპერტიზა მიკრონაწილაკებზე, ვინაიდან სხვა სახის ექსპერტიზის ჩატარებისას მოხდება არსებული კვლების წაშლა ან დაზიანება.

გვამის წყალში აღმოჩენის შემთხვევაში ექსპერტის მიერ გადასაწყვეტია სამი ძირითადი საკითხი: პიროვნება წყალში ცოცხალი მოხვდა, წყალში დაიხრჩო, თუ წყალში მოკვდა, მაგრამ არა წყლით, არამედ სხვა სახის მაგ. ასფიქსიით.

2. **დანაწევრებული გვამი**. გვამის ნაწილების აღმოჩენა ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ მომხდარია მკვლელობა. გვამის დანაწევრებას შეიძლება ადგილი ჰქონდეს: ნადირების და მღრღნელების მიერ; ადამიანის უნებლიე მოქმედებით და სამკურნალო დაწესებულებებში. გვამი შეიძლება დანაწევრებული იყოს აგრეთვე განზრახი მოქმედებით დანაშაულის დაფარვის მიზნით.

გვამის ნაწილის აღმოჩენის შემთხვევაში ინიშნება სასამართლო სამედიცინო, ბიოლოგიური, ციტოლოგიური, ტრასოლოგიური და სხვა ექსპერტიზები შემდეგ საკითხების დასადგენად: აღმოჩენილი გვამის ნაწილი ადამიანისაა თუ არა; რა წესით არის გვამი დანაწევრებული; დანაწევრებას ადგილი ჰქონდა სიცოცხლეში, თუ სიკვდილიც შემდეგ; აღმოჩენილი სხეულის ნაწილები ერთი პირისაა თუ არა; ქალისაა თუ მამაკაცის, როგორია გვამის სავარაუდო ასაკი; როდის მოხდა გვამის დანაწევრება; რომელ ჯგუფს ეკუთვნის სისხლი და ა.შ.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, გვამის დანაწევრება ხდება მკვლელობის ადგილიდან გვამის მთლიანად გამოტანის სიძნელის გამო, რაც გამოწვეულია ორი მიზეზით: ბოროტმოქმედი ფიზიკურად სუსტია (ქალია. არასრულწლოვანია ან ავადმყოფია) ან მკვლელობის ადგილი წარმოადგენს საზოგადოების თავშეყრის ადგილს (მრავალბინ-

იანი სახლი ან მჭიდროდ დასახლებული ადგილი)

გვამის ნაწილის აღმოჩენისა და დათვალიერების დროს ყველა შემთხვევაში მონაწილეობას უნდა ღებულობდეს ექიმი-სპეციალისტი.

ამოუცნობი და დანაწევრებული გვამის აღმოჩენის შემთხვევაში პირველ რიგში, თუ ამის პრაქტიკული საშუალება არსებობს, გვამის გამოკვლევის შემდეგ ტარდება ჯერ გვამის ტუალეტი (გვამის წესრიგში მოყვანა). შემდეგ კი ამოცნობა. სპეციალისტი დაქტილობარათის ბლანკზე აწარმოებს გვამის დაქტილოსკოპირებას, სიტყვიერი პორტრეტის შედგენას და ფოტოგადაღებას. დაქტილობარათი სიტყვიერ პორტრეტთან ერთად გადაიგზავნება შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრში პიროვნების დასადგენად, ხოლო მათი პირი და ფოტოსურათი სამძებრო სამმართველოში ამოუცნობი გვამის პიროვნების დადგენისათვის.

გვამიდან ბიოლოგიური და ციტოლოგიური ექსპერტიზისათვის აიღება თმები, კანი და ფრჩხილების შიგთავსი. ტანისამოსი ამოიღება მიკრონაწილაკებზე ექსპერტიზისათვის და მასზე არსებულ ლაქებზე ქიმიური ექსპერტიზის ჩასატარებლად.

პიროვნების დადგენისათვის აუცილებელია პრესისა და ტელევიზიის გამოყენება.

3. გაზით მოწამვლა. გაზით მოწამვლის ეჭვის შემთხვევაში სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების დროს ხდება გვამის ყოველმხრივი გამოკვლევა, რის დროსაც ექსპერტები ადგენენ რა გარდაცვალების მიზეზს, აღნიშნავენ მის უშუალო ე.ი. გაზით მოწამვლის ნიშნებსაც.

გაზის გამოყენებით მკვლელობის შემდეგ შემთხვევებია: გაზის შესუნთქვა, გაზის აალება და გაზის აფეთქება.

შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას სათანადო სპეციალისტის დახმარებით ხდება გაზის (ჰაერის) ნიმუშების აღება.

გაზის ნარჩენების მატარებელი და მისი შემცვლელი შეიძლება იყოს: ღრუბლის მაგვარი აგებულების ნივთები (ტანისამოსი, ლოგინის შემადგენელი ნაწილები, თბოიზოლაცია და სხვა). გაზის შემცველი ნივთები, მათი გაბარიტის მიხედვით, მოთავსებული უნდა იქნას მინის ქილაში, უკიდურეს შემთხვევაში ცელოფანის პარკში. მინის ქილა იმით არის უკეთესი, რომ სხვა საცავებში კედლები მოძრაობს ან ატარებს გაზს, რის გამოც პარკიდან გამოიდევნება შიგ არსებული ჰაერი და იკარგება გაზის ნარჩენები.

გაზით ადამიანის დაღუპვის შემთხვევაში, გარდა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზისა უნდა ჩატარდეს სხვა ექსპერტიზები იმის დასადგენად, საიდან და რატომ გამოდიოდა გაზი, იყო თუ არა განიავება, რა წესის დარღვევით არის დამონტაჟებული გაზის დანადგარი, შეეძლო თუ არა თვითონ დაზარალებულს გაეშვა გაზი, შეიძლებოდა თუ არა ბოროტმოქმედი შესულიყო, გაეშვა გაზი და გამოსულიყო ოთახიდან და სხვა.

4. მკვლელობა აფეთქებით. აფეთქების საქმეთა გამოძიების დროს შემთხვევის ადგილის დასათვალიერებლად მოიწვევიან ექიმი-სპეციალისტი (თუ კი არის გვამი), გამნაღმველი და სხვა საჭირო სპეციალისტები, რაც საქმის გარემოების მიხედვით უნდა განისაზღვროს. ექიმი-სპეციალისტი გამომძიებელს ეხმარება გვამზე არსებული დაზიანებისა და აფეთქებისათვის დამახასიათებელ დაზიანებათა დადგენაში. სპეციალისტ-გამნაღმველი ეხმარება: აფეთქების ადგილის, აფეთქებული ნივთიერების სახეობის;

აფეთქების ძალის; აფეთქებული ნივთიერების რაოდენობის; აფეთქების მიმართულების, გამოყენებული ასაფეთქებელი მოწყობილობის მოდელის დადგენაში.

მომხდარი აფეთქების მოდელირებისათვის სპეციალისტის დახმარებით დგინდება აფეთქების შედეგად წარმოშობილი კვლები; ღრმული (აფეთქების ცენტრი), აფეთქების შედეგად გატყორცნილ ნამსხვრევებისა და სხვა ნივთიერების კვალი, რომელთა საშუალებითაც დგინდება აფეთქების კერა, თუ კი არ იქნება აფეთქების აშკარა კვალი.

აფეთქება შეიძლება მოხდეს სპეციალური ფეთქებადი ნივთიერებით, ტროტილით, დემექსით, დინამიტით, ჰექსოგენი და სხვა.

საგამოძიებო პრატიკაში არსებული ასაფეთქებელი მოწყობილობები, რომელშიც შედის ფეთქებადი ნივთიერება და დეტონატორი, არის ოთხნაირი: მექანიკური ასაფეთქებელი მოწყობილობა, ელექტრო, ქიმიური და საათის მოწყობილობა.

ზემოაღნიშნულის გამო. როგორც წესი, შემთხვევის ადგილზე იძებნება ასაფეთქებელი მოწყობილობის ნაწილები, კაფსულ-დეტონატორის, ელექტრო-დეტონატორის, ელექტრო-სადენის, საათის მოწყობილობის, ცეცხლგამტარი ზონარის ან ლენტა, ელექტრო ბატარეის, ქიმიური ჭურჭლის და სხვათა ნამსხვრევები და ნარჩენები. სპეციალისტების დახმარებით შემთხვევის ადგილიდან ამოიღება მონახვეტი რაც გამოსაკვლევად გადაეცემა ექსპერტებს მასში ასაფეთქებელი მოწყობილობის მაკრო და მიკრო ნაწილაკების აღმოსაჩენად. გარდა ამისა, ნიმუშები აფეთქებაზე (ქიმიური და პიროტექნიკური ექსპერტიზისათვის) აიღება აფეთქების ცენტრიდან და მის ახლოს ვერტიკალურად მდებარე კედლებიდან, ან ასაფეთქებელი მასალის ჭურჭლის ნამსხვრევებიდან თუ კი ასეთი არსებობს.

აფეთქებით ჩადენილ მკვლელობების საქმეებზე, დამახასიათებელია აფეთქების შედეგად ნივთიერ მტკიცებულებათა შორს მანძილზე გადასროლა, რაც გათვალისწინებული უნდა იქნას აღნიშნული კატეგორიის საქმეებზე შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს.

ფეთქებადი ნივთიერების დადგენის შემდეგ, თუ კი ასაფეთქებელი ნივთიერება სტანდარტული იყო, მოწმდება ის ორგანიზაციები რომლებსაც ჰქონდათ ფეთქებადი ნივთიერებები და ის პირები, რომლებსაც, კავშირი ჰქონდათ ფეთქებადი ნივთიერების შენახვა, გადაზიდვისა და გამოყენებასთან. ამისათვის მნიშვნელობა აქვს ფეთქებადი ნივთიერების მარკირებულ სახვევების აღმოჩენას.

არასპეციალურ ფეთქებად ნივთიერების წყაროს დასადგენად მოწმდება ის ორგანიზაციები, სადაც შეიძლებოდა ბოროტმოქმედს ეშოვნა ფეთქებადი ნივთიერების შემადგენელი ელემენტები. ეჭვმიტანილი ბინაზე ტარდება ჩხრეკა ფეთქებადი ნივთიერების დამზადების შედეგად დარჩენილ კვლების აღმოსაჩენად.

5. მკვლელობა ელექტროდენით. ელექტროდენის წყაროს, გვამის ადგილიდან ახლოს აღმოჩენის შემთხვევაში ყოველთვის მოწმდება ვერსია. ხომ არ არის იგი დაღუპული ელექტროდენის მოქმედებით. ელექტროდენით დაღუპვის შემთხვევაში გვაქვს ორი ნიშანი: ა) მაღალი ძაბვის დენის მოქმედების შედეგად წარმოქმნილი დამწვრობა, რაც გამოწვეული იყო ელექტროდების მოქმედებით დიდ ფართობზე ან შედარებით დიდი დროის განმავლობაში. ბ) დენის მოქმედება პატარა ფართობზე მცირე დროის განმავლობაში.

ელექტროდენის მოქმედების ბუნებიდან გამომდინარე, ელექტროდების მოქმედების

შესავალი კვალის არსებობა თავისთავად მოწმობს მისი გამავალი კვალი აუცილებლობას. ელექტროდენის მოქმედების შედეგი ძირითადად დგინდება გვამის გული კუნთის ჰისტოლოგიური გამოკვლევით, ვინაიდან თუ ელექტროდენის ძაბვა შედარებით მაღალი არაა, მაშინ შესაძლებელია არ იყოს დენის მოქმედების გარეგნული ნიშნები (მითუმეტეს, თუ ელექტროდენის მოქმედება შედარებით დიდ ფართობზე იყო)

6. მკვლელობა ჩამოხრჩობით მკვლელობის ერთ-ერთი სახეა, რომელიც მდგომარეობს ადამიანის დახრჩობაში მისი ზედა სასუნთქი გზის ბაწრის მაგვარი საგნით გადაკეტვაში. ამ სახის მკვლელობისათვის დამახასიათებელია გვამის რაიმე მაღალ საგანზე ბაწრით ჩამოკიდება, როგორიცაა მაგალითად: ხის ტოტი, სახლის ძელი, კედელზე მიჭედებული ლურსმანი ანდა საწოლის თავიც კი. ნახევრად მწოლარე ჩამოხრჩობილი გვამების აბსოლუტური უმრავლესობა თვითმკვლელობებია, თუმხა გამორიცხული არაა მისი ინსცენირებაც. ჩამოხრჩობის შემთხვევაში ყურადღება უნდა მიექცეს ყელზე არსებული სტრანგულაციური ხაზის მიმართულებად ჩამოკიდების ადგილთან და ოთახში სადაც გვამი აღმოჩნდა.

ჩამოხრჩობილი გვამის აღმოჩენის შემთხვევაში საჭიროა დადგინდეს შემდეგი გარემოებები: ბაწრის მდებარეობა ყელზე და სტრანგულაციური ხაზის მიმართულება; კვანძები სახეობა; გვამზე არსებული დაზიანებები; ტანისამოსის მდგომარეობა, ფეხსაცმლის და წინდების ძირისა და შიდა ზედაპირის მდგომარეობა მისი დაჭუჭყიანების გამოკვლევის თვალსაზრისით; ფრჩხილების შიგთავსი და ტანისამოსი (მიკრონაწილაკების შემოწმება), პირის ღრუ და უკანა ტანის მდგომარეობა.

განსაკუთრებული შესწავლის საგანის ბაწარი და საგანი, რაზედაც გვამი იყო ჩამოკიდებული. თუ გვამი ჩამოხსნილი იყო საჭიროა გაირკვეს, შეეძლო თუ არა მას გაეძლო გვამის სიმძიმისათვის. სპეციალისტების მეშვეობით უნდა გაირკვეს: როგორია ბაწარზე ბოჭკოების მიმართულება და საკიდის ზედაპირის მდგომარეობა; ხომ არაა იგი მოხრჩობის შემდეგ გადაკიდებული; გვამის ჩამოკიდების ადგილზე არის თი არა რაიმე საყრდენი, რაზედაც მოკლული უნდა შემდგარიყო თავის თუ არა რაიმე საყრდენი, რაზედაც მოკლული უნდა შემდგარიყო თავის მარყუჟში გაყრის დროს.

ჩამოხრჩობილი გვამის აღმოჩენის შემთხვევაში გამომძიებელი აგებს და ამოწმებს ორ ვერსიას: მომხდარია მკვლელობა თუ თვითმკვლელობა.

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზამ უნდა გადაწყვიტოს გვამის სიკვდილის მიზეზი; მასზე არსებული დაზიანებები, სიკვდილის დადგომის მომენტ, გვამის მდებარეობის შეცვლის ფაქტი და სხვა.

აღნიშნულის გასარკვევად გამომძიებელი აღწერს სტრანგულაციური კვალის: მიმართულებას, სიფართეს, სიგრძეს, ფერს. ბაწრის ანაბეჭდს, გვამური ლაქების განაწილებას, ფერს და უნებლიე გამონაყოფის არსებობას.

როგორც წესი, გვამის ტანისამოსი ამოიღება მიკრონაწილაკებზე ექსპერტიზის ჩასატარებლად და შემდგომში ეჭვმიტანილი პირის დადგენასთან დაკავშირებით მის ტანისამოსზე შესადარებლად.

პრაქტიკაში არის ხოლმე შემთხვევები, რომ არ ატარებენ მიკრონაწილაკებზე ექსპერტიზას იმის გამო. რომ არა ყავთ ეჭვმიტანილი, რაც სწორი არაა.

7. მკვლელობა მოწამვლით. მოწამვლით მკვლელობას ისე, როგორც სხვა მეთოდით მომხდარ მკვლელობების საქმეთა გამოძიებად ახასიათებს თავისებურება.

ადამიანის მოწამვლას შეიძლება ჰქონდეს უნებლიე ან განზრახვითი ხასიათი, ხოლო საწამლავთა რაოდენობა კი ძალზე ბევრია. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს ადგილზე არსებული წამლების, წამლების ბოთლების, ამ თუ დასახლებისა და რაოდენობის ფიქსირებას. შემთხვევის ადგილიდან გარდა აღნიშნულისა ამოიღება ლაქები როგორც გვამიდან, მისი ტანისამოსიდან, ასევე მის ახლოს მდებარე საგნებიდანაც. ყურადღება ექცევა გვამის კანისა და ლორწოვანის დამწვრობას, ფიქსირდება აგრეთვე დამახასიათებელი სუნის არსებობს, გვამური ლაქების თავისებურება, ამოიღება გულნარევი მასა და სისხლი.

საწამლავების სიმრავლის გამო, გამომძიებელი ექსპერტის წინაშე სვამს საკითხს არა ზოგადად, თუ რომელი საწამლავითაა მომხდარი მოწამვლა, არამედ ჩამოთვლის სავარაუდო საწამლავებს. გარდა ოფიციალური მომწამვლელი ნივთიერებებისა არის ისეთი წამლები, რომელთა მოქმედების შედეგიც დამოკიდებულია მათი მიღების დღიურ ნორმაზე და პიროვნების წონაზე, მის ფიზიოლოგიაზე.

ასევე, უნდა აღვნიშნოთ ცალკეული პირების ალერგიული დამოკიდებულება ზოგიერთ წამლის მიმართ, რასაც ზოგჯერ მომაკვდინებელი შედეგი მოსდევს. მოწამვლით მომხდარ მკვლელობის საქმეზე უნდა დადგინეს შემდეგი გარემოებანი: რით იყო დაავადებული დაზარალებული, რა წამლებს ღებულობდა, რა დოზით და რა შუალედებით; ვარგისი იყო თუ არა წამალი, ვინ აძლევდა მას წამლებს, რით არის მოწამლული; როგორ ურთიერთობაში იყო ოჯახის წევრებთან; ვის შეეძლო მისი მოწამვლა, ვის ჰქონდა მისი ინტერესი; სწორი იყო თუ არა მკურნალობა და სხვა.

მოწამვლის საქმეთა გამოძიების დროს შეიძლება დაინიშნოს: სასამართლო-სამედიცინო, ფარმაკოლოგიური, ქიმიური, აქტივაციური და სხვა ექსპერტიზები.

ექსპერტიზისათვის მასალების მომზადებისათვის გამომძიებელს დახმარებას უწევს სპეციალისტ, რომელიც ადგენს თუ გამოსაკვლევად გვამის რა ნაწილი უნდა გადაეცეს ექსპერტს. ამ საკითხის გადაწყვეტა საჭიროა იმიტომ, რომ ადამიანის სხეულში საწამლავები სხვადასხვანაირად ნაწილდება, ზოგი ქრება, ზოგი გამოიყოფა დროთა განმავლობაში, ზოგის ადამიანის სხეულის მოლოდ განსაზღვრულ ადგილში რჩება და სხვა.

8. მკვლელობა დაწვით. ხანძრის დროს ნადგურდება კვლების უმეტესობა, მაგრამ არამთლიანად, თუ კი ადგილი არა აქვს ხანძრისაგან შენობის ან გვამის მთლიანად დაწვასა და განადგურებას.

ხანძრის შემთხვევაში აუცილებლად საჭიროა შემთხვევის ადგილის დათვალიერებაში მონაწილეობა მიიღოს სახანძრო დარგის, გაზის. ელექტრო საქმის სპეციალისტებმა, რომლებიც გამომძიებელს ეხმარებიან ისეთი სპეციალური საკითხების დადგება-გადაწყვეტაში, როგორიცაა: ხანძრის სავარაუდო კერა, მისი რაოდენობა, ადგილი და ხანძრის გაჩენის მოდელი. დათვალიერებით უნდა დადგინეს რით იყო მიტანილი საწვავი, ყურადღება უნდა მიექცეს ხანძრისაგან დამწვარ პლასტმასის ჭურჭლის ნარჩენების არსებობას და საექსპერტიზო ნიმუშების სწორად აღებას.

მეხანძრეები, გარდა იმისა, რომ წყლით (უმეტეს შემთხვევაში) აქრობენ ხანძარას, ისინი უნებლიეთ ანადგურებენ კვლებს, წყლის ჭავლით გადააადგილებენ კიდეც

ოთახში არსებულ ნივთებს, რაც ართულებს კვალის აღმოჩენასა და ფიქსაციას. მაღალი ტემპერატურის შედეგად გვამის დამწვრობისათვის დამახასიათებელია სისხლის გამოუდენლეობა, თუ კი მიყენებული არ იყო ჭრილობა.

გვამის გამოკვლევის დროს საჭიროა აღებულ იქნას ნაცხი საშოდან და უკანა ტანიდან, მისი შემდგომი გამოკვლევისათვის, ხოლო ფრჩხილების შიგთავსი ამოიღება მასში არსებული მიკრონაწილაკების გამოსაკვლევად, ეჭვმიტანილთან კონტაქტის დასადგენად. შიგთავსში, გარდა ქსოვილის ბოჭკოებისა და მიკრონაწილაკების აღმოჩენისა შეიძლება აღმოჩნდეს ადამიანის კანის უჯრედი ან თმა, რაზეც ტარდება ბიოლოგიური და ციტოლოგიური ექსპერტიზა და ვღებულობთ საჭირო ინფორმაციას.

დაწვით ადამიანის სისცოცლის მოსპობა მკვლელობის ხერხს წარმოადგენს. ხანძრის მიზეზი შეიძლება იყოს გასათბობი საშუალება, ელექტრო გასათბობი საშუალება, ელექტროაპარატურა, ელექტროგაყვანილობა, სიგარეტი და ასანთი, გაზი, აალებადი ნივთიერებები, ფეთქებადი ნივთიერებები, თვითჩახურება, მზის სხივი, ელექტრო მუხტი, ხახუნი, ნაპერწკალი და სხვა. ხანძრის აღნიშნული შესაძლო მიზეზები შეიძლება იყოს როგორც უნებლიე, ასევე განზრახვითი. ადამიანის დაწვის ყოველი მიზეზი დადგენილ უნდა იყოს გამოძიების პროცესში.

გამოყენებული ლიტერატურა:
კრიმინალისტიკა, სახელმძღვანელო II ტომი - (1995 წელი).

მკვლელობის შემთხვევის ადგილი

/გია დეკანოზიშვილი/
/ირაკლი ჯიშკარიანი/

1. შემთხვევის ადგილის დათვალიერების თავისებურებები

შემთხვევის ადგილის დათვალიერება ერთერთი უმთავრესი საგამოძიებო მოქმედებაა. შემთხვევის ადგილის დათვალიერება, ორგანიზაციის მიხედვით, იწყება შეტყობინებით მომხდარი ფაქტის შესახებ და მისი მთელი პროცესი შეიძლება დავყოთ 3 საფეხურად: 1. შეტყობინების მიღება მომხდარი ფაქტის შესახებ, 2. ორგანიზაცია შემთხვევის ადგილზე, დათვალიერების დაწყებამდე და 3. უშუალოდ შემთხვევის ადგილის დათვალიერება. შემთხვევის ადგილის დათვალიერება იყოფა ორ ნაწილად: სტატიკურად და დინამიკურად. სტატიკური დათვალიერება გულისხმობს მკვლელობის ადგილის დათვალიერებას მისი ყოველგვარი ცვლილების გარეშე, რასაც წინ უსწრებს გამომძიებლის ხანმოკლე ადაპტაცია.

გამომძიებელი სტატიკური დათვალიერების დროს რეკომენდებულია შემთხვევის ადგილის სქემის შედგენა, რაც შემდგომში აადვილებს შემთხვევის ადგილის დეტალურ დათვალიერებას მისი მოდელირების მიზნით.

სტატიკური დათვალიერება აუცილებელია, ვინაიდან გარდა იმისა, რომ ხდება შემთხვევის ადგილის თავდაპირველი მდგომარეობის ფიქსირება, საჭიროა გამომძიებელმა ნახოს გვამი და ორიენტირი აიღოს მის კვლებზე, რომლებიც გვამთანაა და განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილოს მათზე დინამიური დათვალიერების დროს. გარდა ამისა სტატიკური დათვალიერების დროს გამომძიებელს ექმნება წინასწარი მოსაზრება მკვლელობის იარაღზე და მკვლელობის ჩადენის ხერხზე და გარემოებაზე.

შემთხვევის ადგილის სტატიკური დათვალიერების საფუძველზე ხდება დათვალიერების ტაქტიკური ხერხის შერჩევა, როგორიცაა: დათვალიერების დაწყება ცენტრიდან (გვამიდან) ან პერიფერიიდან, როგორც წესი მკვლელობის დროს შემთხვევის ადგილის დათვალიერება იწყება გვამიდან.

შემთხვევის ადგილის დინამიკური დათვალიერება გულისხმობს მკვლელობის ფაქტთან დაკავშირებულ კვალთა, ნივთმტკიცებათა დაწვრილებით დათვალიერებად, ტვიფრების დამზადებას და დათვალიერების შედეგების დაწვრილებით აღწერას ოქმში. შემთხვევის ადგილზე ყველა ნივთები და კვლები, გარდა მათი ზომებისა აღინიშნება მათი მდებარეობის კოორდინატების მიხედვით, რაც შემდგომში შემთხვევის ადგილის სურათის აღდგენის საშუალებას იძლევა.

აღნიშნული საკითხი გამომძიებელმა თვითონვე უნდა გადაწყვიტოს კონკრეტულ გარემოებათა გათვალისწინებით, ამასთანავე დაცული უნდა იქნას კვალის დატოვების შესაძლო ფართობი, რისთვისაც გამომძიებელი არ უნდა შემოიფარგლოს მცირე ფართობით და გაითვალისწინოს რეალური გარემოება. დღესდღეობით შემთხვევის ადგილის განსაზღვრა შემდეგნაირად ხდება: შემთხვევის ადგილის ცენტრიდან, რომლადაც ითვლება გვამი, იზომება მანძილი ყველაზე შორს მდებარე ნივთმტკიცებამდე და მას ემატება ამ მანძილის ნახევარი, მაგალითად თუ გვამიდან ყველაზე შორს მდებარე

ნივთმტკიცებამდე მანძილი არის 30 მეტრი მაშინ 30 მეტრს უნდა დავუმატოთ მისი ნახევარი ანუ 15 მეტრი და შემთხვევის ადგილის რადიუსიც იქნება 45 მეტრი, იმ შემთხვევაში თუ გვამი აღმოჩენილია საცხოვრებელ ბინაში შემთხვევის ადგილად აღიქმება მთლიანად ბინა.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს გამომძიებელი აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების ერთპიროვნული ხელმძღვანელია. შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს მისმა მონაწილეებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ შემთხვევის ადგილზე არ დატოვონ თავიანთი კვალი ან არ დააზიანონ არსებული კვალი. გამომძიებელმა არ უნდა დაუშვას რომ პერიმეტრის შიგნით არ იმყოფებოდნენ საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე პირებს გარდა სხვა პირები, გაკონტროლებულ უნდა იქნეს შემთხვევის ადგილზე მყოფი ყველა პირი, რათა არ მოხდეს ნივთმტკიცებების შეცვალა, განადგურება ან გადამალვა რათა მაქსიმალურად მოხდეს შემთხვევის ადგილზე დატოვებული კვლების შენარჩუნება და მათი სათანადო წესით ამოღება-ფიქსაცია, ასევე ცუდი კლიმატური პირობების დროს როგორიცაა მაგალითად თოვლი, წვიმა ან მზე და ამის გამო არსებობს იმის საშიშროება რომ კვლები განადგურდეს უზრუნველყოფილ უნდა იქნეს მათი დაცვის დამატებითი ღონისძიებები, ასეთი ქმედება შეიძლება იყოს წყალგაუმტარი მასალის გადაფარება, მათ ამოღება-ფიქსაციამდე.

შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას გასათვალისწინებელია რომ შემთხვევის ადგილის განსაზღვრის შემდეგ აუცილებელია მოხდეს მისი შემოფარგვლა, ამკრძალავი ლენტის, დამცავი ჯებირის ან ცოცხალი ძალის გამოყენებით.

გვამის აღმოჩენის ადგილის დათვალიერება და მკვლელობის ადგილის დათვალიერება ცალ-ცალკე საგამოძიებო მოქმედებებია, მაგრამ მათი ერთად არსებობის შემთხვევაში ხდება ერთიანი საგამოძიებო მოქმედება და დგება შემთხვევის ადგილის და გვამის დათვალიერების ერთიანი ოქმი. თუმცა გვამის დათვალიერებას გააჩნია შემთხვევის ადგილის დათვალიერებისაგან განსხვავებული თავისებურება, რასაც ცოტა მოგვიანებით შევეხებით. შემთხვევის ადგილის დათვალიერება იყოფა ორ ნაწილად: სტატიკური და დინამიურად. სტატიკური დათვალიერება გულისხმობს მკვლელობის ადგილის დათვალიერებას მისი ყოველგვარი ცვლილების გარეშე, რა დროსაც ხდება შემთხვევის ადგილის თავდაპირველი მდგომარეობის ფიქსაცია, იგი ასევე საშუალებას გვაძლევს ორიენტირი აიღოს გამომძიებელმა გვამის ირგვლივ არსებულ კვლებზე და ყურადღება გაამახვილოს მათზე დინამიური დათვალიერების დროს. დინამიკური დათვალიერება გულისხმობს მკვლელობის ფაქტთან დაკავშირებული კვლების ნივთმტკიცებების დეტალურად, დაწვრილებით დათვალიერებას, მათ აღწერას, ტვიფრების, ნიმუშების აღებას.

შემთხვევის ადგილის ფართობის განსაზღვრის შემდეგ იგი უნდა დათვალიერდეს გულდასმით, არ უნდა დაგვავიწყდეს რომ შემთხვევის ადგილის პირველადი დათვალიერების შესაძლებლობა გამომძიებელს მხოლოდ ერთხელ ეძლევა, რათა მოხდეს ყველა დატოვებული კვლის და ნივთმტკიცების აღმოჩენა, რის შემდეგაც სასურველია თითოეული ასეთი ადგილის მონიშვნა, როგორც წესი ეს ხდება შემოხაზვით ან პატარა ზომის დროშების ასეთ ადგილას ჩარჭობით, რათა ოქმის შევსების და მათი ფიქსაციის დროს არ მოხდეს რომელიმე მათგანის გამორჩენა, ასევე ყველა ნივთიერ მტკიცებულებას უნდა მიენიჭოს თავისი ნომერი, მკვლელობის დროს ნომერ პირველ ობიექტად გვამი მოიაზრება.

შემთხვევის ადგილის დათვალიერებას როგორც წესით ვიწყებთ გვამიდან, რა დროსაც მაქსიმალურად დეტალურად უნდა იქნეს განსაზღვრული მისი ადგილმდებარეობა, დეტალურად უნდა იქნეს აღწერილი თუ რა არის მის ირგვლივ განლაგებული, რა მანძილითაა გვამი მისგან დაშორებული, ასევე რა მიმართულებით ასვენია იგი, რომელ მხარეს აქვს თავი, ფეხები, ხელები, მაგალითად გვამი ასვენია კორპუსის წინ უნდა იქნეს მითითებული რომელი კორპუსის, რომელი სადარბაზოს წინაა იგი დასვენებული, რა მიმართულებითაა, პარალელურად, ჰორიზონტალურად, რამდენია დაშორება გვამსა და კორპუსს შორის, ასევე რა მანძილითაა მისი ცალკეული ორგანოები დაცილებული, გვამის მდგომარეობის და დასვენების მიმართულების განსაზღვრისას ასევე მიეთითება ჰორიზონტის რომელ მხარესაა გვამის თავი, ფეხები, ხელები, ფიქსირდება რაზე ასვენია გვამი, იქნება ეს მოასფალტებული ზედაპირი, გრუნტი, ხის ზედაპირი თუ სხვა რამ. ასევე მნიშვნელოვანია დაწვრილებით, აღიწეროს გვამის ტანსაცმელი, რა აცვია რა ფერის, რა ფირმის რა მდომარეობაშია, არის დასვრილი თუ სუფთა, აღენიშნება თუ არა რაიმე სახის დაზიანებები, დადებით შემთხვევაში რა სახის, რა ფორმის, რა რაოდენობით,

(მიკრონაწილაკები, ექსპერტიზები, ტანსაცმლის ამოღება მკვლელობის ადგილის და გვამი აღმოჩენის ადგილის განსაზღვრა)

შემდეგ ხდება გვამის ირგვლივ განლაგებული საგნების, დატოვებული კვლების, ნივთმტკიცებების აღწერა, ამოღება და ფიქსაცია. ესენიც აღიწერებიან ინდივიდუალურად, დეტალურად როგორია რა ფორმის, რა ზომის, რა მდგომარეობაშია, აღინიშნება თუ არა მასზე რაიმე კვალი, რა ფირმისაა, თუ სად არის თითოეული მათგანი განთავსებული, რა მდგომარეობაში, გვამიდან რა მიმართულებითა არიან განლაგებულნი

როგორც წესი შემთხვევის ადგილზე თუ არის საშუალება სუნის კვლის აღებისა, ვინაიდან რიგ შემთხვევებში ეს შეუძლებელია სხვადასხვა მიზეზების გამო როგორიცაა, ცუდი ბუნებრივი პირობები, დანაშაულის ჩადენიდან გასულია დიდი დრო. პირველად შემთხვევის ადგილზე ექსპერტებიდან მუშაობას იწყებენ კინოლოგები რათა მოხდეს სუნის ნიმუშის აღება და სანამ კინოლოგები არ მორჩებიან მუშაობას სასურველია შემოფარგლულ, დაცულ ტერიტორიაზე მყოფ პირთა რაოდენობა მინიმუმადე იქნეს დაყვანილი, რომ არ მოხდეს შემთხვევის ადგილზე დატოვებულ სუნის კვლების განადგურება ან სხვა სუნის კვლებში არევა. სუნის ნიმუშის აღების ადგილის შერჩევისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ის, რომ ასეთი ადგილთან შეხება უნდა ქონოდა აუცილებლად დამნაშავეს, მაგალითად უნდა მდგარიყო ან მჯდარიყო იმ ადგილას და მის შემდეგ ასეთ ადგილთან იმისთვის რომ მაქსიმალურად თავიდან იქნეს აცილებული რაიმე უზუსტობა ასევე აღნიშნულ ქმედებას მაქსიმალური შედეგი მოყვეს საჭიროა, რომ აღნიშნულ ადგილთან შეხება არ ქონდეს სხვა პირებს, გარდა იმ ადგილისა სადაც დამნაშავე იდგა ან იჯდა სუნის კვლები შეიძლება აღებულ იქნეს მისი ნახმარი ნივთებიდან, ან ტანსაცმლიდან, ასეთები შეიძლება იყოს ცხვირსახოცი, ქუდი, ტანსაცმლის ფრაგმენტი მსგავსი ნივთების არსებობა ხშირია შემთხვევის ადგილზე, განსაკუთრებით მაშინ როდესაც მოკლულს და დამნაშავეს შორის ადგილი ქონდა ფიზიკურ შეხებას, მათ შორის ორთაბრძოლას, შეხლა-შემოხლას და მკვლელობის შემდეგ დამნაშავე იძულებული იყო სწრაფად გასცლოდა შემთხვევის ადგილს. აღებულ სუნის კვლებზე ხდება სამძებრო ძაღლის გაშვება, ხოლო სუნის კვლები ილუქება შესაბამისი წესით ექსპერტების მიერ ისე რომ არ მოხდეს მათი დაზიანება და

ინახება საექსპერტო დაწესებულებაში შემდგომი კვლევისთვის, ვინაიდან დამნაშავის დაკავების შემთხვევაში მოხდეს შემთხვევის ადგილიდან აღებული სუნის კვალის და დაკავებული პირის სუნის კვალის ერთმანეთთან შედარება. სუნის კვალის შედარება შესაძლებელია როგორც დაკავებული პირის სუნის კვალთან ასევე გამოძიების პროცესში გამოვლენილ ოპერატიულად საინტერესო პირის სუნის კვალთან.

შემთხვევის ადგილზე გვამის დათვალიერება ხდება სასამართლო სამედიცინო ექსპერტის მონაწილეობით, რომელიც დეტალურად აღწერს გვამის მდგომარეობას, თუ რა პოზაშია იგი, როგორია სხეული განლაგება, გაშეშების ხარისხს, გვამურ ლაქებს, რაც მეტად მნიშვნელოვანია იმის დასადგენად პიროვნება ამ პოზაში გარდაიცვალა თუ შემდეგ მოხდა მასზე რაიმე სახის ზემოქმედება, თუ რა დაზიანებები აღენიშნება გვამს ვიზუალურად, რა რაოდენობით, დაზიანების სახეს, ჭრილობის სისქეს, სიგანეს, სიღრმეს, გვამურ ლაქებს, მაგრამ ამით არ მთავრდება გვამის გამოკვლევა, შემთხვევის ადგილზე გვამთან დაკავშირებულ ყველა საჭირო ქმედების და საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შემდეგ, ხდება გვამის მდგომარეობის დაფიქსირება შემოხაზვით ისე როგორც იგი შემთხვევის ადგილზე ასვენია ხოლო გვამის გადასვენება ხდება პროზექტურაში, სადაც ხდება მისთვის ექსპერტიზის ჩატარება, საიდანაც უნდა დადგინდეს თუ რა ხარისხის, რა სახის, დაზიანებებია მიყენებული გვამზე, რა რაოდენობით, როგორია დაზიანების კუთხე, მიმართულება, რა არის სიკვდილის მიზეზი, მრავლობითი დაზიანებების დროს კონკრეტულად რომელია უშუალოდ სიკვდილის გამომწვევი მიზეზი, თუ მიყენებული ჭრილობებიდან ინდივიდუალურად არცერთი არ არის სიკვდილის მიზეზი, მაშინ ხომ არ შეიძლება მიყენებული ჭრილობების ერთობლიობა იყოს სიკვდილის გამომწვევი მიზეზი, როგორ პოზაში იყო გარდაცვლილი ტრამვის მიყენების მომენტში, ხომ არ შეიცვალა გვამის მდგომარეობა სიკვდილის შემდეგ, მიყენებული დაზიანებების შემდეგ შეეძლო თუ არა რაიმე მოქმედების შესრულება (გადაადგილება ყვირილი), რომელი დაზიანებებია მიყენებული სიცოცხლის პერიოდში და რომელი სიკვდილის დადგომის შემდეგ, გვამზე მიყენებული ჭრილობების რაოდენობა ემთხვევა თუ არა ტანსაცმელზე მიყენებულ დაზიანებების რაოდენობას, შეინიშნება თუ არა გვამზე წინააღმდეგობის, შებრძოლების კვალი, აიღება მისგან სისხლი ნიმუშები, ხდება შემოწმება იყო თუ არა გარდაცვლილი ალკოჰოლური ან ნარკოტიკული თრობის ქვეშ, რა ასაკის იყო გარდაცვლილი, იყო თუ არა მის ორგანიზმში რაიმე მომწამვლელი ნივთიერება, დგინდება იყო თუ არა რამით დაავადებული, ვინაიდან მართალია ძალიან იშვიათად, მაგრამ გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა გარდაცვლილი მძიმედ არის დაავადებული უკურნებელი სენით, განიცდის ძლიერ სულიერ ტკივილს და დამნაშავე მის მიერ ჩადენილ საქციელს სწორედ იმით ხსნის, რომ სურდა მისი ძლიერი ტკივილებისგან დახსნა, ან აცხადებს რომ, თვით გარდაცვლილის თხოვნით ჩაიდინა ეს ქმედება, ვინაიდან მისთვის აუტანელი იყო ასეთ მდგომარეობაში ყოფნა, ასევე როცა არის იმის ეჭვი რომ გარდაცვლი შეიძლებოდა ყოფილიყო სექსუალური ძალადობის მსხვერპლი, ხდება იმის დადგენა ჰქონდა თუ არა სიკვდილის დადგომამდე ან მის შემდეგ, გარდაცვლილს რაიმე სახის სექსუალური კავშირი და ხდება ნაცხის ნიმუშის აღება ბრალდებულის ნაცხის ნიმუშთან შესადარებლად, ასევე ხდება მისი ფრჩხილის ნიმუშების აღება შემდგომი კვლევისთვის, თმის ნიმუშების აღება, ასევე იმის დასადგენად რომ გარდაცვლის ქონდა, თუ არა იარაღი და მოახდინა, თუ არა გასროლა გარდაცვლილისგან აღებულ უნდა იქნეს

ანაწმენდები, რათა დადგინდეს აღენიშნება, თუ არა მას დენთის კვალი, ვინაიდან გასროლის შედეგად ადამიანის სხეულზე რჩება დენთის კვალი

შემთხვევის ადგილზე შეიძლება აღმოჩენილ იქნას სისხლის შემდეგი სახის კვლები: სისხლის გუბე, რომელიც აღინიშნება ორი ზომით - სიგრძითა და სიგანით. სისხლის წვეთები, რომლებიც არის წრიული, წაგრძელებული – მსხლისებრი ფორმის და წანაცხები. წრიულის დროს იწერება დიამეტრის ზომა, წაგრძელებულის სიფართე, სიგრძე და წაგრძელებული ნაწილის მიმართულება, წანაცხების სიგრძე და სიფართე, თუ კი საერთოდ მცირე სიდიდის კვლები ბევრია და მის დათვლას აზრი არა აქვს, გარდა მათი აღწერისა აღინიშნება, მისი ინტენსივობის მიმართულება და იმ ფართობის საზღვრები, სადაც არის კვლები.

სისხლის გუბის არსებობის შემთხვევაში, გარდა სისხლის ზედაპირის სიგრძე-სიგანისა, იწერება თუ როგორ ზედაპირზეა იგი. თუ საგანი, რაზეც სისხლის კვალია, - შემწოვია, დამატებით იწერება სისხლით გაჟღენთილი სიღრმის ზომა, რაც აუცილებლად საჭიროა დაღვრილი სისხლის რაოდენობის განსაზღვრისათვის.

ამოღებულ უნდა იქნეს მისი ნიმუშები, თუ სისხლი დაღვრილია ან დაწვეთებულია რაიმე საგანზე სასურველია ამოღებულ იქნეს მთლიანად საგანი, რათა მოხდეს შემდგომ სრულყოფილი ბიოლოგიური ექსპერტიზის ჩატარება სადაც შესაძლებელი იქნება დადგინდეს: მოცემულ საგანზე დატოვებული მუქი ფერის ლაქები სისხლია, თუ სხვა ნივთიერება, ცხოველს ეკუთვნის იგი, თუ ადამიანს, რომელ ჯგუფს და ტიპს მიეკუთვნება, მოცემული სისხლის ნიმუში ემთხვევა, თუ არა გვამის სისხლის ჯგუფს, ადამიანის სხეულის რომელი ორგანოდანაა იგი გამონადენი, სისხლი ბავშვისაა თუ მოზრდილი ადამიანის, თუ მოცემულ საგანზე არ აღინიშნება სისხლის კვალი შეიძლებოდა, თუ არა მისი გაქრობა გარკვეული დროის გასვლის შემდეგ მოცემულ პირობებში, არის ტუ არა სისხლში ალკოჰოლი დადებით შემთხვევაში რა რაოდენობით, აღინიშნება თუ არა მასში მოწამვლის კვალი, მოძრაობდა თუ არა პირი, რომლის სხეულიდანაც მოდიოდა სისხლი და თუ მოძრაობდა, რა მიმართულებით და რა სისწრაფით, რა სიმაღლიდანაა საგანზე სისხლი დაწვეთებული, შემთხვევის ადგილზე არსებული სისხლის რაოდენობის მიხედვით, როგორი ინტესივობით წარმოებდა სისხლდენა, სისხლის ლაქების ხასიათისა და განლაგების მიხედვით როგორ მდგომარეობაში იმყოფებოდა პირი (დამჯდარი, ფეხზე მდგარი, მწოლიარე...) როდესაც მიაყენეს დაზიანებები, ასევე რა ადამიანი სხეულზე რა მექანიზმის ზემოქმედებამ გამოიწვია შემთხვევის ადგილზე მოცემული სისხლის კვლის დატოვება.

შემთხვევია ადგილზე თუ აღმოჩენილია ცეცხლსასროლი იარაღი პირველ რიგში უნდა მოხდეს იმის დადგენა, არის თუ არა იგი საბრძოლო მდგომარეობაში მოყვანილი, რათა თავიდან იქნეს აცილებული რაიმე სახის გაუგებრობა, ამის შემდეგ უნდა მოხდეს მისი რაც შეიძლება დეტალური ადგილმდებარეობის განსაზღვრა და აღწერა გვარეობითი ნიშნებით, ვინაიდან დადგინდეს აღმოჩენილი იარაღი ეკუთვნოდათ გარდაცვლის თუ დამნაშავეს, იარაღის სწორი და ზუსტი ადგილმდებარეობის, მისი მიმართულების დადგენა კი დაგვეხმარება აღნიშნული საკითხის დადგენაში, კერძოდ გვამის მდგომარეობის და იარაღის მდებარეობის ურთიერთ მიმართებით ექსპერტებს შეუძლია გვითხრან შესაძლებელია თუ არა შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი იარაღი ეკუთვნოდეს გარდაცვლის. გარადა იარაღისა ასევე დეტალურად უნდა აღიწეროს, თუ სად და რა მგომარეობაში იქნა აღმოჩენილი ტყვიის გულები და მასრები, კონკრეტუ-

ლად განისაზღვროს თითოეული ტყვიის ადგილმდებარეობა ისინი შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას უნდა დაინომრონ ცალ-ცალკე რათა არ მოხდეს მათი ერთმანეთში არევა, რაც ხელს შეუშლის შემდგომ ზუსტად დადგინდეს ტყვიის ფრენის ტრაექტორია. ამოღებულ ცეცხლსასროლ იარაღზე, ტყვიებზე, მასრებზე და ტყვიის გულებზე უნდა დაინიშნოს ბალისტიკური ექსპერტიზა სადაც დგინდება: წარმოდგენილი ნივთი წარმოადგენს თუ არა ცეცხლსასროლ იარაღს, დადებით შემთხვევაში რა წესითაა იგი დამზადებული, ვარგისია თუ არა იგი სროლისთვის, თუ უვარგისია რა არის ამის მიზეზი, ხო მარ აქვს ცეცხლსასროლ იარაღს რომელიმე ნაწილი გამოცვლილი, რომელი ყალიბის და რა სისტემისაა იგი, შესაძლებელია თუ არა მოცემული იარაღიდან თვით გავარდნა, კონკრეტული იარაღიდან არის თუ არა გასროლილი მოცემული ტყვიის გალა (მასრა), როგორია გამოსაკვლევად წარმოდგენილი იარაღის მოქმედების სასიკვდილო მანძილი. ამოღებული ვაზნებით შესაძლებელია დავადგინოთ: ვარგისია თუ არა გასროლისთვის, რა სახეობისაა ვაზნა, დამზადებულია თუ არა ქარხნული წესით, ერთგვაროვანია თუ არა ისინი და რომელი სახეობის იარაღიდან არის შესაძლებელი წარმოდგენილი ვაზნების გასროლა. შემთხვევის ადგილიდან ამოღებული გასროლილი ტყვიის, საფანტის, დენთის, საფანტის და ფისტონის გამოკვლევისას შესაძლებელია დავადგინოთ: რომელი სისტემის, სახის, მოდელის, იარაღიდანაა გასროლილი ტყვია, რა სახეობის ვაზნის ნაწილია ტყვია, არის თუ არა ლითონის ნაწილი ტყვია, ხომ არ განიცადა ასხლეტა წარმოდგენილმა ტყვიამ, რა მიზეზით მოხდა ტყვიის დეფორმაცია, არის თუ არა წარმოდგენილი ტყვია და მასრა ერთი ვაზნის შემადგენელი, რა სახის დენთით იყო დატენილი გამოსაკვლევი ტყვია და დენთი. მასრის გამოკვლევით დგინდება ხო მარ არი იგი გასროლილი შეუსაბამო იარაღიდან მაგალითად მეტი ან ნაკლები ყალიბის იარაღიდან, პირველი გასროლის შემდეგ განმეორებით ხო მარ არის გამოყენებული მოცემული მასრა, რა დრო არის გასული მასში დენთის აფეთქებიდან, რომელი სახეობის იარაღიდანაა ამოგდებული მოცემული მასრა. გარდა ზემოთ აღნიშნულისა უნდა მოხდეს მათი უკვე არსებულ მასროთეკასთან შედარება, რათა დადგინდეს ხომ არ არის აღნიშნული იარაღით სხვა დანაშაული ჩადენილი დადებით შემთხვევაში ძველი დანაშაულის და ჩვენი გამოსაძიებელი დანაშაულის შეჯერებამ შესაძლებელია გარკვეული შედეგი გამოიღოს და გაადვილოს, როგორც ერთი ისე მეორე დანაშაულის გახსნა. ასევე უნდა გაირკვეს ხომ არ არის ვინმეზე რიცხული ამოღებული იარაღი, დადებით შემთხვევაში გადამოწმებულ უნდა იქნეს ასევე ხო არ იძებნება სამართალდამცავი ორგანოების მიერ აღნიშნული იარაღი და სასწრაფოდ უნდა იქნეს მოძიებული მისი მფლობელი რომელიც იმ შემთხვევაში თუ გამოირიცხა რომ არ არის დამნაშავე მოგვაწოდებს ინფორმაციას ვის შეიძლებოდა ესარგებლა მისი იარაღით, ან თუ დაკარგული აქვს სად და რა ვითარებაში, აქვს თუ არა ამის შესახებ განცხადებული პოლიციაში, თუ არა რატო, რასაც ასევე დიდი დახმარების გაწევა შეუძლია გამოძიებისთვის.

შემთხვევის ადგილზე ასევე შესაძლებელი აღმოჩენილ იქნეს თითის კვლებიც რომელიც პირველ რიგში იდეალური საშუალებაა პიროვნების იდენტიფიკაციისთვის და წარმოადგენ უტყუარ მტკიცებულებას იმისა რომ პიროვნება ვისაც იგი ეკუთვნის ნამდვილად არის ნამყოფი იმ ადგილას და ქონდა შეხება იმ საგანთან საიდანაც თითის კვალი იქნა ამოღებული. გარდა თითის კვლისა შემთხვევის ადგილზე ასევე შესაძლებელია აღმოჩენილ იქნას ფეხის კვალიც რომელიც გარდა იმისა რომ წარ-

მოადგენ შესადარებელ მასალას კონკრეტულ პირთან, მისი მასზე ტრასოლოგიური ექსპერტიზის დანიშვნით ასევე შესაძლებელია დადგენილ იქნეს მისი დამტოვებელის მახასიათებელი ნიშნებიც, როგორიცაა მაგალითად მისი სავარაუდო სიმაღლე, სქესი, წონა და სხვა.

პრაქტიკაში არსებობს ისეთი შემთხვევებიც როდესაც დანაშაულის ჩასადენად, ჩვენს შემთხვევაში მკვლელობის ჩასადენად დამნაშავეს უწევს ბინაში, საცავში ან რაიმე სხვა შენობაში თუ დახურულ სივრცეში შეღწევა, ასეთ დროს აუცილებელია დეტალურად იქნეს დათვალიერებული შეღწევის ადგილი იქნება ეს კარი ფანჯარა თუ სხვა რამ ვინაიდან გატეხვის იარაღთა და ხელსაწყოთა მიხედვით ტრასოლოგიური ექსპერტიზით შესაძლებელი დადგენილ იქნეს შემდეგი: რა ხერხითაა გაღებული საკეტი, ხო მარ არის საკეტი მორგებული გასაღებით გაღებული, გატეხილი იყო ტუ არა საკეტი, რა მინიმალური დროა საჭირო მოცემული საკეტის გატეხვისთვის, რომელი მხრიდა არის გატეხილი ან გაღებული იგი, კონკრეტულად რომელი ხელსაწყო იყო გამოყენებული ბოქლომის ან საკეტის გასატეხად ან გასაღებად.

ასევე ტრასოლოგიური ექსპერტიზის ჩატარებით შესაძლებელია დადგენილ იქნეს გვამის ხელში აღმოჩენილი ქსოვილის ნაჭერი არის თუ არა ბრალდებულის ბინიდან ამოღებული ტანსაცმლის შემადგენელი ნაწილი, ასევე შემთხვევის ადგილზე დატოვებული ლიტონის ან სხვა რაიმე საგნის ნამსხვრევები ბრალდებული ბინიდან ამოღებული საგნის შემადგენელი ნაწილი.

ამრიგად შემთხვევის ადგილზე გათვალისწინებულ უნდა იქნეს ნივთმტკიცებათა შემდეგი სახის ტიპები: დაზიანების კვლები, ფეხის ნაკვალევი, საბურავის კვალი, თითის კვლები, სიგარეტის ნამწვები, საჭმლის და სასმლის ნარჩენები, ნიადაგის და მცენარეთა ნარჩენები, თმა, ბოჭკოები, კანის ნიმუშები განსაკუთრებით ბრალდებულის და დაზარალებულის ფრჩხილის ქვეშ, სისხლი, ადამიანის ბიოლოგიური სითხეები, დაზარალებულის, ბრალდებულის ტანსაცმელი, იარაღთან დაკავშირებული ნივთმტკიცებები როგორიც შეიძლება იყოს ტყვიის ფრაგმენტი, იარაღის ბუდეები, ტყვია, ბასრი საგნით მიყენებული ჭრილობები, ბლაგვი დაზიანებები, ტყვიის ტრაექტორიის დამდგენი ნივთმტკიცებები.

შემთხვევის ადგილზე ნივთმტკიცებების აღმოჩენის შემდეგ აუცილებელია მათი სატანადო ოქმში დაფიქსირება სადაც დეტალურად უნდა მისი აღმოჩენის ადგილი, დროის და რიცხვის მითითებით, მისი აღწერილობა და ნივთმტკიცებების შემგროვებელი პიროვნების ვინაობა, რის შემდეგადაც ისინი დალუქულ უნდა იყოს მიღებული სტანდარტების რომელიც ეხება ამა თუ იმ მოგროვებულ ნივთმტკიცებას, შესაბამისად ცალ-ცალკე, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ნათი უსაფრთხოება.

შემთხვევის ადგილზე ექსპერტ კრიმინალისტები გარდა იმისა რომ ახდენენ ნივთმტკიცებათა ამოღებას, მათ შესაბამისად შეფუთვა დალუქვას ასევე აწარმოებენ ფოტო გადაღებას რომელიც ნათელ წარმოდგენას იძლევა არა მარტო შემთხვევის ადგილის პარამეტრებზე, არამედ ასახავს აღმოჩენილ საგანთა და კვალთა ნიშანთვისებებს. ფოტოგრაფირება ასევე საშუალებას გვაძლევს ნათლად წარმოვიდგინოთ დანაშაულის ჩადენის ვითარება და დეტალები, ვიმსჯელოთ დანაშაულის ჩამდენი პირის შესახებ, ავაგოთ სწორი და დასაბუთებული საგამოძიებო ვერსიები, შევქმნათ პირობები დანაშაულის სწრაფი გახსნისთვის. შემთხვევის ადგილის ფოტოგრაფირების წესი შესანიშნავად აქვს ასახული რევა გოგშელიძეს და აპოლონ ფალიაშვილს თავი-

ანთ ნაშრომში ,,კრიმინალისტიკა''. სადაც მითითებულია რომ საგამოძიებო ფოტოგრაფირების გამოყენება უნდა მოხდეს: საორიენტაციო, მიმოხილვითი, საკვანძო და დეტალური ფოტოგრაფირების მიზნით.

საორიენტაციო ფოტოგრაფირების დროს ასახული უნდა იყოს შემთხვევის ადგილი მის ირგვლივ არსებული გარემოთი, ამ დროს გადაღება ხდება რამდენიმე ადგილიდან და მზადდება რამდენიმე ფოტოსურათი, საორიენტაციო ფოტოგადაღება საშუალებას იძლევა სრული და ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ შემთხვევის ადგილის გარემოცვაზე.

მიმოხილვითი ფოტოგადაღების დროს ხდება უშუალოდ შემთხვევის ადგილის ასახვა, ხოლო თუ ერთი ადგილიდან ვერ ხერხდება მთლიანად შემთხვევის ადგილის ასახვა გადაღება ხდება რამდენიმე ადგილიდან, შემთხვევის ადგილის თავისებურებების გათვალისწინებით შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც წრიული ისე ხაზობრივი პანორამული ფოტოგადაღება, ასეთ შემთხვევაში მთავარია რომ წარმოდგენა ვიქონიოთ უშუალოდ შემთხვევის ადგილზე.

საკვანძო ფოტოგადაღების დროს ხდება შემთხვევის ადგილის ცალკეული ადგილების ასახვა როგორიცაა კვლების, სისხლის ლაქები, ფეხის ზედაპირული კვლები და ა.შ. ცალკეულ კვალთა ფოტოგადაღება ხდება ახლომდებარე საგნებთან ერთად, რათა სრული და ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ იმ ადგილზე სადაც არის აღმოჩენილი დანაშაულის შედეგად დარჩენილი კვალი. ამ დროს გადაღება ხდება როგორც წესი რეპროდუქციული და განზომილებითი ფოტოგრაფირების მეთოდის გამოყენებით.

დეტალური ფოტოგრაფირების მიზანია ასახოს ცალკეულ კვალთა, ნივთიერ მტკიცებულებათა თავისებურებანი და მათი ნიშან-თვისებები სხვა საგნების გარეშე. მაგალითად გვამზე არსებული ჭრილობები, თითის კვლები, ფეხის კვლის ზედაპირი, გატეხვის კვლები და სხვა. აღნიშნული გადაღება ხდება მაშტაბური წესით, ასევე ამ დროს დიდ მნიშვნელობა აქვს განათებას, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია კვალთა ინდივიდუალური ნიშან-თვისებების ფიქსირება.

შემთხვევის ადგილის ცნება პირობითია, იგი განისაზღვრება ორი გარემოებით, მოცემულ ადგილზე უნდა იყოს ან მკვლელობის ნიშნები, ან გვამი, ან ორივე ერთად. პირველ ნიშანში იგულისხმება ადამიანის სისხლის კვალი, ან იმ სხვადასხვა კვლების აღმოჩენა, რაც მიუთითებს შემთხვევის ადგილზე ორთაბრძოლის ან მკვლელობისთვის დამახასიათებელ სხვა ნიშნებზე. მეორე ნიშანში იგულისხმება ადამიანის გვამის აღმოჩენის ადგილი. დგება საკითხი ადამიანის სხეულის რომელიმე ნაწილის აღმოჩენის ადგილი ითვლება თუ არა შემთხვევის ადგილად. თუ ზემოაღნიშნული კრიტერიუმებით ვისარგებლებთ ადამიანის სხეულის აღმოჩენის ადგილიც შემთხვევის ადგილია.

2. გარდაცვალების გამომწვევი მიზეზის დადგენა

მკვლელობის გამოძიება ყველაზე რთული შემთხვევაა იმ შემთხვევათაგან, რომელთა გამოძიებაც უწევს გამომძიებელს. ამ ტიპის გამოძიება მოითხოვს ყველა აუცილებელი საგამოძიებო უნარ-ჩვევისა და მეთოდის ზედმიწევნით ცოდნას. სიკვდილის გამომწვევი მიზეზების დადგენისთვის გამომძიებლებმა უნდა იმოქმედონ ჯანსაღი გონებით და არა წინასწარი ვარაუდით. სიფრთხილეა საჭირო იმ შემთხვევაშიც, როცა საქმე გვაქვს ისეთი სიკვდილის შემთხვევასთან, რომელიც თავდაპირველად

თვითმკვლელობა ეგონათ და შემდეგ მკვლელობის, ან უბედური შემთხვევის შედეგი აღმოჩნდა. არის შემთხვევებიც, როცა გამომძიებელმა რეალურად არ იცის, რა მოხდა, ვიდრე საქმის გარშემო არსებული ყველა მტკიცებულება არ იქნება მოპოვებული და დამუშავებული.

მკვლელობა ყველაზე მძიმე დანაშაულია და ითვალისწინებს მაქსიმალურ სასჯელს. ამიტომ, უფრო მისაღებია, რომ სიკვდილის გამომწვევი მიზეზების დადგენა იყოს შეძლებისდაგვარად საფუძვლიანი, პროფესიონალური და მიუკერძოებელი. ამ მიზნების განსახორციელებლად გამომძიებელი კარგად უნდა ერკვეოდეს სიკვდილის გამომწვევ სხვადასხვა მიზეზებში და კარგად ფლობდეს საჭირო ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, რათა სწორად განსაზღვროს ის გარემოებები, რაც წინ უსწრებდა სიკვდილის დადგომას.

გარდაცვალების სახე (ტიპი) - სამართალდამცავები ვალდებულნი არიან, რეაგირება მოახდინონ მთელ რიგ შემთხვევებზე, სადაც გვამი ფიგურირებს. ერთერთი უპირველესი ამოცანაა რა ტიპის სიკვდილის გამომწვევ მიზეზთან აქვს საქმე გამომძიებელს. ის გარემოებები, რომლებიც თან ახლავს სიკვდილის დადგომას და დასაკითხი მხარეების პირველადი ჩვენებები შეიძლება გამოყენებულ იქნეს პირველადი გამოძიების წარმართვისას. თუ არსებობს ეჭვის საფუძველი, რომ სიკვდილის მიზეზი გახდა სისხლის სამართლის დანაშაული, ამის შესახებ ინფორმირებული უნდა იყოს გამომძიებელი. გამომძიებელი საღი გონებით უნდა მიუდგეს საქმეს და დაადგინოს, რომ ის, რაც თავიდან გაუფრთხილებლობის შედეგი ჩანდა, შესაძლოა ასე სულაც არ აღმოჩნდეს და პირიქით.

არსებობს სიკვდილის ოთხი ძირითადი სახე (ტიპი, ფორმა):

1. მკვლელობა წინასწარი განზრახვის გარეშე/განზრახ მკვლელობა;
2. თვითმკვლელობა;
3. უბედური შემთხვევის შედეგად გამოწვეული სიკვდილი;
4. ბუნებრივი სიკვდილი.

განვიხილოთ თითოეულ მათგანი ცალ-ცალკე:

მკვლელობა წინასწარი განზრახვის გარეშე - მკვლელობის ზოგიერთი შემთხვევა შურისძიების (სისხლის აღების, ვენდეტის) შედეგია, ამ შემთხვევაში დაზარალებული (მსხვერპლი) და ბოროტმოქმედი ერთმანეთს იცნობენ.

ის ფაქტორი, რომ დაზარალებული (მსხვერპლი) ბოროტმოქმედს არ იცნობს, გამომძიებელს საქმეს ურთულებს. დამნაშავის ამოცნობა და იმის დამტკიცება, რომ მან ნამდვილად ჩაიდინა დანაშაული, რთულია. ამ დროს სასამართლო ექსპერტიზას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გამოძიების პროცესში, რადგან ეს ერთადერთი საშუალებაა დამნაშავის ამოსაცნობად და იმის დასამტკიცებლად, რომ მას გარკვეული კავშირი აქვს დანაშაულთან.

თუ სიკვდილი დადგა სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის მომენტში ან ჩადენის შემდეგ, დანაშაულს მკვლელობის კვალიფიკაცია ეძლევა. კანონმდებლობათა უმრავლესობის მიხედვით მსგავსი დანაშაული წინასწარი განზრახვითაა ჩადენილი და ამდენად, განიხილება, როგორც მკვლელობა. თუ წინასწარი განზრახვის ფაქტორი არ არსებობს ან თუ ვერ დამტკიცდა, რომ სიკვდილი გამოწვეულ იქნა სისხლის სამართლის დანაშაულის შედეგად, კანონით ეს შედარებით მსუბუქ დანაშაულად ითვლება.

მაგ. თუ გარკვეული პირი აფექტის მდგომარეობაში კლავს მეუღლეს/საყვარელს.

თვითმკვლელობა - განისაზღვრება, როგორც საკუთრი სიცოცხლის ხელყოფა. უნდა არსებობდეს იმის დამადასტურებელი ნიშნები და მტკიცებულებები, რომ სიკვდილი განზრახ იქნა გამოწვეული გარდაცვლილი პირის მხრიდან. თუმცა შეიძლება თვითმკვლელობის დამადასტურებელი გარეგნული ნიშნები არ გვქონდეს სახეზე. მაგ. პირს, რომელიც თვითმკვლელობას სჩადის ნარკოტიკული ნივთიერების ჭარბი დოზის მიღების გზით, არ ეტყობა სიკვდილის გამომწვევი მიზეზის გარეგნული ნიშნები. მეორე მხრივ, თუ თვითმკვლელობა ჩადენილია ჩამოხრჩობის გზით ან ცეცხლსასროლი იარაღით, გარეგნული ნიშნები, რა თქმა უნდა, სახეზე იქნება.

იმისათვის, რომ ძირფესვიანად გამოვიკვლიოთ თვითმკვლელობის შემთხვევა, არსებობს ძირითადი ფაქტორები, რაზეც აქცენტი უნდა გააკეთოს გამომძიებელმა. ესენია:

ა. შემთხვევის ადგილის რეკონსტრუქცია - გამომძიებელმა უნდა სცადოს შემთხვევის ადგილის რეკონსტრუქცია, რათა დაადგინოს, შეეძლო თუ არა დანაშაულის მსხვერპლს სიცოცხლის ბოლო წუთებში გარკვეული ნაბიჯების გადადგმა, რაც თვითმკვლელობის ფაქტს დაადასტურებს. როცა საქმის ამ მხარეს განვიხილავთ, აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული გარდაცვლილის გონებრივი მდგომარეობა. გამომძიებელმა თავი უნდა შეიკავოს ვარაუდების გამოთქმისაგან, თუ არ არსებობს შესაბამისი მტკიცებულება. მაგ. გამოცდილმა გამომძიებელმა იცის, რომ თუ საქმე გვაქვს თვითმკვლელობასთან ჩამოხრჩობის გზით, გვამი დაკიდებულ მდგომარეობაშია. ამ დროს სიკვდილის გამომწვევი მიზეზია გაგუდვა, არ არის აუცილებელი კისრის ფუძის გადატეხვა. პირმა, რომელიც თავის მოკვლას აპირებს, შეიძლება თოკის კვანძი კარის სახელურს, საწოლის რიკულს ან სხვა დაბალ ნივთს გამოაბას. მჯდომარე მდგომარეობაში ადამიანის წონა ჟანგბადის ნაკადს ახშობს და ხდება გაგუდვა.

ბ. სიკვდილის გამომწვევი იარაღი - თვითმკვლელობის გამოძიებისას გამომძიებელმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს იმ იარაღს, რომელმაც გამოიწვია სიკვდილი. თუ მსგავსი იარაღი ვერ აღმოაჩინეს, სავარაუდოდ საქმე გვაქვს მკვლელობასთან. თუმცა გამომძიებელს არც ის უნდა დაავიწყდეს, რომ ზოგჯერ ოჯახის წევრები შეუგნებლად ადგილს უცვლიან ან შეგნებულად მალავენ მსგავს საგნებს, რათა თვითმკვლელობის კვალი დაფარონ. არცერთ ოჯახს არ სურს, რომ თვითმკვლელობისაკენ მიდრეკილების დაღი დაესვას საზოგადოების თვალში.

გ. მოტივი - გამომძიებელმა გარდაცვლილის ქმედების მოტივიც შემთხვევის ადგილზე უნდა შეისწავლოს. მან გარდაცვლილის ქმედების შესწავლის საფუძველზე უნდა სცადოს თვითმკვლელობის მოტივის ამოცნობა. შეიძლება აღმოჩნდეს, რომ გარდაცვლილს არ ჰქონდა თვითმკვლელობის მოტივი და არსებობს უამრავი გარემოება, რომლებიც გამორიცხავს თვითმკვლელობის ფაქტს. ამ შემთხვევაში შესაძლოა მკვლელობასთან გვქონდეს საქმე. მეორე მხრივ, თუ არსებობს ინფორმაცია, რომელიც ადასტურებს, რომ გარდაცვლილს უამრავი პრობლემა ჰქონდა და ხშირად საუბრობდა თვითმკვლელობაზე, (ან სხვა მსგავსი სახის ინფორმაცია) საქმე უკვე თვითმკვლელობას ეხება.

დ. თვითმკვლელობამდე დატოვებული ბარათი - ბარათის დატოვება კლასიკური

ფორმაა იმის საჩვენებლად, რომ მოხდა თვითმკვლელობა. თუმცა დატოვილი ბარათი ავტომატურად არ ადასტურებს, რომ ნამდვილად თვითმკვლელობის შემთხვევასთან გვაქვს საქმე. ბარათი სკრუპულოზურად უნდა იქნეს შესწავლილი. გამომძიებელმა უნდა დასვას შემდეგი შეკითხვები:

- როგორ დაიწერა ბარათი, ხელით თუ სხვა საშუალებით, მაგ. საბეჭდი მანქანით ან კომპიუტერით;
- აღმოჩენილია თუ არა საწერი საშუალება შემთხვევის ადგილზე;
- მიუწვდებოდა თუ არა ხელი გარდაცვლილს მოც. ტიპის ქაღალდზე;
- სად დაწერდა გარდაცვლილი ბარათს;
- არის თუ არა ბარათი ნებაყოფლობით დაწერილი, ან იგივე ენით, რაზეც მისი ოჯახის წევრები ლაპარაკობენ;
- როდის დაიწერა ბარათი, არის თუ არა ბარათში მითითებული დრო;

უბედური შემთხვევით გამოწვეული სიკვდილი - გამორიცხავს წინასწარი განზრახვის ფაქტორს. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს გარდაცვლილის მხრიდან უყურადღებობით ან გაუფრთხილებლობით. მაგ. თუ პირი სახურავიდან ჩამოვარდა სარემონტო სამუშაოებისას ან ნავიდან გადავარდა და დაიხრჩო.

არცერთი შემთხვევა ისეთ დაკვირვებას არ მოითხოვს შემთხვევის ადგილზე, როგორც სიკვდილის შემთხვევა მოწმის გარეშე. თუ გამომძიებელმა კარგად არ შეისწავლა შემთხვევის ადგილზე არსებული ყველა დეტალი, შემთხვევას შეიძლება შეცდომით თვითმკვლელობის კვალიფიკაცია მისცენ.

შეუძლებელია უბედური შემთხვევით გამოწვეული სიკვდილის ყველა მახასიათებლისა და შესაბამისი პროცედურების მისადაგება ყველა შემთხვევასთან, ამიტომ გამომძიებელი დიდი სიფრთხილით უნდა დაუკვირდეს მოვლენათა განვითარებას და არ გამოიტანოს მცდარი დასკვნები, ვიდრე ყველა დეტალი არ გამოირკვევა.

უბედური შემთხვევით - გამოწვეული გარდაცვალების ძირითადი მიზეზებია:

- დახრჩობა;
- ასფიქსია;
- ხანძარი;
- ელექტროდენი;
- ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება.

3. გარდაცვალების მიზეზების გამოძიებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები
(გამოძიების პროცესში გასათვალისწინებელი ფაქტორები)

სიკვდილის შემთხვევის გამოძიებისას გამომძიებელი უნდა ეცადოს, განსაზღვროს ის მოვლენები, რასაც ადგილი ჰქონდა დანაშაულის ჩადენისას.

ა. გადაადგილებული იქნა თუ არა გვამი?

შესაძლოა გამომძიებლის მისვლამდე გვამის ადგილმდებარეობა შეცვალონ მრა-

ვალი მიზეზის გამო, დაწყებული სიკვდილის რეალური მიზეზის დამალვიდან, დამთავრებული თავად სამართალდამცავი ან სამედიცინო პირის მიერ გადაადგილებით, რათა დაზარალებულს სიცოცხლე შეუნარჩუნონ ან სიკვდილის მიზეზი განსაზღვრონ. რა მიზეზითაც უნდა მოხდეს გვამის ადგილმდებარეობის შეცვლა, გამომძიებელმა ეს ფაქტი მხედველობაში უნდა მიიღოს შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას და ნივთმტკიცების ამოღებისას.

ბ. გასუფთავებული იქნა თუ არა გვამი?

წინა შემთხვევის ანალოგიურად გვამი შესაძლოა გასუფთავებულ იქნეს გამომძიებლის შემთხვევის ადგილზე მისვლამდე ან გაკვეთამდე. გამომძიებელი უნდა დარწმუნდეს, რომ გვამზე ასახულია გარკვეული სამხილი და წინასწარი სამედიცინო შემოწმება იქამდე მოხდა, ვიდრე მოხდებოდა გვამის გასუფთავება აუტოპსიისთვის (გასაკვეთად). თუ ეს ასე არ მოხდა, ძალზე მნიშვნელოვანი სამხილები შეიძლება დაიკარგოს.

გ. შეცვლილია თუ არა სამხილის ადგილმდებარეობა?

გამომძიებელმა უნდა იცოდეს თითოეული ნივთის პირველადი ადგილმდებარეობა შემთხვევის ადგილზე. ამიტომაც საჭიროა ადგილზე ფოტოების გადაღება იქამდე, ვიდრე იქ რამეს გადაადგილებდნენ. ერთი შეხედვით სრულიად უმნიშვნელო დეტალის გადაადგილებამაც კი შეიძლება დაარღვიოს მოვლენათა ჯაჭვი და მცდარი გზით წაიყვანოს გამოძიება, რადგან მოც. ნივთის საბოლოო მდებარეობა ვერ ჯდება იმ წარმოსახულ სცენარში, რაც სავარაუდოდ მოხდა შემთხვევის ადგილზე.

სევე როგორც გვამის გადაადგილება/დასუფთავების შემთხვევაში, სამხილის გადაადგილებაც მრავალი მიზეზის გამო შეიძლება მოხდეს, ზოგჯერ ბოროტი განზრახვით, ზოგჯერ კი გულუბრყვილობით, დაზარალებულის (მსხვერპლის) დახმარების მიზნით.

დ. იყო თუ არა დატოვებული ბარათი შემთხვევის ადგილზე?

შემთხვევის ადგილზე ბარათის არსებობა გამომძიებელს ეხმარება იმის განსაზღვრაში რა სახის დანაშაულთან აქვს საქმე. ბარათი, რომელშიც თვითმკვლელობაზეა საუბარი, ცალსახად მიუთითებს გამომძიებელს, რომ საქმე თვითმკვლელობას ეხება, განსაკუთრებით, თუ ბარათი ხელნაწერია. დაბეჭდილი ან კომპიუტერით აწყობილი ბარათი ასევე თვითმკვლელობის მანიშნებელია, მაგრამ აქ უკვე გარკვეული ეჭვი ჩნდება, რადგან ყველას შეუძლია მსგავსი ბარათის დაბეჭდვა. ზოგჯერ დამნაშავემ შეიძლება შემთხვევის ადგილზე დატოვოს ბარათი, სადაც აღწერილია დანაშაული ან დამნაშავის გრძნობები მსხვერპლის მიმართ.

ე. ხომ არ ემუქრებოდნენ მსხვერპლს?

იმის დადგენა, ემუქრებოდნენ თუ არა მსხვერპლს, გამომძიებელს დაეხმარება

იმის დადგენაში, რა სახის დანაშაულს იძიებს. მრავალჯერადი მუქარა შესაძლოა მკვლელობის შემთხვევაზე მიუთითებდეს. თუ გარდაცვლილს არავინ ემტერებოდა, გამომძიებელი მომხდარს უბედურ შემთხვევას ან თვითმკვლელობით გამოწვეულ სიკვდილს მიაწერს.

ვ. იყო თუ არა იმის ნიშნები, რომ ადგილზე შესასვლელად ძალა იქნა გამოყენებული?

თუ შემთხვევის ადგილზე არის ძალის გამოყენებით შეღწევის ნიშნები, ეს გამომძიებელს აფიქრებინებს, რომ საქმე აქვს მკვლელობასთან.

ზ. იყო თუ არა კარები და ფანჯრები დაკეტილი შიგნიდან?

თუ კარები და ფანჯრები შიგნიდან იყო დაკეტილი და ამდენად, შეუძლებელი იყო ოთახში მოხვედრა, ეს ფაქტი გამომძიებელს მიანიშნებს, რომ საქმე აქვს თვითმკვლელობასთან ან უბედური შემთხვევით გამოწვეულ სიკვდილთან. შეუძლებელია, ბოროტმოქმედი ოთახში შემოსულიყო, ჩაედინა მკვლელობა და გასულიყო ისე, რომ კარ-ფანჯრები შიგნიდან დაეტოვებინა დაკეტილი. ადამიანს, რომელსაც თვითმკვლელობა აქვს განზრახული, არ სურს, რომ ვინმემ შეაწუხოს, ამიტომაც შეძლებისდაგვარად იზოლირებას უკეთებს იმ ადგილს, სადაც აპირებს განზრახვის სისრულეში მოყვანას.

თ. იყო თუ არა სისხლის გუბე ან სხვა ნივთმტკიცება შემთხვევის ადგილზე?

ცეცხლსასროლი და ცივი იარაღით ჩადენილი მკვლელობის შედეგად ჩნდება სისხლის უხვი რაოდენობა, რომელიც ბოროტმოქმედსაც ეხება დანაშაულის ჩადენის მომენტში. დიდი ალბათობაა, რომ დამნაშავემ დატოვოს კვალი, როცა შემთხვევის ადგილიდან სხვაგან გადაადგილდება. ეჭვმიტანილის ფეხის სისხლიანი ნაკვალევი და თითის სისხლიანი ანაბეჭდები ხშირად რჩება ხოლმე მკვლელობის შემთხვევის ადგილზე.

4. ცვლილებები სხეულში გარდაცვალების შემდეგ

ადამიანის სიკვდილის შემდეგ მის სხეულში დაუყოვნებლივ იწყება ცვლილებები. ზოგიერთი ცვლილება შესამჩნევია, ზოგი კი შეუმჩნეველი და მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგ პროგრესირდება. სიკვდილის დადგომის მიზეზისა და სიკვდილის დადგომის სავარაუდო დროის განსაზღვრა სასამართლო ექსპერტიზის პრეროგატივაა.

გარდაცვალების ნიშნები - სამედიცინო თვალსაზრისით სიკვდილის დადგომა სამი ძირითადი სასიცოცხლო ფუნქციის შეწყვეტით განისაზღვრება: გულისცემა, სუნთქვა და ტვინის მუშაობა. პირველი ორი ნიშნის შემჩნევა შეუძლია ყველა ადამიანს, მასაც კი, ვისაც სამედიცინო განათლება არ აქვს. სიკვდილის დადგომის გარეგნული ნიშნებია: სუნთქვის შეწყვეტა, გულისცემის შეწყვეტა, თუ ხელის ფრჩხილზე დაწოლის შემთხვევაში კანი არ წითლდება, თუ ქუთუთოების ოდნავ აწევის შემთხვევაში თვა-

ლები არ დაიხუჭა. სუნთქვის შეწყვეტა სიკვდილის დადგომის პირველი ნიშანია. თუმცა ისეთ შემთხვევაში, როგორიცაა ნარკოტიკული ნივთიერების დოზის გადაჭარბება, სუნთქვა შესაძლოა იმდენად სუსტი იყოს, რომ შეუმჩნეველი დარჩეს, ამიტომ გამომძიებელმა აქცენტი უფრო გულისცემას და პულსაციაზე უნდა გადაიტანოს.

სხეულის ტემპერატურა[20] - სიკვდილის შემდეგ სხეული ჩვეულებრივ გაციებას იწყებს და ხელის შეხებისას ცივია. სხეულის ტემპერატურა ზოგჯერ მნიშვნელოვნად ეხმარება გამომძიებელს სიკვდილის დადგომის დროის განსაზღვრაში. თუმცა გამომძიებელს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ სიკვდილის ზუსტი დროის განსაზღვრა თითქმის შეუძლებელია, თუ არ არსებობს მოწმე. არსებობს უამრავი ფაქტორი, რამაც შეიძლება სხეულის ტემპერატურის შეცვლა გამოიწვიოს სიკვდილის შემდეგ და რამაც შესაძლოა სიკვდილის დროის განსაზღვრისას არასწორ დასკვნამდე მიგვიყვანოს. (F=C x 180/100+32 ფარენჰეიტის შკალის მიხედვით).

C=21˚-22˚ პირობებში უნდა იყოსს საშუალოდ 1,5 ერთ საათში, სხეულის ნორმალური ტემპერატურაა C=36,5˚-37˚, (ფარენჰეიტის შკალის მიხედვით F=97,7˚-98,6˚. F=C×180/100+32). თუ გარდაცვლილის რექტალური (სწორი ნაწლავის) ტემპერატურა გამოაკლდება C=36,5˚-37˚-s (F=98,6˚) და გაიყოფა 1,5-ზე (საათში სითბოს დაკარგვის საშუალო მაჩვენებელზე), ექსპერტიზას შეუძლია ამ გზით დაადგინოს რამდენი საათი გავიდა სიკვდილის დადგომის შემდეგ. ეს ფორმულა მაინც ნაკლებად ეფექტურია, როცა სიკვდილის დადგომიდან სავარაუდოდ დიდი დროა გასული. არსებობს კიდევ სხვა ფაქტორებიც, რამაც შესაძლოა სითბოს დაკარგვა გამოიწვიოს, ესენია:

ა. **გარემო ფაქტორები** – რაც უფრო დიდია განსხვავება სხეულის ტემპერატურასა და გარემოს ტემპერატურას (ჰაერის ან წყლის ტემპერატურას) შორის მით უფრო სწრაფად კარგავს სხეული სითბოს, ამიტომ სხეულის სითბოს დაკარგვის მაჩვენებელი უფრო დაბალია როცა სხეულის ტემპერატურა უახლოვდება გარემოს ტემპერატურას.

ბ. **სხეულის ტემპერატურა სიკვდილამდე** – სხეულის ტემპერატურა სიკვდილამდე მნიშვნელოვანი ფაქტორია სიკვდილის დადგომის დროის გამოსარკვევად. სიკვდილმა, რომელიც გამოწვეულია ტვინის ტრავმის, გაგუდვის ან სხვა სამედიცინო დარღვევის შედეგად, შეიძლება გამოიწვიოს სხეულის ტემპერატურის ხანმოკლე აწევა სიკვდილამდე. ეს ფაქტორი გათვალისწინებული უნდა იქნას სხეულის სითბოს დაკარგვის ხანგრძლივობის მაჩვენებლის გამორკვევისა და სიკვდილის დადგომის დროის განსაზღვრისას.

გ. **ტემპერატურის ცვლილება** – სხეულის სიმსუქნე, ქსოვილის საფარი ან ტანსაცმელი, რომელიც ადამიანს ეცვა სიკვდილის დადგომის მომენტში ასევე მნიშვნელოვნად მოქმედებს სიკვდილის შემდეგ სხეულის ტემპერატურის ცვლილებაზე. ყოველივე ამან შეიძლება გამოიწვიოს სხეულის გაციების შენელება.

გვამის ფერის ცვლილება სიკვდილის დადგომის შემდეგ[21] - როცა დგება სიკვდილი და გულისცემა წყდება, სისხლის მიმოქცევა ჩერდება და სიმძიმის გამო სისხლი სხეულის ყველაზე დაბალ დონეზე ინაცვლებს. ეს იწვევს გვამის ფერის შეცვლას

20 ტემპერატურული **ცვალებადობა ანუ „ალგორმორტისი“** (Algor mortis.ლათ.)

21 გვამური ლაქები ანუ „ლივორმორტის“- (Livor mortis.laT.)

მუქ ლურჯად ან იისფრად. ფერის ცვლილება არ ჩნდება სხეულის იმ ნაწილზე, რომელიც ეხება იატაკს ან რამე მყარ ზედაპირს, რადგან სხეულის ამ ადგილებში სისხლძარღვებს სიმყარე აწვება, რაც სისხლის ხელს უშლის სხეულში შეღწევასა და ქსოვილის შეფერვაში.

ა. **დროის ფაქტორი** – ფერის შეცვლა სიკვდილის შემდეგ შეიძლება განვითარდეს სიკვდილიდან 30 წუთის შემდეგ და აშკარად შესამჩნევია 4 საათის შემდეგ. ცვლილებებმა სხეულის მდგომარეობაში სიკვდილის დადგომიდან რამდენიმე საათის შემდეგ შეიძლება გამოიწვიოს ის, რომ ფერი, რომელიც თავდაპირველად გაჩნდა სხეულზე, შეიცვალოს. 12 საათის შემდეგ ახალი ფერის ლაქები აღარ გაჩნდება და ძველი ნიშნები შენარჩუნდება მაშინაც კი, თუ სხეულის ადგილმდებარეობის შეცვლა მოხდება.

ბ. **სხეულის ადგილმდებარეობის შეცვლა სიკვდილის შემდეგ** – როცა ფერის შეცვლის პროცესი სრულად დამთავრდება და სისხლი შედედდება, სხეულზე ლაქები შენარჩუნდება იმ შემთხვევაშიც კი, როცა ხდება გვამის ადგილმდებარეობის შეცვლა. ამიტომ, თუ გვამი სახით მიწისკენ პოზიციაშია და ლაქები არის ზურგზე და/ან ფეხების უკან, სავარაუდოდ მას სიკვდილის შემდეგ შეუცვალეს ადგილმდებარეობა. რაკი ფერის შეცვლა მოხდა სისხლის შედედებით გამოწვეული სიმძიმით, ლაქები ამ დროს სხეულის ყველაზე დაბალ ადგილებში ჩნდება, მაგ. მკერდის, ან თეძოების წინა ნაწილში.

გვამური გაშეშება[22] – სიკვდილის შემდეგ სხეული ძნელად მოძრავი ხდება, რადგან იწყება გვამის გაშეშება. გვამის გაშეშება არის სხეულის ნაწილების გაშეშება სიკვდილის შემდეგ ფერმენტული ფუნქციების შეწყვეტის შედეგად. გაშეშება იწყება ყბისა და სახის კუნთებიდან, შემდეგ ნელ-ნელა ინაცვლებს ქვედა უფრო დიდი კუნთოვანი ქსოვილებისკენ. ეს ცვლილებები შესამჩნევია სიკვდილიდან სამი-ექვსი საათის შემდეგ და შენარჩუნდება 12 საათით. გვამური გაშეშების ნიშნები იმავე რიგით გაუჩინარდება, როგორც იწყება.

გვამური ლპობა – გვამური ლპობა სიკვდილიდან სხვადასხვა პერიოდის განმავლობაში შეიძლება დაიწყოს. ეს დამოკიდებულია გარემო ფაქტორებზე. სიცოცხლის პერიოდში ბაქტერიული პროცესები სხეულში კონტროლის ქვეშაა. სიკვდილის შემდგომ ეს კონტროლი იშლება და გვამური ლპობის პროცესი ვითარდება სხეულის ნაწლავური ტრაქტიდან. გვამური ლპობის განვითარების პროცესი, უპირველეს ყოვლისა, გარემო ტემპერატურაზეა დამოკიდებული. რაც უფრო მაღალია ტემპერატურა, მით უფრო სწრაფად ვითარდება ხრწნის პროცესი.

ბაქტერიული პროცესების გამო წარმოიქმნება გაზი, რომელიც იწვევს გასიებას და ქმნის არასასიამოვნო სუნს. გვამი სივდება შიგნიდან წარმოქმნილი გაზების გაფართოების გამო. ამის გამო გვამი უცებ მთლიანად შავდება და იმდენად სივდება, რომ რასისა და სქესის ამოცნობა შეიძლება გაძნელდეს.

22 გვამური გაშეშება ანუ „რიგორმორტისი“ (Rigor mortis.laT.)

5. სიკვდილის გამომწვევი ხერხები

სიკვდილის ხერხების დადგენა გამომძიებელს დაეხმარება იმის გარკვევაში, სიკვდილის მიზეზი მკვლელობა იყო თუ თვითმკვლელობა, იყო წინასწარგანზრახული ქმედება თუ თავდაცვა.

არსებობს სხვა უამრავი საშუალება, რომლებიც დაკავშირებულია მკვლელობასა და თვითმკვლელობასთან. მათგან ყველაზე გავრცელებულია შემდეგი:

1. ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობები
2. ცივი იარაღით მიყენებული ჭრილობები
3. ცემითა და ხელკეტით მიყენებული ჭრილობები
4. გაგუდვა
5. მოწამვლა

1. ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობის შედეგად გამოწვეული სიკვდილი - არსებობს უამრავი სხვადასხვა ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი, რამაც შეიძლება სიკვდილი გამოიწვიოს. არ აქვს მნიშვნელობა, ჭრილობა სხვა პირის მიერ იქნა მიყენებული, თუ გარდაცვლილის მიერ, შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი ნივთმტკიცების საფუძველზე შეგვიძლია აღვადგინოთ მოვლენათა ჯაჭვი, რომლებიც მოხდა გასროლის წინ და შემდეგ. არის შემთხვევებიც, როცა სიკვდილის გამომწვევი მიზეზი იარაღის შემთხვევითი გასროლა ხდება. ეს უმეტესად მაშინ ხდება, როცა იარაღი ხვდება ისეთი პირის ხელში, რომელმაც მასთან მოპყრობა არ იცის და შემთხვევით გაუვარდება. შემთხვევის ადგილიდან ამოღებულმა ნივთმტკიცებამ შესაძლოა დაადასტუროს ან არ დაადასტუროს მსგავსი ფაქტები. ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობის შედეგად გამოწვეული სიკვდილის გამოძიებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი ფაქტორები:

ა. რამდენჯერ მოხდა გასროლა

იმის მიხედვით, თუ რამდენჯერ მოხდა გასროლა შეიძლება დავადგინოთ, სიკვდილი მკვლელობით იქნა გამოწვეული თუ თვითმკვლელობით. როგორც წესი, თვითმკვლელობისას პირს მხოლოდ ერთი ან ორი გასროლის განხორციელება შეუძლია. ტკივილი ხელს უშლის დაზარალებულს ხელახალი გასროლის განხორციელებაში. მკვლელობის დროს მიყენებული ჭრილობების ადგილმდებარეობისა და რაოდენობის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, სროლის დროს მსხვერპლი უწევდა თუ არა წინააღმდეგობას მკვლელს ან რა მდგომარეობაში იმყოფებოდა მკვლელი.

ბ. ჭრილობის ადგილმდებარეობა

სასიკვდილო ჭრილობის ადგილმდებარეობის მიხედვით შეიძლება განისაზღვროს, ჭრილობა მკვლელობის შედეგად იქნა მიყენებული თუ თვითმკვლელობის შედეგად. ზოგადად, როგორც წესი, თვითმკვლელობისას ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობა მიყენებულია საფეთქელების არეში, შუბლში, მკერდში, ან პირში, რაც

იმის მაჩვენებელია, რომ გარდაცვლილს შესაძლოა თავად ეჭირა იარაღი. ნაკლებად მოსალოდნელია, თვითმკვლელობისას პირს ისე სჭეროდა იარაღი, რომ სასიკვდილო ჭრილობა თავის უკანა ნაწილში მიეყენებინა საკუთარი თავისთვის.

გ. დისტანცია

მანძილი იარაღსა და ჭრილობას შორის ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია იმის გასარკვევად, მკვლელობასთან გვაქვს საქმე თუ თვითმკვლელობასთან. როგორც წესი, თვითმკვლელობის შემთხვევაში პირს არ სურს სამიზნეს ააცილოს და ამიტომ აღნიშნული მანძილი მცირეა.

გასროლის შედეგად გამოწვეული კანის დამწვრობა და ნაკვალევი შესაძლოა მნიშვნელოვანი ფაქტორი იყოს სროლის მომენტში იარაღსა და ჭრილობას შორის არსებული მანძილის გასარკვევად. ეს ფაქტორი თავს იჩენს ხოლმე თავდაცვის ვერსიის დამუშავების მომენტშიც, როცა მანძილს მსხვერპლსა და მკვლელს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. სროლის ნაკვალევი და ჭრილობის გარეგნული ნიშნები ეხმარება გამომძიებელს იმის განსაზღვრაში, თუ რა მანძილი იყო იარაღსა და გარდაცვლილს შორის სროლის მომენტში.

ე. კუთხე

ჭრილობის პირის ფორმას შეუძლია დამატებითი ინფორმაცია მოგვაწოდოს. კანზე მრგვალი ჩაღრმავება ნიშნავს იმას, რომ ჭრილობა კანის ზედაპირის პერპენდიკულარულია. წაგრძელებული (მართკუთხა) ჩაღრმავება იმაზე მიუთითებს, რომ ჭრილობა კანის ზედაპირთან კუთხეს ქმნის. ვარსკვლავისებრი ფორმის ჭრილობა არის იმის მანიშნებელი, რომ იარაღის გაცლის შედეგად გამოყოფილმა აირმა კანის საფარი გაგლიჯა.

ვ. გვამის ადგილმდებარეობა იარაღის მიმართ

გვამის ადგილმდებარეობა იარაღთან მიმართებაში გამომძიებელს ეხმარება იმის გარკვევაში, შესაძლო თვითმკვლელობასთან აქვს საქმე, თუ შესაძლო მკვლელობასთან. გვამის ადგილმდებარეობა იარაღთან მიმართებაში გამომძიებელს ეხმარება იმის გარკვევაში მკვლელობასთან აქვს საქმე თუ თვითმკვლელობასთან. გამომძიებელმა უნდა ჰკითხოს საკუთარ თავს, რამდენად აძლევს მას იარაღის მდებარეობა გვამთან მიმართებაში, იმისი ვარაუდის საფუძველს, რომ ბოროტმოქმედმა ზუსტად ეს იარაღი გამოიყენა და არ მოხდა ამ იარაღის შემდეგ დადება შემთხვევის ადგილზე.

ზ. სისხლის შხეფები

თუ გვამის ადგილმდებარეობა სავარაუდოდ შეცვლილია, ამან შესაძლოა ბევრი კითხვა წამოჭრას. სასამართლო ექსპერტიზამ უნდა დაადგინოს, შემავალ ჭრილობაზე არსებული სისხლის შხეფები შეესაბამება თუ არა გვამის ადგილმდებარეობას. სასამართლო ექსპერტიზამ ასევე უნდა დაადგინოს სიკვდილის შემდგომ გაჩენილი

სისხლის გუბის ადგილმდებარეობა შეესაბამება თუ არა შემავალი ჭრილობის სისხლის შხეფების ადგილმდებარეობას და არის თუ არა კიდევ სხვა ჭრილობის სისხლის შხეფები.

თ. გარდაცვლილი და სქესი

ქალები, როგორც წესი, თვითმკვლელობისთვის ცეცხლსასროლ იარაღს არ იყენებენ. თუ იყენებენ, ძალიან იშვიათად ისვრიან სახის არეში. ცეცხლსასროლ იარაღს ძირითადად მამაკაცები იყენებენ. ამიტომ თუ ცეცხლსასროლი იარაღით მოკლული პირი ქალია, გარემოებები ძალზე დეტალურად უნდა იქნეს შესწავლილი, რათა მკვლელობის ვერსია გამოირიცხოს.

2. ცივი იარაღით მიყენებული ჭრილობის შედეგად გამოწვეული სიკვდილი – გლეჯილ და ნაჩხვლეტი ჭრილობების შედეგად გამოწვეული სიკვდილის შემთხვევაში შეიძლება აღვადგინოთ მოვლენათა ჯაჭვი, რაც წინ უსწრებდა ან მოსდევდა სიკვდილს. ნაჩხვლეტი ჭრილობით გამოწვეული თვითმკვლელობა უფრო სასტიკია, რადგან ადამიანს ძლიერი ტკივილის გადატანა უწევს სასიკვდილო ჭრილობების მიღების შედეგად. ნაჩხვლეტი ჭრილობებით გამოწვეული თვითმკვლელობის შემთხვევაში ჩვეულებრივ დიდი რაოდენობის სისხლია გვამიდან გამოსული. ალბათ მოც. ადამიანი იმდენად ძლიერად ირტყამს ცივ იარაღს, რომ ეს სასიკვდილო სისხლდენას იწვევს. მსგავსი შემთხვევები იშვიათია, მაგრამ მაინც იჩენს ხოლმე თავს. ისევე როგორც შემთხვევითი გასროლის შედეგად გამოწვეული სიკვდილის შემთხვევაში, ცივი იარაღით გამოწვეული სიკვდილის შემთხვევაშიც ნივთმტკიცებამ შეიძლება დაადასტუროს ის გარემოებები, რაც ახასიათებს ცივი იარაღით ჩადენილ მკვლელობას. მსგავსი გარემოებებია:

ა. ჭრილობების რაოდენობა

გვამის სხეულზე მთელი რიგი ჭრილობები შეიძლება იყოს ან არ იყოს შესამჩნევი. დასაშვებია, რომ პირი, რომელსაც თვითმკვლელობა აქვს განზრახული, საკუთარ თავს უამრავ ჭრილობას აყენებს ყოყმანის ან მოსინჯვის დროს მანამ სანამ ბოლო გადამწყვეტ დარტყმას მიაყენებდეს საკუთარ თავს. ჭრილობების რაოდენობის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რა ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში იყო მოც. პირი ან რამდენ ხანს გრძელდებოდა თავდაცვა (ყოყმანი) სიკვდილამდე.

ბ. ჭრილობის ადგილმდებარეობა

ჭრილობის ადგილმდებარეობიდან უფრო მეტი დასკვნის გამოტანა შეიძლება, ვიდრე ჭრილობის რაოდენობიდან. ისევე როგორც თვითმკვლელობისას ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შემთხვევაშიც ხდება სხეულის ისეთი ნაწილების დაზიანება, რომლებიც ადვილად მისაწვდომია, უმეტეს შემთხვევაში ეს არის მაჯა ან ყელი. ისევე როგორც ჭრილობების რაოდენობის შემთხვევაში, ჭრილობების ადგილმდებარეობის მიხედვითაც შეგვიძლია ვიმსჯელოთ დამნაშავის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე და თავდაცვის (ყოყმანის) ხანგრძლივობაზე სიკვდილამდე. თუ მსხვერპლი თავდამსხ-

მელისაგან თავს იცავდა, მას ხელებსა და მკლავებზე უნდა ჰქონდეს ჭრილობები, რადგანაც დარტყმას სხეულის ამ ნაწილებით იგერიებენ. ნაკლებად მოსალოდნელია, რომ ამ დროს თავდამსხმელი უვნებელი გადარჩეს. როგორც წესი მას ჩხუბის დროს იმავე იარაღისგან ადგება ჭრილობა, რომლითაც დანაშაულს სჩადის.

გ. ჭრილობის ტიპი და სიღრმე

თვითმკვლელობის შემთხვევაში გვხვდება მთელი რიგი მსუბუქი ჭრილობები, რომლებიც ყოყმანის მომენტშია მიყენებული და ერთი თუ ორი ღრმა ჭრილობა, როცა პირი საბოლოოდ მოიკრებს ძალას განზრახულის სისრულეში მოსაყვანად. ეს ჭრილობები აზიანებს მთავარ ვენებსა და არტერიებს. მკვლელობის შემთხვევაში უფრო ნაჩხვლეტი ჭრილობები გვხვდება, რომელიც მიყენებულია ბასრი იარაღით რამდენჯერმე. ეს იმის მაჩვენებელია, რომ დანაშაული ჩადენილ იქნა ემოციური აღელვების საფუძველზე, რაც არ შეიძლება ითქვას საძილე არტერიის ან გულში იარაღის დარტყმის შემთხვევაში, ამას უფრო წინასწარ გააზრებული ელფერი აქვს.

დ. გვამის ადგილმდებარეობა

გვამის ადგილმდებარეობა იარაღთან მიმართებაში გამომძიებელს ეხმარება იმის გარკვევაში მკვლელობასთან აქვს საქმე თუ თვითმკვლელობასთან. გამომძიებელმა უნდა ჰკითხოს საკუთარ თავს, რამდენად აძლევს მას იარაღის მდებარეობა გვამთან მიმართებაში, იმის ვარაუდის საფუძველს, რომ ბოროტმოქმედმა ზუსტად ეს იარაღი გამოიყენა და არ მოხდა ამ იარაღის შემდეგ დადება შემთხვევის ადგილზე.

ე. სისხლის შხეფები

თუ გვამის ადგილმდებარეობა სავარაუდოდ შეცვლილია, ამან შესაძლოა ბევრი კითხვა წამოჭრას. გამომძიებელმა უნდა დაადგინოს, სისხლის შხეფები შეესაბამება თუ არა გვამის ადგილმდებარეობას. მან ასევე უნდა დაადგინოს სიკვდილის შემდგომ გაჩენილი სისხლის გუბის ადგილმდებარეობა შეესაბამება თუ არა სისხლის შხეფების ადგილმდებარეობას.

ვ. გარდაცვლილის სქესი

ქალები ამ შემთხვევაშიც ერიდებიან თვითმკვლელობის სასტიკ მეთოდებს. თუმცა უფრო ცივ იარაღს მიმართავენ, ვიდრე ცეცხლსასროლს. ისინი საკუთარ თავს თითქმის არასოდეს აყენებენ ჭრილობას სახისა და ყელის არეში. უმეტეს შემთხვევაში მაჯებზე ვენების გადაჭრას არჩევენ.

3. ცემითა და ხელკეტით მიყენებული ჭრილობებისგან გამოწვეული სიკვდილი — თუ გვამს აღენიშნება ძლიერი ცემის ნაკვალევი, რამაც სიკვდილი გამოიწვია, ეს არ შეიძლება თვითმკვლელობად ჩაითვალოს, რადგან ადამიანი საკუთარ თავს ვერ სცემს. ცემითა და ხელკეტით მიყენებული ჭრილობებისგან გამოწვეული სიკვდილის შემ-

თხვევაში შემთხვევის ადგილზე არსებული ნივთმტკიცებები ცხადყოფს მკვლელობა თავდაცვის მიზნით იქნა ჩადენილი თუ დამამძიმებელ გარემოებებში. მსგავს შემთხვევებში გასათვალისწინებელი ფაქტორებია:

ა. სისხლის შხეფები

ისევე როგორც ცეცხლსასროლი და ცივი იარაღით გამოწვეული სიკვდილისას სისხლის შხეფების ნაკვალევს უამრავ კითხვაზე შეუძლია პასუხის გაცემა და ასევე იმ ჩხუბის მოვლენათა ჯაჭვის აღდგენა, რაც წინ უსწრებდა სიკვდილის მომენტს. დარტყმის სიხშირე და რაოდენობა ზოგჯერ სისხლის შხეფების ანალიზიდანაც შეიძლება გაირკვეს.

ბ. დალურჯებები

დალურჯებების, ლაქებისა და სისხლჩაქცევების მიხედვით, შეიძლება იმის დადგენა, თუ რა სახის საგანი იყო გამოყენებული ცემისას. ხშირად ეს საგანი დატოვებულია დანაშაულის ადგილზე. არის შემთხვევებიც, როდესაც საგანს ნაწილი მოტყდება და ეს ნატეხი ბოროტმოქმედის შეუმჩნევლად რჩება დანაშაულის ადგილზე.

4. გაგუდვით გამოწვეული სიკვდილი – გაგუდვით გამოწვეული სიკვდილის შემთხვევაში პირველი შთაბეჭდილება არის ის, რომ ადგილი ჰქონდა მკვლელობას. თუმცა ჩამოხრჩობა თვითმკვლელობის არცთუ ისე უცხო მეთოდია. არის ასევე ავტოეროტიული სიკვდილის შემთხვევებიც, როცა სექსუალური რეაქციის გაზრდის მიზნით პირი ჰაერის ნაკადს იხშობს ცნობიერების დაკარგვის მომენტში. ამ დროს ჟანგბადის ნაკლებობამ ადვილი შესაძლებელია სიკვდილი გამოიწვიოს. გაგუდვით გამოწვეული სიკვდილის შემთხვევაში გასათვალისწინებელია ფაქტორებია:

ა. გვამის ადგილმდებარეობა

გვამის ადგილმდებარეობამ მნიშვნელოვანი ინფორმაცია შეიძლება მიაწოდოს გამომძიებელს. თუ არის წინააღმდეგობის გაწევის ნიშნები, ეს შესაძლოა ნიშნავდეს მკვლელობას. თუ გვამის ახლოს პორნოგრაფიული მასალაა, ეს შეიძლება შემთხვევით სიკვდილს მივაწეროთ, რომელიც ავტოეროტიული ასფიქსიით იქნა გამოწვეული. თუ გვამის ადგილმდებარეობა შეცვლილია, ეს შეიძლება რაიმეს დამალვის მცდელობას აღნიშნავდეს.

ბ. თოკი (დანაშაულის ჩადენის იარაღი)

ის, თუ რა იარაღი და როგორ იქნა გამოყენებული გაგუდვისას, გვაწვდის ინფორმაციას სიკვდილის ტიპის შესახებ. თუ კვანძი გაკეთებულია ისე, რომ გარდაცვლილს შესაძლებელია თავად მოება იგი საკუთარ თავზე, ეს შესაძლოა თვითმკვლელობის მანიშნებელი იყოს.

გ. ფერის შეცვლა

ფერის შეცვლა დაკავშირებულია სიკვდილის შემდეგ სისხლის მიმოქცევის გაჩერებასთან (სისხლის სხეულის ყველაზე დაბალ ნაწილებში ინაცვლებს, არც ამ ადგილებს მუქ ლურჯ ან მოშავო შეფერილობას აძლევს). მაგ. ჩამოხრჩობის შემთხვევაში ფერის შეცვლა ხდება ხელებისა და ფეხების ქვედა ნაწილში. თუ ჩამოხრჩობის შემთხვევაში ფერის შეცვლა შეინიშნება ზურგსა და მხრებზე, ექსპერტმა უნდა ივარაუდოს, რომ ფეხები უფრო მაღალ პოზიციაში უნდა ყოფილიყო, ვიდრე თავი. სხვაგვარად ფერის შეცვლა ამ ადგილებში არ მოხდებოდა.

5. **მოწამვლა** – მოწამვლით გამოწვეული სიკვდილის შემთხვევები არ გულისხმობს ძალადობის ელემენტებს, რაც აუცილებლად გვაქვს ცეცხლსასროლი და ცივი იარაღით ან დარტყმით გამოწვეული სიკვდილის შემთხვევებში. თუმცა ყველა სხვა შემთხვევასთან შედარებით მოწამვლით გამოწვეული სიკვდილის გამოძიება ყველაზე რთული საქმეა. უამრავი მიზეზი არსებობს, რამაც შეიძლება ადამიანის სიკვდილი გამოიწვიოს რაიმე მომწამვლელ ნივთიერებასთან შეხებისას. შეიძლება სიკვდილი გამოწვეული იყოს იმის გამო, რომ საწამლავი მოთავსებულ იქნა საკვებში ან სასმელში ან არასწორი შენახვის შედეგად საკვებში მომწამვლელი ნივთიერების გაჩენის გამო. არის თვითმკვლელობის შემთხვევებიც, როცა განგებ ხდება წამლის დოზის გადაჭარბება ან მომწამვლელი ტოქსიკური ნივთიერებების გამოყენება. მოწამვლით გამოწვეული სიკვდილის შემთხვევაში გასათვალისწინებელი ფაქტორებია:

ა. საწამლავის ტიპი

საწამლავის ტიპი ზუსტად შეიძლება განისაზღვროს სისხლის ან შარდის ანალიზით. გამომძიებელმა უნდა დაადგინოს, ვის მიუწვდებოდა ხელი ამ კონკრეტული ტიპის საწამლავზე.

ბ. ჭურჭელი, რაშიდსაც შესაძლებელია საწამლავის ყოფნა. (კონტეინერ(ებ)ი)

ინფორმაცია იმის შესახებ იყო თუ არა აღმოჩენილი რაიმე სახის კონტეინერი გვამთან ან იმ ადგილთან ახლოს, სადაც მომზადდა საკვები ან სასმელი, ან იმის შესახებ, იყო თუ არა შემთხვევის ადგილზე შპრიცები, დაეხმარება ლაბორატორიას იმ ნარკოტიკებისა და ქიმიური ელემენტების დადგენაში, რაც სავარაუდოდ უნდა ეძებონ საკვებში ან დაზარალებულის სისხლში.

გ. საკვები და სასმელი

მოწამვლის გზით მკვლელობის შემთხვევაში საკვები და სასმელი ყველაზე გავრცელებული საშუალებაა საწამლავის გასარევად. საკვები ასევე წარმოადგენს ბოტულიზმისა და სალმონელას წყაროს, რამაც შესაძლოა შემთხვევითი მოწამვლა და სიკვდილი გამოიწვიოს. ამიტომ შემთხვევის ადგილიდან ამოღებული ყოველგვარი საკვები და სასმელი უნდა შემოწმდეს, რათა გამოირიცხოს, რომ იგი შეიცავს გვამის სხეულში აღმოჩენილ მომწამვლელ ნივთიერებას, ან ბოტულიზმისა და სალმონელასთვის დამახასიათებელ ნივთიერებებს.

დ. გარდაცვლილის სქესი

თვითმკვლელობის შემთხვევაში ქალები უფრო ხშირად იყენებენ საწამლავს, ვიდრე კაცები.

ნ. გვამის გაკვეთა

გვამის დამუშავება კვალის შემოწმების მიზნით - გვამის გაკვეთა უნდა მოხდეს ყველა გარდაცვლილის შემთხვევაში, თუ იგი საეჭვო სიკვდილით მოკვდა, რათა სიკვდილის ზუსტი მიზეზის დადგენა მოხდეს. კვალის ამოღების მიზნით აუცილებელია გვამის გადაყვანა იმ ადგილას, სადაც ჩვეულებრივ ხდება გვამის გაკვეთა. უნდა შენარჩუნდეს სუფთა გარემო, რომელშიც უნდა მოხდეს გვამისა და ტანსაცმლის დამუშავება და არ მოხდეს ნივთმტკიცებათა დაბინძურება ან დაკარგვა. ნივთმტკიცების დამუშავება უნდა მოახდინოს ექსპერტიზამ, რომელიც კვალის ამოღებაზეა ორიენტირებული.

ექსპერტიზის დახმარება - სასამართლო ექპერტიზა უნდა დაეხმაროს ექსპერტს გვამიდან აღებული ყველა ნივთმტკიცებისა და დოკუმენტაციის შეგროვებაში. ეს შეიძლება მორგში ან სხვა შესაბამის ადგილას მოხდეს. კვალის ამოღება გვამიდან არ უნდა მოხდეს შემთხვევის ადგილას. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს ნივთმტკიცების დაზიანება.

სიკვდილის მიზეზის განსაზღვრა - ექსპერტიზის ძირითადი მიზანია სიკვდილის გამომწვევი მიზეზის დადგენა. სასამართლო ექსპერტიზის კომპეტენციაა ჭრილობების თავისებურებებით დაადგინოს სიკვდილის გამომწვევი მიზეზები. გვამის დეტალური დათვალიერებისა და გაკვეთის შემდეგ ექსპერტს გამოაქვს დასკვნა სიკვდილის გამომწვევი მიზეზის თაობაზე. აქ იგულისხმება ისიც, რომ შეიძლება იმის გარკვევაც თუ რა იარაღით მოხდა სიკვდილის გამოწვევა, ე.ი. ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობა, ელექტროდენი და ა.შ. სიკვდილის მიზეზის დადგენა გულისხმობს იმის დადგენას თუ რა სასიცოცხლო ფუნქციის შეწყვეტა მოხდა და რამ გამოიწვია სიკვდილი, ე.ი. მოც. პირს ტყვია გულში მოხვდა, თუ თავის არეში მიყენებული ჭრილობის გამო გარდაიცვალა.

ექსპერტთან ურთიერთობა - თუ გვამის გაკვეთისას არ აღმოჩნდა არაბუნებრივი სიკვდილის ნიშნები, ე.ი. დანაშაულთან არ გვაქვს საქმე. მაგ. ექსპერტმა შეიძლება დაადგინოს, რომ გარდაცვლილს ჰქონდა გულის შეტევა, გულისცემა შეწყდა, რამაც გამოიწვია სიკვდილი. არაბუნებრივი სიკვდილის შემთხვევაში, რაც სამხილები ექსპერტს აძლევს იმის საშუალებას, რომ მომხდარს მკვლელობის კვალიფიკაცია მისცეს, გამომძიებელს ეძლევა გამყარებული მტკიცებულება. ამიტომ აუცილებელია, რომ გამომძიებელმა მოსამართლემ, სასამართლო ექსპერტებმა, ექიმმა ექსპერტმა მჭიდროდ ითანამშრომლონ ერთმანეთთან.

თანამედროვე მეთოდები მკვლელობის გამოძიებისას

მობილური ტელეფონი და მისი როლი გამოძიების პროცესში

კომუნიკაცია ნებისმიერი ცივილიზებური საზოგადოების განუყოფელი ნაწილია. საუკუნეების მანძილზე ადამიანები ერთმანეთთან კავშირის დასამყარებლად სხვადასხვა ფორმებს იყენებდნენ.

თავდაპირველად, სიგნალის მიწოდებისთვის იყენებდნენ კოცონის კვამლს, ტამტამების ხმას, მტრედებს. მნიშვნელოვანი ძვრა ამ სფეროში მოხდა 1837 წ, როდესაც მორზემ ტელეგრაფი გამოიგონა, ხოლო 1876 წ ალექსანდრე ბელმა წარმატებით დააპატენტა ტელეფონი. 1975 წ. მარტინ კუპერმა მიიღო პატენტი რადიო სატელეფონო სისტემაზე, რამაც საფუძველი ჩაუყარა ადამიანთა შორის ურთიერთობის დამყარების ახალ ეპოქას. 80-იანი წლების დასაწყისში მობილური ტელეფონის მსოფლიო ბაზარზე გამოჩენის შემდეგ იგი თანამედროვე ადამიანისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ინსტრუმენტად იქცა, მაგრამ ამავე დროს მობილურმა ტელეფონმა გაცილებით გაამარტივა დამნაშავეთა შორის კავშირის დამყარება დანაშაულებრივი ქმედებების დაგეგმვის და განხორციელების მიზნით.

მობილური სატელეფონო საუბრების მოსმენა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მტკიცებულებათა მოპოვებისთვის და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მობილური სატელეფონო საუბრების მოსმენა ძალიან დელიკატური საკითხია და ყოველთვის აუცილებელია ადამიანის უფლებების გათვალისწინება.

1. მობილური კავშირის გლობალური სისტემა ანუ GSM

1991 წელს დანერგილი მთლიანად ციფრული სისტემა შ -ი, ფართოდ გამოიყენება, როგორც ფიჭური სისტემის სტანდარტი. იგი იძლევა სხვა სისტემებთან შეთავსებადობის, ხმის და მონაცემების გადაცემის, როუმინგის შესაძლებლობებს სხვადასხვა ქსელებსა და ქვეყნებს შორის. მობილური კავშირის გლობალური სისტემა (GSM) მსოფლიოში ციფრული მობილური კავშირის აღიარებული სტანდარტია და მომხმარებელს სხვადასხვა ქსელში თავისუფალი გადანაცვლების საშუალებას აძლევს.

GSM-ის ფუნქციონალური სტრუქტურა შეიძლება სამ ძირითად სისტემად დაიყოს:

ა. საკომუტაციო სისტემა (SS)

ბ. საბაზო სადგური (BSS)

გ. ექსპლუატაციისა და ტექნიკური უზრუნველყოფის სისტემა (OSS)

ა. მობილური სერვისის საკომუტაციო ცენტრი (SS)

საკომუტაციო სიტემის მთავარ კომპონენტს მობილური კავშირის საკომუტაციო ცენტრი (MSC) წარმოადგენს. მობილური კავშირის საკომუტაციო ცენტრი არის ციფრული ქსელის ინტეგრირებული სერვისის კომუტატორი, რომელიც არეგულირებს ტელეფონთა ქსელში ჩართვასა და ქსელებში გადართვას. მისი საშუალებით ხდება

აბონენტის რეგისტრირება, იდენტიფიკაცია, ადგილსამყოფელის კორექტირება, მობილური კავშირის საკომუტაციო ცენტრის შიდა შეტყობინებები, როუმინგის აბონენტთა მომსახურება

ზემოთაღნიშნული სისტემა უზრუნველყოფს კავშირს საზოგადოებრივ ქსელებთან. ყველა მომსახურება მიეწოდება ოთხ ინტელექტუალურ მონაცემთა ბაზასთან ერთად და ერთიანობაში ქმნის ჩართვის სისტემას.

ინტელექტუალურ მონაცემთა ბაზას წარმოადგენს:

აბონენტის ადგილმდებარეობის რეგისტრირების სიტემა (HLR) - აბონენტის ადგილმდებარეობის რეგისტრირების სიტემა (HLR) mოიცავს სრულ ადმინისტრაციულ ინფორმაციას თითოეული აბონენტის შესახებ, რომელიც რეგისტრირებულია შესაბამის GSM ქსელში. მაგალითად:

- აბონენტთა რეგისტრაციის მონაცემების შენახვა და განკარგვა
- მოკლე ინფორმაცია სააბონენტო მომსახურების შესახებ
- ინფორმაცია ადგილსამყოფელის შესახებ
- აბონენტის სტატუსი

ადგილმდებარეობის ე.წ. სასტუმრო რეგისტრი (VLR) (როუმერ-აბონენტა მონაცემთა ბაზა) – ეს მონაცემთა ბაზა მოიცავს დროებით ინფორმაციას აბონენტთა შესახებ, რომელიც აუცილებელია მობილური კავშირის საკომუტაციო ცენტრისთვის იმისათვის, რომ მოემსახუროს ვიზიტორ-აბონენტებს. ადგილმდებარეობის სასტუმრო რეგისტრი ინტეგრირებულია მობილური კავშირის საკომუტაციო სისტემაში. თუ მობილური სადგური ემსახურება მობილური კავშირის საკომუტაციო ცენტრის ახალ ზონას, სატელეფონო ზარის განხორციელებისთვის ადგილმდებარეობის სასტუმრო რეგისტრის სისტემა, რომელიც დაკავშირებულია მობილური კავშირის საკომუტაციო ცენტრთან მოითხოვს აბონენტთა ადგილმდებარეობის რეგისტრირების სიტემისგან მონაცემებს მისი მობილური სადგურის შესახებ, რომელიც ახორციელებს როუმინგს.

საიდენტიფიკაციო ცენტრი (AUC) - უზრუნველყოფს იდენტიფიკაციას და კოდირებულ პარამეტრებს, რითაც იცავს თითოეული ზარის კონფიდენციალურობას

აღჭურვილობის საიდენტიფიკაციო რეესტრი (EIR) - მონაცემთა ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციას მობილური აღჭურვილობის შესახებ (მობილური აღჭურვილობის უნიკალური საერთაშორისო იდენტიფიკატორი). ინფორმაცია მიეწოდება ყოველ 7 წამში ერთხელ მობილური სადგურის ჩართვის მთელი პერიოდის განმავლობაში.

ბ. საბაზო სადგურის სისტემა (BSS)

საბაზო სადგური უზრუნველყოფს რადიო/გადაცემის ფუნქციებს. იგი შედგება ორი ნაწილისაგან:

- საბაზო სადგურის კონტროლიორი (BSC)
- საბაზო მიმღებ-გადამცემი სადგური (BTS)

საბაზო სადგურის კონტროლიორი (BSC) - იგი ქმნის საბაზო სადგურის სისტემის ინტელექტუალურ ნაწილს. უზრუნველყოფს კავშირს მობილური კავშირის საკომუტაციო ცენტრსა და საბაზო მიმღებ-გადამცემ სადგურებს შორის.

ეს არის მაღალი სიმძლავრის მქონე გადამრთველი, რომელიც აკონტროლებს რადიო სიხშირის სიმძლავრის დონეს.

მობილური კავშირის ერთ საკომუტაციო ცენტრს უკავშირდება რამდენიმე საბაზო სადგურის კონტროლიორი.

საბაზო მიმღებ-გადამცემი სადგური (BTS) - აწოდებს რადიო ინტერფეისს მობილურ სადგურს/აბონენტს. იგი აღჭურვილია მობილური კავშირის ზონის მომსახურეობისთვის აუცილებელი ანტენებით. თითოეულ სადგურს გააჩნია სისტემის საიდენტიფიკაციო ნომერი. საბაზო მიმღებ-გადამცემ სადგურთა ჯგუფს აკონტროლებს საბაზო სადგურის კონტროლიორი.

გ. ექსპლუატაციისა და ტექნიკური უზრუნველყოფის სისტემა **(OSS)**

ეს არის ფუნქციონალური ობიექტი, რომლიდანაც ქსელის ოპერატორი/ ადმინისტრატორი აკონტროლებს და არეგულირებს სისტემის მუშაობას. სისტემა დაკავშირებული საკომუტაციო სისტემასა და საბაზო სადგურებზე არსებულ ყველა აღჭურვილობასთან.

2. მობილური კავშირის გლობალური სისტემის ქსელი /GSM/

GSM-ის ქსელი შედგება გეოგრაფიული ზონებისაგან. ერთი ოპერატორის ქსელს ქმნიან შემდეგი ზონები:

ა. უჯრედი/ფიჭა/

ბ. ადგილმდებარეობის ზონა

გ. SC/VLR მომსახურების ზონა

დ. ქვეყნის იდენტიფიცირების მოხმარების ზონა (PLMN)

ა. უჯრედი (ფიჭა) – უჯრედი არის GSM-ის ძირითადი ერთეული. ეს არის ერთი საბაზო მიმღებ-გადამცემი სადგურის რადიო დაფარვის ზონა. GSM-ი განსაზღვრავს თითოეული უჯრედის (ფიჭა) გლობალურ საიდენტიფიკაციო ნომერს. უჯრედის რადიუსი დამოკიდებულია აბონენტთა საშუალო რიცხვზე, მოსახლეობის სიმჭიდროვეზე, ტოპოგრაფიაზე და სხვა მსგავს ფაქტორებზე. უჯრედები შემდგომ იყოფა სექტორებად.

ბ. ადგილმდებარეობის ზონა – ადგილმდებარეობის ზონა მოიცავს უჯრედთა ჯგუფს, რომელიც ერთიანდება ერთ ან ერთზე მეტ საბაზო სადგურის კონტროლიორთა სისტემაში. თითოეულ ადგილმდებარეობის ზონას გააჩნია ადგილმდებარეობის საიდენტიფიკაციო ნომერი.

გ. მობილური კავშირის საკომუტაციო ცენტრის მოქმედების ზონა – მობილური კავშირის საკომუტაციო ცენტრის მოქმედების ზონა არის GSM –ის ქსელის ნაწილი, ერთი საკომუტაციო ცენტრის ფარგლებში.

დ. ქვეყნის იდენტიფიცირების მოხმარების ზონა (PLMN) - ამ ზონას ემსახურება ერთი ქსელის ოპერატორი

3. მობილური ტელეფონის ფუნქციონირება

ფიჭური სატელეფონო სისტემა არის პორტატიული სატელეფონო სერვისის უზრუნველყოფის საშუალება. თითოეული ტელეფონი რადიოკავშირით უკავშირდება საბაზო სადგურს, რომელიც თავის მხრივ დაკავშირებულია სატელეფონო ქსელთან. ფიჭურ სისტემაში ყოველი საბაზო სადგური ფარავს კავშირის ზონას. როდესაც ტელეფონი გადის აღნიშნული ზონიდან, კავშირი გადადის მიმდებარე სადგურზე. ტელეფონის მობილურობა განპირობებულია უახლოესი „უჯრედების“ საბაზო სადგურების მიერ სიხშირის ხელახალი გამოყენებით.

GSM-ის მობილური სადგური ორი განსხვავებული ობიექტისგან შედგება:

ა. მობილური ტელეფონი
ბ. ფიჭური კავშირის აბონენტთა იდენტიფიკაციის მოდული (SIM-ბარათი)

ა. მობილური ტელეფონი - მობილური ტელეფონი არის GSM-ში მომხმარებლის ხელსაწყო. ეს არის GSM sისტემის ხილული ნაწილი, რომლის დანახვაც ყველა მომხმარებელს შეუძლია. მობილურ ტელეფონებს აწარმოებს სხვადასხვა კომპანია და მობილურ ქსელში არსებობს ტელეფონების ფართო არჩევანი. ამიტომ მობილური ტელეფონის ფუნქციონირება განისაზღვრება მისი სპეციფიურობით. მობილურ ტელეფონს უნდა ჰქონდეს სტანდარტიზაციის ორგანოს მიერ გაცემული ხარისხის და მოდელის შესაბამისობის დამამტკიცებელი საბუთი. თითოეულ მობილურ ტელეფონს გააჩნია უნიკალური IMEI ნომერი (მობილური აღჭურვილობის უნიკალური საერთაშორისო იდენტიფიკატორი), რომელიც შეიძლება იყოს მიღებული მოთხოვნისამებრ ქსელის მიერ და იგი ინახება აღჭურვილობის იდენტიფიკაციის რეგისტრში (EIR).

ბ. SIM ბარათი - ფიჭური კავშირის აბონენტთა იდენტიფიკაციის მოდული წარმოადგენს მიკროპროცესორის მქონე მცირე ზომის ბარათს, რომლსაც შეუძლია მონაცემებით მანიპულირება და მათი შენახვა. მას გააჩნია ბრძანებების სისტემა და ოპერაციული სისტემა. შეუძლია დიდი მოცულობის ინფორმაციის შენახვა. ზოგიერთი სტატიკურია, ზოგი კი ხშირად განახლებადი.

SIM-ბარათი თავსდება მცირე ზომის ბუდეში, ტელეფონის უკანა მხარეს და დაცულია აკუმულატორით. SIM-ბარათის გარეშე ზარის გაშვება და მიღება შეუძლებელია. თუმცა არის გამონაკლისიც, დარეკვა გადაუდებელი დახმარების ნომერზე შესაძლებელია SIM-ბარათის გარეშეც.

SIM- ბარათზე ჩაწერილი ნომერი:

მაგ: SIM-ბარათის ნომერია: 8991082298090424162

89 - GSM კოდი,

91 - ქვეყნის კოდი,

08 - რეგიონის კოდი,

22 - მწარმოებლის /კონტროლიორის კოდი,

98- წელი,

09 - თვე,

042416 - მობილური სადგურის საიდენტიფიკაციო კოდის ბოლო 6 ციფრი

SIM-ბარათი შეიცავს აბონენტის იდენტიფიკაციის საერთაშორისო კოდს IMSI

აბონენტის იდენტიფიკაციის საერთაშორისო კოდის (I შI) საშუალებით ხდება აბონენტის ზუსტი იდენტიფიკაცია კონკრეტულ ქსელში. I შI-ში შედის:

1. MCC მობილური კავშირის ქსელის ქვეყნის კოდი 3 ციფრი
2. MNC მობილური კავშირის ქსელის კოდი 2 ციფრი
3. MSIN მობილური სადგურის იდენტიფიკატორი ციფრების მაქსიმალური რაოდენობა-10

4. სამართლებრივი საფუძველი

ტერორიზმის, საერთო საფრთხის, საერთაშორისო კრიმინალური ქსელის ზრდის და გაფართოების პირობებში, ტელეკომუნიკაციის ოპერატორის უნარი უზრუნველყოს კანონიერი გზით სატელეფონო ზარების დაფიქსირება და საუბრების მოსმენა, სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება.

ტელეკომუნიკაციის ოპერატორებმა უნდა მიაწოდონ სამართალდამცავ ორგანოებს რეგისტრირებული და შენახული ინფორმაცია კონკრეტული აბონენტის მიერ გაკეთებულ ან მიღებულ ზართან დაკავშირებით და საჭიროების შემთხვევაში ჩაიწეროს/მოისმინოს აბონენტის საუბრები. ტელეკომუნიკაციის სამყაროში ამას სხვანაირად სამართალდამცავთა მონიტორინგის მოწყობილობას უწოდებენ.

არსებობს განსხვავება სატელეფონო ზარის დაფიქსირებასა და მონაცემთა გაზომვას შორის

- სატელეფონო ზარის დაფიქსირება - მიმდინარე დღის ზარის/საუბრის მონაცემების დაფიქსირება.
- მონაცემთა გაზომვა - დეტალური ინფორმაციის მიღება აბონენტის მიერ გასული დღის განმავლობაში განხორციელებული ყველა ზარის შესახებ. ნომერი, რომლიდანაც განხორციელდა ზარი/ნომერი რომელზეც განხორციელდა ზარი; თარიღი, დრო და სატელეფონო საუბრის ხანგრძლივობა.

სატელეფონო ზარის დაფიქსირების პროცესი - სატელეფონო ზარის დაფიქსირების შედეგად მივიღებთ შემდეგი სახის ინფორმაციას:

- აღნიშნული ტელეფონის ნომრის სხვა კონტაქტები
- ტელეფონის ნომრის IMEI- უნიკალური საერთაშორისო იდენტიფიკატორი
- ტელეფონის ნომრის IMSI- აბონენტის იდენტიფიკაციის საერთაშორისო კოდი
- ტელეფონის ნომრის Cell ID – უჯრედის საიდენტიფიკაციო ნომერი
- თარიღი
- დრო
- ხანგრძლივობა
- ზარის სახეობა

- ხმოვანი ფოსტა (Voice)
- მოკლე ტექსტური შეტყობინება (SMS)
- იმ ანძის ადგილმდებარეობა, რომელსაც ეკუთვნის აგნიშნული ნომერი

5. მტკიცებულებათა სახეობა

მობილური სატელეფონო საუბრების დაფიქსირების საშუალებით შესაძლებელია:
- გამოძიების ჩატარება
- მონაცემთა შეგროვება

მტკიცებულებებია:

ა. მტკიცებულებები SIM-ბარათზე;
ბ. მტკიცებულებები მობილურ ტელეფონში
გ. მტკიცებულებები ქსელში

ა. მტკიცებულებები SIM-ბარათზე

SIM-ბარათი თავისთავად მტკიცებულებას წარმოადგენს. შI -ზე, როგორც წესი, მოცემულია ქსელის უზრუნველმყოფი კომპანიის სახელი, აგრეთვე უნიკალური საიდენტიფიკაციო ნომერი. ქსელის უზრუნველმყოფმა კომპანიამ (პროვაიდერმა) შეიძლება მიაწოდოს შემდეგი სახის ინფორმაცია:
- ტელეფონის ნომერი, რომელიც უკავშირდება აღნიშნულ შI -ბარათს
- აბონენტის გვარი და მისამართი

1. SIM-ზე შესვლა - SIM-ზე შესვლა შესაძლებელი ხდება 4-ნიშნა PIN-კოდის (პირადი საიდენტიფიკაციო ნომერი) აკრეფის შემდეგ. თუ მომხმარებელი ზედიზედ სამჯერ არასწორად შეიყვანს აღნიშნულ კოდს, SIM-ბარათი იბლოკება. ბლოკის მოხსნა შესაძლებელია 8-ნიშნა PUK (განბლოკვის პერსონალური გასაღები) შეყვანით. ყოველთვის ფიქსირებულია და ინახება ოპერატორთან. შესაბამისად, გამომძიებელს შეუძლია ოპერატორისგან PUK-ს მოთხოვნა და SIM-ში შესვლა.

2. SIM-ბარათის კრიმინალისტიკური ანალიზი - SIM-ბარათი წარმოადგენს ინტელექტუალურ ბარათს, რომელსაც გააჩნია პროცესორი და მყარი მეხსიერება. აღნიშნული ბარათიდან ინფორმაციის ამოღება შესაძლებელია ინტელექტუალური ბარათის წამკითხველის მეშვეობით, რომელზეც უნდა მოთავსდეს SIM-ი. ბარათზე არსებული მასალა მოცემულია სხვადასხვა ფაილების სახით, რომლებშიც შესულია მონაცემები SIM -ის შესახებ. მაგალითად LOCI- ფაილი შეიცავს ინფორმაციას ადგილმდებარეობის ზონის შესახებ. ეს არის მოცემული მომენტისათვის მობილური ტელეფონის ადგილსამყოფელის იდენტიფიკატორი. ეს მონაცემები შენარჩუნებულია იმ შემთხვევაშიც, თუ მობილური ტელეფონი გამორთულია. ამგვარად, გამომძიებელს შეუძლია დაადგინოს, რომელ ზონაში იმყოფებოდა მობილური უკანასკნელად ფუნქციონირებისას.

3. SMS-**ტექსტური შეტყობინებები** - SIM-ბარათების უმრავლესობას გააჩნია 12 შ შ შეტყობინების შენახვის უნარი. თანამედროვე მობილურ ტელეფონებს ასევე შეუძლიათ მეხსიერებაში შ შ-შეტყობინებების დამახსოვრება. თუმცა, მობილურების უმრავლესობა შენახვისთვის თავდაპირველად იყენებს SIM – ბარათის მეხსიერებას, და მხოლოდ მერე იმახსოვრებს მონაცემებს შიდა მეხსიერებაში. SMS-ის წაკითხვა ასევე შესაძლებელია ინტელექტუალური ბარათის წამკითხველი მოწყობილობის გამოყენებით და მას მტკიცებულების თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ბ. მტკიცებულებები მობილურ ტელეფონში (მობილური აღჭურვილობა-ME)

ნებისმიერი მობილური აღჭურვილობა/ტელეფონი უნდა შეესაბამებოდეს შ -ის სისტემაში მუშაობისთვის შეთავსებადობის აუცილებელ ფუნქციონალურ მოთხოვნებს. ამიტომ მობილური ტელეფონების მწარმოებლებმა გააფართოვეს მობილურის ფუნქციები, გაზარდეს მობილური აღჭურვილობის მეხსიერების მოცულობა. ამგვარად, მობილური ტელეფონი განსაკუთრებულ მტკიცებულებას წარმოადგენს.

GSM–ის მობილური აღჭურვილობის/ტელეფონის კრიმინალისტიკური ანალიზი - მობილურ ტელეფონში ინფორმაციის შენახვა ხდება ჯგუფური ჩაწერის მეხსიერების-ფლეშმეხსიერების ჩიპის საშუალებით. ტელეფონის მეხსიერების ჩიპზე არსებული ინფორმაციის ციფრული გამოსახულების ამოღება ხდება სპეციალური ხელსაწყოს ე.წ. ფლეშერის მეშვეობით და მხოლოდ ამის შემდეგ იწყება მისი ანალიზი. მობილურ ტელეფონში არსებული მონაცემებიდან შემდეგი წარმოადგენს მნიშვნელოვან მტკიცებულებას:

- IMEI - უნიკალური საერთაშორისო იდენტიფიკატორი
- SMS (მოკლე ტექსტური შეტყობინებები)
- პარამეტრების აწყობა (ენა, თარიღი/დრო, ტონი და ა.შ.)
- შენახული აუდიო სიგნალი/ჩანაწერები
- მეხსიერებაში შენახული შემავალი ზარები
- მეხსიერებაში შენახული აკრეფილი ნომრები
- მეხსიერებაში შენახული კალენდარული მოვლენები

SI -ბარათის ტელეფონიდან ამოღებისას განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო, ვინაიდან მობილურ ტელეფონსა და შI -ბარათზე შენახული ინფორმაცია დაკავშირებულია ერთმანეთთან.

ტელეფონში რეგისტრირებულია ყველა შემავალი და გამავალი ზარი თუ ამოიღებთ ბარათს და ჩასვამთ სხვა ბარათს ეს ინფორმაცია დაიკარგება. ამიტომაც გამომძიებელმა უნდა გამოიჩინოს განსაკუთრებული სიფრთხილე, ვინაიდან შესაძლებელია მნიშვნელოვანი ინფორმაციის დაკარგვა.

გ. მტკიცებულებები ქსელში

GSM-ის ქსელი მოიცავს სატელეფონო ზარების მონაცემთა ბაზას, რომელიც ასევე მნიშვნელოვანია, როგორც მტკიცებულება. ამ მონაცემთა ბაზაში შესულია

ინფორმაცია იმ ზარების შესახებ, რომლებიც მობილურ ქსელში ხორციელდება. მაგალითად, ისეთი სახის ინფორმაცია, როგორიცაა:

- ტელეფონის აბონენტის ნომრიდან გამავალი ზარი (- ნომერი)
- ტელეფონის აბონენტის ნომერზე შემავალი ზარი (-ნომერი)
- თარიღი, დრო, ხანგრძლივობა
- სერვისის სახეობა – ხმოვანი ფოსტა, ტექსტური შეტყობინება, მონაცემები
- საბაზო სადგური

ქსელის უზრუნველმყოფი კომპანია ასევე ფლობს მონაცემთა ბაზას აბონენტთა შესახებ. კერძოდ:

- აბონენტის გვარი და მისამართი
- მიმდინარე ანგარიში
- ტელეფონის ნომერი (MSISDN)
- IMSI
- SIM ბარათის ნომერი
- SIM-ბარათის PIN/PUK კოდები
- ჩართული სერვისის სახეობები

გამოყენებული აკრონიმების და აბრევიატურების ნუსხა:

GSM - Global System for Mobile Communications.
BSS - Communication system.
BSS - Base Station Subsystem.
OSS - Operations support system.
CS - Circuitswitched system.
MSC -The mobile communication center.
HLR - Home Location Register.
VLR -Visitors Location Register.
AUC ingl.- Authentication Center.
EIR - Equipment Identification Register.
BSS - Base Station Subsystem.
BSC -Base Station Controller.
BTS - The Base Transceiver Station.
OSS - Operations support system.
MSC - Mobile Switching Centre
VLR - Visitors Location Register
PLMN - Public Land Mobile Network
IMEI - International Mobile Equipment Identity
EIR - Equipment Identification Register
SIM - Subscriber identity module
IMSI - International Mobile Subscriber Identity
MCC - Mobile country codes

MNC - mobile network codes
MSIN - mobile subscriber identification number
SMS - Short Message Service
PIN - Personal Identity Number
PUK -Personal Unblocking Key
LOCI -location information
ME -Mobile Equipment
MSISDN -Mobile Station International Subscriber Directory Number

6. მკვლელობის შემთხვევაში მობილურთან დაკავშირებული გამოძიების სირთულეები

როგორც მკვლელობების ისე სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებისას ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს მობილური ტელეფონი და მასთან დაკავშირებული ტექნოლოგიური პროცესების ცოდნა. მობილური ტელეფონი დღეს უკვე ყველა ადამიანის განუყრელი ნივთია, რომელმაც შეიძლება ამომწურავი ინფორმაცია მოგვცეს პიროვნების არა მარტო გადაადგილების შესახებ, არამედ, როგორი წარმოუდგენელიც არ უნდა იყოს, პასუხი გასცეს გამოძიების წინაშე დასმულ უმეტეს კითხვას და უდიდესი როლი ითამაშოს დანაშაულის გახსნაში.

იმისათვის, რომ გამოვიყენოთ თანამედროვე კავშირგაბმულობის მიღწევები სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებისას აუცილებელია სიფრთხილით მიუდგეთ ყველა ქმედებას, რათა არ მოხდეს გარკვეული ინფორმაციის დაკარგვა, რაც შემდგომში შეიძლება სასამართლოზე გარკვეულ მტკიცებულებადაც გამოდგეს.

განვიხილოთ თანმიმდევრობით, თუ, როგორ ხდება ყოველივე აღნიშნული: მობილური აპარატი არის ყველა ადამიანის პირადი ნივთი და არ წარმოადგენს მასობრივი ხმარების ნივთს, შესაბამისად იგი შეიცავს მფლობელის შესახებ თითქმის ამომწურავ ინფორმაციას, განსაკუთრებით ეს ეხება ახალგაზრდა თაობას, რომლებიც ამომწურავად ხმარობენ დღესდღეობით უამრავი, სხვადასხვა ფუნქციის მქონე ტელეფონებს, შესაბამისად რაც უფრო მეტი ფუნქციით გამოიყენება იგი მით მეტი ინფორმაცია რჩება მასში.

შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას, თუ გარდაცვლილს (მოკლულს) თან ჰქონდა მობილური ტელეფონი, უპირველეს ყოვლისა აუცილებელია მისი სათანადო წესით ამოღება, ვინაიდან ამოუცნობი გვამის შემთხვევაში შესაძლებლობა გვეძლევა მოვახდინოთ პიროვნების იდენტიფიცირება - დავადგინოთ მისი სანაცნობო წრე, კავშირები, ოჯახის წევრები, განვსაზღვროთ მკვლელობამდე მისი მოძრაობის მარშრუტი. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე მობილური ტელეფონი დეტალურად უნდა იქნეს დათვალიერებული, შესწავლილ იქნეს მისი შემავალი და გამავალი ზარები, ხშირი კონტაქტები, მოკლე ტექსტური შეტყობინებები, მასში არსებული ფოტოები, გადაღებული ვიდეოები, ყურადღება მიექცეს იმას, თუ რა დროა გასული მობილური აპარატის ამა, თუ იმ ფუნქციის გამოყენებასა და სავარაუდო მკვლელობას შორის. ასევე, უნდა გაირკვეს მობილურიდან განხორციელებული ბოლო ზარი ემთხვევა თუ არა და შემთხვევის ადგილის.

აღსანიშნავია, რომ ყველა დანაშაული განსაკუთრებით მკვლელობა იდენტური არაა და ისინი მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისგან, შესაბამისად სხვადასხვაა მასში ჩვენთვის საძიებო ინფორმაციაც. ეს განსაკუთრებით ეხება მობილური აპარატის ადგილმდებარეობის დადგენას, რისთვისაც აუცილებელია შევეხოთ მობილური კავშირგაბმულობის ელემენტარული მუშაობის პრინციპს, მაგალითად იმისთვის, რომ მობილურმა ტელეფონის აპარატმა ქსელში მოახდინოს ჩართვა საჭიროა იმ ტერიტორიაზე იდგეს მისი მომსახურე ანძა, რომელიც ფარავს გარკვეულ ტერიტორიას და რითაც უნდა განხორციელდეს სატელეფონო ზარი, შესაბამისად აღნიშნულ ანძაზე რჩება ინფორმაცია, რომ ნომერმა ისარგებლა გამოძიებისთვის საჭირო ტერიტორიის მომსახურე ანძით, თარიღის და დროის მითითებით. ინფორმაციას იმის შესახებ თუ, რომელ ტერიტორიას რა ანძა ემსახურება, როგორც წესი იძლევიან მობილური კავშირგაბმულობის კომპანიები.

გამოძიების პროცესში, ყოველივე ზემოაღნიშნული, ასევე გვეხმარება იმ ინფორმაციის გადამოწმებაში, როცა ოპერატიულად საინტერესო პიროვნება ცრუ ჩვენებას იძლევა. მაგალითად: თუ იგი ჩვენებაში აფიქსირებს, რომ დანაშაულის ჩადენის დროს მისი მობილური ტელეფონის აპარატით ან ტელეფონის ნომრით იმყოფებოდა ქალაქის სხვა ნაწილში და არა დანაშაულის ადგილას. ანძების მიერ ზარის გატარების ხერხის გამოყენებით შესაძლებლობა გვეძლევა გადავამოწმოთ მის მიერ მიცემული ჩვენების სისწორე.

აქვე უნდა შევეხოთ მობილური კავშირგაბმულობის ერთ თავისებურებასაც -ყველა მობილურ აპარატს გააჩნია თავის საიდენტიფიკაციო ნომერი - იმეი კოდი. როდესაც ანძა ატარებს ზარს, მობილური ტელეფონის აბონენტის ნომრის გარდა, რომელიც დაფიქსირებულია ე.წ. სიმ ბარათზე და მოთავსებულია ტელეფონის აპარატში, ანძაზე ფიქსირდება ასევე მობილური ტელეფონის აპარატის საიდენტიფიკაციო ნომერიც (იმეი კოდი), შესაბამისად გარდა აბონენტის ნომრისა, აღნიშნული საიდენტიფიკაციო კოდი შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ზემოაღნიშნული ქმედებების განხორციელებისათვის, ეს მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც შესაძლებელია პირს საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დროისთვის შეცვლილი ჰქონდეს სიმ ბარათი, შესაბამისად აბონენტის ნომერი და იგივე მობილურ აპარატს სხვა სიმ ბარათით ე.ი. სხვა ტელეფონის ნომრით ხმარობდეს. ამის დადგენა გამომძიებლისთვის არ წარმოადგენს პრობლემას, თუ იგი მაშინვე მოიმოქმედებს შემდეგს: მისთვის საინტერესო სიმ ბარათის ნომერს ამოიღებს შესაბამისი უწყებიდან იმეი კოდის მითითებით, ხოლო შემდეგ მეორე შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებით უკვე შემთხვევის დროიდან საგამოძიებო მოქმედების დროის ჩათვლით უკვე ამოიღებს არა მობილურის სიმ ბარათის ნომრით არამედ იმეი კოდით, სწორედ ამ ქმედებით გახდება ნათელი, თუ რამდენი სიმ ბარათის ნომერი აქვს მისთვის საინტერესო ობიექტს შეცვლილი შემთხვევიდან, საგამოძიებო მოქმედების ჩატარებამდე. ვერსიის სიზუსტისათვის ასევე აუცილებელია მეორე საგამოძიებო მოქმედება იმეი კოდით ამოღება ჩატარდეს ყველა იმ მოქმედ ოპერატორთან, რომელიც ემსახურება იმ ტერიტორიას სადაც გამოძიებისთვის საინტერესო პირი ცხოვრობს, თუ მოღვაწეობს, ვინაიდან გამორიცხული არ არის ობიექტმა შეცვალოს მომსახურე ქსელი და ერთიდან მეორეზე გადავიდეს.

დიდი დახმარება შეუძლია ასევე გაუწიოს ტელეფონის მობილურმა აპარატმა გამოძიებას იმ შემთხვევაშიც, როდესაც ჩადენილია რამდენიმე მკვლელობა სხვადასხვა

ანძის მომსახურე ტერიტორიაზე. ასეთ შემთხვევაში, მაგალითად: თუ გვაქვს ოთხი მკვლელობა, რომლებიც ჩადენილია სხვადასხვა ადგილას და ჩადენის ხერხით, მეთოდით, მოკლულ პიროვნებათა საქმიანობის სფეროთი ან სხვა რაიმე თავისებურებით ერთმანეთთან კავშირში არიან ან ძლიერ ჰგვანან ერთმანეთს, ამავე დროს გამოძიება მიდის იმ ეჭვამდე, რომ ეს დანაშაულები შესაძლოა ჩადენილ იქნეს ერთი და იმავე პირის მიერ, ასეთი საგამოძიებო ვერსიის გადასამოწმებლად შეიძლება გამოყენებული იქნეს შემდეგი ხერხი: პირველ რიგში გაგებულ უნდა იქნეს ყველა მობილური (შ) ოპერატორისგან, თუ რომელი ანძები ემსახურება დანაშაულის ადგილებს, ამის შემდეგ დანაშაულის ჩადენის სავარაუდო დროიდან ერთი საათით ადრე პერიოდიდან დანაშაულის ჩადენის შემდეგ ერთი საათის შემდგომი პერიოდის ჩათვლით ანუ სულ 2 საათიანი პერიოდი უნდა იქნეს ამოღებული ზემოხსენებული და ამის შემდეგ ყველა სხვადასხვა ანძიდან ამოღებული ნომრები და იმეი კოდები დადარებულ უნდა იქნეს ერთმანეთს.

განვიხილოთ მაგალითი, როცა გვაქვს სამი მობილური ოპერატორი პირობითად ავიღოთ „ა“ „ბ“ და „ც“ ოპერატორები და გავაანალიზოთ ყველაზე მარტივი შემთხვევა, როდესაც დანაშაულის ჩადენის ადგილს ემსახურება თითო ანძა, გამოდის გატარებული საგამოძიებო მოქმედებების შემდეგ გვექნება „ა” ოპერატორის ოთხი ანძა და შესაბამისად „ბ” და „ც” ოპერატორების ოთხ-ოთხი ანძა, რის შემდეგადაც თითოეული მობილური კავშირგაბმულობის კომპანიიდან უნდა ამოვიღოთ ყველა ის მობილური ტელეფონის სიმ ბარათის ნომერი იმეი კოდის მითითებით, რომელიც გაატარა ზემოხსენებულმა კონკრეტულმა ანძამ დანაშაულის ჩადენის სავარაუდო დროის წინა ერთი საათის პერიოდი და დამთავრების შემდგომი ერთი საათის პერიოდი, თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ ამოსაღები პერიოდი შეიძლება იყოს ყოველ სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვა, იგი განსაზღვრულ უნდა იქნას ყოველი კონკრეტული დანაშაულის გაანალიზების შედეგად. აღნიშნული სიმ ბარათის ნომრების და იმეი კოდების მოპოვების შემდეგ ვიღებთ „ა” მობილური კომპანიის კონკრეტული ოთხი ანძის მიერ გატარებულ სიმ ბარათის ნომრებს ასევე იმეი კოდებს და ვადარებთ ერთმანეთს რის შედეგადაც ვგებულობთ იმყოფებოდა თუ არა ოთხივე შემთხვევის ადგილზე ერთნაირი, ერთიდაიგივე მობილური ტელეფონის სიმ ბარათის ნომერი ან ერთიდაიგივე მობილური აპარატი. ანალოგიურ ქმედებას ვაკეთებთ „ბ” და „ც” მობილური კომპანიებიდან მოპოვებული ინფორმაციითაც.

თუმცა აღსანიშნავია ერთი თავისებურებაც - ყველა ანძას გააჩნია თავის ტექნიკური რესურსი, რაც გამოიხატება იმაში, თუ რა ტერიტორიას დაფარავს იგი, ასევე რამდენი ზარის გატარების შესაძლებლობა გააჩნია მას. ანძას არ შეუძლია განუსაზღვრელი რაოდენობის ზარების გატარება, აქედან გამომდინარე მჭიდროდ დასახლებულ უბნებში, ერთი ანძის სამოქმედო ტერიტორიაზე, იმისთვის, რომ არ შეექმნას მობილური კავშირგაბმულობის მომხმარებელ პირებს რაიმე შეფერხება, მომსახურე კომპანიები ასეთ ადგილებში ათავსებენ ანძებს უფრო ახლო-ახლოს ვიდრე დაუსახლებელ ადგილებში, ისე რომ ერთ ადგილას მყოფი მობილური აპარატის მომსახურება შეეძლოს ორ ან რამდენიმე ანძას, რათა, თუ ისე მოხდა რომ მობილურ აპარატთან ახლოს მყოფი ანძა გადატვირთულია, იგი გაატაროს მეორე სხვა ანძამ.

მაგალითისათვის, თუ ერთ ანძას შეუძლია 15 კილომეტრი რადიუსის დაფარვა მჭიდროდ დასახლებულ უბნებში, ანძები შეიძლება განთავსებულ იქნეს არა 15-15

კილომეტრში, არამედ ყოველ 5 კილომეტრში, ამიტომ მობილური ოპერატორის აღნიშნულ ტექნიკურ გადაწყვეტაზე დიდი ყურადღება უნდა იქნეს გამახვილებული გამოძიების პროცესში, ვინაიდან ამ ფაქტორმა შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს გამოძიება, რაც შემდეგში გამოიხატება: გამომძიებლის მიერ ყურადღება უნდა იქნეს გამახვილებული მკვლელობის ჩადენის დროზე, დღე-ღამის რომელ პერიოდშია იგი ჩადენილი, რადგან დღის განმავლობაში ხალხის უფრო ფართო მასა ხმარობს მობილურ ტელეფონს და კონკრეტული ანძა შეიძლება გადატვირთული იყოს, ხოლო ღამით ეს პრობლემა არ დგას ვინაიდან იმის გამო, რომ ამ დროს ადამიანთა უმეტეს ნაწილს სძინავს შესაბამისად მობილური ტელეფონების ხმარების ინტენსივობაც კლებულობს.

გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ დიდი ქალაქების ცენტრები დღის საათებში ყოველთვის გადატვირთულია, ასევე მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ხომ არ იყო მკვლელობის ადგილას ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე რამე ისეთი ღონისძიება ან რაიმე ისეთი წინაპირობა, რაც გამოიწვევდა ხალხის ფართო მასების თავმოყრას. ასეთ შემთხვევაში თუ დამნაშავემ მოახდინა მობილური აპარატით ზარის გაშვება, მისი ზარი შეიძლება ახლომდებარე ანძამ არ დააფიქსიროს და დაფიქსირდეს სხვა ანძაზე.

ალბათ უდავოა რომ თუ გამომძიებლის ყურადღების მიღმა დარჩა ყოველივე ზემოაღნიშნული, შესაძლებელია მისმა ძალისხმევამ ამაოდ ჩაიაროს, ამიტომ თუ არსებობს იმის ალბათობა, რომ ახლომდებარე მომსახურე ანძა შეიძლება გადატვირთული ყოფილიყო აუცილებელია გამომძიებლის მიერ გადამოწმებული იქნეს ყველა ახლომდებარე ანძა რომელსაც შეეძლო შემთხვევის ადგილზე მყოფი მობილური აპარატის მომსახურება.

იმისთვის რომ გავიგოთ რომელი ანძა გაატარებდა შემთხვევის ადგილზე მომუშავე აპარატის ზარს, გარდა იმისა რომ ყურადღება უნდა იქნეს გამახვილებული მოსახლეობის დასახლების სიმჭიდროვესა და ხალხმრავალ ადგილზე, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული დანაშაულის ჩადენის რელიეფიც, კერძოდ სად მდებარეობს შემთხვევის ადგილი და სად მდებარეობენ უახლოესი ანძები, როგორ მიმართებაში არიან ისინი ერთმანეთთან სიმაღლის მხრივ, ვინაიდან არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც სატელეფონო ზარი შეიძლება გაატაროს დანაშაულის ადგილიდან მე-5, მე-6 ანძამ, მაგალითად ავიღოთ „ბ" და „ც" დაახლოებით ერთი სიმაღლის მაღლობი ან მთა, რომლებიც ერთმანეთისგან დაშორებულია 10 კილომეტრით, ხოლო მათ შორის არის დასახლება, რომელშიც განლაგებულია გარკვეული რაოდენობის ანძები, ასევე ერთი ანძა დგას „ც" მაღლობზე, დანაშაულის ჩადენის ადგილს კი წარმოადგენ „ბ" მაღლობი, ამ დროს ძალიან დიდია ალბათობა იმისა, რომ „ბ" მაღლობზე მდებარე მობილურ აპარატს მოემსახუროს არა მასთან ახლოს მდებარე რომელიმე ანძა, არამედ „ც" მაღლობზე არსებული ანძა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ მობილური კავშირგაბმულობის კომპანიები შესაბამისი მიმართვის საფუძველზე თვითონ აწვდიან გამოძიებას ინფორმაციას თუ, რომელი ანძა ემსახურება კონკრეტულ ტერიტორიას, მაგრამ პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენება ასევე აღნიშნული საკითხის გარკვევის შემდეგი მეთოდი, კერძოდ იმ ტერიტორიიდან, რომელიც მიჩნეულია შემთხვევის ადგილად ან იმ ადგილიდან სადაც დამნაშავე უნდა ყოფილიყო გამომძიებელი აკეთებს რამდენიმე საკონტროლო ზარს და იმისთვის რომ გაუგებრობა მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი თითოეული ზარის განხორციელების დროს

რამდენიმე მეტრიც იცვლის ადგილს, რის შემდეგადაც ხედავს თუ, რომელმა ანძამ გაატარა მის მიერ განხორციელებული ზარი. იმ შემთხვევაში კი თუ მოქმედებს რამდენიმე მობილური კავშირგაბმულობის კომპანია იგივე ქმედება უნდა განხორციელდეს ყველა მობილურ კავშირგაბმულობის კომპანიაში ჩართული ნომრით.

თუმცა გასათვალისწინებელია ერთი გარემოება, ყოველივე ზემოხსენებულის, კერძოდ კონკრეტული ნომრის შემავალ-გამავალი ზარების, იმეი კოდების, ანძებზე დაფიქსირებული ნომრების მოპოვება შეუძლებელია საპროცესო ნორმების დაცვის გარეშე. მსგავსი საგამოძიებო მოქმედების ჩატარება შეუძლებელია, ვინაიდან იგი ზღუდავს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას და ამასთან წარმოადგენს საქმეზე დაუშვებელ მტკიცებულებას, რომ არაფერი ვთქვათ მთელი რიგი ნორმების დარღვევებზე. იმისთვის, რომ გამომძიებელმა ჩაატაროს მსგავსი საგამოძიებო მოქმედება მან შესაბამისი საპროცესო ნორმების დაცვით უპირველეს ყოვლისა უნდა მოიპოვოს სასამართლოს განჩინება, სადაც აღნიშნული უნდა იყოს: მისი შედგენის თარიღი და ადგილი; მოსამართლის გვარი; პირი, რომელმაც მას შუამდგომლობით მიმართა; განკარგულება საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ, იმის ზუსტი მითითებით, თუ რა არის მისი არსი და ვისზე ვრცელდება ის; განჩინების მოქმედების ვადა; პირი ან ორგანო, რომელმაც უნდა შეასრულოს განჩინება; მოსამართლის ხელმოწერა. ასევე ამოღების განჩინებაში აღნიშნული უნდა იყოს ის უძრავ-მოძრავი ქონება, სადაც ნებადართულია საგამოძიებო მოქმედების ჩატარება, და ის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც მას ფლობს, ამოღების დროს აღმოსაჩენი და ამოსაღები სავარაუდო საგანი, ნივთი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი და მისი გვარობითი ნიშნები; წინააღმდეგობის გაწევისას იძულების პროპორციული ზომის გამოყენების უფლება. ამოღების განჩინება ძალადაკარგულია, თუ ეს საგამოძიებო მოქმედება არ დაწყებულა 30 დღის ვადაში.

ამასთან კანონმდებელი უშვებს ისეთ გარემოებასაც, როდესაც გადაუდებელი აუცილებლობის გამო სასამართლოს განჩინების გარეშეც შესაძლებელია ჩატარდეს მობილურ ტელეფონებთან დაკავშირებული ინფორმაციის ამოღება. ამ შემთხვევაში გამომძიებელს გამოაქვს შესაბამისი დადგენილება და მის საფუძველზე ტარდება ამოღების პროცესი, ხოლო შემდეგ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გაწერილ ვადაში, საგამოძიებო მოქმედების დაწყებიდან 24 საათის განმავლობაში პროკურორმა, იმ მოსამართლეს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზედაც ჩატარდა აღნიშნული საგამოძიებო მოქმედება, ან გამოძიების ადგილის მიხედვით უნდა აცნობოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ და უნდა გადასცეს სისხლის სამართლის საქმის მასალები ან მათი ასლები, რომლებიც ასაბუთებს საგამოძიებო მოქმედების გადაუდებლად ჩატარების აუცილებლობას. ამის შემდეგ მოსამართლე 24 საათის განმავლობაში იღებს გადაწყვეტილებას შუამდგომლობაზე და გამოაქვს განჩინება, საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის შესახებ ან მის უკანონოდ ცნობისა და მიღებული ინფორმაციის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის შესახებ. გადაუდებელ შემთხვევებს მიეკუთვნება ისეთი შემთხვევები, როდესაც დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს გამოძიებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების განადგურება ან როცა დაყოვნება შეუძლებელს გახდის აღნიშნული მონაცემების მოპოვებას, ან როცა საქმისათვის საჭირო საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი აღმოჩენილია სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას ან როცა არსებობს სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ხელყოფის რეალური საფრთხე.

ასევე, თუ გამოძიების პროცესში ძირითადად მოწმეთა დაკითხვებით გაირკვა, რომ გარდაცვლილს ჰქონდა უსიამოვნო სატელეფონო საუბარი, რა დროსაც იგი ან უჩვეულოდ დაიძაბა, ან განერვიულდა, ან ამ სატელეფონო ზარის შემდეგ იქცეოდა უჩვეულოდ და ამ ინფორმაციის მომცემი პირი ზუსტად ასახელებს საუბრის თარიღს, დროს და მიახლოებით საუბრის ხანგრძლივობას შესაძლებელია გარკვეულ იქნეს მოკლულის თანამოსაუბრე, ამისთვის საჭიროა ისევ, როგორც ზემოთ მოყვანილ შემთხვევებში ამოღებული იქნეს მოკლულის მობილური ტელეფონის შემავალ-გამავალი ზარები სადაც მიღებული ჩვენების მიხედვით თავისუფლად დავადგენთ მოკლულის თანამოსაუბრის ტელეფონის ნომერს.

ასევე მნიშვნელოვანი წვლილი შეიძლება შეიტანოს გამოძიებაში მობილურ აპარატში ჩაწერილმა ინფორმაციამაც, როგორიცაა მოკლე ტექსტური შეტყობინებები, სურათები, ვიდეოები, ვინაიდან გამორიცხული არაა ეჭვიანობის ნიადაგზე ჩადენილი მკვლელობის მოტივის დადგენის დროს, მის კვალს შეიძლება სწორედ აქ მივაგნოთ.

რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს ხშირად მკვლელობის მოტივი შეიძლება იყოს მატერიალური სიკეთის, ქონების დაუფლება ან პირიქით მის დაუფლებას შეიძლება მოყვეს სხვისი სიცოცხლის მოსპობა და ხშირად დაუფლებულ ქონებას შორის ხვდება სწორედ ადამიანის განუყრელი ნივთი მობილური აპარატი. ასეთ დროსაც მნიშვნელოვანი როლის თამაში შეუძლია მობილურ ტელეფონს და ხშირად მისი დახმარებით ხდება შესაძლებელი ამ უმძიმესი დანაშაულის გახსნა, როგორც აღვნიშნეთ ყველა მობილურ აპარატს გააჩნია მისი ინდივიდუალური იმეი კოდი, სწორედ ეს იმეი კოდი უნდა დადგეს ძებნაში ქვეყანაში არსებულ ყველა მობილური კავშირგაბმულობის კომპანიაში, ვინაიდან მობილურ აპარატში სიმ ბარათის გააქტიურების შემთხვევაში იმ კომპანიაში, რომლის კუთვნილიცაა სიმ ბარათი ნომერთან ერთად დაფიქსირდება მობილურის იმეი კოდიც, ხოლო როგორც ვიცით ყველა ნომრის სიმ ბარათი რომელსაც მობილური კომპანიები გაასხვისებენ ფორმდება შემძენ პიროვნებებზე, შესაბამისად დადგენილ იქნება კონკრეტული პირი ვის ხელთაც იქნება დანაშაულის შედეგად დაუფლებული მობილური აპარატი.

სისხლის სამართლის სასამართლო პროცესის ფორმატი

(1) ბრალდების გამოცხადება/წაკითხვა

ბრალდების გამოცხადება/წაკითხვა წარმოადგენს ფორმალობას, რომელიც, როგორც წესი, მხოლოდ იმით შემოიფარგლება, რომ საქმიდან კითხულობენ საქმის დეტალებს. ის ფორმალობაზე მეტი ორ შემთხვევაში ხდება: როდესაც ბოლო წუთს ხდება საპროცესო შეთანხმება; ან ბრალდებულმა აირჩია პრო სე დაცვა (ანუ გამოვიდა საკუთარი თავის ადვოკატად).

საქმეზე სახელმწიფო ჰიპოტეზური ბრალდებულის წინააღმდეგ, სასამართლო პროცესი შემდეგი სიტყვებით იწყება:

მოსამართლე: მზად არიან მხარეები დასაწყებად?
ბრალდება (პროკურორი): დიახ, პატივცემულო მოსამართლე.
დაცვა (ადვოკატი): დიახ, პატივცემულო მოსამართლე.

(2) ბრალდების შესავალი სიტყვა

ამ ეტაპზე არ შეიძლება არგუმენტაცია, მტკიცებულებების მოყვანა ან გაპროტესტება. შესავალი განცხადებების მიზანია გადმოსცეს საქმის ბრალდებისეული ვერსია ისეთი სიცხადით, რომ დაარწმუნოს ნაფიცი მსაჯულები, რომ სახელმწიფოს ძლიერი არგუმენტები აქვს საქმეში, მხოლოდ რაიმე ძლიერი უპირატესობის გამოვლენის გარეშე, რომლებიც შეიძლება ბრალდების მხარეს გააჩნდეს. პროკურორი უნდა გამოჩნდეს თავდაჯერებული და არა კადნიერი. ზოგიერთი ტიპური განცხადება მოიცავს:

ბრალდება: დილა მშვიდობისა, ქალბატონებო და ბატონებო. ნება მიბოძეთ ჩემი თავი წარმოგიდგინოთ. მე გახლავართ ———————— და წარმოვადგენ ———————— ხალხს ამ მნიშვნელოვან საქმეზე. ამ დილით ჩემი მიზანია დაგეხმაროთ იმის აღქმაში, რასაც მომდევნო რამდენიმე დღისა თუ კვირის განმავლობაში მოისმენთ მტკიცებულებებთან დაკავშირებით. უბრალოდ მსურს მიმოვიხილო სახელმწიფო ———————— წინააღმდეგ საქმე და მადლობა მოგახსენოთ წინასწარ თქვენი მოთმინებისა და განუწყვეტელი ყურადღებისათვის. თქვენი მზადყოფნა, იყოთ ნაფიცი მსაჯულები, დანამდვილებით ასახავს სამოქალაქო მოვალეობის თქვენს გრძნობას და სამართლიანობისადმი თავდადებას. თავიდანვე მსურს, გითხრათ, რომ სახელმწიფო კარგად აცნობიერებს მოცემულ საქმეზე თავის მტკიცების ტვირთს, და ჩვენ დარწმუნებულები ვართ, რომ პროცესის ბოლოს თქვენ დაინახავთ, რომ ჩვენ საკმარისზე მეტად ვატარეთ მტკიცების ტვირთი. ჩვენ ამას გპირდებით. თქვენ დაინახავთ სარწმუნო ჩვენებებიდან და ნივთიერი მტკიცებულებებიდან, რომ ბრალდებულს გააჩნდა დანაშაულის ჩადენის მოტივი, შესაძლებლობა და საშუალება. ამას გარდა, ირიბი მტკიცებულებების მეშვეობით ჩვენ დანამდვილებით დავადგინეთ, რომ დანაშაულის ჩამდენისა და ბრალდებულის ვინაობა ერთი და იგივეა. ახლა თქვენ არაერთხელ მოისმენთ დაცვის მხარის მტკიცებას იმის თაობაზე, რომ სახელმწიფოს არგუმენტები მხოლოდ და მხოლოდ ირიბ მტკიცებულებებს ემყარება და თვითმხილველთა არარსებობა გამართლების ტოლფასია. გთხოვთ, არ შეგაცდინოთ ამ ტაქტიკამ. თვითმხილველების არსებობას კანონიც კი არ ითხოვს

და რეალურად კი საქმე აქამდეც კი ვერ მივიდოდა, ჩვენ რომ საქმეში თვითმხილველი გვყოლოდა. თვითმხილველი რომ გვყოლოდა, ეს იმდენად აშკარა საქმე იქნებოდა, რომ ბრალდებული, სავარაუდოდ, საპროცესო შეთანხმებას გააფორმებდა და სასჯელის მოხდას დაიწყებდა. გამამტყუნებელი განაჩენები ირიბი მტკიცებულებების საფუძველზე უნდა მიიღწეოდეს, და მე მჯერა, რომ თქვენ, ნაფიცი მსაჯულები, თქვენს სამუშაოს შეასრულებთ ისევე, როგორც სხვა ნაფიცმა მსაჯულებმა შეასრულეს თავისი სამუშაო ამდაგვარი სახის მტკიცებულებებთან მიმართებაში, და დაინახავთ, რომ არ არსებობს ბრალდების ყველა პუნქტის თანახმად ბრალდებულის დამნაშავედ ცნობის გარდა სხვა გამოსავალი.

(3) დაცვის შესავალი სიტყვა

ისევ და ისევ, დაუშვებელია ამ დროს არგუმენტაცია, მტკიცებულებების მოყვანა ან გაპროტესტება. სხვათა შორის, დაცვის მხარე სარგებლობს შესავალი სიტყვის წარმოთქმის მთლიანად გამოტოვების უფლებით (თუმცა ეს თითქმის არასოდეს არის კარგი იდეა). დაცვის მხარის განცხადებების მიზანი უნდა შემოიფარგლებოდეს წაყენებული ბრალდებებიდან სიმძაფრის მოხსნით, დაზარალებულთა მწუხარებისა და ტკივილის გაზიარებითა (ბრალდების მხარისგან განსხვავებით თანაგრძნობის მოსაპოვებლად) და ინციდენტის დაცვისეული თეორიის წარმოდგენით. ქვემოთ მოცემულია ზოგიერთი ტიპური განცხადება:

დაცვა: ქალბატონებო და ბატონებო, დღეს ჩვენ აქ ერთად შევიკრიბეთ იმიტომ, რომ ადგილი ჰქონდა ტრაგედიას. უდანაშაულო, არაფრის მომლოდინე პიროვნება გახდა მსხვერპლი უაზრო ქმედებისა, რომელსაც იგი საერთოდ არ იმსახურებდა. თქვენც და მეც ასევე იოლად შეიძლება მოვხვედრილიყავით ასეთივე სიტუაციაში, რომელმაც დღეს აქ შეგვკრიბა. მაგრამ ამ საქმეში მეორე ტრაგედიაც არსებობს. ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი, საზოგადოების გამორჩეული წევრი, რომელიც სარგებლობდა ჩვენი საგანმანათლებლო სისტემით, რომელსაც წვლილი შეჰქონდა ჩვენს ეკონომიკაში, ჰყავდა ოჯახი, დადიოდა ეკლესიაში... დღეს აქ, თქვენს წინაშე დგას, რადგან მას არასამართლიანად სდებენ ბრალს ამ დანაშაულების ჩადენაში. გთხოვთ, წარმოიდგინოთ, თუ რას ნიშნავს არასწორად გდებდნენ ბრალს იმის ჩადენაში, რის განხილვასაც ჩვენგან ბრალდების მხარე მოელის. თქვენი რეაქცია როგორი იქნებოდა? რაც ბრალდების მხარემ თქვენ ვერ გითხრათ, არის ის, რომ არ არსებობს რეალური მტკიცებულებები, რომლებიც ჩემს კლიენტს დანაშაულის ჩადენის ადგილთან დააკავშირებდა. ნამდვილად, ჩემს კლიენტსა და საქმეში უბედურ მსხვერპლს შორის ცუდ ურთიერთობებს ჰქონდა ადგილი, მაგრამ ეს არ არის და არ უნდა იყოს საკმარისი თქვენი და სხვა გონივრული ადამიანების დასარწმუნებლად. ქალბატონებო და ბატონებო, ჩვენ არ შეგვიძლია უიღბლო და უბედური მსხვერპლის დაბრუნება, რათა მან იმის შესახებ მოგვითხროს, თუ რა მოხდა. ჩემს კლიენტს რომ შეეძლოს, იგი გაგიმჟღავნებდათ სიმართლეს. ასევე ჩვენ არ უნდა დავეყრდნოთ არასარწმუნო ჩვენებებსა და პოლიციის ხელოვნურ ნამუშევარს, რომელიც ბრალდების არგუმენტებში გამოჩნდება. თუ შეიძლება დაუსვით ხოლმე საკუთარ თავს კითხვები, და გახსოვდეთ, რომ ყოველ ამბავს მეორე მხარეც გააჩნია. როდესაც ბრალდების არგუმენტებს მოისმენთ, შეახსენეთ საკუთარ თავს, რომ ისინი სრულ ამბავს არ მოგითხრობენ. ეს მათი

საქმე არ არის. მათ უკვე უამრავი სახელმწიფო რესურსი ჩადეს მცდარ გამოძიებასა და ჩემი კლიენტის წინააღმდეგ ბრალდებების წაყენებაში, და ახლა ძალზე გვიანია, რომ მათ თავისი შეცდომები აღიარონ. ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი პირველი აღიარებდა, რომ იგი არ არის სრულყოფილი ადამიანი, მაგრამ ნუთუ ყველა ჩვენგანი ოდესღაც ვინმეზე არ გაბრაზებულა? ქალბატონებო და ბატონებო, შემპირდით, რომ მთლიან ამბავს მოუსმენთ და ხელს შეუშლით კიდევ ერთი ტრაგედიის მოხდენას – უდანაშაულო ადამიანის უკანონო მსჯავრდებას.

(4) მოკლე შესვენება

შესავალი სიტყვების დასასრულს, შეიძლება ადგილი ჰქონდეს მოკლე შესვენებას. ასეთი შესვენებები მთლიანი პროცესის განმავლობაში იქნება, განსაკუთრებით, როდესაც დაძაბულობა ზღვარს მიაღწევს ხოლმე. ამ ეტაპზე შესვენება საშუალებას აძლევს მხარეებს ამოისუნთქონ, გამოსასვლელად მოამზადონ თავისი მოწმეები და მოემზადონ ბრძოლისათვის.

მოსამართლე: ქალბატონებო და ბატონებო, ახლა მცირე ხნით შევისვენებთ.

(5) ბრალდების მხარის მთავარი ვერსია

(ა) პირდაპირი დაკითხვა.
(ბ) ჯვარედინი დაკითხვა.
(გ) განმეორებითი პირდაპირი დაკითხვა.
(დ) განმეორებითი ჯვარედინი დაკითხვა.

მთავარი ვერსია წარმოადგენს სახელმწიფოს ძირითად არგუმენტს ბრალდებულის წინააღმდეგ. მოწმეების ჩვენების მიცემის ადგილი ყურადღების ცენტრში ექცევა და ჩვენებათა მიცემის დრო დგება. სასამართლოს დარბაზში დაბრუნების შემდეგ პროცესი შემდეგნაირად გრძელდება:

მოსამართლე: ხალხის მხარე მზად არის გასაგძელებლად?
ბრალდება: მზად ვართ, პატივცემულო მოსამართლე.
მოსამართლე: ძალიან კარგი. შეგიძლიათ თქვენს პირველ მოწმეს დაუძახოთ.

პირდაპირი დაკითხვისას (ნაწილი „ა“) პროკურორს არ შეუძლია დასვას რაიმე მიმახვედრებელი შეკითხვა, ანუ ნებისმიერი შეკითხვა, რომელიც პასუხს გულისხმობს (თუ მოწმე არ არის გამოძახებული „მტრული“ მოწმის სტატუსით). პირდაპირი დაკითხვის მიზანია დასვას მარტივი ინფორმაციული სახის შეკითხვები, რომლებიც სასამართლოსა და ნაფიც მსაჯულებს თითოეულ მოწმეს გააცნობს და მისცემს მოწმეებს საშუალებას მისცენ ჩვენება იმის შესახებ, თუ რა იციან, დაინახეს, გაიგონეს, რას გაუსინჯეს გემო, რას შეეხნენ, ან რა დაასკვნეს მათი ერთ-ერთი გრძნობის საფუძველზე. ის, თუ რა უნდა თქვან მოწმეებმა, რაღა თქმა უნდა, წინასწარ იყო დადგენილი წერილობით ჩვენებაში, და მართალია, არავის ჩაუტარებია მოწმეებისათვის „ინსტრუქტაჟი“, თუ როგორ თქვან რაიმე, მაგრამ ხშირად მოწმეები და პროკურორი გადიან კითხვებისა და პასუხების ფორმით რეპეტიციას. სცენარი, ანუ მოწმეების

რიგითობა გაცილებით მნიშვნელოვანია და როგორც წესი, შემდეგი რიგითობისაგან შედგება:

№1 – მოწმეები, რომლებსაც შეუძლიათ დანაშაულამდე მიმავალი მოვლენების შესახებ ჩვენების მიცემა.

№2 – მოწმეები, რომლებსაც შეუძლიათ გითხრან, თუ როგორ და როდის იყო დანაშაული აღმოჩენილი.

№3 – მოწმეები, რომლებსაც შეუძლიათ ბრალდებულის ასავალ-დასავალის შესახებ მისცენ ჩვენება.

№4 – პოლიციის ოფიცრები და გამომძიებლები, რომლებმაც ნივთიერი მტკიცებულებები შეაგროვეს.

№5 – კრიმინალისტები, სამედიცინო მკვლევარები და ლაბორატორიის ექსპერტები.

№6 – მოწმეები, რომლებსაც შეუძლიათ ბრალდებულის შესახებ ზოგადი ინფორმაციის მოწოდება.

№7 – მოწმეები, რომლებსაც შეუძლიათ ისაუბრონ დანაშაულის მოტივსა და შესაძლო ხერხებზე.

№8 – მოწმეები, რომლებსაც შეუძლიათ ისაუბრონ ბრალდებულის ქცევაზე დაპატიმრების დროს.

ჯვარედინი დაკითხვის დროს (ნაწილი „ბ“) მიმახვედრებელი კითხვები ნებადართულია, რადგან ბრალდების მხარის მოწმე პასუხების კუთხით შეიძლება კეთილგანწყობილი არ იყოს მეორე მხარის ადვოკატის მიმართ. თუმცა პროტესტების დაყენება პირდაპირი დაკითხვის დროსაც შესაძლებელია, აბსოლუტურად შესაძლებელია, რომ პროცესში პირველი პროტესტები გამოითქვას ბრალდების მხარისგან, რომელიც აპროტესტებს მანერას, რომლითაც მეორე მხარე ბრალდების ერთ-ერთ მოწმეს კითხავს. როგორც წესი, ადვოკატები შეეცდებიან, იმპიჩმენტი გაუკეთონ ან დისკრედიტაცია გაუწიონ ბრალდების მოწმეებს პირდაპირი დაკითხვის დროს მოწმეებზე დეტალური დაკვირვების განხორციელების შედეგად. ასეთი დაკვირვებები შესაძლოა მოიცავდეს შემდეგს:

ა – მოწმის ქცევის მანერა – ნერვიულობა, თავდაცვა;

ბ – ჩვენების ბუნება – უნდა იცოდნენ თუ არა მათ ეს;

გ – აღქმის ან გახსენების მათი უნარის ხარისხი;

დ – შესაძლებლობა, რომელიც მათ მოვლენის აღსაქმელად და დასამახსოვრებლად ჰქონდათ;

ე – მათი ბუნება იყვნენ გულწრფელნი;

ვ – ნებისმიერი სახის მიკერძოების, ინტერესის ან სხვა მოტივის არსებობა;

ზ – ადრინდელი არათანმიმდევრულობა – სხვა საქმეებში, მათ წერილობით ჩვენებებში;

თ – სიზუსტე – შეეწინააღმდეგებოდნენ თუ არა საკუთარ თავს სხვა ფაქტების შემთხვევაში;

ი – დამოკიდებულება საქმის მიმართ – სურთ თუ არა მათ ბრალდებულის დამნაშავედ ცნობა.

განმეორებითი პირდაპირი დაკითხვის დროს, ბრალდების მხარე შეეცდება მოახდინოს თავისი მოწმის დამაჯერებლობის რეაბილიტაცია ან აღადგინოს მიცემული ჩვენების სიმძიმე. მნიშვნელოვანია იმის გათვითცნობიერება, რომ განმეორებითი პირდაპირი დაკითხვისას (ისევე როგორც განმეორებითი ჯვარედინი დაკითხვისას, რომელიც შემდეგ მოსდევს) არც ერთ მხარეს არ შეუძლია „ძველ ტერიტორიებს“ მიუბრუნდეს. ისინი უნდა შემოიფარგლონ ახალი ან მოულოდნელი საკითხებით, რომლებმაც ჯვარედინი დაკითხვის დროს იჩინა თავი. ეს პირდაპირი/ჯვარედინი/განმეორებითი პირდაპირი/ჯვარედინი პირდაპირი დაკითხვების პროცესი დაცვის მხარის მთავარ ვერსიაშიც მეორდება.

(6) ბრალდების მხარე ასრულებს

ამ ეტაპზე ბრალდება თავის მაგიდას უბრუნდება და დაჯდომამდე აცხადებს:

ბრალდება: პატივცემულო მოსამართლე, „ხალხმა“ დაასრულა.

(7) შუამდგომლობა გადაწყვეტილების გამოტანაზე

სტანდარტული პრაქტიკის შესაბამისად, ამ დროს დაცვის მხარე შუამდგომლობს საქმის დაუყოვნებლივ დასრულების თაობაზე. მიუხედავად მისი სახელწოდებისა, მოცემული შუამდგომლობის მიზანია შექმნას შთაბეჭდილება, რომ სახელმწიფოს არ გააჩნია საკმარისი მტკიცებულებები. დაცვის მხარემ კარგად იცის, რომ შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდება, მაგრამ ეს ტაქტიკა აძლიერებს იმ იდეას, რომ დაცვის მხარემ გარკვეულწილად დააზიანა მეორე მხარე ჯვარედინი დაკითხვის დროს.

(8) დაცვის მხარის მთავარი ვერსია

პირდაპირი დაკითხვის დროს (ნაწილი „ა“) დაცვის მხარემ უნდა გადაწყვიტოს (მოკლე შესვენების შემდეგ), კვლავაც ალიბის დაცვის ტაქტიკას მისდიოს (როგორც წესი, საუკეთესო ვარიანტი), თუ სხვა თეორია განიხილოს (დავუშვათ, შემსუბუქებული, ნაკლები დანაშაული). ყველაზე დიდ რისკზე წასვლა იქნება ბრალდებულის მიერ ჩვენების მიცემით დაწყება. კონსტიტუციურად, ბრალდებულს ეს არ ევალება, მაგრამ რეალობაში ხშირად ისე ხდება, რომ დაპატიმრების ან დაკითხვის დროს ბრალდებული პოლიციას ან გამომძიებლებს უკვე ესაუბრა. ბრალდებულის დაკითხვით დაწყება, სავარაუდოდ, კარგი სტრატეგია იმ შემთხვევაში იქნებოდა, თუ ადგილი არ ექნებოდა პოლიციასთან კომუნიკაციას. ამის ნაცვლად, როგორც წესი, დაცვის მხარის მოწმეები შემდეგი თანმიმდევრობით იკითხებიან:

№1 – მოწმეები, რომლებსაც შეუძლიათ იერიში მიიტანონ მტკიცებულებებისადმი ბრალდებისეულ მოპყრობაზე;

№2 – ექსპერტი მოწმეები, რომლებსაც შეუძლიათ ბრალდების მტკიცებულებებს დაუპირისპირდნენ.

№3 – მოწმეები, რომლებსაც შეუძლიათ ბრალდებული დადებითად წარმოაჩინონ.

№4 – მოწმეები, რომლებსაც შეუძლიათ ნათელი მოჰფინონ ალტერნატიულ თეორიებს.

მოწმეების ამ თანმიმდევრობის საწინააღმდეგოდ, სავარაუდოდ, ბრალდების მხარე მრავალ პრეტენზიას გამოთქვამს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს გონივრული ეჭვის გამოწვევას ემსახურება. პირველ რიგში, დაცვის მხარეს აქცენტი ბრალდებულიდან პოლიციის მიერ ჩატარებულ ზერელე სამუშაოზე გადააქვს. როგორც წესი, კითხავენ ხოლმე პენსიაში გასულ პოლიციის ყოფილ ოფიცრებს, რომლებიც მოუთხრობენ ნაფიც მსაჯულებს, თუ როგორ უნდა გაეკეთებინა სხვადასხვა რამ პოლიციას. შემდეგ კრიმინალისტიკის ექსპერტებს (დანაშაულის ადგილის რეკონსტრუქცია) ეძლევათ საშუალება დააბნიონ ნაფიცი მსაჯულები კომპიუტერული ანიმაციების გზით, თუ როგორ შეიძლებოდა ეს დანაშაული ჩადენილიყო. ამ დროისათვის სასამართლო პროცესი ექსპერტების ბრძოლის ველად იქცევა: მეცნიერი ექსპერტები, სამედიცინო ექსპერტები, და თითქმის ნებისმიერი წარმოუდგენელი დარგის ექსპერტებიც იძლევიან ჩვენებებს, რათა ბრალდების მხარის ექსპერტების პოზიციები შეარყიონ. დაბოლოს, თქვენ ჰკითხავთ, ბრალდებულის მეგობრებს, რომლებსაც შეუძლიათ დადებითი ხასიათის მტკიცებულებები შექმნან. სავარაუდოდ, დაცვის მხარემაც ჩაატარა თავისი გამოძიება და შეძლებს მოძებნოს ქალაქში რიგითი მოქალაქეები, რომლებიც მისცემენ ჩვენებას იმის თაობაზე, თუ როგორ დაინახეს ჩრდილში მიმალული უცნობი და საეჭვო ფიგურები (რომლებიც ბრალდებულს არ ჰგავდნენ) დანაშაულის ჩადენის დროს. ყოველივე ზემოაღნიშნული სერიოზულ ეჭვებს წარმოშობს.

(9) დაცვის მხარე ასრულებს

ადვოკატი თავის მაგიდას უახლოვდება და აცხადებს:

დაცვა: პატივცემულო მოსამართლე, დაცვამ დაასრულა.

(10) ბრალდების რეპლიკა

ეს ეტაპი შემონახულია რომელიმე ბოლო წუთის მოწმეებისათვის ან მოულოდნელი მოწმეებისათვის, რომლებიც სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას გამოჩნდნენ. თუ ბრალდების მხარეს გაუმართლა, შესაძლოა თვითმხილველი მოწმეც კი გამოჩნდეს. ზოგჯერ, ბრალდების მხარე თავს შეიკავებს და ამ ეტაპს მოგვიანებით, სამეცნიერო მტკიცებულებებისათვის გამოიყენებს, როგორიცაა დნმ-ი ან რაიმე ახალი სამეცნიერო მეთოდი. ზოგადად, რაიმე ახალი არ იქნება წარდგენილი მისთვის საფუძვლის შემზადების გარეშე, ან სულ მცირე პროცესის მიმდინარეობისას მის შესახებ გადაკრული სიტყვის გარეშე. რა თქმა უნდა, უკვე დაკითხული მოწმეები კვლავაც შეიძლება წარდგნენ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ბრალდების მხარემ ნაფიც მსაჯულებს კარგი ინფორმაცია ისევ მოასმენინონ. ეს იქნებიან მოწმეები, რომელთა ჩვენებაც დაცვის მხარემ ჯვარედინ დაკითხვაზე ნაკლებად დააზიანა მათი გავლენიანობის გამო.

(11) დაცვის რეპლიკა

ეს სტადია ასევე განკუთვნილია ბოლო წუთის თუ მოულოდნელი მოწმეებისთვის. დამატებითი ექსპერტები ან მეტა-ექსპერტი შეიძლება იყოს გამოძახებული, რათა მან სასამართლო და ნაფიცი მსაჯულები ყველა საექსპერტო ჩვენებაში გაარკვიოს. ზოგადად, ამ ბოლო წუთისთვის ვინმე ძალზე ავტორიტეტული მოწმეა შემონახული. რა

თქმა უნდა, შესაძლებელია ასევე უკვე დაკითხული მოწმეების გამოყვანაც, რათა მათ ნაფიცი მსაჯულების გონებაში რაიმე გაამყარონ. არსებობს ტენდენცია, რომ დაშვებული იყოს „ჰიპოტეზური“ ჩვენებები, არა კითხვების შემცველი, არამედ ევროპული სასამართლოების მსგავსი, სადაც შორს მყოფი ექსპერტი ჩვენებას აძლევს ფოსტის, ფაქსისა თუ ელექტრონული კომუნიკაციის სხვა ფორმის საშუალებით.

(12) დასკვნითი სიტყვა

(ა) ბრალდების დასკვნითი სიტყვა.
(ბ) დაცვის დასკვნითი სიტყვა.
(გ) ბრალდების რეპლიკა.
(დ) დაცვის რეპლიკა.
(ე) ბრალდებულის დასკვნითი სიტყვა.

ეს სტადიები არის არა სიტყვები, არამედ მაღალი დონის არგუმენტაციები. მათი მიზანია მიაღწიონ საღ აზრს, რომლებიც მსაჯულებს გონებაში ჩარჩებათ, როდესაც თათბირზე გავლენ. სასამართლო დარბაზის დრამატიზმიც ამ ეტაპზე გარკვეულ წესრიგს ექვემდებარება. ადვოკატები თავიდან მოუსმენენ ჩაწერილ ხმას, ან ითხოვენ, რომ სასამართლო ოქმის გარკვეული სეგმენტები ხმამაღლა იყოს წაკითხული. გაკეთდება ემოციური თხოვნები დაზარალებულთა სახელით. ისე იქნება ნაჩვენები, რომ ყველა ირიბი მტკიცებულება ბრალდებულზე და სხვა არავიზე მიუთითებს. მთლიანი საექსპერტო ჩვენებები ისე იქნება დახასიათებული, რომ ნებისმიერმა გონიერმა ადამიანმა შეძლოს მისი გაგება. ალტერნატიული თეორიები დისკრედიტირებული იქნება, როგორც მარტივი სტრატეგიები და ტაქტიკა, რომლებსაც მეორე მხარის წარმომადგენლები იყენებენ ყველანაირ ფასად საქმის მოსაგებად. დასკვნითი სიტყვები შესაძლოა საკმაოდ ღვარძლიანიც იყოს. ზოგიერთი მაგალითი ქვემოთ არის მოცემული:

ბრალდება: ქალბატონებო და ბატონებო, მოწმეთა მიერ წარმოთქმული სიტყვებიდან ცხადზე ცხადია, რომ მტკიცებულებები სისხლის კვალის შესახებ პირდაპირ ბრალდებულზე უთითებს. ნებისმიერ გონივრულ ეჭვს მიღმა, ბრალდებული 100% დამნაშავეა. სამართლიანობის სადარაჯოზე, ამ საშინელი სიგიჟის უბედურ და უდანაშაულო მსხვერპლთა სადარაჯოზე, ამ სახელმწიფოს ხალხი, გთხოვთ, ცნოთ ბრალდებული დამნაშავედ ბრალდების ყველა პუნქტის თანახმად.

დაცვა: ქალბატონებო და ბატონებო. სახელმწიფომ ვერაფერი დაამტკიცა. სრულიად ვერაფერი. მათ მიერ ამ საქმეზე მუშაობა წარმოადგენდა სამართლიანობის მარცხს. ეჭვგარეშეა, რომ მოსამართლე თქვენ შეგახსენებთ გონივრული ეჭვის ტვირთის შესახებ. ეს არ არის სამოქალაქო დავა. ჩვენ მტკიცების განსაკუთრებით მაღალ სტანდარტებს ვითხოვთ. რასაკვირველია, თქვენ უნდა გაგჩენოდათ ეჭვები. შესწევს თუ არა ჩვენი დაცვის ქვეშ მყოფს უნარი, ჩაიდინოს ასეთი საზიზღარი დანაშაული? თქვენ მოისმინეთ ბევრი ადამიანის ჩვენება, რომლებიც ———————— შესანიშნავ მოქალაქედ და მეგობრად მიიჩნევენ. რა შესაძლო მოტივი უნდა ჰქონოდა ჩვენს კლიენტს? მეორე მხრივ, სახელმწიფოს არგუმენტები ემყარება ნივთიერ მტკიცებულებებს, რომლებიც, ექსპერტების თანახმად, არადამაჯერებელია. თუკი ამაზე

ექსპერტები ვერ თანხმდებიან, რა შანსები გვაქვს საამისოდ თქვენ და ჩვენ? ირიბი მტკიცებულებები ექვემდებარება ორ განსხვავებულ ინტერპრეტაციას, რომელთაგან ერთი ბრალეულობაზე, ხოლო მეორე კი უდანაშაულობაზე უთითებს. კანონის თანახმად, გონივრულობის ფარგლებში, თქვენ უნდა მიიღოთ ის ინტერპრეტაცია, რომელიც უდანაშაულობაზე მეტყველებს, და უარყოთ ნებისმიერი შეფარული ინტერპრეტაცია, რომელიც ბრალეულობაზე საუბრობს. თქვენ თქვენი სინდისის თანახმად უნდა მისცეთ ხმა, თუნდაც ამას ვერდიქტზე შეუთანხმებლობა მოჰყვეს შედეგად. ქალბატონებო და ბატონებო, სახელმწიფოს არგუმენტებში ჩვენ მიერ აღმოჩენილი სისუსტეების შესახებ შეგვიძლია მთელი დღის განმავლობაში ვისაუბროთ, მაგრამ ჩვენ თქვენი ხმები მარტო იმიტომ არ გვჭირდება, რომ სახელმწიფომ არასათანადოდ იმუშავა აღნიშნულ საქმეზე. თქვენი ხმები არც იმიტომ გვჭირდება, რომ თქვენ გეცოდებათ ჩვენი დაცვის ქვეშ მყოფი, რომელსაც უსამართლოდ უყენებენ ბრალდებებს. ჩვენ გვჭირდება თქვენი ხმები იმიტომ, რომ იგი სრულიად უდანაშაულოა. დრო მოვიდა თქვენ გადაწყვიტოთ, და არჩევანი შესაძლოა არცთუ ისეთი რთული იყოს, როგორც ეს თქვენ გგონიათ. თუ 100% არ ხართ დარწმუნებული, რომ მან ეს ჩაიდინა, მაშინ უდანაშაულობის ვერდიქტი უნდა გამოიტანოთ.

ბრალდება: ქალბატონებო და ბატონებო. არ შეგაცდინოთ ამ უძველესმა ფანდმა. სამართლიანობის ერთადერთი მარცხი ამ საქმეში სწორედ მაშინ იჩენს თავს, როდესაც დაცვის მხარე თავისი ჩახლართული ტაქტიკით ცდილობს ამ საქმეში უდანაშაულობის შესახებ ფანტაზიორობას. არსებული ფაქტები ცალსახად და თანმიმდევრულად უთითებენ ბრალდებულის ბრალეულობაზე. მოვიდა დრო პატივი სცეთ თქვენს თავდადებას სამოქალაქო მოვალეობებისა და სამართლიანობისადმი. ჩვენ პატივს ვცემთ თქვენს მოთმინებას ამ საქმეში, და დარწმუნებული ვარ, სრულიადაც არ არის სასიამოვნო გამამტყუნებელი ვერდიქტის გამოტანა, მაგრამ ამ ფაქტების შემხედვარე თქვენ სხვა გამოსავალი არ გაქვთ. და ეს არის ის, ქალბატონებო და ბატონებო, რაც თქვენ უნდა გააკეთოთ. ჩვენ შევასრულეთ ჩვენ მიერ დადებული პირობა. თქვენ გამამტყუნებელი განაჩენისათვის საკმარისზე მეტი მტკიცებულებები გაგაჩნიათ. თუ ამ მტკიცებულებათა ნებისმიერი ნაწილი, მაგალითად, პატარა სამეცნიერო ფაქტიც კი არ მოგწონთ, შეგიძლიათ თავისუფლად უგულებელყოთ ის. კიდევ უამრავი დაუზარალებელი მტკიცებულება არსებობს, რომელიც გონივრულ ადამიანებს იმ დასკვნამდე მიიყვანდა, რომ ერთი და ერთადერთი ვერდიქტი ამ საქმეში უნდა იყოს გამამტყუნებელი.

(13) ნაფიც მსაჯულთა ინსტრუქციები

ასეთი ინსტრუქციები შესაძლოა რთული იყოს, მაგრამ ნაფიც მსაჯულებს შეუძლიათ მისი ასლი ნაფიც მსაჯულთა ოთახში შეიტანონ. თუმცა, მსაჯულებს სთხოვენ ყურადღებით მოსმენას, რადგან მათ იმ კანონებით უნდა იხელმძღვანელონ, რომლებსაც მოსამართლე წაიკითხავს თითოეულ საქმეზე მსაჯულებისათვის წინასწარ მომზადებული ინსტრუქციების თანახმად. მსაჯულები კანონებს უნდა დაემორჩილონ, თუნდაც მათ არ ეთანხმებოდნენ (ზოგჯერ ე.წ. ნაფიც მსაჯულთა გაუქმება). ზოგიერთ შემთხვევაში, მოსამართლემ შეიძლება მოუწოდოს მსაჯულებს დაიცვან ობიექტურობა, როდესაც ნაფიცი მსაჯულები ჩიხში ექცევიან, ან განაცხადოს, რომ ნაფიც მსაჯულთა სხვა შემადგენლობა სულაც არ იქნება უფრო მეტად კვალიფიციური.

სხვა სახის ინსტრუქციები განსაკუთრებული შემთხვევებისთვის არის შემუშავებული. ქვემოთ მოცემულია ინსტრუქტაჟის მაგალითი საქმისათვის, სადაც მტკიცებულებათა მრავალფეროვნება ფიგურირებს:

მოსამართლე: ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს, ქალბატონებო და ბატონებო. თქვენ თქვენი გადაწყვეტილება ფაქტებსა და კანონს უნდა დააფუძნოთ. ფაქტი ეს არის რაღაც, რაც პირდაპირ ან ირიბად არის მოწოდებული მტკიცებულების ან შეთანხმების მიერ, რომელსაც მხარეები ფაქტებთან დაკავშირებით აღწევენ. მეორე მხრივ, თქვენ უნდა იხელმძღვანელოთ კანონებით ისე, როგორც ამას მე განგიცხადებთ. თუ მხარეების მიერ კანონებთან მიმართებაში გაკეთებული რაიმე განცხადება ეწინააღმდეგება ჩემს ინსტრუქციებს, თქვენ ჩემი ინსტრუქციებით უნდა იხელმძღვანელოთ. თქვენ არ უნდა მოექცეთ სიბრალულის, წინასწარი შეგონების, მიკერძოების, გრძნობის, ვარაუდის, ვნების, ან საზოგადოებრივი აზრის გავლენის ქვეშ. ხალხსაც და ბრალდებულსაც აქვთ უფლება თქვენგან მოელოდნენ მტკიცებულებათა კეთილსინდისიერ განხილვასა და შეფასებას, კანონის გამოყენებასა და შედეგების მიუხედავად, სამართლიანი ვერდიქტის გამოტანას. არავითარი მიზნებისათვის არ განიხილოთ მტკიცებულებები, რომლებიც სასამართლოს მიერ იყო ჩამოშორებული საქმეს. ისე მოიქეცით, თითქოს მათ შესახებ არასოდეს გსმენიათ. პირდაპირი და ირიბი მტკიცებულებებიც ერთნაირად უნდა შეფასდეს. უფრო დიდი წონა არც ერთს გააჩნია და არც მეორეს. განზრახვა შეიძლება დემონსტრირებული ყოფილიყო იმ ქმედებით, რომლის ჩადენასაც ჰქონდა ადგილი. ამ საქმეში მოტივის დამტკიცება აუცილებელი არ არის. მოწმეების ჩვენებებს შორის უთანხმოებები მაინცდამაინც არ ნიშნავს, რომ ესა თუ ის მოწმე დისკრედიტირებული უნდა იყოს. თქვენ მოგეთხოვებათ ისე შეაფასოთ საწინააღმდეგო მტკიცებულებები, როგორც ამას ჩათვლით საჭიროდ. იგივე შეეხება ექსპერტების ჩვენებებსაც, რომლებიც წარმოადგენენ მხოლოდ და მხოლოდ მოსაზრებებს რიგითი ადამიანების ცოდნის მიღმა არსებულ საკითხებზე. დამახასიათებელ მტკიცებულებათა შორის წინააღმდეგობათა არსებობისას საკითხი თქვენი შეხედულებისამებრ უნდა გადაწყვიტოთ, თუმცა, თქვენ შეგიძლიათ იგულისხმოთ კარგი დახასიათება იმ შემთხვევაში, როდესაც ცუდი დახასიათება შემოთავაზებული არ ყოფილა. დაპატიმრების დროს ქცევა, როგორიცაა გაქცევის მცდელობა, შეგიძლიათ გაითვალისწინოთ, როგორც დამნაშავეობაზე მეტყველი. დაბოლოს, არავითარი დასკვნები არ გააკეთოთ იმ ფაქტის გამო, რომ ბრალდებულს თვითონ ჩვენება არ მიუცია. ახლა მოგახსენებთ კონკრეტული მუხლების შესახებ ჩვენი სისხლის სამართლის კოდექსიდან ——————.

(14) ნაფიც მსაჯულთა თათბირი და ვერდიქტი

როგორც წესი, პირველ რიგში, ნაფიც მსაჯულთა თავმჯდომარეს ირჩევენ, ან წინა ხაზზე ლიდერობის ბუნებრივი უნარ-ჩვევების მატარებელი პიროვნება გამოჩნდება ხოლმე. თუ თავმჯდომარე ბრძენი აღმოჩნდება, ადრეულ ხმის მიცემას ადგილი არ ექნება. ამის ნაცვლად, იქნება დისკუსია იმის თაობაზე, თუ როგორ ჩატარდეს თათბირი. არსებობს იმის შანსი, რომ მოხდება ნაფიც მსაჯულთა ორ მხარეს პოლარიზება: დამნაშავესა და უდანაშაულოს შორის, და თითოეული მხარის სპიკერი შეეცდება მეორე მხარის გადარწმუნებას. ნაფიცი მსაჯულები ახლებურად ჩამოაყალიბებენ სა-

სამართლო პროცესზე მოსმენილ ფაქტებსა და საკითხებს, და აუცილებლად დადგება პრობლემა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა შეივსოს ვერდიქტის ფორმები. როგორც წესი, მიიღწევა კომპრომისული ვერდიქტი, რომელიც წარმოადგენს ჯგუფის კონსენსუსს, რომელიც საქმეში არსებულ ფაქტებს ვერდიქტის ფორმაში არსებულ ვარიანტებს შეუთავსებს.

პროტესტი სასამართლოსა და სისხლის სამართლის სხვა წარმოების დროს

ზოგიერთი ზოგადი კატეგორია და შემოკლებული განმარტება:

შეუფერებელი (რაღაცა „შესაფერისია“, როდესაც მას გააჩნია ტენდენცია გახადოს ნებისმიერი ფაქტის არსებობა უფრო სავარაუდო ან ნაკლებად სავარაუდო, ვიდრე ის ამის გარეშე იქნებოდა)	არაარსებითი (რაღაცა „არსებითია“, როდესაც ის ეფექტურ გავლენას ახდენს საქმეზე მისაღებ გადაწყვეტილებაზე)	არაკომპეტენტური (რაღაცა „კომპეტენტურია“, როდესაც სამართალწარმოებაში დაიშვება შესაბამისი ფაქტების დამტკიცების მიზნით)
შეცდომაში შემყვანი (აიძულებს პასუხის გაცემას)	დამაბნეველი (ძალზე სწრაფი ან გადაჭარბებული)	არასწორი (რთული წინადადება)
საკამათო (თვითდარწმუნებული)	ნაადრევი (საფუძვლებამდე)	დასკვნითი (უთითებს ირიბ ჩვენებაზე)

პირველი სამი (შეუფერებელი, არაარსებითი და არაკომპეტენტური) მოიხსენიება, როგორც დასაშვებობის სამი ტესტი (ბარიერი). რაიმე შეუფერებელია, როდესაც ის „მეორეხარისხოვანია“, ან სრულიად დაუკავშირებელია ბრალდებებთან ან საქმეში გამოყენებულ სისხლის საქმეთა კოდექსთან. მოულოდნელი კითხვის დასმა – „გჯერათ თუ არა უცხოპლანეტელების?“ – იქნებოდა შეუფერებელი შეკითხვის მაგალითი. რაიმე არაარსებითია, როდესაც ნაფიცი მსაჯულები მისი არსებობით არ უნდა შეწუხდნენ. არსებითობა ძირითადი სტანდარტია იმის დასადგენად, ტოვებს თუ არა რაიმე მათ გონებაში კვალს, და ნებისმიერი რამ, რაც მსაჯულთა გონებას გადატვირთავს, გააღიზიანებს ან უბრალოდ დაამწუხრებს, არ არის საჭირო. „არსებითობას“ კიდევ ერთი დატვირთვა აქვს, როგორც „მნიშვნელოვანი“ მოწმის (მატერიალ წიტნესს) შემთხვევაში, როდესაც მოწმეს არ სურს ჩვენების მიცემა, მაგრამ იგი თვითმხილველია და მსჯავრდების პროცესს იგი ესაჭიროება, მას აიძულებენ მისცეს ჩვენება. ნაფიც მსაჯულებზე გავლენის მქონე არაარსებითი კითხვების მაგალითებად გამოდგე-

ბოდა დანაშაულის ადგილის მონახულების თხოვნა (როდესაც ნახაზი საკმარისია) ან სხვა შიდასასამართლო დემონსტრირებები (როდესაც მსაჯულებს საშუალება ეძლევათ საკუთარი დასკვნები გამოიტანონ). რაიმე არაკომპეტენტურია, როდესაც მას სასამართლოში არაფერი ესაქმება. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ნებისმიერი არაკონსტიტუციური რამ დიდი ხანია დაუშვებელი იქნებოდა, მაგრამ არაკომპეტენტურობა ეხება ისეთ პირებს ან დაბალი ხარისხის მქონე მტკიცებულებებს, რაც სასამართლოს ღირსების ფარგლებს სცილდება. ამის მაგალითები იქნებოდა ყოფილ მსჯავრდებულთა ან იმ ადამიანთა ჩვენება, რომლებიც ჟარგონის ენაზე საუბრობენ (თუმცა გარკვეული თავისუფლება არსებობს მოწმისთვისაც, როდესაც ის რაიმეს საკუთარი სიტყვებით აღწერს), ან მტკიცებულებების მოპოვების მიზნით რომელიმე გაურკვეველი კერძო გამომძიებლის გამოყენება, რომელსაც ლიცენზია ჩამორთმეული აქვს ან არაეთიკურად საქმიანობს.

კონკრეტული პროტესტები შესაძლოა ჯდებოდეს ან არ ჯდებოდეს ზემოთ მოცემულ რომელიმე კატეგორიაში. მთლიანი მრავალფეროვნების შესაფასებლად, ქვემოთ მოცემულია შემდეგი ჩამონათვალი.

1. ორაზროვანი, დამაბნეველი, შეცდომაში შემყვანი, ბუნდოვანი, გაუგებარი

ვაპროტესტებ, პატივცემულო მოსამართლე, შეკითხვა არის (ორაზროვანი)(დამაბნეველი)(შეცდომაში შემყვანი)(ბუნდოვანი)(გაუგებარი).

აქედან ნებისმიერი სათანადო პროტესტია იმ შეკითხვაზე, რომელიც არ იყო გასაგებად და ზუსტად დასმული, რათა მოწმეს დანამდვილებით სცოდნოდა, თუ რა ინფორმაციას სთხოვდნენ მას.

2. არგუმენტაციის მოყვანა

ვაპროტესტებ, პატივცემულო მოსამართლე, მხარეს მოჰყავს არგუმენტაცია.

იურისტები ამას ხშირად აკეთებენ, და ამაში გარკვეული თავისუფლებაც ენიჭებათ. ყველაზე ხშირად ეს შესავალ სიტყვებში ხდება, როდესაც მხარე ფაქტების მისეულ ვერსიას გადმოსცემს და შემდეგ აგრძელებს იმაზე საუბარს, თუ რა დასკვნები უნდა გაკეთდეს მათგან.

3. კანონთან ან ფაქტებთან დაკავშირებით არგუმენტაციის მოყვანა, კანონთან მიმართებაში ნაფიც მსაჯულთა ინდოქტრინაციის მცდელობა

ვაპროტესტებ, პატივცემულო მოსამართლე. მხარის შეკითხვის მიზანია მოიყვანოს არგუმენტაცია ან წინასწარი ინსტრუქტაჟი ჩაუტაროს მსაჯულებს კანონთან დაკავშირებით.

იურისტები ასეთი სახის შეცდომებს ხშირად უშვებენ, როდესაც მოწმეების დაკითხვისა თუ ნებისმიერ სხვა დროს არ არის მართებული მათი მხრიდან ნაფიც მსა-

ჯულებს სამართლის მოკლე კურსი ჩაუტარონ. ეს მოსამართლის ფუნქციაა, მაგრამ ადვოკატები გამოსავალს პოულობენ ამბობენ რა, რომ „როგორც თქვენ დანამდვილებით მოსამართლისგან მოისმენთ, კანონი ამ საქმეში მოითხოვს...“.

4. საკამათო

ვაპროტესტებ, შეკითხვა საკამათოა.

საკამათო შეკითხვას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც მხარე რაიმეს დაასკვნის და შემდეგ სთხოვს მოწმეს ამ დასკვნაზე იკამათოს, ხშირად იმ მიზნით, რომ მოწმეს აზრი შეაცვლევინოს. ასევე ცნობილია, როგორც მოწმისთვის „გულის გაწყალება“.

5. კითხვა უკვე დასმულია და პასუხი გაცემულია

ვაპროტესტებ, ეს შეკითხვა უკვე დასმულია და პასუხიც გაცემულია.

იურისტები ხშირად შეეცდებიან ხაზი გაუსვან რაიმე გარემოებას იმ შეკითხვის გამეორების გზით, რომელსაც ძალზე მნიშვნელოვანი პასუხი მოჰყვა. გარკვეულ დონეზე გამეორება ნებადართულია, მაგრამ სასამართლოთა უმრავლესობა პროტესტს დააკმაყოფილებს, თუ შეკითხვა უკვე ორჯერ ან სამჯერ იყო დასმული.

6. ნაფიც მსაჯულთათვის თხოვნით მიმართვა წინასწარ შეაფასონ მტკიცებულება

ვაპროტესტებ, შეკითხვა სთხოვს ნაფიც მსაჯულებს წინასწარ შეაფასონ მტკიცებულება.

მოწმეების დაკითხვისა თუ ნებისმიერ სხვა დროს შეკითხვები არამართებულია, თუ ისინი ითვალისწინებს ნაფიც მსაჯულთა მხრიდან პირობის მიღებას, რომ ისინი კონკრეტულად ასე გადაწყვეტენ საქმის ბედს, თუკი გარკვეული ფაქტები დამტკიცდება. მაგალითად, არამართებულია შემდეგის თქმა – „თუკი დავამტკიცებ, რომ ბრალდებული ამ დროს სხვაგან იმყოფებოდა, მპირდებით რომ მას გაამართლებთ?“

7. ისეთი შეკითხვის დასმა, რომელსაც ცრუ შეხედულებების ან დამამძიმებელი მტკიცებულებები შემოაქვს

ვაპროტესტებ, შეკითხვას ცრუ შეხედულებების დაუშვებელი მტკიცებულება შემოაქვს.

ასეთი ხაზის ნებისმიერი შეკითხვა დაუშვებელია. მაგალითად, ასეთი შეიძლება იყოს შეკითხვათა სერია, რომელიც ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ბრალდებულს ადრე ხანგრძლივი კრიმინალური ისტორია ჰქონდა.

8. ისეთი შეკითხვის დასმა, რომელიც არ არის დაკავშირებული ნაფიც მსაჯულთან მიზეზის დასახელების გარეშე შეკამათებასთან

ვაპროტესტებ, შეკითხვა არ ეხება ნაფიც მსაჯულთან...

ნაფიც მსაჯულთა კანდიდატების შერჩევის დროს დასმული შეკითხვების დანიშნულება უნდა იყოს დაეხმაროს მხარეს სათანადოდ განახორციელოს მიზეზის დასახელების გარეშე აცილების შესაძლებლობა.

9. ვარაუდობს ფაქტებს, რომლებსაც მტკიცებულებები არ იცნობს

ვაპროტესტებ, შეკითხვა ვარაუდობს ფაქტებს, რომლებსაც მტკიცებულებები არ იცნობს.

ეს პროტესტი მაშინ გამოიყენება, როდესაც შეკითხვის შესავალი ნაწილი ვარაუდობს საკამათო მატერიალური ფაქტის სინამდვილეს. შეკითხვები, რომლებიც ფაქტებს ვარაუდობს, დასაშვებია მხოლოდ ჯვარედინი დაკითხვის დროს, როგორც წესი, მოწმის დამაჯერებლობის დისკრედიტაციისათვის.

10. საუკეთესო მტკიცებულებების წარმოდგენის მოთხოვნა

ვაპროტესტებ, შემოთავაზებული მტკიცებულება არ აკმაყოფილებს საუკეთესო მტკიცებულებების წარმოდგენის მოთხოვნას.

ეს ეხება წერილობით მასალებს, როგორიცაა საბოლოო ანდერძი და ანდერძის წერილი, რომლებიც არ წარმოადგენს ორიგინალ წერილობით მასალას – ანუ, საუკეთესო მტკიცებულებას. ორიგინალი დოკუმენტის მოთხოვნა უზრუნველყოფს, რომ არაფერი შეიცვალოს რაიმე კუთხით.

11. ფარგლებს მიღმა

ვაპროტესტებ, პატივცემულო მოსამართლე, ეს პირდაპირი დაკითხვის ფარგლებს მიღმაა.

ნებადართული შეკითხვები ჯვარედინი, განმეორებითი პირდაპირი და განმეორებითი ჯვარედინი დაკითხვების დროს უნდა ეხებოდეს პირდაპირი დაკითხვის დროს მოპოვებულ ინფორმაციას. განმეორებითი დაკითხვის დროს შეკითხვები არ შეიძლება ჯვარედინი დაკითხვის ფარგლებს გასცილდეს, განმეორებითი ჯვარედინი დაკითხვის დროს კი შეკითხვები განმეორებითი პირდაპირი დაკითხვის ფარგლებში უნდა მოექცეს; და ასე შემდეგ.

12. დასკვნაზე მითითება

ვაპროტესტებ, წარმომადგენლის შეკითხვა დასკვნაზე მიუთითებს.

ფაქტების სერიიდან გამომდინარე, მსჯელობის საბოლოო შედეგთან დაკავშირე-

ბული დასკვნები ნაფიცი მსაჯულების კომპეტენციაა. როგორც წესი, მოწმე დასკვნებს კი არ უნდა აკეთებდეს, არამედ ფაქტებს წარმოადგენდეს. თუმცა, ექსპერტი მოწმეები წარადგენენ დასკვნებს, და არაექსპერტ მოწმეებსაც გარკვეულ გარემოებებში ამის ნებას რთავენ. მაგალითად, სასამართლომ შეიძლება მიიღოს განცხადება იმის თაობაზე, რომ „მანქანა მეტისმეტად ჩქარა მოძრაობდა“ და არ მოითხოვოს სანაცვლოდ „მანქანა ძალიან ჩქარა მოძრაობდა“.

13. სპეკულაციაზე მითითება

ვაპროტესტებ, პატივცემულო მოსამართლე, შეკითხვა სპეკულაციაზე მიუთითებს.

ნებისმიერი რამ, რაც მოწმის მხრიდან ვარაუდების დონეზე მიხვედრას გამოიწვევს, გაპროტესტებას ექვემდებარება. სპეკულაციას იმის თაობაზე, თუ რა შეიძლებოდა სინამდვილეში მომხდარიყო, მცირე დამადასტურებელი ფასეულობა აქვს. გარკვეული თავისუფლება ენიჭებათ მოწმეებს საკუთარი სიტყვების გამოყენების მხრივ, და კიდევ უფრო დიდი თავისუფლებით სარგებლობენ ექსპერტი მოწმეები.

14. რთული შეკითხვა

ვაპროტესტებ, პატივცემულო მოსამართლე, ეს რთული შეკითხვაა.

რთული შეკითხვა სვამს ორ ან მეტ ცალკეულ შეკითხვას ერთი შეკითხვის ფარგლებში. ზოგადად გამოიყენება სიტუაციებში, როდესაც მოწმე პასუხობს „არა“, და დამაბნეველია, თუ შეკითხვის რომელ ნაწილს გაეცა პასუხი.

15. კრებსითი

ვაპროტესტებ, პატივცემულო მოსამართლე, ეს მტკიცებულება კრებსითია.

კრებსითი მტკიცებულება იმეორებს უკვე წარმოდგენილ მტკიცებულებას. მოსამართლის უფლებამოსილებას განეკუთვნება ის, თუ როდის შეაჩერებს იგი სხვადასხვა მოწმის მიერ ერთი და იმავე მტკიცებულებების წარმოდგენას, ან მსგავსი მტკიცებულებების წარმოდგენას, რომლებიც ახალ ინფორმაციას არ შეიცავს.

16. განცხადებული ფაქტები ვერ დამტკიცდება

ვაპროტესტებ, განცხადებული ფაქტები ვერ დამტკიცდება სასამართლო პროცესზე წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე.

მხარის წარმომადგენელს არ შეუძლია გადაკვრით მოიხსენიოს მტკიცებულება, რომელიც თუმცა შესაძლოა მართალი იყოს, სასამართლო პროცესზე ვერაფრით ვერ დამტკიცდება წინასასამართლო განჩინების ან დასაშვებობის რაიმე სხვა საკითხიდან გამომდინარე.

17. ბრალდებულის უუნარობა, მიეცა ჩვენება

ვაპროტესტებ, წარმომადგენელი კომენტარებს აკეთებს ბრალდებულის უუნარობაზე, მიეცა ჩვენება.

ეს პროტესტი მხოლოდ დაცვის მხარისთვის არის ხელმისაწვდომი, როდესაც ბრალდების მხარე აღნიშნავს ბრალდებულის უუნარობას, მიეცა ჩვენება. ასეთი განცხადებების გაკეთება მხოლოდ სამოქალაქო სამართალწარმოებაშია ნებადართული, და იკრძალება სისხლის სამართალწარმოებაში მეხუთე შესწორების თანახმად.

18. ირიბი ჩვენება

ვაპროტესტებ, შეკითხვა ირიბ ჩვენებაზე მიუთითებს.

ირიბი ჩვენება არის განცხადება, რომელსაც არა ჩვენების მიმცემი მოწმე, არამედ ვინმე სხვა ავრცელებს და ასეთი განცხადება შემოთავაზებულია საკუთარი სიმართლის დასამტკიცებლად. ირიბი ჩვენების წესებს გამონაკლისიც აქვს, მაგრამ ეს წესები იმიტომ არსებობს, რომ მეორეხარისხოვანი ჩვენებები არ არის სანდო და შეუძლებელია მათი გამოცდა ჯვარედინი დაკითხვის მეშვეობით.

2010 წლის 14 სექტემბრის მდგომარეობით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლი უშვებს ირიბ ჩვენებას, თუ: (2) მითითებულია ინფორმაციის წყარო; და (3) ირიბი ჩვენება დასტურდება სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობით.

19. არასათანადო იმპიჩმენტი

ვაპროტესტებ, პატივცემულო მოსამართლე, არასათანადო იმპიჩმენტი.

ეს პროტესტი გამოიყენება, როდესაც იერიშები მოწმის დამაჯერებლობაზე სცილდება იმპიჩმენტის დასაშვებ საფუძვლებს. საწინააღმდეგო მტკიცებულებებზე მითითების ჩვეული მეთოდის გარდა, ზოგადად არსებობს მოწმის იმპიჩმენტის 5 გზა: (1) მიკერძოება ან ცრუ შეხედულებები – თუ გადაუხდიან, მზად არის შეიძინოს მეგობარი ან მტერი; (2) სუსტი ხასიათი – გულწრფელობისა თუ ალალმართლობისთვის; (3) მსჯავრდებულად ყოფნა – თუ ეს 10 წელიწადზე ნაკლებ დროში მოხდა; (4) ცუდი მეხსიერება – თუ სახეზეა დაკვირვების, დამახსოვრების ან გახსენების დაქვეითებული შესაძლებლობა; და (5) ადრე გაკეთებული არათანმიმდევრული განცხადება – მაგრამ მხოლოდ მნიშვნელოვან ფაქტებთან მიმართებაში, როგორიცაა იმის განცხადება, რომ იმ დღეს ერთად მუშაობდნენ, ხოლო შემდგომ იმის თქმა, რომ იმ დღეს სამსახურიდან დაეთხოვნენ. ექსპერტ მოწმეებთან მიმართებაში, მათ კვალიფიკაციაზე იერიშის მიტანის ჩვეული მეთოდების გარდა, დაუსაბუთებელი მცდელობები დისკრედიტაცია გაეწიოს მათ მიერ გაკეთებულ ვარაუდებს მტკიცებულებათა შეცვლასთან, დაბინძურებასა თუ გაყალბებასთან დაკავშირებით, არ არის მართებული.

20. მიმანიშნებელი შეკითხვა

ვაპროტესტებ, შეკითხვა მიმახვედრებელი ხასიათისაა.

მიმანიშნებელი შეკითხვა გულისხმობს პასუხს, რომლის გაგონებაც მავანს სურს; „თქვენ იმ ღამეს დაზარალებულის სახლში იყავით, არა?“ იურისტი ასეთი სახის ჩვენებას არ უნდა აძლევდეს. მიმანიშნებელი შეკითხვები გარკვეულ გარემოებებში დაიშვება, როგორც წესი, ჯვარედინი დაკითხვის დროს, ექსპერტ მოწმეებთან, ახალგაზრდა, მოხუც, სუსტი მახსოვრობის მქონე და ნებისმიერ მტრულად განწყობილ, ორჭოფულ ან მოწინააღმდეგე მოწმეებთან მიმართებაში.

21. ყალბი განცხადებების გაკეთება მტკიცებულებებთან დაკავშირებით

ვაპროტესტებ, წარმომადგენელი ყალბ განცხადებებს აკეთებს სასამართლოზე განხილულ მტკიცებულებებთან დაკავშირებით.

სანამ გონივრული დასკვნების გამოტანა შესაძლებელია, პროტესტს ექვემდებარება შემთხვევა, როდესაც მტკიცებულებებთან დაკავშირებით ყალბი განცხადებები კეთდება ან არასწორად ხდება მიცემული ჩვენებიდან ფაქტების კონსტატაცია. ხშირად ეს „ჩვენ გამოვრიცხავთ“ განცხადების საფუძველია, და თუ არ დაკმაყოფილდა, გასაჩივრების საფუძვლებს შეიცავს. ამას გარდა, ზოგიერთი შტატი მოითხოვს იმის დემონსტრირებას, რომ სასამართლო პროცესის შედეგი ყალბი განცხადებების გამო არ იყო ობიექტური.

22. ყალბი განცხადებების გაკეთება კანონთან მიმართებაში

ვაპროტესტებ, წარმომადგენელი ყალბ განცხადებებს აკეთებს კანონთან ან ნაფიც მსაჯულთა ინსტრუქციებთან მიმართებაში.

მოსამართლეები ნებას რთავენ ადვოკატებს პერიფრაზირება გაუკეთონ ნაფიც მსაჯულთა ინსტრუქციებს, მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ისინი ამას სამართლიანად და ზუსტად გააკეთებენ მათ დასკვნით სიტყვებში.

23. თხრობაზე მითითება

ვაპროტესტებ, წარმომადგენლის შეკითხვა თხრობაზე მიუთითებს.

ეს მეთოდი მაშინ გამოიყენება, როდესაც არსებობს იმის საფრთხე, რომ მოწმე თავისი ამბავით გაგექცევათ და მას ვეღარ გააკონტროლებთ, ან ის დაიწყებს თავის ჩვენებაში დიდი მოცულობის ინფორმაციის ერთბაშად მოწოდებას. არსებობს შემთხვევები, როდესაც თხრობითი სტილის ჩვენება უფრო მართებულია, ვიდრე კითხვა-პასუხისა, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, პროტესტის მიზანია აღმოფხვრას დაუშვებელი მტკიცებულებების გავრცელება.

24. არასაპასუხო პასუხი

ვაპროტესტებ, პატივცემულო მოსამართლე, პასუხი არასაპასუხოა.

ეს მეთოდი მაშინ გამოიყენება, როდესაც პასუხი შეკითხვას პირდაპირ არ პასუხობს. და თუ პასუხი შეკითხვის ფარგლებს სცილდება, ეს გადამეტება პროტესტს ექვემდებარება.

25. არაკვალიფიციური მოწმის დასკვნა

ვაპროტესტებ, წარმომადგენლის შეკითხვა არასათანადო დასკვნაზე მიუთითებს. ან, ვაპროტესტებ, მოწმე არ არის საკმარისად კვალიფიციური, რომ ექსპერტად მოგვევლინოს. ან, ვაპროტესტებ, არასაკმარისი საფუძველი.

დასკვნების ტიპის ჩვენებები მხოლოდ მაშინ არის მართებული, როდესაც ეს გარკვეულ სფეროში ექსპერტიზას ან სპეციალიზებულ ცოდნას ეხება, და რომელშიც კვალიფიკაცია ექსპერტ მოწმეს გააჩნია. არაექსპერტ მოწმეებს დასკვნების გაკეთება მხოლოდ მაშინ შეუძლიათ, როდესაც მათი აღქმის უნარი ნაფიც მსაჯულთათვის არის გამოსადეგი; მაგ., დრო, მანძილი, სიჩქარე, სიფხიზლე.

26. პიროვნული იერიშები წარმომადგენელზე, ბრალდებულზე ან მოწმეზე

ვაპროტესტებ, მხარის წარმომადგენელი პიროვნულ იერიშს ახორციელებს (ჩემზე)(ბრალდებულზე)(მოწმეზე).

ამ სახის პროტესტი ძირითადად ისეთი შემთხვევებისთვის არსებობს, როდესაც მხარის წარმომადგენელი ჩხუბისთავივით იქცევა. ჩვენებაზე ან დამაჯერებლობაზე იერიშის მიტანა მართებულია, მაგრამ ემოციების ნებაზე მიშვების ან აღგზნების მიზნით პიროვნული იერიშების მიტანა დაუშვებელია.

27. მხარის წარმომადგენლის პირადი მოსაზრებები

ვაპროტესტებ, წარმომადგენელს მოჰყავს მისი პირადი მოსაზრებები.

ნებისმიერი განცხადება, რომელიც ეფუძნება წარმომადგენლის პირად მოსაზრებას, რომ რაიმე მართალია თუ არა, მკაცრად აკრძალულია. ადვოკატებს შეუძლიათ შენიშვნები გამოთქვან მხოლოდ მოწმის დამაჯერებლობასთან, მტკიცებულების სიმძიმისა და მტკიცებულებების თაობაზე არგუმენტებთან დაკავშირებით, მაგრამ არა იმის შესახებ, მართალია თუ ტყუილია რაიმე. ეს პროტესტი ასევე ისეთ შემთხვევებშიც გამოიყენება, როდესაც მხარის წარმომადგენელი გამოთქვამს პირად მოსაზრებებს მეორე მხარის, ბრალდებულის ან ნებისმიერი მოწმის პატიოსნებასთან დაკავშირებით. დამაჯერებლობაზე მიტანილი იერიშები კი პირად მოსაზრებებში არ უნდა გადადიოდეს.

28. ცრუ შეხედულებებისმაგვარი ან დამამძიმებელი შენიშვნები

ვაპროტესტებ, წარმომადგენლის არგუმენტის ერთადერთი დანიშნულება ნაფიც მსაჯულთა შორის ცრუ შეხედულების ჩამოყალიბებაა.

არამართებული არგუმენტები მოიცავს ნებისმიერ რამეს, რომლის მიზანიც არის ნაფიც მსაჯულებში თანაგრძნობის, ვნებების ან ცრუ შეხედულებების გამოწვევა. მაგალითად, არამართებულია პროკურორისთვის იმის განცხადება, რომ ნაფიც მსაჯულებს აკისრიათ მორალური პასუხისმგებლობა საზოგადოების ბრალდებულისგან დაცვაზე, რომ ბრალდებული გათავისუფლების შემთხვევაში კიდევ ბევრ დანაშაულს ჩაიდენს, ან იმის მინიშნება, რომ ერთ დღეს ბრალდებული შესაძლოა ნაფიც მსაჯულებსაც მოუბრუნდეთ უკან. თანაბრად გაპროტესტებადია დაცვის მხარის განცხადებები, როდესაც ისინი ნაფიც მსაჯულებს შეახსენებენ ბრალდებულის პასუხისმგებლობებს ოჯახის მიმართ, მის მოტირალ პატარა ბავშვებს ან ნათელ მომავალს. ასეთი სახის შენიშვნები მხოლოდ მაშინ არის ნებადართული, როდესაც ადგილი აქვს სასჯელის (სახის, და ზომის) დამდგენ სასამართლო პროცესებს.

29. შესაბამისობა

ვაპროტესტებ, შეკითხვა არასათანადო პასუხზე მიუთითებს.

რაიმე არასათანადოა, როდესაც ის ბუნებრივად არ ემსახურება საკითხის ან ფაქტის დადგენას. სასამართლოს აკისრია ეფექტურობის მისია და ამიტომ მან უნდა აღკვეთოს ყურადღების გადატანის ნებისმიერი მცდელობა გარე საკითხებზე, რომელთაც სასამართლო პროცესთან არავითარი კავშირი არა აქვთ.

ექსპერტის აყვანა და გამოყენება

ექსპერტის დანიშვნა

დავიწყოთ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 144-ე მუხლით, ექსპერტიზის დანიშვნის საფუძველი, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, „თუ მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების სათანადო დარგის ან ამა თუ იმ ხელობის ექსპერტთა მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივ გარემოებათა დადგენა, ასევე თუ სხეულს ან ინფორმაციის შემცველ ობიექტს აჩნევია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე კვალი, ნიშანი ან თავისებურება, რომლის სწორად გაგება და აღქმა სპეციალური ცოდნის გარეშე შეუძლებელია, ტარდება ექსპერტიზა“. 144-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, „ექსპერტიზის ჩატარების შესახებ დადგენილებაში და დაცვის მხარის მიმართვაში აღინიშნება ექსპერტიზის დანიშვნის საფუძველი, ექსპერტის წინაშე დასმული კითხვები, საექსპერტო დაწესებულების დასახელება ან იმ პირის გვარი, რომელსაც დაევალა ექსპერტიზის ჩატარება“.

ცალსახაა, რომ დაცვის მხარეს შეუძლია მოითხოვოს ექსპერტიზის დანიშვნა. შეუძლია თუ არა დაცვის მხარეს მოითხოვოს ექსპერტიზა საქმეზე მეორე დასკვნის მოპოვების მიზნით? „აუცილებელია“ თუ არა ასეთი ექსპერტიზა? დიახ, თუკი საქმეზე სახელმწიფო ექსპერტის პირველი დასკვნა კითხვის ქვეშ დადგება. სსს კოდექსის სხვა ნაწილები ამას ირიბად უჭერს მხარს. მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, „მტკიცებულების შეფასების დროს წარმოშობილი ეჭვი, რომელიც არ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის (მსჯავდებულის) სასარგებლოდ“. ეჭვი მეორე დასკვნის მოპოვების გზით უნდა გადაწყდეს. მე-9 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „მხარეს უფლება აქვს, ამ კოდექსით დადგენილი წესით დააყენოს შუამდგომლობა, მოიპოვოს, სასამართლოს მეშვეობით გამოითხოვოს, წარადგინოს და გამოიკვლიოს ყველა შესაბამისი მტკიცებულება“. ზოგიერთ შემთხვევაში, შეიძლება შესაბამისი მტკიცებულების გამოკვლევა ნიშნავდეს რაიმე სხვას, თუ არა ექსპერტისთვის დახმარებისათვის მიმართვას?

სსს კოდექსის მე-13 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, „მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა“. თუკი სახელმწიფო ექსპერტის დასკვნა ფაქტების გამოკვლევამდეა შედგენილი, ეს ხომ რეალურად წინასწარ დადგენილი სამართლებრივი ძალაა? სსს კოდექსის მე-14 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „სასამართლოს (ნაფიც მსაჯულებს) არ უნდა წარედგინოს მტკიცებულება, თუ მხარეებს მისი უშუალოდ და ზეპირად გამოკვლევის თანაბარი შესაძლებლობა არ ჰქონიათ, გარდა ამ კოდექსით გათვალისწინებული გამონაკლისებისა“. ისევ და ისევ, როგორ მიიღწევა თანაბარი შესაძლებლობები ექსპერტის დახმარების გარეშე?

სსს კოდექსის 39-ე მუხლის თანახმად,

„1. ბრალდებულს უფლება აქვს, საკუთარი ხარჯით, თვითონ ან/და ადვოკატის დახმარებით მოიპოვოს მტკიცებულება. ბრალდებულის მიერ მოპოვებულ მტკიცებულებას ბრალდების მხარის მიერ მოპოვებული მტკიცებულების თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

2. თუ მტკიცებულების მოპოვებისათვის საჭიროა ისეთი საგამოძიებო ან სხვა

საპროცესო მოქმედების ჩატარება, რომელსაც ბრალდებული ან მისი ადვოკატი დამოუკიდებლად ვერ ატარებს, იგი უფლებამოსილია შესაბამისი განჩინების გამოტანის შუამდგომლობით მიმართოს მოსამართლეს გამოძიების ადგილის მიხედვით. მოსამართლე ვალდებულია მიიღოს ყველა ზომა, რათა ბრალდების მხარისათვის ცნობილი არ გახდეს დაცვის მხარის მიერ მტკიცებულების მოპოვება.“

არ არის მე-3 მუხლის 23-ე ნაწილით განმარტებული „მტკიცებულება“ საკმარისად ფართო, რომ მოიცვას მოწმის ჩვენებაც, მაშინ როდესაც 24-ე ნაწილით სწორედ „მოწმის ჩვენებაა“ განმარტებული? 23-ე ნაწილი ნაწილობრივ აცხადებს, „კანონით დადგენილი წესით სასამართლოში წარდგენილი ინფორმაცია, ...“ რა არის ინფორმაცია სხვა, თუ არა კონკრეტული ნივთის შესახებ შეგროვებული ფაქტები და მონაცემები?

ნებისმიერი ლიტერატურა, ფაქტები ან ინფორმაცია, რომელიც გაგაჩნიათ ბრალდების ექსპერტის დასკვნაზე იერიშის მისატანად, ჩამოყალიბებული უნდა იყოს სასამართლოსათვის წარსადგენ შუამდგომლობაში, რომ არსებობს მეორე დასკვნის მოპოვების საკმარისი საფუძველი. აჩვენეთ სასამართლოს, თუ თქვენს საქმეში არსებული ფაქტების თანახმად რატომ არ უნდა დაუშვას მან, რომ ბრალდების მხარის ექსპერტის დასკვნა უტყუარი.

ექსპერტის შერჩევა

აქვს თუ არა ექსპერტს სამუშაოს შესასრულებლად საჭირო დრო და რესურსები? აქვს თუ არა მას განხილულ საკითხში ცოდნა და ოსტატობა? შეესაბამება თუ არა ექსპერტის კვალიფიკაცია ჩვენების თემას? თქვენ ძლიერი აკადემიური გამოცდილების თუ უფრო პრაქტიკული გამოცდილების მქონე ექსპერტი გესაჭიროებათ? არის თუ არა თქვენი ექსპერტი დამოუკიდებელი? დაუფიქსირებია თუ არა მანამდე ექსპერტს პოზიცია, რომელიც თქვენი თეორიის შეუსაბამოა? თუ ასეა, შესაძლებელია თუ არა ასეთი პოზიციის ფაქტებით გამორჩევა? ახასიათებს თუ არა ექსპერტს „სასამართლო დარბაზში წარმომადგენლობა“? იგრძნობს თუ არა ის თავს კომფორტულად სასამართლო დარბაზის გარემოში? გამოიწვევს თუ არა ექსპერტის მანერები ანტაგონიზმს ნაფიც მსაჯულებში? შეუძლია თუ არა ექსპერტს ესაუბროს კითხვების დამსმელს დამაჯერებლად, ყოველდღიური ლექსიკის გამოყენებით, მოწყალების მანერით მეტყველების გარეშე? როგორი იქნება ექსპერტის რეაქცია ჯვარედინ დაკითხვაზე? ექსპერტმა, რომელიც ძალზე რბილი ან მოპაექრეა, შესაძლოა ნაფიც მსაჯულებში ანტიპათია გამოიწვიოს. გააჩნია თუ არა ექსპერტს რეპუტაცია და როგორია ის?

პირდაპირი დაკითხვისთვის მომზადება

შეეკითხეთ თქვენს ექსპერტს იმ მასალების შესახებ, რომელიც შეგიძლიათ მიმოიხილოთ თემის შესახებ მეტის სწავლის მიზნით. აუცილებელია გაეცნოთ თემას,

რათა ჩამოაყალიბოთ ძირითადი თუ წინასწარი ფაქტები, რომლებიც ექსპერტის დასკვნას დაედება საფუძვლად.

შეეკითხეთ ექსპერტს იმის შესახებ, რაც ნაფიცმა მსაჯულებმა უნდა იცოდნენ. ჩამოაყალიბეთ თქვენი შეკითხვები მისი პასუხების გარშემო.

თუ თქვენს ექსპერტს უკვე მიცემული აქვს ჩვენება, შეეცადეთ მოიპოვოთ მისი ჩვენების ამონაწერები. ნახეთ, თუ როგორ წარდგა ექსპერტი ჯვარედინი დაკითხვის დროს.

არ გადააჭარბოთ; არ გადატვირთოთ ნაფიცი მსაჯულები უსარგებლო ინფორმაციით. წარმოადგინეთ ინფორმაცია მარტივი, ლაკონიური და გასაგები მანერით, რათა ნაფიცი მსაჯულის ყურადღება მიიპყროთ. თქვენი თემის კარგად ცოდნა, თქვენი ექსპერტის წვლილთან ერთად, შესაძლებლობას მოგცემთ პროცესი მართვადი გახადოთ.

გაეცანით თქვენი მოწმის რეზიუმეს. აჩვენეთ ნაფიც მსაჯულებს, რომ ის სათანადოდ არის კვალიფიცირებული.

გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, ჩამოაყალიბეთ თქვენი ექსპერტის ჩვენება ჯერ ძირითადი აუცილებელი მოწმეების გამოძახების გზით. მაგალითად, უნდა განიხილოთ თუ არა პატიმრობასთან დაკავშირებული საკითხების ჯაჭვი?

დარწმუნდით, რომ ექსპერტმა იცის თქვენი შეკითხვების ბუნება, თემები, რომლებზეც თქვენ ისაუბრებთ, და ფაქტები, რომლებსაც თქვენ წამოსწევთ. თუ ეს შესაძლებელია, დაჰკითხეთ ის „ბოლო რეპეტიციაზე“ ისევე, როგორც ამას სასამართლოში გააკეთებდით.

სახელმძღვანელო ადვოკატებისათვის ექსპერტთა მოწმედ მოწვევის თაობაზე

ამ სახემძღვანელოში მოცემულია მასალები სესილ კუჰნე III-ს (Cecil C. Kuhne III) სახელმძღვანელოდან „პროცესის მონაწილეთა სახელმძღვანელო ექსპერტი მოწმეების თაობაზე", ამერიკის იურისტთა ასოციაციის საავტორო უფლება, 2006.

მასალები გამოყენებულია ამერიკის იურისტთა ასოციაციის საავტორო უფლებებისა და გარიგებების განყოფილების ნებართვით, მისამართი: copyright@abanet.org.

სახელმძღვანელო შეიქმნა პირველწყაროს რედაქტირებისა და გადამუშავების შედეგად, ქართულ კანონმდებლობასთან და პრაქტიკასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად და ქართულად თარგმანისთვის ამერიკის იურისტთა ასოციაციის სისხლის სამართლის პროგრამის მიერ და ეს ცვლილებები არ ასახავს პირველწყაროს ავტორის, სესილ კუჰნე III -ის და არც ამერიკის იურისტთა ასოციაციის გამომცემლობის ნაშრომსა და მოსაზრებებს.

სახელმძღვანელო მომზადდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ნარკოტიკებისა და სამართალდამცავი ორგანოების საკითხთა ბიუროს დაფინანსებით.

შესავალი

ეს სახელმძღვანელო შემუშავდა საქართველოში დაცვის მხარის ადვოკატთათვის, რათა მათ გაუადვილდეთ მოწმე ექსპერტებთან მუშაობა სისხლის სამართლის საქმეებზე, რომლებიც 2010 წლის 1 ოქტომბრიდან ძალაში შესული სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსის საფუძველზე შექმნილი შეჯიბრებითობის ახალ სისტემაზე დაყრდნობით წარიმართება.

შესაძლებლობის ფარგლებში გათვალისწინებულია სახელმძღვანელოს გამოცემამდე არსებული ქართული კანონმდებლობა და პრაქტიკა. აღსანიშნავია, რომ გამოცემის მომზადების მომენტში ავტორი არ იცნობდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარებს, თუმცა აღინიშნა, რომ კომენტარი მალე მომზადდებოდა.

მითითებული წყარო „პროცესის მონაწილეთა სახელმძღვანელო ექსპერტი მოწმეების თაობაზე" ასახავს ამერიკის შეერთებული შტატების პრაქტიკას. ამ სახელმძღვანელოში ასახული ზოგი მასალა შესაძლოა არ შეესაბამებოდეს ქართულ პრაქტიკას. სახელმძღვანელოს რედაქტორი მადლობას უხდის სესილ კუჰნე III-ს, ამერიკის იურისტთა ასოციაციის გამომცემლობას, ამერიკის იურისტთა ასოციაციის კანონის უზენაესობის ინიციატივას (ABA/ROLI) და საქართველოში ამერიკის იურისტთა ასოციაციის კანონის უზენაესობის ინიციატივის სისხლის სამართლის პროგრამის ადვოკატებსა და თანამშრომლებს დაუღალავი შრომისთვის.

საკანონმდებლო ბაზა

ამონარიდები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიდან

მუხლი 3. განმარტებები

20. **მოწმე** – პირი, რომელმაც შეიძლება იცოდეს სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო მონაცემი. პირი მოწმის სტატუსსა და უფლება-მოვალეობებს იძენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე გაფრთხილებისა და ფიცის დადების შემდეგ.
21. **ექსპერტი** – სპეციალური ცოდნის, ჩვევებისა და გამოცდილების მქონე ფიზიკური პირი, რომელიც ამ კოდექსით დადგენილი წესით, სისხლის სამართლის საქმეზე საჭირო გამოკვლევის ჩასატარებლად და დასკვნის შესადგენად მიწვეულია მხარის ან მხარის შუამდგომლობით სასამართლოს მიერ. გარდა ამისა, ექსპერტი მხარეებსა და სასამართლოს დახმარებას უწევს მტკიცებულებათა აღმოჩენაში, გამოკვლევასა და დემონსტრირებაში.
22. **დაზარალებული** – სახელმწიფო, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც მორალური, ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანი მიადგა უშუალოდ დანაშაულის შედეგად.
23. **მტკიცებულება** – კანონით დადგენილი წესით სასამართლოში წარდგენილი ინფორმაცია, ამ ინფორმაციის შემცველი საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი, რომლის საფუძველზედაც მხარეები სასამართლოში ადასტურებენ ან უარყოფენ ფაქტებს, სამართლებრივად აფასებენ მათ, ასრულებენ მოვალეობებს, იცავენ თავიანთ უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, ხოლო სასამართლო ადგენს, არსებობს თუ არა ფაქტი ან ქმედება, რომლის გამოც ხორციელდება სისხლის სამართლის პროცესი, ჩაიდინა თუ არა ეს ქმედება გარკვეულმა პირმა, დამნაშავეა თუ არა იგი, აგრეთვე გარემოებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხასიათსა და ხარისხზე, ახასიათებს მის პიროვნებას. დოკუმენტი მტკიცებულებაა, თუ ის შეიცავს სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების დასადგენად საჭირო ცნობას. დოკუმენტად ითვლება ნებისმიერი წყარო, რომელშიც ინფორმაცია აღბეჭდილია სიტყვიერ-ნიშნობრივი ფორმით ან/და ფოტო-, კინო-, ვიდეო-, ბგერისა თუ სხვა ჩანაწერის სახით ან სხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით.
24. **მოწმის ჩვენება** – მოწმის მიერ სასამართლოში მიცემული ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა შესახებ.
25. **ნივთიერი მტკიცებულება** – საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი, რომელიც წარმოშობით, აღმოჩენის ადგილითა და დროით, ნიშან-თვისებებითა და მასზე დარჩენილი კვალით დაკავშირებულია სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივ გარემოებასთან და შეიძლება დანაშაულის აღმოჩენის, დამნაშავის დადგენის ან ბრალდების უარყოფის თუ დადასტურების საშუალება იყოს.

მუხლი 38. ბრალდებულის უფლება-მოვალეობანი

13. ბრალდებულს და მის ადვოკატს უფლება აქვთ, ამ კოდექსით დადგენილ ფარ-

გლებში და დადგენილი წესით გაეცნონ ბრალდების მხარის მტკიცებულებებს, მიიღონ მტკიცებულებისა და სისხლის სამართლის საქმის მასალების ასლები.

14. ბრალდებულს უფლება აქვს: მონაწილეობა მიიღოს მისი ბრალდების საქმის გამოძიებასა და სასამართლო განხილვაში; დააყენოს შუამდგომლობა და განაცხადოს აცილება; დაცვის მხარის მტკიცებულება გამოიკვლიოს იმავე პირობებში, როგორშიც ბრალდების მხარის მტკიცებულების გამოკვლევა ხდება; გაეცნოს მხარის მიერ შეტანილ საჩივარს და მასზე გამოთქვას მოსაზრება; გაეცნოს სასამართლო სხდომის ოქმს და მასზე გამოთქვას შენიშვნა.

მუხლი 39. ბრალდებულის უფლება, მოიპოვოს მტკიცებულება

1. ბრალდებულს უფლება აქვს, საკუთარი ხარჯით, თვითონ ან/და ადვოკატის დახმარებით მოიპოვოს მტკიცებულება. ბრალდებულის მიერ მოპოვებულ მტკიცებულებას ბრალდების მხარის მიერ მოპოვებული მტკიცებულების თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.
2. თუ მტკიცებულების მოპოვებისათვის საჭიროა ისეთი საგამოძიებო ან სხვა საპროცესო მოქმედების ჩატარება, რომელსაც ბრალდებული ან მისი ადვოკატი დამოუკიდებლად ვერ ატარებს, იგი უფლებამოსილია შესაბამისი განჩინების გამოტანის შუამდგომლობით მიმართოს მოსამართლეს გამოძიების ადგილის მიხედვით. მოსამართლე ვალდებულია მიიღოს ყველა ზომა, რათა ბრალდების მხარისათვის ცნობილი არ გახდეს დაცვის მხარის მიერ მტკიცებულების მოპოვება.

მუხლი 72. დაუშვებელი მტკიცებულება

3. ბრალდების მხარის მტკიცებულების დასაშვებობისა და დაცვის მხარის მტკიცებულების დაუშვებლობის მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალმდებელს.
4. მხარე ვალდებულია სასამართლოს მიაწოდოს ინფორმაცია საკუთარი მტკიცებულების წარმომავლობის შესახებ.
5. მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის საკითხს წყვეტს სასამართლო.

მუხლი 75. მოწმის ჩვენება

1. მოწმის ჩვენება მტკიცებულება ვერ იქნება, თუ მოწმე ვერ მიუთითებს წარმოდგენილი ინფორმაციის წყაროს ან თუ დადგინდება, რომ ფსიქიკური ავადმყოფობის ან ფიზიკური ნაკლის გამო მას არ შეუძლია სწორად აღიქვას, დაიმახსოვროს და აღიდგინოს ფაქტები.
2. თუ მოწმის ჩვენებებში არსებითი წინააღმდეგობაა, მხარეს უფლება აქვს, მოსამართლის წინაშე დააყენოს შუამდგომლობა ჩვენების (ჩვენებების) დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის თაობაზე.

მუხლი 76. ირიბი ჩვენება

1. ირიბია მოწმის ის ჩვენება, რომელიც ეფუძნება სხვა პირის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას.
2. ირიბი ჩვენება დასაშვებია მხოლოდ ინფორმაციის წყაროს მითითებით.
3. სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს ირიბი ჩვენება დასაშვები მტკიცებულებაა, თუ იგი დასტურდება სხვა მტკიცებულებით.

მუხლი 82. მტკიცებულების შეფასება

1. მტკიცებულება უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი რელევანტურობის, დასაშვებობის და უტყუარობის თვალსაზრისით.
2. მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა.
3. გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა.

მუხლი 83. შესაძლო მტკიცებულებათა თაობაზე ინფორმაციის გაცვლა მხარეების მიერ

1. სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე დაცვის მხარის მოთხოვნა ბრალდების მხარის იმ ინფორმაციის გაცნობის თაობაზე, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც ბრალდების მხარე აპირებს, დაუყოვნებლივ უნდა დაკმაყოფილდეს. ბრალდების მხარე ასევე ვალდებულია ამ ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში დაცვის მხარეს გადასცეს მის ხელთ არსებული გამამართლებელი მტკიცებულებები.
2. დაცვის მხარის მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ ბრალდების მხარე უფლებამოსილია დაცვის მხარისაგან მიიღოს ის ინფორმაცია, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც დაცვის მხარე აპირებს.
3. ინფორმაციის გაცვლის მოთხოვნის შემდეგ იმ მომენტისათვის არსებული მასალის მხარისათვის სრული მოცულობით გადაუცემლობა იწვევს ამ მასალის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობას.
4. ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული მხარეების მიერ ინფორმაციის გაცვლის თაობაზე დგება ოქმი, რომლის ასლიც ეგზავნება სასამართლოს სისხლის სამართლის საქმესთან ერთად.

მუხლი 144. ექსპერტიზის დანიშვნის საფუძველი

1. თუ მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების სათანადო დარგის ან ამა თუ იმ ხელობის ექსპერტთა მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივ გარემოებათა დადგენა, ასევე თუ სხეულს ან ინფორმაციის შემცველ ობიექტს აჩნევია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე კვალი, ნიშანი ან თავისებურება, რომლის სწორად გაგება და აღქმა სპეციალური ცოდნის გარეშე შეუძლებელია, ტარდება ექსპერტიზა.
2. ექსპერტიზა ტარდება მხარის ინიციატივით.
3. თუ საექსპერტო კვლევის ობიექტი მეორე მხარესთან ინახება, იგი ვალდებულია გადასცეს ობიექტი ექსპერტიზის ინიციატორ მხარეს. ექსპერტიზის ინიციატორი მხარე უფლებამოსილია ჩაატაროს ექსპერტიზა. თუ მხარე ნებაყოფლობით ვერ იღებს, იგი უფლებამოსილია საექსპერტო კვლევის ობიექტის ექსპერტისათვის გადაცემის შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს გამოძიების ადგილის მიხედვით. შუამდგომლობა განხილულ უნდა იქნეს არა უგვიანეს 48 საათისა. შუამდგომლობის განხილვის დრო და ადგილი ეცნობება მხარეებს. შუამდგომლობის ავტორის გამოუცხადებლობის შემთხვევაში შუამდგომლობა არ განიხილება. სასამართლო უფლებამოსილია შუამდგომლობა განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე. სასამართლოს განჩინება არ გასაჩივრდება.
4. ექსპერტიზის ჩატარების შესახებ გამომძიებლის, პროკურორის დადგენილება და დაცვის მხარის მიმართვა სავალდებულოა სახელმწიფო საექსპერტო დაწე-

სებულებისათვის, ექსპერტისათვის და იმ პირისათვის, რომელიც საექსპერტო კვლევის ობიექტია.

5. ექსპერტიზის ჩატარების შესახებ დადგენილებაში და დაცვის მხარის მიმართვაში აღინიშნება ექსპერტიზის დანიშვნის საფუძველი, ექსპერტის წინაშე დასმული კითხვები, საექსპერტო დაწესებულების დასახელება ან იმ პირის გვარი, რომელსაც დაევალა ექსპერტიზის ჩატარება.
6. დაცვის მხარეს უფლება აქვს, ამ კოდექსის 46-ე მუხლით დადგენილ ფარგლებში და დადგენილი წესით მოითხოვოს მისი ინიციატივით ჩატარებული ექსპერტიზის ხარჯების სახელმწიფოს ხარჯზე ანაზღაურება.

მუხლი 145. საექსპერტო კვლევის ობიექტი

1. საექსპერტო კვლევის ობიექტი, თუ მისი მოცულობა და თვისება ამის საშუალებას იძლევა, ექსპერტს უნდა გადაეცეს შეფუთული და დალუქული სახით.
2. საექსპერტო კვლევის ობიექტი შეიძლება დაიხარჯოს იმ ოდენობით, რამდენიც საჭიროა საექსპერტო კვლევისათვის.
3. ექსპერტიზის დამთავრებისთანავე საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუხარჯავი ნაწილი შეფუთული და დალუქული სახით უნდა დაუბრუნდეს ექსპერტიზის დამნიშვნელ პირს ან ორგანოს, ხოლო თუ ექსპერტიზა ტარდება ამ კოდექსის 144-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, საექსპერტო კვლევის ობიექტი უბრუნდება მხარეს, რომელთანაც ის ინახებოდა ექსპერტიზის დანიშვნამდე.

მუხლი 146. ექსპერტის დასკვნა

1. საჭირო გამოკვლევის ჩატარების შემდეგ ექსპერტი იძლევა დასკვნას. წერილობით დასკვნას იგი ადასტურებს ხელმოწერით.
2. ექსპერტის დასკვნაში უნდა აღინიშნოს ექსპერტის ვინაობა (სახელი, გვარი, განათლება, სპეციალობა, სპეციალობით მუშაობის სტაჟი, სამეცნიერო ხარისხი და სამეცნიერო წოდება, სამუშაო ადგილი და თანამდებობა), ის, რომ ექსპერტი გააფრთხილეს განზრახ არასწორი დასკვნის მიცემისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ, ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი, ვინ ესწრებოდა მას, რა მასალები გამოიყენა, რა საგანი, დოკუმენტი, ნიმუში ან სხვა ობიექტი გამოიკვლია, რა გამოკვლევა ჩაატარა და რა მეთოდები გამოიყენა ექსპერტმა, დასაბუთებული პასუხები დასმულ კითხვებზე, ექსპერტის ინიციატივით დადგენილი და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებანი.
3. ექსპერტის დასკვნას უნდა დაერთოს გამოკვლევის ჩატარების შემდეგ დარჩენილი ნივთები, ნიმუშები, ფოტოსურათები, სქემები და სხვა მასალები, რომლებიც ადასტურებს ექსპერტის დასკვნას.
4. ექსპერტის დასკვნის მიღებისთანავე ექსპერტიზის ინიციატორმა მხარემ ის დაუყოვნებლივ უნდა გადასცეს მეორე მხარეს ასეთი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში.

მუხლი 147. ნიმუშის აღება

1. ნიმუშის აღება ტარდება მხარის მიერ. მხარეს უფლება აქვს, აიღოს ადამია-

ნის, გვამის, ცხოველის, ნივთიერების, საგნის ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის თვისებების ამსახველი ნიმუში. თუ ნიმუშის ნებაყოფლობით აღება შეუძლებელია, ის ტარდება მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს განჩინებით.

2. თუ ნიმუშის აღებისათვის აუცილებელია ქირურგიული ან სამედიცინო საშუალებების გამოყენება, ნიმუშს იღებს ექსპერტი.
3. ნიმუშის აღება, რომელიც იწვევს ძლიერი ტკივილის შეგრძნებას, დასაშვებია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში და იმ პირის თანხმობით, რომლისგანაც ნიმუში უნდა იქნეს აღებული, აგრეთვე მშობლის, მეურვის ან მზრუნველის თანხმობით, თუ ამ პირს 16 წელი არ შესრულებია ან თუ ის ფსიქიკურად დაავადებულია, ან სასამართლოს განჩინებით.

მუხლი 148. ნიმუშის აღების საფუძველი

ნიმუშის აღებისათვის სასამართლოს განჩინება გამოიტანება ამ კოდექსის 144-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული წესით.

მუხლი 149. გამოცხადების სავალდებულოობა, მიყვანა

1. მხარე უფლებამოსილია დააყენოს შუამდგომლობა სასამართლო სხდომაზე თავისი მოწმის გამოძახების შესახებ.
2. პირი, რომელსაც კანონით დადგენილ შემთხვევებში იძახებს სასამართლო, ვალდებულია გამოცხადდეს ზუსტად დანიშნულ დროს და ადგილას. გამოუცხადებლობის შემთხვევაში იგი შეიძლება იძულებით მიიყვანონ.
3. მიყვანა ხორციელდება იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნეს საგამოძიებო ან სხვა საპროცესო მოქმედებაში ან სასამართლო სხდომაში მოწმის მონაწილეობა, თუ იგი უარს ამბობს ნებაყოფლობით გამოცხადებაზე.
4. ექსპერტიზის ინიციატორი მხარე ვალდებულია უზრუნველყოს ბრალდებულის, დაზარალებულისა და მოწმის ექსპერტთან მიყვანა, თუ აუცილებელი გახდა მათი სხეულის ან ფსიქიკის გამოკვლევა ან თუ აუცილებლად იქნა მიჩნეული ექსპერტიზაზე აღნიშნულ პირთა დასწრება. იძულებით მიყვანა ხდება მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს განჩინებით, რომელიც გამოიტანება ამ კოდექსის 144-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული წესით. გამოძიების სტადიაზე ბრალდებულის მიყვანა დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს განჩინებით.
5. მიყვანის შესახებ გადაწყვეტილებაში აღნიშნული უნდა იყოს: მისაყვანი პირის სახელი, გვარი, საპროცესო მდგომარეობა, საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილი; მისი მიყვანის საფუძველი; როდის და სად უნდა მიიყვანონ პირი; ვის ევალება მისი მიყვანა.

მუხლი 191. სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა საქმის არსებითი განხილვის დროს შეურაცხადობის საკითხის განხილვა;

1. როდესაც არსებობს ამ კოდექსით დადგენილი საფუძველი, საქმის არსებითად განმხილველი სასამართლო მხარის შუამდგომლობით წყვეტს სისხლისსამართლებრივ დევნას. ამასთანავე, სასამართლო აუქმებს გამოყენებულ აღკვეთის

ღონისძიებას, აგრეთვე წყვეტს ამ კოდექსით გათვალისწინებულ სხვა საკითხს.
2. თუ დადგინდა, რომ ბრალდებული დანაშაულის ჩადენისას შეურაცხი იყო, სასამართლო მხარის შუამდგომლობით წყვეტს სისხლისსამართლებრივ დევნას მის მიმართ. მოსამართლე უფლებამოსილია ამ პირის მიმართ გამოიყენოს ,,ფსიქიატრიული დახმარების შესახებ'' საქართველოს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები.
3. თუ დადგინდა, რომ ბრალდებული დანაშაულის ჩადენისას შერაცხადი იყო, მაგრამ მისი ჩადენის შემდეგ შეურაცხი გახდა, სასამართლოს გამოაქვს გამამტყუნებელი განაჩენი, რომლითაც განსაზღვრავს მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდას შესაბამის სამედიცინო (სამკურნალო) დაწესებულებაში მის გამოჯანმრთელებამდე, რის შემდეგაც მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდა გრძელდება საერთო წესით.
4. თუ დადგინდა, რომ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულს, რომლის მიმართაც დასრულებულია სამართალწარმოება, აღენიშნება ფსიქიკური აშლილობის ნიშნები, მისთვის ფსიქიატრიული დახმარების გაწევის საკითხი რეგულირდება ,,ფსიქიატრიული დახმარების შესახებ'' საქართველოს კანონისა და პატიმრობის კოდექსის შესაბამისად. მსჯავრდებულის გამოჯანმრთელების შემთხვევაში მის მიერ სასჯელის მოხდა გრძელდება საერთო წესით.''

ამონარიდები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსიდან

მუხლი 34. შეურაცხაობა ფსიქიკური დაავადების გამო

1. ამ კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება არ შეერაცხება ბრალად იმას, ვისაც ამ ქმედების ჩადენის დროს ქრონიკული ფსიქიკური ავადმყოფობის, ფსიქიკის დროებითი აშლილობის, ჭკუასუსტობის ან სხვა ფსიქიკური დაავადების გამო არ შეეძლო გაეცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი ან მართლწინააღმდეგობა ანდა ეხელმძღვანელა მისთვის. (16.12.2005 2264)
2. ამოღებულია (3.07.2007 5181)
3. თუ დანაშაული შერაცხადმა პირმა ჩაიდინა, მაგრამ იგი ფსიქიკურად დაავადდა განაჩენის გამოტანამდე, რის გამოც არ შეუძლია ანგარიში გაუწიოს თავს ან უხელმძღვანელოს მას, პირი სასამართლოს მიერ შეფარდებულ სასჯელს გამოჯანმრთელებამდე მოიხდის შესაბამის სამედიცინო (სამკურნალო) დაწესებულებაში. (3.07.2007 5181)

მუხლი 35. შეზღუდული შერაცხადობა

1. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან არ თავისუფლდება სრულწლოვანი, რომელიც დანაშაულის ჩადენის დროს იმყოფებოდა შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობაში, ესე იგი ფსიქიკური დაავადების გამო არ შეეძლო სრულად გაეცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი ან მართლწინააღმდეგობა ანდა ეხელმძღვანელა მისთვის.

2. შეზღუდულ შერაცხადობას სასამართლო ითვალისწინებს სასჯელის დანიშვნის დროს. (3.07.2007 5181)
3. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან შეიძლება გათავისუფლდეს არასრულწლოვანი, რომელიც დანაშაულის ჩადენის დროს იმყოფებოდა შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობაში. (3.07.2007 5181)

ასევე საინტერესო და სასარგებლო იქნება ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური კანონი მტკიცებულებათა შესახებ 702:

„თუკი სამეცნიერო, ტექნოლოგიური ან სხვა სპეციალიზებული ცოდნა დაეხმარება ფაქტების მკვლევარს მტკიცებულების გაგებაში ან ფაქტისა თუ საკითხის განსაზღვრაში, ცოდნის, უნარის, გამოცდილების, მომზადების ან განათლების მიხედვით ექსპერტად მიჩნეულმა მოწმემ შეიძლება ჩვენება მისცეს დასკვნის ან სხვა ფორმით თუ (1) ჩვენება ემყარება სათანადო ფაქტებს ან მონაცემს, (2) ჩვენება სანდო ხერხისა და მეთოდის შედეგია, (3) მოწმე იყენებს საქმის გარემოებების შესაბამის ხერხებსა და მეთოდებს.“

მიმოხილვა

გადაწყვეტილება ექსპერტის მოწვევის შესახებ

პირველ ყოვლისა, გადასაწყვეტია, საერთოდ საჭიროა თუ არა ექსპერტის მოწვევა. ზოგიერთ შემთხვევაში ის შეიძლება არ იყოს საჭირო, ან სულაც გონივრული იყოს მისი დაქირავება. მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ ჩვეულებრივ მოწმეს შეუძლია კომპეტენტურად მისცეს იგივე ჩვენება, ექსპერტის მოწვევა არ არის საჭირო. ასეთ შემთხვევაში უდავოა, რომ სასამართლო არ დაუშვებს ასეთ ჩვენებას და ნაფიც მსაჯულებს მოუწევთ მათი შეხედულებისამებრ გადაწყვეტა.

საქმის ზოგი გარემოება შეიძლება გაირკვეს ექსპერტის გარეშე იმ შემთხვევაშიც კი, თუ ინფორმაცია ნაფიცი მსაჯულებისთვის ნათელი არ არის. მაგალითად, ჩვეულებრივ მოწმეებს შეუძლიათ ჩვენება მისცენ უძრავი ქონების საბაზრო ღირებულებასთან დაკავშირებით, რამდენადაც ეს მათთვის პირადად არის ცნობილი.

შესაძლოა საქმის განხილვის ამა თუ იმ სტადიაზე ექსპერტმა უფრო გაართულოს საქმე, ან ნაფიცმა მსაჯულებმა ექსპერტი მიიჩნიონ დამაშინებლად ან მომაბეზრებლად. ჯანსაღი აზრი და სწორი განსჯა გადაგაწყვეტინებთ ასეთი სიტუაციებში საჭიროა თუ არა ექსპერტის მოწვევა.

ექსპერტად მოწვეული მოწმის როლი

ხშირ შემთხვევაში ექსპერტის მოწვევა აბსოლუტურად აუცილებელია საჩივრის ან დაცვის პოზიციების სამართლებრივად განსამტკიცებლად. ექსპერტის გარეშე საჩივარი ან დაცვის პოზიცია უგულვებელყოფილი იქნება. სხვა შემთხვევაში ექსპერტი შესაძლოა სამართლებრივად არ იყოს აუცილებელი, თუმცა დარწმუნების უტყუარი საშუალება იქნება.

ის თუ თქვენ, როგორც იურისტი როგორ გამოიყენებთ ექსპერტს მეტწილად დამოკიდებულია საქმის კონკრეტულ გარემოებებზე. დღევანდელ დღეს საქმისწარ-

მოებაში ექსპერტთა გამოყენება მრავალგვარია, რაც განხილული იქნება მომდევნო ქვეთავებში.

საქმის შეფასება

სასამართლო განხილვაზე საქმის წარმოდგენისთვის ეფექტიანი ექსპერტის მოწვევის უპირატესობები კარგად არის ცნობილი, თუმცა ექსპერტის მონაწილეობა შესაძლოა ასევე სასარგებლო იყოს საქმის წარმოების უფრო ადრეულ სტადიაზეც.

ექსპერტმა შესაძლოა მიგითითოთ შემდგომი გამოკვლევის სხვა არსებით სფეროებზე, რაც თქვენ უნდა წამოიწყოთ დასაცავ პირთან ან სხვა პირებთან ერთად. ექსპერტი შესაძლოა ასევე დაგეხმაროთ ისეთი დოკუმენტების გამოვლენაში ან განხილვაში, რომელთაც შეიძლება ნათელი მოჰფინოს თქვენს წარმოებაში არსებულ საქმის გარემოებებს.

ექსპერტი შეიძლება ასევე დაგეხმაროთ ბრალდების მხარის პოზიციების შეფასებაში. ექსპერტის უნარი, გამოავლინოს მოწინააღმდეგის პოზიციის სისუსტეები და კონკრეტული სვლები შემოგთავაზოთ მათზე იერიშისთვის, ხშირად ფასდაუდებელია.

ფაქტების აღმოჩენა

ექსპერტმა შესაძლოა არსებითად შეცვალოს ფაქტობრივ გარემოებათა არსი.

მზადება სასამართლო განხილვისთვის

ექსპერტი, რა თქმა უნდა, არსებითად მნიშვნელოვანია საქმის სასამართლო განხილვისთვის მომზადებისას. მაგალითად, ექსპერტმა შეიძლება გირჩიოთ, თუ ყველაზე ნათელი და დრამატული ფორმით როგორ წარმოადგინოთ მტკიცებულებები, როგორც თვალსაჩინოება. ექსპერტმა ასევე შეიძლება მიგითითოთ სასამართლო განხილვაზე სხვა ექსპერტების მოწვევის საჭიროებაზე და სასარგებლო წინადადებები მოგაწოდოთ. და ექსპერტი შეიძლება დაგეხმაროთ თქვენი და მოწინააღმდეგე მხარის ექსპერტების ჯვარედინი გამოკვლევისთვის მომზადებაში.

სასამართლო განხილვა

ექსპერტის როლი მხარის მიერ მტკიცებულებათა გაგებასა და ფაქტობრივი გარემოებების დადგენაში სათანადოდ დაფასებულია. კვალიფიციური ექსპერტი განუზომელ სანდოობას უქმნის თქვენი კლიენტის საქმეს. საქმეთა ბედი ხშირად დამოკიდებულია ექსპერტის ჩვენების სიმყარეზე.

რთულ საქმეებზე, სადაც თქვენი დასაცავი წამგებიან პოზიციაშია და მძიმე ტვირთი აქვს, თქვენ უსათუოდ წააგებთ, თუ თქვენი ექსპერტი ვერ დაეხმარება ნაფიც მსაჯულებს საქმის გარემოებების გაგებაში. მცოდნე და გამოცდილი ექსპერტის გადმოცემის და სასამართლოზე გამოსვლის უნარი შესაძლოა გადამწყვეტი იყოს თქვენი საქმის სუსტი მხარეების დასაძლევად.

ექსპერტების კონსულტაცია და ჩვენებები

სამართალწარმოების მიზნებისა და კონკრეტულად კი გარემოებათა გამოსავლენად, ექსპერტები ორ მსხვილ კატეგორიად იყოფიან: ისინი, ვინც სასამართლოზე გამოდიან და ისინი, ვინც სასამართლო განხილვაში არ მონაწილეობენ. როდესაც

ექსპერტი გეგმავს ჩვენების მიცემას, მოწინააღმდეგე მხარეს დეტალური გამოკვლევის უფლება ეძლევა და მათ შესაძლოა ლეგიტიმურად გამოიკვლიონ ექსპერტის განათლება და გამოცდილება, ის საკითხები, რაზეც ექსპერტმა ჩვენება უნდა მისცეს და გამოთქმული მოსაზრებების შინაარსი. ფაქტების გამოვლინება იმ ექსპერტებისგან, რომლებიც ჩვენებას არ იძლევიან, ან მხოლოდ კონსულტაციას გასწევენ, უფრო რთულია. მხარემ, რომელსაც სურს ამ ექსპერტთა დასკვნების მიღება, უნდა ამტკიცოს საგამონაკლისო გარემოებები, რომლის მიხედვითაც სხვა საშუალებებით ფაქტების ან მოსაზრებების მოპოვება არაპრაქტიკული და ბევრად რთული იქნება.

ექსპერტის კვალიფიკაცია

პირველ ყოვლისა, უნდა გაირკვეს: არის თუ არა პოტენციური ექსპერტი სათანადოდ კვალიფიციური ამ საქმეზე ჩვენების მისაცემად. ჩვეულებრივ ჩვენება შეიძლება მისცეს ნებისმიერმა მოწმემ, რომელსაც აქვს „სამეცნიერო, ტექნოლოგიური, ან სხვა სპეციალიზებული ცოდნა“, რომელიც პროცესის მონაწილეს დაეხმარება „მტკიცებულებათა გაგებაში ან ფაქტობრივი გარემოების დადგენაში“. შესაბამისად, ექსპერტის კვალიფიკაციასთან დაკავშირებით ძირითადი კითხვები ისმის: (1) აქვს თუ არა ექსპერტს აუცილებელი სამეცნიერო, ტექნიკური ან სხვა სპეციალური ცოდნა და (2) სასარგებლო იქნება თუ არა ეს ცოდნა მოსამართლისა და ნაფიცი მსაჯულებისთვის?

ექსპერტები შეიძლება მოწვეული იყვენენ თითქმის ყველა სფეროდან, მთავარია, აშკარა იყოს, რომ მათ აქვთ სპეციალური ცოდნა ამ სფეროში, რომელიც არ არის აუცილებელი, რომ ფორმალურ განათლებას ეფუძნებოდეს, არამედ შესაძლოა, რომ შესაბამის გარემოებებში მიმდინარეობდეს მხოლოდ პრაქტიკული გამოცდილებიდან.

სადავო საკითხები ექსპერტთან მიმართებით

ექსპერტს შესაძლოა მოწინააღმდეგე მხარე შეედავოს შემდეგ საკითხებზე:

- **კვალიფიკაცია.**
- **საქმის გარემოებების ცოდნა.**
- **მიკერძოება ან ინტერესი საქმეში.**
- **ურთიერთგამომრიცხავი საექსპერტო მოსაზრებები ან წინა ჩვენება.**
- **მომსახურების საზღაური.**

ჩვენების დასაშვებობა

როგორც წესი, მოსამართლე წინასწარ აფასებს ექსპერტის მოსაზრების ვალიდურობას, დასაბუთებულობასა და მეთოდოლოგიას, სანამ ეს ინფორმაცია წარედგინება ფაქტების მაძიებელს. მოსამართლე რეალურად მოდარაჯის როლშია, ის წყვეტს არის თუ არა წარმოდგენილი ჩვენება საკმარისად სარწმუნო იმისთვის, რომ წარედგინოს ფაქტების მაძიებელს.

ამ მიდგომით მოსამართლემ, პირველ ყოვლისა, უნდა დაადგინოს, არის თუ არა ექსპერტის მეთოდოლოგია და დასკვნები საკმარისად ღრმა მტკიცებულების შესაფასებლად, თუ ისინი არ უნდა იქნეს მიღებული, როგორც „უვარგისი მეცნიერება“. თუ ექსპერტის დასკვნას მოწინააღმდეგე მხარე ასაჩივრებს, მოსამართლე ზეპირ მოსმენას ჩანიშნავს იმის გასარკვევად, უნდა დაუშვან თუ არა ექსპერტი პროცესზე.

ეფექტიანი ექსპერტის ჩვენება

ეფექტიანი ექსპერტის მონაწილეობის მნიშვნელობა არ შეიძლება გადაჭარბებით შეფასებულად ჩაითვლაოს, ამაზე მიუთითებს წინამდებარე მოკლე დიალოგი პირდაპირ გამოკვლევასთან დაკავშირებით:

კითხვა: პროკურატურის ექსპერტმა, ბატონმა მამაცაშვილმა განაცხადა თავის დასკვნაში, რომ დაზარალებული დაახრჩვეს. ეთანხმებით ამას?

პასუხი: არა.

კითხვა:შეგიძლიათ განგვიმარტოთ, დახრჩობის რა მტკიცებულების ნახვის მოლოდინი გექნებათ, თუკი დაზარალებული ამ გზით გარდაიცვალა, როგორც ამას პროკურორი აცხადებს?

პასუხი: მოსალოდნელი იქნებოდა ხილვადი დაზიანებები: ნაკაწრები, გადატყავება და სისხლნაჟღენთები. ეს თავად დაზარალებულის ფრჩხილებით შეიძლება იყოს გამოწვეული, როგორც თავდაცვის შედეგი, მაგრამ ზოგადად არის ხოლმე მსხვერპლისა და თავდამსხმელის ფრჩხილებით მიღებული დაზიანებები. დაზიანებების ადგილმდებარეობა განსხვავებულია იმის მიხედვით, მსხვერპლი ან თავდამსხმელი მოქმედებდა ორივე თუ ერთ ხელით, ან წინიდან თუ უკნიდან ახრჩობდა თავდამსხმელი მსხვერპლს. როდესაც ფრჩხილით ზიანდება კანი, რჩება მძიმის ან ნახევარწრის ფორმის ნაჭდევები.

ასევე ნაკაწრები, რომლებიც საეჭვოდ გამოიყურება და გრძელია, შესაძლოა ვიწრო ან ფრჩხილის სიგანისაა. კისერზე შესაძლოა აღინიშნებოდეს სიწითლე.

ნიკაპის გადატყავება ასევე დამახასიათებელია ხელით დახრჩობილებისთვის. მსხვერპლი ინსტინქტურად ხრის ნიკაპს და ამ დროს იზიანებს ნიკაპს თავდამსხმელის ხელზე.

პატარა წითელი წერტილები (ნაჭდევები)ხშირ შემთხვევაში დამახასიათებელია. ისინი გამოწვეულია კაპილარების გაწყვეტით – უმცირესი სისხლძარღვები სხეულში. ისინი აღინიშნება თვალების ირგვლივ, ქუთუთოებთან, სახეზე და კისერზე, მოჭერის ადგილის ირგვლივ. ჩაწითლებული თვალები განპირობებულია თვალის თეთრ გარსში კაპილარების გაწყვეტით. ეს მოვლენა მიუთითებს მსხვერპლსა და თავდამსხმელს შორის ფიზიკურ ბრძოლაზე.

კითხვა: დაზარალებულზე ხედავთ რაიმე დაზიანებებს, რომლებიც მიუთითებდა დახრჩობით სიკვდილზე?

პასუხი: არა.

კითხვა: შეგიძლიათ განგვიმარტოთ, ამ საქმეზე რას გვიჩვენებს ეს შემოწმება გულის ინფარქტის მტკიცებულებებთან მიმართებით?

პასუხი: როგორც შევაჯამე, გულის ინფარქტის დიაგნოზი შეიძლება დაისვას ორი საშუალებით: კლინიკური და პათოლოგიური. მოდით, განვიხილოთ თითოეული ცალ-ცალკე.

იყო თუ არა გულის ინფარქტის სიმპტომები: გულმკერდის არეში ტკივილის ისტორია, მარცხენა მკლავის ტკივილი, უგრძნობლობა ნიკაპის არეში? ქალბატონი

დარეტის ჩვენების კითხვისას მე ვერ ამოვიკითხე ისეთი სიმპტომები, რომლებიც მიუთითებდა მიოკარდიულ ინფარქტზე. შესაბამისად, ვფიქრობ, რომ შეგვიძია ეს გამოვრიცხოთ.

არსებობდა თუ არა მიოკარდიული ინფარქტის მტკიცებულებები ელექტროკარდიოგრამაზე დაყრდნობით? ასეთი არ არსებობდა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ პაციენტი უკვე იმყოფებოდა ვენტრიკულარულ ფიბრილაციაში ventricular fibrillation, შესაბამისად ჩვენ არ გვქონდა ციკლი, რომელიც გვაჩვენებდა ST სეგმენტის დეპრესიას ან ST სეგმენტის გაძლიერებას ან თ-ტალღების ინვერსიას ან ტალღებს — ელექტროკარდიოგრამის ზოგიერთი აღმოჩენები გულის ინფარქტთან დაკავშირებით. შესაბამისად, ეს ნამდვილად არაინფორმაციულია. შესაბამისად, მე მხოლოდ ერთ

„X“-ს ვსვამ ამასთან დაკავშირებით. ჩვენ არ გვაქვს ამის მტკიცებულებები, თუმცა არ გვაქვს ყველა აუცილებელი მასალა იმისათვის, რომ დადასტურებით ვთქვათ, რომ ელექტროკარდიოგრამამ ვერ გამოავლინა მიოკარდიული ინფარქტი.

რაც შეეხება ფერმენტებს, ეს საკითხი არ წამოჭრილა, შესაბამისად, ჩვენ არ გვაქვს სისხლში ფერმენტების არსებობის დამადასტურებელი მტკიცებულებები, რაც მიუთითებდა გულის ინფარქტზე. მაგრამ, ვინაიდან ჩვენ ეს დაზუსტებით არ ვიცით, ვერ აღვნიშნავ „X“-ით, მე ვაპირებ ხაზით აღნიშვნას.

რაც შეეხება პათოლოგიებს, შეუიარაღებელი თვალით შესამჩნევი იყო თუ არა რაიმე პათოლოგია? არ შეინიშნებოდა, შესაბამისად, აღვნიშნავ „X“-ით.

არსებობდა მიკროსკოპული მტკიცებულებები? პირველი მიკროსკოპული მტკიცებულება უნდა გამოვლინდეს მიოკარდიული ინფარქტიდან ექვსი საათის შემდეგ. მაგრამ არაფერი გამოვლენილა. არ არსებობს იმის მტკიცებულება, რომ გულის კუნთი ატროფირდა პაციენტის სრულ გარდაცვალებამდე. შესაბამისად ვაპირებ „X“-ით აღნიშვნას აქაც.

დაბოლოს, არსებობდა თუ არა ისეთი თრომბი, რომელიც მე თქვენ გაჩვენეთ ფოტოზე? არათუ არ არსებობდა შედედების მტკიცებულება, არამედ არ არსებობდა დაზიანებული ტრომბოციტებიც კი. შესაბამისად, შემიძლია გავაკეთო აღნიშვნა „X“.

ფაქტების მაძიებელთა დახმარება

თუკი ექსპერტის დასკვნა „დაეხმარება ფაქტების მაძიებელს მტკიცებულების გაგებაში ან ფაქტის, ან საკითხის დადგენაში“, შუამდგომლობის ავტორს პირველი დაბრკოლება უკვე გადალახული აქვს. მაშინაც კი, როდესაც ნაფიც მსაჯულებს საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე შეუძლიათ გადაწყვიტონ საკითხი, ექსპერტის სპეციალიზებული ცოდნა შესაძლოა მაინც სასარგებლო იყოს.

დასკვნის საფუძველი

ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედი ძველი წესების მიხედვით, ექსპერტს საკმაოდ დიდი დრო უნდა დაეთმო დასკვნის საფუძვლების დადგენისთვის. ეს შეიცვალა ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ფედერალური წესებით. ექსპერტს უნდა ჰქონდეს საშუალება, დაეყრდნოს მტკიცებულებებს, რომლებიც მოიცავს დაუშვებელ არაპირდაპირ ჩვენებას ან არღვევს გამორიცხვის წესებს, ასევე მტკიცებულებებს, რომელთაც ამა თუ იმ სფეროს ექსპერტები საფუძვლიანად ეყრდნობიან.

დასკვნის ფარგლები

ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთ დროს მიუღებლად მიიჩნეოდა ექსპერტის მხრიდან დასკვნის შეთავაზება „გადამწყვეტ საკითხზე“, ვინაიდან ეს ითვლებოდა ნაფიცი მსაჯულების მოქმედების სფეროში მიუღებელ ჩარევად. ეს შემზღუდავი წესი ხშირად ძალიან ზოგად ჩვენებებს იწვევდა, ექსპერტი მრავალ დასკვნასა და მოსაზრებას წარმოადგენდა, თუმცა თითქმის არასდროს აკეთებდა აშკარა ფაქტობრივ დასკვნებს. ეს პროცესი უფრო მეტად გართულდა იმის განსაზღვრის საჭიროებით, თუ რომელი საკითხები ითვლებოდა გადამწყვეტად და რომელი არა.

ამჟამად ფედერალური კანონმდებლობა ადგენს, რომ ექსპერტის ჩვენება, თუ ის დასაშვებად არის მიჩნეული, არ შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ ის ეხება გადამწყვეტ საკითხს. მნიშვნელოვანი გამონაკლისია სისხლის სამართლის საქმეებზე ექსპერტის დასკვნა იმის თაობაზე, იმყოფებოდა თუ არა ბრალდებული ისეთ ფსიქიკურ ან სხვა მდგომარეობაში, რომელიც დანაშაულებრივი ქმედების ელემენტს წარმოადგენს. ექსპერტს ამაზე არ შეუძლია დასკვნის გაკეთება.

დასკვნის საფუძვლების განმარტება

აუცილებელი და მნიშვნელოვანია, რომ ექსპერტმა განმარტოს, ახსნას და ჩვენება მისცეს მისი დასკვნის მიზეზებისა და საფუძვლების შესახებ.

მოწმეთა მასალების გამოქვეყნება

ექსპერტის ჩვენების კომპლექსურობამ და მნიშვნელობამ განახლებული ინტერპრეტაცია მიანიჭა მოწმეთა მასალების გამოქვეყნებას. ადვოკატი ვერ შეძლებს მოწინააღმდეგე მხარის ექსპერტის ეფექტიანად დაკითხვას, წინასწარი ადეკვატური მომზადებისა და ექსპერტის დასკვნის ცოდნის გარეშე.

პრაქტიკულად ყველაფერი, რასაც ექსპერტი შეისწავლის, გამოქვეყნებას ექვემდებარება თუ ის დასკვნის ნაწილს შეადგენს. ბუნებრივია, ეს ექსპერტების წარმომდგენი მხარეებისთვის პოტენციურად დანაღმული ნიადაგია, ვინაიდან მათ გარკვეული გარემოებების დაფარვა სურთ, როგორიცაა ადვოკატის სამუშაო მასალების საიდუმლოდ შენახვა.

ექსპერტთა მოძიება

ზოგადად, ექსპერტის შესახებ ინფორმაცია და მისი ანგარიში, მასალები და მუშაობის შედეგები გამოქვეყნებას ექვემდებარება ზოგიერთი გამონაკლისის გარდა.

ადვოკატ-კლიენტის პრივილეგია

ზოგადი წესები მოითხოვს იმ ინფორმაციის გამოქვეყნებას, რომელიც ექსპერტმა გამოიყენა თავისი დასკვნის მომზადებისას. ეს წესი გამოქვეყნებისგან იცავს ადვოკატის სამუშაო მასალას „დასკვნები, მოსაზრებები, ან ადვოკატის სამართლებრივი თეორიები“. თუმცა ადვოკატსა და ექსპერტს შორის კომუნიკაცია, რომელიც მოიცავს ადვოკატის ძირითადი საქმიანობის შედეგს, ტრადიციულად დახურულია, თუმცა ის ნაწილი, რასაც ექსპერტის დასკვნა ეფუძნება, შესაძლოა გამოქვეყნდეს.

სანდოობის შეფასება

ზოგიერთი ფაქტორი, რასაც სასამართლო განიხილავს ექსპერტის თეორიის ან ხერხების სანდოობის შეფასებისას:

ა) შემოწმდა თუ არა ის.

ბ) შეცდომათა მაჩვენებელი.

გ) დაექვემდებარა თუ არა ის თანაბარ განხილვას და გამოქვეყნებას. ზოგადი აღიარება შესაბამისი სამეცნიერო წრეების მხრიდან.

დ) თეორია ან ხერხი ხომ არ განუვითარებიათ მხოლოდ სასამართლო განხილვისთვის.

ე) გამოირიცხა თუ არა ალტერნატიული განმარტებები.

გამოქვეყნების წესი

ექსპერტის ჩვენების კომპლექსურობამ და მნიშვნელობამ განახლებული მიდგომა ჩამოაყალიბა საკითხების გამოქვეყნებასთან მიმართებით. ყოველთვის გაითვალისწინეთ მოწინააღმდეგე მკვლევარის ტვირთი, გამოააშკარაოს, რომ ექსპერტის დასკვნა მცდარია. და ექსპერტის დასკვნის გულდასმით შესწავლის გარეშე, რომელიც გამოქვეყნების შედეგად მოხდა, ადვოკატი ვერ შეძლებს ექსპერტის დაკითხვას.

ექსპერტ-კონსულტანტის მოძიება

მნიშვნელოვანი განსხვავებაა ექსპერტ-კონსულტანტსა და ჩვენების მიმცემ ექსპერტს შორის. ექსპერტ-კონსულტანტია პირი, რომელიც მხარემ მოიწვია, მაგრამ ჩვენებას არ მისცემს სასამართლო განხილვისას. ექსპერტ-კონსულტანტი, როგორც წესი, მხარეს განუმარტავს საქმის რთულ გარემოებებს, სასამართლო ექსპერტი კი, რომელსაც მოიწვევენ, მტკიცებულებათა წარმოდგენის საუკეთესო საშუალებაა, განმარტავს თუ როგორ უნდა აღმოაჩინონ, დააფიქსირონ და შეაფასონ მონაცემები და ა.შ. თუ ექსპერტ-კონსულტანტის შესრულებული სამუშაო, დასკვნები და მოსაზრებები არ იქნა გადახედილი სასამართლო ექსპერტის მიერ, ისინი, როგორც წესი, არ ქვეყნდება.

მაგრამ სიფრთხილე გმართებთ: ნებისმიერი იმ ფაქტის დამალვამ, რასაც ეყრდნობა მოწმეთა ჩვენება შეიძლება გამოიწვიოს სასამართლოს მხრიდან მკაცრი სანქციები. შემდეგი საფრთხე იმაში მდგომარეობს, რომ რაც უფრო მეტი ექსპერტია ჩართული, სულ უფრო მეტად შორდებიან საქმის ძირითად არსს და შესაბამისად უფრო მეტი ალბათობაა, რომ ერთმანეთში ვერ შეთანხმდებიან. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მოწმეებმა ჩვენების მიცემისას განმარტონ, როგორ მივიდნენ ამა თუ იმ დასკვნამდე.

კონსულტანტების მიერ მომზადებული მასალები

თქვენ მოწინაღმდეგე მხარეს ზოგადად უფლება არ აქვს გამოაქვეყნოს ექსპერტ-კონსულტანტის მიერ მომზადებული დოკუმენტები, თუ მათ არ განიხილავენ ჩვენების მიმცემი მოწმეები. მაგრამ დოკუმენტები, რომელთაც განიხილავენ ან სხვაგვარად იყენებენ ჩვენების მიმცემი მოწმეები, უსათუოდ უნდა გამოქვეყნდეს.

თუ თქვენი ექსპერტი მოქმედებს როგორც კონსულტანტი და ასევე როგორც სასამართლო ექსპერტი, უნდა იცოდეთ, რომ მტკიცებულებათა გამოაშკარავების მაღალი რისკი არსებობს. სასამართლო, სავარაუდოდ, შეეცდება დაიცვას ექსპერტ-კონსულ-

ტანტის მიერ შესრულებული სამუშაო იმ შემთხვევაში, თუ ნათლად არის გამიჯნული ეს ორი როლი ერთმანეთისგან.

ასევე უნდა იცოდეთ, რომ თუ თქვენ მოიწვევთ პირს სასამართლო ექსპერტად და შემდეგ გადაწყვეტთ, რომ მან არ უნდა მისცეს ჩვენება, სასამართლომ შესაძლოა მაინც მოიწვიოს ეს პირი ფაქტების გამოსაქვეყნებლად.

კონსულტანტის სტატუსის დაცვა

ექსპერტ-კონსულტანტის სტატუსის დასაცავად მნიშვნელოვანია, რომ სასამართლო ექსპერტს არ ჰქონდეს საშუალება გაეცნოს ექსპერტ-კონსულტანტის ნამუშევარს და არ ჰქონდეს კონტაქტი მასთან. თითოეული ექსპერტისთვის უნდა წარმოებდეს ცალკე საქმის მასალები.

ექსპერტ-კონსულტანტი, ვინც საქმის შესახებ ინფორმაცია მოიპოვა პირველწყაროდან ან სხვა გზით, განიხილება როგორც ფაქტების მოწმე. ამის მაგალითებია ასევე, კონსულტანტები, რომლებიც საგამოძიებო მოქმედებების ადგილს იკვლევენ, როდესაც ადგილი ქონდა რაიმე შემთხვევას.

თუმცა ზოგადად მხოლოდ ექსპერტ-კონსულტანტის მიერ არანაირი ინფორმაცია არ უნდა გამოქვეყნდეს, თუმცა აქვე ჩამოვთვლით იმ საგამონაკლისო გარემოებებს, რომელთა გამოქვეყნებაც შეიძლება სასამართლომ დაუშვას: (1) საგანი ან გარემოება, რომელიც კვლევას ექვემდებარებოდა, განადგურდა ან ნადგურდება, სანამ მოწინააღმდეგე მხარის ექსპერტი შეძლებს მის შესწავლას; (2) იმავე სფეროში ან საკითხთან მიმართებით არ არსებობს სხვა ექსპერტი; და (3) მოწინააღმდეგე მხარე „ყიდულობდა“ ექსპერტებს და შესაბამისად, შებოჭა რამდენიმე ექსპერტი საკონსულტაციო შეთანხმებებით.

ექსპერტის ვინაობის გამხელა

ჩვეულებრივ შემთხვევებში თქვენ გარკვეული დროის განმავლობაში პირთან მუშაობა გჭირდებათ იმის გასარკვევად, ეს ადამიანი გამოდგება თუ არა მოწმე ექსპერტად. ამ გადაწყვეტილების მიღებამდე არ მოითხოვება ექსპერტის ვინაობის გამხელა ან ექსპერტის ანალიზთან ან დასკვნასთან დაკავშირებით რაიმე ინფორმაციის გამხელა.

ეს შესაძლებლობას გაძლევთ ცოდნა დააგროვოთ ექსპერტიზის სფეროში, ასევე მოამზადოთ ექსპერტი საქმისთვის. უმრავლეს შემთხვევაში, ნაკლებად პოზიტიურია ექსპერტის ვინაობის ან ექსპერტის მიერ მომზადებული მოკლევევის, ანალიზის ან დასკვნის ადრეული გამოქვეყნება.

დროდადრო მხარეები არაფორმალურად ცვლიან ინფორმაციას თავიანთი ექსპერტების შესახებ, მაგრამ სულ უფრო ხშირად საჭირო ხდება განრიგის ბრძანების მოთხოვნა. დაცვის მხარის წარმომადგენელმა უნდა მოიპოვოს ბრძანება მოწინააღმდეგე მხარის ექსპერტის ვინაობის გამხელის, გამხელამდე მათი მასალების დაცვასა და დაცვის მხარის ექსპერტების დაცვის თაობაზე. ეს დაცვის მხარეს საშუალებას აძლევს იცოდეს მოწინააღმდეგე მხარის ექსპერტების ჩვენება, სანამ საკუთარი ექსპერტის ჩვენებას გაამხელს.

ექსპერტი ორმაგ როლში

მხარე უფლებამოსილია ერთი და იგივე ინფორმაცია მიიღოს იმ ექსპერტისგან ვინც ჩვენებას იძლევა და ასევე კონსულტაციას გასცემს, რასაც მხოლოდ ჩვენების

მიმცემი ექსპერტისგან მიიღებდა. თუ მასალის წარმომდგენი მხარე ნათლად ვერ გამიჯნავს სასამართლო ჩვენებას და კონსულტაციას, ექსპერტის მიერ განხილული ყველა მასალა უნდა გამოქვეყნდეს.

ექსპერტის გაწვევა

ექსპერტი, რომელიც ჯერ მოიწვიეს ჩვენების მისაცემად, მაგრამ შემდეგ გაიწვიეს, ჩაითველება ექსპერტ-კონსულტანტად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გაწვევამდე მას არ გამოუქვეყნებია რაიმე შემოწმების ან მოკვლევის შედეგები. თუმცა, მხარეს ექნება შესაძლებლობა, შეზღუდულად გაამხილოს ექსპერტი თუ გაწვევამდე ცნობილი ფაქტები და ექსპერტის დასკვნები გამოქვეყნდა, ან ექსპერტმა ჩაატარა შემოწმება ან მოკვლევა.

ჩვენების მიმცემი ექსპერტის გამხელა

მარტივად რომ ითქვას, მხარე უფლებამოსილია მიიღოს სრული ინფორმაცია მოწინააღმდეგე მხარის ჩვენების მიმცემი ექსპერტის შესახებ. ქვემოთ ჩამოთვლილია ის ინფორმაცია, რაც შეიძლება გამოქვეყნდეს ჩვენების მიმცემი ექსპერტის მიერ საწყისი გამოქვეყნებისას და ექსპერტის ანგარიშებში. უფრო დეტალური ინფორმაცია მიიღება დაკითხვით, არსებული მასალების გამოთხოვით, წერილობითი ჩვენებით და მხარის სასამართლო სხდომაზე დაბარებით, წარდგეს მთელი მასალით (subpoenas duces tecum). ადგილობრივი წესებით შესაძლოა გათვალისწინებულ იქნეს დამატებით ინფორმაციის გამოქვეყნება, შესაბამისად უპრიანი იქნება ამ წესების გაცნობა.

საწყის ეტაპზე მხარემ შეიძლება მეორე მხარეს მოითხოვოს:

ა) ექსპერტის სახელი და მისამართი.

ბ) საკითხები, რაზეც ექსპერტმა ჩვენება უნდა მისცეს.

გ) ყველა ის მონაცემი და ინფორმაცია, რაც ექსპერტმა განიხილა დასკვნის მომზადებისას.

დ) ექსპერტის დასკვნები და მათი საფუძველი და მიზეზები.

ე) ჩვენების მიმცემი ექსპერტების ვინაობის გამჟღავნება.

ვ) ექსპერტის მიერ მომზადებული ანგარიშების ასლები.

ზ) თვალსაჩინოებები, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იყოს როგორც ექსპერტის დასკვნის შეჯამება ან მისი მხარდამჭერი.

თ) ექსპერტის მოკლე ავტობიოგრაფია.

ი) იმ საქმეთა ჩამონათვალი, რომლებზეც ექსპერტმა ჩვენებები მისცა ბოლო ოთხი წლის მანძილზე.

კ) ინფორმაცია კომპენსაციის შესახებ, რომელსაც ექსპერტი მიიღებს.

მოწმე ექსპერტის მიერ მომზადებული მასალები

ჩვენების მიმცემი მოწმის მიერ მომზადებული დოკუმენტები, როგორც წესი, გამოქვეყნებას ექვემდებარება. იგივე წესი ვრცელდება ასევე ექსპერტის მიერ მომზადებული დოკუმენტების გარდა სხვა მასალაზეც, მაგალითად, მომჩივანის ჯანმრთელობის დაზიანების ამსახველი ვიდეოჩანაწერი და ა.შ.

წინასწარი დასკვნა

მცდელობა, მოიპოვოთ ჩვენების მიმცემი ექსპერტის დასკვნა საქმის განხილვაში მისი უშუალოდ ჩართვამდე. მაგალითად, მკურნალი თერაპევტის „ფაქტობრივი დასკვნები“, რომელიც გამოქვეყნებას ექვემდებარება, შესაძლოა შეიცავდეს წინასასამართლო მითითებებს მიზეზებთან, დიაგნოზთან, პროგნოზთან და შესაძლებლობების დაქვეითებასა და ჯანმრთელობის დაზიანების ხარისხთან დაკავშირებით.

ადვოკატის მიერ მიწოდებული მასალები

გამოქვეყნების წესები მოითხოვს, რომ გამოქვეყნდეს ის დოკუმენტები, რომლებიც ადვოკატმა განხილვისთვის მიაწოდა ჩვენების მიმცემ ექსპერტს. წინა დებულება, რომელიც უშვებდა მხოლოდ იმ დოკუმენტების გამოქვეყნებას, რომელთაც ექსპერტი „დაეყრდნო“, ჩანაცვლდა ჩანაწერით, რომელიც მიუთითებს ნებისმიერ დოკუმენტზე, რომელიც ექსპერტმა „განიხილა“.

ასევე, თუ მოწმე იყენებს ჩანაწერებს ჩვენების მიცემისას ფაქტების შესახსენებლად, მოწინააღმდეგე მხარე უფლებამოსილია გაეცნოს ჩანაწერს და გამოიყენოს ის ჯვარედინ გამოკვლევაში. სასამართლოს ასევე აქვს დისკრეცია, მოითხოვოს ეს ჩანაწერი, თუ მოწმე მას წაიკითხავს ჩვენების მიცემამდე.

გამოქვეყნების იგივე სტანდარტი უნდა გავრცელდეს ზეპირ საუბრებთან დაკავშირებით, რაც წერილობით მასალაზე ვრცელდება. შესაბამისად, ადვოკატის ჩანაწერები საქმის მასალებზე და ექსპერტთან გასაუბრების ხელით ჩანაწერები, როგორც წესი, გამოქვეყნებას ექვემდებარება იმ ფარგლებში, რაც ექსპერტისთვის ცნობილი გახდა. თუმცა, მხოლოდ ადვოკატის პირად სარგებლობაში არსებული დოკუმენტები, რომლებიც ასახავს ექსპერტთან გასაუბრებებს, არ ექვემდებარება გამოქვეყნებას, როგორც ადვოკატის მოსაზრებებისა და სტრატეგიის ამსახველი სამუშაო მასალა.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ ნებისმიერი ფაქტობრივი ინფორმაცია, რომელსაც ჩვენების მიმცემი ექსპერტი განიხილავს, უნდა გამოქვეყნდეს. მიუხედავად იმისა, თუ რა გავლენა აქვს დოკუმენტს ექსპერტის მიერ მიცემულ ჩვენებაზე, დოკუმენტი გამოქვეყნებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

წინასწარი დასკვნები

მხარეს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს, მიიღოს ჩვენების მიმცემი ექსპერტის დასკვნები მიმდინარე საქმეში მის ჩართვამდე.

საკონტრაქტო დოკუმენტები

საკონტრაქტო დოკუმენტაცია, რომლებიც ეხება ჩვენების მიმცემი ექსპერტის შენარჩუნებას, ხშირად გამოქვეყნებას ექვემდებარება, თუ ისინი კონკრეტულ საკითხთან მიმართებით რელევანტურია. საკონტრაქტო კომუნიკაციაც შესაძლოა გამოქვეყნდეს, თუ ისინი სხვაგვარად ხელმისაწვდომი არ არის მომთხოვნი მხარისთვის არასათანადო ტვირთის გარეშე და გონივრულად მიიყვანს მათ დასაშვებ მტკიცებულებამდე. განსაკუთრებით ფრთხილად უნდა იყოთ და კონტრაქტში არ მიუთითოთ ისეთი ინფორმაცია, რომელიც სხვაგვარად პრივილეგირებულია.

მორალი ნათელია: ექსპერტსა და თქვენს შორის წერილობითი კომუნიკაცია მინიმუმამდე დაიყვანეთ და გაითვალისწინეთ, რომ რასაც ეუბნებით ექსპერტს, ყველაფერი

გამოქვეყნებას ექვემდებარება. გახსოვდეთ, რომ არ არსებობს ექსპერტის მხრიდან თქვენთვის მოწერის ვალდებულება. უკეთესია, არ შექმნათ პოტენციური მტკიცებულებები, კერძოდ კი ისეთი, რომელიც ძალას არ დაკარგავს და არ გართულდება ახსნის თვალსაზრისით.

სამუშაო მასალების დაცვა

მხარეები არ უნდა იყვნენ უფლებამოსილი იდავონ, რომ ექსპერტებისთვის დასკვნის მოსამზადებლად მიწოდებული მასალები, რომელთაც ექსპერტები სრულად დაეყრდნენ ან არ დაყრდნობიან, პრივილეგირებულია ან სხვაგვარად დაცულია გამოქვეყნებისგან, როდესაც ეს პირები ჩვენებას იძლევიან.

პრივილეგიის დილემა

მოწმე ექსპერტების მიერ თავიანთი დასკვნების მომზადებისას გამოყენებული ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს. მომჩივანი ადვოკატის სამუშაო მასალები დაცულია გამოქვეყნებისგან, გარდა „მოსაზრებებისა, დასკვნებისა, ან ადვოკატის სამართლებრივი თეორიებისა“. ტრადიციულად, ადვოკატისა და ექსპერტის კომუნიკაცია, რომელიც ადვოკატის მოსაზრებებს შეიცავს, არ ექვემდებარება გამოქვეყნებას, მაგრამ მათგან ის, რომელიც საფუძვლად დაედო ექსპერტის დასკვნას, ქვეყნდება.

მცირედი ნუგეში არსებობს იმ ადვოკატებისთვის, რომლებიც ცდილობენ თავი დაიცვან დაუსაბუთებელი გამოქვეყნებისგან. ასეთი მასალების გამოქვეყნებისგან დასაცავად გასატარებელი ღონისძიებები ძალიან მასშტაბური და დროში გაწელილია, მაგრამ მათ შეუსრულებლობას მეტად სავალალო შედეგები მოჰყვება.

განსხვავებული მიდგომები

შესაძლოა არსებობდეს თავისუფლად გამოქვეყნების ხელშემწყობი პოლიტიკა. ამ მიდგომით, როდესაც მასალას ექსპერტი განიხილავს, სხვა პრივილეგიებით დაცული ადვოკატის სამუშაო მასალები გამოქვეყნებადია, მიუხედავად იმისა, ინფორმაცია ფაქტობრივია, თუ მოიცავს ადვოკატის ნააზრევს.

თუმცა ნააზრევის შემცველი ნაშრომები დაცულია იმავე ფარგლებში, რა ფარგლებშიც დაცულია წინასასამართლო ეტაპზე ადვოკატისა და კლიენტის კომუნიკაცია.

შეზღუდვების მოხსნისგან თავდაცვის საშუალებები

მიუხედავად ნამუშევრების კატეგორიისა, არსებული პრივილეგია შეიძლება შემცირდეს. გაითვალისწინეთ, რომ პრივილეგია შესაძლოა შემცირდეს იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი თავის ნამუშევრებს (ფაქტობრივს თუ ნააზრევს) წარუდგენს ექსპერტს თავისი ჩვენების ფორმირებისთვის. ზოგადი მიდგომის სამი საფუძველი ამყარებს გამოქვეყნებას: (1) თავისუფალი გამოქვეყნება ზღუდავს ადვოკატის მხრიდან ექსპერტზე კონტროლით მანიპულაციას; (2) ის არ არღვევს ნამუშევრების დოქტრინის ფუნდამენტურ პრინციპებს; (3) ის ფაქტობრივად იცავს ნამუშევრებს დოქტრინის მოქმედების ფარგლების ნათლად განსაზღვრით. ყველა სამართლებრივ სისტემას არ აქვს ერთგვაროვანი მიდგომა ნაშრომებზე შეზღუდვების შემცირებასთან დაკავშირებით, შესაბამისად, განსაკუთრებით ფრთხილად უნდა იყოთ, გაითვალისწინეთ, რომ საიდუმლო ინფორმაციის გამჟღავნების ვალდებულება შეიძლება დაგაკისროთ სასამართლომ ყველაზე კრიტიკული გარემოებებში.

ექსპერტის ანგარიში

გამოქვეყნებას დაქვემდებარებული განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მასალაა ექსპერტის ანგარიში.

არასაკონტრაქტო ჩვენების მიმცემი ექსპერტები – როგორიცაა დამცველთა კორპორაციის შიდა ექსპერტები – არ არიან ვალდებული წარადგინონ ანგარიშები. თუმცა, ბრძანებით ან წერილობითი განკარგულებით, წერილობით ანგარიშის წარდგენის ვალდებულება შეიძლება მოეხსნათ კონკრეტულ ექსპერტებს ან დაეკისროთ ცალკეულ პირებს, რომლებიც თავიანთ მოსაზრებებს წარმოადგენენ.

ანგარიში უნდა მოამზადოს ექსპერტმა და უნდა იყოს შესრულებული ისეთი თანმიმდევრობით, რა თანმიმდევრობაც ექნება მის ჩვენებს.

ექსპერტის ანგარიში შემდეგს უნდა მოიცავდეს:

ა) დასკვნა: ასახული უნდა იყოს სრული (და არა „წინასწარი“) დასკვნითი განაცხადი და მისი საფუძველი.

ბ) მონაცემები: დასკვნის მომზადებისას მოწმის მიერ გაწხილული ყველა მონაცემისა და ინფორმაციის ჩამონათვალი. ეს ჩამონათვალი უნდა მოიცავდეს ყველა იმ მასალას, რომელიც წარედგინა ექსპერტს დასკვნის მოსამზადებლად, მიუხედავად იმისა, ექსპერტი დაეყრდნო თუ არა ამ მასალას.

გ) თვალსაჩინოებები: ნებისმიერი თვალსაჩინოება, რომელიც გამოყენებულ იქნა როგორც ექსპერტის დასკვნის შეჯამება ან მხარდაჭერა.

დ) კვალიფიკაცია: ექსპერტის კვალიფიკაცია, მათ შორის მისი ყველა პუბლიკაცია ბოლო ათი წლის მანძილზე.

ე) კომპენსაცია: ექსპერტისთვის გადახდილი საზღაური.

ვ) სხვა საქმეები: სხვა საქმეების ჩამონათვალი, რომლებზეც ექსპერტი მონაწილეობდა სასამართლო განხილვებში ან წერილობითი ჩვენებით უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში. ჩამონათვალი უნდა მოიცავდეს საკმარის ინფორმაციას მოწინააღმდეგე მხარისთვის, რათა მათ მოახერხონ საქმის იდენტიფიცირება და საქმეების გამიჯვნა; ეს ინფორმაციაა: საქმის სახელი და ნომერი, სასამართლო, რაიონი და შტატი, რომელშიც საქმისწარმოება დაიწყო.

წერილობითი ანგარიშების უპირატესობანი

არსებობს რამდენიმე მიზეზი, თუ რატომ არის სასურველი, რომ ექსპერტმა მოამზადოს წერილობითი ანგარიში, მაშინაც კი, როდესაც ეს სავალდებულო არ არის. ანგარიში წარმოადგენს ექსპერტის ჩვენების შინაარსის ასახვას და ექსპერტის მიერ ჩატარებული ექსპერიმენტის, შემოწმების, პროცედურებისა და ანალიზის სასარგებლო შეჯამებას.

ანგარიში შესაძლოა ასევე სასარგებლო იყოს ექსპერტისთვის, რათა მან შეძლოს საკუთარი დაკვირვებების გახსენება, რადგანაც ხშირად მოკვლევის ჩატარებასა და სასამართლო განხილვას შორის მნიშვნელოვანი დროითი შუალედებია. ანგარიში შესაძლოა ასევე დაეხმაროთ მოწმის პირდაპირი დაკითხვის სტრუქტურირებასა და მოწინააღმდეგე მხარის ექსპერტის ჯვარედინი დაკითხვის მომზადებაში.

ყურადღება უნდა მიექცეს ანგარიშის მომზადების ფორმას. საწყის ეტაპზე თქვენ ექსპერტს უნდა მიაწოდოთ ყველა რელევანტური ფაქტობრივი მონაცემი. ფრთხილად

უნდა იყოთ საქმესთან დაკავშირებული რეალური და დოკუმენტური მტკიცებულებების წარდგენისას, რადგანაც ისინი, სავარაუდოდ, გამოქვეყნდება, თუკი ექსპერტის დასკვნებს დაედო საფუძვლად. დაბოლოს, თქვენ უნდა აუხსნათ ექსპერტს, რომ წერილობით ანგარიშის წარდგენამდე უნდა დაგიკავშირდეთ პირადად ან ტელეფონით. ამ დროს მხარეებს აქვთ საშუალება არაფორმალურად განიხილონ ანგარიში, რათა უზრუნველყონ ის, რომ მხოლოდ მინიმალური ოდენობით შეიცავს არარელევანტურ და ზიანის მომტან ინფორმაციას.

ექსპერტმა უნდა იზრუნოს სასარგებლო ანგარიშის მომზადებაზე. ანგარიში თავიდანვე უნდა მოიცავდეს საქმესთან დაკავშირებული ფაქტების შეჯამებას, ისე როგორც ეს ექსპერტმა გაიგო. ნებისმიერი შეუსაბამობა შესაძლოა დროში გამოვლინდეს, რათა მათ დაზუსტება მოახერხონ. ფაქტების გადმოცემას უნდა მოჰყვეს ექსპერტის მხრიდან ყველა კითხვაზე ქრონოლოგიურად და ცალ-ცალკე პასუხები. პასუხები ფორმულირებული უნდა იყოს პროფესიული დამაჯერებლობით. დაბოლოს, თითოეული პასუხის ფაქტობრივი და ანალიტიკური საფუძვლის შეჯამება უნდა იყოს მოცემული.

მხარემ ექსპერტის ანგარიში უნდა წარადგინოს დადგენილი გრაფიკის მიხედვით, ან სასამართლო განხილვამდე გამოქვეყნების ვადების დაცვით.

წერილობითი ანგარიშების უარყოფითი მხარეები

წერილობით ანგარიშებს რამდენიმე ნაკლი აქვს. ანგარიში, რომელიც არასასურველ ინფორმაციას შეიცავს ან არასრულია დასაბუთების თვალსაზრისით, შესაძლოა პოტენციური იარაღი გახდეს მოწინააღმდეგე მხარისთვის. თუ ექსპერტის დასკვნა იმთავითვე მომგებიანია, ის შესაძლოა მოწინააღმდეგე მხარისთვის იყოს კარგი ჩარჩო შეპასუხების მოსამზადებლად და მოწინააღმდეგე მხარის ექსპერტის დახმარებით ის შეიძლება გამოყენებულ იქნეს თქვენი ექსპერტის ანალიზისა და დასკვნების ნაკლოვანებების გამოსავლენად. ფორმალური და დეტალური ანგარიშის მომზადება შესაძლოა ძვირად ღირებული იყოს. პროკურატურას უფლება არ აქვს მისთვის არასასურველი დასკვნა დაცვის მხარეს დაუმალოს, ვინაიდან ის უფრო შეიცავს გამამართლებელ მასალას.

გაფრთხილებები ანგარიშთან დაკავშირებით

ყურადღებაა საჭირო ანგარიშის მომზადებისას. თავდაპირველად თქვენ ექსპერტს საჭირო ფაქტობრივი მონაცემები უნდა მიაწოდოთ. ფრთხილად უნდა იყოთ საქმესთან დაკავშირებული რეალური და დოკუმენტური მტკიცებულებების წარდგენისას, რადგანაც ისინი, სავარაუდოდ, გამოქვეყნდება, თუკი ექსპერტის დასკვნებს დაედო საფუძვლად. დაბოლოს, თქვენ უნდა აუხსნათ ექსპერტს, რომ წერილობით ანგარიშის წადგენამდე უნდა დაგიკავშირდეთ პირადად ან ტელეფონით. ამ დროს მხარეებს აქვთ საშუალება არაფორმალურად განიხილონ ანგარიში, რათა უზრუნველყონ ის, რომ ანგარიში მხოლოდ მინიმალური ოდენობით შეიცავს არარელევანტურ და ზიანის მომტან ინფორმაციას.

ექსპერტმა უნდა იზრუნოს სასარგებლო ანგარიშის მომზადებაზე. ანგარიში თავიდანვე უნდა მოიცავდეს საქმესთან დაკავშირებული ფაქტების შეჯამებას, ისე როგორც ეს ექსპერტმა გაიგო. ნებისმიერი შეუსაბამობა შესაძლოა დროში გამოვლინდეს, რათა მათი დაზუსტება მოახერხოთ. ფაქტების გადმოცემას უნდა მოჰყვეს ექსპერტის მხრი-

დან ყველა კითხვაზე ქრონოლოგიურად და ცალ-ცალკე პასუხები. პასუხები ფორმულირებული უნდა იყოს პროფესიული დამაჯერებლობით. დაბოლოს, თითოეული პასუხის ფაქტობრივი და ანალიტიკური საფუძველის შეჯამება უნდა იყოს მოცემული.

მხარემ ექსპერტის დასკვნა უნდა წარადგინოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილ ვადაში.

ფაქტის მოწმეები და ექსპერტი მოწმეები

ნაფიცი მსაჯულების გადმოსახედიდან შესაძლოა დიდი სხვაობა არ იყოს ფაქტის მოწმეების ჩვენებასა და ექსპერტი მოწმეების ჩვენებებს შორის. ორივე შემთხვევაში ადვოკატი, რომელიც წარმართავს პირდაპირ დაკითხვას, ცდილობს წარმოაჩინოს, რომ ჩვენება მიიღება ინფორმაციის მიუკერძოებელი და შესაბამისად, სარწმუნო წყაროსგან. მხოლოდ ჯვარედინი დაკითხვისას ხდება ნათელი ნაფიცი მსაჯულებისთვის ექსპერტსა და ადვოკატს შორის ფინანსური ურთიერთობა სრულად, ადვოკატი ამტკიცებს, რომ ექსპერტი ემსახურება ან მუშაობს მთავრობისთვის.

მტკიცებულებებთან დაკავშირებული ნორმები ექსპერტ მოწმეებთან მიმართებით უფრო ნაკლებად მკაცრია, ვიდრე ეს ფაქტის მოწმეებთან მიმართებითაა. ეს ექსპერტებს მთელ რიგ მნიშვნელოვან უპირატესობას ანიჭებს.

ექსპერტი მოწმეების პრაქტიკული უპირატესობა

ექსპერტის ჩვენება როგორც წესი, იწყება მისი შთამბეჭდავი ცოდნის, უნარების, გამოცდილების, მომზადებისა და განათლების მიმოხილვით. თუმცა, ექსპერტსა და იურისტს უფლება აქვთ და უფრო მეტიც, წახალისებული არიან, რომ დაიწყონ პირდაპირი დაკითხვა, რათა შთაბეჭდილება მოახდინონ ნაფიც მსაჯულებზე ჩვენების ზრდით.

ფაქტის მოწმეები, მეორე მხრივ, უფლებამოსილი არიან ჩვენება მისცენ მხოლოდ მათი დაკვირევებების შესახებ. უმრავლესი სამართლებრივი სისტემები, მათ შორის ფედერალური სასამართლოები, კრძალავს ფაქტების მოწმეებთან დაკავშირებით ,,ჭეშმარიტი ხასიათის“ მტკიცებულებების პრეზენტაციას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოწმის კეთილსინდისიერება სადავო გახდა. მაშინ, როდესაც ექსპერტი მოწმე მიუთითებს გამოცდილებასა, სწავლებაზე და განათლებაზე, იმისათვის, რომ ნაფიცი მსაჯულები დაარწმუნოს თავისი ჩვენების სანდოობაში, ფაქტების მოწმე იმავე გავლენის მქონე საშუალებებს ვერ მიმართავს მის მიმართ ნდობის გასამყარებლად.

შესაბამისად, ფაქტების მოწმეებთან მიმართებით ადვოკატები ბედს მინდობილები არიან. ხშირად ძალიან კეთილსინდისიერი მოქალაქეები სუსტი მოწმეები არიან, რადგანაც არ შეუძლიათ თვითგამოხატვა. ნერვიულობამ, პირადმა მახასიათებლებმა და სხვა მრავალმა ფაქტორმა შესაძლოა ნაფიც მსაჯულებს ჩვენების დისკრედიტაცია მოახდენინონ, არასწორადაც კი. მაგრამ, თუ წარმოდგენილი მოწმე ერთადერთია მათ შორის, ვისაც შეუძლია გადამწყვეტი ფაქტის დადგენა, მაშინ ადვოკატს არ აქვს სხვა არჩევანი.

მსგავსი დაბრკოლებები არ არის ექსპერტ მოწმეებთან დაკავშირებით; როგორც წესი ადვოკატს შეუძლია რამდენიმე კვალიფიციური კანდიდატიდან არჩევა. მოხერხებული ადვოკატი ირჩევს ისეთ მოწმეს, რომელსაც კომუნიკაციის კარგი უნარი აქვს.

ექსპერტი მოწმის აშკარა უპირატესობები

გარდა იმისა, რომ ექსპერტებს მნიშვნელოვანი უპირატესობა აქვთ ფაქტის მოწმესთან შედარებით, ყველაზე მნიშვნელოვანი უპირატესობა მტკიცებულებებს უკავშირდება. ფაქტის მოწმეები უფლებამოსილი არიან ჩვენება მისცენ მხოლოდ საკუთარი დაკვირვების შედეგებთან დაკავშირებით, მაგრამ ექსპერტს შეუძლია საკუთარი ჩვენება დააფუძნოს ფაქტებსა და მონაცემებზე, მათ შორის ისეთებზე, რომელთა სასამართლოზე მტკიცებულების სახით წარდგენა შეუძლებელია. შესაბამისად, ექსპერტს საგრძნობლად ნაკლები შეზღუდვები აქვს ჩვენების მიცემასთან დაკავშირებით.

ექსპერტის ჩვენების დაშვება

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც ექსპერტი შეიძლება ჩაერთოს (იხილეთ ექსპერტის განმარტება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლი 21-ე პუნქტში). ეს არ მოითხოვს იმას, რომ საკითხი კომპლექსური უნდა იყოს, აუცილებელია მხოლოდ, რომ ექსპერტის ჩვენება დაეხმაროს სასამართოს ან ნაფიც მსაჯულებს.

მოწმე შეიძლება ექსპერტად განიხილონ თავისი ცოდნის, უნარების, გამოცდილების, მომზადების ან განათლების საფუძველზე. თუმცა, ნებისმიერი, ვისაც სპეციალური ცოდნა აქვს, შეიძლება ექსპერტად დაკვალიფიცირდეს კონკრეტულ სფეროში.

ეს ნორმები ზოგად წესს ადგენს მოსამართლეებისთვის, თუ როგორ შეუფარდონ ესა თუ ის ფაქტორი. მოსამართლის ყურადღების ექსპერტის ჩვენების სამ ასპექტზე კონცენტრირებით, ეს წესები ადგენს კრიტერიუმს, საკმარისად ზოგადს იმისთვის, რომ მიუსადაგონ ნებისმიერი ტიპის ექსპერტის ჩვენებას.

სარგებლოობის სტანდარტი

თუკი ექსპერტის დასკვნა დაეხმარა ფაქტის განმსაზღვრელს მტკიცებულების გაგებაში ან სადავო საკითხის გარკვევაში, მაშინ დაცვას პირველი წინააღმდეგობა გადალახული აქვს. მაშინაც კი, როდესაც ნაფიც მსაჯულებს შეუძლიათ საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით გადაწყვიტონ საკითხი, ექსპერტს შეიძლება მაინც ჰქონდეს სპეციალური ცოდნა, რომელიც შესაძლოა სასარგებლო იყოს მისთვის ფაქტების დადგენაში.

სასამართლოს მიერ დანიშნული ექსპერტები

არის გარემოებები, როდესაც სასამართლო უფლებამოსილია და ნიშნავს ექსპერტს საკუთარი ინიციატივით.

ექსპერტის შერჩევა

თქვენ უნდა გასაზღვროთ საჭიროა თუ არა ექსპერტი და თუ საჭიროა, როგორ უნდა იმოქმედოთ სათანადოს შესარჩევად.

რამდენიმე კანდიდატის შერჩევის შემდეგ, თქვენ უნდა გადაწყვიტოთ ვინ იქნება ექსპერტ-კონსულტანტი და ვინ იქნება ჩვენების მიმცემი ექსპერტი. ამ პასუხისმგებლობას გულმოდგინების გარეშე არ უნდა მოეკიდოთ. ეფექტიანი ექსპერტების მოწვევა არა მარტო ზრდის სასამართლო განხილვებზე უპირატესობის მოპოვების ალბათობას, არამედ ასევე ამაღლებს თქვენი კლიენტის საქმის მოგვარების ხარისხს.

ნებისმიერ ექსპერტს, რომელსაც თქვენ მოიწვევთ, შეიძლება შეეძავონ შემდეგ საკითხებზე:

ა) კვალიფიკაცია.

ბ) მიკერძოება და ინტერესთა კონფლიქტი საქმეში.

გ) ჩვენების მიცემის მიზეზები.

დ) საზღაური.

ე) საქმის მასალების ცოდნა.

ვ) კონფლიქტში მყოფ საექსპერტო დაწესებულებებთან უთანხმოება.

ზ) მომწვევ ადვოკატთან კომუნიკაცია.

თ) ჩვენების მიცემის წინა გამოცდილება.

ი) პუბლიკაციები.

მოვიწვიოთ თუ არა ექსპერტი

პირველ ყოვლისა, გადასაწყვეტია, საჭიროა თუ არა ექსპერტი ფაქტების დასადგენად. ხშირ შემთხვევაში შესაძლოა არც იყოს საჭირო ან გონივრული ექსპერტის მოწვევა. თუკი ჩვეულებრივ მონაწილეს შეუძლია იმავე მტკიცებულების წარმოდგენა, უდავოა, რომ სასამართლო არ დაუშვებს იმავე საკითხზე ექსპერტის ჩვენებას.

ასევე გავრცელებული შეცდომაა ექსპერტის დაქირავება იმ უბრალო მიზეზით, რომ მოწინააღმდეგე მხარეს ჰყავს ის.

როდის უნდა დავიქირავოთ ექსპერტი

თუკი საქმის წინასწარი შესწავლისას ირკვევა, რომ ექსპერტის ჩართვა საჭირო იქნება, დგება საკითხი: როდის უნდა მოიწვიონ ექსპერტი? ექსპერტის დაუყოვნებლივ დაქირავებას შესაძლოა მოჰყვეს გაუმართლებელი ხარჯები, განსაკუთრებით, თუ სწრაფად მოლაპარაკებაა შესაძლებელი. ექსპერტის ადრეულ სტადიაზე დაქირავებამ შეიძლება თქვენი ყურადღება გადაიტანოს საქმის სხვა მნიშვნელოვანი გარემოებებიდან. თუმცა, ვინაიდან ექსპერტის წვლილი, როგორც ანალიტიკოსისა და შემმეცნებელისა, ძალიან მნიშვნელოვანია, ზოგადად რეკომენდებულია მისი დაქირავება მალევე, განსაკუთრებით, თუ საქმე ოდნავ მაინც შეიცავს რთულ ელემენტებს.

რაც უფრო მალე დაიქირავებთ ექსპერტებს, მით მალე დაგეხმარებიან ისინი მტკიცებულებათა შეკრებასა და შეფასებაში, სადავო საკითხების და მოპასუხეების იდენტიფიცირებაში და დამატებით ექსპერტების მოწვევის საჭიროებაში. ექსპერტის ადრეულ სტადიაზე მოწვევას შეუძლია შეამციროს მოწინააღმდეგე მხარის მიერ საუკეთესო ექსპერტის დაქირავების ალბათობა, განსაკუთრებით ისეთ სფეროებში, სადაც ექსპერტიზა მწირია.

საუკეთესო კანდიდატების შერჩევა

შესაფერისი ექსპერტის შერჩევა ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია. იმავე სფეროს ექსპერტმა შესაძლოა გირჩიოთ კარგი კანდიდატი. ასევე კოლეგებმა, რომლებსაც მსგავსი საქმეების გამოცდილება აქვთ, შეიძლება მსგავსი რეკომენდაციები გაგიწიონ. თქვენ უნდა გაეცნოთ შესაბამის სახელმძღვანელოებს და უნივერსიტეტების და პროფესიული ორგანიზაციების ვებ-გვერდებს. ასევე შეიძლება სასარგებლო იყოს შესაბამისი პროფესიის წარმომადგენლების რეკლამები და სამართლებრივი ლიტერატურა. თუკი დამატებით ექსპერტების მოწვევის საჭიროება ჩნდება, როდესაც ერთი ექსპერტი

უკვე მოწვეულია, მას შეუძლია სხვა შესაფერი კანდიდატების შერჩევა. დაბოლოს, გადახედეთ სხვა საქმეებს ადგილობრივ სასამართლოებში, რათა ნახოთ, ვინ იყო ამ საქმეებზე ექსპერტად მოწვეული.

კანდიდატების შერჩევისას გაითვალისწინეთ შემდეგი კრიტერიუმები:

ხელმისაწვდომობა

თქვენ უნდა გაარკვიოთ, აქვს თუ არა ექსპერტს დრო და რესურსი ამ საქმეში სრულყოფილად მონაწილეობისთვის. არსებითად მნიშვნელოვანია იმ სამუშაოს მოცულობის განსაზღვრა, რაც ექსპერტმა უნდა შეასრულოს. დარწმუნდით იმაში, რომ ექსპერტს შეუძლია დროულად მოგაწოდოთ საჭირო ინფორმაცია, როგორციაა ანგარიშები და დაგეხმაროთ წინასასამართლო საკითხების მოგვარებაში, იმაში, რომ მას ეცლება ჩვენების მიცემისა და სასამართლო განხილვებში მონაწილეობისთვის.

საკითხის კვალიფიციური ცოდნა

სწავლების ფუნქციის შესასრულებლად ექსპერტი არ უნდა იყოს უბრალოდ იმ სფეროს მცოდნე, არამედ უნდა ჰქონდეს ყველა ფაქტობრივი მონაცემი და თეორიული ინფორმაცია სათანადოდ მომზადებული და ხელმისაწვდომი საჭიროებისამებრ. ცოდნა და საკითხის კვალიფიციურად ცოდნა, ურყევობასთან, მოთმინებასთან, დამოუკიდებლობასთან, ობიექტურობასა და ცნობისმოყვარე აზროვნებასთან ერთად, კანდიდატს ხდის კარგ ანალიტიკოსად, რაც განსაკუთრებით კარგი მახასიათებელია საქმის წინასასამართო განხილვის სტადიაზე.

სპეციალიზებული კვალიფიკაცია

როგორც წესი, ჩვენების მიმცემ ექსპერტს ირჩევენ ისეთი მახასიათებლების გამო, როგორიცაა სანდოობა, დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და მოცალეობა იმისთვის, რომ მან დავალება შეასრულოს. მნიშვნელობა არ აქვს, თუ რამდენად შთამბეჭდავია ექსპერტის კვალიფიკაცია, ეს კვალიფიკაცია ახლოს უნდა იყოს ჩვენების საგანთან. ექსპერტი შესაძლოა კვალიფიციური იყოს დასკვნის მოსამზადებლად საკითხების მხოლოდ ნაწილზე და არა სხვებზე.

შესაბამისი უფლებამოსილებანი

თუ საქმის გარემოებები მოითხოვს მხოლოდ კონცეპტუალურ განმარტებებს, საჭიროა, თქვენ აირჩიოთ ექსპერტი მაღალი აკადემიური კომპეტენციით, ვინც ამ სფეროში სამეცნიერო ლიტერატურას აქვეყნებს. თუკი, მეორე მხრივ, საქმე მოითხოვს ტექნიკურ ცოდნას, უმჯობესია, დაუკავშირდეთ პირს, ვისაც პრაქტიკული გამოცდილება აქვს ამ სფეროში.

თუკი საქმე მოიცავს სადავო თეორიულ და სამეცნიერო საკითხებს – რაშიც უფრო მეტი პრობლემა შეიძლება იკვეთებოდეს – მაშინ საჭირო იქნება მეცნიერის მოწვევა მაღალი აკადემიური მონაცემებით. საქმეები, სადაც იკვეთება დიდი რაოდენობით მონაცემები, საჭირო იქნება კომპიუტერული უნარების მქონე ექსპერტის ჩართვა, ვინც შეძლებს მონაცემების ელექტრონულად მოძიებას და ორგანიზებას.

დამოუკიდებლობა

ნაფიც მსაჯულებს უფრო მეტი ნდობა ექნებათ თქვენი ექსპერტის დასკვნის შესახებ, თუკი ეცოდინებათ, რომ ის დამოუკიდებელია. თუკი გონივრულია ექსპერტისთვის მის მიერ გაწეული მომსახურების ანაზღაურება, მხარეს ან მის ადვოკატსა და ექსპერტს შორის ზედმეტად ფამილარული ურთიერთობების განვითარებამ შესაძლოა შეარყიოს ექსპერტის სანდოობა.

იმავე მიზეზებით, თქვენ უნდა აარჩიოთ გარეშე და არა შინაური ექსპერტი. თქვენ გჭირდებათ ობიექტური ხმა და მაშინაც კი, როდესაც თქვენი კლიენტის მიერ არჩეული ექსპერტი თავად ამ ორგანიზაციიდან ტექნიკურად კვალიფიციურია, თქვენ უნდა აირიდოთ ამაო ეკონომია (ასევე ეძებეთ გარე ექსპერტ-კონსულტანტი, თუ არ ხართ დარწმუნებული, რომ კლიენტისგან იღებთ ყველა საჭირო ინფორმაციას). რთულია, ფაქტების მაძიებელი დაარწმუნო იმაში, რომ გარე ექსპერტი ობიექტურია და რომ შიდა ექსპერტის გამოყენებით პრობლემა წარმოიშობა ან სულ მცირე, შეიძლება მიკერძოებულად მიიჩნიონ. უფრო მეტიც, მეორე მხარე თქვენთან შედარებით მომგებიან პოზიციაში აღმოჩნდება, თუკი მოიწვევს ადამიანს, ვისაც ასეთი მიკერძოება არ გააჩნია. ექსპერტებს შორის ამგვარი მკვეთრი განსხვავება, რაც სხვებისთვისაც ნათელი გახდება, შესაძლოა დამღუპველი აღმოჩნდეს.

ადრე შერჩეული პოზიცია

ექსპერტის დასკვნა, რომელიც ეწინააღმდეგება თქვენს პოზიციას, ხელს შეგიშლით სარწმუნოდ საქმის წარმართვაში. ექსპერტის რეზიუმედან შესაძლოა გართულდეს იმის დადგენა, აქვს თუ არა პოტენციურ ექსპერტს მკაცრად ფიქსირებული დასკვნები და თუკი ეს ასეა, როგორ იმოქმედებს ეს საქმეზე. ადრე დაკავებული პოზიცია შესაძლოა დაეხმაროს მოწმეს, რომელიც საუბრობს მტკიცედ, გრძნობით და დამაჯერებლად. ამის დაჯერება წინასწარ შესაძლოა არ იყოს მარტივი, თუ თქვენ არ იცნობთ სფეროს. ასევე მნიშვნელოვანია გაარკვიოთ, ხომ არ აარჩია პოზიცია ექსპერტმა საკუთარი თავის რეკლამირებისთვის.

ექსპერტის ადგილმდებარეობა

მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს მოთხოვნა, ექსპერტი ცხოვრობდეს სასამართლოს ქვემდებარე ტერიტორიაზე, შესაძლოა კარგი მიზეზები იყოს იმისთვის, რომ შეირჩეს ადგილობრივი ექსპერტი. აშკარა, რომ ნაფიცი მსაჯულები უფრო ბუნებრივად უდგებიან იმავე რეგიონის წარმომადგენლებს. მეორე მნიშვნელოვანი არგუმენტი კარგად წარმოჩნდება საქმეებზე, სადაც ექსპერტმა ჩვენება უნდა მისცეს სამედიცინო მომსახურების, მშენებლობის და მსგავს ადგილობრივ სტანდარტებთან დაკავშირებით. ზოგიერთ შტატში მოთხოვნაც კი არსებობს, რომ ექსპერტები მოღვაწეობდნენ კონკრეტულ ტერიტორიაზე – ეს კიდევ ერთი მიზეზია რომ ადგილობრივ წესებს იცნობდეთ.

ზოგიერთ შემთხვევაში ექსპერტს შეიძლება იცნობდნენ ადგილობრივები და ამის გამოც განსაკუთრებით ავტორიტეტული იყოს. თუმცა ეროვნულ დონეზე ცნობილი ექსპერტი, რომელიც სხვა ტერიტორიაზე ცხოვრობს, შესაძლოა ასევე შთამბეჭდავი იყოს. ქვეყნის შორეული ტერიტორიიდან ექსპერტის ჩამოყვანა უნდა პასუხობდეს კითხვას, თუ რატომ მოიძიეთ ექსპერტი თქვენი რეგიონის ფარგლებს გარეთ. რაც

უფრო ვიწროა სპეციალობა ან მაღალია ექსპერტის კვალიფიკაცია, ეს კითხვაც ნაკლებად დგება დღის წესრიგში. ადგილობრივი ექსპერტის მხრიდან მიკერძოების საფრთხე შესაძლოა გადაწონოს უცხოელი ექსპერტის პრეზენტაბელურობამ, გამოცდილებამ ან რეპუტაციამ.

სასამართლო სხდომაზე დასწრება

ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი ექსპერტის შერჩევისას არის ის, თუ როგორ წარდგება ის ნაფიცი მსაჯულების წინაშე. ექსპერტი შესაძლოა ძალიან მაღალკვალიფიციური იყოს თავის სფეროში, მაგრამ ნაფიცი მსაჯულების წინაშე ეფექტურად წარდგომა ვერ შეძლოს. შესაბამისად, თქვენ უნდა შეაფასოთ ექსპერტის მანერები, შთამბეჭდავობა და ზოგადი წარმომადგენლობითობა.

ზოგიერთი მნიშვნელოვანი მომენტი, რაც უნდა გაითვალისწინოთ:

ა) კომფორტულად იგრძნობს თუ არა ექსპერტი თავს სასამართლო დარბაზში?

ბ) ექსპერტის მანერები ნეგატიურად ხომ არ განაწყობს ნაფიც მსაჯულებს?

გ) შეუძლია თუ არა ექსპერტს ფაქტების დამდგენს ესაუბროს დამარწმუნებლად, გამოიყენოს ყოველდღიური ლექსიკა სპეციფიკური ტერმინოლოგიისგან გარეშე?

დ) როგორ უპასუხებს ექსპერტი მოწინააღმდეგო მხარის დაკითხვას?

ჰკითხეთ საკუთარ თავს, შეუძლია თუ არა ამ კანდიდატს იმოქმედოს და ისაუბროს როგორც ექსპერტს. ექსპერტი, რომელიც ზედმეტად ზრდილობიანია, ზედმეტად არგუმენტირებული, ან სხვაგვარად არასასიამოვნო, შესაძლოა არ მიიღონ ნაფიცმა მსაჯულებმა და ეს საზიანო იყოს საქმისთვის.

ყველაზე დამაჯერებელი ექსპერტი არის სარწმუნო, თავდაჯერებული და ფლობს განუყოფელ ატრიბუტს „წარმოსადეგობას“. საკუთარი დასკვნების მტკიცედ და მშვიდად დაცვა, რთულ კითხვებზე პასუხის გაცემა და სამართლიანად და თავისუფლად მოაზროვნედ წარდგენა არ შეიძლება არ დაფასდეს.

გასაჩივრების/გამოწვევის დაუშვებლობა

წარმოდგენილი ექსპერტის ყველა კვალიფიკაცია შესაძლოა სადავო გახდეს, თუ ამ ექსპერტის გაწვევა მარტივია. ჩვენების მიმცემის პერსპექტივა შეიძლება ისეთი დამაშინებელი იყოს, რომ ექსპერტი დაიბნეს მოწმის სტენდთან. კანდიდატი, რომელსაც მაღალი ანაზღურების მიღების ისტორია აქვს იმავე მხარისგან, შეიძლება მიკერძოებულად განიხილებოდეს. ექსპერტმა, რომელმაც საპირისპირო პოზიცია აირჩია იმისგან განსხვავებით, რაც მანამდე ჰქონდა, უნდა წარმოადგინოს კარგი არგუმენტები ამისთვის. რადგანაც ექსპერტის კომპეტენცია და ექსპერტიზა შემოწმდება სასამართლოზე მოწინააღმდეგე მხარის მხრიდან, მისი პროფესიული რეგალიები სანდო უნდა იყოს.

გაარკვიეთ, ხომ არ ყოფილა ექსპერტის წინააღმდეგ რაიმე დისციპლინური წარმოება. თქვენ ასევე უნდა გაარკვიოთ, მოწმეს ხომ არ აქვს ნასამართლობა, ჩვენების მიცემის გამოცდილება, საქმიანობა, რომელიც შეუსაბამობაშია თქვენს საქმეში განხილულ თეორიასთა, ან სადავო რეპუტაცია კოლეგებში. ექსპერტის წინააღმდეგ არ უნდა არსებობდეს რაიმე საყვედურები, არ აქვს მნიშვნელობა რაოდენ მცირე და ახსნადიც არ უნდა იყოს.

თუ შესაძლებელია, უნდა გაარკვიოთ ექსპერტის კვალიფიკაცია: განათლება; პროფესიული ლიცენზია და სერტიფიკატები; პროფესიული ორგანიზაციების წევრობა; პუბლიკაციები; გამოცდილება სფეროში; პირადი ინფორმაცია; პროფესიული, საზოგადოებრივი და საქველმოქმედო საქმიანობა; ექსპერტის სახით წინა ჩვენება, პროცესებში მონაწილეობა ან წინა ჩვენებების შინაარსი; პროფესიული დისციპლინა; ნასამართლობა; მხარეებთან რაიმე კავშირები; და საქმეში ფინანსური ან სხვა სახის დაინტერესება. მოწინააღმდეგე მხარე აუცილებლად გაარკვევს ამ საკითხებს.

თუ თქვენი ექსპერტი არ არის თავისუფალი საყვედურებისგან, მნიშვნელობა არ აქვს მცირე ახსნადია თუ არა ეს საყვედურები, გირჩევნიათ, ეძებოთ სხვა, ვიდრე ნაფიც მსაჯულებზე არასასურველი შთაბეჭდილების მოხდენის რისკი გასწიოთ.

სხვა მნიშვნელოვანი მომენტები, რაც უნდა გაითვალისწინოთ

ა) პროფესიონალი ექსპერტები: მრავალი მოწმე კარგავს სანდოობას, როდესაც ჩვენებების მიცემის ხარჯზე ცხოვრობენ. პრაქტიკოსების მიმართ უფრო მაღალი ნდობა არსებობს, ვიდრე პროფესიონალი მოწმეების მიმართ.

ბ) ექსპერტის ისტორია: განსაზღვრეთ, ექსპერტი ჩვენებას იძლევა ძირითადად მომჩივანი თუ დაცვის მხარისთვის.

გ) საზღაური: ეს საკითხი უნდა გამოიკვლიოთ გონივრულობისა და ნაფიც მსაჯულებზე ზეგავლენის მოხდენის თვალსაზრისით.

დ) კომფორტულობის ხარისხი: როდესაც ორი ექსპერტი მეტ-ნაკლებად ერთნაირი კვალიფიკაციისაა, აირჩიეთ ის, ვისთანაც უფრო კომფორტულად გრძნობთ თავს. მუდმივი კომუნიკაცია და მომზადების ხანგრძლივი დრო წარმატების საწინდარია.

საქმის პრეზენტაცია

ახლა კი თქვენ რთული და დელიკატური ამოცანა გაქვთ, ექსპერტთან განიხილოთ საქმესთან დაკავშირებული ფაქტები და საქმის შინაარსი. თუ თქვენ სრულიად ობიექტური ანალიზი გჭირდებათ, მდგომარეობა მარტივია: თქვენ უბრალოდ სთხოვთ ექსპერტს რეალური დასკვნის მომზადებას.

მაგრამ სამყარო, როგორც წესი, უფრო რთულად არის მოწყობილი და კლიენტის ინტერესები მის სასიკეთო დასკვნას მოითხოვს. თუმცა ისეთი ექსპერტის მოწვევა, რომელიც უბრალოდ თქვენთვის მისაღებ დასკვნას წარმოადგენს მხილებული იქნება მოწინააღმდეგე მხარის მიერ. მრავალი ექსპერტი შეალამაზებს თავის დასკვნას სამსახურის შესანარჩუნებლად. შესაბამისად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ, როდესაც აუხსნით ექსპერტს რა გჭირდებათ, წარმოადგენთ თქვენს პრეზენტაციას ისე, რომ ექსპერტისთვის ნათელი გახდეს თქვენი მოთხოვნა ობიექტური და მიუკერძოებელი ხედვისა.

ექსპერტს, რომელიც გარკვეულ ეტაპზე მოწვეულია მხოლოდ კონსულტანტად და არა ჩვენების მიმცემ მოწმედ, დასჭირდება დრო ფაქტების გამოსაკვლევად. თუკი ექსპერტს დისკომფორტი აქვს კლიენტის პოზიციასთან დაკავშირებით თქვენ უნდა მოიძიოთ სხვა ექსპერტი, რომელსაც სასურველი პოზიცია ექნება. თუმცა თქვენ ყოველთვის უნდა გაითვალისწინოთ პირველი ექსპერტის მოსაზრება, რომელიც შეიძლება მიუთითებდეს თქვენი კლიენტის მხარეს არსებულ სისუსტეებზე. კლიენტის საქმის ინტერესებიდან გამომდინარე, მეორე ექსპერტს უნდა შეატყობინოთ პირველი ექსპერტის კრიტიკის საგანი.

საწყისი კომუნიკაცია ექსპერტთან

მას შემდეგ, რაც კანდიდატი შეირჩევა, თქვენ უნდა განსაზღვროთ, თუ რა მომსახურებას ელით მისგან. ამის მიზანია (1) ექსპერტის როლის განსაზღვრა, (2) ექსპერტისთვის მნიშვნელოვანი წერილობითი მასალის ასლების მიწოდება, (3) პირობების შექმნა საჭირო შემოწმებისთვის, გამოკვლევისა და შესწავლისთვის და (4) ექსპერტის ანაზღაურებისა და კომპენსაციის შესახებ შეთანხმება. ეს წინასწარი შეთანხმება შეიძლება ექსპერტს დაეხმაროს საქმესთან დაკავშირებული ტექნიკური ტერმინოლოგიის განსაზღვრაში.

მაშინ როცა ექსპერტ-კონსულტანტი ზოგადად არ ექვემდებარება გამოქვეყნებას, ექსპერტთან კომუნიკაცია გამოქვეყნებადია. ეს ყოველთვის უნდა გახსოვდეთ.

როდესაც გადაწყვეტთ ექსპერტის დაქირავებას, ვალდებულების აღების შესახებ წერილი უნდა გაიგზავნოს, რომლითაც განისაზღვრება ექსპერტის როლი. ეს წერილი შეიძლება გამოქვეყნებას დაექვემდებაროს, შესაბამისად, ის არ უნდა შეიცავდეს სასურველ შედეგს ან რაიმე კონკრეტულ ფაქტს. ექსპერტისთვის გაგზავნილი ინფორმაცია უნდა უტოვებდეს ექსპერტს საშუალებას, გამოიტანოს საკუთარი დასკვნები. შესაბამისად, ნუ გაგზავნით ჩანაწერების ან დაკითხვების შეჯამებებს, ვინაიდან ეს სერიოზულ საფრთხეს უქმნის თქვენი ექსპერტის დამოუკიდებლობას. თქვენ ასევე უნდა ურჩიოთ ექსპერტს, წერილობით არ ჩამოაყალიბოს დასკვნები, მანამ, სანამ არ განიხილავს თქვენთან ერთად.

ჩვენების მიმცემ მოწმეებს უნდა განემარტოთ, რომ მათ ჩანაწერებს, სავარაუდოდ, მოწინააღმდეგე მხარე მოითხოვს. თქვენ ასევე უნდა მიუთითოთ ისეთი ჩანაწერების მნიშვნელობაზე, რომლებიც ნათელია და არ შეიძლება მისი ნტერპრეტაციის საგანი გახდეს.

საქმის მასალები

მნიშვნელოვანია ექსპერტს მიაწოდოთ მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემები, რომლებიც თქვენს ხელთ არის. ეს მოიცავს მოწმეთა ფაქტების ჩვენებებს, სასამართლო ჩვენებებს, დაკითხვის ჩანაწერებს, ფოტოებს და სხვა. უმჯობესია, ექსპერტს გაუგზავნოთ ყველა ინფორმაცია, მათ შორის ისეთიც, რომელიც შეიძლება სასარგებლო არ იყოს, ვიდრე გამოტოვოთ ისეთი რამ, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს.

ექსპერტმა ყოველთვის უნდა შეძლოს იმის განსაზღვრა, თუ რომელი ფაქტებია მნიშვნელოვანი დასკვნის ფორმირებისთვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, არ შეიქმნას ისეთი შთაბეჭდილება, რომ თქვენ არჩევთ ექსპერტისთვის მისაწოდებელ მასალებს.

ექსპერტს ასევე უნდა მიაწოდოთ შესაბამისი სარჩელებისა და შეპასუხებების ასლები. ეს მოიცავს საჩივარს, შეპასუხებას, შეგებებულ სარჩელს და მტკიცებით დაცვას. ეს ინფორმაცია დაგეხმარებათ, გაიგოთ საქმესთან დაკავშირებული სპეციფიკური საკითხები.

კორესპონდენცია ექსპერტთან

იქნება დრო, როდესაც აუცილებელი გახდება კორესპონდენციის წარმოება თქვენს ექსპერტთან, მაგრამ ზოგადად ჯობია პირადი ან სატელეფონო ურთიერთობა. ექსპერ-

ტისთვის გაგზავნილი ნებისმიერი კორესპონდენცია შეიძლება მოითხოვოს მოწინააღმდეგე მხარემ და გამოიყენოს დაკითხვისას. შესაბამისად, ფრთხილად იყავით თქვენ მიერ მომზადებულ წერილობით დოკუმენტებთან.

წერილები ფორმალური უნდა იყოს გონივრულ ფარგლებში. არ მიმართოთ ექსპერტს მხოლოდ სახელით, რადგანაც ეს ზედმეტი ფამილარობის შთაბეჭდილებას ტოვებს და კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ობიექტურ ანალიზს. თუკი თქვენს ექსპერტს აქვს პროფესიული ან აკადემიური ტიტული, ის უნდა გამოიყენოთ.

კომუნიკაცია ასევე მომზადებული უნდა იყოს ნეიტრალურ სტილში, ისე რომ არ სთავაზობდეს დასკვნებს, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ექსპერტზე. თუ ეს აუცილებელია, გადაეცით ეს ტელეფონით.

წერილის ბოლოს მადლობა მოახსენეთ ექსპერტს ,,საქმის გარემოებების ანალიზისას ღირშესანიშნავი ექსპერტიზისთვის". ეს მოიცავს ექსპერტისადმი პატივისცემას და ხაზს უსვამს მის კვალიფიკაციას. ამან შეიძლება მოწინაღმდეგე მხარე შეაკავოს კორესპონდენციის დაკითხვაში გამოყენებისგან.

ინტერესთა კონფლიქტი

რეალობაა ის, რომ მოწმე ექსპერტებს არ ევალებათ კლიენტებისადმი ისეთივე ერთგულება, როგორიც ადვოკატს უნდა ჰქონდეს კლიენტის მიმართ. მაშინ როცა ადვოკატები კლიენტის წარმომადგენლები არიან, მოწმე ექსპერტები განიხილებიან ცოდნის დამოუკიდებელ წყაროდ, რომელიც აწვდის დასკვნებს ფაქტების დამდგენის დასახმარებლად. თუკი არ არსებობს სახელშეკრულებო ან პროფესიული ეთიკის შეზღუდვები, ექსპერტი ზოგადად თავისუფალია მიიღოს კონკურენტისგან წინადადება, ჩაერთოს იმავე მხარის მოწინააღმდეგე მხარეზე, კონკურენტულად იმუშაოს იგივე ან ამ იურიდიული კომპანიის საწინააღმდეგოდ და ჩვენებები მისცეს ყოფილი კლიენტების წინააღმდეგ.

თუმცა ექსპერტის პროფესიული თავისუფლება არ არის აბსოლუტური. სააგენტოს პრინციპები მოითხოვს მოწმე ექსპერტისგან გონივრულ ფარგლებში დაიცვას კლინტის კონფიდენციალობა და თავი შეიკავოს პირადი ან სხვა შეუსაბამო მიზნებისთვის პერსონალური ინფორმაციის გამოყენებისგან. ადვოკატსა და ექსპერტს შორის სახელშეკრულებო ვალდებულებები ხშირად კრძალავს მოწინააღმდეგე მხარის მიერ დაქირავებას.

ზოგ პროფესიაში მოქმედებს ეთიკის კოდექსები ინტერესთა კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად და მოსაწესრიგებლად. მაგალითად, სერტიფიცირებული საჯარო ბუღალტრების ამერიკული ინსტიტუტის ეთიკის კოდექსი აცხადებს, რომ მისმა წევრებმა არ უნდა დაუშვან ინტერესთა კონფლიქტი და არ გაამხილონ კლიენტის კონფიდენციალური ინფორმაცია მისი თანხმობის გარეშე. პროფესიონალ ინჟინერთა ეროვნული საზოგადოების ეთიკის კოდექსი აცხადებს, რომ მისმა წევრებმა ,, კლიენტის წინასწარი თანხმობის გარეშე არ უნდა გაამხილონ ფაქტები, მონაცემები ან ინფორმაცია, რომელიც მიიღეს პროფესიული უფლებამოსილების განხორციელებისას". ის ასევე კრძალავს კომპენსაციის მიღებას ,,კომპენსაციის მიღებას მომსახურებისთვის ერთი ან მეტი მხარისგან [ან მასთან დაახლოებულისგან] ერთსა და იმავე პროექტზე, თუ გარემოებები არ გამოქვეყნდა ყველა დაინტერესებულ მხარესთან შეთანხმებით".

ალბათ ურთიერთსაწინააღმდეგო ვალდებულებების აღების ყველაზე დიდი ზე-

წოლა პრაქტიკულია. მოწმე ექსპერტების ბიზნეს-საქმიანობა დამოკიდებულია ადვოკატების რეკომენდაციებზე და ისინი, ვინც არ იჩენს ერთგულებას და არასარწმუნოა, არღვევს საკუთარ პროფესიულ რეპუტაციას.

ექსპერტების დისკვალიფიკაცია

მოწმე ექსპერტთან დაკავშირებულმა ინტერესთა კონფლიქტმა შეუქმნას სასამართლო განხილვისას ორივე მხარეს შეუქმნას საფრთხე. მხარეს, რომელიც კონფიდენციალურ ინფორმაცია გაანდობს ექსპერტს, რომელიც თავის მხრივ მოწინააღმდეგე მხარესთან შევა სახელშეკრულებო ურთიერთბაში, ძირითადი მტკიცებულებების გამჟღავნებისა და ადვოკატის მიერ შესრულებული სამუშაოს შედეგების შესუსტების საფრთხის წინაშე დგას. მხარეს, რომელიც კონფიდენციალურობის საწინააღმდეგო დაცვას მიიღებს, შეუძლია ექსპერტის დისკვალიფიცირება მოახდინოს და ასევე ადვოკატის დისკვალიფიცირება ან მის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყება მოითხოვოს.

ამერიკის შეერთებულ შტატებში სასამართოები იყენებენ ორეტაპიან ტესტს იმის განსასაზღვრად, მოახდინონ თუ არა შესაბამისი მხარის მიერ დაქირავებული ექსპერტის დისკვალიფიკაცია. პირველი კითხვით ირკვევა, იყო თუ არა ობიექტურად გონივრული ერთი მხარისთვის, შეინარჩუნოს ექსპერტი იმის დასაჯერებლად, რომ პირობადებული ურთიერთობა არსებობს. მეორე კითხვით კი, პირველმა მხარემ გაუმჟღავნა ექსპერტს რაიმე კონფიდენციალური ინფორმაცია. ამ კონტექსტში ,,კონფიდენციალურ ინფორმაციაში“ იგულისხმება ადვოკატისა და კლიენტის პრივილეგირებული კომუნიკაცია ან ადვოკატის მიერ შესრულებული სამუშაოს შედეგები. დისკვალიფიკაციის მიზნებისთვის ტექნიკური ინფორმაცია და ბიზნეს-ინფორმაცია არ ითვლება კონფიდენციალურად. მოწმის დისკვალიფიკაციისთვის აუცილებელია, რომ ორივე კითხვაზე გაიცეს დადებითი პასუხი.

პოლიტიკის თვალსაზრისით, სასამართლოები აბალანსებენ ინტელექტუალური შრომის შედეგებისა და კლიენტის საიდუმლოებათა დაცვის საჭიროებასა და სასამართლო პროცესის ერთიანობას მხარეთა მიერ კვალიფიციურ ექსპერტზე ხელმისაწვდომობის საჭიროების წინააღმდეგ. სასამართლოები აცნობიერებენ, რომ თუკი ექსპერტის დისკვალიფიკაცია გამარტივდება, ადვოკატები და მხარეები წახალისდებიან, ჩაერთონ ექსპერტების მიერ წინააღმდეგობრივი დასკვნების მოპოვების შევჯიბრში და იაფფასიან ურთიერთობებს გააბამენ ამ პირებთან კონფლიქტის პროვოცირებისთვის. ასეთი მანევრები საფრთხეს უქმნის მართლმსაჯულების პროცესს სასამართლოებისა და მხარეებისთვის კვალიფიციური ექსპერტების წართმევით.

კომპენსაცია ექსპერტისთვის

მოწმე ექსპერტებისთვის კომპენსაციის გადახდის ვალდებულება დღის წესრიგში დგება ორ საკითხთან მიმართებით. პირველ ყოვლისა, რაც უფრო ძვირად-ღირებულია ექსპერტი, მით უფრო მაღალია ფინანსური ტვირთი და მხარე ცდილობს ექსპერტის დასკვნა მოიპოვოს მხოლოდ წერილობითი სახით. მეორეს, მხრივ, ექსპერტის შემოსავლები შესაძლოა კავშირში იყოს ექსპერტის სურვილთან, მხარი დაუჭიროს მომწვევი მხარის თეორიებს, მიუხედავად ფაქტებისა.

გონივრული საზღაურის განმსაზღვრელი ფაქტორები

ტიპურად ზოგადი საკითხი განიხილება სასამართლოების მიერ ექსპერტის საზღაურის გონივრულობის შეფასებისას:

ა) მოწმის საექსპერტო სფერო.

ბ) საჭირო განათლება და სწავლება.

გ) მსგავსი საექსპერტო მომსახურებისთვის უმჯობესი ფასები.

დ) მიწოდებული პასუხების ბუნება, ხარისხი და სირთულე.

ე) ცხოვრების ხარჯები იმ ტერიტორიაზე.

ვ) თითოეული ამ ფაქტორის წონა მოცემულ საქმეზე დამოკიდებულია გარემოებებზე. ამ ფაქტორების გათვალისწინებისას სასამართლოები ხანდახან საზღაურს შეუსაბამოდ მაღალ ტარიფად მიიჩნევენ და ამცირებენ მას გონივრულ ფარგლებში, იმისათვის, რომ მეორე მხარისათვისაც ხელმისაწვდომი გახდეს ექსპერტი.

ექსპერტების წარდგენა

მოდარავჯის ფუნქცია

ექსპერტების ჩვენების პრეზენტაციის მომზადებისას გაითვალისწინეთ, რომ მოსამართლემ, პირველ ყოვლისა, უნდა განსაზღვროს აქვს თუ არა ჩვენებას სათანადო ბაზისი განსახილველი სფეროს ცოდნისა და გამოცდილების თვალსაზრისით და შეესაბამება თუ არა ხელმისაწვდომ ფაქტებს. ეს საკითხები შესაძლებლობის ფარგლებში უნდა გადაწყდეს წინასასამართო განხილვისას. გაითვალისწინეთ და მოემზადეთ ***სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლის მე-3 პუნქტის ციტირებისთვის:***

„ბრალდების მხარის მტკიცებულების დასაშვებობისა და დაცვის მხარის მტკიცებულების დაუშვებლობის მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალმდებელს.“

და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 21-ე მუხლის 21-ე პუნქტი:

„ექსპერტი – სპეციალური ცოდნის, ჩვევებისა და გამოცდილების მქონე ფიზიკური პირი, რომელიც ამ კოდექსით დადგენილი წესით, სისხლის სამართლის საქმეზე საჭირო გამოკვლევის ჩასატარებლად და დასკვნის შესადგენად მიწვეულია მხარის ან მხარის შუამდგომლობით სასამართლოს მიერ. გარდა ამისა, ექსპერტი მხარეებსა და სასამართლოს დახმარებას უწევს მტკიცებულებათა აღმოჩენაში, გამოკვლევასა და დემონსტრირებაში.“

ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 144-ე მუხლის 1-ელი პარაგრაფი

„თუ მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების სათანადო დარგის ან ამა თუ იმ ხელობის ექსპერტთა მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივ გარემოებათა დადგენა, ასევე თუ სხეულს ან ინფორმაციის შემცველ ობიექტს აჩნევია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე კვალი, ნიშანი ან თავისებურება, რომლის სწორად გაგება და აღქმა სპეციალური ცოდნის გარეშე შეუძლებელია, ტარდება ექსპერტიზა.“

ასევე შეგიძიათ მოსამართლეს მიუთითოთ ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური კანონი მტკიცებულებათა შესახებ 702:

„თუკი სამეცნიერო, ტექნოლოგიური ან სხვა სპეციალიზებული ცოდნა დაეხმარება ფაქტების მკვლევარს მტკიცებულების გაგებაში ან ფაქტისა თუ საკითხის განსაზღვრაში, ცოდნის, უნარის, გამოცდილების, მომზადების ან განათლების მიხედვით ექსპერტად მიჩნეულმა მოწმემ შეიძლება ჩვენება მისცეს დასკვნის ან სხვა ფორმით თუ (1) ჩვენება ემყარება სათანადო ფაქტებს ან მონაცემს, (2) ჩვენება სანდო ხერხისა და მეთოდის შედეგია, (3) მოწმე იყენებს საქმის გარემოებების შესაბამის ხერხებსა და მეთოდებს.“

დასკვნის მომზადება

როდესაც ექსპერტის ჩვენება ეფუძნება იმ ფაქტებს ან მონაცემებს, რომლებიც მოწმემ სასამართლოს გარეთ მოიპოვა, სასამართლომ უნდა განსაზღვროს, არის თუ არა საფუძველი, რომელსაც მოწმე დაეყრდნო გონივრულად იმ ტიპის, რასაც ამ სფეროს ექსპერტები ეყრდნობიან.

ფაქტის მოწმეებისგან განსხვავებით, მოწმე ექსპერტები არ არიან შეზღუდულები თავიანთი დასკვნა შეზღუდონ მათი პირადი დაკვირვებებით. ნაცვლად ამისა, კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებული ფაქტი ან მონაცემი, რომელზეც ექსპერტმა დააფუძნა საკუთარი დასკვნა, შეიძლება იყოს ექსპერტის მიერ აღქმული ან გამოაშკარავებული სასამართლო განხილვამდე ან განხილვისას. ფაქტები და მონაცემები, რომელსაც მტკიცებულებები ეფუძნება არ საჭიროებს ცალკე დაშვებას.

ამ წესის თანახმად, ეს ფაქტები და მონაცემები შესაძლოა შეიცავდეს დაუშვებელ ჭორებს, პრივილეგირებულ კომუნიკაციას, სხვა არალერევანტულ მონაცემებს და სხვა დაუშვებელ მტკიცებულებებს.

სასამართლომ შეიძლება გადაჭრას ეს საკითხი წინასასამართლო შუამდგომლობებით ან სასამართლო განხილვისას. სასამართლომ უნდა გააკეთოს დამოუკიდებელი შეფასება, იმის რეალურად ჩვენებით, რომ განსახილველი მასალა საკმარისად სანდოა ამ სფეროს ექსპერტებისთვის. სასამართლოსთვის არ არის საკმარისი დაადგინოს, რომ სხვა ექსპერტები რეალურად ეყრდნობიან ამ ტიპის ფაქტებს ან მონაცემებს.

შესაბამისად, ექსპერტებმა შესაძლოა თავიანთი დასკვნები დააფუძნონ (1) განათლების და გამოცდილების საფუძველზე შეძენილ სამეცნიერო, ტექნიკურ და სხვა სპეციალიზებულ ცოდნას; (2) ფაქტების სასამართლო განხილვის დროს შესწავლით; (3) უკვე დაშვებულ ფაქტებს, მონაცემებს ან დასკვნებს, რომლებიც დაშვებულია ან არ არის დაშვებული სასამართლო განხილვაზე მტკიცებულების სახით და ექსპერტს წარედგინა ან ჰიპოთეტური კითხვებით ან ჩვენებით; და (4) ფაქტები, მონაცემები ან დასკვნები, რომლებიც არ არის დაშვებული მტკიცებულებად, მაგრამ წარედგინა ექსპერტს სასამართლოს გარეთ და მათ ეყრნობიან ამ კონკრეტული სფეროს ექსპერტები.

საკითხთა იდენტიფიცირება

მას შემდეგ, რაც ექსპერტი ჩაერთვება, თქვენი როგორც ადვოკატის ამოცანაა საკითხთა იდენტიფიცირება. კარგ ადვოკატსაც კი შეიძლება გამოეპაროს ისეთი საკითხები, რასაც კონკრეტული სფეროს ექსპერტები ადვილად ამოიცნობენ. შესაბამისად, თქვენ უნდა შეაგულიანოთ ექსპერტი, განიხილოს და გამოიძიოს ყველა ის რელევანტური საკითხი, რომლებიც თქვენ პირველ ეტაპზე არ გამოგიკვეთიათ. თუმცა, ამასთან უნდა ურჩიოთ ექსპერტს არ შეიჭრას ყველა საკითხის გამოძებაში, რაც არ

უნდა საინტერესო იყოს ისინი, ვინაიდან ზოგი მათგანი შესაძლოა სამართლებრივად არარელევანტური ან დამაბრკოლებელი იყოს. ექსპერტმა უნდა გააცნობიეროს, რომ სამართლებრივი სისტემები ხშირად მოითხოვს, რომ საკითხს კონკრეტული კუთხიდან მიუდგნენ.

მთავარი გასაღებია კარგი კომუნიკაცია თქვენსა და ექსპერტს შორის. ეს უნდა იყოს მუდმივი პროცესი, ექსპერტი რეგულარულად უნდა გაწვდიდეთ თავის აღმოჩენებს და მიგნებებს და თქვენ ექსპერტის მიერ მომზადებულ მასალებს უნდა უსადაგებდეთ საქმის კონკრეტულ გარემოებებს.

როდესაც სასამართლო განხილვა დაიწყება, აუცილებელი იქნება ექსპერტის საქმიანობაზე კონცენტრირება. რაღაც ეტაპზე თქვენ უნდა გადაწყვიტოთ, რომელი საკითხებია ყველაზე რელევანტური და რომელი უნდა უგულებელყოთ. პირველ ყოვლისა, ექსპერტს უნდა მიაწოდოთ განსახილველ საკითხთა კონკრეტული ჩამონათვალი.

ექსპერტისთვის ინფორმაციის მიწოდება

ეს გაფრთხილება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: წარმოიდგინეთ, რომ რაც არ უნდა უთხრათ ექსპერტს საქმის შესახებ, გამოქვეყნებას დაექვემდებარება. რადგანაც წინასწარ ძნელია იმის განსაზღვრა, როგორ გადაწყვეტს ადვოკატის მიერ მომზადებული მასალების გამოქვეყნების საკითხს კონკრეტული მოსამართლე, საუკეთესო სტრატეგია იქნება ამ მასალის განდობა მხოლოდ თქვენი კლიენტისთვის და სასამართლო პროცესზე თქვენი გუნდისთვის, ხოლო მოწმე ექსპერტს მიაწოდოთ მხოლოდ არაკონფიდენციალური ინფორმაცია.

არასახარბიელო ფაქტების დაშვება

მნიშვნელოვანია, რომ თქვენ იფიქროთ იმაზე რომ, თქვენმა ექსპერტებმა იცოდნენ თვით არასახარბიელო ფაქტების შესახებაც კი, შესაბამისად, მათ ექნებათ საშუალება გააანალიზონ და ახსნან ეს ფაქტები საქმესთან დაკავშირებული თქვენეული თეორიის მიხედვით.

ადვოკატი, როგორც წესი, იწყებს ექსპერტისთვის საქმის მოკლე მონახაზის გადაცემით, მაგრამ დროთა განმავლობაში ექსპერტი ბუნებრივად აგროვებს მნიშვნელოვანი რაოდენობით დოკუმენტს, თვალსაჩინოებებას, და სხვა მონაცემებს. იმის განსაზღვრა, რა დოკუმენტები უნდა მიაწოდოთ ექსპერტს, განსაკუთრებით, თუ ისინი ბევრია, მნიშვნელოვანი ამოცანაა. ექსპერტისთვის ყველა დოკუმენტის მიწოდება რთულ საქმეებზე შესაძლოა პრობლემური იყოს.

თქვენ არ უნდა დაუშვათ შეცდომა და უნდა მიაწოდოთ ექსპერტს მნიშვნელოვანი დოკუმენტი, ამასთან, შესაძლოა რთული დასადგენი იყოს რომელი დოკუმენტია მთავარი. თუმცა, ექსპერტისგან არ მოელიან, რომ ის დოკუმენტების მთელ წყებას შეისწავლის. მეორე მხრივ, ხშირად ექსპერტებს ძალიან მცირე რაოდენობის დოკუმენტებს აწვდიან და თქვენ უნდა განუმარტოთ მას, რომ შეუძლია ეს პრობლემა გამოკვეთოს თქვენს წინაშე.

ექსპერტის ჩვენების საფუძველია ის ინფორმაცია, რომელსაც ამ სფეროში მომუშავენი სანდოდ მიიჩნევენ. ექსპერტი წყვეტს, რომელი ინფორმაცია უნდა განიხილოს. ჩვენების მიცემისას ან დაკითხვისას კითხვაზე, თუ ვინ შეარჩია განხილული ინფორმაცია, ექსპეტმა უნდა უპასუხოს: „მე შევარჩიე“.

ადვოკატის მიერ მიწოდებული მასალები

არსებობს გარკვეული კატეგორიის ინფორმაცია, რომლის მიღებაც აუცილებლად დასჭირდება ექსპერტს თქვენგან:

ა) მოვლენათა ქრონოლოგია.

ბ) მნიშვნელოვან მოწმეთა სახელები, პოზიციები და როლები .

გ) იმ მოწმეთა წინასწარი ჩვენებები, რომლების შესაძლოა რელევანტური იყოს ექსპერტის დასკვნისთვის.

დ) მოწინააღმდეგე ექსპერტების სახელები, მათი ჩვენებები, მონაცემების და ინფორმაცია, რომელსაც ისინი იყენებენ, მათ მიერ გამოკვეთილი საფრთხეები და გამოყენებული სამეცნიერო მეთოდები.

ე) მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატის სახელი და სხვა რელევანტური ინფორმაცია.

ვ) მოწინააღმდეგე მხარის პოზიცია საქმესთან მიმართებით და მათი საჩივრის ან დაცვითი პოზიციის ფაქტობრივი საფუძვლები.

ზ) ნებისმიერი ფაქტი, რომელმაც შეიძლება დაარღვიოს ან შეასუსტოს თქვენი ექსპერტის დასკვნა.

თ) რაც უფრო მალე მიაწვდით ექსპერტს ამ ინფორმაციას, მით უკეთესი იქნება.

გამოკვლევები, შემოწმებები და კვლევები

ყველაზე მნიშვნელოვანი მომსახურება, რაც ექსპერტმა შეიძლება გასწიოს, სხვადასხვა გამოკვლევის, შემოწმებისა და კვლევის ჩატარებაა. იმისათვის, რომ დავრწმუნდეთ, ეს დასრულდება საჭირო დროში, შესაბამისი ნაბიჯები უნდა გადაიდგას მაქსიმალურად ადრეულ სტადიაზე.

ექსპერტს უნდა შეეძლოს შედეგებისა და ნებისმიერი კვლევის ან ტესტის რელევანტურობის ახსნა. თუკი პირობები, რომლებშიც ეს კვლევა ჩატარდა, არ იყო იდეალური, თქვენ უნდა გაარკვიოთ, რატომ მოხდა ასე, რადგანაც მოწინააღმდეგე მხარე აუცილებლად გააკეთებს ამას. რადგანაც სხვაობა ზიანის მომტანია ექსპერტის ნამუშევრისთვის, შესაძლოა უკეთესი იყოს, რომ ეს მტკიცებულებები არ გამოიყენონ სასამართლოზე. ექსპერტმა შეიძლება თქვენ გადაგამისამართოთ დამხმარე გარე კვლევაზე. თუკი შედეგები არათანმიმდევრულია, შესაძლოა გონივრული ახსნა არსებობდეს. ეს, რა თქმა უნდა, სიმართლესთან ახლოს დგას მოწინააღმდეგე ექსპერტის აღმოჩენასთან მიმართებით.

ექსპერტი უნდა იყოს მაქსიმალურად გულმოდგინე დასკვნების მომზადებისას გამოქვეყნებისთვის, ჩვენებისას და სასამართლო განხილვისთვის. ყველა საჭირო ტესტისა და პროცედურის ამოწურვა შესაძლოა არ იყოს საჭირო, მაგრამ ექსპერტი მზად უნდა იყოს ამა თუ იმ ღონისძიების გამოტოვების ასახსნელად. ექსპერტმა ასევე უნდა გაცნობოთ ანალიტიკოსის მიერ მომზადებული ნებისმიერი არახელსაყრელი ინფორმაციის შესახებ.

შემთავაზებელი მხარის მოვალეობები

ექსპერტის ჩვენების შემთავაზებელ მხარეზეა ტვირთი, დაამტკიცოს, რომ ექსპერტს სათანადო განათლება აქვს ან აუცილებელი გამოცდილება, რომ წარდგეს, როგორც სპეციალიზებული ცოდნის მქონე ადამიანი, რომ ექსპერტის მეთოდოლოგია სანდოა და მისი დასკვნები შეესაბამება არსებულ ფაქტებს.

სპეციალიზაციის ნაკლებობა არ აკნინებს ექსპერტის დასკვნის დასაშვებობას, მხოლოდ მისი წონის საკითხი დგება. თუკი კვალიფიკაციის დამადასტურებელი გონივრული გარანტიები არსებობს, ჩვენება შეიძლება დაიშვას იმ პირობებში, რომ ექსპერტის კვალიფიკაცია დღის წესრიგში დგება ფაქტების დამდგენისთვის და არა სასამართლოსთვის.

იმის უზრუნველსაყოფად, რომ ექსპერტის დასკვნა სანდოა, აუცილებელია იმის დემონსტრირება, რომ სანდოობის ესა თუ ის ფაქტორები უზრუნველყოფს მტკიცებულების დასაშვებობას. მაგალითად,

1. ***კვლევები:*** მომზადებული დასკვნა უნდა ეყრდნობოდეს ობიექტურ ემპირიულ კვლევებს. ნებისმიერი სტატიებიან ემპირიული მონაცემები, რომლების ზიანს აყენებს ექსპერტის მეთოდოლოგიას, უნდა იყოს კონკრეტულად განხილული, გამოიკვეთოს და გაბათილდეს. ზოგიერთ ინსტანციაში ახალი თეორიები არ ქვეყნდება ან არ განიხილება პროფესიულ წრეში. კოლეგების მხრიდან განხილვების ნაკლებობა არ არის მისი ღირებულების შემასუსტებელი, თუკი ექსპერტის დასკვნა განმტკიცებულია საყოველთაოდ აღიარებული ცოდნით.
2. ***შემოწმება:*** ექსპერტებმა უნდა წარმოაჩინონ, რომ მათ შეამოწმეს მათ მიერ შემუშავებული დასკვნა. ეს ფაქტორი არ გამოიყენება მაშინ, როდესაც ექსპერტი ვერ წარმოადგენს რეალურ კვლევას, არამედ აღმოჩნდება, რომ გამოიკვლია არსებული ლიტერატურა და ლიტერატურაში მოცემულისგან განსხვავებულ დასკვნამდე მივიდა.
3. ***მონაცემები:*** წარმოდგენილ დასკვნას უნდა ამყარებდეს შესაბამისი ფაქტები და მონაცემები. ეს შესაძლოა მოიცავდეს დაუშვებელ მტკიცებულებას, ჰიპოთეტურ ფაქტებს და სხვა ექსპერტების დასკვნებს. წარმოდგენილი ფაქტების შესაბამისობის განხილვისას სასამართლომ უნდა განსაზღვროს, განიხილა თუ არა ექსპერტმა ყველა საჭირო ფაქტი დასკვნის განსამტკიცებლად. გამოყენებული მონაცემების სანდოობა ზოგადად დამოკიდებულია ჩვენების გავლენიანობაზე და არა მის დასაშვებობაზე.
4. ***შეცდომების ხარისხი:*** დასკვნასთან მიმართებით პოტენციური შეცდომების ხარისხი უნდა იყოს ძალიან დაბალი.
5. ***ზოგადი მიღებადობა:*** წარმოდგენილი დასკვნა უნდა ამჟღავნებდეს ზოგად მიღებადობას ექსპერტის დისციპლინაში. თუკი სამეცნიერო მტკიცებულებები არ არის ზოგადად მიღებული, დავას მათ მიღებადობაზე, ისევე როგორც მათ სანდოობაზე დამოუკიდებელი მხარდაჭერა აქვს. ექსპერტები შესაძლოა დაეყრდნონ მრავალფეროვან ინფორმაციის წყაროებს და გამოიყენონ მსგავსად მრავალფეროვანი მეთოდები დასკვნების მომზადებისას.
6. ***სხვა ფაქტორები:*** იმის ახსნის გარდა, თუ წარმოდგენილი ფაქტორებიდან ყველა რატომ არ უნდა იქნეს გამოყენებული, ექსპერტის დასკვნამ უნდა ასახოს ყველა ის საკითხი, რასაც მოწინააღმდეგე მხარე წამოჭრის და ახსნა, სხვა რა ფაქტორები იქნება სათანადო, წარმოდგენილ ფაქტებსა და ექსპერტიზაზე დაყრდნობით. მთავარი ფოკუსია ექსპერტის მეთოდოლოგია, რომელიც უნდა ავლენდეს იმავე ხარისხის ინტელექტუალურ სიმტკიცეს, როგორიც ამ სფეროს სხვა ექსპერტებს აქვთ.
7. ***მეთოდოლოგიის გამოყენება:*** უნდა წარმოჩნდეს, რომ დასაბუთება და მეთოდოლოგია სათანადოდ იყო გამოყენებული ფაქტებთან მიმართებით და ეხმარება

ფაქტების მაძიებელს პრობლემის გადაჭრაში. არ არის სავალდებულო, რომ ექსპერტის ჩვენება პირდაპირ უკავშირდებოდეს საკითხებს, რაც ფაქტების მაძიებელმა უნდა გადაჭრას; ის ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შესაბამისი უნდა იყოს.

ექსპერტის ანგარიშები

მოწვეული მოწმე ექსპერტი ამზადებს წერილობით ანგარიშს. იმ იურისდიქციებში, სადაც ანგარიშის წარდგენა არ არის მოთხოვნა, ის მაინც ეხმარება ექსპერტსა და ფაქტების მაძიებელსა, როგორც ექსპერტის მიგნებების კარგი შეჯამება. ნეგატიური მხარე, რა თქმა, უნდა არის მისი უმართავობა და მოწინააღმდეგე მხარის მიერ საზიანოდ გამოყენების ალბათობა.

ანგარიშის მომზადებისას ექსპერტს უნდა ახსოვდეს რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი: ანგარიში უნდა იყოს დროული და სრული; ანგარიში, პირველ ყოვლისა, ექსპერტის პასუხისმგებლობაა, მის მიერ უნდა შესრულდეს; და ანგარიში შესაბამისად უნდა შეიცვალოს ან შესწორდეს იმის მიხედვით, თუ როგორ იცვლება ინფორმაცია და ანალიზი. ექსპერტის მხრიდან ახალი თეორიებისა და მიდგომების (და უარყოფის ანგარიშების საფუძველზე ახალი მონაცემების და მეთოდოლოგიის) წარმოდგენა სწრაფად დაარწმუნებს სასამართლოს.

ანგარიშის შინაარსი

ექსპერტის ანგარიში უნდა მოიცავდეს შემდეგს:

ა) ექსპერტმა უნდა ჩამოაყალიბოს ყველა დასკვნა სრულად.

ბ) დასკვნების საფუძველი და ახსნა.

გ) დასკვნის მომზადებისას განხილული ინფორმაცია და მონაცემები.

დ) დასკვნის მომზადებისთვის ან დასკვნის შეჯამების საზით გამოყენებული თვალსაჩინოებები.

ე) ექსპერტის კვალიფიკაციები, მათ შორის ბოლო ათი წლის განმავლობაში ყველა პუბლიკაციის სია.

ვ) ექსპერტისთვის გადახდილი საზღაური.

ზ) იმ საქმეების ჩამონათვალი, რომლებშიც ექსპერტი მონაწილეობდა ან ჩვენება მისცა ბოლო ოთხი წლის განმავლობაში.

ექსპერტის ანგარიშის ძირითადი საკითხები

სხვა რამდენიმე საკითხის გამოკვეთა ღირს ექსპერტის ანგარიშთან მიმართებით:

ანგარიშების წერისას ექსპერტმა უნდა გაითვალისწინოს, რომ მისი ჩანაწერები და სამუშაო მასალები შეიძლება გამოქვეყნებას დაექვემდებაროს.

ანგარიშში მასალების ჩართვა არ გამორიცხავს დაკითხვის დროს კითხვებს ამ და სხვა საკითხებზე.

აუცილებელი იქნება ექსპერტის ანგარიშის მომზადების შესახებ ჩაძიება დაკითხვისას. თუკი ადვოკატები ძალიან აქტიურად არიან ჩართული, არა მხოლოდ სამუშაო ვერსიის განხილვის და შესწორების ფორმით , არამედ უშუალოდ ანგარიშსაც ამზადებდნენ, სასამართლოს შეუძლია არ მიიღოს ანგარიში ან მისი ნაწილი და თვით ექსპერტის ჩვენებაც კი.

ვიდრე ექსპერტის წოდებების ნუსხას წარმოადგენდეთ, განიხილეთ ისინი ექსპერტთან და სთხოვეთ თითოეულის ახსნა. პროფესიული და საგანმანათლებლო სტატუსები უნდა განიმარტოს ძალიან ზუსტად, თანაავტორობით შესრულებული სამუშაოც მიეთითოს და ა.შ. ყურადღებით იყავით, არაფერი გამოგრჩეთ ან არასწორად არ განმარტოთ, რასაც შეიძლება უხერხულობა მოჰყვეს.

შემოთავაზებული ფორმატი

მართალია, მინიმალური ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მოწინააღმდეგე მხარეს მარტივად მიაწოდონ ინფორმაცია ექსპერტის დასკვნის შინაარსის შესახებ, როგორც წესი, უმჯობესია, რომ დაიწეროს თხრობითი ანგარიში, რომელიც ექსპერტის დასკვნას კარგად გასაგებს ხდის. ექსპერტის ანგარიში არ არის ტექნიკური დოკუმენტი, განკუთვნილი ამ სფეროს სხვა პროფესიონალებისთვის, არამედ ის უნდა წაიკითხონ ამ საქმეში მონაწილე ადვოკატებმა და ასევე მოსამართლემ და ნაფიცმა მსაჯულებმა.

უმრავლესობა ექსპერტთა ანგარიშებისა, იწყება საკითხის ზოგადი პრეზენტაციით, აქვეა ექსპერტის კვალიფიკაციის მოკლე აღწერა. შემდეგ ანგარიშში მოკლედ და ამომწურავადაა ასახულია ექსპერტის ძირითადი დასკვნები. შემდეგ ექსპერტი ხსნის თეორიას და შეჯამებებს, რომელიც დასკვნის საფუძველია და შემდეგ ამას მოჰყვება ანალიზისა და დასკვნების გამოტანის ეტაპი. დაბოლოს, ანგარიშში ჩამოთვლილია დამხმარე მონაცემები და დოკუმენტები. თუმცა, ექსპერტის ანგარიშის ვრცელი მონახაზი შეიძლება ასეთი სახით იყოს :

შესავალი: მოკლე განაცხადი საქმეში ექსპერტის მონაწილეობის თაობაზე, ექსპერტის ყველაზე ღირშესანიშნავი კვალიფიკაციების შეჯამება.

წარმოდგენილი პროცედურები: ექსპერტის მიერ ჩატარებული პროცედურის მოკლე აღწერა და მის მიერ გამოყენებული ინფორმაციის წყაროები.

დასკვნითი ნაწილი: საქმესთან დაკავშირებით ექსპერტის საბოლოო დასკვნა.

მიმოხილვა: დასკვნის მომზადებისას გამოყენებული მთავარი თეორიის ან პროცესის მარტივი ახსნა.

ანალიზი: ანგარიშის ყველაზე ვრცელი ნაწილი, რომელშიც განმარტებულია, თუ რატომ აირჩია ექსპერტმა ესა თუ ის მიდგომა და ანალიტიკური პროცესის ნაბიჯ-ნაბიჯ განმარტება. საქმის ბუნებიდან გამომდინარე, ამ ნაწილში შეიძლება იყოს ცხრილები, შემაჯამებელი გრაფიკები და სხვა თვალსაჩინოებები.

დამხმარე მონაცემები: ინფორმაცია, რომელიც შეიძლება რთულად გასაგები იყოს უბრალო მკითხველისთვის, შესაბამისად, ის თავსდება ანგარიშის ბოლოს ან ცალკე თავის სახით.

ანგარიშის სხვადასხვა შემადგენელი ნაწილი შეიძლება ანგარიშს დაერთოს დანართების სახით, რაც უფრო მოსახერხებელია და მკითხველს საშუალებას აძლევს, საჭიროებისამებრ გაეცნოს შესაბამის დანართს.

ანგარიშის მომზადებამდე, ექსპერტმა მისი კონკრეტული ფარგლები თქვენთან ერთად უნდა განიხილოს. ეს ექსპერტს საშუალებას აძლევს განიხილოს სამართლებრივად მნიშვნელოვანი საკითხები და განიხილოს ისინი არსებულ სამართლებრივ სტანდარტებთან მიმართებით. შედეგად, თქვენ შეიძლება გსურდეთ განუმარტოთ ექსპერტს რომელ საკითხებზე გაამახვილოს ყურადღება და გააკრიტიკოს თუ არა მოწინააღმდეგე მხარის თეორია.

წინასასამართლო შუამდგომლობები

თუკი თქვენი ექსპერტის დასაშვებობა არ არის ჯერ გადაწყვეტილი, თქვენ უნდა მოიპოვოთ წინასასამართლო გადაწყვეტილება წინასასამართლო შუამდგომლობის სახით ექსპერტთან დაკავშირებული სტანდარტების გამოყენების თაობაზე. თუკი სასამართლო დაადგენს სპეციალურ კრიტერიუმებს კვალიფიციურ მოწმეებთან დაკავშირებით, როგორც მინიმუმ, თქვენ გაქვთ შესაძლებლობა, გამოიყენოთ სათანადო საფუძველი. თუ სასამართლო განსაზღვრება არ მომზდარა სასამართლო განხილვამდე, თქვენი მხრიდან მომზადება ფაქტობრივად შეუძლებელია. კარგად მომზადებულმა წინასასამართლო შუამდგომლობამ უნდა მიაპყროს სასამართლოს ყურადღება ნებისმიერ ისეთ საკითხზე, რასაც შეუძლია შეაფერხოს მოწმეთა ჩვენებები.

დამცავი პროცედურების უარყოფა

ეჭვგარეშეა, რომ თქვენი ოპონენტი არ დაეთანხმება თქვენს ექსპერტს და ეს თქვენი ამოცანაა, რომ წინააღმდეგობა გაუწიოთ მას. მოკლედ, თქვენ უნდა ამტკიცოთ, რომ დამცავი პროცედურები საჭიროა იმიტომ (1), რომ თქვენი ექსპერტი და მეთოდოლოგია სათანადოა და (2) ფაქტების მაძიებლის ფუნქციაა, შეაფასოს ექსპერტის ჩვენების მნიშვნელობა და სანდოობა. ექსპერტისგან დამატებითი განცხადება შეიძლება მოითხოვონ, რათა გაბათილდეს წამოყენებული წინააღმდეგობანი.

თქვენ იმთავითვე უნდა ამტკიცოთ, რომ სრულად დამცავი პოზიცია არ მოითხოვება, ვინაიდან ეს ჩვეულებრივი საქმეა, რომელშიც ექსპერტის სანდოობა შესაბამისია და ეს საკითხი სათანადოდ არ დამდგარა ეჭვქვეშ. თქვენ ასევე უნდა ამტკიცოთ, რომ სასამართლოს როლი როგორც დამცავისა, არ არის მოწოდებული მოწინააღმდეგე მხარის სისტემის ჩანაცვლებისკენ და მტკიცე ჯვარედინი დაკითხვა, საპირისპირო მტკიცებულებების პრეზენტაცია და მტკიცების ტვირთის შესახებ ზუსტი ინსტრუქტაჟი არის კითხვის ნიშნის ქვეშ მყოფი მტკიცებულებების ეჭვქვეშ დაყენების ტრადიციული საშუალებები.

როგორც ზემოთ აღინიშნა:

განსჯადეთ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლის მე-3 პუნქტი და მოემზადეთ მისი ციტირებისთვის:

„ბრალდების მხარის მტკიცებულების დასაშვებობისა და დაცვის მხარის მტკიცებულების დაუშვებლობის მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალმდებელს.“

ასევე იყავით მზად, რომ მოსამართლეს მიუთითოთ ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური კანონის მტკიცებულებათა შესახებ 702:

„თუკი სამეცნიერო, ტექნოლოგიური ან სხვა სპეციალიზებული ცოდნა დაეხმარება ფაქტების მკვლევარს მტკიცებულების გაგებაში ან ფაქტისა თუ საკითხის განსაზღვრაში, ცოდნის, უნარის, გამოცდილების, მომზადების ან განათლების მიხედვით ექსპერტად მიჩნეულმა მოწმემ შეიძლება ჩვენება მისცეს დასკვნების ან სხვა ფორმით თუ (1) ჩვენება ემყარება სათანადო ფაქტებს ან მონაცემს, (2) ჩვენება სანდო ხერხისა და მეთოდის შედეგია, (3) მოწმე იყენებს საქმის გარემოებების შესაბამის ხერხებსა და მეთოდებს.“

თუკი თქვენ წარუმატებელი აღმოჩნდებით თქვენს მცდელობებში, შეაჩეროთ დამ-

ცავი პროცესები, თქვენ უნდა აღნიშნოთ, რომ დამცავი ანალიზის ფოკუსი უნდა იყოს პრინციპები და მეთოდოლოგია და არა მათი გამოყენებით მიღებული დასკვნები. შესაბამისად, არარელევანტურია, თქვენმა ექსპერტმა უკეთესად შეასრულა თუ არა სამუშაო.

წერილობითი ჩვენება ექსპერტის მხარდასაჭერად

იყავით მზად იმის დასამტკიცებლად, რომ თქვენი ექსპერტის დასკვნა სანდო და რელევანტურია; თქვენ უნდა შეუხამოთ თქვენი პასუხი ექსპერტის წერილობით ჩვენებას. თუ ექსპერტმა უკვე მისცა ჩვენება, დამატებით წერილობითი ჩვენება შეიძლება შეთავაზებულ იქნეს დამაბნეველი და გაუგებარი საკითხების დასაზუსტებლად. ***წერილობითი ჩვენება, პირველ ყოვლისა, უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:***

ა) ექსპერტის დასკვნები.

ბ) ექსპერტის დასკვნების საფუძვლებისა და ექსპერტის მიერ ამ დასკვნებამდე ლოგიკური შეფერხების გარეშე მისვლის გზის განმარტება.

გ) მეთოდოლოგიის მტკიცებულება და ისა თუ როგორ მომზადდა დასკვნა, არის ერთი და იმავე ხარისხის ინტელექტუალური ჭიდილის შედეგი, რომელიც გამოიყენება ექსპერტების მიერ. თუ შეესაბამება, ექსპერტმა უნდა აჩვენოს, რომ იმავე მეთოდს იყენებს ამავე სფეროში მოღვაწე ექსპერტთა თუნდაც უმცირესობა. ამას უნდა ადასტურებდეს მთელი რიგი ობიექტური წყაროებისა (მაგ., ცნობილი ხელშეკრულებები, პოლიტიკის განაცხადები, მაღალი რეპუტაციის მქონე ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიები, რომლებიც ახდენენ ამ სფეროში მიღებული მეთოდების დემონსტრირებას).

მტკიცების ტვირთი

მიუხედავად იმისა, რომ პროკურორის მტკიცების ტვირთია, შეაჩეროს თქვენი მტკიცებულებების დაშვება (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლის მე-3 ნაწილი), მოემზადეთ მტკიცებულებათა უპირატესობის ჩვენებით დაამტიკიცოთ, რომ ექსპერტის დასკვნები სანდოა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არ უნდა აჩვენოთ, რომ თქვენ მოიგებთ ან წააგებთ – ეს მხოლოდ მტკიცებულებითი წესები დაკმაყოფილდება.

ნაფიცი მსაჯულების შერჩევა

თქვენ უნდა დაიწყოთ პოტენციური ნაფიცი მსაჯულების გამოკითხვა, სმენიათ თუ არა რომელიმე ექსპერტის შესახებ. გარდა არსებული მიკერძოების ან ინტერესთა კონფლიქტის იდენტიფიცირებისა, ეს საშუალებას იძლევა ექსპერტების მიმართ ნდობა გაუღვივდეთ ჩვენების მიცემამდე. კონკრეტული პირის ექსპერტული გამოცდილების უბრალო ხსენებაც კი იმის მინიშნებაა, რომ ექსპერტი მნიშვნელოვანია. ექსპერტის სპეციალიზაციის იდენტიფიცირება და სპეციალიზაციის მოკლე აღწერა უფრო მეტად ზრდის სანდოობას. თუ საქმეში ექსპერტები უკვე ჩარღული არიან, თქვენ ასევე უნდა გამოიყენოთ ნაფიც მსაჯულების შესახებ სახელმძღვანელო („Jury Voir Dire Questions for Jurors“).

შესავალი სიტყვა

შესავალ სიტყვაში თქვენ უნდა ახსნათ ექსპერტის გამოყენების აუცილებლობა და ასევე კონკრეტული მოწმეების შერჩევის მიზეზები. ამით თქვენ ნაფიცი მსაჯულების თვალში ზრდით მოწმეთა სანდოობას ნაფიცი მსაჯულების თვალში.

თქვენ ასევე უნდა მოამზადოთ ნაფიცი მსაჯულები ექსპერტთა საწინააღმდეგო დასკვნებისთვის. თქვენ ასევე შეგიძლიათ აღწეროთ თქვენი ექსპერტის ჩვენება, რატომ არის უფრო რელევანტური და სანდო.

შემდეგ თქვენ უნდა შეაჯამოთ მოწინააღმდეგე მხარის ჩვენება. ეს ამზადებს ნაფიც მსაჯულებს დასკვნებს შორის სხვაობებისთვის. განმარტეთ ექსპერტების კვალიფიკაციებს შორის სხვაობები თქვენი ექსპერტებისთვის.

თქვენი მოწმე ექსპერტის წარდგენა შესავალი სიტყვის დროს უნდა მოიცავდეს მისი კვალიფიკაციის მოკლე აღწერას ნაფიც მსაჯულებზე შთაბეჭდილების მოსახდენად.

ექსპერტთან დაკავშირებული ნებისმიერი ხარვეზი საქმეში უნდა განემარტოთ ასევე ექსპერტებს. ეს მოწინააღმდეგე მხარეს ჩამოართმევს გარკვეულ არგუმენტებს. გამოკვეთეთ სხვა საკითხები, რომლებიც წამოიჭრება ჯვარედინი დაკითხვისას და აღნიშნეთ ისინიც ასევე.

თუკი თქვენი ჯვარედინი დაკითხვა მოიცავს აგრესიულ შეტევას მოწინააღმდეგე ექსპერტის სანდოობაზე, უთხარით ნაფიც მსაჯულებს, რომ თქვენ იძლებული ხართ ჩაერთოთ ნაკლებად თავაზიან დიალოგში. ეს მოამზადებს ნაფიც მსაჯულებს ანტაგონიზმისთვის. ნაფიცი მსაჯულები ასევე დააფასებენ თქვენს გულწრფელობას.

შეცდომებისგან დაცვა

თუ სასამართლო არ დააკმაყოფილებს თქვეს წინასასამართლო შუამდგომლობებს, ან სასამართლო განხილვისას მტკიცებულებების საკითხზე წამოყენებულ შუამდგომლობებს, მოსთხოვეთ მოსამართლეს, მისი გადაწყვეტილების სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძველი დააფიქსიროს ოქმში. ამით თქვენ იქმნით გასაჩივრების საფუძველს.

ექსპერტის გაპროტესტება

„ბრალდების მხარის მტკიცებულების დასაშვებობისა და დაცვის მხარის მტკიცებულების დაუშვებლობის მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალმდებელს“ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლი, მე-3 ნაწილი.

სასამართლოს როლი

მოსამართლემ უნდა განსაზღვროს, რომ ექსპერტის ჩვენებას აქვს სარწმუნო საფუძველი ამ დარგის ცოდნისა და გამოცდილების სახით და რომ ჩვენება არსებული ფაქტების შესაბამისია. მაშინ როცა სასამართლოებს ფართო დისკრეცია აქვთ და მოქნილები არიან ამ დამცავი ფუნქციის შესრულებისას, ექსპერტის ჩვენება ყურადღებით უნდა იქნეს შესწავლილი რელევანტურობასა და სანდოობასთან მიმართებით.

რადგანაც სასამართლოებს აქვთ ასეთი ფართო დისკრეცია, მრავალ საქმეზე შედეგები მეტწილად დამოკიდებული იქნება მოსამართლის მიერ ექსპერტის ან წინასასამართლო აღმოჩენების დასაშვებობის საკითხზე მიღებული დადგენილებაზე.

ექსპერტის აუცილებლობა

უმთავრესი საკითხია, უნდა მოისმინოთ თუ არა ექსპერტის ჩვენება. თუკი საკითხი არ არის სათანადოდ კომპლექსური, მაგალითად, თუ არ ცდება რიგითი მოქალაქის ცოდნასა და გამოცდილებას, ექსპერტი არ იქნება საჭირო და თქვენ უნდა მოუწოდოთ სასამართლოს არ დაუშვას ეს მოწმე ამ საფუძვლით.

ეს სფერო შესაძლოა კომპლექსური იყოს, მაგრამ თუ ეს ის საკითხებია, რომელსაც რიგითი მოქალაქეები ყოველდღიურ რეალობად აღიქვამენ, სასამართლომ შესაძლოა გადაწყვიტოს, რომ არ არის ექსპერტის ჩვენება საჭიროა.

ჩვენების განმარტება

როდესაც არსებობს დავა ექსპერტის დასკვნასთან დაკავშირებით, როგორიცაა ექსპერტის მიერ კონკრეტულ მტკიცებულებაზე დაყრდნობის გონივრულობა, სასამართლო ამ საკითხს წყვეტს ან წინასასამართლო შუამდგომლობის საფუძველზე, ან სასამართლო განხილვისას. თქვენი პირველი ამოცანაა შეწყვიტოს ჩვენება, სანამ ნაფიცი მსაჯულები არ მიიღებენ მას. თქვენ ასევე შეგიძლიათ ექსპერტისგან მოითხოვოთ ფიცი მის ჩვენებასთან დაკავშირებით და შემდეგ გამორიცხოთ ექსპერტის ჩვენება იმ საფუძვლით, რომ ეს ჩვენება ფაქტების მაძიებელს არ დაეხმარება, რომ მოწმე არ არის საკმარისად კვალიფიციური იმისთვის, რომ მოწმედ წარდგეს, ან ექსპერტის მეთოდოლოგია საეჭვოა. ეს წინასწარი გადაწყვეტილებები სასამართლოს დისკრეციას განეკუთვნება და სააპელაციო სასამართლო განიხილავს მათ დისკრეციის ბოროტად გამოყენების შემთხვევაში.

ექსპერტის შესწავლა

მას შემდეგ, რაც მოწინააღმდეგე მხარის ექსპერტი იდენტიფიცირებულია, თქვენ უნდა ჰკითხოთ ექსპერტ-კონსულტანტს, რა იციან მათ მოწინააღმდეგე ექსპერტის შესახებ და თუ საჭიროა, სთხოვოთ მათ მოიძონ ინფორმაცია შესაბამის წრეში. ამის შემდეგ თქვენ უნდა ეცადოთ მოიძიოთ ხელმისაწვდომი ინფორმაცია ექსპერტის შესახებ, განსაკუთრებით კი ამ თემაზე ექსპერტის პუბლიკაციები. თქვენ ასევე უნდა შეეცადოთ, გადახედოთ ექსპერტის ჩვენებებს ამ თემაზე. ექსპერტის გამოცდილებისა და ცოდნის გულმოდგინედ შემოწმება, ასევე იმ იურისტებთან კონსულტაციის გავლა, რომელთა წინაშეც მოწმემ ადრე ჩვენება მისცა, ასევე ძალიან სასარგებლო იქნება.

ექსპერტის მიერ მომზადებული ნებისმიერი ანგარიში უნდა მოითხოვოთ მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატისგან რაც შეიძლება მალე. პერიოდული მოთხოვნები უნდა წარადგინოთ და დოკუმენტები მოითხოვოთ იმის უზრუნველსაყოფად, რომ თქვენ გაქვთ უახლესი ინფორმაცია.

კონკრეტული კვალიფიკაციები

მნიშვნელობა არ აქვს რამდენად კვალიფიციურია ექსპერტი, ეს კვალიფიკაცია უნდა მიესადაგებოდეს კონკრეტულ საკითხს, რაც თქვენს წინაშე დგას. ასევე, მოწმე შესაძლოა კვალიფიციური იყოს, ჩვენება მისცეს კონკრეტულ საკითხებზე და არა სხვებზე. ექსპერტის რეზიუმე ყურადღებით უნდა შეისწავლოთ მისი სისუსტეების, არარეალური მონაცემების ან პრობლემური მხარეების გამოსავლენად, რაც საშუალებას მოგცემთ კარგად შეამოწმოთ ექსპერტის კვალიფიკაცია და მისი მეთოდოლოგია, რომელსაც ის გამოიყენებს დასკვნის მომზადებისას.

გაპროტესტების დრო

იმის გადაწყვეტისას, გააპროტესტოთ თუ არა თქვენი ოპონენტის ექსპერტთან დაკავშირებული საკითხები, ზოგადად გამოცდილია ის, რომ არადეკვატური კვალიფიკაციის, შეუსაბამო დისციპლინის, ან ზოგადად არასანდო მეთოდოლოგიის საკითხზე დავა ექსპერტის ჩვენების დაუშვებლად ცნობის საუკეთესო საშუალებაა. შესაბამისად ასეთი შამდგომლობები უნდა დააყენოთ რაც შეიძლება ადრე, სასამართლო განხილვამდე.

შუამდგომლობები, რომლებიც ეხება წარმოდგენილი მონაცემების არაადეკვატურობას, გამოთვლებში შეცდომებს, ან ალტერნატიული მონაცემების განუხილველობას, ნაკლებად სავარაუდოა, რომ დასრულდეს ჩვენების დაუშვებლობით. შესაბამისად, ამ ტიპის შუამდგომლობების დაყენება უფრო ეფექტიანია ჯვარედინი დაკითხვის დროს.

დასკვნის საფუძვლების შესწავლა

საერთო სამართალში მოწმე ექსპერტი თავისი დასკვნის საფუძველს ამყარებს ფაქტებსა და მონაცემებს, რომლებიც პირადი დაკვირვების შედეგად გამოვლინდა ან რომლებიც ცნობილი გახდა მისთვის სასამართლო განხილვამდე ან განხილვისას. ექსპერტი შეიძლება დაეყრდნოს ერთ-ერთ ფორმას დასკვნის მომზადებისას, მაგრამ ახლა წესებმა მეტად გააფართოვა ექსპერტის ჩვენების დასაშვები საფუძვლები და გამოკვეთა დამატებით საფუძვლები, რომელსაც შეიძლება ექსპერტი დაეყრდნოს.

თქვენი როლია გამოავლინოთ ხომ არ აკლია რაიმე ან შეცდომას ხომ არ აქვს ადგილი. პირველ ყოვლისა, გადახედეთ მეთოდოლოგიას, რომლითაც დასკვნა შეიძლება წინასწარ იქნეს გამოტანილი ან ხომ არ აკლდა ყურადღება ყველა ფაქტის განხილვას.

მნიშვნელოვანი ფაქტების გამოქვეყნება

ექსპერტმა უნდა გამოაქვეყნოს დასკვნის ძირითადი ფაქტები, როგორც თვით დასკვნის დასაშვებობის წინაპირობა. ამ წესის მიზანი არ იყო დასკვნის საფუძვლების შესახებ კითხვების შემცირება. ნაცვლად ამისა, წესი ადგენს, რომ ექსპერტის მოსაზრების ძირითადი საფუძველი დადგინდება ჯვარედინი დაკითხვისას, განსაკუთრებით მას შემდეგ რაც ფედერალური წესები უშვებს ექსპერტის დასკვნისა და ამ დასკვნის საფუძველის ვრცელ განხილვას.

ჯვარედინი დაკითხვის როლი

„ძლიერი ჯვარედინი დაკითხვა, საკონტრაქტო მტკიცებულებათა პრეზენტაცია და ამომწურავი ინსტრუქტაჟი მტკიცების ტვირთთან დაკავშირებით არის ტრადიციული და შესატყვისი საშუალება არამდგრადი, მაგრამ დასაშვები მტკიცებულების დასამარცხებლად.“

თქვენი მოწინააღმდეგის მოწმის გამორიცხვისკენ მიმართული მოქმედება

გასაჩივრება ექსპერტის ჩვენებასთან დაკავშირებით შემდეგი სამი გზით ხდება: (1) წინასასამართლო შუამდგომლობა; (2) წინასწარი დაკითხვის შედეგებთან დაკავშირებული საჩივრები, თუკი ეს მოთხოვნაა წამოყენებული და შემდეგ დაკმაყოფილებულია სასამართლოს მიერ, ან (3) ჩვენების მიცემისას კონკრეტული დასკვნის გასაჩივრების საფუძველზე.

წინასასამართლო შუამდგომლობა გამოიყენება მაშინ, როდესაც სასამართლოს შეუძლია განიხილოს დაკითხვის ჩანაწერი ან სხვა მტკიცებულებები, იმასთან მიმართებით, შეესაბამება თუ არა ექსპერტის ჩვენება სანდოობისა და რელევანტურობის კრიტერიუმებს. წინასასამართლო დაკითხვა და გასაჩივრებები აზრს მოკლებული არ არის, თუკი დამატებითი ფაქტების განვითარებაა საჭირო იმისთვის, რომ მოსამართლეს დავანახოთ, რომ ჩვენება არ უნდა დაუშვას.

როგორც შუამდგომლობის წარმდგენმა, თქვენ უნდა მოითხოვოთ ამ შუამდგომლობის ზეპირი განხილვა. მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება სასამართლო განხილვა არ იყოს, აუცილებელია შეცდომების გამოსარიცხად, წინასასმართლო ეტაპზე საჩივრის წარუდგენლობამ შემდგომი გასაჩივრების პერსპექტივა შეასუსტოს. თქვენ უნდა ამტკიცოთ, რომ არსებობს ექსპერტის სანდოობის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენების კარგი მიზეზები და დაცვითი პროცედურები აუცილებელია (სპეციალური ბრიფინგი, მოსმენა და ა.შ.).

თუკი წინასასამართლო შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდება, ამის ალტერნატივაა მოითხოვოთ ექსპერტის წინასასამართლო დაკითხვა ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობის გარეშე. ეს ტაქტიკა ყოველთვის გამოკვეთს ექსპერტის პრეზენტაციის დაუშვებელ და ზიანის მომტან ნაწილებს.

ექსპერტის დასკვნის გასასაჩივრებალად თქვენ უნდა წარადგინოთ წინასასმართლო შუამდგომლობა ექსპერტის დისკვალიფიკაციისთვის. შუამდგომლობით თქვენ შეგიძლიათ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოთ ექსპერტის კვალიფიკაცია ასევე ექსპერტის დასკვნის სანდოობა და რელევანტურობა. თუკი თქვენ გსურთ ექსპერტის ჩვენების დაუშვებლად ცნობა იმ საფუძვლით, რომ ის არ არის კვალიფიციური, თქვენ უნდა აჩვენოთ, რომ ექსპერტს არ აქვს საჭირო უმაღლესი განათლება, უნარები, გამოცდილება, მომზადება. თუ თქვენ იღწვით ჩვენების გამორიცხვისკენ იმ საფუძვლით, რომ ექსპერტის დასკვნა არ არის სანდო ან რელევანტური, თქვენ ეს უნდა გააკეთოთ მტკიცებულებათა წესებითა და პრეცედენტული სამართლით დადგენილი სტანდარტების შესაბამისად.

სანდოობის ფაქტორები

მრავალი ფაქტორია, რომელთაც სასამართლო განიხილავს სანდოობის საკითხად:

ა) ექსპერტის ჩვენების საფუძვლად გამოყენებული თეორია და ტექნიკა ექვემდებარება თუ არა შემოწმებას.

ბ) სადაც შესაძლებელია ამის გარკვევა, ტექნიკის შეცდომების ცნობილი ან პოტენციური მაჩვენებელი და ამ ტექნიკის მუშაობის მაკონტროლებელი სტანდარტის მართვა.

გ) დაექვემდებარა თუ არა გამოყენებული თეორია ან ტექნიკა კოლეგების მიერ განხილვას და სამეცნიერო გამოქვეყნებას.

დ) „ზოგადად მიღებულია“ თუ არა ექსპერტის თეორია და ტექნიკა სამეცნიერო წრეში.

ე) ეფუძნება თუ არა ექსპერტის ჩვენება სათანადო ფაქტებსა და მონაცემებს.

ვ) ექსპერტის დასკვნა მომზადდა თუ არა ჩვენების მიცემის მიზნებისთვის ან არის თუ არა ის დამოუკიდებელი კვლევის შედეგი.

ზ) ექსპერტი გაუმართლებლად ხომ არ გადახრილა მიღებული პოზიციიდან უსაფუძვლო დასკვნისკენ.

თ) სათანადო ყურადღება დაუთმო თუ არა ექსპერტმა ალტერნატიულ განმარტებებს.

ი) ექსპერტის გამოცდილების სფერო მიგიყვანთ თუ არა იმ ტიპის დასკვნამდე, რაც ექსპერტმა უნდა მოამზადოს.

კ) სხვა ნებისმიერი ფაქტორი, რომელიც უზრუნველყოფს იმას, რომ ექსპერტი პოვებს აღიარებას სასამართლო დარბაზში.

ფაქტების შემფასებელის დახმარება

გახსოვდეთ და მზად იყავით მიუთითოთ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლის მე-3 ნაწილზე:

„ბრალდების მხარის მტკიცებულების დასაშვებობისა და დაცვის მხარის მტკიცებულების დაუშვებლობის მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალმდებელს.“

და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 21-ე მუხლის 21-ე პუნქტი:

„ექსპერტი – სპეციალური ცოდნის, ჩვევებისა და გამოცდილების მქონე ფიზიკური პირი, რომელიც ამ კოდექსით დადგენილი წესით, სისხლის სამართლის საქმეზე საჭირო გამოკვლევის ჩასატარებლად და დასკვნის შესადგენად მიწვეულია მხარის ან მხარის შუამდგომლობით სასამართლოს მიერ. გარდა ამისა, ექსპერტი მხარეებსა და სასამართლოს დახმარებას უწევს მტკიცებულებათა აღმოჩენაში, გამოკვლევასა და დემონსტრირებაში.“

ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 144-ე მუხლის 1-ელი პარაგრაფი

„თუ მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების სათანადო დარგის ან ამა თუ იმ ხელობის ექსპერტთა მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივ გარემოებათა დადგენა, ასევე თუ სხეულს ან ინფორმაციის შემცველ ობიექტს აჩნევია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე კვალი, ნიშანი ან თავისებურება, რომლის სწორად გაგება და აღქმა სპეციალური ცოდნის გარეშე შეუძლებელია, ტარდება ექსპერტიზა.“

ასევე შეგიძლიათ მოსამართლეს მიუთითოთ ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური კანონი მტკიცებულებათა შესახებ 702:

„თუკი სამეცნიერო, ტექნოლოგიური ან სხვა სპეციალიზებული ცოდნა დაეხმარება ფაქტების მკვლევარს მტკიცებულების გაგებაში ან ფაქტისა თუ საკითხის განსაზღვრაში, ცოდნის, უნარის, გამოცდილების, მომზადების ან განათლების მიხედვით ექსპერტად მიჩნეულმა მოწმემ შეიძლება ჩვენება მისცეს დასკვნების ან სხვა ფორმით თუ (1) ჩვენება ემყარება სათანადო ფაქტებს ან მონაცემს, (2) ჩვენება სანდო ხერხისა და მეთოდის შედეგია, (3) მოწმე იყენებს საქმის გარემოებების შესაბამის ხერხებსა და მეთოდებს.“

ექსპერტი მოწმის პირდაპირი დაკითხვა

პირდაპირი დაკითხვა შეიძლება და უნდა იყოს ისეთივე შთამბეჭდავი, როგორც ეფექტური ჯვარედინი დაკითხვა. ნაფიცი მსაჯულების ყურადღების შესანარჩუნებლად თქვენ პირდაპირ უნდა გადახვიდეთ ძირითად საკითხებზე და მიუთითოთ ექსპერტის ყველაზე რელევანტურ კვალიფიკაციებზე. ექსპერტის დასკვნის შესახებ ყველა კითხვა

წინასწარ უნდა განისაზღვროს და ექსპერტის გამოცდილება და ექსპერტიზა აღინიშნოს სათანადო ფორმით.

ექსპერტის დასკვნები დამაჯერებლად უნდა იქნეს ახსნილი და ამ დასკვნების საფუძვლები განიმარტოს ნათლად და მარტივად, გასაგები ფორმით. თუკი შესაძლებელია, გრაფიკები, დიაგრამები, სლაიდები და სხვა დამხმარე სადემონტრაციო საშუალებები უნდა იყოს გამოყენებული პრეზენტაციების უფრო საინტერესოდ წარმოსადგენად. განსაკუთრებით სასარგებლო იქნება, თუ ჩვენების ბოლოს, გარკვეული სახის შემაჯამებელი გრაფიკი იქნება გამოყენებული ნაფიცი მსაჯულებისთვის ექსპერტის დასკვნების შესახსენებლად.

მთავარი თემა

ექსპერტის პირდაპირ დაკითხვას, რა თქმა უნდა, აქვს ფაქტების დამდგენის თქვენი კლიენტის სასარგებლოდ დარწმუნების მიზანი. მაგრამ ამ მიზნის ქვეშ თქვენ ყოველთვის უნდა მოიაზრებდეთ კონკრეტული ექსპერტის მხრიდან თქვენთვის ჩვენების მიცემის მოთხოვნას მტკიცებულების შესაქმნელად.

თუკი სამეცნიერო, ტექნიკური და სხვა სპეციალიზებული ცოდნა დაეხმარება ფაქტების შემფასებელს მტკიცებულების გაგებაში ან ფაქტების განსაზღვრაში, ექსპერტად კვალიფიცირებულმა მოწმემ, ცოდნის, უნარების, გამოცდილების, მომზადების ან განათლების საფუძველზე, შეიძლება ჩვენება მისცეს დასკვნის ან სხვა სახით, თუ (1) ჩვენება სათანადო ფაქტებს და მონაცემებს ემყარება, (2) ჩვენება სარწმუნო პრინციპების და მეთოდების შედეგია და (3) მოწმემ გამოიყენა საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისი პრინციპები და მეთოდები.

აუცილებელია, რომ ექსპერტს ჰქონდეს დასკვნის მისაღებად საჭირო ადეკვატური საფუძვლები, რომლის შესახებაც მან ჩვენება უნდა მისცეს. სამეცნიერო ჩვენებისთვის, ეს შესაძლოა მოიცავდეს იმის დადასტურებას, რომ ექსპერტი ფლობს ადეკვატურ ცოდნას კონკრეტულ სფეროში ან განახორციელა კვლევა ამ სფეროში. არასამეცნიერო ჩვენებისთვის თქვენ უნდა მოახდინოთ იმის დემონსტრირება, რომ ექსპერტს აქვს საკმარისი გამოცდილება ან კონკრეტული საკითხის საკმარისი ცოდნა.

ექსპერტმა თავისი დასკვნა უნდა მოამზადოს შესწავლილი ფაქტების ან მონაცემების საფუძველზე. მაშინაც კი, როდესაც ექსპერტს აქვს შესაბამისი ცოდნა ან გამოცდილება მისი ჩვენების საგანთან დაკავშირებით, მან ასევე უნდა გამოიყენოს სანდო მეთოდოლოგია ამ დასკვნის მისაღებად.

ექსპერტის დასკვნები უნდა იყოს პროცესისა და დამხმარე ფაქტორების გონივრული შედეგი.

დასკვნის მთავარი საფუძვლები

ის ინფორმაცია, რასაც ექსპერტი მუდმივად ეყრდნობა, დასაშვები უნდა იყოს მტკიცებულების სახით, მიუხედავად იმისა, საფუძველი არის თუ არა რთული ან მასზე მუშაობა მოითხოვს დიდ დროს. ეს წესი მხარეებს აშორებს სირთულეებს: თუ ეს შეუძლებელი არ არის, მოწმეთა მთელი ჯარის სასამართლოს წინაშე წარდგენის ტვირთი შესაძლოა ჩანაცვლდეს მტკიცებულებათა დამადასტურებელი აუთენტური დოკუმენტებით, რომლებსაც ექსპერტი გონივრულად და მუმივად დაეყრდნო.

დამკითხავის როლი

მიუხედავად იმისა, რომ ეს შესაძლოა ყოველთვის არ იყოს საჭირო, პირდაპირმა დამკითხავმა ექსპერტისგან უნდა მოიპოვოს ყველა ის ფაქტი, რომლებიც საფუძვლად უდევს ექსპერტის დასკვნას. ჯვარედინ დამკითხვაზეა ასევე მოწინააღმდეგე მხარის დასკვნაში პრობლემებისა და წინააღმდეგობების აღმოჩენის ტვირთი.

თქვენი ექსპერტის მომზადება პირდაპირი დაკითხვისთვის

მოწმე ექსპერტებმა უნდა გააცნობიერონ, რომ, მიუხედავად იმისა, რომ მხარისათვის სასარგებლო ჩვენება სასურველია, მათ არ უნდა შეითავსონ ადვოკატის როლი. გამოკვეთილად მიკერძოებული ჩვენება მალე კარგავს თავის ეფექტს და ძალიან სუსტი ხდება ჯვარედინი დაკითხვის შემთხვევაში.

თავიდანვე მნიშვნელოვანია აღინიშნოს თუ რა განსხვავებები არსებობს თქვენს ექსპერტსა და ოპონენტს შორის და თუ ასეთი არსებობს, დააკომპენსიროთ ის კვალიფიკაციებით. თქვენსა და თქვენი ოპონენტის ექსპერტებს შორის ნებისმიერი განსხვავება, იქნება ეს ტიტულში, მიდგომებში და სტილში, უნდა აღნიშნოთ. თუ თქვენმა ექსპერტმა აირჩია მეთოდოლოგია, რომელიც სხვა ექსპერტს არ აქვს და შემდეგ მიუთითა ამაზე. დარწმუნდით, რომ თქვენი ექსპერტი მაქსიმალურად გამომხატველობითია, იყენებს საინტერესო გრაფიკებს და საუბრობს ჩვეულებრივი სასაუბრო ლექსიკით.

ჩვენების შინაარსი

თქვენი ექსპერტის პირდაპირი დაკითხვისთვის მოსამზადებლად რამდენიმე მომენტი უნდა გაითვალისწინოთ:

ა) თქვენ ექსპერტს აუცილებლად უნდა გააცნოთ მისი დაკითხვის გეგმა, რათა მან იცოდეს თუ რა საკითხებს მოიცავს, რა ფაქტები დადგინდება და რა სიგნალებს გამოიყენებთ ჩვენების მიმართულების სამართავად.

ბ) ექსპერტი უნდა დაიკითხოს იმიტირებულ გარემოში იმავე სტილით, რასაც ის გამოიყენებს სასამართლოში. კითხვები უნდა დალაგდეს იმავე თანმიმდევრობით, როგორც წარმოდგენილი იქნება სასამართლო განხილვისას, მაგრამ უნდა გადმოიცეს სხვაგვარი ტექსტით, ისე რომ საუბარს სპონტანური სახე ჰქონდეს.

გ) ექსპერტს უნდა შეეძლოს ახსნას და განმარტოს ნებისმიერი ტექნიკური ტერმინი, რომელსაც გამოიყენებს სასამართლოში. ეს ცნებები უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკურ ლექსიკონებს და სხვა მითითებით მასალებს.

დ) თქვენ უნდა განიხილოთ ექსპერტის თეორიები დეტალურად და წარმოადგინოთ ყოველი კუთხით. ექსპერტის თეორიები არ უნდა იყოს მხოლოდ სიცოცხლისუნარიანი, არამედ შთაბეჭდილება უნდა მოახდინოს მოსამართლეზე და ნაფიც მსაჯულებზე თავისი გულწრფელობით და ერთიანი მიდგომით.

ე) თქვენ უნდა მოამზადოთ ექსპერტი, რათა მან შეძლოს მის კვალიფიკაციასთან დაკავშირებულ კითხვებზე პასუხის გაცემა.

ვ) თქვენ ასევე უნდა განუმარტოთ ექსპერტს, რამდენად დეტალური უნდა იყოს მისი პასუხები.

ზ) ნებისმიერი რეალური და სადემონსტრაციო მტკიცებულებები დეტალურად უნდა

იქნას განხილული, ასევე ის კითხვებიც, რომლებიც თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ დასადასტურებლად.

გადმოცემის სტილი

ექსპერტს ეფექტური კავშირი უნდა ჰქონდეს მოსამართლესთან და ნაფიც მსაჯულებთან. წარმოვიდგენთ რამდენიმე რჩევას. ექსპერტი:

ა) უნდა წარდგეს სტენდთან კომფორტულად და არა უძრავ მდგომარეობაში;
ბ) ფრთხილად უნდა იყოს, რომ არ გამოვიდეს მფარველის როლში;
გ) უნდა ეცადოს, ისაუბროს პირდაპირ, ნათელი და მარტივი ტერმინებით;
დ) უნდა ეცადოს, იყოს პოზიტიური და მტკიცე, მაგრამ არა ზედმეტად თავდაჯერებული;
ე) უნდა შეინარჩუნოს პროფესიული ქცევა, ნერვიული მანერების გარეშე;
ვ) უნდა ჩაიცვას აკურატულად და სიტუაციის შესაფერისად;
ზ) უნდა მიმართოს მოსამართლეს და ნაფიც მსაჯულებს და საკმარისად ხმამაღლა იმისთვის, რომ მათ გაიგონ ნათქვამი.

კვალიფიკაციების მიღება

მოამზადეთ თქვენი ექსპერტი იმისთვის, რომ შეაჯამოს თავისი კვალიფიკაციები და განმარტოს, თუ რა კავშირია ამ კვალიფიკაციებსა და მის მიერ შესრულებულ საქმეს შორის. მოსამართლე და ნაფიცი მსაჯულები შედეგად დაინახავენ მოწმის განათლების, მომზადებისა და გამოცდილების შესაბამისობას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოწმის კვალიფიკაციამ შეიძლება დაგვანახოს მისი დადებითი მხარე, რაც მოითხოვება სამართლის უმრავლესი სისტემების მტკიცებულებითი წესებით.

თქვენი ექსპერტის პირდაპირი დაკითხვა

კვალიფიკაციის დამტკიცება

არსებობს თქვენი ექსპერტის კვალიფიკაციის დამტკიცების ორი ძირითადი სტრატეგია ტრადიციული მიდგომა და კუმულატიური მიდგომა.

ტრადიციული მიდგომა:

ტრადიციული მიდგომა ითვალისწინებს ისეთი ჩვენების წარმოდგენას, რომელიც აღწერს ყველა დიპლომს, სერტიფიკატს, ლიცენზიას, პუბლიკაციას, პროფესიულ წევრობას და საკვალიფიკაციო გამოცდილებას, რომელიც ექსპერტს ოდესმე მიუღია. თავიდანვე კვალიფიკაციების ჩამოთვლის ეს მეთოდი ყველაზე უსაფრთხოა და როგორც წესი, უნდა გამოიყენოთ თუკი ექსპერტის კვალიფიკაციის გასაჩივრების რეალური შანსი არსებობს.

როდესაც ირჩევთ ტრადიციულ სტრატეგიას ან ამას სასამართლო მოითხოვს, სასამართლოს დისკრეციაშია დაგრთოთ ნება, წაიკითხოთ ბიოგრაფია და შემდეგ უშუალოდ ექსპერტთან დააზუსტოთ არის თუ არა რელევანტური კვალიფიკაციები. ამ ტექნიკის საფრთხე იმაში მდგომარეობს, რომ ნაფიცი მსაჯულების ყურადღება შეიძლება გაიფანტოს. ნაფიცმა მსაჯულებმა შესაძლოა მარტივად დაივიწყონ კონკრეტული კვალიფიკაციები, რომლების ექსპერტის დასკვნების მთავარი საფუძველია.

პრაქტიკული მინიშნება

ექსპერტის განათლების შესახებ დეტალების წარმოდგენისას, იკითხეთ „ზუსტად ასახავს ეს თქვენ განათლებასა და კვალიფიკაციას?“, მას შემდეგ რაც მოწმე დაგეთანხმებათ, თქვენ შეგიძლიათ განაგრძოთ შემდეგი ფრაზით, „მოდით ახლა გადავიდეთ თქვენს სამუშაო გამოცდილებაზე“.

შემდეგ წაიკითხეთ ექსპერტის სამუშაო გამოცდილების აღწერა, მათ შორის ფუნქციები და მოვალეობები კონკრეტული პოზიციისთვის და დაასრულეთ შემდეგი კითხვით „ჩემს მიერ წაკითხული ნუსხა დეტალურად ასახავს თუ არა თქვენს პროფესიულ გამოცდილებას?“.

თქვენ შემდეგ შეგიძლიათ განაგრძოთ იმავე სტილში სხვადასხვა კატეგორიის გამოცდილებასთან მიმართებით, რომელსაც ეფუძნება ექსპერტის კვალიფიკაცია. თითოეული კატეგორიის წარმოდგენის შემდეგ მოწმის ჩართვა არღვევს მთელი ავტობიოგრაფიის კითხვის მონოტონურობას.

ამ მიდგომის კიდევ ერთი უპირატესობაა ის, რომ თქვენ ზრდით ექსპერტის ჩვენების ზეგავლენას იმის განსაზღვრით, რომ ექსპერტი კვალიფიცირდება კონკრეტულ საკითხებზე დასკვნის მომზადებაში.

კუმულატიური მიდგომა:

კუმულატიური მიდგომა მოიცავს ექსპერტის კვალიფიკაციების თავდაპირველ მიმოხილვას, რომელიც შემდეგ ივსება დამატებითი დეტალებით, რადგანაც ჩვენება ვითარდება ძირითად საკითხთან დაკავშირებით. მოსამართლე და ნაფიცი მსაჯულები აფასებენ ამ მიდგომას, რადგანაც ამით იზოგება დრო და ამასთან, შენარჩუნებულია ინტერესი. ავტობიოგრაფიის კითხვის მონოტონურობა შესაძლოა შემცირდეს კვალიფიკაციის სხვადასხვა კატეგორიის წაკითხვით და მოწმისგან გარკვეული ჩართვების წარმართვით.

კუმულატიური მიდგომის სტრატეგიაა თავიდან აცილებულ იქნეს გრძელი, გაწელილი გამოსვლა ექსპერტის კვალიფიკაციის დეტალებთან დაკავშირებით და ნაცვლად ამისა, ექსპერტის კონკრეტულ დასკვნასთან დაკავშირებით მტკიცებულებები იქნეს წარმოდგენილი. ეს სტრატეგია უფრო დამაჯერებელია, რადგანაც ექსპერტის კვალიფიკაცია კონკრეტულ საკითხთან მიმართებით დგინდება ამა თუ იმ საკითხზე კონკრეტული დასკვნის წარმოდგენამდე.

ექსპერტის კვალიფიკაციების ჩამოთვლა:

დროის დაზოგვის მიზნით, ადვოკატები ხშირად უბრალოდ განმარტავენ, რომ მოწინააღმდეგე ექსპერტი კვალიფიციურია. მაგრამ მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატი იშვიათად იღებს ასეთ განცხადებას, რადგანაც, რაც უფრო მეტ ინფორმაციას იღებენ ნაფიცი მსაჯულები ექსპერტის კვალიფიკაციაზე, მით მეტი წონა ეძლევა მათ ჩვენებას.

თქვენ მომზადებული უნდა იყოთ იმისთვის, რომ წინააღმდეგობა გაუწიოთ დროის დაზოგვის ამ სტრატეგიას. გთავაზობთ პასუხს, „ვაფასებ რა ადვოკატის მხრიდან ჩემი ექსპერტის აღიარებას, მე ვთვლი, რომ ნაფიცმა მსაჯულებმა მეტი უნდა გაიგონ ჩვენი ექსპერტის კვალიფიკაციაზე, რათა სათანადოდ შეაფასონ დასკვნის სანდოობა. მაგრამ ვიცი, თუ რამდენად მნიშვნელოვანია დროის დაზოგვა, მოკლედ მოგახსენებთ.“

ექსპერტის ძირითადი კვალიფიკაციის შეჯამებები შეიძლება წაუკითხოთ ნაფიც მსაჯულებს ნაცვლად ავტობიოგრაფიასთან დაკავშირებული ძირითადი კითხვებისა. თქვენ ასევე შეგიძლიათ ექსპერტის მხრიდან მოკლე ჩართვები უზრუნველყოთ მოწმის კვალიფიკაციის ყოველი კატეგორიის ჩაკითხვის შემდეგ.

მოკლედ გადმოცემა

როგორც წესი, პირდაპირი დაკითხვის საუკეთესო სტრატეგიაა საკითხზე სწრაფი გადასვლა. ექსპერტის კვალიფიკაციის დადგენის შემდეგ თქვენ უნდა განაგრძოთ კითხვებით, იმის წარმოსაჩენად, თუ რატომ მოიწვიეთ ეს ექსპერტი.

კითხვა: ექიმო სმიტ, განიხილავთ თქვენს თავს პათოლოგიის ექსპერტად?

პასუხი: დიახ, ასეა.

კითხვა: ჩვენ გვინდა თქვენი დასკვნა მოვისმინოთ ამ საქმესთან დაკავშირებით. მოგვაწვდით თქვენ დასკვნას გონივრული სამედიცინო ალბათობით?

პასუხი: რა თქმა უნდა.

კითხვა: სანამ თქვენ დასკვნაზე გადავალთ. მსურს მოკლედ გესაუბროთ თქვენი განათლებისა და მომზადების თაობაზე. თქვენ მოგვაწოდეთ თქვენი ავტობიოგრაფია, ეს ასეა?

ეცადეთ, თქვენი გამოსვლა იყოს მოკლე, ნათელი და სწრაფი, იმის გამოტოვების გარეშე, რაც შესაძლოა გამოდგეს ექსპერტის დასკვნის საფუძვლების განსამარტად. მოკლედ გადმოცემა აუცილებელია, რადგანაც თქვენმა ექსპერტმა გავლენა უნდა მოახდინოს და თქვენ არ უნდა გსურდეთ ამ გავლენის შემცირება ზედმეტი დეტალების მიწოდებით. ზედმეტობა შესაძლოა მოსაწყენი იყოს ნაფიცი მსაჯულებისთვის და წამოჭრას საკითხები, რომლებიც არ იქნება ხელმისაწვდომი ჯვარედინი დაკითხვისას. უფრო მეტიც, სხვა დეტალები, რომლებსაც ემყარება თქვენი ექსპერტის დასკვნები, უფრო შთამბეჭდავი იქნება ჯვარედინი დაკითხვისას კითხვებზე პასუხის სახით.

დასკვნასთან დაკავშირებული კითხვების კონტროლითა და ჩართვებით თქვენ ნაკლებად განაპირობებთ პროტესტს იმასთან დაკავშირებით, რომ მართავთ მოწმეს. უფრო მეტიც, მომდევნო კითხვები კითხვებისა და პასუხების ეტაპს წარმოადგენს და ნაკლებად ტოვებს რეპეტიციის შთაბეჭდილებას.

თავმდაბლობა

ექსპერტის მხრიდან მცირე თავმდაბლობა კვალიფიკაციების აღწერისას კარგად მოწმედებს ნაფიც მსაჯულებზე:

კითხვა: თქვენ სიკვდილის მიზეზების დამდგენი ექსპერტი ხართ?

პასუხი: რადგანაც ცოტა არ იყოს, ზედმეტად მიმაჩნია, ოჯდე აქ და აცხადებდე, რომ ექსპერტი ხარ, ნება მიბოძეთ განგიმარტოთ, თუ რას ვგულისხმობ ექსპერტში. ვგულისხმობ ადამიანს სპეციალური გამოცდილებითა და ცოდნით. როგორც აღვნიშნე, მედიცინის დოქტორი ვარ. სპეციალური მომზადება გავიარე საექსპერტო პათოლოგიაში და ამ სფეროში ვმუშაობ ოც წელზე მეტია. ჩავატარე ორი ათასზე მეტი ავტოფსია სიკვდილის მიზეზებისა და ფორმის დასადგენად და გამოვაქვეყნე 16 პუბლიკაცია, რომლებიც დაიბეჭდა სამეცნიერო ჟურნალებში სამი სახელმძღვანელოს დამატების სახით. ამ გაგებით ექსპერტი გახლავართ.

კითხვა: თქვენ სისხლის კომპონენტების ექსპერტი ხართ?

პასუხი:რადგანაც ცოტა არ იყოს ზედმეტად მიმაჩნია ვჯდე აქ და აცხადებდე, რომ ექსპერტი ხარ, ნება მიბოძეთ გითხრათ, თუ რას ვგულისხმობ ექსპერტში. მე ვგულისხმობ ადამიანს სპეციალური გამოცდილებითა და ცოდნით.

როგორც აღვნიშნე, ვმონაწილეობდი კლინიკურ განხილვებში, რასაც მოჰყვა მთავრობის მხრიდან სისხლის კომპონენტების დამტკიცება. ამ თვალსაზრისით მე ექსპერტი ვარ.

თუ თქვენ საუბრობთ ადამიანზე, ვინც მუშაობს ლაბორატორიაში და საცდელ ჭურჭელთან აქვს საქმე, მე ნამდვილად არ გახლავართ ეს ადამიანი.

ნაფიცი მსაჯულების განათლება

ექსპერტის ერთ-ერთი უდიდესი წვლილი ნაფიცი მსაჯულების ინფორმირებაში მდგომარეობს. რაც უფრო მეტი კონკრეტიკა შეაქვს ექსპერტს საკითხთან მიმართებით, მით უფრო დამაჯერებელი ხდება ის:

კითხვა: ხომ ვერ განუმარტავდით ნაფიც მსაჯულებს: რა არის პათოლოგია?

პასუხი: პათოლოგია დაავადების კვლევაა. ის, როგორც წესი, ორ ვრცელ კატეგორიად იყოფა. ანატომიური პათოლოგია, რომელიც მოიცავს ავტოფსიის პათოლოგიასა და ქირურგიულ პათოლოგიას. და ასევე ციტოპათოლოგია, რომელიც უჯრედის დეტალებს შეისწავლის.

კითხვა: შესაძლებელია, ბატონო ჰოლდერსი, კორონალური არტერიის სლაიდების ხილვა?

პასუხი: დიახ.

კითხვა: გვაქვს სასამართლო დარბაზში მიკროსკოპი?

პასუხ: დიახ, გვაქვს.

კითხვა: განგვიმარტეთ, რას ვხედავთ ამ სლაიდებზე.

კომპლექსური საკითხის განხილვისას ანალოგიები საგანმანათლებლო პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია. .

კითხვა: აღწერეთ რისგან შედგება სისხლის კოლტი.

პასუხი:კოლტის ორი ძირითადი კომპონენტი არსებობს. ტრომბოციტები ინდივიდუალური შემადგენელი ნაწილებია და შეიძლება აღიწეროს როგორც აგურები,რომლითაც კედელი შენდება . სისხლის კოლტის თხევადი ნაწილი, რომელიც შედგება ქიმიური ნივთიერებებისგან, ბადისგან. ეს იქნება, როგორც აგურების დულაბია. ის თავდაპირველად სითხეა, მაგრამ შემდეგ მყარდება და ქმნის დულაბს, რომელსაც ფიბრინი ეწოდება.

კითხვა: შეგიძიათ განუმარტოთ ნაფიც მსაჯულებს, რა არის საექსპერტო პათოლოგია?

პასუხი: საექსპერტო პათოლოგია პათოლოგიის ერთ-ერთი მიმართულებაა, რომელიც სიკვდილის გამომწვევ მიზეზებს იკვლევს გვამების შესწავლით. ავტოფსიას ატარებს ექსპერტ-პათოლოგი სახელმწიფოს ან ოჯახის მოთხოვნით, როგორც წესი, სისხლის სამართლის საქმეებზე და ზოგიერთ სამართლებრივ სისტემებში სამოქალაქო სამართლის საქმეებზეც. ექსპერტ-პათოლოგებს სთხოვენ ასევე გვამის იდენტიფიცირებას.

სიტყვა საექსპერტო (forensics) მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან forensis, რაც ფორუმს ნიშნავს.

კითხვა: რა არის საექსპერტო პათოლოგი?

პასუხი: ექსპერტ-პათოლოგი მედიცინის დოქტორია, რომელმაც მომზადება გაიარა ანატომიურ პათოლოგიაში და დასპეციალიზდა საექსპერტო პათოლოგიაში. „სრულად კვალიფიციური“ ექსპერტ-პათოლოგისთვის არსებული მოთხოვნები განსხვავდება ქვეყნების მიხედვით.

ექსპერტ-პათოლოგი, როგორც წესი, ატარებს ავტოპსიას/სიკვდილის შემდგომ გამოკვლევას სიკვდილის მიზეზების დასადგენად. ავტოპსიის შესახებ ანგარიში მოიცავს დასკვნებს შემდეგ საკითხებზე:

პათოლოგიური პროცესი, დაზიანება ან დაავადება, რომელიც პირდაპირ იწვევს ან პროვოცირებას უწევს მთელ რიგ მოვლენებს, რაც თავის მხრივ სიკვდილს განაპირობებს (ასევე სიკვდილის მექანიზმად წოდებული), როგორიცაა ტყვიით მიყენებული ჭრილობა თავში, სისხლდენა დარტყმითი ჭრილობის შედეგად, კორონარული არტერიის ავადმყოფობით გამოწვეული მიოკარდიული ინფარქტი და სხვა).

„სიკვდილის ფორმა, სიკვდილთან დაკავშირებული გარემოებები, სამართლებრივ სისტემათა უმრავლესობაში შემდეგია: “

- მკვლელობა
- სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით
- ბუნებრივი სიკვდილი
- თვითმკვლელობა
- აფეთქება

ავტოპსია ასევე სიკვდილით გამოწვეული სხვა საკითხების გარკვევის საშუალებაა, როგორიცაა კვალის მტკიცებულებების შეგროვება ან დაავადებულის იდენტობის დადგენა.

იკვლევს და დოკუმენტურად აფიქსირებს ჭრილობებსა და დაზიანებებს, ავტოფსიისას და კლინიკურ პირობებში გამოკვლევისას.

აგროვებს და მიკროსკოპიულად იკვლევს ქსოვილის ნიმუშებს (ჰისტოლოგია) ბუნებრივი დაავადების არსებობს ან არარსებობის დასადგენად და სხვა მიკროსკოპიული აღმოჩენებისთვის, როგორიცაა აზბესტური სხეულები ფილტვებში ან ასაფეთქებელი ნივთიერების კვალი ცეცხლსაროლი იარაღით მიყენებული ჭრილობის ირგვლივ.

აგროვებს და განმარტავს სხეულის ქსოვილებისა და ფლუიდების ტოქსიკოლოგიურ ანალიზს შემთხვევით დოზის გადამეტების ან განზრახი მოწამვლის ქიმიური მიზეზების დასადგენად.

ექსპერტ-პათოლოგისტები ასევე მჭიდროდ თანამშრომლობენ სამედიცინო-სამართლებრივ ორგანოებთან უცაბედი და მოულოდნელი სიკვდილის გარემოებების გამოძიებასთან დაკავშირებით, მაგალითად, გამომძებელი/კორონერი (ინგლისი და უელსი), პროკურატორ ფისკალი/სახელმწიფო ბრალმდებელი (შოტლანდია) ან კორონერი, ან სამედიცინო ექსპერტი (შეერთებული შტატები).

გამოდის მოწმედ სასამართლოში სამოქალაქო და სისხლის საქმეებზე ჩვენების მისაცემად, რასაც მე ვასრულებ ამჟამად.

ექსპერტის დასკვნა

დაბოლოს, ექსპერტის დასკვნის მთავარ ნაწილს შევეხებით. თქვენ, პირველ ყოვლისა, უნდა ჰკითხო ექსპერტს, აქვს თუ არა მას დასკვნა და თუ დადებითად გიპასუხებთ, თქვენ უნდა ჰკითხოთ დასკვნის შინაარსი:

კითხვა: თქვენ მომზადებაზე, გამოცდილებაზე, კვლევაზე და ამ საქმესთან დაკავშირებით მიმოხილვის ჩანაწერებზე დაყრდნობით გაქვთ თუ არა დასკვნა დაზარალებულის სიკვდილის მიზეზთან, აკავშირებით?

პასუხი: დიახ, მაქვს.

კითხვა: რა დასკვნა გაქვთ?

პასუხი: გონივრული სამედიცინო ვარაუდის ფარგლებში ვფიქრობ, რომ ის გარდაიცვალა ვენტრიკულარული ფიბრილაციით. ეს რითმი ჩანდა კარდიოგრამაზე, რაც გამოწვეული იყო მისი კორონალური არტერიის მძიმე დაავადებით, ეს კარგად არის აღწერილი პათოლოგიაში. მას აღენიშნებოდა მძიმე კორონალური ათეროსკლეროზი ორ არტერიაში, მათ შორის სასიცოცხლო არტერიაში. მას, სავარაუდოდ, ჰქონდა გამოკვეთილი იშემია, რომელიც ავტოფსიისას ფიბროზით დადასტურდა და ამ იშემიამ გამოიწვია სიცოცხლისათვის საშიში არითმია.

კითხვა: გინახავთ თუ არა თქვენი კარიერის განმავლობაში ამგვარი სიკვდილის მაგალითები?

პასუხი:ფაქტობრივად ყოველთვის ამას ვხედავ. სამწუხაროდ, ჩვენ ამას ვხვდებით იმ ადამიანებში, რომლებმაც იციან, რომ აქვთ მძიმე კორონალური დაავადება და მათ ემართებათ იშემია და იღუპებიან. და ჩვენ ამას ვხვდებით პაციენტებში მოულოდნელი მძიმე ათეროსკლეროზით.

ექსპერტი ეყრდნობა ფაქტებსა და მონაცემებს, რომლებიც მისთვის ხელმისაწვდომი გახდა სასამართლო განხილვამდე. უფრო მეტიც, ექსპერტი შეიძლება დაეყრდნოს დაუშვებელ ფაქტებს ან მონაცემებს, იმის გათვალისწინებით, რომ ისინი გონივრულად გასათვალისწინებელია და დასაყრდნობი დასკვნების მომზადებისას და ექსპერტის მხრიდან ამ სფეროში ჩარევისას.

თუმცა კანონი ძალა სცილდება დოკუმენტური მტკიცებულების ფარგლებს. ის საშუალებას აძლევს ექსპერტს თავიანთი დასკვნები დაამყარონ, მაგალითად, აღუნუსხავი ექსპერიმენტების შედეგებს, რომელთა შესახებაც მათ გაიგეს სხვა ექსპერტებთან საკითხის განხილვისას. სასამართლოები ფართო დისკრეციას იტოვებენ ამ სფეროში, მაგრამ ისინი ხშირად განსხვავდება ექსპერტის გადაწყვეტილებისგან წყაროს სანდოობის შესახებ, რომელზეც ისინი თავიანთ დასკვნებს აფუძნებენ.

ამ წესის თანახმად, სასამართლოს გარეთ გაკეთებული განცხადებები, რომლებიც გამოირიცხა როგორც ჭორი, შესაძლოა მტკიცებულებად იქნეს დაშვებული ექსპერტის დასკვნის საფუძვლის დემონსტრირების მიზნით. ფაქტებისა და მონაცემების ფარგლების გაფართოების ტენდენციამ, რასაც ექსპერტები ეყრდნობიან, შეამცირა მრავალი ტექნიკური საჩივარი სასამართლო განხილვისას.

თქვენ უფრო მარტივად შეგიძლიათ განამტკიცოთ თქვენი ექსპერტის დასკვნა გამოქვეყნებული და პრივატულად გავრცელებული დოკუმენტური მტკიცებულებების წარმოდგენით, იმ პირობით, რომ თქვენი ექსპერტის დასკვნას იზიარებენ ამ სფეროს გამორჩეული სპეციალისტები. ამ წესის თანახმად (და აღნიშნული გამონაკლისე-

ბით ცნობილ ტრაქტატებზე), ექსპერტმა უნდა მოიძიოს ტექნიკური ლიტერატურა ჩვენებისთვის მტკიცებულებების შესათანხმებლად.

რა განიხილა ექსპერტმა

პირდაპირი დაკითხვისას მნიშვნელოვანია ინფორმაციის ყველა იმ წყაროს შეჯამება, რომლებიც თქვენმა ექსპერტმა განიხილა დასკვნის გამოტანამდე. მნიშვნელოვანია დარწმუნდეთ, რომ თქვენ ექსპერტს ყველა ხელმისაწვდომი ჩანაწერი გადაეცით და არც ერთი არ დარჩენილა გადადებული ან დამალული. ეს ასევე მიუთითებს იმაზე, რომ ექსპერტი კეთილსინდისიერია და დასკვნამდე ხანგრძლივი განხილვისა და ძალისხმევის შედეგად მივიდა:

კითხვა: მოდით, ახლა ვისაუბროთ იმ კონკრეტულ მასალებზე, რაც თქვენ განიხილეთ ამ საქმესთან დაკავშირებით. ყველა ჩანაწერს გაეცანით, რაც ხელმისაწვდომი იყო მსხვერპლთან მიმართებაში?

პასუხი: ყველა იმ ჩანაწერს გავეცანი, რაც გადმომეცა. ვფიქრობ, რომ ყველა ხელმისაწვდომი მასალა გადმომეცა.

კითხვა: გადახედეთ ავტოფსიის დასკვნას?

პასუხი: დიახ.

კითხვა: გადახედეთ სამედიცინო კვლევის სამსახურის ჩანაწერებს?

პასუხი: დიახ.

კითხვა: გადახედეთ კარდიოგრამას?

პასუხი: დიახ.

კითხვა: გადახედეთ პოლიციისა და გამომძებლის ჩანაწერებს?

პასუხი: დიახ.

კითხვა: გადახედეთ მსხვერპლის სამედიცინო ანკეტას?

პასუხი: დიახ.

კითხვა: გადახედეთ ექიმ მედეა მათიაშვილის ჩვენებას?

პასუხი: დიახ.

კითხვა: გადახედეთ ექიმ გიორგი მდივანის ჩვენებას?

პასუხი: დიახ.

კითხვა:ხელმისაწვდომი ჩანაწერების საფუძველზე გვითხარი, თუ შეიძლება, მსხვერპლისა და მისი სამედიცინო ისტორიის შესახებ.

ჰიპოთეტური კითხვების დასმა

თქვენ შეიძლება გსურდეთ, რომ ექსპერტმა თავისი დასკვნა დაამყაროს ან პირად ცოდნაზე, ან ჰიპოთეტურ კითხვებში ასახულ ფაქტებზე. ამ იურისდიქციაში ზოგადი წესი იმაში მდგომარეობს, რომ უნდა არსებობდეს საკმარისი ფაქტები, უკვე ასახული მტკიცებულებაში ან მოწმის მიერ გამჟღავნებული, მისი დაკითხვის შედეგად მიხვედრებითა და გაანალიზებით.

ჰიპოთეტური კითხვები ტაქტიკურად მნიშვნელოვანია სასამართლო განხილვისთვის, იმ იურისდიქციაშიც (როგორიც ფედერალური სასამართლოებია), სადაც ეს უკვე აღარ მოითხოვება. ჰიპოთეტური კითხვები შესაძლებლობას იძლევა ეფექტურად შეჯამდეს და ნაფიც მსაჯულებს წარედგინოს ფაქტები, რომლებიც თქვენს პოზიციას უჭერს მხარს. ზოგადად, აუცილებელია, რომ არსებობს საკმარისი ფაქტები იმ მტ-

კიცებულებებში, რომლებიც ამყარებს ვარაუდებს და მათ ემყარება ჰიპოთეტური კითხვები. ჰიპოთეტური კითხვა არ უნდა მოიცავდეს ისეთ ფაქტს, რომელიც არ არის მტკიცებულებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დასაბუთებული გარანტია არსებობს იმისა, რომ ეს ფაქტები წარმოდგენილი იქნება მოგვიანებით, შემდგომ სტადიებზე.

ფაქტები, რომლებიც ჰიპოთეტურად არის ნავარაუდევი, არ არის უდავო. თქვენთვის დასაშვებია ივარაუდოთ ფაქტების მდგომარეობა, რომლებიც თქვენ გამართლებულად მიგაჩნიათ მტკიცებულების დონეზე და რომელიც მოწმეს საშუალებას აძლევს მოამზადოს დასაბუთებული პასუხი.

ჰიპოთეტური კითხვები ყოველთვის სასამართლო განხილვამდე უნდა მომზადდეს, მანამდე აღმოჩენილ ფაქტებზე დაყრდნობით. ეს ფაქტები შეიძლება შეივსოს სასამართლო განხილვისას, თუ დამატებითი მტკიცებულებები და დაშვებები გაამყარებს. თქვენ უნდა გქონდეთ ჰიპოთეტური სიტუაციების ანალოგები, იმისათვის, რომ მოსამართლემ მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატმა და თქვენმა მოწმე ექსპერტმა შეძლოს მიდევნება, როდესაც თქვენ გაახმოვანებთ ჰიპოთეტურ ფაქტებს.

მას შემდეგ, რაც მოწმე დაეთანხმება ჰიპოთეტურ კითხვებზე პასუხის გაცემას, თქვენ უნდა აღწეროთ მოვლენების განვითარება ნათელი და ლოგიკური გზით, მყარი ფაქტობრივი მტკიცებულებებით. გასაჩივრებისა და შეწყვეტის თავიდან ასარიდებლად თქვენ დოკუმენტურად უნდა დაამტკიცოთ თითოეული ფაქტი, მაგალითად, მიუთითოთ წერილობითი ჩვენების კონკრეტული გვერდი.

ყოველთვის როცა კი თქვენ სთხოვთ ექსპერტს კონკრეტული ფაქტის განხილვას, რომელიც კონკრეტული დოკუმენტით დასტურდება, ის უნდა გამოქვეყნდეს და მოხსენიებულ იქნეს შესაბამისი თვალსაჩინოების ნომერზე მითითებით. თუკი ფაქტი წერილობითი ჩვენებიდან არის, მიუთითეთ ჩვენების მიმცემის სახელი, ჩვენების მიცემის თარიღი და წერილობითი ჩანაწერის შესაბამისი გვერდი. ეს უზრუნველყოფს მტკიცებულებით საფუძველს თითოეული ფაქტისთვის, რომელსაც დაემყარება ექსპერტის დასკვნა, ნაფიცი მსაჯულებისთვის უკვე წარდგენილი მტკიცებულებების შეხსენებისას.

ვარაუდები, რასაც ჰიპოთეტური კითხვები ემყარება, უფრო მეტად დამაჯერებელი იქნება, თუ სადავო ფაქტები აღრეულია არასადაო ფაქტებთან. ყოველთვის არის არასადავო ფაქტები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ჰიპოთეტური კითხვების ფორმულირებისას. სადავო და არასადავო ფაქტების აღრევის მიზანია ის, რომ ნაფიცი მსაჯულები გადაიხარონ იმისკენ, რომ მიიღონ თქვენი ინტერპრეტაცია სადავო ფაქტებთან დაკავშირებით, როდესაც ხედავენ თუ როგორ ესადაგება ეს ფაქტები უდავო ფაქტებს.

დასკვნის მიღება შემაჯამებელ საკითხზე

პირდაპირი დაკითხვისას თქვენ შეიძლება მოწმეს შემდეგი კითხვა დაუსვათ: „იმ ფაქტის გათვალისწინებით, რაც ახლა მე თქვენ აგიწერეთ და თქვენი ექსპერტული გამოცდილების საფუძველზე, გაქვთ თუ არა დასკვნა დასაბუთებული მეცნიერული ვარაუდით, რომ ამ პროდუქტის დიზაინმა განაპირობა მომჩივანისათვის ზიანი მიეყენებინა?“ როდესაც თქვენი ექსპერტი დადებით პასუხს გაგცემთ, თქვენ უნდა ჰკითხოთ, „რაში მდგომარეობს თქვენი დასკვნა?“ და შემდეგ, რა თქმა უნდა, მოითხოვოთ ამ დასკვნის მხარდამჭერი მიზეზების განმარტება.

წინა ჩვენებების გამოყენება

იმის აღნიშვნა, რომ ექსპერტს ჩვენება ორივე მხარისთვის მიუცია, საუკეთესო გზაა მიკერძოების ეჭვის შესამცირებლად:

კითხვა: მიგიციათ ჩვენება დაცვის მხარეს სისხლის სამართლის საქმეებზე?

პასუხი: დიახ, მიმიცია.

კითხვა: მიგიციათ ჩვენება სახელმწიფოს მხარეს სისხლის სამართლის საქმეზე?

პასუხი: დიახ, მიმიცია, მე ხშირად მიწვევენ ეროვნული საექსპერტო ბიუროს კონსულტანტად. .

თუკი გაქვთ მოლოდინი, რომ მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატი მიუთითებს თქვენი ექსპერტის მიერ დაცვის ან მომჩივანის მხარეს მოწმედ გამოსვლის რაოდენობაზე, უნდა მოახერხოთ ამ მითითების თქვენს სასარგებლოდ გამოყენება ექსპერტის კვალიფიკაციაზე მითითებით. მაგალითად, შეგიძლიათ თქვათ, რომ „თქვენი მრავალი გამოძიებისა და შეფასების საფუძველზე, გიწვევდნენ თუ არა მთელი ქვეყნის მასშტაბით დასკვნების მოსამზადებლად?“.

ასევე საუკეთესო იქნება, თუ დაადგენთ, რომ ექსპერტის კონსულტაციის საზღაური ერთი და იგივეა, მიუხედავად იმისა, ის მოიწვია მომჩივანმა თუ დაცვის მხარემ.

ერთი სტრატეგია, რომელმაც უნდა გააქარწყლოს დაცვის მხარის მცდელობა, დაახასიათონ მომჩივანი მხარე როგორც „დაქირავებული იარაღი“, არის იმ ჩვენების მოპოვება, რომელიც განსაზღვრავს ექსპერტის ასოციაციებს ადვოკატთან ან მწარმოებელთან. იშვიათად ხდება ისე, რომ კვალიფიციურ ექსპერტს არ ჰქონდეს ასოციაციები დაცვის ადვოკატთან ან მწარმოებელთან. ექსპერტთა უმრავლესობას ექნება მცირე გამოცდილება მაინც პროფესიული ჯგუფების წინაშე ლექციების წაკითხვისა, მათ შორის მწარმოებელთა წინაშე და ყველაზე პოპულარული ნაშრომები ქვეყნდება ბიზნეს საზოგადოების პოპულარულ ჟურნალებში.

მაშინაც კი, თუ ექსპერტს მხოლოდ ერთ მხარის ექსპერტად პროცესში მონაწილეობის გამოცდილება აქვს, მას აუცილებლად დაუკავშირდებიან მეორე მხარის წარმომადგენლები. ასეთი ინფორმაციის თქვენს სასარგებლოდ გამოსაყენებლად თქვენ უნდა ჰკითხოთ ექსპერტს, დაუკავშირდა თუ არა მას მომჩივანი მხარის წარმომადგენელი. შემდეგ თქვენ შეგიძიათ ჰკითხოთ, „მას შემდეგ, რაც თქვენ გადაეცით მათ თქვენი დასკვნა და ანალიზი, დაგიკავშირდნენ ისინი როგორც ექსპერტს?“. როდესაც მოწმე პასუხობს არას, ნაფიცი მსაჯულებისთვის ეს გზავნილია იმის თაობაზე, რომ ადვოკატებს არ მოსწონთ ექსპერტის დასკვნა, მიუხედავად იმისა, რომ აღიარებენ მის ექსპერტიზას.

მოწინააღმდეგე მხარის ექსპერტის მოსაზრების გაკრიტიკება

თქვენ უნდა აჩვენოთ, რომ თქვენი ექსპერტი მოწინააღმდეგის ექსპერტზე კვალიფიციურია. ეს შესაძლოა ტაქტიანად განხორციელდეს:

კითხვა: შეგიძლიათ ნაფიც მსაჯულებს განუმარტოთ, რით განსხვავდება თქვენი კვალიფიკაცია და გამოცდილება ექიმი აბაშიძისაგან.

პასუხი: ექიმი აბაშიძე ეროვნული საექსპერტო ბიუროს თანამშრომელია სრულ სტაჟზე. ის მთელ თავის დროს სათავო ოფისში ატარებს. ის ექსპერტ-პათოლოგია მხოლოდ ხუთი წელია.

მე გახლავართ ექსპერტ-პათოლოგი უკვე ოცი წელია, ვასწავლი თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტში და ვახორციელებ ავტოფსიას ბევრ საქმეზე, სახელმწიფო ორგანოების და კერძო პირების დაკვეთით ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან და ყველაზე რთულ შემთხვევებში.

კითხვა: აქ წარმოდგენილი იყო ექიმი აბაშიძის ჩვენება იმის თაობაზე, რომ მსხვერპლის სიკვდილის მიზეზი დახრჩობა იყო.

პასუხი: არ მაქვს ვინმეს მიმართ უპატივცემულობის გამოხატვის განზრახვა, მაგრამ ეს გაუაზრებელი დასკვნაა რამდენიმე მიზეზის გამო.

კითხვა: განაგრძეთ და აგვიხსენით.

მოწინააღმდეგე მხარის მტკიცებულების გაკრიტიკება

მოწმის მიერ იმის შეჯამება, თუ რა მარცხი განიცადა მოწინააღმდეგე მხარემ შესაბამისი მტკიცებულების წარმოდგენისას, შესაძლოა წამგებიანი იყოს:

კითხვა: დახრჩობით სიკვდილი არის თუ არა ის, რასაც თქვენ ვარაუდობთ, თუ თქვენ გჭირდებათ ამის მტკიცებულება?

პასუხი: დახრჩობის სიკვდილის დიაგნოზი არ არის გამორიცხვის დიაგნოზი. თქვენ უნდა გქონდეთ მტკიცებულება.

კითხვა: მოდით ვნახოთ, წარმოადგინა თუ არა დაცვის მხარემ მსგავსი მტკიცებულება. დავიწყოთ კლინიკურით. წარმოადგინა თუ არა ბრალდებამ საკმარისი მტკიცებულება იმის დასამტკიცებლად, რომ მსხვერპლი გარდაიცვალა დახრჩობის შედეგად?

პასუხი: არა.

კითხვა: წარმოადგინეს თუ არა მათ იმის მტკიცებულება, რომ კისერზე აღინიშნებოდა დაზიანებები, ნაკაწრები, გადაყვლეფილი და ნაჭდევები, რომელიც შესაძლოა გამოწვეული იყოს მსხვერპლის ფრჩხილებით თავდაცვითი მანევრის შედეგად, ან როგორც მსხვერპლისა და თავდამსხმელის ფრჩხილებით გამოწვეული დაზიანება.

პასუხი: რას იტყვით, დაზიანებებიდან შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ თავდამსხმელი სარგებლობდა ერთი ან ორივე ხელით, ახრჩობდა თუ არა ის მსხვერპლს უკნიდან ან წინიდან, ფრჩხილების კანში ჩაჭრის შედეგად გაჩენილი ჭრილობები მძიმის თუ ნახევარ-რკალის ფორმისაა?

პასუხი: არა..

კითხვა: თქვენ გამორიცხავთ სხვა დაზიანებების აღმოჩენას?

პასუხი: ნიკაპის დაზიანებები დამახასიათებელია ხელით დახრჩობილთათვის. მსხვერპლი ინსტინქტურად თავს დაბლა ხრის ყელის დასაცავად და ამ დროს იზიანებს ნიკაპს თავდამსხელის ხელზე.

კითხვა: დაზიანებები სახეზეა?

პასუხი: არა.

კითხვა: განვიხილოთ პათოლოგია. რა მტკიცებულება შეგიძლიათ წარმოგვიდგინოთ იმაზე დამატებით, რაც უკვე წარმოგვიდგინეთ?

პასუხი: მცირე ზომის წითელი ლაქები (პეტეკჰიაე)დამახასიათებელია მრავალი შემთხვევისთვის. ისინი გამოწვეულია კაპილარების გაწყვეტით – უმცირესი სისხლძარღვები სხეულში. ისინი აღინიშნება თვალების ირგვლივ, ქუთუთოებთან, სახეზე და კისერზე, მოჭერის ადგილის ირგვლივ. ჩაწითლებული თვალები გამოწვეულია თვალის თეთრ გარსში კაპილარების გაწყვეტით. ეს მოვლენა მიუთითებს მსხვერპლსა და თავდამსხმელს შორის ფიზიკურ ბრძოლაზე.

კითხვა: მსხვერპლს აღენიშნებოდა მცირე ზომის ლაქები?

პასუხი: არა.

კითხვა: კიდევ რა შეიძლება იყოს?

პასუხი: ხშირად აღინიშნება სასუნთქი გზების ფიზიკური დაზიანება.

კითხვა: რა მდგომარეობაში ჰქონდა მსხვერპლს სასუნთქი გზები?

კითხვა: მთელი და დაუზიანებელი იყო.

პასუხი: დახრჩობის მიკროსკოპიული მტკიცებულება ხომ არ არსებობს?

კითხვა: არა.

პასუხი: არსებობს რაიმე კლინიკური მტკიცებულება იმისა, რომ მსხვერპლი დაახრჩვეს? არსებობს რაიმე პათოლოგიური მტკიცებულება იმისა, რომ მსხვერპლი დაახრჩვეს?

კითხვა: პასუხი: არა.

შესწავლილი სამეცნიერო ნაშრომები

შესწავლილი სამეცნიერო ნაშრომების არსებითი დაშვებისთვის, ფორმალური შეთავაზება აუცილებელია. ექსპერტისთვის ტექსტის ნაწილების წაკითხვა არ განაპირობებს სამეცნიერო ნაშრომის დაშვებას წარმოდგენილი მასალის ნამდვილობის დასადასტურებლად.

პირველ ყოვლისა, პრეზენტატორმა უნდა დაადგინოს, რომ სამეცნიერო ნაშრომი ან სტატია „სარწმუნო ავტორიტეტია“. მეორეც, სამეცნიერო ნაშრომი ან სტატია უნდა გამოიყენოს ჩვენების მიმცემმა ექსპერტმა პირდაპირი დაკითხვის დროს ჩვენების მიცემისას. და მესამე, შესაბამისი განცხადებები, როდესაც დასაშვებად მიიჩნევა, შეიძლება გამოქვეყნდეს როგორც მტკიცებულება, მაგრამ არა როგორც თვალსაჩინოება.

სადემონსტრაციო მტკიცებულება

ექსპერტის ყველაზე ეფექტიანი ჩვენება მოიცავს ე.წ. სადემონსტრაციო მტკიცებულებებს, რომლებიც აღვივებს ნაფიცი მსაჯულების ინტერესს და უფრო მყარად აფიქსირებს ექსპერტის მიერ წარმოდგენილ დასკვნას მათ მეხსიერებაში.

კითხვა: მოიტანეთ ფოტოები, რომლებიც დაგვიდასტურებს, თუ რა დაინახეთ მსხვერპლის სხეულზე, რომელიც დაახრჩვეს?

პასუხი: დიახ, მოვიტანე ფოტო, რომელიც ადასტურებს დახრჩობის ფაქტს მსხვერპლის სხეულზე, რომელსაც ავტოფსია ჩავუტარე.

კითხვა:მაშინ განგვიმარტეთ, თუ რას ვხედავთ ახლა ჩვენ.

პასუხი: ეს არის მცირე ზომის წითელი ლაქები, რომლებიც მრავალ შემთხვევაშია დამახასიათებელი. ეს ლაქები კისერზე მიუთითებს ადგილებზე, სადაც კანი მოჭყლიტეს. შემდეგ ფოტოზე აღბეჭდილია ნიკაპის დაზიანება. მესამე ფოტოზე აღბეჭდილია დაზიანებები, რომლებზეც მე განვმარტე, რომ მოსალოდნელი იყო. მეოთხე ფოტოზე იხილავთ მსხვერპლის დაზიანებულ ტრაქეას. აქ არის ასევე ღია არტერია.

მტკიცებულების შეჯამება

ნაფიც მსაჯულებს მოსწონთ შეჯამებები და ექსპერტები მზად უნდა იყვნენ მათ ნათლად და ზუსტად წარმოსადგენად:

კითხვა: ხომ ვერ განგვიმარტავთ, მსხვერპლის სიკვდილის მიზეზებთან დაკა-

ვშირებით, რას გვიჩვენებს თქვენ მიერ მიმოხილული მტკიცებულებები, ფოტოები, ექიმი აბაშიძის მიერ ჩატარებული ავტოპსიის ანგარიში?

პასუხი: როგორც უკვე შევაჯამე, თუკი სიკვდილის მიზეზი დახრჩობა იყო, მოსალოდნელი იქნებოდა მცირე ზომის წითელი ლაქები, რომლებიც მრავალი შემთხვევისთვის არის დამახასიათებელი. ისინი გამოწვეულია კაპილარების გაწყვეტით – უმცირესი სისხლძარღვები სხეულში. ისინი აღინიშნება თვალების ირგვლივ, ქუთუთოებთან, სახესა და კისერზე, მოჭერის ადგილის ირგვლივ. ჩაწითლებული თვალები გამოწვეულია თვალის თეთრ გარსში კაპილარების გაწყვეტით. მე ასევე არ შემინიშნავს ხილვადი დაზიანებები კისერზე; არც ნაჭდევები, ნაკაწრები და გადახეხილი კანი, რომელიც შესაძლოა თავდაცვის შედეგად მსხვერპლის ფრჩხილებით იყოს გამოწვეული, ან როგორც მსხვერპლისა და თავდამსხმელის ჭდილის შედეგად გამოწვეული დაზიანებები, ან დაზიანებები, რომლებიც გაჩდა ფრჩხილით კანის დაზიანების შედეგად, ნაჭდევები კანზე, რომლებსაც აქვს მძიმის ან ნახევარ-რკალის ფორმა.

ასევე არ აღინიშნებოდა ნაკაწრები, რომლებიც, როგორც წესი, საეჭვოა და გრძელი, ასევე შეიძლება იყოს ვიწრო ან ფრჩხილის სივანის. კისერზე არც სიწითლე აღინიშნებოდა.

ნიკაპის დაზიანებებიც ასევე გავრცელებულია ხელით დახრჩობილთა შემთხვევაში, რადგანაც მსხვერპლი ინსტინქტურად ცდილობს ნიკაპის დახრით კისერის დაცვას და ამ დროს იზიანებს მას თავდამსხმელის ხელზე.

კითხვა: მაშინ რა იყოს მსხვერპლის სიკვდილის მიზეზი?

პასუხი: ეს არ იყო დახრჩობა, ეს იყო გულის შეტევა.

კითხვა: ხომ არ წარმოგვიდგენთ ფაქტებს, რომლებზეც თქვენს დასკვნას აფუძნებთ?

პასუხი: როგორც უკვე შევაჯამე, გულის შეტევა შეიძლება დადასტურდეს ორი გზით – კლინიკური და პათოლოგიური დიაგნოზით. შესაბამისად განვიხილოთ თითოეული.

აღინიშნებოდა გულის შეტევის სიმპტომები – გულმკერდის არეში ტკივილი, მარცხენა მკლავის ტკივილი, ნიკაპის გაშეშება? ექიმი აბაშიძის მიერ ჩატარებული ავტოფსიის ანგარიშის, მტკიცებულებების, ფოტოების დაკვირვებით და ასევე ჩემ მიერ ჩატარებული ავტოფსიის შედეგებიდან ჩანს, რომ სახეზეა მრავალი მტკიცებულება, რომელსაც ადასტურებს მიოკარდიულ ინფარქტს. კარდიოგრამაც მიოკარდიულ ინფარქტზე მიუთითებდა. მსხვერპლს აღენიშნებოდა ვენტრიკულარული ფიბრილაცია, ჩვენ გვქონდა მტკიცებულება რიტმისა, რომელიც მიუთითებდა შთ სეგმენტის დეპრესიას, შთ სეგმენტის გააქტიურებას და თ-ტალღების გააქტიურებას ტალღებთან ერთად, ასევე კარდიოგრამის შედეგად გულის შეტევის სხვა მტკიცებულებებს. და ფერმენტი? ეს მიუთითებდა გულის კუნთის დაზიანებაზე, შესაბამისად, გვქონდა ფერმენტი სისხლში, რაც ასევე გულის შეტევაზე მიუთითებდა. რაც შეეხება პათოლოგიას, მე თვალის მნიშვნელოვანი ცვლილებები დავაფიქსირე. არსებობს მიკროსკოპიული მტკიცებულება? დიახ. პირველი მიკროსკოპიული მტკიცებულება ვლინდება მიოკარდიული ინფარქტიდან ექვს საათში. ის დაფიქსირდა. არსებობდა მტკიცებულება, რომ გულის კუნთი მთლიანად გაითიშა პაციენტის სრულ სიკვდილამდე.

კომპენსაცია

თქვენ ექსპერტს არ უნდა ეუხერხულებოდეს ის, რომ მან გასამრჯელო მიიღო მომსახურებისთვის:

კითხვა: თქვენ აგინაზღაურეს ის სამუშაო, რაც ამ საქმესთან დაკავშირებით შეასრულეთ?

პასუხი: რა თქმა უნდა.

გადამისამართება

თუკი მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატი აწყვეტინებს თქვენს ექსპერტს მნიშვნელოვან განმარტებას, ექსპერტმა უნდა აღნიშნოს, რომ მას ჯერ არ დაუსრულებია პასუხი და თქვენ შეძლებთ, სთხოვოთ მას, რომ განავრცოს თავისი პასუხი განმეორებითი პირდაპირი დაკითხვისას.

ექსპერტი მოწმის ჯვარედინი დაკითხვა

ექსპერტი მოწმის ჩვენების სქემაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჯვარედინ დაკითხვას ექსპერტის დასკვნის საფუძვლად აღებული ფაქტებისა და ვარაუდების გამოსაკვლევად.

ამერიკის შეერთებული შტატების ცნობილმა და თვალსაჩინო ადვოკატმა გერი სპენსმა ერთი მნიშვნელოვანი განცხადება გააკეთა ექსპერტების ჯვარედინი დაკითხვის რისკთან დაკავშირებით:

> „საქმესთან დაკავშირებული ფაქტებითა და მეცნიერებით მდიდარ გონებაზე უფრო მეტი სიმდიდრე არ არსებობს. მაგრამ მე ექსპერტს გალიაში გამომწყვდეულ ლომს შევადარებ. ჩვენ შგვიძლია შევიდეთ ამ გალიაში და შევეჭიდოთ ლომს. მაგრამ ის გადაგვყლაპავს. ჩვენ შეგვიძლია ვიდავოთ მთელი დღე და ღამე და მიუხედავად ჩვენი უპირატესი აკადემიური ცოდნისა, ის მოგვიგებს დავას, რადგანაც ეს არის დავა იურისტსა და მეცნიერ ექსპერტს შორის.“

ბატონმა სპენსერმა განაგრძო ჯვარედინი დაკითხვის დროს წარმოშობილი დილემების აღწერით:

> „ნაფიცმა მსაჯულებმა უნდა გადაწყვიტონ, თუ ვის დაუჯერონ – ადვოკატს, რომელიც სამართლის ექსპერტია, თუ მოწმეს, რომელიც თავის სამეცნიერო სფეროშია ექსპერტი. გამარჯვებული წინასწარ არის განსაზღვრული. ჩვენ ვამტკიცებთ და ეს დავას ჰგავს. ჩვენ ვაპროტესტებთ და ვყვირით და ეს ასეც ჟღერს – და გამარჯვებული მაინც ექსპერტია. ექსპერტის ცოდნის დაკნინების თანდაყოლილი მიდგომა არსებობს, ჩვენ მიერ ახლახან შეძენილი ცოდნის ჩვენებით“ (მოიგეთ თქვენი საქმე [წმ. მარტინსი 2005]).

ჯვარედინი დაკითხვის ჩატარება წინასწარი მომზადების გარეშე, საკმაოდ სახიფათოა, მაგრამ ზოგადად სიტუაცია რთულდება, როდესაც მოწმე ექსპერტია. ექსპერტი

ზოგადად განათლებული ადამიანია, რომელიც გამოცდილია თავისი იდეების დამაჯერებლად გამოხატვაში და ვინც უდავოდ უფრო ერკვევა კონკრეტულ სფეროში, ვიდრე შენ. სიტუაციის გასართულებლად ექსპერტის ჩვენებას შესაბამისი ძალა ენიჭება ნაფიცი მსაჯულების მიერ.

თუმცა არსებობს მიმეზები, თუ რატომ შეიძლება ექსპერტი ყველაზე დაუცველი მოწმე იყოს სასამართლო განხილვისას. პირველ ყოვლისა, ნაფიც მსაჯულებს ყოველთვის პირადად არ აქვთ ურთიერთობა ექსპერტთან, რომელიც უფრო განყენებულია. და კარგად მომზადებულმა ადვოკატმა შესაძლოა საკმარისი ცოდნა მიიღოს ექსპერტის სფეროში და შეეწინააღმდეგოს მის ჩვენებას.

ექსპერტის სანდოობის დადასტურება

მოსამართლემ უნდა განსაზღვროს ის, რომ ექსპერტის ჩვენებას სანდო საფუძველი აქვს განსახილველი მიმართულებით ცოდნისა და გამოცდილების სახით და რომ ჩვენება შეესაბამება წარმოდგენილ ფაქტებს. რადგანაც სასამართლოებს ფართო დისკრეცია აქვთ დაცვით ფუნქციასთან მიმართებით, ექსპერტის ჩვენება შესწავლილ უნდა იქნეს რელევანტურობასა და სანდოობასთან მიმართებით.

ექსპერტიზის სფეროები, რომლებიც დასაშვები იყო წარსულში, დაექვემდებარება ყურადღებით შესწავლას, იმაში დასარწმუნებლად, რომ დასკვნა სარწმუნო მეთოდოლოგიას ემყარება. მეთოდოლოგიასა და მის გამოყენებაზე მითითება, ნაცვლად ექსპერტიზის სფეროზე მითითებისა, არსებითი მნიშვნელობისაა.

არსებითი მტკიცებულება

რადგანაც მტკიცებულებათა წესებით აღარ არის სავალდებულო ექსპერტის დასკვნის პირდაპირი საფუძველის მითითება, თქვენი, როგორც ჯვარედინი დაკითხვის განმახორციელებელი პირის პოზიცია მაღლდება. ჯვარედინი დაკითხვის განმახორციელებელმა არ უნდა გაამჟღავნოს სუსტი საფუძვლები, რომლებსაც ექსპერტის დასკვნა ეფუძნება.

თქვენზეა ფაქტებისა და რისკების შესწავლის ტვირთი, ამ ფაქტებსა და რისკებს ემყარება მოწმე ექსპერტის ჩვენება მოწინააღმდეგე მხარის მიერ ჯვარედინი დაკითხვის განხორციელებისას. თუკი თქვენ ვერ გაასაჩივრებთ ექსპერტის ჩვენებას ჯვარედინი დაკითხვისას, შემდეგ ვეღარ იდავებთ მის დასაშვებობაზე.

ჯვარედინი დაკითხვისთვის წინასასამართლო მომზადება

თქვენ უნდა ისარგებლოთ აღმოჩენისა და საკუთარი კვლევის უპირატესობებით — უნდა მოიპოვოთ თანასწორი საწყისი მოწინააღმდეგე მხარის ექსპერტთან. ექსპერტის ჯვარედინი დაკითხვისთვის თქვენ ძალიან კარგად უნდა გაეცნოთ არა მარტო მტკიცებულებას, არამედ ასევე მოწმის კვალიფიკაციებს.

დაიწყეთ იმის განსაზღვრით, არის თუ არა ექსპერტი კეთლსინდისიერი ან უბრალოდ თავისი სფეროს პროფესიონალი. მოიპოვეთ ექსპერტის თითოეული წიგნის, სტატიის, სამეცნიერო ნაშრომის, თეზისის, დისერტაციისა და მოხსენების ასლები. მოიპოვეთ იმ სასამართლო განხილვების ჩანაწერები, სადაც ექსპერტმა ჩვენება მისცა. მოიძიეთ ექსპერტის სახელი სხვადასხვა ელექტრონულ მონაცემთა ბაზებში. შეისწავლეთ სასარჩელო განცხადებების ინდექსი შესაბამის სფეროებში. გადაამოწმეთ ექსპერ-

ტის პროფესიული სტატუსი შესაბამის ლიცენზიის გამცემ ორგანოებში.

შესაბამის სფეროში მოქმედ ექსპერტებთან კონსულტაციის გავლა არსებითი მნიშვნელობისაა ჯვარედინი დაკითხვისთვის. მოწმე ექსპერტის ფსიქოლოგიური უპირატესობა მნიშვნელოვნად მცირდება, როდესაც თქვენ ისევე ერკვევით იმავე სფეროში. რომელიმე ექსპერტის ან მისი კოლეგების მიერ დაწერილი წიგნების ან სამეცნიერო ნაშრომების გამოყენებით, რომლებიც ეწინააღმდეგება ექსპერტის დასკვნას, თქვენ შეგიძლიათ შეასუსტოთ ექსპერტის პროფესიული იმიჯი.

გამოწვევები ჯვარედინი დაკითხვის წარმმართველისთვის

შევჯიბრებითი სისტემა დიდწილად დამოკიდებულია ჯვარედინი დაკითხვის განმახორციელებელ ადვოკატზე, რომელმაც უნდა გამოააშკარაოს ის ფარგლები, რომლებშიც მისი ჩვენება ჩამოყალიბდა იმ მხარის მიერ, ვინც ის დაიქირავა. ნაფიც მსაჯულებს უფლება აქვთ იცოდნენ რეალურად ვინ გასცემს ჩვენებას და ეს მათ რეალურად უნდა გაიგონ ჯვარედინი დაკითხვისას. თქვენ უნდა ეცადოთ, გამოააშკარაოთ ექსპერტის შეცდომები, კვლევასთან დაკავშირებული პრობლემები, რომლებიც ძირითად ხაზად გასდევს ექსპერტის დასკვნას და ექსპერტის განცხადებას, და მის ხელთ არსებული ფაქტების შესაბამისობის ხარვეზი.

მაშინაც კი, როდესაც მოწინააღმდეგე მხარის ექსპერტი გამოიძახეს ექსპერტის სამუშაოში სამეცნიერო ან სხვა ტექნიკური ხარვეზების აღმოსაჩენად, მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ მიუთითოთ მომწვევის ადვოკატის კონტროლზე, როგორც ამ ხარვეზების განმაპირობებელზე. ნაფიცი მსაჯულებისთვის სასარგებლოა ჰქონდეთ იმაზე მეტი ვიდრე ჩვენების მიმცემი ექსპერტების წინააღმდეგობრივი ჩვენებებია. თუ თქვენ დაამტკიცებთ, რომ მოწინაღმდეგე მხარის ადვოკატმა ისარგებლა გადაჭარბებული კონტროლით ექსპერტზე, ნაფიც მსაჯულებს ექნებათ არა მარტო ხარვეზების მტკიცებულება, არამედ ასევე ამ ხარვეზების მიზეზების მტკიცებულებები. შედეგები არყევს ექსპერტის კეთილსინდისიერებას.

სარწმუნოობის გონივრული ხარისხი

არ უნდა არსებობდეს ექსპერტის ჩვენების აბსოლუტური დამაჯერებლობის მოთხოვნა. თუმცა, ექსპერტის მხრიდან ახსნის თეორიამ უნდა დააკმაყოფილოს „სარწმუნოობის გონივრული ხარისხის“ სტანდარტი. შესაბამისად, თქვენ შეგიძლიათ ჯვარედინი დაკითხვისას ექსპერტს ჰკითხოთ, აქვს თუ არა მის დასკვნას სამეცნიერო, სამედიცინო ან სხვა ტექნიკური დამაჯერებლობა. მიუხედავად იმისა, რომ ეს სტანდარტი ვერ ადგენს კონკრეტულ ცნებას, სტანდარტი მოუწოდებს ამ სფეროში ზოგადად აღიარებულ განმარტებით თეორიასთან შესაბამისობისკენ. ექსპერტის მხრიდან დასკვნის დარწმუნებით გადმოცემის შეუძლებლობა არ იმოქმედებს მის დასაშვებობაზე, მაგრამ შეასუსტებს მისი მოქმედების ძალას.

დასკვნის საფუძველი

რადგანაც მტკიცებულება „გონივრულად სანდოა“, ექსპერტის დასკვნა შეიძლება გავანდოთ ნაფიც მსაჯულებს. ხშირად ამის განსაზღვრა მოსამართლეებისთვის ძალიან რთულია. ეს მოითხოვს მოსამართლეებისგან შეაფასონ მონაცემი, რომელსაც ისინი არ იცნობენ და ის სფეროები, რომელშიც ისინი არ არიან ექსპერტები. ზოგი სასამართ-

ლო ისეთი ლიბერალური იყო ამ სტანდარტთან მიმართებით, რომ ექსპერტს შეეძლოა ნებისმიერ საკითხზე ჩვენების მიცემა, თუკი ეს ნაფიც მსაჯულებს დაეხმარებოდა.

ჯვარედინი დაკითხვისას თქვენ შეგიძლიათ ეჭვქვეშ დააყენოთ იმ მონაცემების ვალიდურობა, რომლებსაც ექსპერტი დაეყრდნო. თქვენ შეგიძლიათ ეს გააკეთოთ იმ დოკუმენტური მტკიცებულებების ჩვენებით, რომლებიც ადგენს, რომ ექსპერტის დასკვნებს არ იზიარებენ ამ სფეროს ცნობილი წარმომადგენლები.

თქვენი, როგორც ჯვარედინი დაკითხვის განმახორციელებელი პირის ამოცანაა, განსაზღვროთ, თუ რომელი ფაქტები და რისკები იყო ექსპერტის დასკვნაში ყველაზე მნიშვნელოვანი და შემდეგ ეჭვქვეშ დააყენოთ ჩვენება იმის მიხედვით, რომ დასკვნები განსხვავებული იქნება, თუ ფაქტები შეიცვლება ან დამატებითი ფაქტები იქნება ნავარაუდევი. სასამართლომ, მაგალითად, შეიძლება არ დაუშვას ჩვენება თუ არ არსებობს მტკიცებულება, რომელიც გაამყარებდა ჰიპოთეტური კითხვების საფუძველს, რომელსაც ექსპერტი პასუხობდა. და სააპელაციო სასამართლოს შეუძლია შეცვალოს ვერდიქტი, თუკი არსებითი ფაქტები, რომელზეც ექსპერტი თავის ჩვენებას ამყარებდა, ეწინააღმდეგებოდა ამ საქმესთან მიმართებით დამტკიცებულ ფაქტებს.

ექსპერტის ვალიდურობის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება

ექსპერტის დასკვნის მთავარი საფუძვლების გამოქვეყნებით თქვენ შეგიძლიათ მიუთითოთ ხარვეზებზე და გამოიწვიოთ ეჭვი ექსპერტის დასკვნასთან მიმართებით.

ეს ტექნიკა განსაკუთრებით ეფექტურია გამოყენებული მონაცემების ადეკვატურობის საკითხის, გაანგარიშების შეცდომებისა და ალტერნატიული მონაცემების გამოუყენებლობის განხილვისას. მაგალითად:

კითხვა: თქვენი დასკვნა ეფუძნება იმ დოკუმენტებს, რომლებიც გვაჩვენეთ, არა?

პასუხი: დიახ.

კითხვა: და ეს დოკუმენტები თქვენ პროკურორმა გადმოგცათ?

პასუხი: დიახ.

კითხვა: ხომ არ ფიქრობთ, რომ უმჯობესია მსხვერპლის სიკვდილის მიზეზების შესახებ დასკვნის შეთავაზებამდე დალოდებოდით ყველა სამედიცინო დასკვნის, მსხვერპლის სამედიცინო ისტორიისა და ჩანაწერების და ყველა მტკიცებულების, მათ შორის ექსპერტ-პათოლოგის ანგარიშების და ავტოფსიის შედეგების მიღებას?

ან ასე:

კითხვა: არსებობს ორი ექიმი, რომლებმაც ფიზიკურად გამოიკვლიეს მსხვერპლი სიკვდილის შემდეგ – სასწრაფო დახმარების თერაპევტი და კორონერი. ასეა?

პასუხი: დიახ.

კითხვა: და თქვენ დასკვნა დაწერეთ სხვების მიერ მომზადებული დოკუმენტების საფუძველზე, ასეა?

პასუხი: დიახ.

ან ასე:

კითხვა: ყველა მტკიცებულება მიუთითებს გულის შეტევაზე, მაგრამ თქვენ ასე არ დაგიდგენიათ. შესაძლოა თევზი იყოს გუბეში, მაგრამ თქვენ ვერ დაიჭიროთ, რადგანაც არ იყოთ საჭირო ადგილას. ასეა?

მოწმის დისკრედიტაცია

ჯვარედინი დაკითხვის წარმმართველმა, პირველ რიგში, შესაძლოა მოახდინოს მოწმის დისკრედიტაცია იმის ჩვენებით, რომ ექსპერტი არ არის საკმარისად კვალიფიციური ჩვენების მისაცემად; მაგალითად, ექსპერტს არ გააჩნია სათანადო ცოდნა, უნარი, გამოცდილება, მომზადება ან განათლება. ექსპერტის მოქმედების ზუსტი სფეროს მითითებით თქვენ შეგიძლიათ წარმოაჩინოთ, რომ ესა თუ ის სფერო პირდაპირ შესაბამისობაში არ არის იმ საკითხებთან, რაზეც ექსპერტმა ჩვენება მისცა. ამის წარმოჩენით დასტურდება, რომ მოწმე არ არის საკმარისად კვალიფიციური, იმისთვის, რომ როგორც ექსპერტმა ჩვენება მისცეს ამ საკითხზე, ჩვენება შესაძლოა გამოირიცხოს სრულად და სულ მცირე, თქვენ შეამცირებთ მოწმის სანდოობას.

მოწმის დისკრედიტაციის კიდევ ერთი ეფექტური საშუალებაა ექსპერტის დასკვნაში არააკურატულობის მტკიცებულების ან ყალბი ვარაუდები და არაზუსტი ფაქტები, რომლებსაც ეფუძნება დასკვნა. ასევე შესაძლოა სასარგებლო იყოს ამ საკითხების დრამატიზების მთავარი თემა. მაგალითად, შესაძლოა გამანადგურებელი იყოს იმის ჩვენება, რომ ექსპერტი თავის კვლევაში დაეფუძნა მხოლოდ ერთ სპეციალიზებულ სფეროს, რომ ექსპერტს ჩვენება აქვს მიცემული მხოლოდ ერთი მხარის სახელით, ან ის, რომ ექსპერტი პროფესიონალი მოწმეა, მაგრამ არა პრაქტიკოსი.

თქვენი ექსპერტი შესაძლოა ძალიან სასარგებლო იყოს მოწინააღმდეგე მხარის ექსპერტის მიერ დასკვნის საფუძვლად გამოყენებული არგუმენტების ან თეორიის არასწორი მომენტების აღნიშვნასა და ეფექტური ჯვარედინი დაკითხვის მომზადებაში. არ არსებობს მოწინააღმდეგე მხარის ჯვარედინი დაკითხვის მზადების ჩანაცვლების საშუალება.

ეფექტიანი ჯვარედინი დაკითხვის სტილი

სასამართლოს შეუძლია არ დაუშვას ექსპერტის ჩვენება, თუკი ეს ჩვენება არ ეხმარება ფაქტების მკვლევარს. ჩვენებას არ აქვს დამხმარე ფუნქცია, თუ ის კუმულატიური, ჰიპოთეტური, სპეკულაციურია ან ნაფიცი მსაჯულების ზოგად ცოდნას ეფუძნება. ჩვენებას არ აქვს დამხმარე ხასიათი ფაქტების დამდგენისთვის, თუკი ის არ ეხმარება ნაფიც მსაჯულებს წინააღმდეგობრივი საკითხის გადაჭრაში.

ყველაზე ეფექტიანი ჯვარედინი დაკითხვა შემოიფარგლება იმ საკითხებით, რაც გამოტოვებულ იქნა პირდაპირი დაკითხვისას. თქვენი ამოცანაა აჩვენოთ, რომ ექსპერტმა გააკეთა შეუსაბამო განცხადებები ან მიკერძოებულია. თქვენ შეგიძლიათ საკმარისი ინფორმაცია მიიღოთ მოწმის მიერ განსამარტავ საკითხზე, რათა უპირატესობაში აღმოჩნდეთ შეუსაბამობასთან, მაგრამ ერიდეთ ექსპერტთან დისკუსიაში შესვლას მის მიერ წამოჭრილ საკითხზე. თქვენი ბრძოლის არენაა სასამართლო დარბაზი – ჩაეჭიდეთ თქვენს უპირატესობებს.

ჯვარედინი დაკითხვის ეფექტიანობა უმეტესწილად დამოკიდებულია თქვენს პერსპექტივაზე, შეიგრძნოთ მოწმის განწყობები და რეაქცია. თქვენ მკვეთრ უპირატესობას უნდა ფლობდეთ კითხვების დასმისას, ისე რომ მოწმემ ვერ შეძლოს ისეთი ვრცელი ახსნა-განმარტების გაკეთება, რომელიც კონტროლს არ დაექვემდებარება. კიდევ ერთი ტაქტიკაა, ეცადოთ დაკითხვის ადრეულ სტადიაზევე ექსპერტისგან „კი“ ან „არა“ პასუხების მიღებას. პასუხებისთვის წინააღმდეგობის გაწევა, როგორც არაა-მომწურავებისთვის, კიდევ ერთი გზაა საზიანო პასუხების თავიდან ასაცილებლად.

სუბიექტური გადაწყვეტილება

თქვენ ასევე უნდა ეცადოთ ექსპერტისგან მოიპოვოთ იმის აღიარება, რომ დასკვნა შეიცავს ზოგიერთ სუბიექტურ შეფასებებს. ნებისმიერ დარგში, რომელიც ითვალისწინებს გადაწყვეტილებების მიღებას, ყოველთვის ჰკითხეთ ექსპერტს, ხომ არ ცდება ის, ან არის თუ არა სხვაგვარი ინტერპრეტაცია თანაბრად სანდო. აღიარებების მოპოვებისას, ეცადეთ, გამოიყენოთ ისეთი ფრაზები, როგორიცაა: „როგორც გონიერი ადამიანი, შეგიძლიათ არ დაეთანხმოთ...“

თქვენ უნდა იყოთ მტკიცე, მაგრამ პატივს სცემდეთ:

კითხვა: თქვენი დღევანდელი ჩვენება ცდება თქვენი ექსპერტიზის სფეროს, არ მეთანხმებით?

პასუხი: არა, ეს არ შეესაბამება სიმართლეს.

კითხვა: მალე უფრო ვრცლად განვიხილავთ ამ საკითხს, მაგრამ არ მეთანხმებით, რომ თქვენ ამძაფრებთ გარემოებებს, როდესაც ამტკიცებთ, რომ სიკდილის მიზეზი დახრჩობაა?

პასუხი: არა, მცირედითაც კი არა. .

კითხვა: შესაძლებელია, რომ თქვენ დაეყრდენით იმას, რაც პოლიციის გამომძიებლებმა განგიცხადეს, ნაცვლად იმისა, რომ სამედიცინო დასკვნას დაყრდნობოდით?

პრაქტიკული მინიშნებები ჯვარედინი დაკითხვისთვის

ა) გამოიყენეთ ბოლოკურსელი სტუდენტების გამოყენების შესაძლებლობა ექსპერტის კვალიფიკაციის, გამოცემების ან წინა ჩვენებების შესწავლის მიზნით. მათ ესმით ეს სფერო და ნაკლებ ძვირად ღირებულები არიან, ვიდრე უკვე პროფესიონალები.

ბ) გაარკვიეთ აქვს თუ არა ექსპერტს რეკლამა და თუ კი, არის თუ არა ეს რეკლამა ვულგარულად ცალმხრივი.

გ) ჰკითხეთ თქვენს ექსპერტს, რომელიც ჩვენებას არ იძლევა, ამ ექსპერტის შესახებ და თუ საჭიროა, მოიძიეთ დამატებით ინფორმაცია ამ ექსპერტის შესახებ.

დ) ესაუბრეთ ადვოკატებს, რომელიც წინა საქმეებში ამ ექსპერტის მოწინააღმდეგე მხარეს იყო.

ე) ეცადეთ გამოიყენოთ თვალსაჩინოებები, რომლებიც გამოიყენეს ექსპერტის ჩვენებისას წინა საქმეებში.

კონსტრუქციული დესტრუქციულის პირისპირ

კონსტრუქციულ ჯვარედინ დაკითხვას უპირატესობა უნდა ჰქონდეს დესტრუქციულ ჯვარედინ დაკითხვასთან მიმართებით. უფრო გონივრულია გამოყოთ ის საკითხები, რომლებიც ამყარებს თქვენს არგუმენტებს, სანამ ექსპერტის სანდოობის საკითხს დააყენებთ.

გამოკვეთეთ, ხომ არ ეთანხმება ჯვარედინი დაკითხვის ადრესატი ექსპერტი თქვენს ექსპერტს. კონკრეტულად კი, წარმოადგინეთ თქვენი ექსპერტის მიერ გამოყენებული მონაცემები და სხვა საფუძვლები და ჰკითხეთ მოწინააღმდეგე მხარის ექსპერტს, თანაბრად აღიარებენ და ეთანხმებიან თუ არა მას და თქვენს ექსპერტს ამ სფეროს ექსპერტები. დაადგინეთ ექსპერტისთვის დადგენილი შეზღუდვები სასამართლო განხილვის მოთხოვნებიდან გამომდინარე. თუ ექსპერტს არ სურს დაეთანხმოს

საკითხს კონსტრუქციული ჯვარედინი დაკითხვისას, გადადეთ ამ საკითხის განხილვა დესტრუქციული ჯვარედინი დაკითხვისთვის.

ეცადეთ, დასვათ დახურული კითხვები, იმისათვის რომ ექსპერტმა გიპასუხოთ: „კი“ ან „არა“ და არ ჰქონდეს საკუთარი პასუხის შემდგომი განვრცობის შესაძლებლობა. თუ კითხვა ნათელი და სამართლიანია, მოწმის მხრიდან განმარტება შესაძლოა ამ არგუმენტისგან გაქცევას დაემსგავსოს. თუკი საკითხი ნაკლებად მნიშვნელოვანია, თქვენ შეგიძლიათ კვლავ სთხოვოთ მოწმეს შემოიფარგლოს პასუხით: „კი“ ან „არა“.

შესაბამისი ტონის შესარჩევად, დაიწყეთ საშუალო მნიშვნელობის საკითხით, რასთან დაკავშირებითაც თქვენ საკონტროლო მასალა გაქვთ, როგორიცაა წერილობითი ჩვენება. იმისათვის, რომ მოსამართლემ და ნაფიცმა მსაჯულებმა დააფასონ ის, თუ რა ინფორმაციას აწვდით მათ, მიუთითეთ იმ ფაქტებზე, რომლებიც ექსპერტმა არ აღნიშნა თავის ანალიზში. გააკრიტიკეთ და განაგრძეთ. გამოიყენეთ მოკლე კითხვები, ნაცვლად გრძელი, დასკვნითი კითხვებისა.

არ მისცეთ საშუალება ექსპერტს დატოვოს მოწმის სკამი და მიმართოს თვალსაჩინოებებს. თქვენს ინტერესებში არ შედის, რომ ექსპერტი წარდგეს საინტერესოდ და დამარწმუნებლად.

ექსპერტის კვალიფიკაციის ეჭვქვეშ დაყენება

დაიწყეთ იმის ჩვენებით, რომ ექსპერტი არ არის კვალიფიციური:

კითხვა: ნება მიბოძეთ დავრწმუნდე, რომ სწორად გავიგე ეს. პირველ რიგში, თქვენ არ ხართ მედიცინის დარგის მეცნიერი, სწორია?

პასუხი: დიახ, მართალია.

კითხვა: მეორე, თქვენ არ გაქვთ სათანადო კვალიფიკაცია იმისთვის, რომ განმარტოთ თუ რას გვეუბნება კვლევა?

პასუხი: მართალია.

კითხვა: ანუ თქვენ ეყრდნობით ექიმ მგელაძეს, რომელმაც განმარტა თუ რას ვიგებთ მეცნიერული კვლევიდან?

პასუხი: დიახ.

მტკიცებულებად დაშვებული ინფორმაცია

ექსპერტს შეუძლია თავისი მოსაზრება დაამყაროს ფაქტებზე, რომლებთან დაკავშირებითაც მოწმეებმა ჩვენება მისცეს სასამართლო პროცესზე. ეს მოიცავს დოკუმენტებს, თვალსაჩინოებებს, ფაქტებს, მონაცემებსა და დასკვნებს, რომლებიც მოპოვებულია სხვა მოწმეებისგან. ექსპერტმა შეიძლება თავისი დასკვნა დაამყაროს კონკრეტულ ვარაუდებს ან ფაქტებს, რომლებიც სასამართლო განხილვაზე გამოვლინდა ჰიპოთეტური კითხვებით, ან ექსპერტმა გაიგო სასამართლო სხდომაზე დასწრებისას.

თქვენ აუცილებლად უნდა მიუთითოთ, თუ რომელ ფაქტებს დაეყრდნო ექსპერტი და რომელი ფაქტები არ გაითვალისწინა დასკვნის გამოტანისას. თქვენ ასევე შეგიძლიათ არ დაეთანხმოთ ექსპერტის დასკვნას არასწორი ან არაადეკვატური ფაქტობრივი ვარაუდების გამოვლენით, ან იმის ჩვენებით, რომ ექსპერტი დასკვნის გამოტანისას დაეყრდნო არასწორ და არაადეკვატურ საფუძვლებს.

როგორც ჯვარედინი დაკითხვის წარმმართველმა, თქვენ უნდა შეცვალოთ ფაქ-

ტობრივი გარემოებები იმის განსასაზღვრად, შეიცვლება თუ არა მისი დასკვნა ამ ცვლილების შესაბამისად. თქვენ შეგიძლიათ ჰკითხოთ, მაგალითად, „რას დაასკვნით, თუ X ვარაუდი არ გამართლდა?“. თქვენ ასევე შეგიძლიათ თქვენი ჰიპოთეზა შესთავაზოთ, რომლის სწორად ფორმულირების შემთხვევაში შესაძლებელია თქვენთვის სასარგებლო განმარტება მიიღოთ.

მაგალითად:

კითხვა: ხომ არ ფიქრობთ, რომ უფრო გონივრული იქნებოდა ნაფიცი მსაჯულებისთვის თქვენი დასკვნის წარდგენამდე საკუთარი კვლევის ჩატარება, ნაცვლად იმისა, რომ ბრალმდებელს დაყრდნობოდით?

ინფორმაცია, რომელიც არ მიიღეს მტკიცებულებად

ექსპერტები ხშირად აფუძნებენ თავიანთ დასკვნას ისეთ ინფორმაციაზე, რომელიც სასამართლო დარბაზის გარეთ მიიღეთ ან თუნდაც თქვენ ვარაუდს და მსჯელობას არ ეფუძნება. უმრავლეს იურისდიქციათა მტკიცებულებითი წესის თანახმად, ეს სხვაგვარად დაუშვებელი მტკიცებულება დაიშვება, თუ ინფორმაცია ისეთია, რომელსაც ამ სფეროში მოქმედი ექსპერტები, როგორც წესი, ეყრდნობიან. ეს კატეგორია მოიცავს ისეთი ტიპის ინფორმაციას, რომელსაც ექსპერტები პროფესიულად ეყრდნობიან დასკვნის ფორმირებისას.

მეორე მხრივ, ექსპერტს შეუძლია არ დააფუძნოს საკუთარი დასკვნა სტატისტიკას, რომელიც მომზადდა სასამართლო განხილვისთვის, მაგრამ არ წარმოადგენს დამოუკიდებელი კვლევის ნაწილს; წერილობითი ჩვენებას, რომელიც ემყარება დაუსაბუთებელ ვარაუდებს; ან მხარეებისა და მოწმეების ჩვენებას.

თუ სასამართლო აღმოაჩენს, რომ ამ სფეროს ექსპერტები მეორე ექსპერტის მიერ გამოყენებულ მტკიცებულებებს ეყრდნობიან ზოგადად, თქვენ მაინც შეგიძლიათ სცადოთ დაადგინოთ, რომ მიუხედავად ყველაფრისა, დასკვნა არ არის სანდო. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ თერაპევტისთვის შეიძლება დასაბუთებული იყოს მისი პაციენტის განცხადებაზე დაყრდნობა, თქვენ როგორც ჯვარედინი დაკითხვის წარმმართველმა, შესაძლოა ეს განცხადება დაახასიათონ, როგორც არასარწმუნო.

სტატისტიკა

თქვენ შეიძლება საჭიროდ მიიჩნიოთ ექსპერტის სტატისტიკაზე, მონაცემებზე, კვლევებზე, გამოკითხვებსა და გათვლებზე დაყრდნობის ყურადღებით შესწავლა. დამატებით, მაშინაც კი, თუ ექსპერტი კონკრეტულ სფეროში მუდმივად ემყარება გარკვეული კატეგორიის მონაცემებს, ამ მონაცემების მოსაპოვებლად გამოყენებული მეთოდოლოგია შესაძლოა არ იყოს სანდო. თქვენ ასევე შეგიძლიათ წარმოაჩინოთ, რომ მონაცემები არ შეიცავს ყველა არსებით ფაქტორს, ან რომ ექსპერტმა შეაგროვა ინფორმაცია მხოლოდ სასამართლო განხილვისთვის.

ჯვარედინი დაკითხვის წარმმართველი ეფექტიანად წარმართავს შემდეგს:

კითხვა: თქვენ შეისწავლეთ მსხვერპლის გულის ქსოვილის სლაიდები?

პასუხი: დიახ.

კითხვა: რამდენი სლაიდი იყო?

პასუხი: რამდენიმე ათეული.

კითხვა:და თქვენ ყველას გაეცანით?

პასუხი: დიახ.

კითხვა: და თქვენ არ შეგიმოწმებიათ სისხლძარღვები მარცხენა ვენტრიკულარულ მხარეს, იმის გადასამოწმებლად, იყო თუ არა იქ სისხლის კოლტი, მართალია?

პასუხი: საკმარისი, რაოდენობით შევისწავლე სლაიდები იმის დასადგენად, რომ დასკვნა გამეკეთებინა.

კითხვა: მაინც რამდენი?

პასუხი: ალბათ 1,000.

კითხვა:სულ რამდენია?

პასუხი: ალბათ 150,000.

კითხვა:და თქვენ მხოლოდ 1,000 შეისწავლეთ?

პასუხი: დიახ.

კითხვა: და ათი ათასობით ჭრილი რჩება, რომელიც თქვენ არ შეგისწავლიათ, მართალია?

პასუხი: მართალია.

შესწავლილი სამეცნიერო ნაშრომები

სასამართლომ შესაძლოა დასაშვებად მიიჩნიოს შესწავლილ სამეცნიერო ნაშრომებში მოცემული განცხადებები: თუკი ეს ნაშრომი მიჩნეული იქნება სანდო ავტორიტეტად ექსპერტის ჩვენების საფუძველზე, რომელსაც თქვენ ჯვარედინად დაჰკითხავთ, მაშინ ჩანაწერის შესაბამისი ნაწილები შეიძლება მიჩნეულ იქნეს არსებით მტკიცებულებად. ამტკიცეთ, რომ: (1) ექსპერტმა უნდა დაამტკიცოს, რომ სამეცნიერო ნაშრომს აქვს სანდო ავტორიტეტი; (2) სამეცნიერო ნაშრომზე მოწმე ექსპერტმა ყურადღება უნდა გაამახვილოს ჯვარედინი დაკითხვისას; და (3) შესაბამისი ნაწყვეტები მას შემდეგ, რაც დასაშვებად მიიჩნევა, შეიძლება გამოქვეყნდეს მტკიცებულებად, მაგრამ არა როგორც თვალსაჩინოება.

როდესაც მოწმე ავტორიტეტულ სამეცნიერო ნაშრომს ეყრდნობა, თავისი დასკვნის ფორმირებისას, თქვენ შეგიძლიათ გამოიკვლიოთ მოწმისთვის ხელმისაწვდომი წყაროები, რომლებიც გამოიყენეს დასკვნისთვის და ასევე ისინი, რომლებიც უარყვეს. თუკი ექსპერტი სამეცნიერო ნაშრომს ავტორიტეტულად აღიარებს, თქვენ შეგიძლიათ ის გამოიყენოთ მოწმისთვის წინააღმდეგობის გასაწევად, მიუხედავად იმისა, მოწმე დაეყრდნო მას თუ არა.

პირადი მიკერძოებისა და ინტერესის გამოაშკარავება

ექსპერტის დისკრედიტაციის გავრცელებული გზაა მიკერძოების ან პირადი ინტერესის დადგენა იმ მხარესთან მიმართებით, რომელმაც ექსპერტი მოიწვია. მართალია, თქვენ იცით, რომ ექსპერტი დაქირავებული იარაღია, მაგრამ შესაძლოა ნაფიცმა მსაჯულებმა ეს არ იცოდნენ. ამიტომ თქვენ უნდა გამოიკვლიოთ მისთვის გადახდილი საზღაურის შესახებ ინფორმაცია, გადაიხადეს თუ არა საზღაური და ამ ექსპერტის მიერ მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატთან ჩვენების მიცემის სიხშირე. თუკი ექსპერტი მუშაობს ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში, თქვენ შეგიძლიათ მიუთითოთ მიკერძოებაზე ზედმეტი ჩაძიების გარეშეც:

კითხვა: თქვენ ეროვნულ საექსპერტო ბიუროში მუშაობთ, არა?

პასუხი: ნამდვილად.

კითხვა: და ეს ბიურო სამთავრობო დაწესებულებაა არა?

პასუხი: დიახ. რეალურად ეს ბიურო იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაშია.

კითხვა: ანუ ყველა, ვინც ბიუროში მუშაობს, იუსტიციის სამინისტროსთვის მუშაობს, არა?

პასუხი: დიახ.

კითხვა: თქვენი ზემდგომი იუსტიციის სამინისტროსთვის მუშაობს?

პასუხი: დიახ.

კითხვა: ვინ არის იუსტიციის მინისტრი?

პასუხი:...

კითხვა: პროკურორებიც იუსტიციის სამინისტროსთვის მუშაობენ?

პასუხი: დიახ.

კითხვა: ანუ თქვენ და პროკურორებს ერთი ხელმძღვანელი გყავთ?

პასუხი:დიახ.

ექსპერტის მიერ განხილული მასალების გამოქვეყნება

ჯვარედინი დაკითხვის მოხერხებულ ჩამტარებელს შეუძლია აღმოაჩინოს ექსპერტის მიერ შესწავლილი მასალების არასაკმარისობა:

კითხვა:თუკი ფართოდ გადავავლებთ თვალს იმ მასალებს, რომლებიც პროკუორმა გადმოგცათ განსახილველად და იმ მასალებს, რომლებიც თქვენ თვითონ აღმოაჩინეთ, ჩვენ გვექნება მხოლოდ ორი შეკვრა, მართალია?

ექსპერტის მომზადება ჯვარედინი დაკითხვისთვის

ახლა როლები იცვლება და თქვენ უნდა დაიცვათ თქვენი ექსპერტი მოწინააღმდეგე ადვოკატის მხარიდან ჯვარედინი დაკითხვისას. მიუხედავად ამისა, თქვენმა ექსპერტმა უნდა შეძლოს სანდო და დამოუკიდებელი მოწმის იმიჯის შენარჩუნება, ვისაც საქმის შედეგებთან მიმართებით არანაირი ინტერესი არ გააჩნია. თქვენი ამოცანაა, დაეხმაროთ ექსპერტს გაიაროს ჯვარედინი დაკითხვა მოთმინების დაკარგვის, დასკვნების შეცვლის, თავდაცვით პოზიციაში გადასვლისა და საკუთარი მოსაზრებების გადაფასების გარეშე.

შემდეგი საკითხები უნდა გაითვალისწინოს თქვენმა ექსპერტმა იმისათვის, რომ გაიაზროს ძირითადი წესები და მინიშნებები თქვენი ჩვენების დამარწმუნებელი გავლენის გასაძლიერებლად.

თქვენ უნდა ურჩიოთ ექსპერტს:

ა) თუ ჰკითხავენ, ესაუბრა თუ არა ადვოკატს საქმესთან დაკავშირებით, მან უნდა უპასუხოს, რომ მათ, რა თქმა უნდა, ისაუბრეს.

ბ) არ წარმოადგინოს დასკვნები იმ სფეროში, რაშიც მას ექსპერტული ცოდნა არ გააჩნია და თავისუფლად გააცნობიეროს თავისი ექსპერტიზის ფარგლები.

გ) არ დაიწყოს გამოცნობა, არ გადააჭარბოს დასკვნებს და არ შეეშინდეს იმის აღიარება, რომ რაღაც კითხვაზე არ აქვს პასუხი.

დ) მოამზადოს პასუხები, სანამ საუბარს დაიწყებს, გადაამოწმოს თავისი პასუხები იმ ნებისმიერ ჩანაწერთან მიმართებით, რაც მისი ჩვენების შესახებ არსებობს და პასუხის გაცემამდე გააკეთოს პაუზა, იმისთვის, რომ თქვენ მოგცეთ პროტესტის

გამოხატვის საშუალება.

ე) არ მისცეს საკუთარ თავს საშუალება კითხვებს გასცეს „კი“ ან „არა“ პასუხები, თუკი ჭეშმარიტების დასადგენად კვალიფიციური პასუხია საჭირო.

ვ) მზად იყოს იმისთვის, რომ ახსნას თავისი ანალიზის თითოეული ნაბიჯი და რა ვადა დასჭირდა თითოეული მოქმედებისთვის.

ზ) მოემზადოს იმისთვის, რომ ახსნას, თუ რატომ არ გამოიყენა შემოწმების კონკრეტული მეთოდოლოგია.

თ) მზად იყოს იმისთვის, რომ ახსნას, რატომ არ ეთანხმება ამ სფეროში მოქმედ სხვა ავტორიტეტებს.

ი) თავი აარიდოს რომელიმე წყაროზე როგორც ავტორიტეტულზე მითითებას, არამედ მიუთითოს ამ წყაროზე, როგორც სასარგებლოზე ზოგ სფეროში.

კ) მზად იყოს მისი საზღაურის განხილვისთვის თავის არიდების გარეშე.

დამაბნეველი კითხვები

თქვენი მოწმე შესაძლოა ელოდოს იმას, რომ მრავალ ჩამჭრელ და დამაბნეველ კითხვას დაუსვამენ.

ეს მოიცავს შემდეგს:

ა) შერწყმული კითხვები: თუკი ერთი კითხვა მეორე კითხვაში იმალება, მოწმემ უნდა სთხოვოს ადვოკატს ამ კითხვების განცალკევება, სანამ ის პასუხს გასცემს.

ბ) ორმაგი უარყოფა: დაბნევის ალბათობა აშკარაა.

გ) არასწორი ციტირება ან არასწორი დახასიათება: ეს განსაკუთრებით საზიანოა, თუ მოიცავს თავად ამ ექსპერტის წინა ჩვენებას ან გამოცემას. ექსპერტმა უნდა გაასწოროს მცირე შეცდომებიც კი.

დ) ჩარევა ან დამოუკიდებლად საკმარისი მიზეზები: გავრცელებული ხრიკი კითხვებში შეიძლება მოიცავდეს ჩარევას ან დამოუკიდებლად საკმარის მიზეზს ჰიპოთეტურ კითხვაში. თუკი ზოგი წაყენებული პირობა მნიშვნელოვნად ცდება ფაქტს, ექსპერტმა ეს ადვოკატის ყურადღების ქვეშ უნდა მოაქციოს.

ე) არასათანადო ჰიპოთეტური კითხვები: ჯვარედინი დაკითხვისას დასმული ჰიპოთეტური კითხვები ხშირად არ შეიცავს საკმარის ინფორმაციას ან ზუსტ ინფორმაციას დასკვნის გასამყარებლად. ექსპერტმა უნდა განაცხადოს, რა აკლია, ან ამ ფორმით დასმულ კითხვას ვერ უპასუხებს.

ვ) ზოგადი, ფართო კითხვები: მოწმემ პასუხი უნდა გასცეს ზუსტად, დამაჯერებლად და რაც შეიძლება ლაკონიურად.

პრაქტიკული რჩევები დაცვით ჯვარედინი დაკითხვისთვის

რამდენიმე საკითხია, რომლებსაც, როგორც კითხვებს, პასუხი უნდა გასცეს ექსპერტმა. ექსპერტს უნდა შეახსენოთ, რომ:

ა) არ არის აუცილებელი, რომ ყველა კითხვას უპასუხოთ და არ იქნება პრობლემა, თუ აღიარებთ, რომ კითხვაზე პასუხი არ გაქვთ.

ბ) ყურადღებით უნდა მოუსმინოთ კითხვას და არ უპასუხოთ, სანამ არ დარწმუნდებით, რომ კარგად გაიგეთ კითხვა.

გ) არ უპასუხოთ კითხვას, თუ არ ეთანხმებით, სანამ მოსამართლე არ მიიღებს ამის

შესახებ გადაწყვეტილებას.

დ) ნებაყოფლობით არ უნდა გაამჟღავნოთ ისეთი ინფორმაცია, რომელიც არ მოუთხოვიათ.

ე) უნდა დააკონკრეტოთ მათი კითხვა, იმისათვის, რომ გასცეთ ზუსტი და დამაჯერებელი პასუხი.

ვ) კითხვის პასუხად უნდა გასცეთ ფაქტობრივი ინფორმაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იცით ფაქტები.

ზ) უნდა უპასუხოთ ყველა კითხვას დამაჯერებლად.

თ) არ უნდა გააზვიადოთ.

ი) უნდა იყოთ ობიექტური და მიუკერძოებელი.

კ) არ უნდა მოიტყუოთ.

ლ) არ უნდა გააყალბოთ.

მ) უნდა იყოთ გონივრული და სამართლიანი.

სიმულაცია სასამართლო განხილვისთვის

ჯვარედინ დაკითხვაზე ექსპერტის ნერვიულობის მოსახსნელად თქვენ უნდა ჩაატაროთ ჯვარედინი დაკითხვის სიმულაცია. სიმულაცია წესითაც და შინაარსითაც უნდა შეესაბამებოდეს იმ წესებსა და მტკიცებულებებს, რომელსაც სასამართლო განხილვისას გამოიყენებენ. თქვენ მაქსიმალურად უნდა ეცადოთ მოწინააღმდეგე მხარის მიმიკების სიმულაციაც.

კითხვებიც უნდა დასვათ მაქსიმალურად იმავე სტილში, რასაც მოწინააღმდეგე მხარე იყენებს. ამან შეიძლება თავიდან აგაცილოთ კითხვის არასწორად გაგების ზოგადი პრობლემები. თქვენ და ექსპერტმა უნდა განიხილოთ ის გზები, რომლითაც მას შეეძლება შეეწინააღმდეგოს კითხვებს პირდაპირი დაკითხვისთვის ნაკლები ზიანის მიყენებით.

ყველა სავარჯიშო ჯვარედინ დაკითხვაში უნდა იყოს ,,სატყუარა" კითხვები, როგორიცაა, გადაუხადეს თუ არა მოწმეს ჩვენების მიცემისთვის და ხომ არ უსაყვედურია ადვოკატს მოწმისთვის ჩვენების მიცემამდე. თქვენ უნდა შეეცადოთ მოწმის დაბნევას და აღელვებას ისევე, როგორც ამას შეეცდება მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატი სასამართლო განხილვისას.

თქვენ ასევე უნდა მიუთითოთ იმ სფეროზე, რომლებშიც ექსპერტი და მოწინაღმდეგე მხარის ექსპერტი თანხმდებიან. ექსპერტი უნდა გააფრთხილოთ, რომ არ უნდა ელოდოს ხრიკს ყველა კითხვაში და რომ მისაღებია მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატთან დათანხმება შესაბამის გარემოებებში. ექსპერტმა უნდა აკონტროლოს მღელვარება. თუ ჯვარედინი დაკითხვის განმახორციელებელმა ადვოკატმა შეძლო სიბრაზისა და სარკაზმის წარმოჩენის პროვოცირება, მაშინ მან წარმატებით მოახდინა ექსპერტის ჩვენების დისკრედიტაცია. ექსპერტმა არ უნდა გამოავლინოს გაღიზიანება, მოწყენა, დაღლილობა ან გაოცება.

ექსპერტის ამოცანაა გამოავლინოს პროფესიონალიზმი და გონივრული დამაჯერებლობა, რომელიც ნაფიც მსაჯულებს დაარწმუნებს იმაში, რომ მან იცის, თუ რაზე ლაპარაკობს.

კონტროლის შენარჩუნება

ექსპერტმა ჯვარედინი დაკითხვის წარმმართველს არ უნდა მისცეს იმის საშუალება, რომ მან „სიტყვები ჩაუდოს პირში“, როგორც ამას გამოცდილი ექსპერტი აკეთებს:

კითხვა: არსებობს კარგი არგუმენტი იმის დასადასტურებლად, თუ რატომ არ ჩნდება ეს პირობა თქვენი ძილის დროს, ასეა?

პასუხი:მე არ ვეთანხმები თქვენს დახასიათება, რომ ეს არ ხდება ხშირად, თქვენი ძილის დროს.

ექსპერტმა არ უნდა დაუშვას მთავარი არგუმენტის იგნორირება:

პასუხი: ფაქტია, რომ მსხვერპლი ეწეოდა ოცდაათი წლის განმავლობაში. და, საბოლოო ჯამში, რისკის გათვლა არ იყო ზუსტი, რადგანაც ბატონი დავისი ებრძოდა მძიმე ათეროსკლეროზს. ეს არის მნიშვნელოვანი ფაქტი ამ საქმეში, მიუხედავად იმისა, თუ რას მივიჩნევთ ჩვენ რისკის მაჩვენებლად.

ჯვარედინი დაკითხვის წარმმართველის კონკრეტულად მიმართულ ენაზე მითითება ეფექტიანი ტექნიკაა:

კითხვა: საიდან დაასკვნით, რომ მსოფლიოში ყველა მტკიცებულებები მიუთითებს იმაზე, რომ ხანგრძლივი მოწვევა იწვევს უეცარ სიკვდილს გულის შეტევით?

პასუხი: იმედი მაქვს, ნაფიცმა მსაჯულებმა გაიგეს ფრაზა, „მსოფლიოში არ არსებობს მტკიცებულებები“ .

კითხვა: არ მითქვამს რომ არანაირი მტკიცებულება არ არსებობს. მაგრამ, ვფიქრობ, რომ თუ თქვენ გადახედავთ მტკიცებულებებს ერთიანად, არსებობს დამაჯერებელი კვლევები, რომლებიც მიუთითებს, რომ ხანგრძლივი მოწვევის შედეგები ზრდის მოულოდნელი გულის შეტევით სიკვდილის ალბათობას.

ექსპერტს შეუძლია წარმოაჩინოს საკითხის სირთულე:

კითხვა: არ ვფიქრობ, რომ თქვენი განმარტება ზუსტად ასახავს კვლევას.

პასუხი: მე ვფიქრობ, რომ ეს ისეთი სახის კვლევაა, რომლის შედეგების ინტერპრეტაცია რთულია.

ზოგადად, ექსპერტი შეიძლება ძალიან ხისტიც იყოს:

პასუხი: თქვენ არასწორ ინტერპრეტაციას უკეთებთ ჩემს ჩვენებას. ნაფიცმა მსაჯულებმა ყურადღებით უნდა მოუსმინონ ამ განმარტებას. ვლაპარაკობ გულის შეტევით უეცარ სიკდილზე და თქვენ საუბრობთ ყველა კარდიოლოგიურ მოვლენაზე. .

შემაჯამებელი კითხვები ექსპერტს კარგ შესავალს უქმნის პასუხისთვის:

კითხვა: არ მეთანხმებით, რომ მსხვერპლი გარდაიცვალა იმ მიზეზით, რომ მის გულს არ მიეწოდებოდა საკმარისი ჟანგბადით გაჯერებული სისხლი? და შესაბამისად ის დაახრჩვეს?

პასუხი: არა. მე ჩემი სიტყვებით უნდა ავხსნა. ამ სიტყვებსაც გამოვიყენებ. ვფიქრობ, რომ ბატონ დავითს ქონდა მწვავე ათეროსკლეროზი. ასევე არსებობს იმის მტკიცებულება, რომ მას ჰქონდა ქრონიკული იშემია. ავტოფსიამ აჩვენა, რომ მას ჰქონდა ფიბროზი და გულის მიოკარდიული ინფარქტი, ამიტომაც გარდაიცვალა.

მიკერძოების შესახებ დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა

ჯვარედინი დაკითხვის განმახორციელებელი ყოველთვის შეეცდება მიკერძოების ჩვენებას. წარმოგიდგენთ პასუხებს:

კითხვა: თქვენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის მუშაობთ, არა?

პასუხი: დიახ.

კითხვა: დასაცავი პირი ასევე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის მუშაობს, მართალია?

პასუხი: მართალია. მე საექსპერტო პათოლოგიის პროფესორი ვარ უნივერსიტეტში და დასაცავი პირი სამეურნეო ნაწილში მუშაობს, მე მხოლოდ ერთხელ შევხვდი მას, როდესაც ის მოვიდა სალექციო დარბაზში ნათურის შესაცვლელად.

სამეცნიერო ნაშრომების შესახებ კითხვებზე პასუხის გაცემა

მნიშვნელოვანია, რომ თქვენ არასდროს აღიაროთ სამეცნიერო ნაშრომის ავტორიტეტულობა, მიუხედავად ჯგვარედინი დაკითხვის განმახორციელებლის მხრიდან ზეწოლისა:

კითხვა: რუბინი პათოლოგიის შესახებ თქვენს სფეროში ბიბლიად ითვლება, ეს ასეა?

პასუხი: ეს პათოლოგიის სახელმძღვანელოა და ფართოდ არის გავრცელებული და აღიარებული.

კითხვა: ეს სახელმძღვანელო აშკარად ავტორიტეტულია, არა?

პასუხი: არა.

კითხვა: თქვენ მას არ მიიჩნევთ ავტორიტეტად.

პასუხი: არა. ყველა სახელმძღვანელო ლიტერატურის შეჯამება და ანალიზია. ესენი ავტორთა მოსაზრებებია. ზოგიერთი საკითხი სწორად არის წარმოდგენილი, სხვები არასწორად.

საზღაურთან დაკავშირებულ კითხვებზე პასუხის გაცემა

იმის აღიარება, რომ საზღაური გადაგიხადეთ, ეფექტურია.

კითხვა: თქვენ გადაგიხადეს დაცვის მხარისთვის გაწეული კონსულტაციისთვის, არა?

პასუხი: კი, ასე იყო.

შემოსავალთან დაკავშირებულ კითხვებზე პასუხის გაცემა

წარმოგიდგენთ შემოსავალთან დაკავშირებული კითხვაზე კარგი პასუხის ვერსიას:

პასუხი: ჩემი ერთიანი შემოსავალი ნათლად არის წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებზე. არ არის სასიამოვნო პირადი შემოსავლების საჯაროდ განხილვა, რადგანაც ადამიანები ამას პირად ინფორმაციად განიხილავენ. ძალიან გამიმართლა, რომ ასეთი სამსახური მაქვს და ეს არის ჩემი შემოსავალი, რომლის მისაღებადაც ძალიან ბევრს ვშრომობ.

სასამართლო ტექნიკა
მტკიცებულების წარდგენის დასაბუთებული შეკითხვები

მადლობას ვუხდით ადვოკატთა ეროვნულ საოლქო ასოციაციას (ალექსანდრია, ვირჯინია), რომელთა უშუალო ნებართვით ხდება მოცემულ მასალათა გამოყენება. შესწორება და თარგმანი ქართულ ენაზე განხორციელდა ამერიკის იურისტთა ასოციაცია/კანონის უზენაესობის ინიციატივის (ABA/ROLI) საქართველოს სისხლის სამართლის პროგრამის ფარგლებში, საქართველოს ადვოკატებისათვის.

ფინანსური მხარდაჭერა განხორციელდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის საერთაშორისო ნარკოტიკებისა და სამართალდამცავი ორგანოების საქმეთა სახელმწიფო ბიუროს (INL) მიერ.

1. ნივთიერი საბუთის მტკიცებულებად წარდგენა

1. ნივთიერი საბუთი მონიშნეთ იდენტიფიცირების მიზნით;
2. იკითხეთ მოწმე თუ ცნობს ნივთიერ საბუთს, მაგრამ არ მისცეთ მოწმეს საშუალება განმარტოს, თუ რა არის ეს;
3. მოწმეს სთხოვეთ განმარტოს ნებისმიერი ნიშანი ნივთიერ საბუთზე (მაგალითად, ინიციალები ან სხვა) ან სხვა მახასიათებლები იმისათვის, რათა დაამტკიცოთ, რომ ნივთიერი საბუთი იგივეა, რაზეც მოწმე საუბრობს;
4. მიეცით საშუალება მოწმეს განმარტოს სად იყო მოპოვებული მტკიცებულება;
5. მიეცით საშუალება მოწმეს განმარტოს მტკიცებულებათა ჯაჭვი;
6. თუ ნივთიერი საბუთი გაიგზავნა ლაბორატორიაში ტესტირებისთვის, მაშინ მიეცით საშუალება მოწმეს აღნიშნოს ეს საკითხი და ისაუბროს, თუ როდის იყო წაღებული, როდის დააბრუნეს, როგორ იყო ჯაჭვი შენარჩუნებული მას შემდეგ, რაც დააბრუნეს ნივთიერი საბუთი;
7. დაადგინეთ ნივთიერი საბუთი არის თუ არა იმავე მდგომარეობაში, როდესაც გადაცემის მომენტში იყო. განმარტეთ ნებისმიერი ცვლილებები მდგომარეობაში, მაგალითად როგორიცაა ლაბორატორიის მიერ გაკეთებული მონიშვნები ან ნიმუშის აღების ფაქტები ლაბორატორიაში ჩატარებული ტესტირებისა და გამოკვლევის მიზნით.
8. მოითხოვეთ ნივთიერი საბუთის მტკიცებულებად მიღება და მისი ნივთმტკიცების მნიშვნელობა აჩვენეთ;
9. მას შემდეგ, რაც მოახდენთ ნივთიერი საბუთის ნივთმტკიცებად დაშვების მნიშვნელობის დემონსტრირებას, კიდევ ერთხელ მოითხოვეთ მისი მტკიცებულებად მიღება;
10. ზოგიერთი ნივთიერი საბუთის ნივთმტკიცების მნიშვნელობა შეიძლება დამტკიცდეს ექსპერტი მოწმის ჩვენებით (მაგალითად, როგორიცაა ლაბორატორიის ტექნიკოსი), რომელიც სასამართლო პროცესზე ერთმანეთთან დააკავშირებს სისხლის, თმის, ქსოვილის ნიმუშებს. სხვა საგნები, მაგალითად, როგორიცაა იარაღი გამოვლენილი და მონიშნული ოფიცრის მიერ და ასევე დანაშაულის დროს გამოყენებული იარაღი იდენტიფიცირებული სხვა მოწმეების მიერ, არ საჭიროებს დამატებით მტკიცებას.

2. მტკიცებულებათა სია

№ ნივთიერი საბუთის აღწერილობა	ვის მიერ არის იდენტიფიცირებული	შემოთავაზებულია		მიღებულია
		შეზღუდვებით	შეზღუდვების გარეშე	

შენიშვნა: თქვენი არგუმენტების წარდგენის დასრულების შემდეგ – სწრაფად გადახედეთ ამ ცხრილს და დარწმუნდით, რომ თქვენთვის ყველა საჭირო ნივთიერი საბუთი მიღებულია მტკიცებულებად. შემდეგ ამის გადამოწმება მოსამართლის თანაშემწეს სთხოვეთ და იმისათვის, რომ თავიდან აიცილოთ ნებისმიერი სახის სამომავლო გაუგებრობა, გაიმეორეთ:

თქვენო ღირსებავ, ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი ყველა ნივთიერი საბუთი მიღებულია სასამართლოს მტკიცებულებად.

3. ფიზიკური მტკიცებულების წარდგენა

მონიშნეთ ნივთმტკიცება, როგორც ნივთიერი საბუთი.

შეკითხვები:

1. მე თქვენ განახებთ, თუ რა არის მონიშნული იდენტიფიცირების მიზნით როგორც ნივთიერი საბუთი.
2. გთხოვთ დაათვალიეროთ.
3. ცნობთ ამ ნივთს?
4. როგორ ცნობთ მას?
5. რა არის ეს?
6. როგორ მოხვდა ეს ნივთი თქვენს საკუთრებაში?
7. სად შეიძინეთ ის?
8. როდის შეიძინეთ
9. რა უქენით მას?
10. როდის დანიშნეთ?
11. ეს ნივთი დაახლოებით იმავე მდგომარეობაშია, რა მდგომარეობაშიც თავიდან იყო?
12. თუ რამე განსხვავებას ატყობთ მდგომარეობაში ან გარეგნული დათვალირებისას, გთხოვთ, მაშინ განგვიმარტოთ რა განსხვავებებია ესენი.

თქვენო ღირსებავ, გთხოვთ, ნივთიერი საბუთი დაუშვათ მტკიცებულებად.

4. მტკიცებულების იდენტიფიცირება და წარდგენა

ხელშესახები ნივთის შეუცვლელი ფორმით იდენტიფიცირება და წარდგენა

1. მე თქვენ გადმოგცემთ -------- (მტკიცებულების სახელი), რომელიც მონიშნუ-

ლია სერიული ნომრით ნივთიერი საბუთის ------ იდენტიფიცირების მიზნით;
2. გინახავთ ეს ნივთი ადრე?
3. როდის ნახეთ ეს ------- (მტკიცებულების სახელი) პირველად?
4. სად ნახეთ ეს ------- (მტკიცებულების სახელი) პირველად?
5. ეს ------- (მტკიცებულების სახელი) არსებითად იგივე მდგომარეობაშია და გარეგნულად ისევე გამოიყურება, როგორც მისი პირველად ნახვის დროს?
6. თუ რაიმე ცვლილება აღინიშნება მის მდგომარეობასა და გარეგნულ მხარეში, გთხოვთ აგვიწეროთ ეს ცვლილებები.

თქვენო ღირსებავ, გთხოვთ, ნივთიერი საბუთი მიიღოთ მტკიცებულებად.

რეალური მტკიცებულების იდენტიფიცირება, აუთენტურობის დადგენა და წარდგენა

1. ბატონო ----, თქვენ თქვენს ჩვენებაში თქვით, რომ დაინახეთ -------- ესროლა გარდაცვლილს და დაინახეთ, რომ მან დააგდო -------- (მტკიცებულების სახელი) და გაიქცა, თქვენ ჩვენებაში ასევე აღნიშნეთ, რომ თქვენ აიღეთ ———————— (მტკიცებულების სახელი)
2. რა უქენით მას?
3. მე თქვენ გადმოგცემთ ---------- (მტკიცებულების სახელი), რომელიც მონიშნულის იდენტიფიცირების მიზნით როგორც -------- ნივთიერი საბუთი; გთხოვთ, დაათვალიეროთ იგი.
4. ადრე გინახავთ ეს?
5. სად გინახავთ?
6. როდის დანიშნეთ იგი?

თქვენო ღირსებავ, გთხოვთ, ნივთიერი საბუთი ----- მიიღოთ მტკიცებულებად

სამართალდამცავი უწყების თანამშრომლის მოწმედ წარდგენა, მოწმის იდენტიფიცირება

1. გთხოვთ, გვითხარით თქვენი სახელი და გვარი?
2. თქვენი სამუშაო ადგილი და პროფესია?
3. რომელ სამართალდამცავ ორგანოში მუშაობთ?
4. რამდენი ხანია, რაც (სამართალდამცავი ორგანოს სახელი) მუშაობთ?
5. ადრე რომელ სამართალდამცავ ორგანოში მუშაობდით?
6. ამჟამად რა მოვალეობებს ასრულებთ?
7. ერთ-ერთი თქვენი მოვალეობა გამოძიების ზედამხედველობაა (დამხარებაა)?
8. სიტყვიერად თუ გააფრთხილეთ ეჭვმიტანილი მისი უფლებების შესახებ?
9. თქვენ ასრულებდით საკუთარ მოვალეობებს (შემთხვევის/ინციდენტის დრო)?
10. თუ არა, მაშინ გაგვიმარტეთ.
11. ადრე თუ მიგიღიათ მონაწილეობა გამოძიების პროცესში?
12. როდის ჩაერთეთ?
13. რა დროს ჩაერთეთ?
14. როგორ მოხვდით ამ საქმეში?

ფოტოების იდენტიფიცირება და მტკიცებულებად წარდგენა, მოწმის იდენტიფიცირება

1. გთხოვთ, გვითხრათ თქვენი სახელი და მისამართი.
2. რა პროფესიის ბრძანდებით?

3. სად მუშაობთ?
4. რა მოვალეობებს ასრულებთ (მიუთითეთ უწყება, სადაც მუშაობთ)?
5. რამდენი ხანია რაც მუშაობთ (მიუთითეთ უწყება, სადაც მუშაობთ)?

ფოტოების ზოგადი იდენტიფიცირება

1. მე თქვენ გადმოგცემთ, რაც მონიშნულია იდენტიფიცირების მიზნით ნივთიერ საბუთად ----?
2. ცნობთ ამ ნივთს?
3. საიდან ცნობთ ამ ნივთს?
4. ეს ფოტოსურათი საკითხს, რომელიც განხილვის თარიღსა და დროს მოხდა, საკმაოდ კარგად და ზუსტად გადმოსცემს?
5. ამ ფოტოზე რამე წაშლილი ან შეცვლილი ხომ არ არის?
6. თქვენო ღირსებავ, გთხოვთ, ნივთიერი საბუთი ----- მიიღოთ მტკიცებულებად.

შემთხვევის ფოტოების იდენტიფიცირება

1. ამ შემთხვევის ადგილს კარგად იცნობთ?
2. თქვენ მოგეცათ საშუალება შემთხვევის ადგილის დაუყოვნებლივ დათვალიერებისა მას შემდეგ, რაც ფატალური შეჯახება მოხდა?
3. მე თქვენ გადმოგცემთ ფოტოს, რაც მონიშნულია იდენტიფიცირების მიზნით ნივთიერ საბუთად ----?
4. ცნობთ ამ ადგილს?
5. საიდან იცანით?
6. ეს ფოტოსურათი საკითხს, რომელიც განხილვის საგანია და მოხდა, თარიღსა და დროს საკმაოდ კარგად და ზუსტად გადმოსცემს?
7. ამ ფოტოზე რამე წაშლილი ან შეცვლილი ხომ არ არის?

თქვენო ღირსებავ, გთხოვთ, ნივთიერი საბუთი ----- მიიღოთ მტკიცებულებად.

7. მიწის ზემოდან გადაღებული ფოტოების მტკიცებულებად იდენტიფიცირება და წარდგენა (პოლიციის ან პროფესიონალი ფოტოგრაფი)

მოწმის იდენტიფიცირება

1. გთხოვთ, გვითხრათ თქვენი სახელი და მისამართი.
2. თქვენი საქმიანობა/პროფესია?
3. სად მუშაობთ?
4. რა არის თქვენი ფუნქციები (დაასახელეთ უწყება სადაც მუშაობთ?)
5. რამდენი ხანია, რაც მუშაობთ (დაასახელეთ უწყება სადაც მუშაობთ?)
6. თქვენ ამ დღეს (დაასახელეთ რიცხვი) მუშაობდით?
7. რაიმე ფორმით მიიღეთ მონაწილეობა გამოძიების პროცესში ამ დღეს?
8. ამ დღეს ამ საქმესთან დაკავშირებით თქვენ გადაიღეთ მიწის ზემოდან სურათები?
9. ვინ დაგავალათ ამის გაკეთება?
10. რა ადგილები გადაიღეთ?
11. რა სახის კამერა გამოიყენეთ?

12. რა სახის ოპტიკური მინა გამოიყენეთ?
13. რა სისწრაფით იღებდით?

ფოტოების დასაშვებად კვალიფიცირება

1. მე თქვენ გადმოგცემთ, რაც მონიშნულია იდენტიფიცირების მიზნით ნივთიერ საბუთად ----? გთხოვთ, დაათვალიეროთ.
2. ცნობთ ამ ნივთიერ საბუთს?
3. საიდან ცნობთ?

შენიშვნა: აქ მოწმეს შეუძლია განმარტოს, რომ იგი ცნობს იმ ადგილებს, სადაც იღებდა ფოტოებს, რომ მან გაამჟღავნა ფირი და დაბეჭდა ფოტოები, ან ამ ფოტოების გადაღება ხდებოდა მისი მითითებებით, ან მან დანიშნა ფოტოები.

4. როდის მონიშნეთ თქვენ მიერ გადაღებული ფოტოები ნივთიერ საბუთად ------?
5. ეს ფოტოები საკმაოდ სწორად ასახავს იმ ადგილებს, სადაც თქვენ იღებდით სურათებს იმ დღეს? სურათები თქვენი გადაღებულია?
6. ფოტოზე რაიმე წაშლილი ან შეცვლილი ხომ არ არის?
7. იცით, როგორ გამოიყურებოდა დანაშაულის ადგილი, რომელიც ფოტოზეა ასახული იმ კონკრეტულ დღეს, როდესაც შესაძლო დანაშაული მოხდა?
8. არის თუ არა რაიმე განსხვავება დანაშაულის ადგილის აღწერაში დანაშაულის მოხდენის დღესა და ფოტოების გადაღების დღეს შორის?

თქვენო ღირსებავ, გთხოვთ, ნივთიერი საბუთი ----- მიიღოთ მტკიცებულებად.

ფოტოების შემთხვევასთან დამოკიდებულების იდენტიფიცირება

თქვენო ღირსებავ, სასამართლოს ნებართვით, მინდა ვთხოვო მოწმეს ადგეს და აუხსნას ნაფიც მსაჯულებს ფოტოების შინაარსი.

1. ოფიცერო, დაიწყეთ ნივთიერი საბუთი -----, და აუხსენით ნაფიც მსაჯულებს თითოეულ ნივთიერ საბუთზე გამოსახულება.

შენიშვნა: ოფიცერს აჩვენებინეთ ზემოდან გადაღებული სურათები, განმარტოს ამ სურათების მნიშვნელობა დანაშაულთან მიმართებით. მიეცით საშუალება ოფიცერს მიუთითოს ორიენტირებზე, მაგალითად, როგორიცაა გზები და ა.შ იმისათვის, რომ მიმართულება მისცეს ნაფიც მსაჯულებს. მიეცით სასუალება ოფიცერს ისაუბროს მიმართულებაზსა და სიმაღლეზე, საიდანაც ფოტოები იყო გადაღებული და შეადარებინეთ დანაშაულის ადგილის დიაგრამასთან.

2. გმადლობთ ოფიცერო, გთხოვთ, დაიკავოთ თქვენი ადგილი მოწმის სკამზე.

8. ქიმიკოსის მიერ სისხლის ჯგუფების იდენტიფიცირება და როგორც მტკიცებულების წარდგენა

მოწმის იდენტიფიცირება

1. გთხოვთ, სასამართლოს უთხრათ თქვენი სახელი და ვინაობა.
2. სად მუშაობთ/რა პროფესიის ხართ?
3. რომელ სამართალდამცავ ორგანოში მუშაობთ?
4. რამდენი ხანია, რაც მუშაობთ (სამართალდამცავი ორგანოს სახელი)?

5. რა უფლება-მოვალეობები დაგევალათ თქვენ -----?
6. რამდენი ხანი იღებდით მონაწილეობას ქიმიური ანალიზის გაკეთებაში?
7. რა სახის მომზადება, სწავლება და ტრენინგი გაქვთ გავლილი ქიმიური ანალიზის ჩატარების პროცესში?
8. თქვენ ერთ-ერთი ლაბორატორიის თანამშრომელი ხართ, ვისაც მსგავსი ანალიზების ჩატარებას ავალებენ ლაბორატორიაში?
9. ადრე სხვა სასამართლოში ხომ არ ყოფილხართ კვალიფიცირებული, როგორც ქიმიური ანალიზის ექსპერტი?
10. შეგიძლიათ ჩამოთვალოთ სასამართლოები, სადაც მსგავსი კვალიფიკაციით მიგიღიათ მონაწილეობა?

თქვენო ღირსებავ, გთხოვთ ------- (მოწმის სახელი) გამოცხადდეს ექსპერტად ----- სფეროში.

11. ყველა ადამიანის სისხლი იდენტურია? თუ შეიძლება სისხლი მეცნიერულად დაიყოს ჯგუფებად?
12. იცით, თქვენ ეს ჯგუფები?
13. რა ჯგუფებია ესენი?
14. თქვენი სწავლიდან, გამოცდილებიდან და ტრენინგიდან, რაზეც თქვენ ადრე ჩვენება მიეცით, იცით პროცესი, რომლის მიხედვითაც ხდება ადამიანის სისხლის ჯგუფის დადგენა?
15. შეგიძლიათ ამის განსხვავება?
16. რამდენჯერ გაგიკეთებიათ ეს?
17. აღწერეთ, რას აკეთებთ კონკრეტულად იმისათვის, რომ განსაზღვროთ სისხლის ჯგუფი, რომელშიც კონკრეტული ნიმუში ჯდება?
18. მე თქვენ გადმოგცემთ მანქანის ხალიჩის ნაწილს, რომელიც მონიშნულია იდენტიფიცირების მიზნით, როგორც სახელმწიფო ნივთიერი საბუთი; გთხოვთ, დაათვალიეროთ.
19. ადრე თუ გინახავთ?
20. ვისგან მიიღეთ ეს?
21. როგორ მიიღეთ?
22. რაიმე მონიშვნა იდენტიფიცირებისთვის ხომ არ გაგიკეთებიათ მასზე?
23. მაშინ, როდესაც მანქანის ხალიჩის ნაწილი მიიღეთ პოლიციისგან, კიდევ სხვა რაიმე ხომ არ გადმოუციათ მათ თქვენთვის?
24. რა მიიღეთ?
25. რაიმე სახის გამოკვლევა, დათვალიერება ხომ არ ჩაგიტარებიათ ამ ნივთზე?
26. თქვენი დათვალიერების შემდეგ რა გაუკეთეთ ნივთებს?
27. როდის დააბრუნეთ ისინი პოლიციის დეპარტამენტში, იმავე მდგომარეობაში იყო ისინი, როგორც პირველად ნახვისას?

თქვენო ღირსებავ, გთხოვთ, ნივთიერი საბუთი ----- მიიღოთ მტკიცებულებად

28. რა მიზნით იკვლევდით სახელმწიფო ნივთიერ საბუთს ———?
29. თქვენს მიერ ჩატარებული გამოკვლევის პროცესში თუ გამოგიყენებიათ მეთოდები და ტესტები, რომელზეც ადრე ჩვენება მიგიციათ?
30. რა მიიღეთ ან გაიგეთ ტესტის შედეგად?
31. თქვენ დაადგინეთ, რომ მანქანის ხალიჩაზე აღმოჩენილი სისხლი ეკუთვნოდა

პირველი ჯგუფის სისხლს და ასევე სისხლის ნიმუში, რომელიც პოლიციამ გადმოგცათ, ეკუთვნის სისხლის პირველ ჯგუფს?

32. ასე რომ, შესაძლებელია ორივე სისხლის წყარო ერთი იყოს?

9. სხეულის მიერ გამომუშავებული სითხის ექსპერტის მოწმედ იდენტიფიცირება (სისხლი, სპერმა და ა.შ)

მოწმის იდენტიფიცირება

1. გთხოვთ, სასამართლოს უთხრათ თქვენი სახელი, ვინაობა და მისამართი.
2. სად მუშაობთ/რა პროფესიის ხართ?
3. ვინ არის თქვენი დამსაქმებელი?
4. რამდენი ხანია, რაც მუშაობთ (ორგანიზაციის სახელი).
5. სამსახურში თქვენი კონკრეტული პასუხისმგებლობა რა არის?
6. რა სახის მომზადება, სწავლება და ტრენინგი გაქვთ გავლილი, როგორც სხეულის მიერ გამომუშავებული სითხის ექსპერტს?
7. თქვენი დროის რა ნაწილი ეთმობა სხეულიდან გამოყოფილი სითხეების კვლევას?
8. თქვენს სამუშაოსთან დაკავშირებული რაიმე ორგანიზაციის წევრი ხომ არ ხართ?
9. რა ორგანიზაციის?
10. თქვენს სამუშაოსთან დაკავშირებული რაიმე ნაშრომის ავტორი ხომ არ ხართ?
11. რა საკითხზე დაწერეთ?
12. თქვენ მიერ დაწერილი ნაშრომი ყოფილა თუ არა გამოქვეყნებული?
13. თუ გამოქვეყნების გარეშე გავრცელდა, მაშინ ვის შორის?
14. გარდა ამ სფეროში მოღვაწეობისა, თუ გაქვთ სხვა უფლება-მოვალეობანიც?
15. ადრე თუ მიგიციათ ჩვენება ხსეულიდან გამოყოფილი სითხის თაობაზე?
16. სად მიგიციათ ჩვენება სასამართლოში თუ რაიმე ადმინისტრაციული ორგანოში?
17. ადრე ექსპერტად რომელ იურისდიქციაში გამოსულხართ?
18. დაახლოებით რამდენჯერ?

თქვენო ღირსებავ, გთხოვთ, ------- (მოწმის სახელი) გამოცხადდეს ექსპერტად ----- სხეულიდან გამოყოფილი სითხეების სფეროში.

1. შეგიძლიათ ნაფიც მსაჯულებს აუხსნათ, თუ რა სამუშაოს ასრულებთ?
2. სხეულიდან გამოყოფილი რა სახის სითხეების შესწავლას ახდენთ?
3. შენიშვნა: განმარტეთ სისხლის ანალიზი ან სხვა სითხეების ანალიზი, რომელიც გამოკვლევისთვის იყო წარდგენილი. დარწმუნდით, რომ საუბარი გასაგები იყოს ნაფიცი მსაჯულებისთვის.
4. რა მნიშვნელობა აქვს ინფორმაციას, რომელსაც თქვენ მოიპოვებთ ამ სახის ანალიზის შედეგად?
5. თუ სისხლია, მაშინ განმარტეთ ტიპი?
6. თუ სისხლის ან შარდის, ნარკოტიკისა და ალკოჰოლის ტესტისთვის, განმარტეთ?

7. თუ სპერმა მისი არსებობის შემთხვევაში ან სისხლის ჯგუფის დასადგენად, მაშინ განმარტეთ?

ფიზიკური ფაქტის იდენტიფიცირება

1. მოგეცათ საშუალება, რომ დაგეთვალიერებინათ/შეგესწავლათ მტკიცებულება, რომელიც თქვენ გადმოგეცათ ამ საქმეში?
2. მე თქვენ გაჩვენებთ ნივთიერ საბუთს ---- რომელიც მონიშნულია იდენტიფიცირების მიზნით; გთხოვთ, დაათვალიეროთ?
3. გეცნობათ ეს ნივთიერი საბუთი?
4. საიდან გეცნობათ?
5. როდის გადმოგეცათ ეს ნივთიერი საბუთი?
6. სად გადმოგეცათ?
7. რა სახის ტესტები და გამოკვლევები ჩაატარეთ მასზე?
8. ეს თქვენს მფლობელობაში, მზრუნველობასა და კონტროლის ქვეშ იყო იქამდე, სანამდე დაუბრუნებდით სამართალდამცავ ორგანოებს?
9. თქვენ ნივთიერი საბუთი იმავე მდგომარეობაში დააბრუნეთ, რა მდგომარეობაშიც მიიღეთ სამართალდამცავი ორგანოებისგან?

თქვენო ღირსებავ, გთხოვთ, ------- (ნივთიერი საბუთი) მიიღოთ მტკიცებულებად.

10. რა სახის ტესტები და გამოკვლევები ჩაატარეთ ამ მტკიცებულებაზე?
11. რა მიზანს ემსახურებოდა ეს ტესტები და გამოკვლევები?
12. გთხოვთ, დეტალურად აღწეროთ თოთოეული ტესტი და გამოკვლევა?
13. ამ ტესტებმა და გამოკვლევებმა მოგცათ საშუალება მისულიყავით დაკვნამდე?
14. თქვენი დასკვნა ჯდება საფუძვლიანი სამეცნიერო ვარაუდის ფარგლებში (კიდევ უფრო უკეთესი, საფუძვლიანი სამეცნიერო მტკიცების ფარგლები).
15. რა დასკვნა გააკეთეთ?
16. გთხოვთ, განუმარტოთ ეს ნაფიც მსაჯულებს?

შენიშვნა: გამოიყენეთ ეს განმარტება სახელმწიფო ბრალდებისთვის დასკვნის მნიშვნელობის ილუსტრირებისთვის. ასევე შეეცადეთ, უგულებელყოთ ჯვარედინი დაკითხვის შესაძლო გავლენა აღმოჩენების სიზუსტის დემონსტრირებით, ან აბსოლუტური დამაჯერებლობის სამეცნიერო შეუსაბამობის გამორიცხვით ნივთიერების სახის ან მეცნიერების მდგომარეობის გამო.

10. ტოქსიკოლოგიის ექსპერტის მოწმედ კვალიფიკაცია სისხლში ალკოჰოლის ტესტის თაობაზე

მოწმის იდენტიფიცირება

1. გთხოვთ, გვითხრათ თქვენი ვინაობა და მისამართი.
2. სად მუშაობთ/რა პროფესიის ხართ?
3. ვინ არის თქვენი დამსაქმებელი?
4. რამდენი ხანია რაც მუშაობთ (ორგანიზაციის სახელი)?
5. რა სახის განათლება და ტრენინგი გაძლევთ ტოქსიკოლოგის კვალიფიკაციას?
6. რა სახის მომზადება, სწავლება და ტრენინგი გაქვთ გავლილი მომწამვლელი,

ალკოჰოლური და ქიმიური ტესტების თაობაზე სისხლში ალკოჰოლის ოდენობის დასადგენად?

7. თქვენს სამუშაოსთან დაკავშირებული რაიმე ნაშრომის ავტორი ხომ არ ხართ?
8. თქვენს სამუშაოსთან დაკავშირებული რაიმე ორგანიზაციის წევრი ხომ არ ხართ?
9. ჩაგიტარებიათ თუ არა ტესტი სისხლის ნიმუშზე მასში ალკოჰოლის კონცენტრაციის შესამოწმებლად?
10. რამდენჯერ?
11. ადრე სასამართლოში თუ მიგიციათ ჩვენება როგორც ტოქსიკოლოგს?
12. ხართ თუ არა კვალიფიციური სისხლში ალკოჰოლის შემოწმების ჩასატარებლად?
13. თქვენ მიიღეთ სისხლის ნიმუში?
14. იდენტიფიცირების რა ნიშანი იყო ნიმუშზე?
15. აღწერეთ რა უქენით სისხლს?
16. რა აღმოაჩინეთ/გამოავლინეთ სისხლთან დაკავშირებით?
17. არსებობს თუ არა საყოველთაოდ მიღებული თანაფარდობა სისხლში ალკოჰოლის შემცველობასა და ინტოქსიკაციას შორის?
18. თქვენი ტრენინგიდან და გამოცდილებიდან, რა მდგომარეობაში იქნება პიროვნება, რომლის სისხლშიც აღმოჩენილია ---- პროცენტი ეთილის ალკოჰოლი?

11. სამედიცინო ექიმის მოწმედ კვალიფიცირება

მოწმის იდენტიფიცირება

გთხოვთ, სასამართლოს უთხრათ თქვენი სახელი და მისამართი.

რა პროფესიის ბრძანდებით?

ლიცენზირებული ხართ?

რამდენი ხანია, რაც ლიცენზიას ფლობთ?

რომელ სამედიცინო დაწესებულებაში სწავლობდით?

სად გაიარეთ სტაჟირება?

მას შემდეგ, რაც სტაჟირება გაიარეთ, სად გქონდათ პრაქტიკა?

თქვენ ზოგადი თუ სპეციალიზებული პრაქტიკა გაქვთ?

თქვენი ----- წლიანი პრაქტიკის განმავლობაში გქონიათ ხშირად შემთხვევა, რომ გემკურნალათ დაჭრილი ადამიანისთვის?

ფიზიკური ფაქტის დადგენა

1. მოგეცათ თუ არა საშუალება პროფესიულად დაგეთვალიერებინათ ---?
2. სად ნახეთ -----?
3. აღწერეთ მისი მდგომარეობა იმ მომენტისთვის?
4. რა მოიმოქმედეთ თქვენ ამ მომენტისთვის?
5. თქვენ იყავით მისი მკურნალი ექიმი ამ დღიდან?
6. აღწერეთ ის გამოკვლევები, რაც თქვენ ჩაუტარეთ ------ მოცემული მომენტისთვის და პერიოდულად ამის შემდგომ?

7. ყოველდღე ნახულობდით მას (დღეში რამდენჯერმე თავიდან), როდესაც ის საავადმყოფოში იყო?
8. გააგრძელეთ მასზე ზედამხედველობა?
9. რა სიხშირით ნახულობდით მას?
10. რისგან შედგებოდა თქვენი მკურნალობის მეთოდი ზოგადად?
11. რამდენი ოპერაცია ჩაუტარდა?
12. თქვენ პერიოდულად ნახულობდით მას, როგორც მისი მკურნალი თერაპევტი?
13. თქვენი გამოკვლევიდან და მკურნალობიდან დაადგინეთ მისი სხეულის რომელი ორგანოები იყო დაზიანებული?

შენიშვნა: გააგრძელეთ დაკითხვა თქვენი საქმის კონკრეტული მიზნისთვის, მაგალითად, უუნარობის დადგენა, ფიზიკური ტკივილის ხარისხი, ტანჯვა და აშ.

12. სამედიცინო რენტგენის მტკიცებულებად იდენტიფიცირება და წარდგენა

მოწმის იდენტიფიცირება

1. გთხოვთ, სასამართლოს უთხრათ თქვენი სახელი და მისამართი
2. თქვენი პროფესია და საქმიანობა?
3. გაქვთ თუ არა ლიცენზია?
4. რამდენი ხანია რაც ლიცენზია გაქვთ?
5. რომელი სამედიცინო სასწავლებელი დაამთავრეთ?
6. სად გაიარეთ სტაჟირება?
7. მას შემდეგ, რაც დაასრულეთ სტაჟირება, სად გაიარეთ პრაქტიკა?
8. თქვენ ზოგადი პროფილის თუ სპეციალიზებული პრაქტიკა გაქვთ?
9. თქვენი პროფესიული გამოცდილების პერიოდში, გქონდათ თუ არა საკმარისი გამოცდილება რენტგენის გადაღების, გამჟღავნებისა და წაკითხვის?

ფიზიკური ფაქტის იდენტიფიცირება

1. როდის გადაიღეთ სურათი?
2. სად გადაიღეთ სურათი?
3. კარგი რენტგენის აპარატი გაქვთ?
4. ტექნიკოსი კომპიუტერის ოპერატორია?
5. ყველა ეს სურათი გადაღებულია და გამჟღავნებულია თქვენი მონაწილეობით და ზედამხედველობით?
6. თქვენ ეს სურათები ნახეთ დაუყოვნებლივ მას შემდეგ, რაც ისინი გამჟღავნდა?
7. სხეულის რომელ ნაწილზე გადაიღეთ რენტგენი?
8. მე თქვენ გაჩვენებთ ნივთიერ საბუთს, რომელიც მონიშნულია ნომრად ----; გთხოვთ, დაათვალიეროთ?
9. ექიმო, ეს ნივთიერი საბუთი არის რენტგენის სურათი ----?
10. როგორ ახდენთ ამ სურათის იდენტიფიცირებას თქვენს გადაღებულთან?
11. შეგიძლიათ მიუთითოთ ის ადგილები, რომლის დახმარებითაც ახდენთ იდენტიფიცირებას?
12. როდის გაუჩნდა ამ ფოტოს ეს მონიშვნები?

13. ვის მიერ?
14. რა ერთვის თან მარკერს?
15. ეს რენტგენის ფირი, მონიშნული როგორც ნივთიერი საბუთი ——— სწორად და აშკარად ასახავს სხეულის იმ ნაწილს, რომლისთვისაც გამიზნული იყო?

შენიშვნა: გადაეცით ადვოკატს

თქვენო ღირსებავ, გთხოვთ, ნივთიერი საბუთი ----- მიიღოთ მტკიცებულებად.

1. ექიმო, გთხოვთ ისევე ისაუბროთ ნივთიერ საბუთზე და განგვიმარტოთ იგი?
2. ასეთი სახის დაზიანება რა გავლენას ადამიანის ჯანმრთელობაზე?
3. თქვენი აზრით, გონივრული სამედიცინო გამოკვლევის საფუძველზე, ეს მდგომარეობა დროებითია თუ მუდმივი?

13. პათოლოგიის ექსპერტის გვამის გაკვეთვის მტკიცებულებისთვის კვალიფიკაცია

მოწმის იდენტიფიკაცია

1. გთხოვთ სასამართლოს გააცნოთ თქვენი სახელი და მისამართი.
2. თქვენი პროფესია/საქმიანობა?
3. თქვენ ლიცენზირებული თერაპევტი და ქირურგი ხართ?
4. რომელ შტატში?
5. რამდენი ხანია რაც გაქვთ ლიცენზია და ახორციელებთ პრაქტიკას?
6. ამჟამად თუ ახორციელებთ პრაქტიკას?
7. სად გაქვთ მიღებული ტრენინგი პათოლოგიაში?
8. რა მოვალეობებს ასრულებს სამედიცინო გამომკვლევი?
9. სამედიცინო გამომკვლევს იგივე მოვალეობა აქვს, რაც კორონერს ზოგიერთ შტატში?
10. სამუშაო მოიცავს თუ არა ავტოფსიის (გვამის გაკვეთვის) ჩატარებას?
11. თქვენი სამედიცინო გამომკვლევად მუშაობის პრაქტიკის პერიოდში, რამდენი გვამის გაკვეთა ჩაგიტარებიათ?
12. თქვენ მუდმივი თანამშრომელი ბრძანდებით, თუ გაქვთ რაიმე კავშირი სამეცნიერო, საუნივერსიტეტო თუ აკადემიურ ინსტიტუტებთან?
13. თქვენ პრაქტიკას ახორციელებთ რაიმე კონკრეტულ სფეროში?
14. კონკრეტულად რა შედის პათოლოგიების სფეროში?
15. თქვენ ბრძნდებით წევრი რაიმე სამედიცინო ან სამეცნიერო ორგანიზაციის ან ასოციაციის?
16. რომელი?
17. რა არის ამ ორგანიზაციის/ასოციაციის გამგეობის მიზნები?
18. რა სპეციალურ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს პირი იმისათვის, რომ მიიღოს სერტიფიკატი ან დიპლომი?
19. აპლიკანტმა სპეციალური გამოცდა უნდა გაიაროს, რომელსაც საბჭო ატარებს იმისათვის, რომ მიიღოს პათოლოგიების სპეციალისტის სტატუსი?
20. თქვენ ახსენეთ სასამართლო სამედიცინო პათოლოგია. შეგიძლიათ განმარტოთ რას ნიშნავს ეს ტერმინი?
21. თქვენ გაქვთ მიღებული სერტიფიკატი — - — -?
22. თქვენი სერტიფიკატი თქვენს ლიცენზიასთან ერთად განიჭებთ უფლებას გა-

ნახორციელოთ სამედიცინო პრაქტიკა?

23. სერტიფიცირების პროცესი ეროვნულ დონეზე ტარდება?
24. თქვენ ხართ რაიმე სახელმძღვანელოს ან სპეციალური ნაშრომების ავტორი პათოლოგიის სფეროში?
25. რამდენი ავტოფსია ჩაგიტარებიათ?
26. თქვენი გამოცდილების პერიოდში სამედიცინო გამოკვლევის სამსახურში გქონიათ თუ არა საშუალება დაკვირვებოდით შემთხვევებს, როდესაც სიკვდილის მიზეზი იყო. . . ?

თქვენო ღირსებავ, გთხოვთ, მოწმე — - — (სახელი და გვარი) მიიჩნიოთ ექსპერტად პატოლოგიის სფეროში.

შენიშვნა: აქ უკვე შეგიძლიათ ექიმს მისცეთ საშუალება ჩვენება მისცეს თქვენთვის საინტერესო და მნიშვნელოვან ავტოფსიაზე, თუ მან ჩაატარა ავტოფსია, და თუ მას არ ჩაუტარებია, მაშინ დაუსვით ჰიპოტეტური შეკითხვები.

ფიზიკური ფაქტის იდენტიფიცირება

1. ----- თვის განმავლობაში თქვენ ჩაატარეთ ერთი თუ მეტი ავტოფსია?
2. გახსოვთ სად იყავით ---- დღეს?
3. თქვენ ჩაატარეთ გვამის გაკვეთა (ები) ---- (რიცხვი) ---- (ვინაობა)?
4. მე თქვენ განახებთ სურათს, რომელიც მონიშნულია როგორც ნივთიერი საბუთი იდენტიფიცირებისთვის?
5. ცნობთ ამ სურათს?
6. რას აღწერს ეს სურათი? (ექიმი ახდენს მსხვერპლის იდენტიფიცირებას)
7. თქვენ თავად ჩაატარეთ ავტოფსია ამ კონკრეტული პიროვნების ---- (სახელი)?
8. როდის ნახეთ პირველად ეს პიროვნება?
9. ეს ავტოფსიის დროს მოხდა?
10. რამდენი ხანი გაგრძელდა ეს ავტოფსია?
11. სად ჩატარდა ავტოფსია?
12. ამ კონკრეტული ავტოფსიის შედეგად, დასაბუთებული სამედიცინო დამაჯერებლობის ფარგლებში, ჩამოგიყალიბდათ თუ არა ექსპერტის მოსაზრება სიკვდილის მიზეზთან დაკავშირებით?
13. რაში მდგომარეობს ეს მოსაზრება?

14. საავტომობილო ავარიის მტკიცებულებად რეკონსტრუქცია

მოწმის იდენტიფიცირება

1. გთხოვთ, სასამართლოს მოახსენოთ თქვენი სახელი, ვინაობა და მისამართი?
2. თქვენი პროფესია და საქმიანობა?
3. სად მუშაობთ?
4. რამდენი ხანია რაც ამ უწყებაში (უწყების სახელი) მუშაობთ?
5. იმავე უწყებაში მუშაობდით ----დღეს?
6. რაიმე სპეციალიზებულ სასწავლებელში ხომ არ გივლიათ, რომელიც თქვენს სამუშაოსთან არის კავშირში? (შემთხვევის რეკონსტრუქცია)

7. შეგიძლიათ ჩამოთვალოთ ეს სპეციალიზებული სასწავლებლები?
8. როდის დადიოდით ამ სპეციალიზებულ სასწავლებლებში?
9. სად დადიოდით ამ სპეციალიზებულ სასწავლებლებში?
10. რამდენი ხანი დადიოდით ამ სპეციალიზებულ სასწავლებლებში?
11. რისგან შდეგებოდა ტრენინგი?
12. ამ სფეროში თქვენი ცოდნისა და პროფესიონალიზმის შესამოწმებლად ტესტირება ხომ არ გაგივლიათ?
13. წარმატებით დაასრულეთ ეს კურსი?
14. კურსის დასრულების შემდეგ გადმოგეცათ თუ არა სერტიფიკატი ან სხვა რაიმე დოკუმენტი?
15. მას შემდეგ, რაც დაასრულეთ სასწავლო კურსები, გქონიათ თუ არა შესაძლებლობა გამოგეძიათ საავტომობილო ავარიები?
16. დაახლოებით რამდენჯერ?
17. სასამართლოში ჩვენება თუ მიგიციათ ადრე საავტომობილო ავარიების თაობაზე?
18. დაახლოებით რამდენჯერ?

თქვენო ღირსებავ, გთხოვთ, მოწმე (სახელი და გვარი) მიიჩნიოთ ექსპერტად საავტომობილო ავარიების საკითხებში.

ფიზიკური ფაქტების იდენტიფიცირება

1. თქვენ გამოიძიეთ საავტომობილო ავარიის შემთხვევა ------ (თარიღი), რომელსაც ადგილი ჰქონდა ----- (მდებარეობა)?
2. რა დაინახეთ, როდესაც შემთხვევის ადგილას მიხვედით?
3. რამდენი მანქანა მონაწილეობდა ავარიაში?
4. როგორ იყვნენ ეს მანქანები განლაგებული?
5. რა კუთხით იყო მანქანა განთავსებული?
6. რაიმე ფიზიკური მტკიცებულება თუ შეამჩნიეთ, რომლის მიხედვითაც განსაზღვრავდით მანქანის გადაადგილების მიმართულებას?

   სხეულის ნაწილები

   სხვა ფიზიკური მტკიცებულება, როგორიცაა მოგლეჯილი ხეები, საგაზაო ნიშნები ან ღობეები.
7. შეამჩნიეთ მუხრუჭის მონიშვნა მიწაზე?
8. თქვენი გამოძიების შედეგად, თქვენ ჩამოგიყალიბდათ ექსპერტის მოსაზრება შემდეგ საკითხებზე:

   ავტომობილის სიჩქარე,

   ავტომობილის მოძრაობის მიმართულება,

   რომელი ავტომობილის ბრალით მოხდა ავტოავარია?

15. საავადმყოფოს ჩანაწერების იდენტიფიცირება და მტკიცებულებად წარდგენა

მოწმის იდენტიფიცირება

1. გთხოვთ, სასამართლოს უთხრათ თქვენი სახელი და მისამართი.
2. თქვენი პროფესია და საქმიანობის სფერო?

3. სად მუშაობთ?
4. რა თანამდებობა გიკავიათ?
5. ფიზიკური ფაქტების იდენტიფიცირება
6. მიიღეთ სასამართლოში გამოცხადების შეტყობინება საავადმყოფო ჩანაწერების თაობაზე?
7. მოიტანეთ ეს ჩანაწერები?
8. შეგიძლიათ ამ საავადმყოფოს ჩანაწერების იდენტიფიცირება მოახდინოთ?
9. თქვენ თვითონ მოიპოვეთ საავადმყოფო ჩანაწერები?
10. როგორ დაამზადეთ საავადმყოფო ჩანაწერები?
11. საავადმყოფოს ჩანაწერები თქვენი მეთვალყურეობის, მზრუნველობისა და მფლობელის ქვეშ იყო?
12. საავადმყოფო ჩანაწერები ჩვულებრივი წესების დაცვით იყო გაკეთებული?
13. საავადმყოფო ჩანაწერები გაკეთებული იყო იმ მომენტში, როდესაც ადგილი ჰქონდა შემთხვევას თუ გამოვლენას?
14. მსგავსი სასამართლო ჩანაწერები რეგულარულად კეთდება და ინახება?

თქვენო ღირსებავ, გთხოვთ, ეს ჩანაწერები მონიშნოთ როგორც სახელმწიფო ნივთიერი საბუთი ------ და მიიღოთ იგი მტკიცებულებად.

16. გარდაცვლილი თერაპევტის მიერ მომზადებული საავადმყოფოს ჩანაწერების განხილვა

მოწმის იდენტიფიცირება

1. გთხოვთ, სასამართლოს მოახსენოთ თქვენი სახელი და მისამართი.
2. რა არის თქვენი პროფესია და საქმიანობა?
3. თქვენ ლიცენზირებული ბრძანებით მედიცინის ამ სფეროში ---- (სფერო) პრაქტიკის განხორციელებაში?
4. რამდენი ხანია რაც ლიცენზიას ფლობთ?
5. გთხოვთ, სასამართლოს მოახსენოთ თქვენი განათლება და ტრენინგები, რომელიც თქვენ გავლილი გაქვთ და რაც განიჭებთ თერაპევტის კვალიფიკაციას?
6. სად სწავლობდით?
7. რომელი სამედიცინო სასწავლებელი დაამთავრეთ?
8. სად გაიარეთ სტაჟირება?
9. სად გაიარეთ რეზიდენტურა?
10. ფლობთ რაიმე სერტიფიკატს?
11. რა სახის სამედიცინო პრაქტიკას ახორციელებთ, როგორც ---- (მიუთითეთ ექიმის სპეციალიზაცია)?
12. თქვენი სპეციალიზაციით ჩვეულებრივ პრაქტიკაში გიწევთ სხვა ექიმის მიერ პაციენტის თაობაზე მომზადებული სამედიცინო ჩანაწერებით ხელმძღვანელობა?
13. ასეთი ჩანაწერებიდან ადვილია დასკვნის გაკეთება პაციენტის დიაგნოზზე და მკურნალობის მეთოდზე?
14. დაახლოებით რა სიხშირით გიწევთ ამის გაკეთება?

შენიშვნა: შემდეგი შეკითხვები მხოლოდ იმ შემთხვევაში დაუსვით, თუ ექიმს ადრე მიცემული აქვს ჩვენება მოწმის სტატუსით.

15. ადრე ექსპერტი მოწმის კვალიფიკაცია გქონდათ სფეროში (მიუთითეთ ექიმის სპეციალიზაცია) ამ შტატის ან სხვა შტატის სასამართლოში?
16. დაახლოებით რამდენ შემთხვევაში?

თქვენო ღირსებავ, გთხოვთ, მოწმე (სახელი და გვარი) მიიჩნიოთ ექსპერტად სფეროში ------

ფიზიკური ფაქტების იდენტიფიცირება

1. მე თქვენ გაჩვენებთ რაც მონიშნულია, როგორც ნივთიერი საბუთი ---- იდენტიფიცირებისთვის, გთხოვთ, დაათვალიეროთ.
2. თქვენი გამოკვლევის შედეგად ნივთიერი საბუთის ———————— და თქვენი, როგორც მედიცინის პრაქტიკოსი თანამშრომლის გამოცდილების მიხედვით, რაიმე მოსაზრება ხომ არ ჩამოგიყალიბდათ?
3. რა აზრი ჩამოგიყალიბდათ?

17. საქმიანი ჩანაწერები – ავტორის ჩვენება

შენიშვნა: „საქმიანი ჩანაწერი“ არის სანდო, ვინაიდან (1) ჩანაწერი გაკეთებულია და შენახულია ჩვეულებრივი საქმიანი მოთხოვნების პირობებში; (2) ეს ჩანაწერი გაკეთდა შემთხვევის დროს ან ახლო პერიოდში. ამის დამტკიცება შესაძლებელია ავტორის, მფლობელის ან სხვა კვალიფიციური პირის ჩვენების საფუძველზე. შტატების ნახევარზე მეტს მიღებული აქვს „უნიფიცირებული საქმიანი ჩანაწერების მტკიცებულების აქტი“ (გთხოვთ, წინასწარ გადაამოწმოთ მსგავსი კოდექსი მიღებულია თუ არა თქვენი შტატის მიერ)

ქვემოთ მოცემული შეკითხვები გულისხმობს, რომ გადამზიდავი კომპანიისა და მისი მძღოლების წინააღმდეგ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე ტვირთის უკანონო გადმოცლისთვის. ორგანიზაციის ჩანაწერები, რომელმაც ეს კომპანია დაიქირავა, საქმეში წარმოდგენილია, როგორც „საქმიანი ჩანაწერები“.

მოწმის იდენტიფიცირება

1. გთხოვთ, სასამართლოს უთხრათ თქვენი სახელი და მისამართი.
2. თქვენი პროფესია და საქმიანობა? (ტვირთის შეგროვების მენეჯერი)
3. რა თანამდებობაზე მუშაობთ?
4. სად მუშაობთ?
5. რამდენი ხანია, რაც ამ კომპანიაში (კომპანიის სახელი) მუშაობთ?
6. რა სახის საქმიანობას ეწევა თქვენი ორგანიზაცია?
7. გთხოვთ, აღწეროთ ორგანიზაციის პასუხისმგებლობები? (ტვირთის შეგროვებისა და განთავსების ფორმების შევსება)

ფიზიკური ფაქტების იდენტიფიცირება

1. რა სახის ინფორმაცია ავსებთ, როდესაც ტვირთი გადაგაქვთ?

2. საიდან იძენთ ინფორმაციას, რომელიც ფორმაში შეგაქვთ?
3. როდის აკეთებთ წერილობით ჩანაწერებს ფორმაში? (მოქმედების დროს, მისი დასრულების შემდეგ)
4. რა სიხშირით ამზადებთ ამ ფორმებს? (თითოეულ შემთხვევაში, როდესაც ხდება ტვირთის გადაზიდვა)
5. რა პროცედურა მოქმედებს თქვენი სამსახურში არყოფნის შემთხვევაში? (თანაშემწე ამზადებს)
6. ფორმაში შეტანილი ინფორმაცია ზუსტად ასახავს თუ არა მოქმედებას?
7. რა ხდება მას შემდეგ, რაც თქვენ ან თქვენი თანაშემწე მოამზადებს ფორმას?
8. რამდენი ხანი ინახავს კომპანია ამ ფორმებს?
9. ჩვეულებრივ სამუშაო პირობებში ხდება ამ ფორმების შენახვა?
10. თქვენ სასამართლოში გამოცხადების უწყისი მიიღეთ, სადაც გთხოვდნენ ბოლო ერთი თვის განმავლობაში ტვირთის გადაზიდვის ფორმების წარმოდგენას?
11. რა პროცედურები განახორციელეთ სასამართლოს ამ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად?
12. თუ მოიტანეთ დღეს რამე?

თქვენო ღირსებავ, გთხოვთ, ეს ჩანაწერები მონიშნოთ როგორც ნივთიერი საბუთი ----- სამომავლო იდენტიფიცირებისთვის.

13. მე თქვენ გაჩვენებთ იმას, რაც მონიშნულია ნივთიერ საბუთად ----; გთხოვთ, დაათვალიერეთ ეს.
14. შეგიძლიათ ამ ნივთიერი საბუთის იდენტიფიცირება?
15. შეგიძლიათ გვითხრათ, ვის მიერ არის შევსებული ეს ფორმები? (დიახ, მე შევავსე).
16. ამ ფორმაზე სადმე არის ვინმე სხვა პირის ხელნაწერი გარდა თქვენისა? (არა)

თქვენო ღირსებავ, გთხოვთ, ეს ნივთიერი საბუთი --- მიიღოთ მტკიცებულებად.

18. საქმიანი ჩანაწერები – ავტორი არ არის ხელმისაწვდომი ჩვენების მისაცემად: მეურვე იცნობს მონაცემების მომზადებისა და შენახვის წესებს.

მოწმის იდენტიფიცირება

1. გთხოვთ, სასამართლოს უთხრათ თქვენი სახელი და მისამართი.
2. თქვენი პროფესია და საქმიანობა?
3. სად მუშაობთ?
4. რამდენი ხანია რაც მუშაობთ? (კომპანიის სახელი)
5. რა სახის საქმიანობას ეწევა ტვირთების გადამზიდავი კომპანია?
6. თქვენს, როგორც ოფისის მენეჯერის მოვალეობებში შედის ჩანაწერების მომზადების პასუხისმგებლობა ტვირთის გადაზიდვის თაობაზე? (გადაზიდვის მენეჯერი ან მისი თანაშემწე ავსებენ და ინახავენ ამ ფორმებს ჩემი ზედამხედველობის ქვეშ).

ფიზიკური ფაქტების იდენტიფიცირება

1. რამდენი ხანი ინახავს კომპანია ამ ფორმებს?
2. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ხდება ამ ფორმების შენახვა?
3. თქვენ სასამართლოში გამოცხადების უწყისი მიიღეთ, სადაც გთხოვდნენ ბოლო ერთი თვის განმავლობაში ტვირთის გადაზიდვის ფორმების წარმოდგენას?
4. რა პროცედურები განახორციელეთ სასამართლოს ამ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად?
5. თუ მოიტანეთ დღეს რამე?
6. თქვენო ღირსებავ, გთხოვთ, ეს ჩანაწერები მონიშნოთ, როგორც ნივთიერი საბუთი ----- სამომავლო იდენტიფიცირებისთვის.
7. მე თქვენ გაჩვენებთ იმას, რაც მონიშნულია ნივთიერ საბუთად ----; გთხოვთ, დაათვალიერეთ ეს.
8. შეგიძლიათ ამ ნივთიერი საბუთის იდენტიფიცირება?
9. შეგიძლიათ გვითხრათ ვის მიერ არის შევსებული ეს ფორმები? (დიახ, ვცნობ ხელწერას, ხელმოწერას და აშ).
10. თქვენი გადაზიდვის მენეჯერი სასამართლოშია? (არა, არ ეცალა, გარდაიცვალა და აშ).
11. ვინაიდან თქვენ შეინახეთ ეს ფორმები, შეგიძლიათ გვითხრათ რაიმე ფორმით ხომ არ შეცვლილა ისინი?

თქვენო ღირსებავ, გთხოვთ, ეს ნივთიერი საბუთი --- მიიღოთ მტკიცებულებად.

19. მეხსიერების აღდგენა

მოწმის იდენტიფიცირება

1. გთხოვთ, სასამართლოს უთხრათ თქვენი სახელი და მისამართი.
2. რას საქმიანობთ, რა პროფესიის ხართ?
3. სად მუშაობთ?
4. რამდენი ხანია, რაც ამ კომპანიაში მუშაობთ (კომპანიის სახელი).

ფიზიკური ფაქტის იდენტიფიცირება

1. გახსოვთ, თითოეული ნივთი რომელიც შეინახეთ? (ყველა ნივთი არ მახსოვს).
2. რაიმე საშუალებით შეგიძლიათ გაიხსენოთ ეს ნივთები? (გადაზიდვის ბარათი მომზადებული ნივთების შეფუთვის პროცესში).
3. მე თქვენ გაჩვენებთ იმას, რაც მონიშნულია ნივთიერ საბუთად ----; გთხოვთ, დაათვალიერეთ ეს.
4. ეს ის გადაზიდვის ბარათია, რომელზედაც თქვენ საუბრობდით?
5. ვინ მოამზადა ეს ბარათი? (მოწმე)
6. როგორ შეგიძლიათ მოახდინოთ იმის იდენტიფიცირება, რომ თქვენ მოამზადეთ ეს ბარათი? (მოწმე ამოიცნობს ხელმოწერას, ინიციალებსა და ხელწერას).
7. ეს ბარათი ჩვეულებრივი სამუშაო წესების დაცვით შეივსო?
8. ეს ბარათი მაშინ მომზადდა, როდესაც თქვენ გადაზიდვისთვის ტვირთებს ფუთავდით?

9. თქვენ ზუსტად მიუთითეთ თითოეული ნივთი, რომელიც შეფუთეთ გადაზიდვისთვის?
10. გთხოვთ, წაიკითხოთ ნივთიერი საბუთი ——— (ჩუმად თქვენთვის) და გვითხარით, თუ გაგახსენდათ თითოეული ის ნივთი, რომელიც გადაზიდვისთვის შეფუთეთ?
11. მას შემდეგ, რაც გაეცანით ნივთიერ საბუთს ——— გაგახსენდათ გადაზიდული ნივთები?

შენიშვნა: თუ ეს დოკუმენტი აძლევს საშუალებას მოწმეს გაიხსენოს მოვლენები მაშინ დასვით მომდევნო შეკითხვა.

12. რა ნივთები შეფუთეთ?

შენიშვნა: თუ ნივთიერი საბუთი მოწმეს არ ახსენებს ან ნაწილობრივ ახსენებს მოვლენებს, მაშინ მოწმის ჩვენების დასრულების შემდეგ მოითხოვეთ ნივთიერი საბუთის მტკიცებულებად მიღება: ინფორმაცია ნივთიერი საბუთის თაობაზე სწორია და მართალი მისი შევსების მომენტისთვის და მომზადდა გადაზიდვის მომენტისთვის. შესთავაზეთ მოწმეს ჯვარედინი დაკითხვა ნივთიერი საბუთის აუთენტურობის დასადგენად.

13. გთხოვთ, წაიკითხოთ --- ნივთიერი საბუთი --- (ან მისი ნაწილი) ნაფიცი მსაჯულებისთვის.

შენიშვნა: მას შემდეგ, რაც ნივთიერი საბუთი მიღებულია, ეს უკვე ხდება მტკიცება წარსული მოვლენების.

თქვენო ღირსებავ, გთხოვთ, ეს ნივთიერი საბუთი მიიღოთ მტკიცებულებად.

20. საბანკო ამონაწერის, როგორც საწყისი მტკიცებულების იდენტიფიცირება და წარდგენა

მოწმის იდენტიფიცირება

1. გთხოვთ სასამართლოს გააცნოთ თქვენი სახელი და მისამართი.
2. თქვენი საქმიანობა/პროფესია?
3. სად მუშაობთ?
4. რამდენი ხანია, რაც ამ ორგანიზაციაში მუშაობთ? (მიუთითეთ ორგანიზაციის სახელი)
5. რამდენი ხანია რაც ეს თანამდებობა გიკავიათ?
6. თქვენს მოვალეობაში შედის მონაცემების შენახვა? (დიახ)
7. გთხოვთ, განმარტოთ (ჩემს მოვალეობაში შედის ყველა საბანკო ანგარიშების მონაცემების შენახვა, მათ შორის მიკროფირის ნეგატივების).

ფიზიკური ფაქტის იდენტიფიცირება

1. თქვენ გადმოგეცათ სასამართლოს უწყისი სასამართლოში ბანკის ჩანაწერების წარდგენის თაობაზე?
2. რა ჩანაწერები მოიტანეთ? (მიკროფილმის ასლები, ხელმოწერის ბარათები, დეპოზიტის ბარათები, ჩეკები და აშ).
3. გთხოვთ, დეტალებში აღწეროთ ანგარიში?

4. თქვენს მოვალეობებში შედის ამ ჩანაწერების შენახვა, ზედამხედველობა და კონტროლი?
5. მე თქვენ გაჩვენებთ იმას, რაც მონიშნულია ნივთიერ საბუთად ----; გთხოვთ, დაათვალიერეთ ეს.
6. აგვიწერეთ, თუ როგორ მზადდება/მიიღება თითოეული ნივთიერი საბუთის ორიგინალი ბანკში? (ვინ, როდის, სად, როგორ)
7. მას შემდეგ, რაც (თითოეული ნივთიერი საბუთი) მომზადებულია/მიღებულია ბანკის მიერ, რა ემართება თითოეულ მათგანს (თითოეული ნივთი მიკრო-ფირზე ინახება).
8. ეს ნივთიერი საბუთები იწერება მიკროფირზე, როგორც წესი, ჩვეულებრივი საბანკო ოპერაციების დროს?
9. თითოეული მიკროფილმის ასლი მონიშნულია როგორც ნივთიერი საბუთი --- სწორად ასახავს ორიგინალს?

თქვენო ღირსებავ, გთხოვთ, ნივთიერი საბუთი ---- მიიღოთ მტკიცებულებად.

21. მეორეხარისხოვანი მტკიცებულების (ფოტოასლი) იდენტიფიცირება და წარდგენა

ფიზიკური ფაქტების იდენტიფიცირება

შენიშვნა: დასვით შეკითხვები, რომლითაც დაადგენთ (ა) მოწმე არის ავტორი, მფლობელი და სხვა ფორმით კვალიფიცირებული და (ბ) ორიგინალი ჩანაწერის მომზადების პროცედურა (საქმიანი ჩანაწერები).

1. ჩვეულებრივ მუშაპროცესში რა ემართება ამ ჩანაწერებს? (რეპროდუქცია ან ასლი).
2. როგორ მზადდება ასლები (რეპროდუქცია) (ფოტოასლი ან სხვა ფოტო პროცესი).
3. ეს პროცესი სწორად ასახავს ორიგინალს?
4. თქვენ გადმოგეცათ სასამართლოს უწყისი სასამართლოში ორიგინალის ასლების წარდგენის თაობაზე? (მოიტანეთ თან ეს ასლები?).
5. თქვენო ღირსებავ, გთხოვთ, ეს ნივთიერი საბუთი ---- მონიშნოთ სამომავლო იდენტიფიცირებისთვის.
6. მე თქვენ გაჩევნებთ ნივთიერ საბუთს, ----- გთხოვთ, დაათვალიეროთ.
7. შეგიძლიათ მათი იდენტიფიცირება და აღწერა.
8. თქვენო ღირსებავ, გთხოვთ, ეს ნივთიერი საბუთი დაუშვათ მტკიცებულებად.

ფიზიკური ფაქტების იდენტიფიცირება

შენიშვნა: დასვით შეკითხვა და დაადგინეთ (ა) მოწმე არის ავტორი, მეურვე ან სხვა სახის კვალიფიციური მოწმე, (ბ) პროცესი, რომლითაც მომზადდა ორიგინალი ასლი.

1. თქვენ გადმოგეცათ სასამართლოს უწყისი სასამართლოში ორიგინალის ასლების წარდგენის თაობაზე?
2. მოიტანეთ ეს ჩანაწერები? (არა)

3. რატომ არ მოიტანეთ ეს ჩანაწერები სასამართლოში? (პასუხმა უნდა დააკმაყოფილოს მტკიცებულების წესი, მაგალითად, არ იყო ხელმისაწვდომი, სცდება მის იურისდიქციას, ვერ ხდება ასლების გაკეთება).
4. ორიგინალის ასლები თუ მოიტანეთ?
5. როგორ დაამზადეთ ასლები?
6. ასლები სწორად და ზუსტად ასახავს ორიგინალს? (ფაქტობრივ საფუძველს; პირადად შეადარეთ ასლები ორიგინალს).
7. თქვენო ღირსებავ, გთხოვთ, ეს – -- მოინიშნოს, როგორც ნივთიერი საბუთი ---- სამომავლო იდენტიფიცირებისთვის.
8. მე თქვენ გადმოგცემთ ნივთიერ საბუთს ---- შეგიძლიათ მათი იდენტიფიცირება და აღწერა.

თქვენო ღირსებავ, გთხოვთ, სახელმწიფოს ნივთიერი საბუთი ---- მიიღით მტკიცებულებად.

22. ბავშვის მოწმედ კვალიფიკაცია

მოწმის იდენტიფიცირება

1. თქვენი ვინაობა?
2. რამდენი წლის ხართ?
3. როდის არის თქვენი დაბადების დღე?
4. სკოლაში დადიხართ?
5. რომელ სკოლაში დადიხართ?
6. რომელ კლასში ხარ?
7. რა ნიშნებზე სწავლობ?
8. გასულ წელს ვინ იყო თქვენი მასწავლებელი?
9. სად ცხოვრობთ?
10. სად დაიბადეთ?
11. თქვენ ახლა ხელი გქონდათ აწეული, იცით ეს რას ნიშნავს?
12. რას ნიშნავს?
13. იცით, განსხვავება მარჯვენასა და მარცხენას შორის?
14. შეგიძლიათ მითხრათ რა განსხვავებაა?
15. ამბის მოყოლა სწორია თუ არასწორი?
16. თუ აქ იჯდეთ და ამ ხალხისთვის მოგიწევთ მოყოლა იმ ამბის, რომელიც არ არის სწორი, მაშინ თქვენ რა მოგივათ?
17. იცით, რას ნიშნავს ტყუილის თქმა?
18. ნანახი გყავდით, სანამ სასამართლოში მოხვიდოდით?
19. სად იყო ეს?
20. როდის იყო ეს?
21. კიდევ ვინ იყო იქ?
22. გახსოვთ მე რამე ხომ არ მიკითხავს ქვენთვის?
23. რა გკითხეთ?
24. მე გითხარით რაც მოხდა, თუ თქვენ მითხარით რაც მოხდა?

25. მე გითხარით რამე?

26. რა გითხარით?

თქვენო ღირსებავ, გთხოვთ, ეს მოწმე მიიჩნიოთ კომპეტენტურად ჩევნება მისცეს ამ საქმეზე.

23. დიაგრამის იდენტიფიცირება და მტკიცებულებად წარდგენა

მოწმის იდენტიფიცირება

1. გთხოვთ, სასამართლოს მოახსენოთ თქვენი სახელი და მისამართი.
2. რა არის თქვენი პროფესია და საქმიანობა?
3. სად მუშაობთ?
4. რამდენი ხანია, რაც ამ კომპანიაში მუშაობთ (კომპანიის სახელი)?
5. რა არის თქვენი მოვალეობები?
6. თქვენი მორიგეობის დღე იყო --- (მიუთითეთ რიცხვი)?
7. თქვენ გქონდათ საშუალება ამ საქმის გამოძიებაში მიგეღოთ მონაწილეობა?
8. სად მიხვედით იმისათვის, რომ მიგეღოთ მონაწილეობა გამოძიებაში?

ფიზიკური ფაქტის იდენტიფიცირება

1. ამ ადგილის დიაგრამა თქვენ მოამზადეთ?
2. ოფიცერო, მე თქვენ გაჩვენებთ ნივთიერ საბუთს ----; გთხოვთ, დაათვალიეროთ.
3. გეცნობათ ეს ნივთიერი საბუთი?
4. საიდან გეცნობათ?
5. როდის მომზადდა ეს ნივთიერი საბუთი თქვენ მიერ?
6. სად მომზადდა ეს ნივთიერი საბუთი თქვენ მიერ?
7. როგორ მომზადდა?
8. სწორად აღწერს ნივთების ურთიერთდამოკიდებულებას ერთმანეთის მიმართ?
9. დისტანციები და მიმართულებები აღნიშნულია?
10. ეს ნივთიერი საბუთი არსებითად იმავე მდგომარეობაშია რა მდგომარეობაშიც მომზადების მომენტში იყო?
11. რაიმე ცვლილებები ხომ არ არის?

თქვენო ღირსებავ, გთხოვთ, ნივთიერი საბუთი ---- მიიღოთ მტკიცებულებად.

12. ოფიცერო, გთხოვთ, აგვიხსნათ როგორ მოამზადეთ დანაშაულის ადგილის დიაგრამ.
13. სასამართლოს ნებართვით, მინდა ვთხოვო ოფიცერს, დიაგრამა აუხსნას ნაფიც მსაჯულებს (ოფიცერმა დიაგრამაზე უნდა მიუთითოს მნიშვნელოვანი გარემოებების შესახებ)
14. გმადლობთ, გთხოვთ, დაიკავოთ თქვენი ადგილი მოწმის სკამზე.

24. მტკიცებულების შედარების ექსპერტის მოწმედ კვალიფიცირება

მოწმის იდენტიფიცირება

1. გთხოვთ, სასამართლოს უთხრათ თქვენი ვინაობა და მისამართი.
2. რა არის თქვენი პროფესია და საქმიანობა?
3. სად მუშაობთ?
4. მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა რაში მდგომარეობს?
5. რამდენი ხანია, რაც იმ სამუშაოს ასრულებთ, რაც ახლა აღწერეთ?
6. გთხოვთ, გვითხრათ ის სპეციალური კურსები ან პროგრამები, რაც თქვენ გავლილით გაქვთ იმისათვის, რომ იყოთ კვალიფიციური ამ სფეროში?
7. რამდენ ხანს უთმობთ იმ მოვალეობების შესრულებას, რაზეც ახლა ისაუბრეთ?
8. ამ გამოკვლევების ჩასატარებლად რა ტექნიკური საშუალებები გაქვთ?
9. ადრე სასამართლოში თუ მიგიციათ ჩვენება ექსპერტის სტატუსით?

ფიზიკური ფაქტების იდენტიფიცირება

1. მე თქვენ გადმოგცემთ ნივთიერ საბუთს --- გთხოვთ, დათვალიეროთ.
2. გქონდათ ამ ნივთიერი საბუთის შესწავლის საშუალება?
3. მე ასევე გადმოგცემთ ნივთიერ საბუთს ---- და მინდა შეგეკითხოთ, თუ გქონდათ ამ ნივთიერი საბუთის შესწავლის საშუალება?
4. ამ პროცედურითა და მეთოდით მოხდა საბუთის ---- შესწავლა?
5. რაიმე ინსტრუმენტი ან საშუალება ხომ არ ყოფილა გამოყენებული ამ ნივთიერი საბუთის შესწავლისას?
6. შეგიძლიათ აღწეროთ ხელსაწყო?
7. რა მიზნით შეისწავლეთ ნივთიერი საბუთები --- და---?
8. რაიმე დასკვნამდე მიხვედით თქვენ მიერ ნივთიერი საბუთების შესწავლისა და შედარებისას?
9. გთხოვთ, გაგვიზიაროთ თქვენი დასკვნა?
10. ხომ არ მოგიმზადებიათ რაიმე ფოტოები ან სლაიდები თქვენი დასკვნის ილუსტრირების მიზნით?
11. თან გაქვთ ფოტოები და სლაიდები, შეგიძლიათ გვაჩვენოთ?
12. ახლა კი მინდა გთხოვოთ, აუხსნათ სასამართლოს და ნაფიც მსაჯულებს ნივთიერი საბუთის ---- გამოყენებით თქვენი დასკვნა ილუსტრირების მიზნით?

შენიშვნა: მოწმეს ეძლევა უფლება დატოვოს მოწმის ადგილი და მოახდინოს საკუთარი დასკვნის ილუსტრირება.

25. თმის შედარების ექსპერტის მოწმედ კვალიფიკაცია

მოწმის იდენტიფიცირება

1. გთხოვთ, სასამართლოს გააცნოთ თქვენი ვინაობა და მისამართი.
2. რა პროფესიის ბრძანდებით და რას საქმიანობთ?
3. სად მუშაობთ?
4. რამდენი ხანია, რაც ამ კომპანიაში მუშაობთ (მიუთითეთ კომპანიის სახელი)?

5. რა მოვალეობებს ასრულებთ კომპანიაში? (მიუთითეთ კომპანიის სახელი).
6. რამდენი ხანია, რაც მუშაობთ თმის იდენტიფიცირების სფეროში?
7. რა სახის ტრენინგი, სწავლება და მომზადება გაქვთ გავლილი თმის იდენტიფიცირების სფეროში?
8. თქვენი სამუშაო დროის რა ნაწილს უთმობთ ზემოთ აღწერილი მოვალეობების შესრულებას?
9. თქვენი კომპანიაში (მიუთითეთ სახელი) მუშაობის პერიოდში დაახლოებით რამდენი გამოკვლევა ჩაგიტარებიათ თმის ნიმუშზე?
10. დროის რა მონაკვეთში?
11. სხვა სასამართლოში ხომ არ მიგიღიათ მონაწილეობა თმის იდენტიფიცირების ექსპერტად?
12. შეგიძლიათ ჩამოთვალოთ სასამართლოები და დაახლოებით იმ საქმეების რაოდენობა, რაზეც ჩვენება მიგიციათ ექსპერტის სტატუსით?
13. თქვენო ღირსებავ, გთხოვთ, ექსპერტი მიიჩნიოთ თმის ნიმუშის შედარების ექსპერტად ამ საქმეში.

ფიზიკური ფაქტის იდენტიფიცირება

1. თქვენი ექსპერტად მუშაობის პროცესში, გქონდათ საშუალება მიგეღოთ თმის ნიმუში, რომელიც ამ საქმესთან არის კავშირში?
2. რა რიცხვში მიიღეთ ეს ნიმუშები?
3. როგორ მიიღეთ ეს ნიმუშები?
4. რა უქენით ნიმუშებს, რომელიც მიიღეთ კომპანიიდან?
5. როდის ჩაატარეთ გამოკვლევა?
6. მას შემდეგ, რაც გამოკვლევა ჩაატარეთ, რა უქენით ნიმუშებს?
7. მე თქვენ გაჩვენებთ ნივთიერ საბუთს -----, გთხოვთ, დაათვალიეროთ იგი.
8. ცნობთ მას?
9. ეს იგივე ნიმუშია, რაც თქვენ მიიღეთ კომპანიიდან ---- (რიცხვი)?
10. არის რაიმე იდენტიფიცირების საშუალება დაადგინოთ, რომ ეს სწორედ ის ნიმუშია?
11. რა სახის გამოკვლევები/ტესტები ჩაატრეთ ამ ნივთიერ საბუთზე?
12. შეგიძლიათ აღწეროთ ტესტების ეს პროცედურა?
13. კონკრეტულად რა სახის ტესტები/გამოკვლევის მეთოდები გამოიყენეთ ამ ნივთიერ საბუთზე?

შენიშვნა: თუ უპრიანი იქნება შედარების გამოყენება, გამოიყენეთ შემდეგი შეკითხვები:

1. თქვენ თავად ჩაატარეთ ტესტი/შედარება ნივთიერ საბუთზე ---?
2. რისგან შედგებოდა თქვენ მიერ ჩატარებული შედარების/გამოკვლევის პროცედურა?
3. რა გამოვლინდა თქვენ მიერ ჩატარებული ტესტიდან?
4. თქვენი შედარების ტესტის ღირებულება აგვიხსენით, თუ შეიძლება?
5. რამდენი მაჩვენებელი შეადარეთ?
6. გთხოვთ, განგვიმარტოთ.
7. ყველა მაჩვენებელი უნდა ემთხვეოდეს, რომ ორი ნიმუში იდენტურად ჩაითვალოს?

8. თქვენო ღირსებავ, გთხოვთ, ნივთიერი საბუთი დაუშვათ ნივთიერ მტკიცებულებად.

26. ქსოვილის შედარების ექსპერტის მოწმედ კვალიფიცირება

მოწმის იდენტიფიცირება

1. გთხოვთ, სასამართლოს მოახსენოთ თქვენი ვინაობა და მისამართი.
2. რა პროფესიის ხართ და რას საქმიანობათ?
3. სად მუშაობთ?
4. რამდენი ხანია, რაც ამ ორგანიზაციაში მუშაობთ (მიუთითეთ ორგანიზაციის სახელი)?
5. რა უფლება, მოვალეობებს ასრულებთ სამსახურში?
6. რამდენი ხანია რაც ქსოვილის იდენტიფიცირების სფეროში მოღვაწეობთ?
7. რა სახის სწავლება, მომზადება ან ტრენინგი გაქვთ გავლილი ქსოვილის იდენტიფიცირების საკითხებზე? რა სახის განათლება გაქვთ მიღებული ამ სფეროში?
8. თქვენი სამუშაო დროის რა ნაწილი ეთმობა თქვენ მიერ ზემოთ აღწერილ მოვალეობებს?
9. ამ კომპანიაში (მიუთითეთ კომპანიის სახელი) თქვენი მუშაობის პერიოდში რამდენი ტესტი ჩაგიტარებიათ ქსოვილზე ან რამდენი მსგავსი გამოკვლევა ჩაგიტარებიათ?
10. რა დროის განმავლობაში?
11. თქვენ ადრე თუ ყოფილხართ ექსპერტად მიწვეული ქსოვილის იდენტიფიცირების სფეროში სხვა სასამართლოში?
12. შეგიძლიათ ჩამოგვითვალოთ სასამართლოები და საქმეების დაახლოებითი ოდენობა, რომელზეც თქვენ ექსპერტის სტატუსით გამოდიოდით ქსოვილის იდენტიფიცირების საკითხებზე?

თქვენო ღირსებავ, გთხოვთ, მოწმე ----- (ვინაობა) საქმეზე მიიჩნიოთ ექსპერტად ქსოვილის იდენტიფიცირების სფეროში.

ფიზიკური ფაქტის იდენტიფიცირება

1. თქვენი ექსპერტად მუშაობის პროცესში კომპანიიდან (მიუთითეთ სახელი) მიიღეთ მასალები/ნიმუშები ქსოვილისა, რომელზეც უნდა ჩაგეტარებინათ გამოკვლევა?
2. რომელ რიცხვში მიიღეთ ეს მასალები/ნიმუშები?
3. როგორ მიიღეთ?
4. რა გაუკეთეთ ნივთიერ საბუთს, რომელიც თქვენ მიიღეთ --- (კომპანიის სახელი)?
5. როდის ჩაატარეთ გამოკვლევა?
6. მას შემდეგ, რაც ჩაატარეთ გამოკვლევა, რა უქენით ნივთიერ საბუთებს?
7. მე თქვენ გიჩვენებთ ნივთიერ საბუთს --- გთხოვთ, დაათვალიეროთ იგი.
8. ცნობთ მათ?

9. ეს იგივე ნივთიერი საბუთებია, რომელიც თქვენ მიიღეთ ---- (კომპანიის სახელი) (მიუთითეთ ასევე თარიღი)?
10. არის რაიმე განმასხვავებელი ნიშანი, რომელიც გაძლევთ საშუალებას მოახდინოთ მათი იდენტიფიცირება?
11. რა სახის ტესტები და გამოკვლევევი ჩაატარეთ ამ ნივთიერ საბუთზე?
12. შეგიძლიათ აგვიხსნათ ტესტის ჩატარების პროცედურები? კონკრეტულად კი რომელი ტესტი/გამოკვლევა ჩაატარეთ და რომელ საბუთზე? თქვენ ჩაატარეთ შედარებითი ტესტი/გამოკვლევა ნივთიერ საბუთზე---?

შენიშვნა: თუ მოცემულ სიტუაციაში უპრიანი იქნება შედარების გაკეთება, მაშინ დასვით შემდეგი შეკითხვები:

13. რისგან შედგებოდა თქვენი შედარების ტესტი/გამოკვლევა?
14. რა გამოავლინა თქვენმა ტესტმა?
15. გთხოვთ, განგვიმარტოთ თქვენი შედარების ტესტის ღირებულება.
16. რამდენი მაჩვენებლი შეადარეთ?
17. გთხოვთ, განმარტოთ.
18. იმისათვის, რომ ქსოვილი მიჩნეულ იქნეს იდენტურად, საჭიროა, რომ ყველა მაჩვენებელი იდენტური იყოს და დაემთხვეს ერთმანეთს?

თქვენო ღირსებავ, გთხოვთ, ნივთიერი საბუთი ---- მიიღოთ მტკიცებულებად.

27. შუშის შედარების ექსპერტის მოწმედ კვალიფიკაცია

მოწმის იდენტიფიცირება

1. გთხოვთ, სასამართლოს მოახსენოთ თქვენი ვინაობა და მისამართი.
2. რა პროფესიის ხართ და რას საქმიანობათ?
3. სად მუშაობთ (გთხოვთ, მიუთითოთ კომპანიის სახელი)?
4. რამდენი ხანია რაც ამ ორგანიზაციაში მუშაობთ (მიუთითეთ ორგანიზაციის სახელი)?
5. რა უფლება-მოვალეობებს ასრულებთ სამსახურში?
6. რამდენი ხანია, რაც შუშის იდენტიფიცირების სფეროში მოღვაწეობთ?
7. რა სახის სწავლება, მომზადება ან ტრენინგი გაქვთ გავლილი შუშის იდენტიფიცირების საკითხებზე? რა სახის განათლება გაქვთ მიღებული ამ სფეროში?
8. თქვენი სამუშაო დროის რა ნაწილი ეთმობა თქვენ მიერ ზემოთ აღწერილ მოვალეობებს?
9. ამ კომპანიაში (მიუთითეთ კომპანიის სახელი) თქვენი მუშაობის პერიოდში რამდენი ტესტი ჩაგიტარებიათ შუშაზე ან რამდენი მსგავსი გამოკვლევა ჩაგიტარებიათ?
10. რა დროის განმავლობაში?
11. თქვენ ადრე თუ ყოფილხართ ექსპერტად მიწვეული შუშის იდენტიფიცირების სფეროში სხვა სასამართლოში?
12. შეგიძლიათ ჩამოგვითვალოთ სასამართლოები და საქმეების დაახლოებითი ოდენობა, რომელზეც თქვენ ექსპერტის სტატუსით გამოდიოდით შუშის იდენტიფიცირების საკითხებზე?

თქვენო ღირსებავ, გთხოვთ, მოწმე ----- (ვინაობა) საქმეზე მიიჩნიოთ ექსპერტად შუშის იდენტიფიცირების სფეროში.

ფიზიკური ფაქტის იდენტიფიცირება

1. მე თქვენ გიჩვენებთ ნივთიერ საბუთს --- გთხოვთ, დაათვალიეროთ.
2. ცნობთ მათ?
3. საიდან ცნობთ?
4. თქვენ ჩაატარეთ გამოკვლევა შუშის ნამტვრევების, რომელიც აქ წარმოდგენილია ნივთიერ საბუთად----?
5. რისგან შედგებოდა შუშის ამ ფრაგმენტების ფიზიკური გამოკვლევა?
6. რა გამოავლინეთ შუშის ფრაგმენტის ფერთან და ზოგად გარეგნულ მხარესთან დაკავშირებით?
7. რა გამოავლინეთ შუშის ფრაგმენტის სისქესთან დაკავშირებით?
8. რა სახის დასკვნის გაკეთება შეიძლება სისქის ამ შედარების საფუძველზე?
9. ჩაატარეთ გამოკვლევა შუშის ნამტვრევის ფორმასა და კონფიგურაციაზე?
10. რა დაადგინეთ შუშის ამ ნატეხის ფორმასთან დაკავშირებით?
11. რაიმე შეუსაბამობა ხომ არ არის ნატეხის ზედაპირზე?
12. რა დასკვნის გაკეთება შეიძლება ამ ფრაგმენტების კავშირის თაობაზე?
13. გამოიკვლიეთ და შეადარეთ შუშის ხვედრითი წონა და გატეხვის ინდექსი?
14. რამდენად დაგეხმარათ ეს მაჩვენებლები შუშის ფრაგმენტის იდენტიფიცირების პროცესში?
15. რაში მდგომარეობს მეცნიერული ვარაუდი იმისა, რომ ორი სხვადასხვა საგანი გაკეთებულია ერთნაირი შუშით და მათ მსგავსი ხვედრითი წონა და გატეხვის ინდექსი აქვთ?
16. თქვენ მიერ ნივთიერ საბუთზე ჩატარებული გამოკვლევის შედეგად ჩამოგიყალიბდათ მოსაზრება ამ შუშის წარმომავლობის შესახებ?
17. რაში მდგომარეობს ეს მოსაზრება?

თქვენო ღირსებავ, გთხოვთ, ნივთიერი საბუთი ---- მიიღოთ მტკიცებულებად.

28. საღებავის შედარების ექსპერტის მოწმედ კვალიფიკაცია

მოწმის იდენტიფიცირება

1. გთხოვთ, სასამართლოს მოახსენოთ თქვენი ვინაობა და მისამართი.
2. რა პროფესიის ხართ და რას საქმიანობთ?
3. სად მუშაობთ (გთხოვთ, მიუთითოთ კომპანიის სახელი)?
4. რამდენი ხანია რაც ამ ორგანიზაციაში მუშაობთ (მიუთითეთ ორგანიზაციის სახელი)?
5. რა უფლება-მოვალეობებს ასრულებთ სამსახურში?
6. რამდენი ხანია, რაც საღებავის იდენტიფიცირების სფეროში მოღვაწეობთ?
7. რა სახის სწავლება, მომზადება ან ტრენინგი გაქვთ გავლილი საღებავის იდენტიფიცირების საკითხებზე? რა სახის განათლება გაქვთ მიღებული ამ სფეროში?

8. თქვენი სამუშაო დროის რა ნაწილი ეთმობა თქვენ მიერ ზემოთ აღწერილ მოვალეობებს?
9. ამ კომპანიაში (მიუთითეთ კომპანიის სახელი) თქვენი მუშაობის პერიოდში რამდენი ტესტი ჩაგიტარებიათ საღებავზე ან რამდენი მსგავსი გამოკვლევა ჩაგიტარებიათ?
10. რა დროის განმავლობაში?
11. თქვენ ადრე თუ ყოფილხართ ექსპერტად მიწვეული საღებავის იდენტიფიცირების სფეროში სხვა სასამართლოში?
12. შეგიძლიათ ჩამოგვითვალოთ სასამართლოები და საქმეების დაახლოებითი ოდენობა, რომელზეც თქვენ ექსპერტის სტატუსით გამოდიოდით საღებავის იდენტიფიცირების საკითხებზე?
13. თქვენო ღირსებავ, გთხოვთ, მოწმე ----- (ვინაობა) საქმეზე მიიჩნიოთ ექსპერტად საღებავის იდენტიფიცირების სფეროში.

ფიზიკური ფაქტების იდენტიფიცირება

1. მე თქვენ გიჩვენებთ ნივთიერ საბუთს --- გთხოვთ, დაათვალიეროთ.
2. ცნობთ მათ?
3. საიდან ცნობთ?
4. თქვენ ჩაატარეთ გამოკვლევა საღებავის ნაწილაკებზე, რომელიც აქ წარმოდგენილია ნივთიერ საბუთად----?
5. რა სახის გამოკვლევა ჩაატარეთ საღებავის ამ ნაწილაკებზე?
6. შეგიძლიათ აღწეროთ გამოკვლევის პროცედურა?
7. თქვენ შეამოწმეთ საღებავის ნაწილაკის შემადგენლობა?
8. რა დაადგინეთ საღებავის ამ ნაწილაკების შემადგენლობის თაობაზე?
9. საღებავის ამ ნაწილაკებზე ჩაატარეთ სპექტროგრაფული გამოკვლევა?
10. შეგიძლიათ ნაფიც მსაჯულებს განუმარტოთ, რაში მდგომარეობს სპექტროგრაფული გამოკვლევა?
11. სპექტროგრაფული გამოკვლევის შედეგად რაიმე გრაფიკა ან ცხრილი ხომ არ იქმნება?
12. როგორ გამოიყენება შემდეგ ცხრილები და გრაფიკები?
13. რაში მდგომარეობს სამეცნიერო ღირებულება სპექტროგრაფული გამოკვლევის საღებავის ნაწილაკებზე?
14. ასეთი სახის გამოკვლევა გეხმარებათ საღებავის ნაწილაკის იდენტურობის დადგენაში?
15. მეცნიერული ვარაუდის საფუძველზე, რა შანსი არსებობს იმისა, რომ საღებავის ნაწილაკები ნივთიერ საბუთში წარმოდგენილი ანაფხეკისა იდენტურია?
16. თქვენ მიერ ნივთიერ საბუთზე ჩატარებული გამოკვლევის შედეგად ჩამოგიყალიბდათ მოსაზრება ამ შუშის წარმომავლობის შესახებ?
17. რაში მდგომარეობს ეს მოსაზრება?

თქვენო ღირსებავ, გთხოვთ, ნივთიერი საბუთი ---- მიიღოთ მტკიცებულებად.

29. ნეიტრონის სტიმულირების ანალიტიკოსი ექსპერტის მოწმედ კვალიფიკაცია

მოწმის იდენტიფიცირება

1. გთხოვთ, სასამართლოს მოახსენოთ თქვენი ვინაობა და მისამართი.
2. რა პროფესიის ხართ და რას საქმიანობათ?
3. სად მუშაობთ (გთხოვთ, მიუთითოთ კომპანიის სახელი)?
4. რამდენი ხანია რაც ამ ორგანიზაციაში მუშაობთ (მიუთითეთ ორგანიზაციის სახელი)?
5. რა არის თქვენი ტიტული?
6. რა თანამდებობა გიკავიათ?
7. თქვენ ბრძანდებით ატომური ქიმიკოსი (ატომური ფიზიკოსი)?
8. მოკლედ აღწერეთ, თუ რას სწავლობს ატომური ქიმია (ატომური ფიზიკა)?
9. რა სახის სწავლება, მომზადება ან ტრენინგი გაქვთ გავლილი?
10. რა სამეცნიერო ხარისხი გაქვთ მიღებული?
11. რა თანამდებობა გეკავათ და რამდენი წლით მას შემდეგ, რაც სწავლა დაასრულეთ?
12. თქვენი მუშაობის პროცესში ჩაგიტარებიათ ლაბორატორიული გამოკვლევა ისეთი საშუალების გამოყენებით, რომელსაც ნეიტრონების სტიმულირება ჰქვია?
13. ლექციები თუ წაგიკითხავთ, ან სასწავლო პროგრამა თუ ჩაგიტარებიათ ნეიტრონების სტიმულირების საკითხებზე?
14. რაიმე ნაშრომები ხომ არ გამოგიქვეყნებიათ ნეიტრონების სტიმულირების საკითხებზე?
15. ადრე თუ ყოფილხართ ექსპერტად მიწვეული ნეიტრონების სტიმულირების სფეროში სხვა სასამართლოში?
16. რამდენჯერ?

თქვენო ღირსებავ, გთხოვთ, მოწმე ----- (ვინაობა) საქმეზე მიიჩნიოთ ექსპერტად ატომური ქიმიის (ატომური ფიზიკის) სფეროში.

ფიზიკური ფაქტის იდენტიფიცირება

1. ზოგადად აგვიხსენით რა არის ნეიტრონის სტიმულირების ანალიზი?
2. შეიძლება ნივთიერების შემადგენელი ელემენტების განსაზღვრა ამ მეთოდის საშუალებით?
3. თქვენ თითოეული შესადარებელი ნიმუშის დაბომბვა მოახდინეთ ნეიტრონების შესაბამისი ოდენობით?
4. რატომ არის მნიშვნელოვანი, რომ თითოეული ნიმუში დაიბომბოს ნეიტრონების ერთნაირი ოდენობით?
5. კონტროლის რა მექანიზმი გამოიყენეთ, რომ შეგემოწმებინათ რეაქტორი და საზომი ხელსაწყო კარგ მუშა მდგომარეობაში იყო თუ არა?
6. თქვენი გამოკვლევის შედეგად, რომელიც ჩაატარეთ ნეიტრონის სტიმულირების მეთოდით, ჩამოგიყალიბდათ მოსაზრება იმაზე, რისთვისაც ტესტი ჩატარდა?
7. რაში მდგომარეობს ეს მოსაზრება?

30. გამოსაკვლევი დოკუმენტის ექსპერტის მოწმედ კვალიფიკაცია

მოწმის იდენტიფიცირება

1. გთხოვთ, სასამართლოს მოახსენოთ თქვენი ვინაობა და მისამართი.
2. რა პროფესიის ხართ და რას საქმიანობათ?
3. სად მუშაობთ (გთხოვთ, მიუთითოთ კომპანიის სახელი)?
4. რამდენი ხანია რაც ამ ორგანიზაციაში მუშაობთ (მიუთითეთ ორგანიზაციის სახელი)?
5. რა კონკრეტულ მოვალეობებს ასრულებთ თქვენ მიერ დაკავებულ თანამდებობაზე?
6. რა სახის სწავლება, მომზადება ან ტრენინგი გაქვთ გავლილი ამ სფეროში?
7. თქვენი სამუშაო დროის რა ნაწილი ეთმობა ასეთი დოკუმენტების შესწავლასა და გამოკვლევას?
8. რაიმე ნაშრომი ხომ არ მოგიმზადებიათ გამოსაკვლევი დოკუმენტების შედარების საკითხზე?
9. რა საკითხზე იყო ეს ნაშრომი?
10. თქვენს პროფესიაში რაიმე სასწავლო კურსს ხომ არ ხელმძღვანელობთ?
11. რა საკითხებს ასწავლით?
12. რაიმე პროფესიული ორგანიზაციის წევრი ხომ არ ბრძანდებით?
13. რომელი ორგანიზაციის?
14. შეგიძლიათ დაახლოებით გვითხრათ, რამდენი საეჭვო დოკუმენტის გამოკვლევა მოგიწიათ პროფესიული საქმიანობის მანძილზე?
15. როდესმე ჩვენება თუ მიგიციათ, როგორც ექსპერტ-მკვლევარს საეჭვო დოკუმენტების თაობაზე სასამართლოში?
16. რომელ სასამართლოში მიეცით ჩვენება როგორც ექსპერტმა?
17. რამდენ საქმეზე გამოხვედით ჩვენებით როგორც ექსპერტი?

თქვენო ღირსებავ, გთხოვთ, მოწმე (მოწმის სახელი) მიიჩნიოთ ექსპერტად მოცემულ საქმეში.

18. რა სამეცნიერო ხარისხი გაქვთ მიღებული?
19. რა თანამდებობა გეკავათ და რამდენი წლით მას შემდეგ, რაც სწავლა დაასრულეთ?
20. თქვენი მუშაობის პროცესში ჩაგიტარებიათ ლაბორატორიული გამოკვლევა ისეთი საშუალების გამოყენებით, რომელსაც ნეიტრონების სტიმულირება ჰქვია?
21. ლექციები თუ წაგიკითხავთ ან სასწავლო პროგრამა თუ ჩაგიტარებიათ ნეიტრონების სტიმულირების საკითხებზე?
22. რაიმე ნაშრომები ხომ არ გამოგიქვეყნებიათ ნეიტრონების სტიმულირების საკითხებზე?
23. თქვენ ადრე თუ ყოფილხართ ექსპერტად მიწვეული ნეიტრონების სტიმულირების სფეროში სხვა სასამართლოში?
24. რამდენჯერ?

თქვენო ღირსებავ, გთხოვთ, მოწმე ----- (ვინაობა) საქმეზე მიიჩნიოთ ექსპერტად ატომური ქიმიის (ატომური ფიზიკის) სფეროში

ფიზიკური ფაქტების ანალიზი

ხელნაწერი

1. მე თქვენ გიჩვენებთ ნივთიერ საბუთს -----, გთხოვთ, დაათვალიეროთ.
2. ადრე სადმე გინახავთ ეს?
3. რა პირობებში?
4. რა არის ეს ნივთიერი საბუთი?
5. მე თქვენ ასევე გადმოგცემთ ნივთიერ საბუთს, რომელიც მონიშნულია ამ საქმეზე?
6. ადრე გინახავთ ეს სადმე?
7. რა გარემოებებში?
8. რა არის ეს?
9. ადრე თუ შეგიმოწმებიათ (ხელნაწერი), რომელიც ამ დოკუმენტზეა ასახული?
10. შეადარეთ ამ დოკუმენტზე არსებული ხელნაწერი რაიმე სხვა ხელნაწერს?
11. როგორ ჩაატარეთ ამ დოკუმენტების გამოკვლევა?
12. ფოტოები ხომ არ მოგიმზადებიათ თქვენი გამოკვლევის პროცესში?
13. დღეს თან გაქვთ ეს ფოტოები?
14. ხელნაწერის შედარების ჩატარების საფუძველზე რაიმე დასკვნამდე ხომ არ მისულხართ?
15. რა არის თქვენი დასკვნა/მოსაზრება?
16. რაიმე ფორმით პირადად ხომ არ ხართ დაინტერესებული ამ საქმის შედეგით?

თქვენო ღირსებავ, გთხოვთ, ნივთიერი საბუთი --- მიიღოთ მტკიცებულებად, ამასთანავე, ფოტოები, რომელიც შემოგვთავაზა მოწმემ, მივიღოთ მტკიცებულებად.

17. ბატონო ---- (ვინაობა), გთხოვთ, დეტალურად აგვიხსნათ, როგორ მიხვედით იმ დასკვნამდე, რაზეც ახლა გვესაუბრეთ?

დამცავი წყლის ნიშანი

1. დღემდე თუ გქონიათ საშუალება გამოგეკვლიათ იდენტიფიცირების მიზნით ნივთიერი საბუთი-----, რომელიც ხელმოწერილია გარდაცვლილის მიერ 1996 წლის 4 ივლისს?
2. თქვენი გამოკვლევის შედეგად დარწმუნდით დოკუმენტის აუთენტურობაში?
3. რა არის დამცავი წყლის ნიშანი?
4. არის თუ არა დამცავი წყლის ნიშანი ამ ნივთიერ საბუთზე----?
5. რისი დადგენა შეიძლება დამცავი წყლის ნიშნის გამოკვლევით?
6. თქვენი აზრით, დამცავი წყლის ნიშანი ნივთიერ საბუთზე----, რომელიც თქვენ გამოიკვლიეთ, არ იყო წარმოებული 1998 წლის 1 იანვრამდე ჩ ქაღალდის კომპანიის მიერ?
7. მაშინ, თუ შეგიძლიათ გვითხარით, რამდენი წლის არის დოკუმენტი დაახლოებით?
8. მაშინ ეს დოკუმენტი ვერ იქნებოდა ხელმოწერილი გარდაცვლილის მიერ 1996 წლის 4 ივლისს?

თქვნო ღირსებავ, გთხოვთ, ნივთიერი საბუთი ---- მიიღოთ მტკიცებულებად.

ნაბეჭდი

1. მე თქვენ გაჩვენებთ დაბეჭდილ წერილს, რომელიც მონიშნულია ნივთიერ საბუთად ----.
2. შესაძლებელია თუ არა, არსებული სამეცნიერო ცოდნის ფარგლებში, გამოიკვლიო ასოები და ციფრები ამ ნაბეჭდ წერილზე და დარწმუნებით დაადგინოთ, რომ ეს წერილი დაბეჭდილია კონკრეტული მბეჭდავის მიერ?
3. ეს წერილი ხომ არ შეგიდარებიათ ნიმუშებისთვის, რომელიც წარმოებულია I საბეჭდი აპარატიდან და რომელიც იდენტიფიცირების მიზნით მონიშნულია ნივთიერ საბუთად ----?
4. რა არის საბეჭდის დამახასიათებელი ნიშანი?
5. თქვენი გამოკვლევის შედეგად, გქონდათ საშუალება გამოგევლინათ რაიმე სახის დეფექტი IBM საბეჭდ აპარატზე?
6. გარდა იმისა, რომ ასე უფრო მუქად ჩანდა, IBM საბეჭდ აპარატზე დაბეჭდილ დოკუმენტზე არსებობს სხვა კიდევ დამატებითი იდენტიფიკატორები ან განმასხვავებელი ნიშნები?
7. რაიმე ასო ამ ნაბეჭდ დოკუმენტში,რომელიც დაბეჭდილია IBM საბეჭდ აპარატზე არის ხაზზე ზემოთ ან ქვემოთ, ვიწროდ ან გაშლილად დაწერილი?
8. მას შემდეგ, რაც თქვენ შეადარეთ ნაბეჭდი დოკუმენტი მონიშნული ნივთიერ საბუთად ---- IBM საბეჭდი აპარატის მახასიათებელ ნიშნებს, მიხვედით რაიმე კონკრეტულ დასკვნამდე?
9. იმის გათვალისწინებით, რომ ასე უფრო მუქად ჩანს, IBM საბეჭდ აპარატზე დაბეჭდილ დოკუმენტზე, რაც აშკარაა ნივთიერ საბუთზე----, შეგიძლიათ სასამართლოს მისცეთ ჩვენება იმის თაობაზე, რომ ეს დოკუმენტი დაბეჭდილია IBM საბეჭდ აპარატზე?

თქვენო ღირსებავ გთხოვთ, ნივთიერი საბუთი დაუშვათ მტკიცებულებად.

31. კომპიუტერული დანაშაულის ექსპერტის მოწმედ კვალიფიკაცია

მოწმის იდენტიფიცირება

1. გთხოვთ, სასამართლოს გააცნოთ თქვენი ვინაობა და მისამართი?
2. თქვენი საქმიანობა/პროფესია?
3. სად მუშაობთ?
4. რამდენი ხანია, რაც მუშაობთ ---- (კომპანიის სახელი)?
5. რა თანამდებობა გიკავიათ ამჟამად?
6. რამდენი ხანია, რაც ამ თანამდებობაზე მუშაობთ?
7. რა მოვალეობებს ასრულებთ ამ თანამდებობაზე?
8. სხვა უწყებაში თუ გიმუშავით მსგავს თანამდებობაზე?
9. სად?
10. რა მოვალეობებს ასრულებდით ამ თანამდებობაზე?
11. რა განათლება გაქვთ მიღებული კომპიუტერულ მეცნირებებში?
12. რაიმე ხარისხი თუ გაქვთ კომპიუტერულ მეცნიერებებში?
13. რა გამოცდილება გაქვთ კომპიუტერთან მუშაობის?
14. რა განათლება გაქვთ სამართალდამცავ საკითხებში?

15. რომელი პოლიციის აკადემია ან სამართალდამცავი სასწავლებელი დაამთავრეთ?
16. რა გამოცდილება გაქვთ სამართალდმცავ საკითხებზე?
17. თქვენი განათლება კომპიუტერის ჩხრეკისა და ამოღების საკითხებზე, რაში მდგომარეობს?
18. თქვენი სამუშაო გამოცდილება კომპიუტერის ჩხრეკისა და ამოღების საკითხებზე, რაში მდგომარეობს?
19. რამდენი ჩხრეკის ორდერის ავტორი ბრძანდებით?
20. რამდენი ჩხრეკის ორდერი განახორციელეთ თავად ან მიიღეთ მონაწილეობა?
21. თქვენი სასამართლო კომპიუტერული გამოცდილება რაში მდგომარეობს?
22. თქვენი სასამართლო კომპიუტერული ცოდნა რაში მდგომარეობს?
23. რამდენი კომპიუტერული სისტემის ანალიზი ჩაგიტარებიათ სასამართლო კვლევის მიზნებისთვის?
24. კომპიუტერული დანაშაულის რამდენ გამოძიებაში მიგიღიათ მონაწილეობა ან თავად ჩაგიტარებიათ?
25. რა სახის დანაშაული გამოგიძიებიათ?
26. სასამართლოში სერტიფიცირებული ექსპერტი თუ ყოფილხართ ოდესმე?
27. რამდენჯერ მიეცით ჩვენება?

თქვენო ღირსებავ, გთხოვთ, მოწმე მიიჩნიოთ ექსპერტად კომპიუტერული დანაშაულის საქმეში.

32. თითის ან ხელისგულის ანაბეჭდის ექსპერტის მოწმედ კვალიფიკაცია

ექსპერტის იდენტიფიცირება

1. გთხოვთ, სასამართლოს გააცნოთ თქვენი ვინაობა და მისამართი?
2. თქვენი საქმიანობა/პროფესია?
3. სად მუშაობთ?
4. რამდენი ხანია რაც მუშაობთ ---- (კომპანიის სახელი)?
5. რა თანამდებობა გიკავიათ ამჟამად?
6. რამდენი ხანია, რაც ამ თანამდებობაზე მუშაობთ?
7. რა მოვალეობებს ასრულებთ ამ თანამდებობაზე?
8. რა სპეციალური სწავლება და ტრენინგი გაქვთ გავლილი იმისათვის, რომ თითის ანაბეჭდის მკვლევარი გამხდარიყავით?
9. დაახლოებით რამდენი თითის ანაბეჭდი გაქვთ შესწავლილი?
10. რაიმე პროფესიული ორგანიზაციის აქტიური წევრი ხომ არ ბრძანდებით?
11. რაიმე სერტიფიკატი გაქვთ მიღებული თითის ანაბეჭდის გამოკვლევის სფეროში?
12. ვინ გასცა სერტიფიკატი?
13. ამ ბოლო პერიოდში თითის ანაბეჭდის კვლევის თოაბაზე ჩატარებულ სემინარში მიგიღიათ მონაწილეობა?
14. რა სემინარებში მიგიღიათ მონაწილეობა?
15. როდის მიიღეთ ამ სემინარებში მონაწილეობა?
16. რა სახის ტექნიკური აღჭურვილობა გაქვთ იმისათვის, რომ თქვენს სამუშაო

პროცესში გამოიყენოთ?

17. თქვენი მუშაობის პროცესში გქონიათ შემთხვევა, როდესაც ადამიანის გამოვლენა მოხდა ლატენტური თითის ანაბეჭდის ან ხელისგულის ანაბეჭდის შედარებით მათივე მელნიანი თითის ან ხელისგულის ანაბეჭდთან?
18. რამდენჯერ?
19. იმისათვის, რომ თქვენ ექსპერტად იყოთ მიჩნეული თითის ანაბეჭდის ან ხელისგულის ანაბეჭდის საკითხებზე, ამისათვის საჭიროა, რომ თქვენ ადრე სასამართლოსთვის მიგეცათ ჩვენება ექსპერტად ამავე საკითხებზე და იმაზე, რომ პირის იდენტიფიცირება მოგიხდენიათ თითის ანაბეჭდის ან ხელისგულის ანაბეჭდის საშუალებით?
20. რამდენჯერ მიგიღიათ მონაწილეობა სასამართლო პროცესში?

თქვენო ღირსებავ, გთხოვთ, მოწმე (ვინაობა მიუთითეთ) მიიჩნიოთ ექსპერტად თითის ანაბეჭდის ან ხელისგულის ანაბეჭდის საკითხებზე.

ფიზიკური ფაქტის იდენტიფიცირება

1. რა არის მელნიანი ანაბეჭდი?
2. რა არის ლატენტური ანაბეჭდი?
3. რა არის პატენტური ანაბეჭდი?
4. სხვადასხვა განმასხვავებელი მახასიათებლი არსებობს თითისა და ხელისგულის ანაბეჭდისთვის?
5. რამდენი?
6. ჩამოთვალეთ ისენი.
7. რამდენად შესაძლებელია ადამიანმა დატოვოს ხელის ან ხელისგულის ანაბეჭდი?
8. რა სახის ზედაპირზე შეიძლება პირმა დატოვოს ხელის ან ხელისგულის ანაბეჭდი?
9. შესაძლებელია, რომ პირი შეეხოს ხელით ზედაპირს და არ დატოვოს ანაბეჭდი?
10. რატომ?
11. რა სახის ზედაპირზე არ რჩება ანაბეჭდი?
12. როგორ ხდება თითის ანაბეჭდის შედარება და იდენტიფიცირება?
13. რა ძირითადი ფაქტორებია თითის ანაბეჭდის?
14. ყველა ადმიანს საკუთარი დამახასიათებელი თითის ან ხელისგულის ანაბეჭდი აქვს?
15. შეიძლება ორ სხვადასხვა ადამიანს ერთნაირი თითის ან ხელისგულის ანაბეჭდი ჰქონდეს?
16. თქვენი ტრენინგისა და სწავლების, ასევე თქვენი სამუშაო გამოცდილების მიხედვით, ადამიანს როგორი თითის ან ხელისგულს ანაბეჭდი აქვს?
17. მე თქვენ გაჩვენებთ, რაც მონიშნულია ნივთიერ საბუთად ---- (ლატენტური ანაბეჭდი); გთხოვთ, დაათვალიეროთ.
18. ეს ნივთიერი საბუთი გინახავთ ადრე?
19. როდის გინახავთ?
20. სად გინახავთ?

21. შეამოწმეთ ნივთიერი საბუთი ლატენტურ ანაბეჭდზე?
22. რა იყო თქვენი გამოკვლევის შედეგი?
23. მე თქვენ გაჩვენებთ, რაც მონიშნულია ნივთიერ საბუთად ---- (მელნიანი ანაბეჭდი), გთხოვთ, დაათვალიეროთ.
24. ეს ნივთიერი საბუთი გინახავთ ადრე?
25. როდის გინახავთ?
26. სად გინახავთ?
27. შეამოწმეთ ნივთიერი საბუთი მელნიან ანაბეჭდზე?
28. რა ფაქტორებს დაეყრდენით თქვენი მუშაობის პროცესში და რის საფუძველზე გააკეთეთ დასკვნა?
29. რამდენი შედარების საკითხი გამოავლინეთ?
30. თქვენი გამოცდილებისა და განათლების მიხედვით, რამდენი განმასხვავებელი ნიშნანია საჭირო იმისათვის, რომ მოახდინოთ ადამიანის იდენტიფიცირება და ამაზე დასკვნა მოამზადოთ?
31. თქვენი გამოცდილების მიხედვით თითის ანაბეჭდების სფეროში, შედარება საკმარისია იმისათვის, რომ ლატენტური ანაბეჭდის იუდენტურობა დადგინდეს ბრალდებულის მელნიან ანაბეჭდთან, რომელიც წარმოდგენილია საქმეზე ნივთიერ საბუთად ----?
32. თქვენი გამოცდილების მიხედვით, თითისა და ხელისგულის ანაბეჭდების სფეროში, ბრალდებულმა დატოვა ლატენტური ანაბეჭდი, რომელიც ნაჩვენებია ნივთიერ საბუთზე----?

თქვენო ღირსებავ, გთხოვთ, ნივთიერი საბუთი მიიღოთ მტკიცებულებად.

თუ თქვენ გაქვთ გრაფიკები

33. გრაფიკულად წარმოდგენილი გადიდებული ილუსტრაციები ხომ არ გაქვთ მომზადებული?
34. გთხოვთ, ამ გრაფიკების დემონსტრირება მოახდინოთ ნაფიცი მსაჯულებისთვის?

თქვენო ღირსებავ, გთხოვთ, ეს გრაფიკები მონიშნოთ ნივთიერ საბუთად სამომავლო იდენტიფიცირების მიზნით და დაუშვათ ისინი მტკიცებულებად საქმეზე.

33. იარაღის ექსპერტის მოწმედ კვალიფიკაცია

მოწმის იდენტიფიცირება

1. გთხოვთ, სასამართლოს გააცნოთ თქვენი ვინაობა და მისამართი.
2. თქვენი საქმიანობა/პროფესია?
3. რომელ სამართალდამცავ ორგანოში მუშაობთ?
4. რამდენი ხანია, რაც ამ სამართალდამცავ ორგანოში მუშაობთ?
5. რა მოვალეობებს ასრულებთ?
6. რას ნიშნავს იარაღის იდენტიფიცირება?
7. რა იძლევა ამ იდენტიფიკაციის საშუალებას?
8. რა განათლება გაქვთ?
9. რა სპეციალიზებული სწავლება გაქვთ გავლილი თქვენს ამჟამიდელ სამსახ-

ურში?
10. რაიმე პროფესიული ორგანიზაციის წევრი ბრძანდებით?
11. ცეცხლსასროლი იარაღის იდენტიფიცირების სფეროში ჩვენება ხომ არ მიგიციათ?
12. რომელ სასამართლოში მიგიციათ ჩვენება?
13. რამდენჯერ?

ფიზიკური ფაქტის იდენტიფიცირება

1. მე თქვენ გაჩვენებთ, რაც მონიშნულია ნივთიერ საბუთად ----- იდენტიფიცირების მიზნით, გთხოვთ, დაათვალიეროთ.
2. ადრე თუ გინახავთ ეს ნივთიერი საბუთი?
3. რა პირობებში გადმოგეცათ ნივთიერი საბუთი----?
4. თქვენ თავად გამოიკვლიეთ რომელიმე ნივთიერი საბუთი---?
5. დეტალებში აღწერეთ თქვენ მიერ ჩატარებული გამოკვლევა?
6. თქვენი გამოკვლევის შედეგად რა დასკვნა გააკეთეთ?
7. რა უქენით ამ მტკიცებულებებს გამოკვლევის დასრულების შემდეგ?

თქვენო ღირსებავ, გთხოვთ, ნივთიერი საბუთი მიიღოთ მტკიცებულებად.

34. ფეხსაცმლის ანაბეჭდის ექსპერტის მომწედ კვალიფიკაცია

მოწმის იდენტიფიცირება

1. გთხოვთ, სასამართლოს გააცნოთ თქვენი ვინაობა და მისამართი.
2. თქვენი საქმიანობა/პროფესია?
3. რომელ სამართალდამცავ ორგანოში მუშაობთ?
4. რამდენი ხანია, რაც ამ სამართალდამცავ ორგანოში მუშაობთ?
5. რა მოვალეობებს ასრულებთ?
6. რამდენი ხანია რაც ფეხის ანაბეჭდის იდენტიფიცირების სფეროში მუშაობთ?
7. რა სპეციალიზირებული სწავლება გაქვთ გავლილი ფეხსაცმლის ანაბეჭდის იდენტიფიცების სფეროში?
8. ფეხსაცმლის ანაბეჭდის იდენტიფიცირების სფეროში ჩვენება ხომ არ მიგიციათ?
9. რომელ სასამართლოში მიგიციათ ჩვენება?

თქვენო ღირსებავ, გთხოვთ, ეს მოწმე (დაასახელეთ ვინაობა) მიიჩნიოთ ექსპერტად ფეხსაცმლის ანაბეჭდის იდენტიფიცირების სფეროში.

ფიზიკური ფაქტის იდენტიფიცირება

1. ამ საქმეზე დანაშაულის ადგილი თქვენ თავად გამოიკვლიეთ?
2. თქვენ მიერ ჩატარებული გამოკვლევის მიზანი რაში მდგომარეობდა?
3. თქვენი გამოკვლევის შედეგად რა დაადგინეთ?
4. რა მოიმოქმედეთ, როდესაც ფეხსაცმლის ნაფეხური აღმოაჩინეთ?
5. აღწერეთ, როგორ მოამზადეთ ფეხსაცმლის ანაბეჭდის ფოტოასლი?
6. ახლა თქვენ გაჩვენებთ ფეხსაცმლის ანაბეჭდის ფოტოასლს, რომელიც საქმეში მონიშნულია, როგორც ნივთიერი საბუთი. გთხოვთ, დაათვალიეროთ ის?

7. ეს ის ფოტოასლია, რომელზეც თქვენ ახლა ჩვენება მიეცით?
8. საიდან ცნობთ მას?
9. თქვენო ღირსებავ, გთხოვთ, ეს ნივთიერი საბუთი დაუშვათ მტკიცებულებად.
10. მას შემდეგ, რაც აღმოაჩინეთ ფეხსაცმლის ანაბეჭდი და გააკეთეთ ფოტოასლი, თქვენ გთხოვეს ანაბეჭდის შედარება სხვა რაიმე ფეხსაცმლზე ან ანბეჭდზე?
11. როდის და რა გარემოებებში მოგეთხოვათ ამის გაკეთება?
12. მე თქვენ გაჩვენებთ მამაკაცის ყავისფერ ფეხსაცმელს, რომელიც ბრალდებულს ეცვა და რომელიც მონიშნულია ნივთიერ საბუთად-----; გთხოვთ, დაათვალიეროთ.
13. ეს ის ფეხსაცმელია, რომელიც თქვენ გადმოგეცათ ფეხსაცმლის ანაბეჭდის შესადარებლად?
14. საიდან ცნობთ მას?

თქვენო ღირსებავ, გთხოვთ, ნივთიერი საბუთი---- მიიღოთ მტკიცებულებად.

15. თქვენ გააკეთეთ ეს შედარება?
16. როგორ გააკეთეთ ეს შედარება?
17. თქვენი შედარების საფუძველზე, გაქვთ რაიმე მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ანაბეჭდი, რომელიც თქვენ აღმოაჩინეთ დანაშაულის ადგილზე, იგივე ფეხსაცმლით არის გაკეთებული, რომელიც ბრალდებულს ეცვა, და რომელიც არის მონიშნული ნივთიერ საბუთად ----?
18. რა მოსაზრებაა ეს?

35. ხელსაწყოზე ანაბეჭდის ექსპერტის მოწმედ კვალიფიკაცია

მოწმის იდენტიფიცირება

1. გთხოვთ, სასამართლოს გააცნოთ თქვენი ვინაობა და მისამართი.
2. თქვენი საქმიანობა/პროფესია?
3. რომელ სამართალდამცავ ორგანოში მუშაობთ?
4. რამდენი ხანია რაც ამ სამართალდამცავ ორგანოში მუშაობთ?
5. რა მოვალეობებს ასრულებთ?
6. რამდენია ხანია, რაც საბურავის ანაბეჭდის იდენტიფიცირებაზე მუშაობთ?
7. რა სპეციალიზებული სწავლება გაქვთ გავლილი საბურავის ანაბეჭდის იდენტიფიცირებაზე?
8. საბურავის ანაბეჭდის იდენტიფიცირების სფეროში ჩვენება ხომ არ მიგიციათ რომელიმე სასამართლოში?
9. რომელ სასამართლოში მიგიციათ ჩვენება?
10. რამდენჯერ?
11. თქვენო ღირსებავ, გთხოვთ, მოწმე (მიუთითეთ სახელი) გამოაცხადოთ ექსპერტად საბურავის ანაბეჭდის იდენტიფიცირების სფეროში.

ფიზიკური ფაქტის იდენტიფიცირება

1. ამ საქმეზე დანაშაულის ადგილი თქვენ თავად გამოიკვლიეთ?
2. როდის გამოიკვლიეთ დანაშაულის ადგილი?

3. სად განხორციელდა თქვენი გამოკვლევა?
4. თქვენ მიერ ჩატარებული გამოკვლევის მიზანი რაში მდგომარეობდა?
5. თქვენი გამოკვლევის შედეგად რა დაადგინეთ?
6. რა მოიმოქმედეთ, როდესაც საბურავის კვალი აღმოაჩინეთ?
7. აღწერეთ, როგორ მოამზადეთ საბურავის კვალის ფოტოასლი?
8. მე ახლა თქვენ გაჩვენებთ მანქანის საბურავის ფოტოასლს, რომელიც საქმეში მონიშნულია როგორც ნივთიერი საბუთი; გთხოვთ, დაათვალიეროთ ის?
9. ეს ის ფოტოასლია, რომელზეც თქვენ ახლა ჩვენება მიეცით?
10. საიდან ცნობთ მას?

თქვენო ღირსებავ, გთხოვთ, ნივთიერი საბუთი ---- დაუშვათ საქმეში მტკიცებულებად.

11. მას შემდეგ, რაც აღმოაჩინეთ საბურავის კვალი და გააკეთეთ ფოტოასლი, თქვენ გთხოვეს კვალის შედარება სხვა რაიმე საბურავის კვალზე და საბურავზე?
12. როდის მოგეთხოვათ ამის გაკეთება?
13. რა გარემოებებში მოგეთხოვათ ამის გაკეთება?
14. მე თქვენ გაჩვენებთ საბურავის ანაბეჭდს იმ მანქანიდან, რომელსაც ბრალდებული ფლობს და რომელიც მონიშნულია ნივთიერ საბუთად-----; გთხოვთ, დაათვალიეროთ.
15. ეს ის საბურავია, რომელიც თქვენ გადმოგეცათ საბურავის კვალის შესადარებლად?
16. საიდან ცნობთ მას?

თქვენო ღირსებავ, გთხოვთ, ნივთიერი საბუთი---- მიიღოთ მტკიცებულებად.

17. თქვენ გააკეთეთ ეს შედარება?
18. როგორ გააკეთეთ ეს შედარება?
19. თქვენი შედარების საფუძველზე, გაქვთ რაიმე მოსაზრება იმის თაობაზე, რომ კვალი, რომელიც თქვენ აღმოაჩინეთ დანაშაულის ადგილზე, იმავე საბურავით არის გაკეთებული, რომელიც ბრალდებულის მანქანის საბურავს აქვს, და რომელიც არის მონიშნული ნივთიერ საბუთად ----?
20. რაში მდგომარეობს ეს მოსაზრება?

36. ხელსაწყოზე კვალის ექსპერტის მომწედ კვალიფიკაცია

მოწმის იდენტიფიცირება

1. გთხოვთ, სასამართლოს გააცნოთ თქვენი ვინაობა და მისამართი?
2. თქვენი საქმიანობა/პროფესია?
3. რომელ სამართალდამცავ ორგანოში მუშაობთ?
4. რამდენი ხანია, რაც ამ სამართალდამცავ ორგანოში მუშაობთ?
5. რა მოვალეობებს ასრულებთ?
6. რამდენი ხანია, რაც ხელსაწყოზე კვალის იდენტიფიცირების ექსპერტად მუშაობთ?
7. რა სპეციალიზებული სწავლება გაქვთ გავლილი ხელსაწყოზე კვალის იდენ-

ტიფიცირების სფეროში?
8. ხელსაწყოზე კვალის იდენტიფიცირების სფეროში ჩვენება ხომ არ მიგიციათ?
9. რომელ სასამართლოში მიგიციათ ჩვენება?
10. თქვენო ღირსებავ, გთხოვთ, ეს მოწმე (დაასახელეთ ვინაობა) მიიჩნიოთ ექსპერტად ხელსაწყოზე კვალის იდენტიფიცირების სფეროში

ფიზიკური ფაქტის იდენტიფიცირება

1. ამ საქმეზე დანაშაულის ადგილი თქვენ თავად გამოიკვლიეთ?
2. როდის ჩაატარეთ გამოკვლევა?
3. სად ჩაატარეთ გამოკვლევა?
4. თქვენ მიერ ჩატარებული გამოკვლევის მიზანი რაში მდგომარეობდა?
5. თქვენი გამოკვლევის შედეგად რა დაადგინეთ?
6. მე ახლა თქვენ გაჩვენებთ ნივთიერ საბუთს ----, გთხოვთ, დაათვალიეროთ.
7. ეს ის საგანია, რომელზეც თქვენ ხელსაწყოს კვალი აღმოაჩინეთ?
8. საიდან ცნობთ მას?

თქვენო ღირსებავ, გთხოვთ, ეს ნივთიერი საბუთი დაუშვათ მტკიცებულებად.

9. მას შემდეგ, რაც აღმოაჩინეთ ნივთიერი საბუთი, თქვენ გქონდათ საშუალება ხელსაწყოს ანაბეჭდი მოცემულ ნივთზე შეგედარებინათ სხვა მსგავსი ანაბეჭდებისთვის?
10. როდის და რა გარემოებებში გააკეთეთ ეს?
11. როდის განახორციელეთ ეს შედარება?
12. მე თქვენ გაჩვენებთ ბრტყელტუჩას, რომელიც ჰქონდა ბრალდებულსა და რომელიც მონიშნულია ნივთიერ საბუთად-----; გთხოვთ, დაათვალიეროთ.
13. ეს ის ხელსაწყოა რომელზეც თქვენ ახლა ჩვენება მიეცით?
14. საიდან ცნობთ მას?
15. თქვენ გქონდათ საშუალება გამოგეყენებინათ ხელსაწყო, რომელიც არის მონიშნული ნივთიერ საბუთად, იმავე გარემოებებსა და პირობებში, რომელმაც გავლენა იქონიოს ნივთიერ საბუთზე---?
16. როგორ დაადგინეთ ეს?
17. მე თქვენ გადმოგცემთ ნივთიერ საბუთს---.
18. ამ ნივთზე არის ხელსაწყოს ანაბეჭდი, რომელიც თქვენ ბრტყელტუჩათი გააკეთეთ?
19. როგორ ცნობთ მას?

თქვენო ღირსებავ, გთხოვთ, ნივთიერი საბუთი---- მიიღოთ მტკიცებულებად.

20. თქვენ გააკეთეთ ეს შედარება?
21. როგორ გააკეთეთ ეს შედარება?
22. თქვენი შედარების საფუძველზე, გაქვთ რაიმე მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ბრტყელტუჩა, რომელიც ამოიღეს ბრალდებულისგან, დატოვებდა ნაკვალევს ნივთზე, რომელიც დანაშაულის ადგილას იყო ნაპოვნი, და რომელიც საქმეში არის წარმოდგენილი ნივთიერ საბუთად---?
23. რაში მდგომარეობს ეს მოსაზრება?

37. ქონების ღირებულების ექსპერტის მოწმედ კვალიფიკაცია

მოწმის იდენტიფიცირება

1. გთხოვთ, სასამართლოს გააცნოთ თქვენი ვინაობა და მისამართი.
2. თქვენი საქმიანობა/პროფესია?
3. სად მუშაობთ?
4. რამდენი ხანია, რაც ამ ორგანიზაციაში მუშაობ?
5. რა მოვალეობებს ასრულებთ?
6. თქვენს მოვალეობებში შედის ქონების ყიდვა-გაყიდვა?
7. გქონიათ ისეთი შემთხვევა, რომ გეყიდათ ან გაგეყიდათ ქონება?
8. რამდენჯერ?
9. რამდენი ხანია, რაც ქონების ყიდვა-გაყიდვაში ხართ ჩართული?
10. თქვენი პროფესიული საქმიანობის დროს (ნახმარი ქონების დილერი) გქონდათ საშუალება დაგედგინათ ქონების საბაზრო ფასი?
11. რამდენჯერ?
12. გთხოვთ, განმარტოთ ტერმინი ,,საბაზრო ფასი''?
13. გქონიათ საშუალება განგესაზღვრათ ქონების საბაზრო ფასი?
14. რამდენჯერ?
15. ქონების საბაზრო ფასის განსაზღვრისას, რაიმე კატალოგით ან სახელმძღვანელოთი ხომ არ გისარგებლიათ?
16. რამდენჯერ?
17. სისხლის სამართლის სასამართლოში თუ გამოსულხართ ექსპერტად საბაზრო ფასის განსაზღვრის საკითხებზე?
18. რამდენჯერ?

თქვენო ღირსებავ, გთხოვთ, მოწმე (მიუთითეთ სახელი) მიიჩნიოთ ექსპერტად სფეროში----

ფიზიკური ფაქტის იდენტიფიცირება

1. სასამართლო უწყების მიხედვით გქონდათ საშუალება ჩაგეტარებინათ გამოკვლევა (ხელშესახები ქონება).
2. როდის ჩაატარეთ ქონების გამოკვლევა?
3. სად ჩაატარეთ ქონების გამოკვლევა?
4. რა მიზანს ემსახურებოდა ქონების გამოკვლევა?
5. რა გამოავლინეთ თქვენ მიერ ჩატარებული გამოკვლევის შედეგად?
6. მე თქვენ გაჩვენებთ ნივთიერ საბუთს ----; გთხოვთ, დაათვალიეროთ.
7. ცნობთ მას?
8. საიდან გეცნობათ?

თქვენო ღირსებავ, გთხოვთ, ნივთიერი საბუთი მიიღოთ მტკიცებულებად საქმეზე

9. თქვენი გამოკვლევის შედეგად ჩამოგიყალიბდათ მოსაზრება ქონების საბაზრო ფასთან დაკავშირებით?
10. რას ეფუძნება თქვენი მოსაზრება?

38. უცხო ენის/ქართული ენის თარჯიმნის მოწმედ კვალიფიკაცია

მოწმის იდენტიფიცირება

1. გთხოვთ, სასამართლოს გააცნოთ თქვენი ვინაობა და მისამართი.
2. თქვენი საქმიანობა/პროფესია?
3. სად მუშაობთ?
4. რამდენი ხანია, რაც ამ ორგანიზაციაში მუშაობთ (მიუთითეთ ორგანიზაციის სახელი)?
5. რა ვალდებულებები გაკისრიათ?
6. რომელ უცხო ენას ასწავლით?
7. ამ ენაზე რაიმე ხომ არ გამოგიქვეყნებიათ?
8. სად დაიბადეთ?
9. სად სწავლობდით თქვენს ქვეყანაში?
10. რა სახის განათლება გაქვთ მიღებული?
11. რა საგანმანათლებლო ხარისხი გაქვთ?
12. რა გამოცდილებას ფლობთ უცხოე ენაზე მოსაუბრე პირისთვის ამ ენაზე ინსტრუქციებისა და მითითებების მიცემაში?
13. ქართულს კარგად ფლობთ?
14. სად ისწავლეთ ეს ენა?
15. თქვენ უცხო ენას (მუთითეთ ენა) კარგად ფლობთ?
16. სად ისწავლეთ უცხო ენა?
17. რა განათლება გაქვთ მიღებული ქართულ ენაში?
18. რა განათლება გაქვთ მიღებული უცხო ენაში?
19. ამჟამად ქართულ ენაზე წერთ, კითხულობთ და საუბრობთ თქვენი ყოველდღიური საქმიანობისას?
20. ამჟამად უცხო ენაზე წერთ, კითხულობთ და საუბრობთ?
21. როდის იყენებთ უცხო ენას?
22. თქვენ კარგად ფლობთ უცხო ენას, გრამატიკას?

თქვენო ღირსებავ, გთხოვთ, მოწმე ---- მიიჩნიოთ ექსპერტად უცხო ენის/ქართული ენის თარგმნაში.

23. მოგისმენიათ და გითარგმნიათ აუდიოჩანაწერები ამ საქმესთან დაკავშირებით?
24. რა ენაზე საუბრობდნენ მხარეები?
25. რომელ ენაზე გადათარგმნეთ უცხო ენაზე ნასაუბრები?

39. ხმის იდენტიფიცირების ექსპერტის იდენტიფიცირება და წარდგენა მტკიცებულებად

მოწმის იდენტიფიცირება

1. გთხოვთ სასამართლოს გააცნოთ თქვენი ვინაობა და მისამართი.
2. თქვენი საქმიანობა/პროფესია?
3. სად მუშაობთ?
4. რამდენი ხანია რაც ამ ორგანიზაციაში მუშაობთ (მიუთითეთ ორგანიზაციის სახელი)?

5. იცნობთ ბრალდებულს?
6. რამდენი ხანია, რაც იცნობთ მას?
7. როდესმე თუ გისაუბრიათ მასთან?
8. დაახლოებით რამდენჯერ?
9. როდის ესაუბრეთ მას?
10. სად ესაუბრეთ მას?
11. ვინ იყო თქვენთან ერთად, როდესაც მას ესაუბრეთ?
12. როდის (თარიღი) მოისმინეთ სატელეფონო საუბარი ბრალდებულსა და ---- (ვინაობა) შორის?
13. ერთ-ერთი ან ორივე ხმა ხომ არ გეცნოთ?
14. ვისი ხმა გეცნოთ?
15. რა უთხრა ბრალდებულმა ---- (ვინაობა)?
16. რა უპასუხა (ვინაობა) ---- ბრალდებულს?

40. ვიდეოჩანაწერის იდენტიფიცირება და მტკიცებულებად წარდგენა

მოწმის იდენტიფიცირება

1. გთხოვთ სასამართლოს გააცნოთ თქვენი ვინაობა და მისამართი.
2. თქვენი საქმიანობა/პროფესია?
3. სად მუშაობთ?
4. რამდენი ხანია, რაც ამ ორგანიზაციაში მუშაობთ (მიუთითეთ ორგანიზაციის სახელი)?
5. ვიდეოკამერის გამოყენების შემსწავლელი კურსები თუ გაქვს გავლილი? სად, როდის, ვისთან?
6. რამდენი ხანი გრძელდებოდა ეს ტრენინგი?
7. აღწერეთ რა შედიოდა ამ ტრენინგში?
8. ვიდეო, ჩანაწერის ტექნოლოგია დახვეწეთ და შეისწავლეთ ნოვაციები?
9. ტრენინგის გავლის შემდეგ, თუ გიმუშავიათ ვიდეოგადაღებაზე?
10. რამდენჯერ?
11. კამერის გამოყენების შედეგი სწორი იყო?
12. თქვენს კომპანიში (კომპანიის სახელი) მუშაობის დროს გქონდათ ვიდეოკამერის გამოყენების შესაძლებლობა?
13. რამდენჯერ?

ფიზიკური ფაქტების იდენტიფიცირება

1. ზუსტად რა დაინახეთ ----- (რიცხვი) ----(დრო)?
2. როდესაც ეს მოვლენა დაინახეთ, თქვენ ვიდეოკამერა ჩართული გქონდათ?
3. რა სახის კამერა იყო?
4. აღწერეთ კამერა – ზომა; წონა და ა.შ.
5. როგორ დატენეთ კამერა?
6. პორტაბელურია კამერა?
7. ამ შემთხვევამდე თუ გამოგიყენებიათ კამერა?
8. რამდენჯერ?

9. კამერა შეამოწმეთ მოხმარებამდე?
10. კამერა კარგ სამუშაო მდგომარეობაში იყო?
11. კასეტა ცალკე იდება კამერაში?
12. კასეტა კამერაში ჩადებული იყო ამა და ამ დღეს და დროს (მიუთითეთ შემთხვევის დრო და თარიღი)?
13. ვინ ჩადო კასეტა კამერაში?
14. კასეტა ცარიელი იყო, როდესაც ის კამერაში მოათავსეთ?
15. როგორ იყო კასეტა ცარიელი?
16. კამერიდან ხედავდით იმ მოვლენას, რომელიც ამა და ამ რიცხვში მოხდა (მიუთითეთ შემთხვევის თარიღი და დრო)
17. ეს კამერა ისე მუშაობს, რომ მასში გახედვით შეგიძლიათ მოვლენის დანახვა?
18. მოვლენასთან დაკავშირებით, რომელსაც ადგილი ჰქონდა (მიუთიეთეთ თარიღი და დრო) და რომელზეც თქვენ ჩვენება მიეცით, როდის ჩართეთ ვიდეოკამერა?
19. რა ადგილიდან იღებდით?
20. რა დისტანციით იყავით დაშორებული მოვლენებიდან?
21. როგორი სახის განათება იყო?
22. რაიმე სახის სპეციალური მოწყობილობა თუ იყო დამონტაჟებული ვიდეოკამერაზე?
23. რაიმე სახის სპეციალური ფილტრი თუ იყო დამონტაჟებული კამერაზე?
24. გთხოვთ, აგვიწეროთ კამერაზე დამონტაჟებული სპეციალური მოწყობილობები და მათი დანიშნულება?
25. რაიმე სპეციალური ხელოვნური განათების სისტემა თუ გამოიყენეთ?
26. გთხოვთ, აღწეროთ გამოყენებული ხელოვნური განათების სისტემა?
27. სწორედ იყო დამონტაჟებული დამატებითი ხელსაწყოები ვიდეოკამერაზე?
28. რამდენი ხანი იწერდით შემთხვევას?
29. თქვენ ამოიღეთ კასეტა კამერიდან?
30. ვინ ამოიღო კასეტა?
31. მონიშნეთ კასეტა იდენტიფიცირებისთვის?
32. მე თქვენ გეჩვნებეთ ახლა ნივთიერ საბუთს ---- გთხოვთ, დაათვალიეროთ.
33. ცნობთ მას?
34. საიდან ცნობთ?
35. მას შემდეგ რაც ამოიღეთ კასეტა რა უქენით მას?
36. კასეტა თქვენი მუდმივი მეთვალყურეობის, მზრუნველობის და კონტროლის ქვეშ იყო?
37. როგორ გადაეცით სასამართლოს?
38. მას შემდეგ, რაც ჩაწერეთ ეს მოვლენა, ნახეთ ეს კასეტა?
39. რამდენჯერ?
40. ამ კასეტაზე აღწერილი მოვლენა ზუსტად და სწორად აღწერს იმ დღეს მომხდარ შემთხვევას?
41. ეს მოვლენების რეკონსტრუქცია ხომ არ არის?
42. სწავლება თუ გაქვთ გავლილი ვიდეოკამერის ობიექტივის გამოყენების საკითხებზე?

43. მსგავსი ობიექტივი თუ გამოგიყენებიათ წარსულში?
44. რამდენჯერ?
45. გთხოვთ, ვიდეოჩანაწერი სასამართლოს გააცნოთ (ვიდეოჩანაწერის გაშვება).
46. ეს ვიდეო, ჩანაწერი ზუსტად ასახავს იმ მოვლენებს, რომელიც თქვენ შემთხვევის დღეს დაინახეთ (მიუთიეთ კონკრეტული თარიღი და დრო).
47. ეს ვიდეოჩანაწერი რაიმე ფორმით ხომ არ შეგიცვლიათ ან რაიმე ხომ არ წაგიშლიათ?

თქვენო ღირსებავ, გთხოვთ, ნივთიერი საბუთი მიიღოთ მტკიცებულებად.

შენიშვნა: დაასრულეთ დამაჯერებლად, ზემოთ ნათქვამი ყველა პროცედურა გაიმეორეთ ნაფიცი მსაჯულებისთვის.

41. მოსამართლის თანაშემწის მოწმედ იდენტიფიცირება და წარდგენა

მოწმის იდენტიფიცირება

1. მოსამართლის თანაშემწე გამოიძახეთ მოწმის სკამზე.
2. გთხოვთ, სასამართლოს გააცნოთ თქვენი ვინაობა.
3. თქვენი პროფესია/საქმიანობა?
4. სად მუშაობთ?
5. რამდენი ხანია, რაც ამ სასამართლოში მუშაობთ (მიუთითეთ სასამართლოს სახელი)?
6. რა მოვალეობებს ასრულებთ თქვენ მიერ დაკავებულ თანამდებობაზე?
7. სასამართლო უწყისის შესაბამისად მოიტანეთ სასამართლო საქმის ნომერი ----?
8. თქვენო ღირსებავ, გთხოვთ, ნივთიერი საბუთი ---- მონიშნოთ სამომავლო იდენტიფიცირებისთვის

ფიზიკური ფაქტის იდენტიფიცირება

1. თქვენ ხართ პასუხისმგებელი საქმისა და მისი შიგთავსის შენახვაზე?
2. საქმე ინახება როგორც სასამართლოს ოფიციალური ჩანაწერი ამ ქვეყანაში?
3. საქმის მასალები დალუქულია ბეჭდით?
4. თქვენო ღირსებავ, გთხოვთ, ბრალდების შესახებ ინფორმაცია, ჩანაწერები და სასამართლო გადაწყვეტილება მიიღოთ მტკიცებულებად.

42. ადრე ნასამართლობის დამამტკიცებელი საბუთის იდენტიფიცირება და წარდგენა

მოწმის იდენტიფიცირება

1. გთხოვთ სასამართლოს გააცნოთ თქვენი ვინაობა.
2. რა არის თქვენი საქმიანობა და პროფესია?
3. რაიმე ოფიციალური თანამდებობა თუ გიკავია ოლქში---?
4. რა თანამდებობა გიკავიათ?
5. რამდენი ხანია, რაც მუშაობთ ---- (მიუთითეთ სამსახურის სახელი)?
6. რაში მდგომარეობს თქვენი მოვალეობები?

7. თქვენ როგორც მოსამართლის თანაშემწე, ოფიციალურად ვალდებული ხართ შეინახოთ ყველა სისხლის სამართლის საქმის ჩანაწერები?
8. გთხოვთ, ნაფიც მსაჯულებს აუხსნათ რა სახის სისხლის სამართლის ჩანაწერებს ინახავთ.

ფიზიკური ფაქტის იდენტიფიცირება

1. ჩემი თხოვნის მიხედვთ, მოიტანეთ თან სისხლის სამართლის საქმის მასალების, საქმე ნომერი ----, ბრალდებული ----- (მიუთითეთ საქმის ნომერი და ბრალდებულის ვინაობა)?
2. შეიძლება ვნახო ეს დოკუმენტები?
3. მე ვხედავ, რომ საქმის მასალის თითოეულ გვერდზე დასმულია ბეჭედი, რომელიც ადასტურებს ასლების დედანთან სისწორეს, რაზეც პასუხისმგებელია სასამართლოს თანამშემზე, მართალი ვარ?
4. ეს ნივთიერი საბუთები ზუსტი ასლია ორიგინალის?

43. ფიცის ქვეშ ადრე მიცემული ჩვენების შეუსაბამობის იმპიჩმენტის წარდგენა

მოწმის იდენტიფიცირება

1. გთხოვთ, სასამართლოს მოახსენოთ თქვენი ვინაობა
2. რა არის თქვენი პროფესია/რას საქმიანობათ?
3. სად მუშაობთ?
4. დიდი ხანია, რაც ამ ორგანიზაციაში მუშაობთ (მიუთითეთ ორგანიზაციის სახელი)?

ფიზიკური ფაქტის იდენტიფიცირება

1. თქვენ მიეცით ჩვენება (გააკეთეთ განცხადება ან წარმოადგინეთ მტკიცებულება) რიცხვი---- დრო ----?
2. ჩვენების მიეცემის გარემოზე მისცა მოწმემ ჩვენება?
3. (თუ მოწმეს ჰყავდა ადვოკატი (რომლის იმპიჩმენტიც მოხდება), დაადგინეთ, რომ მოწმე იყო წარმოდგენილი ჩვენების მიცემის დროს) თქვენი ადვოკატი ესწრებოდა თქვენ მიერ ჩვენების მიცემის (განცხადების გაკეთების ან მტკიცებულების წარდგენის) პროცედურას?
4. ვინ იყო თქვენი ადვოკატი ამ დროს ----, როდესაც მიეცით ჩვენება (გააკეთეთ განცხადება ან წარადგინეთ მტკიცებულება)?
5. თქვენ დადეთ ფიცი, რომ იტყოდით სიმართლეს?
6. სასამართლოს სხდომის მდივანი ესწრებოდა სასამართლო პროცესს?
7. დაგისვეს შეკითხვები და მოგეცათ საშუალება, რომ სრულად გაგეცათ დასმულ შეკითხვაზე პასუხი?
8. მოგეცათ საშუალება წინასწარ წაგეკითხათ თქვენ მიერ გაცემული პასუხები?
9. მე თქვენ გაჩვენებთ ნივთიერ საბუთს ----; გთხოვთ წაიკითხოთ დასმული შეკითხვები და თქვენ მიერ გაცემული პასუხები.
10. გახსოვთ პასუხები, რომელიც შეკითხვებზე გაეცით?
11. თქვენ როდის გაეცით დასმულ შეკითხვებს პასუხი?

მელიც არეგულირებს შეურაცხადობის საკითხს.

13. გთხოვთ, სასამართლოს გააცნოთ თქვენი, როგორც ექსპერტის დასკვნა, ბრალდებულის კომპეტენციისა და შერაცხადობის თაობაზე.

კომპეტენცია სასამართლო პროცესის დროს

1. სასამართლოს თანხმობით მინდა დაგისვათ რამდენიმე კონკრეტული შეკითხვა ბრალდებულის თაობა და ასევე მის კომპეტენციაზე.
2. შესწევს ბრალდებულს უნარი, აღიქვას და გაიგოს მის წინააღმდეგ არსებული ბრალდებები?
3. შესწევს ბარლდებულს უნარი, დაეხმაროს საკუთარ ადვოკატს მოამზადოს და წარმართოს დაცვა?
4. ესმის ბრალდებულს სასამართლო პროცესის მიზანი?
5. ესმის ბრალდებულს მისი მდგომარეობა სასამართლო პროცესზე, როგორც განსასჯელის – ბრალდებულის?
6. ესმის ბრალდებულს მისი ადვოკატის როლი სასამართლო პროცესზე?
7. ესმის ბრალდებულს სხვების როლი სასამართლო პროცესზე, მაგალითად, – მოსამართლე, პროკურორი, ნაფიცი მსაჯულები და მოწმეები?
8. შესწევს მას უნარი, ითანამშრომლოს რაციონალურად საკუთარ ადვოკატთან?
9. შესწევს მას უნარი, ადვოკატს მიაწოდოს ინფორმაცია მნიშვნელოვან ფაქტებზე, მათ შორის მის გადაადგილებაზე, დროზე, გონებრივ მდგომარეობასა და მოქმედებაზე დანაშაულის ჩადენის მომენტში?
10. შესწევს მას უნარი, დაეხმაროს ადვოკატს საკუთარი დაცვის წარდგენაში?
11. შესწევს მას უნარი, რჩევა მისცეს საკუთარ ადვოკატს ან მიიღოს რჩევა მისგან?
12. ესმის ბრალდებულს ბრალდების სიმძიმე?
13. ესმის ბრალდებულს შესაძლო ვერდიქტი და საქმის დასასრული რა შეიძლება იყოს?
14. ესმის, რომ თუ მას დამნაშავედ ცნობენ, რა სახის სასჯელი ელის?

    შესწევს მას უნარი, გაიაზროს საკუთარი უფლებები, ისეთი როგორიცაა:

    პროცესიის საჯაროობა?

    უფლება დაცვაზე?

    მოწმის ჩვენების მოსმენა?

    საკუთარი დაცვის მიზნით ჩვენების მიცემა, ასევე საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების არმიცემის უფლება.

შენიშვნა: თუ ექსპერტი მხარს უჭერს ბრალდებულის არაკომპეტენტურობას და ბრალდებული სამართლებრივად არაკომპეტენტურია, მაშინ შემდეგი შეკითხვები უნდა დასვათ:

1. თქვენი აზრით, ბრალდებული განიცდის გონებრივ ნაკლს ან დეფექტს?
2. რომელს?
3. გთხოვთ, განმარტოთ.
4. თქვენი აზრით, ეს გამოწვეულია ემოციური ან ხასიათობრივი აშლილობით?
5. რაში მდგომარეობს თქვენი დიაგნოზი?
6. არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ ბრალდებულმა სასამართლო პროცესის

12. შეგიძლიათ განმარტოთ, რატომ არ ემთხვევა თქვენ მიერ ადრე გაცემულ პასუხი დღეს გაცემულ პასუხს?

44. ფიცის ქვეშ არმიცემული ჩვენების შეუსაბამობის იმპიჩმენტის წარდგენა

მოწმის იდენტიფიცირება

1. გთხოვთ, სასამართლოს მოახსენოთ თქვენი ვინაობა?
2. რა არის თქვენი პროფესია/რას საქმიანობათ?
3. სად მუშაობთ?
4. დიდი ხანია რაც ამ ორგანიზაციაში მუშაობთ (მიუთითეთ ორგანიზაციის სახელი)?

ფიზიკური ფაქტის იდენტიფიცირება

1. გახსოვთ, ოფიცერთან საუბრის მომენტი და მისთვის ჩვენების მიცემა (მიუთიეთ დღე, დრო და ადგილი)?
2. ყველა ის პასუხი, რომელიც თქვენ ოფიცერს მიეცით (მიუთიეთ დღე, დრო და ადგილი), იყო სწორი, მართალია?
3. გახსოვთ, თქვენ ოფიცერმა გკითხათ (ზეპირად ან წერილობით) (წაიკითხეთ შეკითხვა) ან გახსოვთ თქვენ გაეცით შემდეგი პასუხი წერილობით (წაიკითხეთ თუ რა უწერია მოწმეს)?
4. იმ შემთხვევაში, თუ ეს იყო ზეპირად დასმული შეკითხვა, მაშინ ჰკითხეთ მოწმეს თუ ახსოვს მის მიერ ნათქვამი შემდეგი პასუხი- – - – -
5. ----- პასუხი?
6. თქვენი პასუხი განსხვავებულია იმისგან, რაც თქვენ თქვით (მიუთიეთ დღე, დრო და ადგილი)?
7. შეგიძლიათ განმარტოთ რატომ არ ემთხვევა თქვენ მიერ ადრე გაცემული პასუხი დღეს გაცემულ პასუხს?

45. შერაცხადობის იდენტიფიცირება და წარდგენა

მოწმის იდენტიფიცირება

1. გთხოვთ, სასამართლოს გააცნოთ თქვენი ვინაობა?
2. რა არის თქვენი საქმიანობა /პროფესია?
3. ლიცენზირებული ბრძანდებით, განახორციელოთ პრაქტიკა ამ ოლქში?
4. როდის მიიღეთ ლიცენზია?
5. რომელ სფეროში ხართ სპეციალიზებული?
6. რამდენი ხანია, რაც ამ სფეროში ხართ სპეციალიზებული?
7. არსებობს რაიმე პროფესიული საბჭო ან ორგანიზაცია, რომელიც ამ სფეროში გასცემს ლიცენზიას?
8. მოკლედ გვითხარით, როგორ მიიღეთ თქვენ ეს ლიცენზია?
9. რამდენი ხანია, რაც სერტიფიკატი გაქვთ?
10. გთხოვთ, მოგვიყვეთ თქვენი განათლების შესახებ, რომელიც განიჭებთ კვალიფიკაციას ამ პროფესიაში, მათ შორის კოლეჯი და სამედიცინო სასწავლე-

ბელი და ის ხარისხები, რომელიც გააგჩნიათ?
11. აკადემიური ხარისხის მიღების შემდეგ, თუ გაიარეთ რეზიდენტურა?
12. თუ კი, გთხოვთ, აღწეროთ თქვენი რეზიდენტურის პროგრამა და იქ მიღებული გამოცდილება?
13. სხვა რაიმე სახის განათლება თუ გაქვთ მიღებული ამ სფეროში?
14. თუ გაქვთ დაწერილი ნაშრომი ან წაკითხული ლექცია ამ სფეროში?
15. თუ კი, მოკლედ აღწერეთ.
16. გთხოვთ გვითხრათ სად ახორციელებთ პრაქტიკას ამჟამად?
17. ადრე თუ ყოფილხართ კვალიფიცირებული ექსპერტის ჩვენების მიცემაში სასამართლო პროცედურების დროს?
18. თუ კი, მაშინ გთხოვთ მოგვახსენოთ რომელ სასამართლოში გამოსულხართ და რა შემთხვევებში?
19. რამდენჯერ?
20. ადრე თუ მოუმართავს სასამართლოს თქვენთვის რომ გამოგეკვლიათ ბრალდებული, მისი კომპეტენციის თაობაზე დაესწროს და აღიქვას სასამართლო პროცესი ან შერაცხადობის საკითხი დანაშაულის ჩადენის მომენტში?

თქვენო ღირსებავ, გთხოვთ მოწმე (მიუთიეთ ვინაობა) მიიჩნიოთ ესპერტად ამ სასამართლო პროცესზე.

ფიზიკური ფაქტის იდენტიფიცირება

1. სასამართლოს მოთხოვნის საფუძველზე თუ მოახერხეთ ბრალდებულის შემოწმება?
2. ეს პიროვნება დღეს სასამართლო დარბაზში იმყოფება?
3. გთხოვთ, მიუთითოთ ამ პიროვნებაზე სასამართლო დარბაზში.

თქვენო ღირსებავ, გთხოვთ, ჩაინიშნოთ რომ მოწმემ სწორად ამოიცნო ბრალდებული ამ საქმეზე.

4. შეგიძლიათ მოკლედ აღწეროთ ის პროცედურა, რასაც თქვენ ახორციელებთ გამოკვლევის ობიექტზე?
5. ამ შემთხვევაში, თუ იმოქმედეთ ზუსტად ამ პროცედურის მიხედვით?
6. გთხოვთ, გვითხრათ, როდის ჩაატარეთ გამოკვლევა?
7. სად ჩაატარეთ გამოკვლევა?
8. რა პირობებში ჩაატარეთ გამოკვლევა?
9. რამდენ ხანს გაგრძელდა ბრალდებულთან გასაუბრება?
10. რა სახის ცხრილები, ტესტები ან სხვა საშუალებები გამოიყენეთ გამოკვლევის პროცესში?
11. შეგიძლიათ მოკლედ გასმოგვეცით ის ინფორმაცია, რაც გამოკვლევის პროცესში გამოიყენეთ?
12. ბრალდებულის გამოკვლევის შედეგად და სასამართლო მოთხოვნის საფუძველზე, მიხვედით დასკვნამდე ბრალდებულის კომპეტენციასთან დაკავშირებით, რომ დაესწროს სასამართლო პროცესს, აღიქვას მისი შინაარსი და ბრალდებულის უნარზე, გაარჩიოს სწორი არასწორისგან დანაშაულის ჩადენის მომენტში?

შენიშვნა: შეკითხვებისას იხელმძღვანელეთ შესაბამისი კანონმდებლობით, რო-

მიმდინარეობის დროს შეიძლება მიიღოს ფსიქოზის ნიშნები, ან გაუჩნდეს თვითმკვლელობის სურვილი ან განიცადოს რეგრესი სასამართლო პროცესის სტრესის გამო?

7. თქვენი აზრით, ბრალდებულს ხომ არ აწუხებს ჰალუცინაციები?

შენიშვნა თუ ზემოთ მოცემულ რომელიმე შეკითხვაზე პასუხია არის „დიახ“, მაშინ დასვით შემდეგი შეკითხვები:

8. როგორ დაახასიათებთ ამ მდგომარეობას – მსუბუქი, საშუალო სიმძიმის თუ მძიმე?
9. თქვენი აზრით, ბრალდებულის ასეთი მდგომარეობა ხელს უშლის მის მიერ სასამართლო პროცესის აღქმას და გაანალიზებას?
10. თქვენი აზრით, ბრალდებულის ესეთი მდგომარეობა ხელს შეუშლის მის უნარს ითანამშრომლოს, რჩევა მისცეს ან მიიღოს რჩევა საკუთარი ადვოკატისგან?

შენიშვნა: თუ ზემოთ მოცემულ შეკითხვაზე „23“ და „24“ პასუხია არის„დიახ“ მაშინ დასვით შემდეგი შეკითხვები:

11. არსებობს ვარაუდი იმისა, რომ ბრალდებულის კომპეტენცია შეიძლება აღდგეს ახლო მომავალში?
12. ბრალდებულის ასეთი მდგომარეობისათვის თქვენ როგორ მკურნალობას დანიშნავდით?
13. ბრალდებულის მდგომარეობა სახიფათოა მისთვის და სხვა ადამიანებისათვის?
14. როგორ შეაფასებთ ბრალდებულს – მოწყვლადობა ძალადობის მიმართ?

შერაცხადობა დანაშაულის ჩადენის მომენტში

სასამართლოს თანხმობითა და თქვენ მიერ ბრალდებულის დანაშაულის მომენტში შერაცხადობის თაობაზე გამოხატული მოსაზრების საფუძველზე, მინდა დაგისვათ რამდენიმე კონკრეტული შეკითხვა ბრალდებულის შესახებ.

1. ბრალდებული დანაშაულის ჩადენის მომენტში იყო თუ არა რაიმე გონებრივი დაავადებით დაავადებული?
2. ბრალდებულს ხომ არ აქვს რაიმე დეფექტი ამ გონებრივი დაავადების გამო?
3. ბრალდებულმა იცოდა თუ არა იმ სისხლისსამართლებრივი აქტის ხარისხი, რომელსაც იგი სჩადიოდა?
4. ბრალდებული, დანაშაულის ჩადენის მომენტში, მოქმედებდა ამ დეფექტის გამო, რომელიც გამოწვეულია გონებრივი ნაკლის შედეგად და ვერ აცნობიერებდა საკუთარი ქმედების ხასიათსა და ხარისხს?
5. იცოდა თუ არა ბრალდებულმა მის მიერ დანშაულის ჩადენის მომენტში, რომ ის არასწორ ქმედებას სჩადიოდა?
6. ბრალდებული დანაშაულის ჩადენის დღესა და დროს განიცდიდა ჰალუცინაციას?
7. თქვენი აზრით, ბრალდებულმა იცოდა და აღიქვამდა განსხვავებას სწორსა და არასწორს შორის დანაშაულის ჩადენის მომენტში?
8. შესწევდა თუ არა უნარი ბრალდებულს დაედგინა საკუთარი ქმედების კანონთან შესაბამისობა?

9. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით, დანაშაულის დღესა და დროს, ბრალდებული მოქმედებდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად?

46. ფსიქიატრის, ფსიქოლოგის ან სხვა ექსპერტის ჯგუფური დაკითხვა დანაშაულის მომენტში შესაძლო შეურაცხადობის თაობაზე

შენიშვნა: ამ შეკითხვების დასმის თანმიმდევრობა უნდა შეიგნეს იმის მიხედვით, თუ რომელი ექსპერტი იკითხება.

1. დანაშაულის შემდეგ რამდენ ხანში მოგეცათ შესაძლებლობა პირველად დაკვირვებოდით ბრალდებულს?
2. რამდენჯერ შეხვდით ბრალდებულს გამოსაკვლევად?
3. რამდენ ხანს გაგრძელდა თქვენი პირველი გამოკვლევა?
4. რამდენ ხანს გაგრძელდა სხვა გამოკვლევები?
5. ჯგუფში, რა დრო გაატარეთ ბრალდებულთან?
6. ბრალდებულს წარსულში თუ ჰქონია ფსიქიატრული პრობლემები?

შენიშვნა: თუ ბრალდებული წარსულში იყო შეურაცხადი, ან აქვს სერიოზული მენტალური დაავადების პრობლემა, მაშინ ძალიან ფრთხილად უნდ იმოქმედოთ ამ სფეროში.

7. რა სახის დამოუკიდებელი გამოკვლევა ჩაატარეთ ამ საქმეზე?
8. ესაუბრეთ ბრალდებულის ოჯახის წევრებს, თანამშრომლებს, მეგობრებს ან მეზობლებს?
9. ამ საქმეს პირადად თუ იცნობთ?
10. ამ საქმის მოწმეებს თუ ესაუბრეთ?
11. რა სიმპტომები გამოავლინა ბრალდებულმა, როდესაც იგი თქვენ გამოიკვლიეთ?
12. ფსიქოლოგიური ტესტი თუ ჩაუტარეთ? (თუ პასუხი არის კი, მაშინ შეეკითხეთ დააკონკრეტოს, თუ რომელი ტესტები გამოიყენა).

შენიშვნა: ხშირად გამოკითხვის, დაკვირვების მასალები და კონკრეტული პასუხები კონკრეტულ შეკითხვებზე ძალიან კარგი საშუალებაა დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, ამიტომ ყველნაირად უნდა ეცადოთ მოიპოვოთ ეს ინფორმაცია და ჯგუფური დაკითხვის ჩატარებამდე კარგად გაეცნოთ მას თქვენს ექსპერტთან ერთად.

13. თქვენ მიერ ჩატარებული გამოკვლევა მოიცავდა ტვინის ორგანული დაავადების დადგენას?

    რენტგენით გამოკვლევა?

    ფიზიკური გამოკვლევა?

    ენცეფალოგრამა (ტვინიდან მომდინარე ელექტრონული იმპულსური ტალღების შესწავლა, რომლითაც შეიძლება დადგინდეს ეპილეფსიის ან ტვინის სიმსივნის არსებობა)?

    პნეუმო-ენცეფალოგრამის ტესტი (ტვინში უშვებენ ჰაერს, ტარდება ტვინის რენტგენი რის შედეგადაც ჩანს უცნაური სივრცეები ტვინში)

    ნევროლოგიური გამოკვლევა (ცენტრალური ნერვული სისტემის დარღვევის შესწავლა)?

შენიშვნა: თუ ექსპერტმა არ ჩაატარა ზემოთ მითითებული სხვადასხვა ტესტი, მაშინ თქვენ შეგიძლიათ იდაოთ გამოკვლევის არაადეკვატურობაზე. თუ მან ჩაატარა ეს ტესტები და ვერ აღმოაჩინა ორგანული დარღვევა ტვინზე, მაშინ შეგიძლიათ დაუსვათ შემდეგი შეკითხვები:

14. თქვენ მთლიანად ეყრდნობით იმას, რაც ბრალდებულმა გითხრათ მისი სიმპტომების თაობაზე ან რასაც თქვენ დააკვირდით გარეგნულად გამოკვლევის დროს?
15. ვინაიდან თქვენ ორგანული პრობლემა ვერ აღმოაჩინეთ, მაშინ არის შანსი იმისა, რომ ბრალდებული იტყუება, ვინაიდან თქვენი მოსაზრება მთლიანად ეყრდნობა მის ქცევას თქვენ მიერ მისი გამოკვლევის დროს? ასე არ არის, რომ ბევრი ის ტესტი, რომელიც თქვენ ჩაატარეთ, მოითხოვს მნიშვნელოვან სუბიექტურ ინტერპრეტაციას, და ერთი ექსპერტის დასკვნა აბსოლუტურად განსხვავდება სხვა ექსპერტის დასკვნისგან?
16. შეძელით თქვენ განგესაზღვრათ ბრალდებული დაბნეული ხომ არ იყო ან მან დანაშაული ხომ არ ჩაიდინა კარგად დაგეგმილი გეგმის მიხედვით?
17. იცნობთ ბრალდებულის წარსულ ცხოვრებასა და მის პიროვნებას?
18. ესაუბრეთ მის მეგობრებს, თანამშრომლებს, მეზობლებსა და ოჯახის წევრებს?
19. თქვენ დამოუკიდებელი გამოძიება ფაქტის არ ჩაგიტარებიათ?
20. ეს ადამიანი იტანჯება „ციხის ფსიქოზისაგან“?
21. ეს მდგომარეობა არ გამომდინარეობს ბრალდებულის მიერ საკუთარი ქმედების არამართზომიერების გააზრებიდან?
22. თქვენი გამოკვლევის დროს, ბრალდებული აკონტროლებდა მის ფიზიკურ შესაძლებლობებს?
23. ბრალდებული აკონტროლებდა მის გონებრივ შესაძლებლობებს?
24. ეს თქვენი მოსზრებაა, რომ ბრალდებული იყო არასტაბილურ მდგომარეობაში, როდესაც მან ჩაიდინა დანაშაული, თუ ფსიქოზი მას დანაშაულის ჩადენის შემდეგ განუვითარდა?
25. დანშაულის ჩადენის შემდეგ რამდენ ხანში გამოიკვლიეთ ბრალდებული?
26. თქვენ ბრალდებულის გამოკვლევა ჩაატარეთ იმ დანაშაულთან დაკავშირებით რაც მან ჩაიდინა? რა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც იგი გეუბნებათ, რომ არ ახსოვს არაფერი, როდესაც სინამდვილეში ახსოვს?
27. ამას აქვს გავლენა თქვენს დიაგნოზზე?
28. რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ ის ტყუილს გეუბნებათ დანაშაულისა და მისი ხასიათის თაობაზე?
29. ამას აქვს გავლენა თქვენს დიაგნოზზე?
30. თუ თქვენ არ გაქვთ სწორი ფაქტები, შეგიძლიათ სწორი დასკვნის გაკეთება?
31. ეს ფაქტი არ არის, რომ თქვენ შეგიძლიათ გააყალბოთ გონებრივი დაავადება ან შეურაცხადობა?
32. ფაქტი არ არის ის, რომ ჭკვიან ხალხს შეუძლია გონებრივი დაავადების გაყალბება?
33. ბრალდებული სრულ ჭკუაზე იყო, როდესაც ის ამ დანაშაულს სჩადიოდა?

34. ბრალდებულს ამნეზია ხომ არ ჰქონდა დანაშაულის ჩადენის მომენტში ,რომელშიც ახლა მას ბრალი ედება?
35. ვინაიდან თქვენ ვერ დაადგინეთ ვერანაირი ორგანული დაავადება, შესაძლებელია, რომ ბრალდებული იტყუებოდეს, ვინაიდან თქვენი მოსაზრება მთლიანად მის ქცევაზეა დამოკიდებული, რომელიც მან გამოავლინა გამოკვლევის დროს?
36. ფაქტი არ არის ის, რომ თქვენი დიაგნოზი ემყარება თქვენ მიერ მისი ქცევის, აზროვნების დაკვირვებაზე?
37. ფორმალურ ბრალდებას თუ გაეცანით ამ პირის წინააღმდეგ წაყენებულს?
38. მაშასადამე, თქვენ ზუსტად არ იცით, რაში ედება მას ბრალი და როდის ჩაიდინა ეს დანაშაული?
39. ფაქტი არ არის ის, რომ ბრალდებული მოვიდა თქვენთან მას შემდეგ, რაც მან დანაშაული ჩაიდინა?
40. ფაქტი არ არის, რომ მას უკვე აყვანილი ჰყავს ადვოკატი საკუთარი უფლებების დასაცად?
41. ფაქტი არ არის, რომ, როდესაც იგი თქვენს სანახავად მოვიდა, მან იცოდა, რომ თქვენ სასამართლოში მის სასარგებლოდ მისცემდით ჩვენებას და დაადასტურებდით მის შეურაცხადობას?
42. როდის შეიტყეთ, რომ დაცვა შეურაცხადობას ირჩევდა სტრატეგიად?
43. თქვენი ინფორმაციით, ბრალდებულს როდესმე თუ შეუთავაზებია შეურაცხადობის არჩევა დაცვის სტრატეგიად?
44. რა დრო გავიდა მას შემდეგ, რაც ბრალდებულმა ჩაიდინა დანაშაული და რაც თქვენ ნახეთ იგი პირველად?
45. როგორც წესი, რთული არ არის უკანა თარიღით დასკვნის გაკეთება იმის თაობაზე, თუ რა მდგომარეობაში იმყოფებოდა ადამიანი კონკრეტულ მომენტში წარსულში? მართალია, ექიმო?
46. მართალი არ არის, რომ, როდესაც ინფორმაციის წყარო ფაქტებთან დაკავშირებით არის პაციენტი და რომ იგი ყველაზე მეტად დაინტერესებული, საბოლოო შედეგით?
47. ფაქტი არ არის, რომ ბრალდებულს გააზრებული ჰქონდა, რომ თქვენ ჩვენებას მისცემდით სასამართლოში მისი შერაცხადობის თაობაზე?
48. ადამიანი, რომელსაც კანონის დარღვევისთვის სერიოზული სასჯელი ელოდება, თუ იგი მიჩნეული იქნება შერაცხადად, ამძიმებს შეურაცხადობის ან არანორმალურობის სიმპტომებს ფსიქიატრიული გამოკვლევის დროს?
49. თქვენს დასკვნაზე ჩამოყალიბებისას, იცოდით, რომ ბრალდებულმა გააგრძელა პროფესიული საქმიანობა მას შემდეგ, რაც ჩაიდინა დანაშაული?
50. იცოდით, რომ დანაშაულის ჩადენის შემდეგ ბრალდებული ჩვეულებრივ მიდიოდა სამსახურში და კონტაქტი ჰქონდა თანამშრომლებთან?
51. ექიმო, ფსიქოზის ნევროზისგან გასარჩევად და ასევე სხვა ფსიქოსომატური დაავადების გამოსარჩევად, მართალი არ არის, რომ ფსიქოზი, როგორც წესი ხასიათდება რეალობასთან კონტროლის დაკარგვით, ან საკუთარ თავში ჩაკეტ-

ვით როდესაც ადამიანი მხოლოდ საკუთარ გარემოს აღიქვამს და რომელიც ვერ განსაზღვრას დროს და ადგილს, რომელიც ადვილად ღიზიანდება? (ეს არის ფსიქოზის სტანდარტული იდენტიფიკატორები; როგორც წესი ექიმის პასუხი იქნება "დიახ" და შემდეგ დაუსვით ქვემოთ მოცემული შეკითხვები)

52. ექიმო, პირველად როდესაც გამოიკვლიეთ იგი იცოდა მან სად იყო?
53. იცოდა ვინ იყო?
54. იცოდა რატომ იყო იქ?
55. იცოდა თქვენ ვინ იყავით?
56. იცოდა რომელი თვე და რიცხვი იყო?
57. იცოდა გამოკვლევის მიზანი?
58. იცოდა ინტერვიუს მნიშვნელობა?
59. რას გვეტყვით მასთან მეორე შეხვედრის თაობაზე?
60. რას გვეტყვით მასთან სხვა მომდევნო შეხვედრების თაობაზე?
61. თუ მან იცოდა დრო და ადგილი, ასევე ის თუ ვინ იყავით თქვენ, ვინ იყო თავად, არ ჰქონდა დაკარგული რეალობის შეგრძნება, არც საკუთარ სამყაროში იყო ჩაკეტილი, მაშინ არ არსებობს ფსიქოზის დამახასიათებელი ნიშნები?
62. ექიმო რა განსხვავებაა ფსიქოზურ და ნევროზულ მდგომარეობაში მყოფ ადამიანებს შორის?
63. ექიმო, ბრალდებული სრულ გონებაზე იყო ინტერვიუს დროს?
64. იგი ამნეზიის მდგომარეობაში ხომ არ იმყოფებოდა?

შენიშვნა: შემდეგი შეკითხვები და მნიშვნელოვანი ფაქტების არსებითი დეტალები განსაზღვრავს ქცევას და მოქმედებას დანაშაულის დროს და შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს

65. ექიმო, იცოდით "X" ფაქტი?
66. თუ თქვენ იცოდით "X" ფაქტი, შეგეცვლებოდათ მოსაზრება, მაგალითად როგორ მოქმედებდა როდესაც ვაჭრობით იყო დაკავებული, აწარმოებდა მოლაპარაკებებს გარკვეულ ქონებაზე; დაკავების დროს და აგენტის მიერ მისი იდენტიფიცირებისას; დაკავების შემდგომ, მოითხოვა თუ არა საკუთარ ადვოკატთან შეხვედრა, როგორ საუბრობდა, როგორ იქცეოდა?
67. ბრალდებულმა, დანაშაულის ჩადენის შემდეგ ოფიცერს უთხრა რომ მან საშინელი ქმედება ჩაიდინა და რომ ეს დაანგრევდა მის კარიერას, ეს იმას ამტკიცებს რომ მან იცოდა მისი არამართლზომიერი ქმედების თაობაზე?
68. ეს ნიშნავს იმას რომ იგი აანალიზებდა არაკანონიერი ქმედების ჩადენას?
69. გარდა იმისა რაც ბრალდებულმა თავად გითხრათ, თქვენ დამოუკიდებლად განსაზღვრეთ რომ იგი მოქმედებდა გარემოებების გამო?
70. შეძელით გაგენსაზღვრათ ეს იყოს დანაშაული თუ ხანგრძლივი ქმედება?
71. თქვენ შეძელით გაგენსაზღვრათ როგორ მოქმედებდა ბრალდებული დანაშაულის ჩადენამდე, დანაშაულის ჩადენის დროს და მის შემდეგ?
72. თქვენ შეძელით გაგენსაზღვრათ თუ რა თქვა მან დანაშაულის ჩადენის მომენტში?

73. თქვენ შეძელით გაგენსაზღვრათ ბრალდებული მოქმედებდა იმ მიზნით რომ თავიდან აეცილებინა დანაშაულის გამხელა, ცივი გონებით მოქმედება ან არარაციონალური უპასუხისმგებლობა?
74. ბრალდებულმა საკუთარი ქმედება ჩაიდინა სამუშაოს დაწყებამდე?
75. ბრალდებულმა საკუთარი ქმედება ჩაიდინა სამუშაოს საათების დროს?
76. ბრალდებულმა გამოხატა სინანული დანაშაულის ჩადენისთვის?
77. კარგად ახსოვდა ბოლო მოვლენები?
78. კარგად ახსოვდა მას ბოლო მოვლენები და გარემოებები?
79. თქვენი აზრი განსხვავებული იქნებოდა რომ გცოდნოდათ რომ ბრალდებულმა დანაშაულის ჩადენამდე სამი კვირით ადრე დაგეგმა მოლაპარაკებები და საკუთარი კონტრაბანდული საქონლის გადატანა?
80. თქვენი ინტერვიუს დროს ჰკითხეთ მას თუ აცნობიერებდა რომ არამართზომიერ ქმედებას ჩადიოდა?
81. იცოდა ბრალდებულმა განსხვავება სწორსა და არასწორს შორის როდესაც მან ფარულად დაგეგმა სხვა ბრალდებულებთან ერთად ყალბი ფულის შეძენა, გადატანა?
82. იცოდა ბრალდებულმა განსხვავება სწორსა და არასწორს შორის როდესაც მან "დააძველა" ყალბი ფული საკუთარ სამსახურში?
83. იცოდა ბრალდებულმა განსხვავება სწორსა და არასწორს შორის როდესაც მან ეს ფული პლასტმასის კონტეინერებში მოათავსა?
84. იცოდა ბრალდებულმა განსხვავება სწორსა და არასწორს შორის როდესაც მან სატელეფონო მოლაპარაკებები აწარმოა მოგებასთან დაკავშირებით?
85. ექიმო რა განსხვავებაა შერაცხადობასა და შეურაცხადობას შორის?
86. თქვენ გჯერათ იმისა რომ ყველა ადამიანი ვინც დანაშაულს ჩადის გონებრივად შეზღუდულია?
87. მაშინ თქვენ უნდა დაგვეთანხმოთ რომ პირი შეიძლება იყოს სამართლებრივად შერაცხადი?
88. შენიშვნა: ფსიქიატრიული მდგომარეობის მკურნალობის ოთხი გზა არსებობს. ესენია: ფსიქიატრიული ინტერვიუ, ფსიქოანალიზი, წამლებით მკურნალობა და შოკური თერაპია. შემდეგი შეკითხვები შეიძლება დაისვას:
89. პირველი შეხვედრის შემდეგ რა სახის მკურნალობა, რა წამალი დაუნიშნეთ ბრალდებულს?

შენიშვნა: შემდეგ ეკითხებით მეორე შეხვედრის თაობაზე, შემდეგ მესამე შეხვედრაზე, დაბოლოს, უსვამთ შემდეგ შეკითხვას:

90. პირველი ინტერვიუს დროს რა წამალი დაუნიშნეთ მას?
91. შენიშვნა: შემდეგ ეკითხებით მეორე ინტერვიუს თაობაზე, შემდეგ მესამე ინტერვიუს დაბოლოს, უსვამთ შემდეგ შეკითხვას:
92. თქვენ მას დაუნიშნეთ შოკური თერაპია?
93. თქვენ მას მიეცით საშუალება დაეტოვებინა კლინიკა და გასულიყო ქუჩაში და ეცხოვრა სახლში?
94. სჭირდება მას ჰოსპიტალიზაცია?

95. შეუძლია მას საკუთარ თავს ან გარშემომყოფთ მიაყენოს ზიანი ან წარმოადგენდეს საფრთხეს?
96. შეუძლია მას გააგრძელოს საკუთარ სახლში ცხოვრება და საკუთარ ოჯახსა და ბიზნესზე ზრუნვა?
97. ამ დროს ის არის სამართლებრივად შერაცხადი თუ შეურაცხადი?
98. თქვენ თქვით, რომ ბრალდებულმა იცოდა განსხვავება სწორსა და არასწორს შორის, იგი სრულ აზრზე იყო, როდესაც არამართლზომიერ ქმედებას სჩადიოდა, მაგრამ არაკონტროლირებადი იმპულსი ჰქონდა, რომ არასწორი ჩაედინა? როგორ ხდება ამ არაკონტროლირებადი იმპულსის განსაზღვრა?
99. ეს არაკონტროლირებადი იმპულსი განისაზღვრება ფსიქოლოგიურად, მართალი ვარ? (ექიმი უეჭველად იტყვის: „დიახ“; ვინაიდან მას არ ჩაუტარებია ბრალდებულისათვის არანაირი ფსიქოლოგიური კვლევა, როგორც უკვე ადრე აღვნიშნეთ, მაშინ თქვენ შეგიძლიათ ნაფიცი მსაჯულებისათვის მოახდინოთ აპელირება იმაზე, რომ ეს იყო მხოლოდ ექიმის დასკვნა ფსიქოლოგიური ტესტის გარეშე).
100. ბრალდებული ჩაიდენდა ამ დანაშაულს, მის სიახლოვეს პოლიციელი რომ ყოფილიყო და მისთვის ეთვალთვალა? (თუ ექიმის პასუხი არის „არა“, მაშინ ლოგიკა შემდეგშია: თუ ბრალდებული თავს შეიკავებდა დანაშაულის ჩადენისგან, ვინაიდან პოლიციელი აკონტროლებდა მის ქმედებას, მაშინ იმპულსი იყო კონტროლირებადი).
101. მაშინ მან იცოდა რომ არამართლზომიერ ქმედებას ჩადიოდა რაც კანონს ეწინააღმდეგებოდა?
102. თქვენი, აზრით ბრალდებული ჩაიდენს დანაშაულს თუ გაათავისუფლებენ მას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ფორმაში ჩაცმული პოლიციელი იდგება მის გვერდით და გააკონტროლებს მის მოქმედებას?
103. როდის ჩააბარეთ ბოლოს გამოცდა ფსიქიატრიასა და ნევროლოგიაში?
104. ასე რომ, ექიმო, თქვენ ამბობთ, რომ არ ხართ სერტიფიცირებული ფსიქიატრიასა და ნევროლოგიაში?
105. მართალი არ ვიქნები, თუ ვიტყვი, რომ საჭიროა გაირაოთ სერიოზული ზეპირი და წერითი გამოცდა იმისათვის, რომ იყოთ სერტიფიცირებული ფსიქიატრიასა და ნევროლოგიაში?
106. იმისათვის, რომ დაგიშვან ამ გამოცდაზე, საჭიროა გავლილი გქონდეთ რეზიდენტურა ნევროლოგიასა და/ან ფსიქიატრიაში? (თუ ექიმი გიპასუხებთ, რომ მას აქვს სერტიფიკატი, და რომ თქვენი წინა გამოკვლევა მისი კვალიფიკაციის დადგენის თაობაზე ამტკიცებს, რომ იგი სერტიფიცირებულია ნევროლოგიაში და არა ფსიქიატრიაში, მაშინ თქვენ შეგიძლიათ შეეცადოთ მოახდინოთ მისი ჩვენების დისკრედიტაცია და დაუსვათ შემდეგი შეკითხვა:
107. ეს დადგენილი ფაქტი არ არის, რომ თქვენ სერტიფიცირებული ბრძანდებით ნევროლოგიაში და არა ფსიქიატრიაში?

შენიშვნა: ექსპერტის კვალიფიკაციასთან დაკავშირებით, ჩემი აზრია, რომ ჩვენ არასდროს არ უნდა გავუსვათ ხაზი მის კვალიფიკაციას, თუ ჩვენ აბსოლუტურად

დარწმუნებული არ ვართ და არ გვაქვს წინასწარ გადამოწმებული, რომ ის არა მარტო სამედიცინო პროფესიის წარმომადგენელია, არამედ გამოცდაც აქვს ჩაბარებული სამედიცინო პრაქტიკაში ნევროლოგიასა და ფსიქიატრიაში. ეს კიდევ დამატებითი გამოცდაა, რომელსაც ფსიქიატრი აბარებს პრაქტიკისა და რეზიდენტურის შემდეგ. თუ ფსიქიატრი ამბობს რომ მას აქვს ლიცენზია განახორციელოს ფსიქიატრიის პრაქტიკა შტატში--- და რომ იგი სპეციალიზებულია ფსიქიატრიაში და არ ახსენებს, რომ ის არის ნევროლოგიის და ფსიქიატრიის საბჭოს წევრი, მაშინ შეიძლება ხაზი გაესვას, რომ მას არ აქვს ჩაბარებული ამერიკის ნევროლოგიისა და ფსიქიატრიის საბჭოს გამოცდა. მაშინ შეიძლება მას დავუსვათ შემდეგი შეკითხვები:

შენიშვნა: შემდეგი არგუმენტები შეიძლება წარედგინოს ნაფიც მსაჯულებს ამ შეკითხვებთან დაკავშირებით; აშკარაა, რომ ჩვენ გვყავს ეგრეთ წოდებული ექსპერტი, რომელიც არაფერია თუ არა ზოგადი პრაქტიკოსი ან პრაქტიკოსი კონკრეტულ სფეროში, რომელიც არ წარმოადგენს ჩვენი განხილვის საგანს ამ კონკრეტულ შემთხვევაში.

47. პირდაპირი ან ჯვარედინი დაკითხვა მოწმის, რომელიც კავშირშია ბრალდებულის შერაცხადობასთან დანაშაულის ჩადების მომენტში

კარგად ჩამოყალიბებული გამონაკლისი ექსპერტი მოწმის ჩვენებისგან არის ის, რომ ჩვეულებრივ ადამიანს შეუძლია გამოხატოს საკუთარი მოსაზრება მისთვის ნაცნობი ადამიანის გონებრივ მდგომარეობაზე, მას შემდეგ, რაც სწორედ იქნება ჩამოყალიბებული მათი გაცნობის დრო, გარემოებები, რამდენად კარგად იცნობს ბრალდებულს, ბრალდებულთან ურთიერთობა სხვადასხვა გარემოებაში ბრალდებულის ქცევის ცოდნა; შემდეგი შეკითხვები შეიძლება დაუსვათ:

1. ბრალდებული დამოუკიდებლად იკვებებოდა?
2. ბრალდებული დამოუკიდებლად იცვამდა?
3. ბრალდებული დამოუკიდებლად ბანაობდა?
4. ბრალდებული დამოუკიდებლად იპარსავდა წვერს?
5. ბრალდებული დამოუკიდებლად მართავდა მანქანას?
6. ბრალდებული მართავდა თვითმფრინავს?
7. ბრალდებული მართავდა გემს?
8. იცოდა მან სად იყო?
9. იცოდა მან ვინ იყავით თქვენ?
10. იცოდა მან საკუთარი მისამართი?
11. იცოდა მან თუ სად მიდიოდა?
12. იცოდა მან რა რიცხვი, თვე და წელი იყო?
13. კარგად ახსოვდა ბოლო მოვლენები?
14. კარგად ახსოვდა შედარებით ძველი მოვლენები?
15. შესწევდა მას უნარი დაეკავშირებინა ერთმანეთისთვის თარიღები, ადგილები და პიროვნებები?
16. ეწეოდა?

17. სვამდა?
18. ჰქონდა ბრალდებულს ოფისი?
19. იგი რეგულარულად დადიოდა საკუთარ ოფისში?
20. კარგი პრაქტიკა ჰქონდა?
21. იგი ფინანსურად უზრუნველყოფდა საკუთარ ოჯახს?
22. იგი ერთადერთი მარჩენალი იყო საკუთარი ოჯახის?
23. ბრალდებული სპორტით იყო დაკავებული?
24. გარეთ სეირნობა უყვარდა?
25. უყვარდა ტელევიზორის ყურება?
26. უყვარდა რადიოს მოსმენა?
27. უყვარდა ნადირობა ან თევზაობა?
28. ბევრს მოგზაურობდა?
29. საკუთარ საქმეებს თავად აგვარებდა?
30. ბრალდებულის საუბრისას ჩანდა, რომ განათლებული იყო?
31. სოციალურად აქტიური პიროვნება იყო?
32. ართობდა მეგობრებს, პარტნიორებს ან ნაცნობებს?
33. დადიოდა საცეკვაოდ?
34. დადიოდა კინოთეატრებში?
35. დადიოდა თეტრალურ წარმოდგენებზე?
36. დადიოდა სანაოსნოდ?
37. საკუთარ საბანკო დეპოზიტებს დამოუკიდებლად აკეთებდა?
38. ბრალდებული დამოუკიდებლად წერდა ჩეკებს?
39. დამოუკიდებლად ყიდულობდა საკუთარ ტანსაცმელს?
40. საოჯახო ნივთებს თავად ყიდულობდა?
41. საჩუქრებს დამოუკიდებლად ყიდულობდა?
42. საკუთარ გრძნობებს აკონტროლებდა?
43. ნორმალურად დადიოდა?
44. ამა და ამ დღეს როგორ იქცეოდა?
45. ეს იყო ნორმალური თუ არანორმალური?
46. უცანურად იქცეოდა?
47. მისი საუბარი იყო ნორმალური თუ არანორმალური?
48. საკუთარ თავს ფლობდა ნორმალურად თუ უცნაურად?
49. მისი პასუხები სწორი იყო?
50. მისი პასუხები ნორმალური იყო თუ არანორმალური?
51. როგორ იქცეიდა?
52. რაციონალური იყო?
53. როგორი მახსოვრობა ჰქონდა?
54. თავაზიანი იყო?
55. პატივისცემას იმსახურებდა?
56. როგორ ხასიათი ჰქონდა?
57. გაღიზიანებული ხომ არ გეჩვენებოდათ?

58. ხომ არ უთქვამს თქვენთვის, რომ ნერვიული აშლილობა აწუხებდა?
59. საკუთარი გრძნობების კონტროლი თუ შეეძლო?

მას შემდეგ, რაც დაადგენთ ზუსტ დროსა და ადგილს:

60. რაიმე უცნაური ხომ არ შეგიმჩნევიათ ამ პიროვნებისთვის იმ კონკრეტულ დროს?
61. ნორმალურად გამოიყურებოდა, ისე როგორც ადამიანი ჩვეულებრივ სიტუაციაში ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოიყურება?
62. როგორ გამოიყურებოდა გარეგნულად?
63. რა ეცვა?
64. გამოხატავდა აზრებს საკუთარი ჟესტებით?
65. როდესმე თუ უთქვამს რომ ავად იყო?
66. შეგიძლიათ აღწეროთ მისი გარეგნობა?
67. როგორ იქცეოდა თქვენს თანდასწრებით?
68. რაიმე უცნაური ხომ არ შეგიმჩნევიათ?
69. ის ავად არ იყო, ასე არ არის?
70. ის აბსოლუტურად რაციონალური იყო?
71. მას შესანიშნავი მახსოვრობა ჰქონდა?
72. მასთან ურთიერთობის დროს, როგორ გგონიათ, ბრალდებული სრულ გონებაზე იყო?
73. მასზე დაკვირვების დროს, როგორ ფიქრობთ, ბრალდებული სრულ გონებაზე იყო?
74. თქვენი აზრით, ბრალდებულს შეეძლო გაერჩია სწორი არასწორისგან და პატივი ეცა კანონისა და წესრიგისათვის?
75. გქონდათ ურთიერთობა ბრალდებულთან (დანაშაულის ჩადენამდე ცოტა ხნით ადრე და მის შემდეგ)?
76. ისაუბრეთ მასთან არაკანონიერ ქმედებაზე, რომელშიც ბრალდებული იყო ჩართული?
77. თქვენ მასთან ამ თემაზე ისაუბრეთ ამ კონკრეტული დროის განმავლობაში?
78. თქვენ მას ესტუმრეთ ამ კონკრეტულ დროს? (დანაშაულის ჩადენამდე ცოტა ხნით ადრე და მის შემდეგ)?
79. თქვენ დამოუკიდებლად, პირადად თუ იცოდით ამ საქმეში არსებული ფაქტები?

48. დნმ-ის ექსპერტის მოწმედ კვალიფიკაცია

მოწმის იდენტიფიცირება

1. გთხოვთ, სასამართლოს უთხრათ თქვენი სახელი და მისამართი.
2. თქვენი პროფესია და საქმიანობა?

3. რა თანამდებობაზე მუშაობთ?
4. სად მუშაობთ?
5. რამდენი ხანია რაც ამ კომპანიაში (კომპანიის სახელი) მუშაობთ?
6. რა უფლება-მოვალეობებს ახორციელებთ სამსახურში?
7. შეგიძლიათ თქვენი განათლების თაობაზე გვიამბოთ?
8. რომელ სკოლაში დადიოდით?
9. რა ხარისხი გაქვთ მიღებული?
10. თქვენი თუ გაქვთ განათლება მიღებული დნმ-ის საკითხებზე?
11. თქვენს მიერ მიღებული განათლება თუ მოიცავდა ასევე დნმ-ის ტესტის ტექნიკის შესწავლას?
12. რაიმე კვლევა ხომ არ ჩაგიტარებიათ დნმ-ის თაობაზე?
13. თუ შეგიძლიათ მოგვიყევით თქვენი წარსული სამუშაო გამოცდილების თაობაზე?
14. თქვენ წინა სამსახურებში თუ ჩაგიტარებიათ დნმ-ის კვლევები?
15. რა როლს ასრულებს პროფესიული ორგანიზაცია ან ასოციაცია დე-ენ-ემის მეცნიერულ კვლევაში?
16. რომელი ასოციაციის ან ორგანიზაციის წევრი ბრძანდებით?
17. ესწრებით მათ შეხვედრებს?
18. მათ შეხვედრებზე თქვენი კვლევის შედეგების წარდგენა თუ გევალებათ?
19. რაიმე ნაშრომი ან სტატია თუ გამოგიქვეყნებიათ?
20. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოაქვეყნეთ ისინი?
21. ნაშრომები და სტატიები მნიშვნელოვანია მეცნიერებაში?
22. რატომ არის ნაშრომები და სტატიები მნიშვნელოვანი?
23. რას ნიშნავს „კოლეგების შეფასება“?
24. რა როლს ასრულებს „კოლეგების შეფასება“ მეცნიერებაში?
25. თქვენი ნაშრომები და სტატიები თუ შეუფასებით კოლეგებს, მანამ ისინი გამოქვეყნდებოდა?
26. თქვენ თუ გთხოვენ სხვა კოლეგები შეფასებას სტატიების ან ნაშრომების გამოქვეყნებამდე?
27. თქვენ რეგულარულად ეცნობით სამეცნიერო ლიტერატურას დნმ-ის სფეროში? რატომ?
28. რომელ ჟურნალს ან სამეცნიერო პუბლიკაციას კითხულობთ რეგულარულად?
29. აქამდე თუ მიგიციათ ჩვენება როგორც ექსპერტს დნმ-ის საკითხებზე?
30. დაახლოებით რამდენჯერ?
31. რომელ სასამართლოში და შტატში?
32. რა არის დნმ-ი?
33. როდის აღმოაჩინეს?
34. რატომ არის დნმ-ი მნიშვნელოვანი?
35. სად არის ადამიანებში დნმ-ი?
36. ყველა ადამიანს ერთნაირი დნმ-ი აქვს?
37. რას იტყვით იდენტურ ტყუპებზე?

38. რა მეთოდით შეიძლება სხვადასხვა ადამიანის დე-ენ-ემის დადგენა?
39. როდის განვითარდა ისინი?
40. რას აკეთებთ თქვენ?
41. რითი განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისგან?
42. ადრე გამოგიყენებიათ ისინი?
43. რითი განსხვავდებიან ისინი იმ მეთოდისგან, რომელიც გამოიყენებოდა დნმ-ის აღმოჩენამდე?
44. რას ნიშნავს დნმ-ი დადგენის REFP მეთოდი?
45. დნმ-ის დადგენის ეს მეთოდი გამოიყენება სხვა სფეროებში გარდა სისხლის სამართლის საქმეებისა?
46. რა სფეროებია ეს?
47. ამ მეთოდს ასევე იყენებენ:
    - დაავადებისა დიაგნოსტიკისთვის;
    - ქსოვილების და ორგანოების ტრანსპლანტაციისთვის;
    - სიცოცხლის გადასარჩენად;
    - საფრთხეში მყოფი ცხოველების გადასარჩენად;
    - ომებში გარდაცვლილთა ვინაობის დასადგენად.
48. ეს მეთოდი მთელს მსოფლიოში გამოიყენება?
49. მოკლედ აგვიხსენით, როგორ მუშაობს ეს მეთოდი?
50. კონტროლის მექანიზმები თუ არსებობს ტესტირების პროცესში?
51. რა იგულისხმება კონტროლში?
52. რატომ არის ის მნიშვნელოვანი?
53. რა ხდება, თუ კონტროლი არ მუშაობს სწორად?
54. როგორ იშიფრება ტესტის შედეგები?
55. ეს ჩვეულებრივი რენტგენია, რომელსაც ექიმის კაბინეტში იღებენ?
56. ნებისმიერ ადამიანს შეუძლია მისი დანახვა?
57. მათ შორის მოსამართლეს, ადვოკატებსა და ნაფიც მსაჯულებს?
58. რა სახის შედეგების დანახვა შეიძლება ამ ტესტის საშუალებით?
59. რას ნიშნავს „შედეგი არ არის“?
60. რას ნიშნავს „შეუსაბამო“ შედეგი?
61. რას ნიშნავს „გამონაკლისი“?
62. რას ნიშნავს „შესაბამისია“?
63. შეიძლება ნებისმიერმა რამემ შეცვალოს დნმ-ი?
64. შეიძლება დნმ-ის ნიმუში დაძველდეს ან დაიღუპოს?
65. შეიძლება ტესტირების პროცესში შეიცვალოს დნმ-ის ნიმუში?
66. თქვენ და თქვენი ლაბორატორია რეგულარულად გადიხართ პროფესიულ შემოწმებას?
67. რა არის პროფესიული შემოწმება?
68. რა სიხშირით გადიხართ შემოწმებას?
69. რა შედეგები აჩვენა თქვენმა პროფესიულმა შემოწმებამ?
70. რა ლიცენზიას ფლობს თქვენი ლაბორატორია?

71. რა სერტიფიკატს ან აკრედიტაციას ფლობს თქვენი ლაბორატორია?
72. თქვენი ლაბორატორია იცავს რომელიმე ორგანზაციის სახელმძღვანელო პრინციპებს?
73. რა არის TWGDAM?
74. თქვენი ლაბორატორია ატარებს დნმ-ის ტესტებს როგორც ბრალდების, ისე დაცვის მხარისთვის?
75. ხშირად ხდება ბრალის გაქარწყლება ბრალდებულისთვის დნმ-ის ანალიზის საფუძველზე?
76. ხშირად ხდება პატიმრების ციხიდან გათავისუფლება დნმ-ის ანალიზის შედეგების საფუძველზე?
77. რა არის ხარისხის უზრუნველყოფა?
78. თქვენს ლაბორატორიაში მოქმედებს ხარისხის კონტროლის მექანიზმები?
79. გთხოვთ, აღწეროთ ეს პროგრამები?
80. როდესაც თქვენი ლაბორატორია იღებს დნმ-ის ტესტის მოთხოვნას, რა ნაბიჯებს დგამთ, რომ დაცული იყოს მტკიცებულება?
81. რა არის მტკიცებულებათა ჯაჭვი?
82. როგორ იცავთ მტკიცებულებათა ჯაჭვს?
83. რა არის პროტოკოლები?
84. თქვენ ლაბორატორიაში თუ მოქმედებს წერილობითი პროტოკოლები?
85. რას მოითხოვს ეს პროტოკოლი?
86. ეს პროტოკოლები ეხება ყველა ნაბიჯს მტკიცებულების მიღებიდან საბოლოო ანგარიშის გაცემამდე?
87. ეს პროტოკოლები დამტკიცებულია რომელიმე ორგანიზაციის ან სააგენტოს მიერ?
88. რა არის მოსახლეობის სიხშირე?
89. რა მნიშვნელობა აქვთ მათ დნმ-ის შედეგზე?
90. თქვენ რა განათლება გაქვთ მოსახლეობის სიხშირის სფეროში?
91. გთხოვთ, აღწეროთ თქვენი გამოცდილება სიხშირის გამოყენების სფეროში?
92. ადრე თუ გამოგიყენებიათ ეს დნმ-ის საქმეში?
93. ადრე თუ მიგიციათ ჩვენება ექსპერტის სახით სასამართლოში მოსახლეობის სიხშირის გამოყენების თაობაზე?
94. მოსახლეობის სიხშირე გამოგიყენებიათ დნმ-ის დასკვნის მომზადებამდე?
95. როგორ ხდება ამის დაანგარიშება?
96. სხვა რაიმე ნაბიჯებს თუ დგამთ იმისათვის რომ მოხდეს სიზუსტის დადგენა?
97. რას გულისხმობთ, როდესაც ამბობთ, რომ „კონსერვაციის“ ნაბიჯები გადაიდგა სიხშირის მაჩვენებლის დასადგენად?
98. რატომ ახდენთ ამის დაანგარიშებას?

ფიზიკური ფაქტების იდენტიფიცირება

1. ამ საქმეში თქვენ მტკიცებულება მიიღეთ საქმეში ---- წინააღმდეგ ----?
2. როდის მიიღეთ ეს მტკიცებულება?

3. რა შედიოდა ამ მტკიცებულებაში?
4. რა უქენით ამ მტკიცებულებას მას შემდეგ, რაც გადმოგეცათ?
5. ტესტირების პროცესში ყველა ნიმუში ბოლომდე გამოიყენეთ?
6. რატომ?
7. რა არის „სამომავლო ტესტის ნიმუში“?
8. რატომ ინახავთ მტკიცებულების ნაწილს?
9. ამ საქმეში რა ნიმუშები იყო გამოკვლეული?
10. შედეგი მიიღეთ?
11. ვინ წყვეტს, თუ რა არის შედეგი?
12. ორივე თქვენგანის თანხმობაა საჭირო?
13. ორივე თქვენგანი დაეთანხმეთ საქმის ყველა შედეგს?
14. თქვენ თან გაქვთ ტესტირების რენტგენის შედეგები?
15. შეგიძლიათ აჩვენოთ ეს მოსამართლესა და ნაფიც მსაჯულებს?

თქვენო ღირსებავ, გთხოვთ, ეს მონიშნოთ ნივთიერ საბუთად – და დაუშვათ მტკიცებულებად საქმეში.

16. ყველა გადამოწმების საშუალებამ დაადასტურა, რომ ტესტირება სწორედ ჩატარდა?
17. ამ შემთხვევაში შედეგი რა იყო?
18. თქვენ გამოიანგარიშეთ შესაბამისობის იშვიათობა ამ შემთხვევაში?
19. რა არის ამის შედეგი?
20. რას გულისხმობს ეს შედეგი?
21. რა უქენით მტკიცებულებას მას შემდეგ, რაც ტესტირება დამთავრდა?
22. თქვენი ყველა დასკვნა გადაეცით დაცვის მხარეს ამ საქმეში?

მოწმის იდენტიფიცირება

1. გთხოვთ, სასამართლოს უთხრათ თქვენი სახელი და მისამართი.
2. თქვენი პროფესია და საქმიანობა?
3. რა თანამდებობაზე მუშაობთ?
4. სად მუშაობთ?
5. რამდენი ხანია რაც ამ კომპანიაში (კომპანიის სახელი) მუშაობთ?
6. რა საქმიანობას ეწევა თქვენი ორგანიზაცია? (მიუთითეთ სახელი)
7. შეგიძლიათ თქვენი განათლების თაობაზე გვიამბოთ?
8. რომელ სკოლაში სწავლობდით?
9. რა ხარისხი გაქვთ მიღებული?
10. თქვენი თუ გაქვთ განათლება მიღებული დნმ-ის საკითხებზე?
11. თქვენ მიერ მიღებული განათლება თუ მოიცავდა ასევე დე-ენ-ემის ტესტის ტექნიკის შესწავლას?
12. რაიმე კვლევა ხომ არ ჩაგიტარებიათ დნმ-ის თაობაზე?
13. თუ შეგიძლიათ მოგვიყევით თქვენი წარსული სამუშაო გამოცდილების შესახებ?
14. თქვენს წინა სამსახურებსი თუ ჩაგიტარებიათ დნმ-ის კვლევები?

15. რა როლს ასრულებს პროფესიული ორგანიზაცია ან ასოციაცია დნმ-ის მეცნიერულ კვლევაში?
16. რომელი ასოციაციის ან ორგანიზაციის წევრი ბრძანდებით?
17. ესწრებით მათ შეხვედრებს?
18. მათ შეხვედრებზე თქვენი კვლევის შედეგების წარდგენა თუ გევალებათ?
19. რაიმე ნაშრომი ან სტატია თუ გამოგიქვეყნებიათ?
20. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოაქვეყნეთ ისინი?
21. ნაშრომები და სტატიები მნიშვნელოვანია მეცნიერებაში?
22. ნაშრომები და სტატიები არის მნიშვნელოვანი მეცნიერებისთვის?
23. რატომ?
24. რას ნიშნავს ,,კოლეგების შეფასება“?
25. რა როლს ასრულებს ,,კოლეგების შეფასება“ მეცნიერებაში?
26. თქვენი ნაშრომები და სტატიები თუ შეუფასებით კოლეგებს მანამ ისინი გამოქვეყნდებოდა?
27. თქვენ თუ გთხოვენ სხვა კოლეგები შეფასებას სტატიების ან ნაშრომების გამოქვეყნებამდე?
28. თქვენ რეგულარულად ეცნობით სამეცნიერო ლიტერატურეს დე-ენ-ემის სფეროში? რატომ?
29. რომელ ჟურნალს ან სამეცნიერო პუბლიკაციას კითხულობთ რეგულარულად?
30. აქამდე თუ მიგიციათ ჩვენება როგორც ექსპერტს დნმ-ის საკითხებზე?
31. დაახლოებით რამდენჯერ?
32. რომელ სასამართლოში და შტატში?
33. რა არის დნმ-ი?
34. როდის აღმოაჩინეს?
35. რატომ არის დნმ-ი მნიშვნელოვანი?
36. სად არის ადამიანებში დნმ-ი?
37. ყველა ადამიანს ერთნაირი დნმ-ი აქვს?
38. რას იტყვით იდენტურ ტყუპებზე?
39. რა მეთოდით შეიძლება სხვადასხვა ადამიანის დე-ენ-ემის დადგენა?
40. როდის განვითარდა ისინი?
41. რას აკეთებთ თქვენ?
42. რითი განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისგან?
43. ადრე გამოგიყენებიათ ისინი?
44. რისგან განსხვავდებიან ისინი იმ მეთოდისგან რომელიც გამოიყენებოდა დე-ენ-ემის აღმოჩენამდე?
45. რას ნიშნავს დნმ-ის დადგენის CPC მეთოდი?
46. ეს მეთოდი დნმ-ის დადგენის გამოიყენება სხვა სფეროებში გარდა სისხლის სამართლის საქმეებისა?
47. რა სფეროებია ეს?
48. ამ მეთოდს ასევე იყენებენ:
    - დაავადების დიაგნოსტიკისთვის;

- ქსოვილების და ორგანოების ტრანსპლანტაციისთვის;
- სიცოცხლის გადასარჩენად;
- საფრთხესი მყოფი ცხოველების გადასარჩენად;
- ომებში გარდაცვლილთა ვინაობის დასადგენად.

49. ეს მეთოდი მთელს მსოფლიოში გამოიყენება?
50. მოკლედ აგვიხსენით, როგორ მუშაობს ეს მეთოდი?
51. კონტროლის მექანიზმები თუ არსებობს ტესტირების პროცესში?
52. რა იგულისხმება კონტროლში?
53. რატომ არის ის მნიშვნელოვანი?
54. რა ხდება თუ კონტროლი არ მუშაობს სწორად?
55. როგორ იშიფრება ტესტის შედეგები?
56. რა სახის შედეგების დანახვა შეიძლება ამ ტესტის საშუალებით?
57. რას ნიშნავს „შედეგი არ არის“?
58. რას ნიშნავს „შეუსაბამო“ შედეგი?
59. რას ნიშნავს „გამონაკლისი“?
60. რას ნიშნავს „შესაბამისია“?
61. შეიძლება ნებისმიერმა რამემ შეცვალოს დნმ-ი?
62. შეიძლება დე-ენ-ემის ნიმუში დაძველდეს ან დაიღუპოს?
63. შეიძლება ტესტირების პროცესში შეიცვალოს დნმ-ის ნიმუში?
64. რას ნიშნავს „დაბინძურება“?
65. რა ნაბიჯებს დგამთ დაბინძურების თავიდან ასაცილებლად?
66. კონტროლის რა მექანიზმები გამოიყენება იმისათვის, რომ დადგინდეს დაბინძურებას ადგილი არ ჰქონია?
67. კონტროლის დამატებითი მექანიზმები თუ არსებობს ამ კონკრეტულის ტესტისთვის?
68. თქვენ და თქვენი ლაბორატორია რეგულარულად გადიხართ პროფესიულ შემოწმებას?
69. რა არის პროფესიული შემოწმება?
70. რა სიხშირით გადიხართ შემოწმებას?
71. რა შედეგები აჩვენა თქვენმა პროფესიულმა შემოწმებამ?
72. რა ლიცენზიას ფლობს თქვენი ლაბორატორია?
73. რა სერტიფიკატს ან აკრედიტაციას ფლობს თქვენი ლაბორატორია?
74. თქვენი ლაბორატორია იცავს რომელიმე ორგანზაციის სახელმძღვანელო პრინციპებს?
75. რა არის TWGDAM?
76. თქვენი ლაბორატორია ატარებს დნმ-ის ტესტებს როგორც ბრალდების ისე დაცვის მხარისთვის?
77. ხშირად ხდება ბრალის გაქარწყლება ბრალდებულისთვის დნმ-ის ანალიზის საფუძველზე?
78. ხშირად ხდება პატიმრების ციხიდან განთავისუფლება დნმ-ის ანალიზის შედეგების საფუძველზე?
79. რა არის ხარისხის უზრუნველყოფა?
80. თქვენს ლაბორატორიაში მოქმედებს ხარისხის კონტროლის მექანიზმები?
81. გთხოვთ, აღწეროთ ეს პროგრამები?

82. როდესაც თქვენი ლაბორატორია იღებს დნმ-ის ტესტის მოთხოვნას, რა ნაბიჯებს დგამთ, რომ დაცული იყოს მტკიცებულება?
83. რა არის მტკიცებულებათა ჯაჭვი?
84. როგორ იცავთ მტკიცებულებათა ჯაჭვს?
85. რა არის პროტოკოლები?
86. თქვენ ლაბორატორიაში თუ მოქმედებს წერილობითი პროტოკოლები?
87. რას მოითხოვს ეს პროტოკოლი?
88. ეს პროტოკოლები ეხება ყველა ნაბიჯს მტკიცებულების მიღებიდან საბოლოო ანგარიშის გაცემამდე?
89. ეს პროტოკოლები დამტკიცებულია რომელიმე ორგანიზაციის ან სააგენტოს მიერ?
90. რა არის მოსახლეობის სიხშირე?
91. რა მნიშვნელობა აქვთ მათ დნმ-ის შედეგზე?
92. თქვენ რა განათლება გაქვთ მოსახლეობის სიხშირის სფეროში?
93. გთხოვთ, აღწეროთ თქვენი გამოცდილება სიხშირის გამოყენების სფეროში?
94. ადრე თუ გამოგიყენებიათ ეს დნმ-ის საქმეში?
95. ადრე თუ მიგიციათ ჩვენება ექსპერტის სახით სასამართლოში მოსახლეობის სიხშირის გამოყენების თაობაზე?
96. მოსახლეობის სიხშირე გამოგიყენებიათ დე-ენე-მის დასკვნის მომზადებამდე?
97. როგორ ხდება ამის დაანგარიშება?
98. სხვა რაიმე ნაბიჯებს თუ დგამთ იმისათვის, რომ მოხდეს სიზუსტის დადგენა?
99. რას გულისხმობთ, როდესაც ამბობთ, რომ „კონსერვაციის“ ნაბიჯები გადაიდგა სიხშირის მაჩვენებლის დასადგენად?

ფიზიკური ფაქტების იდენტიფიცირება

1. ამ საქმეში თქვენ მტკიცებულება მიიღეთ საქმეში ---- წინააღმდეგ ----?
2. როდის მიიღეთ ეს მტკიცებულება?
3. რა შედიოდა ამ მტკიცებულებაში?
4. რა უქენით ამ მტკიცებულებას მას შემდეგ, რაც გადმოგეცათ?
5. ტესტირების პროცესში ყველა ნიმუში ბოლომდე გამოიყენეთ?
6. რატომ?
7. რა არის „სამომავლო ტესტის ნიმუში“?
8. რატომ ინახავთ მტკიცებულების ნაწილს?
9. ამ საქმეში რა ნიმუშები იყო გამოკვლეული?
10. შედეგი მიიღეთ?
11. ვინ წყვეტს, თუ რა არის შედეგი?
12. ორივე თქვენგანის თანხმობაა საჭირო?
13. ორივე თქვენგანი დაეთანხმეთ საქმის ყველა შედეგს?
14. კონტროლის ყველა საშუალება ამტკიცებს, რომ ტესტები სწორად ჩატარდა?
15. რა შედეგები დაიდო ამ საქმეზე?
16. თქვენ ასევე გამოიანგარიშით ის, თუ რამდენად იშვიათია მსგავსი შედეგების დამთხვევა?
17. რაში მდგომარეობს ეს მაჩვენებლია?
18. რას ნიშნავს ეს მაჩვენებელი?

19. რა უქენით მტკიცებულებას მას შემდეგ, რაც თქვენი ტესტირება დამთავრდა?
20. დაცვის მხარეს ყველა თქვენ მიერ დადგენილი შედეგი და მომზადებული ანგარიში გადაეცით?

ჩვეულებრივი მოწმის ჩვენება-მოსაზრება

მოწმე, რომელიც ჩვენებას არ იძლევა როგორც ექსპერტი სასამართლო პროცესზე, თქვენ შეგიძლიათ, მაგრამ არ ხართ ვალდებული მიიჩნიოთ მოსაზრება ჭეშმარიტებად ან სწორად. თქვენ შეგიძლიათ დიდი მნიშვნელობა მიანიჭოთ ჩვენებას, რაც თქვენ სწორად მიგაჩნიათ. გაითვალისწინეთ მოწმის შესაძლებლობები აანალიზებდეს გარემოებებს, რომელზეც მისი მოსაზრება არის დაფუძნებული, ასევე ის მიზეზები, რატომ მისცა მოწმემ ესა თუ ის ჩვენება, ასევე ფაქტები და ინფორმაცია, რომელსაც მოწმე დაეყრდნო საკუთარი მოსაზრების ჩამოყალიბებისას. თქვენ უნდა გადაწყვიტოთ ინფორმაცია, რომელსაც მოწმე დაეყრდნო, იყო სწორი და მართალი. თქვენ შეიძლება არ გაითვალისწინოთ მოსაზრება მთლიანად ან მისი ნაწილი, რომელიც დაუჯერებლად, დაუსაბუთებლად, მტკიცებულებით გაუმაგრებლად მიგაჩნიათ.

ექსპერტი მოწმის ჩვენება

მოწმე, რომელსაც აქვს უფლება, მისცეს ჩვენება ექსპერტის სტატუსით და გამოთქვას მოსაზრება თქვენ უნდა გაითვალისწინოთ მოსაზრება, მაგრამ ვალდებული არა ხართ მიიჩნიოთ ის სწორად ან არასწორად. ნებისმიერი ჩვენების მნიშვნელობა და არსი თქვენი გადასაწყვეტია. ექსპერტი მოწმის დამაჯერებლობის შეფასებისას გამოიყენეთ და დაიცავით ინსტრუქციები ზოგადად მოწმის დამაჯერებლობის თაობაზე. ამასთანავე, გაითვალისწინეთ ექსპერტის ცოდნა, უნარი, გამოცდილება, ტრენინგი და განათლება, მიზეზები, რატომ გამოთქვა მოწმემ ესა თუ ის მოსაზრება და რა ფაქტებსა და ინფორმაციას დაეყრდნო ექსპერტი გადაწყვეტილების მიღების პროცესში. თქვენ უნდა გადაწყვიტოთ, ინფორმაცია, რომელსაც დაეყრდნო ექსპერტი, იყო თუ არა სწორი და რეალური. თქვენ შეგიძლიათ არ გაითვალისწინოთ ნებისმიერი მოსაზრება, რომელიც დაუჯერებლად, დაუსაბუთებლად ან მტკიცებულებით გაუმყარებლად მიგაჩნიათ.

ექსპერტ მოწმეს შეიძლება დაუსვან ჰიპოტეტური შეკითხვა. ჰიპოტეტურ შეკითხვაში ექსპერტს ეკითხებიან, რომ ზოგიერთი ფაქტი ჩათვალო ნამდვილად და გადმოსცეს საკუთარი მოსაზრება ამ ფაქტებზე დაყრდნობით. თქვენ უნდა გადაწყვიტოთ სავარაუდოდ მიჩნეული ფაქტები დადგენილად ჩაითვალოს, თუ არა. თუ თქვენ გადაწყვეტთ, რომ სავარაუდოდ მიჩნეული ფაქტი არ არის მართალი, მაშინ ექსპერტის მოსაზრების შეფასებისას უნდა გაითვალისწინოთ ასევე ის გარემოება, რომ ექსპერტის მოსაზრება ეფუძნებოდა ამ ფაქტებს. თუ საქმეში მონაწილეობს რამდენიმე ექსპერტი და მათ ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებები აქვთ, თქვენ უნდა გაზომოთ ერთის მოსაზრება მეორის საპირისპიროდ. თქვენ უნდა გადაამოწმოთ თითოეული მოსაზრებისთვის მოცემული მიზეზები და ფაქტები და ასევე სხვა გარემოებები, რომელზეც ექსპერტი მოწმე დაეყრდნო გადაწყვეტილების მიღებისას, თქვენ ასევე შეგიძლიათ შეადაროთ ექსპერტების კვალიფიკაცია.

ექსპერტი მოწმე, მოსაზრება, მტკიცებულება

თქვენ მოისმინეთ ჩვენებები პირებისგან, რომელთაც აქვთ უფლება გამოხატონ მოსაზრება და ამ მოსაზრების საფუძვლები მათი განათლების ან გამოცდილების გამო.

ჩვენება-მოსაზრება განსჯილი უნდა იყოს ისევე, როგორც ყველა სხვა ჩვენება. თქვენ შეგიძლიათ ან მიიღოთ, ან უარი თქვათ მის გათვალისწინებაზე და მხოლოდ იმდენი მნიშვნელობა მიანიჭოთ მას, რაც თქვენ საკმარისად მიგაჩნიათ. გაითვალისწინეთ მოწმის განათლება და გამოცდილება, მოსაზრების მიცემის საფუძვლები და ყველა სხვა მტკიცებულება საქმეში.

ბრალდებულის უფლებები, მოიპოვოს ინფორმაცია

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 38-ე და 83-ე მუხლების მიხედვით, განსასჯელი მოითხოვს ქვემოთ მოცემული მასალებისა და ინფორმაციის დაუყოვნებლივ გამჟღავნებას:

1. განსასჯელის ჩვენებები, ზეპირი ან წერილობითი, არ აქვს მნიშვნელობა ვინ ჩაიწერა ან შეინახა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს ხელმოწერილი ან აღიარებული განსასჯელის მიერ;
2. ყველა მოწმის სახელი და მისამართი, ვინც შეიძლება გამოძახებულ იქნეს ჩვენების მისაცემად განსასჯელის წინააღმდეგ სასამართლო პროცესზე ან წინა სასამართლო შუამდგომლობისას;
3. ყველა ჩაწერილი განცხადება მოწმის, რომელმაც მისცა ჩვენება ბრალდებულის წინააღმდეგ;
4. ნებისმიერი მოპოვებული ფიზიკური მტკიცებულების გამოკვლევის თაობაზე ანგარიში იმ საქმის გამოძიების პროცესში, რომელიც მიმართულია განსასჯელის წინააღმდეგ;
5. ყველა ლაბორატორიული გამოკვლევა და ანგარიში ზემოთ აღნიშნული ფიზიკური მტკიცებულების გამოკვლევის თაობაზე;
6. განსასჯელის წინააღმდეგ საქმეში ჩართული ნებისმიერი სახის ნივთიერების გამოკვლევისას ან ტესტირებისას გამოყენებული ინსტრუმენტი, ან ხელსაწყოს შესახებ ინფორმაცია, ასევე ინფორმაცია ამ ხელსაწყოს ან დანადგარის გაუმართაობის შესახებ;
7. სასამართლო სამედიცინო გამოკვლევის დროს გამოყენებული ხელსაწყოებისა და ინსტრუმენტების დამამზადებელი მწარმოებლის შესახებ ინფორმაცია;
8. ლაბორატორიის ყველა სარეგისტრაციო წიგნები, ექსპერტების ანგარიშები ან ჩანაწერები საქმესთან დაკავშირებული ფიზიკური თუ ფსიქიატრიული გამოკვლევის შესახებ, სამეცნიერო ტესტი, ექსპერიმენტი ან შედარება, რომელსაც პროკურატურა სთავაზობს მტკიცებულებასთან დაკავშირებით სასამართლო პროცესზე, ან შეიძლება კავშირში იყოს ნებისმიერ საკითხთან განსასჯელის საქმეზე;
9. ყველა დოკუმენტი, ჩანაწერი და ჩანაწერის ასლები ყველა მტკიცებულებაზე, რომელიც ამტკიცებს მტკიცებულებათა ჯაჭვს ყველა მტკიცებულებაზე, რომელიც საქმეში იყო მოპოვებული განსასჯელის წინააღმდეგ;
10. დანაშაულის ადგილას ამოღების დირექტივები/მინიშნებები, პროცედურები გამოყენებული განსასჯელის წინააღმდეგ აღძრულ საქმეზე;
11. სასამართლო სამედიცინო ლაბორატორიის ყველა პროცედურა, დირექტივები/მინიშნებები, რომელიც მუშაობს მტკიცებულებაზე და მიმართულია განსასჯელის წინააღმდეგ;
12. მტკიცებულების გამოკვლევაზე მომუშავე ლაბორატორიის და ექსპერტების

სერტიფიცირების, ლიცენზირების თაობაზე ნებისმიერი ინფორმაცია და ასევე ტესტირების შედეგები, განსაკუთრებით კი, ნივთიერების ბრმა ტესტირების შედეგები;

13. ნებისმიერი გამოკვლევის ჩანაწერი, ლაბორატორიებში გამოძიების პროცესში გამოყენებული ტესტების ხარისხის კონტროლის ასლები, ან სააგენტოს/უწყების სერტიფიცირების პროცესი, ან ნებისმიერ სხვა სასამართლო სამედიცინო ლაბორატორიის ჩართულობა რაიმე ფორმით განსასჯელის წინააღმდეგ მიმართულ საქმეში;
14. ნებისმიერი დისციპლინური პროცედურის ჩანაწერი ნებისმიერი პოლიციის ოფიცრის, გამომძიებლის, პროკურორის, სასამართლო სამედიცინო სპეციალისტის ან ექსპერტის მიერ განხორციელებული, რომელიც რაიმე ფორმით არის დაკავშირებული განსასჯელის წინააღმდეგ მიმართულ საქმესთან;
15. ყველა სურათი, ვიდეოჩანაწერი, ფილმი, მოწმისთვის ნაჩვენები ყველა შერეული თუ მიმსგავსებული სურათები, ასევე საქმის შესაძლო მოწმეები საქმეში ეჭვმიტანილის ვინაობის დადგენის მიზნით;
16. დაკავების და/ან ბრალდების წაყენების ნებისმიერი ჩანაწერი, ან ნებისმიერი ინფორმაცია მოწმის მორალური ქცევის შესახებ, რომელმაც ჩვენება უნდა მისცეს განსასჯელის წინააღმდეგ;
17. პოლიციისა და გამომძიების ყველა ჩანაწერი ან ანგარიში ბრალდების შესახებ;
18. დანაშაულის ადგილის გამოკვლევები და ფოტოების, სლაიდების, დიაგრამების, ფილმების და ვიდეოჩანაწერების ასლები;
19. განსასჯელის წარსული დანაშაულებრივი ქმედების, სისხლისსამართლებრივი დაკავების ან ბრალდების შესახებ ინფორმაცია;
20. იმ მტკიცებულების გამოკვლევის შესაძლებლობა, რის წარდგენასაც აპირებს ბრალდების მხარე;
21. ამ მტკიცებულების ფოტოგადაღების შესაძლებლობა;
22. ნებისმიერი ინფორმაცია დაკავშირებული ბრალდების მხარის მიერ საქმეში ჩართული მოწმის იმპიჩმენტთან;
23. ნებისმიერი მტკიცებულება, ინფორმაცია, დოკუმენტი ან სხვა მასალა, რომელიც განსასჯელის სასარგებლოა და რომელსაც ფლობს გამოძიება, ბრალდება ან ნებისმიერი უწყება, ან პიროვნება და ხელმისაწვდომია ბრალდების მხარისთვის;
24. დასკვნა ლაბორატორიაში ჩატარებული პროცედურების დაუდევრობის შესახებ, მათი მიზეზი და კონკრეტული ტესტი, რომელსაც ეს პრობლემა ეხება.

როდესაც გამოიყენება დნმ-ის მტკიცებულება ბრალდების მხარის მიერ მაშინ დააყენეთ შემდეგი საკითხები:

1. აუტორადიოგრაფიის (აუტორადიოგრაფი, ანუ აუტორადი არის დნმ-ის ანალიზის ბოლო შედეგი) ასლები (ზოგადად მიღებულია, რომ მეცნიერებს შეუძლიათ შედარების დადგენა აუტორადებზე დაკვირვებით, რომელიც სხვა მეცნიერის მიერ არის მომზადებული);
2. ლაბორატორიის წიგნის ასლები;

3. ლაბორატორიაში გამოყენებული ტესტის ხარისხის კონტროლის ასლები;
4. ლაბორატორიის მიერ საქმეზე მომზადებული ყველა ანგარიშის ასლი;
5. ლაბორატორიის ანგარიში გამოყენებული მეთოდის შესახებ იმისათვის, რომ დადგენილიყო შესაბამისობა ან შეუსაბამობა;
6. თითოეული გამოკვლეული ლოკუსის (ქრომოსომაში გენის ან დნმ-ის კონკრეტული ლოკაცია) მონაცემთა ბაზის ასლი;
7. დასტური იმისა, რომ ერთი და იგივე წესი იყო გამოყენებული მოსახლეობაში ალელე (კონკრეტულ გენში დნმ-ის თანმიმდევრობა) სიხშირის დასადგენად;
8. შესწავლილი დაბინძურების შესახებ ანგარიში დაბინძურების გამომწვევი მიზეზის ჩათვლით, ნებისმიერი ტესტი, რომელშიც ნიმუში შელახული იყო;
9. ნებისმიერი სხვა ხარვეზის შესახებ ანგარიში, გამოწვეულია ეს გარემო დაბინძურებით თუ ლაბორატორიის შეცდომით და ამის გამომწვევი მიზეზები;
10. დოკუმენტები მტკიცებულებათა ჯაჭვის თაობაზე.

კითხვები ნაფიცი მსაჯულებისთვის, როდესაც საქმეში მონაწილეობს ექსპერტი მოწმე

1. გაქვთ თუ არა რაიმე მოსაზრება იმ ადამიანებზე, რომელთაც აქვთ ექსპერტის კვალიფიკაცია რომელიმე სფეროში?
2. როგორ ფიქრობთ, ბრმად ენდობით ნებიმიერ საკითხს, რომელსაც ექსპერტი მოწმე ამტკიცებს და რომელიც განსხვავდება თქვენი საფუძვლიანი მოსაზრებისგან?
3. ექსპერტის ჩვენებისთვის რაიმე წონის მინიჭებამდე, დაგაინტერესებთ თუ არა ის მიზეზები, რამაც გამოიწვია ექსპერტის ამ აზრამდე მიყვანა?
4. შეასრულებთ თუ არა თქვენს ძირითად მოვალეობას, მიუხედავად იმისა, რომ ჩამოყალიბებული მოსაზრება საფუძვლიანია და შესაძლებელია მისი მიღება?
5. გჯერათ, რომ ექსპერტები ყოველთვის მართლები არიან და არასრდროს ცდებიან?
6. ეთანხმებით, რომ ექსპერტები, როგორც ყველა სხვა მოწმე, შეიძლება ცდებოდნენ სხვადასხვა მიზეზის გამო?
7. ფიქრობთ, რომ ექსპერტები, როგორც სხვა მოწმეები შეიძლება იყვნენ მიკერძოებულები?
8. როგორ ფიქრობთ, მოსაზრებები ისეთივე სწორია, როგორც ფაქტები და გარემოებები, რომელსაც ის ეფუძნება?
9. დაიჯერებთ ექსპერტის მოსაზრებას მხოლოდ მისი ტიტულის ან თანამდებობის გამო?
10. თქვენთვის რას უფრო აქვს მნიშვნელობა, ექსპერტის ხარისხს თუ მისი დასაბუთების ძალას?
11. თუ ექსპერტის მოსაზრება არ არის რაციონალური თქვენთვის, გაგიჭირდებათ ამის აღიარება?
12. როგორ ფიქრობთ, მხარე, რომელსაც მეტი ექსპერტი ჰყავს წარმოდგენილი, ავტომატურად უნდა იმარჯვებდეს?
13. როგორ ფიქრობთ, მხარე, რომელსაც არ ჰყავს ექსპერტი, ავტომატურად უნდა აგებდეს?

სახელმძღვანელო იურისტებისათვის

სასამართლო ექსპერტიზის, ექსპერტი მოწმის დაკითხვისა და მტკიცებულებათა წარდგენის შესახებ

ტექ. რედაქტორი კ. რუსიძე

რედაქტორი ნ. ელიზბარაშვილი

კორექტორი ნ. დარჩია

გამომცემლობა „მერიდიანი“,
ალ. ყაზბეგის გამზ. №47
ტ. 239-15-22,
E-mail: meridiani777@gmail.com